



ქართული
ლიბრეოთეკა

ISSN 0132-399X

მეცნიერება



5

1990

მნათობი

წიგნი 66-ე

№ 5

მაისი, 1990 წ.

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

ახალი აღთქმა — მოციქულთა საქმი. თარგმანი ძველბერძნულიდან 3

პროზა, პოეზია

ვასტანა ჯავახაძე — ლექსები	46
დავით კვიციანი — ლექსები	50
სტეფანე კასრაძე — თარი-არაღე. რომანი, პირველი ნაწილის დასასრული	53
მერი შალვაშვილი — ლექსები	76
ნანი ჯაფარიძე — ლექსები	78
გიორგი ლორთქიფანიძე — ანტირაბიული გეორგიანობის კურსი. მოთხრობა	79
ვაჟა ხორენაული — ლექსები	106
ირაკლი ციგორაშვილი — ლექსები	108
თამარ გოთუა, ალექსანდრე გოთუა — თავგადასავალი ლეგან გოთუასი. გაგრძელება	110

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

მერაბ კოსტავა — ტურიზმი და ძეგლები	121
აკაკი ბაქრაძე — მწერლობის მოთქმის დრო. გაგრძელება	125

მეცნიერება

ედიშარ ხოშტარია-გროსე — მეცნიერის არქივიდან	138
---	-----

ხელოვნება

ჯანრი კაშია — უბისი ანუ რენესანსი „უმენისანსო“	146
ოლა კობახიძე — მუსიკალური საზის ჯოგინითი კონცეფციის კრიტიკული ანალიზი	159

წიგნების მიმოხილვა

აკოლონ ცანავა — ქართული კრიტიკის მნიშვნელოვანი შემთხვევა	166
გურამ მაისურაძე — საინტერესო წიგნი XVIII საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე	169

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაბაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამასუბელი, მ. ბაჩქანიშვილი, გ. გვერდ-
წითელი, ალ. გომიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, გ. კალანდია, მ. ლე-
განიძე, ე. მალრაძე, ლ. შრელაშვილი, გ. ნატროშვილი, ს. პაიჭაძე
(მთ. რედაქტორის მოადგილე), რ. პატარიაძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეის-
კიჩი, ო. ჭილაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე.

ახალი ალთქმა

მოციქულთა საქმე

თავი პირველი

1. პირველი წიგნით გადმოვეცი ყოველივე ის, თეოფილე, რითაც დაიწყო იესომ თავისი საქმე და სწავლა,

2. იმ დღემდე, როცა სულით წმიდით მისცა მცნებანი მოციქულებს, და ამაღლდა,

3. და რომლებსაც, მრავალი სარწმუნო ნიშნით, ცოცხლად წარუდგა თავისი ვნების შემდეგ; ორმოცი დღე ეჩვენებოდა და ღმრთის სასუფეველისათვის ესაუბრებოდა მათ.

4. და შეკრიბა ისინი და უბრძანა: ნუ გაშორდებით იერუსალემს, არამედ მოელოდეთ ალთქმას მამისას, რომელიც ისმინეთ ჩემგან.

5. რადგანაც იოანე ნათელს სცემდა წყლით, ხოლო თქვენ ნათელს იღებთ სულით წმიდით, არცთუ მრავალი დღის შემდეგ.

6. შეკრებილნი კი ეკითხებოდნენ მას და ამბობდნენ: უფალო, ნუთუ ამ დროს აღუდგენ სამეფოს ისრაელს?

7. და უთხრა მათ: არ არის თქვენი საქმე დღეთა და წელთა ცოდნა, რომლებიც დაადგინა მამამ თვისი ძალმოხილებით.

8. ხოლო თქვენ მიიღებთ ძალას, როცა სული წმიდა გადმოვა თქვენზე, და იქნებით ჩემი მოწმენი იერუსალემში, მთელს იუდეასა და სამარეაში, მიწის კიდემდე.

9. ეს რომ თქვა, მათ თვალწინ ამაღლდა, და ღრუბელმა აიტაცა იგი მათ თვალთაგან.

10. და ვიდრე ისინი ცას შეჰყურებ-

დნენ მისი ამაღლებისას, აჰა, წარუდგა მათ ორი კაცი, თეოფილი სამოსით,

11. რომლებმაც უთხრეს მათ: კაცნო გალილეველნო, რას დამდგარხართ და შეჰყურებთ ცას? ეს იესო, რომელიც თქვენგან ამაღლდა ზეცად, ისევე მოვა, როგორც ზეცად აღმავალი იხილეთ იგი.

12. მაშინ იერუსალემში დაბრუნდნენ მთიდან, რომელსაც ეწოდება ზეთისხილისა, და რომელიც ახლოსაა იერუსალემთან, შაბათის დღის მანძილზე.

13. და შინ შესულნი, ავიდნენ ზემო სენაკში, სადაც იყვნენ პეტრე და იაკობი, იოანე და ანდრია, ფილიპე და თომა, ბართლომე და მათე, იაკობი ალფესი, სიმონ ზელოტე და იუდა იაკობისა.

14. ყველა ესენი გამუდმებით ლოცულობდნენ ერთსულოვნად, ქალებთან და მარიამთან, იესოს დედასა და მის ძმებთან ერთად.

15. და იმ დღეებში დადგა პეტრე მოწაფეთა შორის და თქვა (ხოლო ერთად შეკრებილნი იქნებოდნენ რიცხვით ასოცამდე):

16. კაცნო, ძმანო! უნდა აღსრულებულიყო წერილი, რაც დავითის პირით იწინასწარმეტყველა სულმა წმიდამ იუდასათვის, ვინც წინამძღოლი გაზდა იმათი, რომლებმაც შეიპყრეს იესო.

17. ვინაიდან შერაცხილი იყო ჩვენს შორის, და ერგო წილი ამ მსახურებისა.

18. მაგრამ მან უსამართლობის სასყიდლით იყიდა მიწა, და დაცემული შუაზე გასკდა, და გადმოცვივდა მთელი მისი შიგნეული.

19. და ეს ცნობილი შეიქნა იერუსალემის ყველა მკვიდრისთვის, ასე რომ, ამ მიწას მათ საკუთარ ენაზე ეწოდება აკელდამა, ანუ სისხლის მიწა.

20. ხოლო ფსალმუნთა წიგნში წერია: დე, დარჩეს ოხრად მისი სახლ-კარი, არ იყოს მასში მაცხოვრებელი; და: სხვამ მიიღოს ღირსება მისი.

21. მაშ საჭიროა, რომ ერთი იმ კაცთაგანი, რომელნიც ჩვენთან იყვნენ მთელი იმ ხნის მანძილზე, როცა მოვიდა და წავიდა კიდევ ჩვენგან უფალი იესო,

22. იოანეს ნათლისცემიდან მოყოლებული, ვიდრე იმ დღემდე, როცა ამაღლდა ჩვენგან, — შემოგვიერთდეს და ჩვენთან ერთად იყოს მისი აღდგომის მოწმე.

23. და დააყენეს ორნი: იოსები, რომელსაც ერქვა ბარსაბა, ხოლო შემდეგ ეწოდა იუსტუსი, და მატთია.

24. და ილოცეს და თქვეს: შენ, უფალო, ყველას გულთამხილავო, გვიჩვენე ამ ორთაგან ერთი, რომელიც ამოირჩიე,

25. რათა მიიღოს ეს მსახურება და მოციქულობა, რომელსაც გამოაკლდა იუდა, რათა მისულიყო თავის ადგილას.

26. და უყარეს მათ წილი, და შეხვდა წილი მატთიას, და შეირაცხა თერთმეტ მოციქულს შორის.

თავი მეორე

1. და როცა სრულდებოდა ორმოცდაათობის დღე, ყველანი ერთად იყვნენ ერთ ადგილას.

2. და ანაზღად იგრავინა ზეცით, თითქოს გრიგალი აფუგუნდაო, და აავსო მთელი სახლი, სადაც ისინი იყვნენ.

3. და მოევლინა მათ ალივით გაყოფილი ენები, რომლებიც დაეფინა თვითულ მათგანს.

4. და აღივსნენ ყველანი სულით წმიდით, და სხვადასხვა ენებზე ალაპარაკდნენ, როგორც სული ამეტყველებდა მათ.

5. ხოლო იერუსალემში ჩვენი სწავლადეველნი, ღვთისმოსავლები ჩვენი ხალხისაგან, რომლებიც არიან ცის ქვეშ.

6. და როცა გაისმა ეს ხმა, შემოკრება მთელი ხალხი და შეძრწუნდა; ვინაიდან თვითეული ისმენდა, როგორ მეტყველებდნენ მის საკუთარ ენაზე ისინი.

7. უკვირდა ყველას და განცვიფრებულნი ეუბნებოდნენ ერთმანეთს: განა ყველა ესენი, ვინც ლაპარაკობენ, გალილეველნი არ არიან?

8. როგორღა ვისმენთ სათითაოდ ჩვენს საკუთარ ენას, რომელშიაც დაგვიბადეთ?

9. პართელნი და მიდიელნი, ელამიტები და შუამდინარეთის, იუდეის, კაპადოკიის, პონტოსა და ასიის მკვიდრნი,

10. ფრიგიისა და ბამფილიის, ეგვიპტისა და კირენეს მომიჯნავე ლიბიის მხარის მცხოვრებნი, რომით მოსულნი, იუდეველნი და პროზელიტნი,

11. კრიტელნი და არაბნი ვისმენთ, როგორ ღაღადებენ ისინი ჩვენი ენით ღმრთის სიდიადეს.

12. და უკვირდა ყველას და გაოგნებულნი ეუბნებოდნენ ერთმანეთს: რას მოასწავებს ეს?

13. სხვები კი დასცინოდნენ მათ და ამბობდნენ: მაჭრით გამტყვრალანო.

14. ხოლო პეტრე დადგა თერთმეტთან ერთად, ხმა აიმაღლა და უთხრა მათ: კაცნო იუდეველნო და იერუსალემის ყოველო მკვიდრო! ცხადი იყოს ეს თქვენთვის და ყურად იღეთ ჩემი სიტყვები:

15. ესენი მთვრალეები როდი არიან, როგორც თქვენ ფიქრობთ; ვინაიდან ღმრთის მესამე საათია.

16. არამედ ესაა თქმული იოელ წინასწარმეტყველის მიერ:

17. და იქნება უკანასკნელ დღეებში, — ამბობს ღმერთი, — მოვაფენ ჩემი სულისაგან ყველა ზორცს, და იწინასწარმეტყველებენ ძენი თქვენნი და ასულნი თქვენნი; და კაბუკნი თქვენნი იხილავენ ხილვას, და უხუცესნი თქვენნი ნახავენ სიზმრებს.



18. და მონებს ჩემსას და მხევლებს ჩემსას იმ დღეებში მივაფენ ჩემი სულისაგან, და იწინასწარმეტყველებენ.

19. და მოვაგლენ სასწაულებს მალა — ზეცად, და ნიშებს დაბლა — ქვეყნად, სისხლსა და ცეცხლს, და კვამლის აღმურს.

20. მზე სიბნელედ იქცევა, და მთვარე სისხლად, ვიდრე დადგება დღე უფლისა, დიადი და დიდებულო.

21. და იქნება ასე: ყველა, ვინც მოუხმობს სახელს უფლისას ცხოვნდება.

22. კაცნო ისრაელიტნო, ისმინეთ ეს სიტყვები: იესო ნაზარეველი, კაცი თქვენს მიმართ მოვლინებული ღმრთისაგან ძალით, ნიშებით და სასწაულებით, რომლებიც მის მიერ მოახდინა ღმერთმა თქვენს შორის, როგორც თავადაც უწყით.

23. ეს, ღმერთის განსაზღვრული ზრახვითა და წინასწარცოდნით გაცემული, შეიბყრეთ, უბრკულოთა ხელით მიაღურსმნეთ ჯვარს და მოჰკალით;

24. მაგრამ ღმერთმა აღადგინა იგი, და დახსნა სიკვდილის საღმობანი, ვინაიდან შეუძლებელი იყო სიკვდილს ეძლია იგი.

25. რადგანაც დავითი ამბობს მისთვის: წინასწარ ვკვრეტდი ჩემს წინაშე უფალს ყოველთვის; ვინაიდან ჩემს მარჯვნივაა რათა არ შევდრკე.

26. ამიტომაც გაიხარა გულმა ჩემმა, და იგალობა ენამ ჩემმა; და თვით ჩემი ხორციც დაივანებს სასოებით.

27. რადგანაც არ დაუტევებ ჩემს სულს ჯოჯოხეთს და არ გასწირავ შენს წმიდას ხრწნილების ხილვად.

28. შენ მაუწყე მე გზანი სიცოცხლისანი; აღმაეგებ სიხარულით სახის შენის წინაშე.

29. კაცნო, ძმანო, ნება მიბოძეთ აშკარად გითხრათ თქვენ მამათმთავრის დავითისათვის, რომ აღესრულა და დაიმარხა, და ჩვენს შორისაა მისი საფლავი, ვიდრე დღევანდელ დღემდე.

30. ხოლო რაკი წინასწარმეტყველი იყო და იცოდა, რომ ღმერთმა ფიცით შეჰფიცა, მისი წელის ნაყოფისაგან ხო-

რციელად აღედგინა ქრისტე **მარტინუსი** ვა მის ტახტზე, **ბიზანტიუსი**

31. წინასწარმეტყველმა თქვა ქრისტეს აღდგომისათვის, რომ არ დარჩა მისი სული ჯოჯოხეთში, და არ იხილა მისმა ხორცმა ხრწნილება.

32. ეს იესო აღადგინა ღმერთმა, რისი მოწმენიც ჩვენ ვართ ყველანი.

33. ღმრთის მარჯვენით ამალდა, და რა მიიღო სულის წმიდის აღთქმა, მოჰფინა ის, რასაც აწუხებდა და ისმენთ.

34. რადგანაც დავითი არ ასულა ზეცად, არამედ თვითონ ამბობს: უთხრა უფალმა ჩემს უფალს: დაჯექი ჩემს მარჯვნივ,

35. ვიდრე ფეხქვეშ დაგიმზობ შენს მტრებს.

36. მაშ, მტკიცედ იცოდეს მთელმა სახლმა ისრაელისა, რომ ღმერთმა უფლად და ქრისტედ შექმნა ეს იესო, რომელიც თქვენ ჯვარს აცვით.

37. ეს რომ გაიგონეს, გულის სიღრმემდე შეიძრნენ, და უთხრეს პეტრეს და სხვა მოციქულებს: რა გქნათ კაცნო, ძმანო?

38. ხოლო პეტრემ უთხრა მათ: მოინანიეთ, და თვითეულმა თქვენგანმა ნათელ ილოს უფლის იესო ქრისტეს სახელით ცოდვათა მისატყვებლად, და მიიღებთ სულის წმიდის საბოძვარს.

39. ვინაიდან თქვენია აღთქმა და თქვენი შვილების და ყველა შორებლისა, ვისაც მოუწოდებს უფალი ღმერთი ჩვენი.

40. და მრავალი სხვა სიტყვითაც მოწმობდა, შეაგონებდა მათ და ამბობდა: იხსენით თავი ამ უკეთური მოღმობისგან.

41. და ვინც სიხარულით შეიწყნარა მისი სიტყვა, ნათელ ილო, და შეემატათ იმ დღეს სამიათასამდე სული.

42. და იყვნენ ერთთავად მოციქულთა სწავლასა და ზიარებაში, პუბრის გატეხასა და ლოცვაში.

43. და იყო შიში თვითეულ სულში, და მრავალი ნიშები და სასწაულები იქმნოდა მოციქულთა მიერ.

44. ხოლო ყველა მორწმუნე ერთად

იყო, და ყველაფერი საერთო ჰქონდათ.

45. და ჰყიდიდნენ მონაგებს და ადგილ-მამულოს, და უნაწილებდნენ ყველას, ვისაც რა სჭირდებოდა.

46. ყოველდღე ერთსულოვნად იყვნენ ტაძარში, ტეხდნენ სახლებში პურს, და სიხარულითა და გულის უბრალოებით იღებდნენ საზრდოს.

47. ღმრთის მაქებაბარი და მთელი ხალხის მიერ მადლით მოსილნი, ხოლო უფალი დღითი-დღე ჰმატებდა დახსნილთ ეკლესიას.

თავი მესამე

1. პეტრე და იოანე ერთად აღიოდხენ ტაძარში მეცხრე საათს, რომელიც არის ლოცვის საათი.

2. და იყო ერთი კაცი, დედის მუცლიდანვე დავრდომილი, რომელიც ყოველდღე მოჰყავდათ და სვამდნენ ტაძრის ბჭესთან, რომელსაც ერქვა მშვენიერი, რათა მოწყალება ეთხოვა ტაძარში შემსვლელთათვის.

3. როდესაც პეტრე და იოანე დაინახა, რომლებიც ტაძარში შესვლას აპირებდნენ, მოწყალება სთხოვა მათ.

4. პეტრე, იოანესთან ერთად, დააკვირდა მას და უთხრა: აბა, შემოგვხედე.

5. და მანაც იმედით ახედა მათ, ეგებ რამე მიწყალობონო.

6. მაგრამ პეტრემ უთხრა: ოქრო-ვერცხლი მე არა მაქვს, ხოლო რაცა მაქვს, მოგცემ: იესო ქრისტეს, ნაზარეტელის სახელით, აღდეგ და წადი!

7. ხელი ჩასჭიდა მარჯვენა ხელში და წამოაყენა. და მყისვე გაუმაგრდა მას მუხლები და ტერფები,

8. წამოხტა, დადგა და გაიარ-გამოიარა, და მათთან ერთად შევიდა ტაძარში, მიდიოდა მიხტოდა და აქებდა ღმერთს.

9. და იხილა იგი მთელმა ხალხმა, მიმავალი და ღმრთის მაქებაბარი.

10. და იცნეს, რომ ეს იყო იგი, ვინც მოწყალების სათხოვნად იჯდა ტაძრის

მშვენიერ ბჭესთან; და აღივსნენ შიშითა და განცვიფრებით ამის გამოცხადებას შეემთხვა.

11. და რაკი განკურნებული არ სცილდებოდა პეტრესა და იოანეს, მთელი ხალხი განცვიფრებით გამორბოდა მათკენ, სოლომონის კარიბჭის მიმართ.

12. ეს რომ დაინახა, პეტრემ ხალხს უთხრა: კაცნო ისრაელიტნო, რად გიკვირთ ეს, ან რად გვიყურებთ ისე, თითქოს ჩვენი საკუთარი ძალითა და ღვთისმოსაობით აგვედგმევიწინებინოს მისთვის ფეხი?

13. აბრაამის, ისააკისა და იაკობის ღმერთმა, ჩვენი მამების ღმერთმა განადიდა ძე თვისი იესო, რომელიც თქვენ გაეციოთ და უარყავით პილატეს წინაშე, როცა მან გადაწყვიტა მისი გაშვება.

14. მაგრამ თქვენ უარყავით წმიდა და მართალი, და მოითხოვეთ, რომ კაცისმკვლელი მოეცა თქვენთვის.

15. ხოლო სიცოცხლის წინამძღვარი მოჰკალით, რომელიც ღმერთმა აღადგინა მკვდრეთით, რისი მოწმენიც ჩვენ ვართ.

16. და მისი სახელის რწმენით, ეს, რომელსაც ხედავთ და იცნობთ, განამტკიცა მისმა სახელმა. და მის მიერმა რწმენამ ყველა თქვენთაგანის წინაშე უბოძა მას სიმრთელი.

17. თუმცა აწ ვიცი, ძმანო, რომ უმეცრებით ჰქმენით, ისევე როგორც თქვენმა მთავრებმა.

18. ხოლო ღმერთმა, როგორც იწინასწარმეტყველა ყველა თავისი წინასწარმეტყველის პირით ქრისტეს ვნება, ისე აღასრულა.

19. მაშ, მოინანიეთ და მოიქეცით, რათა წარიხოცოს თქვენი ცოდვები,

20. და მოიწიოს ყამი განსვენებისა უფლის სახისაგან, და მოავლინოს თქვენთვის ნაწინასწარმეტყველები იესო ქრისტე,

21. რომელიც უნდა შეიწყნაროს ზეცამ, ყოვლის კვალად აღდგინების ყამამდე, რასაც უკუნისიდან იტყოდა



ღმერთი ყველა თავისი წმიდა წინასწარმეტყველის პირით.

22. მოსემ თქვა მამების მიმართ: უფალი ღმერთი აღვიდგენთ ჩემნაირ წინასწარმეტყველს თქვენი ძმებიდან; ისმინეთ ყველაფერი, რასაც ის გეტყვით.

23. და იქნება ასე: ყოველი სული, რომელიც არ მოუსმენს იმ წინასწარმეტყველს, ამოიძირკვება ხალხიდან.

24. და ყველა წინასწარმეტყველმა, სამუელიდან მოყოლებული, ვინც კი ილაპარაკა მას შემდეგ, აგრეთვე გვაუწყა ეს დღენი.

25. თქვენა ხართ ძენი წინასწარმეტყველებისა და აღთქმისა, რომელიც ღმერთმა აღუთქვა თქვენს მამებს, როდესაც უთხრა აბრაამს: და შენი თესლით იკურთხება მიწის ყოველი ტომი.

26. თავისი ძე რომ აღადგინა, იესო, ღმერთმა პირველად თქვენ მოგივლინათ იგი თქვენსაგ მკურთხევლად, რათა თვითეული თქვენგანი განერიდებინა მისი ბოროტებისგან.

თავი მეთხუთხე

1. ვიდრე ისინი ესაუბრებოდნენ ხალხს, მიადგნენ მათ მღვდლები, ტაძრის წინამძღვარნი და საღუეველნი,

2. განრისხებულნი იმის გამო, რომ ისინი ასწავლიდნენ ხალხს და აუწყებდნენ იესოს მიერ მკვდრეთით აღდგომას.

3. და დაადეს მათ ხელი და დაცვას გადასცეს მეორე დღემდე; ვინაიდან უკვე საღამო იყო.

4. ხოლო მრავალმა, ვინც ისმინა მათი სიტყვა, ირწმუნა: და იყო რიცხვი მორწმუნეთა ზუთი ათასამდე.

5. მეორე დღეს შეიკრიბნენ მათი მთავარნი, უხუცესნი და მწიგნობარნი იერუსალემს.

6. ანა მღვდელმთავარი, და კაიოფა, იოანე და ალექსანდრე, და ვინც იყვნენ მღვდელმთავართა გვარიდან.

7. დააყენეს ისინი შუაში და ეკით-

ხებოდნენ: რომელი ძალით ან რაგონით სახელით ჰქმენით ეს?

8. მაშინ პეტრე აღივსო სულით წმიდით, და უთხრა მათ: ერისმთავარო და უხუცესნო ისრაელისა,

9. რაკი დღეს პასუხს გვთხოვენ სწული კაცისადმი ქველმოქმედების გამო, რითაც განიკურნა იგი,

10. დე, იცოდეს ყველა თქვენგანმა და ისრაელის მთელმა ხალხმა, რომ იესო ქრისტე ნაზარეტელის სახელით, რომელიც თქვენ ჯვარს აცვით, და რომელიც ღმერთმა აღადგინა მკვდრეთით, მის მიერ დგას იგი მრთელი თქვენს წინაშე.

11. ეს არის ქვა, რომელიც დაიწუნეთ თქვენ, მშენებლებმა, მაგრამ კუთხის თავად დაიდვა.

12. და სხვის მიერ არავისგან არის ხსნა; არც კაცთათვის მოცემული სხვა სახელი არის ცის ქვეშ, ვის მიერაც ვიხსნიდით თავს.

13. ხოლო მათ, ზედადნენ რა პეტრესა და იოანეს სიმტიციეს, და ზვდებოდნენ, რომ უწივანური და უბირი კაცი არიან, უკვირდათ, და თანაც სცნობდნენ, რომ იესოსთან იყვნენ;

14. და ზედადნენ მათთან მდგომარე განკურნებულ კაცს, და არ შეეძლოთ ცილობა.

15. და უბრძანეს მათ გასულიყვნენ სინედრონიდან, ერთმანეთში ბჭობდნენ და ამბობდნენ:

16. რა ვუყოთ ამ ხალხს? ვინაიდან იერუსალემის ყველა მკვიდრისათვის ცხადი შეიქნა, რომ აშკარა სასწაული მოხდა მათ მიერ, და არ შეგვიძლია უარყოფა.

17. მაგრამ რათა უფრო მეტი მითქმა-მოთქმა არ ატყდეს ხალხში, მუქარით ავუკრძალოთ მათ, აღარ ელაპარაკონ ამ სახელით არცერთ კაცთაგანს.

18. და მოიხმეს ისინი, და უბრძანეს მათ, საერთოდ აღარ ელაპარაკათ, არც ესწავლებინათ იესოს სახელით.

19. ხოლო პეტრემ და იოანემ მიუგეს მათ და უთხრეს: განსაჯეთ, მართებულია თუ არა ღმერთის წინაშე, რომ

გარეგნული ბრძოლა

უფრო მეტად თქვენ გისმინოთ, ვიდრე ღმერთს.

20. რადგანაც ჩვენ არ შეგვიძლია არა ვთქვათ ის, რაც გვიხილავს და გვსმენია.

21. ხოლო მათ მუქარით გაუშვეს ისინი, ვინაიდან ხალხის შიშით ვერ შესძლეს მათი დასჯა, რადგანაც ყველა აღიღებდა ღმერთს იმის გამო, რაც მოხდა.

22. ვინაიდან ორმოცზე მეტი წლისა იყო ის კაცი, ვისზედაც მოხდა განკურნების ეს სასწაული.

23. რაკილა გაუშვეს, თავისიანებთან მივიდნენ და უამბეს ყველაფერი, რაც მღვდელმთავრებმა და უხუცესებმა უთხრეს მათ.

24. ეს რომ მოისმინეს, ყველამ ერთხმად შეღაღადა ღმერთს: უფალო ღმერთო, შენა ხარ, რომელმაც შეჰქმნა ცა და მიწა და ზღვა, და ყველაფერი, რაც არის მათში,

25. და რომელმაც ჩვენი მამისა და შენი მონის დავითის პირით თქვი სულის წმიდის მიერ: რატომ აზავთდნენ წარმართნი და ხალხებმა იზრახეს ფუჭი?

26. აღიძრნენ მიწის მეფენი, და მთავარნი შემოკრბნენ უფლისა და მისი ქრისტეს სამტროდ.

27. ვინაიდან ჰეშმარიტად შეიკრიბნენ ამ ქალაქში შენი წმიდა ძის, იესოს, შენს მიერ ცხებულის სამტროდ ჰეროდე და პონტიუს პილატე, წარმართებსა და ისრაელის ხალხთან ერთად;

28. რათა ექმნათ ის, რისი ქმნაც წინასწარ დაადგინა ხელმა შენმა და ზრახვამ შენმა.

29. და აწ, უფალო, დაჰხედე მათ მუქარას და მოეც მონებს შენსას, მთელი სიმტკიცით იქადაგონ შენი სიტყვა,

30. როცა გაიწვდი შენს ხელს განსაკურნავად, და ნიშებისა და სასწაულების ქმნად, შენი წმიდა ძის, იესოს სახელით.

31. და რა ილოცეს, შეიძრა ადგილი, სადაც შეკრებილნი იყვნენ, და ყველანი აღივსნენ სულით წმიდით, და იტ-

ყოდნენ ღმერთის სიტყვას და სიტყვას ვად.

32. ხოლო მორწმუნეთა სიმრავლეს ერთი გული ჰქონდა და ერთი სული; და არავინ იტყოდა საკუთარ ქონებას თავისად, არამედ ყველაფერი საერთო ჰქონდათ.

33. და მოციქულები დიადი ძალით მოწმობდნენ უფლის იესო ქრისტეს აღდგომას, და იყო დიადი მადლი ყველა მათგანზე.

34. არავინ იყო გაჭირვებული მათ შორის, ვინაიდან მიწა-წყლისა თუ სახლების მფლობელნი ყიდიდნენ მათ, და მოჰქონდათ საფასური გაყიდულისა,

35. და მოციქულების ფერხითი დებდნენ მას; და ეძლეოდა თვითეულს, ვის რა სჭირდებოდა.

36. ასე, იოსებმა, მოციქულების მიერ ბარნაბად წოდებულმა (რაც თარგმანით ნიშნავს ნუგეშის ძეს), ლევიტელმა, ტომით კიპროსელმა,

37. რომელსაც ჰქონდა ყანა, გაყიდა ის, მოიტანა საფასური და მოციქულების ფერხითი დადო.

თავი მესამე

1. ხოლო ერთმა კაცმა, სახელად ანანიამ, თავის ცოლთან საფირასთან ერთად გაყიდა ყანა,

2. და ცოლის თანხმობით, დამალა ფასი და მხოლოდ ნაწილი მიიტანა და მოციქულთა ფერხითი დადო.

3. მაგრამ პეტრემ თქვა: ანანია, რატომ აღავსო სატანამ შენი გული, რომ გეცრუა სულის წმიდის მიმართ, და დაგემალა ყანის ფასი?

4. განა შენი არ იყო, სანამდის გქონდა, და რაც გაყიდვით აღე, განა შენვე არ გეპყრა ხელთ? მაშ, რაღად ჩაიდე გულში ეს საქმე? ხალხს კი არ ეცრუე, არამედ ღმერთს.

5. ამ სიტყვის გაგონებისას ანანია დაეცა და სული განუტევა. და თავზარი დაეცა ყველას, ვინც ისმინა ეს.



6. ხოლო წამოდგნენ ჭაბუკნი, შე-
მოსეს იგი, წაიღეს და დამარხეს.

7. სამოდე საათის შემდეგ მოვიდა
მისი ცოლი, რომელმაც არ იცოდა, რა
მოხდა.

8. ჰკითხა მას პეტრემ: მიტხარი, ამ-
დენად გაყიდეთ ყანა? ხოლო მან თქვა:
ღიაზ, მაგდენად.

9. უთხრა მას პეტრემ: ხომ არ შეი-
თქვით, რომ გამოგეცადათ უფლის სუ-
ლი? აჰა, უკვე კარს მოდგნენ შენი
ქმრის მესაფლავენი, და შენც წაგასვენ-
ნებენ.

10. და მყისვე მის ფეხებთან დაეცა
იგი და სული განუტევა. შემოვიდნენ
ჭაბუკები და, მკვდარი რომ ნახეს, წა-
იღეს და ქმრის გვერდით დამარხეს.

11. და თავზარი დაეცა მთელს ეკლე-
სიას და ყველას, ვინც ისმინა ეს.

12. ხოლო მოციქულთა ხელით დიდ-
ძალი ნიშები და სასწაულები ხდებო-
და ხალხში. და ყველანი ერთად იყვნენ
სოლომონის ბჭესთან.

13. და დანარჩენთაგან ვერავინ ბე-
დავდა მათ გაკარებას, ხალხი კი აღი-
დებდა მათ.

14. და სულ უფრო მეტი მორწმუნე
ემატებოდა უფალს, სიმრავლე კაცთა
და ქალთა.

15. ასე რომ, გამოჰყავდათ სნეულნი
ქუჩებში, და საკაცებესა და სარეცე-
ლებზე აწვედნენ, რათა ჩავლილი პე-
ტრეს ჩრდილი მაინც დაჰფენოდა მათ.

16. ახლომანლო ქალაქებიდანაც აწ-
ყდებოდნენ იერუსალემს, და მოჰყავ-
დათ სნეულნი და უწმინდური სულით
შეპყრობილნი, და ყველანი იკურნებო-
დნენ.

17. და ადგა მღვდელმთავარი და
მასთან ერთად ყველა, ვინც ეკუთვნო-
და საღუკეველთა მწვალებლობას, და
აღივსნენ შურით;

18. ხელი დაადეს მოციქულებს, და
ჩაყარეს ისინი საერთო საპყრობილეში.

19. მაგრამ უფლის ანგელოზმა ღა-
მით გააღო საპყრობილის კარი, გამოი-
ყვანა ისინი და უთხრა:

20. წადით, დადექით ტაძარში და

უთხარით ხალხს ყველა სიტყვა
ცოცხლისა.

21. ეს რომ ისმინეს, შევიდნენ დი-
ლით ტაძარში და ასწავლიდნენ. ხოლო
ამასობაში მოვიდნენ მღვდელმთავარი
და მისი თანამდგომნი, და შეკრიბეს სი-
ნედრიონი და ყველა უხუცესი ისრაე-
ლის ძეთაგან, და მოციქულების მოსა-
ყვანად მსახური გაგზავნეს საპყრობი-
ლეში.

22. მაგრამ, როდესაც მივიდნენ, მსა-
ხურებმა ვერ ნახეს ისინი საპყრობილე-
ში, გამობრუნდნენ და ამბავი მოიტა-
ნეს:

23. საპყრობილე საგულდაგულოდ
დახშული დაგვხვდა, ხოლო მცველები
კარის წინ იდგნენ; მაგრამ როდესაც
გავაღეთ, ვერავინ ვნახეთ შიგ.

24. ამ სიტყვების გაგონებისას ტაძ-
რის წინამძღვარი, მცველთა უფროსი
და მღვდელმთავარნი საგონებელში ჩა-
ვარდნენ მათ გამო: ეს რას ნიშნავსო?

25. ვილაცა მოვიდა, ამბავი მოიტანა
და უთხრა მათ: აჰა, კაცნი, რომლებიც
თქვენ საპყრობილეში ჩაყარეთ, ტა-
ძარში დგანან და ხალხს ასწავლიან.

26. მაშინ წავიდა მცველთა უფროსი
მსახურებთან ერთად, და მოიყვანეს
ისინი, მაგრამ ძალა არ უხმარიათ, ვი-
ნაიდან ხალხისა ეშინოდათ, არ ჩაგვქო-
ლონო.

27. ხოლო როდესაც მოიყვანეს, სი-
ნედრიონში დააყენეს ისინი, და
მღვდელმთავარმა ჰკითხა მათ:

28. განა სასტიკად არ ავიკრძალებთ,
რომ აღარ გესწავლებინათ ამ სახელით?
და აჰა, თქვენი მოძღვრებით ავივსიათ
იერუსალემი და გინდათ ჩვენზე მოი-
წიოს იმ კაცის სისხლი.

29. ხოლო პეტრემ და მოციქულე-
ბმა პასუხად თქვეს: მორჩილება
ღმერთის მიმართ უფრო გვმართებს, ვი-
ღრე კაცთა მიმართ.

30. ჩვენი მამების ღმერთმა აღადგინა
იესო, რომელიც თქვენ მოჰკალით და
ძელზე დაჰკიდეთ.

31. თავისი მარჯვენით წინამძღვრად
და მაცხოვრად აღამალა იგი ღმერთ-

მა, რათა მისცეს ისრაელს სინანული და ცოდვათა მიტევება.

22. ჩვენა ვართ ამ სიტყვების მოწმენი, ჩვენ და სული წმიდა, რომელიც მისცა ღმერთმა თავის მორჩილთ.

33. ზოლო ისინი, ამ სიტყვების გაგონებისას, გულზე სკდებოდნენ და უნდოდნენ მათი მოკვლა.

34. მაგრამ წამოდგა სინედრიონში ერთი ფარისეველი, სახელად გამალიელი, რჯულის მოძღვარი, მთელი ხალხის მიერ პატივცემული, და ბრძანა, მცირე ხნით გაეყვანათ მოციქულები,

35. და უთხრა მათ: კაცნო ისრაელიტნო, უფრთხილდით თქვენს თავს, და დაუფიქრდით, რას უპირებთ ამ ხალხს.

36. ვინაიდან ამ დღეთა უწინარეს აღდგა თევდა, რომელსაც დიდ ვინმედ მოჰქონდა თავი, და გაჰყვა მას ოთხასამდე კაცი, მაგრამ მოკლულ იქნა, და მისი მიმდევრები გაიფანტნენ და არარად იქცნენ.

37. შემდგომ ამისა, აღდგა იუდა გალილეელი, აღწერის დღეებში, და დიდძალი ხალხიც გაიყოლია; მაგრამ დაიღუპა, და გაიფანტნენ მისი მიმდევრებიც.

38. და ახლა გეუბნებით თქვენ: დაეხსენით ამ ხალხს, და გაუშვით ისინი, რადგანაც, თუ ეს განზრახვა, გინდა საქმე, კაცთაგან არის, ჩაიშლება;

39. ზოლო თუ ღმრთისაგან არის, ვერ შესძლებთ მის ჩაშლას; მაშ, გაფრთხილდით, ღმრთისმბრძოლებად არ შეირაცხით.

40. და დაუჯერეს მას; მოუხმეს მოციქულებს, ჰგვემეს, იესოს სახელით ლაპარაკი აუკრძალეს და გაუშვეს ისინი.

41. ზოლო ისინი გამოვიდნენ სინედრიონიდან და უხაროდნენ, რომ იესოს სახელისათვის შეურაცხყოფის ღირსნი შეიქმნენ.

42. და ყოველდღე, ტაძარსა თუ სახლებში, დაუცხრომლად ასწავლიდნენ და ახარებდნენ იესო ქრისტეს.

1. ზოლო იმ დღეებში, როცა იზრდებოდა მოწაფეთა რიცხვი, ელინისტებს შორის დაიწყო დრტეინვა ებრაელთა წინააღმდეგ, იმის გამო, რომ მათი ქვრივი ქალები უგულვებელყოფილნი იყვნენ ყოველდღიური მსახურებისას.

2. მაშინ თორმეტმა მოციქულმა მოუწოდა მოწაფეთა სიმრავლეს, და თქვეს: არ შეგვეფერის ზურგი ვაქციოთ ღმერთის სიტყვას და ვემსახუროთ ტაბლებს.

3. მაშ, აირჩიეთ ძმანო, თქვენს შორის პატიოსნებით ცნობილი, სულით წმიდითა და სიბრძნით აღსავსე შვიდი კაცი, და მათ მივანდოთ ეს მსახურება.

4. ზოლო ჩვენ ლოცვასა და სიტყვის მსახურებას მივუძღვნათ თავი.

5. მოეწონა ეს სიტყვა მთელ კრებულს, და აირჩიეს სტეფანე, სარწმუნოებითა და სულით წმიდით აღსავსე კაცი, ფილიპე და პროხორე, ნიკანორე და ტიმონი, პარმენი და ნიკოლაოსი, ანტიოქელი პროზელიტი.

6. რომლებიც წარადგინეს მოციქულთა წინაშე; და ილოცეს და ხელნი დაადეს მათ.

7. და იზრდებოდა ღმრთის სიტყვა, და უჩვეულოდ მრავლდებოდა მოწაფეთა რიცხვი იერუსალემს; და მღვდელთაგანაც მრავალი დაემორჩილა რწმენას.

8. ზოლო სტეფანე, რწმენითა და მადლით აღვსილი, დიად ნიშებსა და სასწაულებს აზდენდა ხალხში.

9. და აღდგნენ ზოგიერთნი ეგრეთწოდებულ ლიბერტინთა, კირენელთა და ალექსანდრიელთა სინაგოგიდან, აგრეთვე კილიკიელთა და ასიელთაგან. და დავა დაუწყეს სტეფანეს,

10. მაგრამ ვერ შესძლეს წინ აღდგომოდნენ სიბრძნეს და სულს, რომლითაც ლაპარაკობდა იგი.

11. მაშინ წააქეზეს რამდენიმე კაცი, რათა ეთქვათ: ჩვენ გვსმენია, როგორ გამობდა იგი მოსეს და ღმერთს.

12. და აღძრეს ხალხი და უხუცესნი და მწიგნობარნი; თავს დაესხნენ, მოიტაცეს და სინედრიონში მიიყვანეს.

13. წარმოადგინეს ცრუ მოწმენი, რომლებმაც თქვეს: ეს კაცი ერთთავად ამ წმინდა ადგილისა და რჯულის ძვირს ამბობს.

14. რადგანაც მაგისაგან გაგვიგოხია, რომ იესო ნაზარეველი დაანგრევს ამ ადგილს და შეცვლის ჩვეულებებს, რომლებიც მოსემ გადმოგვცა ჩვენ.

15. და ყველა, ვინც იჯდა სინედრიონში, უყურებდა მას, და ჩედავდნენ მის სახეს, როგორც სახეს ანგელოზისას.

თავი მეხვამდე

1. მაშინ მღვდელმთავარმა თქვა: ნუთუ ასეა ეს?

2. ხოლო მან თქვა: კაცნო, ძმანო და მამანო, ისმინეთ ჩემი! ღმერთი დიდებისა ეჩვენა მამას ჩვენსას აბრაამს, შუამდინარეთში მყოფს, ხარანში მის დასახლებამდე.

3. და უთხრა მას: გამოდი შენი ქვეყნიდან და შენი სანათესაოდან, და მიდი ქვეყნად, რომელსაც გიჩვენებ შენ.

4. მაშინ გამოვიდა ქალდეველთა ქვეყნიდან და ხარანს დასახლდა. და მამამისის სიკვდილის შემდეგ ღმერთმა გადმოასახლა იგი ამ ქვეყნად, სადაც ამჟამად თქვენ სახლობთ.

5. და ტერფის ოდენა მიწაც კი არ მისცა იქ სამკვიდროდ, მაგრამ აღუთქვა, რომ სამკვიდრებლად მისცემდა მასაც და მის თესლსაც მის შემდეგ, თუცა ჭერ კიდევ არ ჰყავდა შვილი.

6. და უთხრა მას ღმერთმა, რომ მისი თესლი ზიზნად იქნებოდა უცხო ქვეყანაში, დამონებული და დაბეჩავებული ოთხას წელიწადს.

7. მაგრამ მე განვსჯი იმ ხალხს, რომელიც მას დაიმონებს, თქვა უფალმა; და შემდგომ ამისა გამოვა და ამ ქვეყანაში შემსახურება მე.

8. და მისცა მას წინადაცვეთის აღთქმა; და შეეძინა ისააკი და წინადაცვეთა მერვე დღეს; და ისააკმა იაკობს, და იაკობმა თორმეტ მამათმთავარს.

9. ხოლო მამათმთავრებს შურდათ იოსებისა და ეგვიპტეში გაყიდეს იგი; მაგრამ ღმერთი იყო მასთან,

10. და განარიდა იგი ყველა გასაკირს, და მისცა მას მადლი და სიბრძნე ფარაონის, ეგვიპტელთა მეფის წინაშე, რომელმაც ეგვიპტისა და მთელი თავისი სახლის მთავრად დაადგინა იგი.

11. და ჩამოვარდა შიმშილობა და დიდი გაჭირვება ეგვიპტისა და ქანაანის მთელს ქვეყანაში; და ველარ შოულობდნენ საზრდოს ჩვენი მამები.

12. ხოლო იაკობმა გაიგო, რომ ეგვიპტეში არის პური, და გაგზავნა პირველად ჩვენი მამები.

13. მეორედ კი გამოეცნაურა იოსები თავის ძმებს, და გაიცნო ფარაონმა იოსების გვარი.

14. და გაგზავნა იოსებმა ხალხი, და მოიხმო მამამისი იაკობი, და მთელი თავისი საგვარეულო, სამოცდახუთმეტი სული.

15. და ჩავიდა იაკობი ეგვიპტეში, და აღესრულა თავადაც და ჩვენი მამებიც.

16. და გადმოასვენეს სიქემს, და დაკრძალეს საფლავში, რომელიც ვერცხლის ფასად ეყიდა აბრაამს ემორ სიქემელის ძეთაგან.

17. და როდესაც მოახლოვდა ეჰი აღთქმის აღსრულებისა, რომლისთვისაც შეჰფიცა ღმერთმა აბრაამს, გამრავლდა და გაძლიერდა ხალხი ეგვიპტეში.

18. იმ დრომდე, როცა აღდგა სხვა მეფე, რომელიც არ სცნობდა იოსებს.

19. ეს მზაკვრობდა ჩვენი მოდგმის მიმართ, ავიწროებდა ჩვენს მამებს და აიძულებდა მათ, გადაეყარათ თავიანთი ახალშობილნი, რომ არ ეცოცხლათ.

20. ამ დროს დაიბადა მოსე, და უყვარდა ღმერთს, და სამი თვე იზრდებოდა მამამისის სახლში.

21. ხოლო როდესაც გადაადგდეს, აიყვანა იგი ფარაონის ასულმა და შვილივით აღზარდა იგი.

22. და განისწავლა მოსე ეგვიპტელთა მთელი სიბრძნით; და იყო ძლიერი სიტყვით და საქმით.

23. ხოლო როდესაც ორმოცი წლისა შესრულდა, თავისი ძმების, ისრაელის ძეთა სანაზავად გაუწია გულმა.

24. და იხილა ერთი მათგანი შეურაცხყოფილი, გამოესარჩლა და შური იძია შეურაცხყოფილისათვის, და მოკლა ეგვიპტელი.

25. ეგონა გაუგებდნენ ძმები, რომ ღმერთი მისი ხელით იხსნიდა მათ; მაგრამ ვერ გაუგეს.

26. მეორე დღეს კი გამოჩნდა მათ შორის, როცა ისინი ჩხუბობდნენ, ზავისკენ მოუწოდა და უთხრა მათ: კაცნო, ძმები ხართ; რატომ შეურაცხყოფთ ერთმანეთს?

27. მაგრამ მოყვასის შეურაცხყოფელმა ხელი ჰკრა მას და თქვა: ვინ დაგაყენა შენ ჩვენს მთავრად და მსაჯულად?

28. იქნებ ჩემი მოკვლაც გწადია, როგორც მოკალი გუშინ ეგვიპტელი?

29. ამ სიტყვების გაგონებისას გაიქცა მოსე და მადიამის მხარეში გადაიხვეწა. სადაც შეეძინა ორი ძე.

30. და ორმოცი წლის გასრულებისას, სინას მთის უდაბნოში ეჩვენა მას ანგელოზი უფლისა, ცეცხლმოდებული მაცულოვანის ალში.

31. ხოლო ხილვისას განაცვიფრა მოსე ხილვამ; და როცა სამზერად მიუახლოვდა, იყო ზმა უფლისა მის მიმართ:

32. მე ვარ ღმერთი შენი მამებისა, ღმერთი აბრაამისა და ღმერთი ისააკისა და ღმერთი იაკობისა. შიშით აცახცახებულმა მოსემ ველარ გაბედა შეხედვა.

33. უთხრა მას უფალმა: გაიძრე ხმლები ფეხთაგან; ვინაიდან ეგ ადგილი, სადაცა დგახარ, წმიდა მიწაა.

34. ხილვით ვიხილე გაჭირვება ჩემი ხალხისა. რომელიც არის ეგვიპტეში,

და გავიგონე მისი გმინა და ჩხინკა მის დასახსნელად; და აწ წადი, ეგვიპტეში წარგზავნი შენ.

35. ეს მოსე, რომელიც უარყვეს და თქვეს: ვინ დაგაყენა შენ ჩვენს მთავრად და მსაჯულად? სწორედ ეს წარგზავნა ღმერთმა მთავრად და მხსნელად ანგელოზთა ხელით, რომელიც ეჩვენა მას მაცულოვანში.

36. მან გამოიყენა ისინი, და ქმნა სასწაულები და ნიშები ეგვიპტის ქვეყანაში და მეწამულ ზღვაზე და უდაბნოში ორმოცი წლის მანძილზე.

37. ეს არის მოსე, რომელმაც უთხრა ისრაელის ძეთ: უფალი ღმერთი თქვენს ძმათაგან აღგიდგენთ ჩემნაირ წინასწარმეტყველს; მისი ისმინეთ.

38. ეს არის, რომელიც იყო უდაბნოს საკრებულოში, სინას მთაზე მასთან მოსაუბრე ანგელოზსა და ჩვენს მამებთან ერთად; რომელმაც მიიღო სიტყვანი სიკოცხლისა, რათა მოეცა ჩვენთვის;

39. რომლის მორჩილებაც არ ისურვეს ჩვენმა მამებმა, არამედ განიშორეს და ეგვიპტისკენ მიიქცნენ თავიანთი გულით;

40. და უთხრეს აარონს: შეგვიქმენი ჩვენ ღმერთები, რომლებიც გვიწინამძღვრებენ ჩვენ; ვინაიდან არ ვიცით, რა შეემთხვა ამ მოსეს, რომელმაც გამოგვიყვანა ეგვიპტის ქვეყნით.

41. და შექმნეს იმ დღეებში ხბო, და მსხვერპლი შესწირეს კერპს, და ხარობდნენ მათივე ხელით ქმნილის წინაშე.

42. და მიიქცა ღმერთი და მისცა მათ მსახურება ციური ლაშქრისა, როგორც დაწერილია წინასწარმეტყველთა წიგნში: განა მოგქონდათ ჩემთვის საკლავნი და მსხვერპლნი ორმოცი წლის მანძილზე უდაბნოში, ისრაელის სახლო?

43. და მიიღეთ მოლოქის კარავი, და ვარსკვლავი თქვენი ღმერთის რემფანისა, ხატებანი, რომელნიც შექმენით, რათა თაყვანი გეცათ მათთვის; ამიტომაც გადაგასახლებთ ბაბილონის გადაღმა.

44. კარავი მოწმობისა ჩვენს მამებთან იყო უდაბნოში, როგორც უბრძანა

11. ხოლო იმიტომ უსმენდნენ მას, რომ დიდიხანია აცვიფრებდა მათ გრძნეულებით.

12. მაგრამ როდესაც ერწმუნენ ფილიპეს, ღმერთის სასუფეველისა და იესო ქრისტეს სახელის მახარებელს, ნათელს იღებდნენ კაცნი და ქაღნი.

13. და თვით სიმონმა ირწმუნა, ნათელ იღო, და გვერდიდან არ შორდებოდა ფილიპეს: და, დიდ ძალთა და სასწაულთა მხილველს, უკვირდა.

14. გაიგეს იერუსალემში დარჩენილმა მოციქულებმა, რომ სამარიამ მიიღო ღმერთის სიტყვა, და წარგზავნეს მათთან პეტრე და იოანე.

15. რომლებმაც მისვლისას ილოცეს მათთვის, რათა მიეღოთ სული წმიდა.

16. ვინაიდან ჯერ კიდევ არ გადმოსულიყო არცერთ მათგანზე, არამედ მხოლოდ ნათელღებულნი იყვნენ უფლის იესოს სახელით.

17. მაშინ დაადეს მათ ხელნი, და მიიღეს სული წმიდა.

18. ხოლო როდესაც იხილა სიმონმა, რომ მოციქულთა ხელდასხმით ეძლევათ სული წმიდა, მიუტანა მათ ფული.

19. და თქვა: მეც მომეცით ეს ძალა, რათა მან, ვისაც დავადებ ხელთ, მიიღოს სული წმიდა.

20. ხოლო პეტრემ მიუგო მას: ეგ შენი ვერცხლი შენთანვე იყოს წარსაწყმედლად, ვინაიდან განიზრახე ფულით გეყიდა ღმერთის ნიჭი.

21. არა გაქვს წილი და არც ზვედრი შენ ამ სიტყვაში; ვინაიდან შენი გული არაწრფელია ღმერთის წინაშე.

22. მაშ, შეინანე ეგ შენი უკეთურება, და ევედრე ღმერთს, ეგება მოგიტევოს შენი გულისთქმა.

23. რადგანაც გხედავ შენ ნაღვლის სიმწრით აღვსილსა და უსამართლობით შეკრულს.

24. მიუგო სიმონმა და თქვა: თქვენც შევედრეთ ჩემთვის უფალს რათა თქვენი ნათქვამიდან არა მოიწიოს რა ჩემზე.

25. ხოლო ისინი, მას შემდეგ, რაც

იმოწმეს და იქადაგეს უფლის სიტყვა, უკანვე მიიქცნენ იერუსალემს, და სამარიის მრავალ სოფელში იქადაგეს სახარება.

26. ფილიპეს კი უფლის ანგელოზმა უთხრა: ადექი და შუადღისას გადი იერუსალემიდან ღაზას მიმავალ გზაზე, რომელიც არის უდაბური.

27. ისიც ადგა და წავიდა. და აჰა, ეთიოპელი კაცი, საჭურისი, ეთიოპიის დედოფლის კანდაკეს დიდებული და მთელი მისი საუნჯის მცველი, რომელიც თაყვანისცემად მოსულიყო იერუსალემს.

28. უკანვე ბრუნდებოდა, და თავის ეტლში მჯდარი, კითხულობდა ესაია წინასწარმეტყველს.

29. და უთხრა სულმა ფილიპეს: მიდი და მიეგებე ამ ეტლს.

30. მივიდა ფილიპე, და როცა გაიგონა, რომ კითხულობდა ესაია წინასწარმეტყველს, უთხრა: გესმის კია, რასაც კითხულობ?

31. ხოლო მან თქვა: როგორ გავიგებ, თუკი არავინ დამარიგებს? და სთხოვა ფილიპეს, ასულიყო და დაძვდარიყო მასთან.

32. ხოლო ადგილი წერილისა, რომელსაც კითხულობდა, შემდეგი იყო: ცხვარივით მიიყვანეს დასაკლავად, და როგორც კრავი უხმოდაა მისი მპარსველის წინაშე, ისე თვითონაც არა ხსნის ბაგეს.

33. მისი სიმდაბლის გამო წაერთვა მსჯავრი, მაგრამ თესლ-ტომს მისას ვინ განგვიმართავს? ვინაიდან მიწიდან აღიზოცა სიცოცხლე მისი.

34. მიუგო საჭურისმა და უთხრა ფილიპეს: გემუდარები, ვისთვის იტყვის წინასწარმეტყველი ამას: თავისი თავისა, თუ სხვა ვინმესთვის?

35. ფილიპემ გახსნა ბაგენი, და, ამ წერილიდან მოყოლებული, ახარებდა მას იესოს.

36. ამასობაში მგზავრები მიადგნენ წყალს, და, თქვა საჭურისმა: აჰა, წყალიც; რა მიშლის ხელს, რომ ნათელ ვილო?

37. მიუგო მას ფილიპემ: თუ გწამს მთელი გულით, შეიძლება. ხოლო მან თქვა: მწამს, რომ იესო ქრისტე ძეა ღმრთისა.

38. და ბრძანა გაეჩერებინათ ეტლი; და ორივენი ჩავიდნენ წყალში, ფილიპეც და საჭუროსიც; და ნათელი სცა მას.

39. ხოლო როდესაც ამოვიდნენ წყლიდან, წარიტაცა ფილიპე სულმა უფლისა, და ველარ იხილა იგი საჭურისმა, და თავის ვზას გაუდგა სიზარულით.

40. ხოლო ფილიპე აღმოჩნდა აზოტში; მიდიოდა და აზარებდა ყველა ქალაქს, ვიდრე მივიდოდა კესარიასში.

თავი მცხრა

1. ხოლო სავლე, რომელიც კვლავ მძინვარებდა და სიკვდილს უქადა უფლის მოწაფეთ, მივიდა მღვდელმთავართან,

2. და გამოსთხოვა ეპისტოლენი დამასკოს სინაგოგების მიმართ, რათა თუ ვინმეს ჰპოვებდა ამ მოძღვრების მიმდევარს, კაცსა თუ ქალს, შეკრული მიეყვანა იერუსალემს,

3. და როცა გზად მიმავალი მიუახლოვდა დამასკოს, ანაზდეულად მოიცვა იგი ნათელმა ზეცით,

4. და დაეცა მიწაზე, და მოესმა ხმა, რომელმაც უთხრა: საულ, საულ, რად მღევნი მე?

5. და თქვა: ვინა ხარ შენ, უფალო? ხოლო უფალმა თქვა: მე ვარ იესო, რომელსაც შენ სღევნი. გაგიჭირდება წიხლვა დეზისა.

6. და მან, ათრთოლებულმა და შეძრწუნებულმა, თქვა: რის ქმნას მიბრძანებ, უფალო? და უთხრა მას უფალმა: ადექი და შედი ქალაქში, და იქ გაიგებ, რისი ქმნაც გმართებს.

7. ხოლო მისი მწლებლები გაოგნებულნი იდგნენ; ხმა კი ესმოდათ, მაგრამ ვერავის ზედავდნენ.

8. წამოდგა სავლე მიწიდან; თვალეზი გახელილი ჰქონდა, მაგრამ ვერას

ზედავდა; და ჩაჰკიდეს ხელი ზედავანეს დამასკოში.

9. და სამი დღე ვერას ზედავდა; არც ჰამდა და არც სვამდა.

10. ხოლო დამასკოში იყო ერთი მოწაფე, სახელად ანანია; და უთხრა მას უფალმა ჩვენებით: ანანია! და მან თქვა: აქა ვარ, უფალო.

11. უთხრა მას უფალმა: ადექი და მიდი ქუჩაზე, რომელსაც ჰქვია სწორი, და იკითხე იუდას სახლში ტარსოსელი კაცი, სახელად სავლე, ვინაიდან, აჰა, ლოცულობს.

12. და მან ხილვით იხილა კაცი, სახელად ანანია, რომელიც შევიდა და ხელი დაადო, რათა კვლავ აჰხელოდა თვალი.

13. მიუგო ანანიამ: უფალო, ბევრისაგან მსმენია ამ კაცზე, რამდენი ბოროტი შეამთხვია შენს წმიდანებს იერუსალემში.

14. აქაც მღვდელმთავართაგან გამოუთხოვია უფლება, რათა შეკრას ყველა, ვინც უხმობს შენს სახელს.

15. უთხრა მას უფალმა: მიდი, რადგან რჩეულ ჰურჭლად მიცვნია იგი, რათა ატაროს ჩემი სახელი ზალბთა, მეფეთა და ისრაელის ძეთა წინაშე.

16. და მე ვუჩვენებ მას, რამდენ ვნებას დაითმენს ჩემი სახელისათვის.

17. წავიდა ანანია და შევიდა სახლში, ხელი დაადო და უთხრა მას: საულ, ძმაო, უფალმა გამოგზავნა მე, იესომ, რომელიც გეჩვენა გზაზე, რომლითაც მოდიოდი, რათა აგებოდა თვალი და აღივსო სულით წმიდით.

18. მყისვე გამოუფარდა თვალთაგან რალაც, ქერცლის მსგავსი, და მაშინვე აებოდა თვალი, და ადგა და ნათელ ილო.

19. და მიიღო საზრდო და მომაგრდა. და იყო სავლე რამდენიმე დღეს მოწაფეებთან დამასკოში.

20. და მაშინვე სინაგოგებში იქადაგა ქრისტე, რომ ის არის ძე ღმრთისა.

21. და უკვირდა ყველა მსმენელს და ამბობდა: განა ეს არ არის, იერუსალემში რომ მუსრავდა ამ სახელის მხმობელთა? აქაც ზომ იმისთვის მოვიდა,

რომ შეეკრა და მღვდელმთავართათვის მიეგვარა ისინი?

22. ხოლო სავლე უფრო მტკიცდებოდა, და საგონებელში ავლებდა დამასკოში მცხოვრებ იუდეველებს, რადგანაც აცხადებდა, რომ ეს არის ქრისტე.

23. და როცა განვლო საქმად დრომ, იუდეველებმა განიზრახეს მოეკლათ იგი.

24. მაგრამ სავლემ გაიგო მათი განზრახვა, ვინაიდან დღე და ღამ კართან უღარაჯებდნენ მოსაკლავად.

25. ხოლო მოწაფეებმა ღამით აიყვანეს იგი, და გოდრით ჩამოუშვეს ვალავნიდან.

26. მივიდა სავლე იერუსალემში, და ცდილობდა შეერთებოდა მოწაფეებს; მაგრამ ყველას ეშინოდა მისი, ვინაიდან არ სჯეროდათ, რომ ის არის მოწაფე.

27. ხოლო ბარნაბამ წაიყვანა იგი, მიჰგვარა მოციქულებს და უთხრა მათ, როგორ იხილა გზაზე უფალი, რა უთხრა უფალმა, და რა თამამად ქადაგებდა დამასკოში იესოს სახელით.

28. და იყო მათთან იერუსალემში, მიდი-მოდოდა და თამამად ქადაგებდა უფლის იესო ქრისტეს სახელით.

29. ლაპარაკობდა და ებაექრებოდა ელინისტებს; ხოლო ისინი ცდილობდნენ მოეკლათ იგი.

30. ეს რომ გაიგეს, ძმებმა კესარეას წაიყვანეს, და წარგზავნეს იგი ტარსოსს.

31. ხოლო ეკლესიებს მთელს იუდეაში და გალილეასსა და სამარიაში მშვიდობა ჰქონდათ, შენდებოდნენ და უფლის შიშით წარემართებოდნენ, და მრავლდებოდნენ სულით წმიდით ნუგეშეშულნი.

32. და მოხდა ისე, რომ, ყოველი მათგანის მოხილვისას, მივიდა პეტრე წმინდანებთანაც, რომლებიც ცხოვრობდნენ ლიდაში.

33. და ნახა იქ ერთი დამბლადაცემული კაცი, სახელად ენეასი, რომელიც

უკვე რვა წელია ლოგინდ ჩავლობდნენ იყო.

34. და უთხრა მას პეტრემ: ენეას, იესო ქრისტე განგკურნავს შენ! აღდგე და თავად გაასწორე შენი საწოლი. და მყისვე აღდგა.

35. და იხილა იგი ლიდისა და სარონის ყველა მკვიდრმა, რომლებიც მოიქცნენ უფლის მიმართ.

36. ხოლო იოპეში იყო ერთი მოწაფე ქალი, სახელად ტაბითა, რაც თარგმანით ნიშნავს ქურციკს; სავსე იყო ქველმოქმედებით და მოწყალებით, რასაც იქმოდა.

37. და მოხდა ისე, რომ იმ დღეებში დასწეულდა და მოკვდა; განბანეს იგი და ქორედში დაასვენეს.

38. და რაკი იოპე ლიდასთან ახლოსაა, მოწაფეებმა გაიგეს, პეტრე იქ არისო, და გაგზავნეს მასთან ორი კაცი, რათა ეთხოვათ დაუყოვნებლივ მოსულიყო მათთან.

39. ადგა პეტრე და გაჰყვა მათ; და როცა მივიდა, აიყვანეს იგი ქორედში; და შემოეხვივნენ ქვრივი ქალები, რომლებიც ტიროდნენ და უჩვენებდნენ მოსასხამებსა და სამოსლებს, რომლებსაც ქსოვდა ქურციკი, როდესაც მათთან იყო.

40. ხოლო პეტრემ გარეთ გაიყვანა ყველა, მუხლი მოიყარა და ილოცა, მიბრუნდა და თქვა: ტაბითა, აღდგე! მანაც გაახილა თვალი, და პეტრე რომ დაინახა, წამოჯდა.

41. ხოლო პეტრემ ხელი გაუწოდა და წამოაყენა, მოუწმო წმიდანებსა და ქვრივებს, და წარუდგინა იგი ცოცხალი.

42. ეს ამბავი მთელს იოპეს მოედო; და ბევრმა იწამა უფალი.

43. და დიდხანს დარჩა იოპეს, ვინმე სიმონ დაბაღის სახლში.

თავი მათი

1. კესარეაში იყო ერთი კაცი, სახელად კორნელიუსი, ეგრეთწოდებულ იტალიური კოჰორტის ასისტავი.



2. მორწმუნე და ღვთისმოსში მთელი თავისი საბლევლოთ, ხალხის მიმართ მრავალმოწყალე და მუდამ ღმერთის მიმართ მლოცველი.

3. და მან ცხადად იხილა ხილვით, ასე, ღღის ცხრა საათზე, რომ შევიდა მასთან ანგელოზი უფლისა, და უთხრა: კორნელიუს!

4. ხოლო მან შეხედა ანგელოზს და თავზარდაცემულმა თქვა: რა გნებავს, უფალო? და მან მიუგო: შენი ლოცვანი და შენი წყალობანი ავიდნენ მოსახსენებლად ღმერთის წინაშე.

5. აწ გაგზავნე კაცნი იოპეს, და მოუხმე სიმონს, რომელსაც ჰქვია პეტრე.

6. ის სტუმრადაა ვინმე სიმონ დაბალისას, ღისი სახლიც ზღვის პირას დგას. ის გეტყვის, რისი ქმნაც გძარტებს.

7. და როცა გაუჩინარდა ანგელოზი, რომელიც ელაპარაკებოდა კორნელიუსს, მოუხმო მან თავის ორ მსახურს და ღვთისმოსავ მეომარს, თავისსავე ზელქვეითთაგანს,

8. ყველაფერი უამბო მათ, და იოპეს გაგზავნა ისინი.

9. ხოლო მეორე დღეს, როცა გზად მიმავალნი მიუახლოვდნენ ქალაქს, პეტრე, — იქნებოდა ასე ექვსი საათი, — ერდოზე ავიდა სალოცავად.

10. მოშივდა და ჭამა მოუნდა; და სანამ რამეს მოუძახდებდნენ, ექსტაზმა შეიპყრო იგი.

11. და იხილა გახსნილი ცა, და მისკენ ჩამომავალი ჭურჭელი, დიდი ტილოს მსგავსი, ოთხივე წვერით გაშოკრული და მიწაზე ჩამოშვებული,

12. რომელშიაც იყო ქვეყნად მცხოვრები ყოველგვარი ოთხფეხი, მხეცები, ქვეწარმავლები და ცის ფრინველები.

13. და იყო ზმა მის მიმართ: ადგიქი, პეტრე, დაკალი და ჭამე.

14. ხოლო პეტრემ თქვა: არამც და არამც, უფალო, ვინაიდან რაიმე ბილწი ან უწმინდური არასოდეს ჩამსვლია პირში.

15. და კვლავ იყო მის მიმართ ხმა:

რაც წმიდა ყო ღმერთმა, შენ ჩუმი შენე უწმინდურად.

16. ასე განმეორდა სამჯერ; და კვლავ ამაღლდა ჭურჭელი ზეცად.

17. და ვიდრე პეტრე განცვიფრებული ფიქრობდა, თუ რას მოასწავებდა ეს ხილვა, რომელიც იხილა, — აჰა, კორელიუსის მიერ გამოგზავნილმა კაცებმა სიმონის სახლი იკითხეს და ჭიშკართან შედგნენ.

18. დაიძახეს და იკითხეს: აქ ხომ არ არის სიმონი, რომელსაც ჰქვია პეტრე?

19. და სანამ პეტრე ხილვაზე ფიქრობდა, უთხრა მას სულმა: აჰა, სამი კაცი დაგეძებს შენ.

20. მაშ, ადგიქი, ძირს ჩადი და მიდი მათთან; და ნურას ეტვობ, ვინაიდან მე გამოგზავნე ისინი.

21. ჩავიდა პეტრე ამ კაცებთან და უთხრა მათ: აჰა, მე ვარ, ვისაც თქვენ ეძებთ; რისთვის მოსულხართ?

22. ხოლო მათ თქვეს: ასისთავმა კორნელიუსმა, მართალმა, ღმრთის მოშივმა და მთელი იუდეველი ხალხის მიერ პატივცემულმა კაცმა, წმიდა ანგელოზისაგან მიიღო ბრძანება, თავის სახლში მიგიწვიოს და მოისმინოს შენი სიტყვები.

23. მაშინ შეიპატიჟა და ისტუმრა ისინი. მეორე დღეს კი ადგა და მათ გაჰყვა, და ზოგიერთი იოპელი ძმათაგანიც ეახლა მას.

24. და მეორე დღეს მივიდნენ კესარეას; ხოლო კორნელიუსი ელოდა მათ, და მოეწვია თავისი ნათესავები და ახლო მეგობრები.

25. პეტრეს შესვლისთანავე შეეგება მას კორნელიუსი, ფეხებში ჩაუვარდა და თაყვანი სცა.

26. ხოლო პეტრემ წამოაყენა და უთხრა მას: ადგიქი; მე თვითონაც კაცი ვარ.

27. და მასთან საუბრით შევიდა სახლში, სადაც დახვდა ბევრი წვეული;

28. და უთხრა მათ: თქვენ იცით, რომ იუდეველს ეკრძალება უცხოელთან ურთიერთობა და დაახლოება, მა-

ქაქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

გრამ მე ღმერთმა მიჩვენა, არცერთ კაცთაგანს არა ვთვლიდე ბილწად ან არაწმიდად.

29. ამიტომაც უყოყმანოდ მოვედი, როგორც მიხმეთ. ახლა გეკითხებით, რისთვის მიხმეთ?

30. და თქვა კორნელიუსმა: ოთხი დღის წინ, ვმარხულობდი ამ საათაძდე, და მეცხრე საათს ვლოცულობდი ჩემს სახლში, და აჰა, დადგა ჩემს წინაშე ელვარე სამოსით მოსილი კაცი,

31. და თქვა: კორნელიუს, შესმენილ იქნა შენი ლოცვა და შენი წყალობანი მოხსენიებულ იქნენ ღმერთის წინაშე.

32. მაშ, გაგზავნე კაცი იოპეს, და მოუხმე სიმონს, რომელსაც ჰქვია პეტრე; ის სტუმრადაა სიმონ დაბაღის სახლში, ზღვის პირას; მოვა და გეტყვის შენ.

33. მაშინვე გამოგზავნე კაცი შენთან, და კარგი ქენი, რომ მოხვედი. აწ ყველანი ღმერთის წინაშე ვდგავართ, რათა მოვისმინოთ ყველაფერი, რაც გიბრძანა შენ ღმერთმა.

34. გახსნა პეტრემ ბაგენი და თქვა: ქეშმარიტად ვრწმუნდები რომ მიუკერძოებელია ღმერთი.

35. არამედ ყველა ხალხში მისი მოშიში და სიმართლის მოქმედი სათნოა მისთვის.

36. მან მოუვლინა სიტყვა ისრაელის ძეთ, რათა ეხარებინა მშვიდობა იესო ქრისტეს მიერ; ეს არის ყველას უფალი.

37. თქვენ იცით, რა მოხდა მთელს იუდეაში, გალილეიდან მოყოლებული, იოანეს მიერ ქადაგებული ნათლისცემის შემდეგ;

38. რადგან სცხო ღმერთმა სულით წმიდითა და ძალით იესო ნაზარეველს, და დადიოდა იგი, ქველმოქმედებდა და კურნავდა ყველას, ეშმაკის მიერ მიძღვარებულს, რადგანაც ღმერთი იყო მასთან.

39. და ჩვენ ვართ მოწმენი ყველაფრისა, რაც მოიმოქმედა მან იუდეველთა ქვეყანაში და იერუსალემს; და ბოლოს ძელზე დაკიდეს და მოკლეს.

40. მაგრამ აღადგინა ღმერთმა მესამე დღეს, და მისცა მათ ცხელი სიტყვები და აღდგა.

41. არა მთელ ხალხს, არამედ ღმერთის მიერ წინასწარ არჩეულ მოწმეებს, ჩვენ, რომელნიც მასთან ერთად ვჰამდით და ვსვამდით. მისი მკვდრეთით აღდგომის შემდეგ.

42. და მან გვამცნო, გვექადაგა ხალხისთვის და გვემოწმებინა, რომ ის არის ღმერთის მიერ განჩინებული მსაჯული ცოცხალთა და მკვდართა.

43. მისთვის მოწმობს ყველა წინასწარმეტყველი, რომ ყველა, ვისაც სწამს იგი, მიიღებს ცოდვათა მიტევებას მისი სახელით.

44. ჯერ კიდევ ლაპარაკობდა პეტრე, რომ სული წმიდა გადმოვიდა სიტყვის ყველა მსმენელზე.

45. და უკვირდათ წინადაცვეთილ მორწმუნეებს, რომ სულის წმიდის მაღლი მოეფინა თვით წარმართთაც;

46. რადგანაც ესმოდათ, როგორ მეტყველებდნენ ისინი ენით, და აღიღებდნენ ღმერთს. მაშინ პეტრემ თქვა:

47. ვინ აუკრძალავს წყლით მონათვლას ამათ, რომელთაც ჩვენსავით მიიღეს სული წმიდა?

48. და უბრძანა მათ ნათელ ელთ იესო ქრისტეს სახელით. მაშინ სთხოვეს, რამდენიმე დღე დარჩენილიყო მათთან.

თავი მეთერთმეტი

1. მოციქულებმა და იუდეაში მყოფმა ძმებმა გაიგეს, რომ წარმართებმაც მიიღეს ღმერთის სიტყვა.

2. და როდესაც ავიდა პეტრე იერუსალემს, ედავებოდნენ მას წინადაცვეთილთაგანი,

3. და ამბობდნენ: წინადაცვეთელი ხალხის სახლში შეხვედი, და მათთან ერთად ჰამდი.

4. მაგრამ პეტრემ თავიდან დაიწყო, ყველაფერი თანმიმდევრულად უამბო მათ, და თქვა:

5. მე ვიყავი ქალაქ იოპეში და გლო-



ცულობდი, და ექსტაზში დანთქმულმა ვიხილე ხილვა: ზეცით ეშვებოდა რა-ღაც ჭურჭელი, დიდი ტილოს მსგავსი, ოთხივე წვერით გამოკრული, და დაეშვა ჩემამდე;

6. ჩავიხედე და ვიხილე ქვეყნად მცხოვრები ყოველგვარი ოთხფეხი, მხეცები, ქვეწარმავლები და ცის ფრინველები.

7. და ჩამესმა ხმა, რომელმაც მითხრა: ადექი, პეტრე, დაკალი და ჭაქე.

8. ხოლო მე ვთქვი: არამც და არამც, ვინაიდან რაიმე ბილწი ან უწმინდური არასოდეს ჩამსვლია პირში.

9. და მეორედაც მომიგო ხმამ ზეცით: რაც წმინდა-ყო ღმერთმა, შენ ნუმიიხნევ უწმინდურად.

10. ასე განმეორდა სამჯერ; და ყველაფერი კვლავ ამაღლდა ზეცად.

11. და აჰა, მყისვე სამი კაცი გაჩერდა იმ სახლთან, სადაც მე ვიყავი, კესარიიდან ჩემთან გამოგზავნილნი.

12. და მითხრა სულმა, უყოყმანოდ გავეყოლოდი მათ. და თან მეახლა ეს ექვსი ძმა, და მივედი იმ კაცის სახლში.

13. მან გვიამბო, როგორ იხილა თავის სახლში ანგელოზი, რომელიც დადგა და უთხრა მას: გაგზავნე კაცი იოპეს, და მოუხმე სიმონს, რომელსაც ჰქვია პეტრე.

14. ის გეტყვის სიტყვებს, რომლებითაც ცხონდებით შენცა და მთელი შენი სახლიც.

15. ხოლო როდესაც ლაპარაკი დავიწყე, გადმოვიდა მათზე სული წმიდა ისევე, როგორც ჩვენზე პირველად.

16. და გამახსენდა სიტყვა უფლისა, რომელმაც თქვა: იოანე ნათელს სცემდე წყლით, ხოლო თქვენ ნათელს იღებთ სულით წმიდით.

17. ამრიგად, თუ ღმერთმა ისეთივე ნიჭი უბოძა მათ, როგორც ჩვენ, რომელთაც ვირწმუნეთ უფალი იესო ქრისტე, მე ვინა ვარ, რომ შეეძლო წინ აღვუდგა ღმერთს?

18. ეს რომ გაიგონეს, დამშვიდდნენ ისინი, აღიდეს ღმერთი და თქვეს: ჩანს,

ღმერთმა წარმართთაც მისცა სიწმინდე, რომელი სიციცხლისათვის.

19. ხოლო სტეფანეს შემდეგ მომხდარი დევნილობისას გაფანტულებმა ფინიკიას, კიპროსსა და ანტიოქიას მიაღწიეს, მაგრამ არავის უქადაგებდნენ სიტყვას, იუდეველთა გარდა.

20. ხოლო ზოგიერთი მათგანი კიპროსელნი და კირენელნი იყვნენ, რომელნიც ანტიოქიაში შესვლის შემდეგ ელაპარაკებოდნენ ბერძნებს, და ახარებდნენ მათ უფალ იესოს.

21. და იყო ხელი უფლისა მათთან, და ძალიან ბევრმა ირწმუნა და მოიქცა უფლის მიმართ.

22. და მიაღწია ამ ამბავმა იერუსალიმის ეკლესიას, და წარგზავნეს ბარნაბა, რათა მისულიყო ანტიოქიამდე.

23. ხოლო როცა მივიდა და იხილა მადლი ღმრთისა, გაიხარა; და შეაგონებდა ყველას, გულწრფელად დამკვიდრებულებს უფალში.

24. ვინაიდან ეს იყო კეთილი, სულთ წმიდით და რწმენით აღვსილი კაცი. და შეემატა დიდძალი ხალხი უფალს.

25. მერე ბარნაბა ტარსოსს წავიდა სავლეს საქებნად, იბოვა ის და ჩაიყვანა ანტიოქიას.

26. მთელ წელიწადს იკრიბებოდნენ ეკლესიაში, და ასწავლიდნენ დიდძალ ხალხს; და ანტიოქიაში მოწაფეები პირველად იწოდნენ ქრისტიანებად.

27. იმ დღეებში ჩავიდნენ წინასწარმეტყველნი იერუსალიმიდან ანტიოქიაში.

28. და ადგა ერთი მათგანი, სახელად აგაბოს, და იწინასწარმეტყველა სულთ, რომ მთელს მსოფლიოში იქნებოდა დიდი შიმშილი, რაც ახდა კიდევ კლავდიუს კეისრის დროს.

29. მაშინ მოწაფეებმა, თვითეულმა საკუთარი შეძლებისამებრ, გადაწყვიტეს, დახმარება გაეგზავნათ იუდეაში მცხოვრები ძმებისათვის.

30. ასედაც მოიქცნენ, და გაუგზავნეს უხუცესთ ბარნაბასა და სავლეს ხელით.

თავი მეთორმეტი

1. იმხანად მეფე ჰეროდემ ბოროტი ზრახვით ხელი აღმართა ზოგიერთ წევრზე.

2. და მოკლა იაკობი, იოანეს ძმა, ხმლით.

3. და რაკი დაინახა, რომ ეს მოსწონათ იუდეველებს, დამატებით ბრძანა, შეეპყრო პეტრეც (ხოლო იყვნენ დღენი უფუარობისა).

4. და როდესაც შეიპყრო, საპყრობილეში ჩაადგო ის, და მეომართა ოთხ ათეულს უბრძანა მისი დარაჯობა, რადგანაც აპირებდა პასექის შემდეგ ხალხისათვის გამოეყვანა იგი.

5. ასე რომ, პეტრეს დარაჯობდნენ საპყრობილეში, ხოლო ეკლესია გულმოდგინედ ლოცულობდა მისთვის ღმრთის მიმართ.

6. და როცა ჰეროდემ მისი გამოყვანა დააპირა, იმ ღამეს პეტრეს ორ მეომარს შორის ეძინა, ორმაგი ჯაჭვით შეკრულს, და მდგარი მცველები დარაჯობდნენ საპყრობილეს.

7. და აჰა, წარმოსდგა ანგელოზი უფლისა, და ნათელმა მოიცვა საკანი. ფერღში წაჰკრა პეტრეს, გააღვიძა და უთხრა: აღეჭი მალე! და ხელებიდან დასცივდნენ ჯაჭვნი.

8. და უთხრა ანგელოზმა მას: სარტყელი მოირტყი და ჩაიცივი შენი ხამლები. ასეც მოიქცა. და უთხრა მას: მოისხი შენი მოსასხამი, და მომყევი მე.

9. გამოვიდა და გაჰყვა მას. მაგრამ არ იცოდა, რომ ცხადი იყო, რასაც იქმონდა ანგელოზი, არამედ ეგონა, სიზმარს ვხედავო.

10. პირველსა და მეორე სადარაჯოს რომ ვასცდნენ, ქალაქში შესასვლელ რკინის ბჭეს მიადგნენ, რომელიც თავისით გაიღო მათ წინ, და როდესაც გამოვიდნენ, ერთი ქუჩა გაიარეს და მყისვე განეშორა მას ანგელოზი.

11. ხოლო პეტრე გონს მოეგო და თქვა: ახლა კი ვხედავ ჭეშმარიტად, რომ უფალმა მოავლინა თავისი ანგელოზი და დამიხსნა მე ჰეროდეს ხე-

ლიდან და ყოველივე იმისაგან, რასაც მოელოდნენ იუდეველნი.

12. ამაზე ფიქრით მივიდა მარკოზად წოდებული იოანეს დედის, მარიამის სახლში, სადაც მრავალნი შეკრებილიყვნენ და ლოცულობდნენ.

13. და როცა ბჭის კარზე დააკაკუნა პეტრემ, მისაყურებლად გამოვიდა ერთი მხევალი, რომელსაც ერქვა როდე,

14. პეტრეს ხმა რომ შეიცივნო, სიზმარულისაგან ვედარ გაუღო კარი, არამედ შინ შევარდა და თქვა: პეტრე დგას კართან.

15. ხოლო მათ უთხრეს: ბოდავ. ის კი ამტკიცებდა, ასეაო. მაშინ მათ თქვეს: ანგელოზი იქნება მისი.

16. პეტრე კი დაჟინებით აკაკუნებდა. და როდესაც გაუღეს, დაინახეს იგი და სახტად დარჩნენ.

17. ხოლო მან ხელით ანიშნა, ჩუმად იყავითო, და უამბო მათ, როგორ გამოიყვანა უფალმა საპყრობილედან, და თქვა: ეს ამბავი იაკობსა და დანარჩენ ძმებსაც შეატყობინეთო; და გამოვიდა და სხვაგან წავიდა.

18. გათენებისას ერთი განგაში ატყდა მეომრებს შორის: რა იქნა პეტრეო?

19. ჰეროდემ ბევრი ეძება იგი, მაგრამ ვერსად მიაგნო. მაშინ გაასამართლა მცველები და მათი დახოცვა ბრძანა. მერე კი იუდეიდან კესარიას გაემართა, და დარჩა იქ.

20. ხოლო ჰეროდე გულმწყურალად იყო ტიროსელთა და სიდონელთა მიმართ. ამიტომ ისინი ერთად მივიდნენ მასთან, თავიანთ მხარეს გადაიბირეს ბლასტოსი, მეფის მესაწოლე, და ზავი ითხოვეს, ვინაიდან მათი ქვეყანა ჰეროდეს სამეფოდან იღებდა სარჩოს.

21. დათქმულ დღეს, სამეფო სამოსით მოსილი ჰეროდე ტახტზე დაჯდა, რათა მოლაპარაკებოდა მათ.

22. ხალხი კი ღაღადებდა: ღმერთის ხმა გვესმის და არა კაცისა.

23. მაგრამ უფლის ანგელოზმა მყისვე შემუსრა იგი, ვინაიდან პატივი არ

მიაგო ღმერთს; და, მატლების საკმელად ქცეულმა, განუტევა სული.

24. ზოლო სიტყვა ღმრთისა იზრდებოდა და მრავლდებოდა.

25. თავიანთი მსახურება რომ აღასრულეს, ბარნაბა და სავლე იერუსალემიდან კვლავ ანტიოქიას დაბრუნდნენ; და თან ჩაიყვანეს იოანეც, რომელსაც უწოდებდნენ მარკოზსაც.

თავი მეცამეტე

1. ზოლო ანტიოქიის ეკლესიაში იყვნენ წინასწარმეტყველნი და მოძღვარნი: ბარნაბა და სიმონი, რომელსაც ერქვა ნიგერი, ლუციუს კირენელი და მანანეი, ჰეროდე მეოთხედმთავრის ძუძუმტე, და სავლე.

2. და ვიდრე მსახურებდნენ უფალს და მარზულობდნენ, უთხრა მათ სულმა წმიდამ: გამოიძრით მე ბარნაბა და სავლე იმ საქმისათვის, რომლისთვისაც ვუხმე მათ.

3. მაშინ, მარხვას და ლოცვას რომ მორჩნენ, დაადეს მათ ხელნი, და გაუშვეს.

4. ზოლო ისინი, სულის წმიდის მიერ წარგზავნილნი, ჩავიდნენ სელევკიას, იქიდან კი გაცურეს კიპროსისაკენ.

5. და სალამინში ჩასულნი ღმრთის სიტყვას ქადაგებდნენ იუდეველთა სინაგოგებში; და თანა ჰყავდათ იოანეც სამსახურებლად.

6. და როცა გადაიარეს მთელი კუნძული ვიდრე პაფოსამდე, შეხვდნენ ვილაც მოგვს, იუდეველ ცრუწინასწარმეტყველს, სახელად ბარიესოს,

7. რომელიც ახლდა პროკონსულ სერგიუს პაულუსს, გონიერ კაცს. ამან მოუბო ბარნაბასა და სავლეს, რადგანაც სურდა, მოესმინა ღმრთის სიტყვა.

8. ზოლო მოგვი ელიმა (ვინაიდან თარგმანით ამას ნიშნავს მისი სახელი) ეწინააღმდეგებოდა მათ, და ცდილობდა სარწმუნოებისაგან მიექცია პროკონსული.

9. მაგრამ სავლე, იგივე პავლე, აღივსო სულით წმიდით. შეჩედა მას.

10. და თქვა: ეპა, სავსეო ყოველგვარი ზაკვითა და ყოველგვარი ბიწიერებით, ეშმაკის ძეო, და ყოველგვარი სიმართლის მტერო! როდემდის უნდა ამრუდო უფლის წრფელი გზანი?

11. და აწ, აჰა, ხელი უფლისა შენზე: დაბრმავდები და თავის დრომდე ველარ იხილავ მზეს. და მყისვე დაეცა მას წყევლიადი და უკუნეთი, და ბორიალით ეძებდა ზელის ამყრობს.

12. და როცა იხილა პროკონსულმა, რაც მოზდა, ირწმუნა და უკვირდა უფლის მოძღვრება.

13. ზოლო პავლემ და მისმა თანამგზავრებმა პაფოსიდან გაცურეს და ჩავიდნენ პამფილიის პერგეში. იოანე კი ჩამოსცილდა მათ და იერუსალემს დაბრუნდა.

14. ზოლო ისინი გამოვიდნენ პერგედან, პისიდიის ანტიოქიაში ჩავიდნენ, და შაბათ დღეს შევიდნენ სინაგოგაში, და დასხდნენ.

15. რჯულისა და წინასწარმეტყველთა წაკითხვის შემდეგ, სინაგოგის წინამძღვრებმა კაცი გაგზავნეს, რათა ეთქვა მათთვის: კაცნო, ძმანო, თუ სამოძღვრო სიტყვა რამ გაქვთ ხალხის მიმართ, თქვით.

16. ადგა პავლე, ხელით ანიშნა ხალხს დაჩუმიდითო, და თქვა: კაცნო ისრაელიტნო და ღმრთისმოშიშნო, ისმინეთ!

17. ამ ხალხის, ისრაელის, ღმერთმა გამოარჩია ჩვენი მამები და აამალა ეს ხალხი ეგვიპტის მიწაზე ყოფნისას, და ზეშემართული მკლავით გამოიყვანა იქიდან.

18. და არჩენდა მათ უდაბნოში ორმოც წელიწადს.

19. და მუსრი გაავლო შეიდ ხალხს ქანაანის მიწაზე, და დაუმკვიდრა მათ ქვეყანა მათი.

20. და შემდეგ, თითქმის ოთხას ორმოცდაათი წლის მანძილზე, მისცა მათ მსაჯულნი, ვიდრე სამუელ წინასწარმეტყველამდე.

21. მას მერე ითხოვეს მეფე, და მისცა მათ ღმერთმა საული, ძე კიშისა;

ბენიამინის შთამომავალი; და ასე გავიდა ორმოცი წელი.

22. და როცა გადააყენა იგი, მეფედ დაუსვა მათ დავითი, ვისთვისაც თავად თქვა სამოწმებლად: ეპოვე დავითი, ძე იესესი, ჩემი გულით ნანატრი კაცი, რომელიც მთლიანად იქმს ნებას ჩემსას.

23. სწორედ მისი თესლისაგან ღმერთმა აღთქმისამებრ აღუდგინა ისრაელს მხსნელი იესო,

24. ვის მოსვლამდეც წინასწარ ქადაგებდა იოანე ნათლისღებას სინანულისას მთელი ხალხის მიმართ.

25. ხოლო თავისი სარბიელის დასასრულს იოანე ამბობდა: ვინც თქვენ გგონივართ, არა ვარ იგი; არამედ, აჰა, მოდის ჩემს შემდეგ ის, ვის წინაშეც არა ვარ ღირსი იმისა, რომ ხამლი შევუხსნა ფეხზე.

26. კაცნო, ძმანო, აბრაამის მოდგმის ძენო და ღმრთისმოშიშნო თქვენს შორის! თქვენ მოგვევლინათ ეს სიტყვა ხსნიას.

27. ვინაიდან იერუსალემის მცხოვრებლებმა და მათმა მთავრებმა, ვერ იცნეს იგი და განსაჯეს, და აღასრულეს წინასწარმეტყველთა სიტყვები, რომლებსაც კითხულობდნენ ყოველ შაბათს.

28. და რაკი სიკვდილით დასჯის ღირსი ერთი ბრალიც ვერ უპოვეს, სთხოვეს პილატეს, მოეკლა იგი.

29. ხოლო როდესაც აღასრულეს ყველაფერი, რაც დაიწერა მისთვის, ჩამოხსნეს ძელიდან და საფლავში დაასვენეს.

30. მაგრამ ღმერთმა აღადგინა იგი მკვდრეთით.

31. და მრავალი ღღის მანძილზე ეჩვენებოდა მათ, რომლებიც გალილეიდან მასთან ერთად ამოვიდნენ იერუსალემს, და რომლებიც ამჟამად მისი მოწმენი არიან ხალხის წინაშე.

32. და ჩვენ გახარებთ თქვენ, რომ აღთქმა, მიცემული მამებისათვის, ღმერთმა აგვისრულა ჩვენ, მათ შვილებს, აღადგინა რა იესო.

33. როგორც დაწერა: *„მეც ვიქმნე“* სულამუნში: ძე ხარ შენ ჩემი; დღეს გუობე შენ.

34. ხოლო მკვდრეთით რომ აღადგინა იგი, რათა აღარასოდეს მიუბრუნდეს ხრწნილებას, ასე თქვა მან: მოგცემთ თქვენ სიწმინდეს, დავითისათვის აღთქმულს, სარწმუნოდ.

35. რის გამოც სხვა ადგილსაც ამბობს: ნუ მისცემ შენს წმიდას, რომ იხილოს ხრწნილება.

36. მაგრამ დავითმა, მას შემდეგ, რაც ღმერთის ნებით ემსახურა თავის მოდგმას, მიიძინა, და შეერთო თავის მამებს, და იხილა ხრწნილება.

37. ხოლო მან, ვინც აღადგინა, არ იხილა ხრწნილება.

38. მაშ, იცოდეთ, კაცნო, ძმანო, რომ მის გამო გეუწყებათ ცოდვათა მოტეგება.

39. და ყოველივე იმისაგან, რისგანაც მოსეს რჯულით ვერ შესძელით თავის მართლება, მის მიერ გამართლდება ყველა მორწმუნე.

40. გაფრთხილდით, რათა არ მოიწიოს თქვენზე წინასწარმეტყველთა მიერ თქმული:

41. უყურეთ, მოზიზღარნო, გიკვირდეთ და გაქრით; რადგან მე ვიქმ საქმეს თქვენს დროში, საქმეს, რომელსაც არ ირწმუნებდით, ვინმეს რომ ეამბა თქვენთვის.

42. იუდეველთა სინაგოგიდან გამოსვლისას, წარმართებმა სთხოვეს მათ, იგივე ელაპარაკათ მომავალ შაბათს.

43. და როცა საკრებულო დაიშალა, იუდეველთა და ღვთისმოსავ პროზელიტთაგან მრავალნი გაჰყენენ პავლესა და ბარნაბას, რომლებიც ესაუბრებოდნენ და არწმუნებდნენ მათ, დამკვიდრებულიყვნენ ღმრთის მადლში.

44. მეორე შაბათს თითქმის მთელი ქალაქი შეიყარა, რათა მოესმინათ ღმრთის სიტყვა.

45. ხოლო იუდეველები შურით აღივსნენ ამდენი ხალხის დანახვისას, და, გამობითა და წინააღმდეგობით, უპირისპირდებოდნენ პავლეს სიტყვებს.

46. პავლემ და ბარნაბამ კი თამამად თქვეს: თქვენს მიმართ უთუოდ პირველად უნდა თქმულიყო ღმრთის სიტყვა, მაგრამ რაკი უარყოფთ მას, და საუკუნო სიცოცხლის უღირსად გიჩანთ თავი, აჰა, ჩვენც წარმართებს მივმართავთ.

47. რადგანაც ასე გვამცნო უფალმა: დაგადგინე შენ წარმართთა ნათლად, რათა იყო ქვეყნის მხსნელი კიდით-კიდემდე.

48. ეს რომ ესმოდათ, ხარობდნენ წარმართნი, და აღიდებდნენ სიტყვას უფლისას, და ირწმუნა ყველამ, ვინც განწესებული იყო საუკუნო სიცოცხლისათვის.

49. და მიმოფენებოდა უფლის სიტყვა მთელს ქვეყანას.

50. მაგრამ იუდეველებმა წააქეზეს ღვთისმოსავი და ღირსეული ქალები და წარჩინებული მოქალაქენი, და აღძრეს დევნა პავლესა და ბარნაბას მიმართ, და თავიანთი საზღვრებიდან გააძევეს ისინი.

51. ხოლო მათ თავიანთი ფენის მტკერი ჩამოიბერტყეს მათ წინაშე, და იკონიას მიაშურეს.

52. მოწაფეები კი აღივსებოდნენ სიხარულითა და სულით წმიდით.

თავი მეთოთხმეტი

1. იკონიაში ერთად შევიდნენ ისინი იუდეველთა სინაგოგაში, და ილაპარაკეს ისე, რომ ირწმუნა იუდეველთა და ბერძენთა დიდმა სიმრავლემ.

2. ხოლო ურწმუნო იუდეველებმა წააქეზეს და ააბორგეს წარმართთა სული ძმათა წინააღმდეგ.

3. კარგა ზანს დარჩნენ იქ და თამამად ლაპარაკობდნენ უფლისათვის, რომელიც ემოწმებოდა მათ თავისი მადლის სიტყვით, და იქმოდა მათი ხელით სასწაულებსა და ნიშებს.

4. ხოლო ქალაქის მცხოვრებნი ორად გაიყვნენ: ზოგი იუდეველებს უქერდა მხარს. ზოგი კი მოციქულებს.

5. მაგრამ როდესაც აღიძრნენ წარმართნი და იუდეველნი თავიანთ მთავრებთან ერთად, რათა შეურაცხეყოთ და ჩაეჭოლათ ისინი,

6. გაიგეს მათ, და მიაშურეს ლიკონიის ქალაქებს — ლისტრასა და დერბეს, და მათ შემოგარენს,

7. და ახარებდნენ იქ.

8. ხოლო ლისტრაში ერთი კაცი, ორივე ფეხწართმეული, იჯდა და დედის საშოდანვე ხეიბრად შობილს, არასოდეს გაევილო.

9. გაიგონა, რას ლაპარაკობდა პავლე, რომელმაც შეხედა მას და დაინახა რომ აქვს რწმენა, რათა განიკურნოს,

10. და ხმამაღლა უთხრა მას: წამოდექ ფეხზე და გაიმართე; და წამოხტა და სიარული დაიწყო.

11. ხოლო ხალხმა, რომელმაც იხილა, რა ქმნა პავლემ, ზმა აიმაღლა და ლიკონურად თქვა: ღმერთებს კაცის სახე მიუღიათ და ჩამოსულან ჩვენთან.

12. და უწოდებდნენ ბარნაბას ზევსს, პავლეს კი ჰერმესს, ვინაიდან ის იყო წინამძღვარი სიტყვისა.

13. ხოლო ზევსის ქურუმმა, ვისი ტაძარიც მათი ქალაქის წინ იდგა, ბჭესთან მოიყვანა ხარები და მოიტანა გვირგვინები, და უნდოდა ჩაღწათ ერთად შეეწირა მსხვერპლი.

14. მაგრამ მოციქულებმა ბარნაბამ და პავლემ, ეს რომ გაიგეს, შემოიხიეს სამოსი, მივარდნენ ხალხს, შეპყვირეს და თქვეს:

15. კაცნო, რას სჩადით? ჩვენც თქვენივე მსგავსი კაცნი ვართ, და გახარებთ თქვენ, რათა ამ ცრუ ღვთაებათგან ცოცხალი ღმერთის მიმართ მოიქცეთ, რომელმაც შექმნა ცა და მიწა, ზღვა და ყველაფერი, რაც არის მათში,

16. და რომელმაც გარდასულ თაობებში ნება უბოძა ყველა ხალხს, ევლოთ თავიანთი გზით,

17. თუმც უმოწმებლად არასოდეს დაუტოვებია თავისი თავი, ქველმოქმედებდა, და გაძლევდათ ზეციით წვიმებსა და უზენაყოფიან ალოსთავთ, და

საზრდოთი და სიხარულით გივსებდათ გულებს.

18. ამ სიტყვებით როგორც იქნა დაარწმუნეს ხალხი, რომ აღარ შეეწირათ მსხვერპლი.

19. მაგრამ ანტიოქიიდან და იკონიიდან მოვიდნენ იუდეველნი, რომელთაც გადაიბირეს ხალხი, და ჩაქოლეს პავლე და ქალაქგარეთ გაათრიეს, ვინაიდან მკვდარი ეგონათ იგი.

20. მაგრამ როდესაც გარს შემოერთყნენ მოწაფეები, ადგა და ქალაქში შევიდა. მეორე დღეს კი ბარნაბასთან ერთად გაემგზავრა დერბეს.

21. და ახარებდნენ ამ ქალაქს, და მრავალი დაიმოწაფეს, და ლისტრაში, იკონიასა და ანტიოქიაში დაბრუნდნენ.

22. და ამტკიცებდნენ მოწაფეთა სულებს, შეაგონებდნენ მათ მტკიცედ მდგარიყვნენ რწმენით, და ასწავლიდნენ, რომ ჩვენ გვმართებს დიდი ტანჯვის ფასად შევიდეთ ღმრთის სასუფეველში.

23. და უკუერთხეს მათ თვითეული ეკლესიის ხუცესნი, და ლოცვითა და მარხვით შეავედრეს. ისინი უფალს, რომელიც ირწმუნეს.

23. და განვლეს პისიდია, და პამფილიაში მივიდნენ.

25. და იქადაგეს პერგეში სიტყვა, და ჩავიდნენ ატალიაში.

26. ხოლო იქიდან ზღვით ჩავიდნენ ანტიოქიას, საიდანაც ღმრთის მადლს იქმნენ მინდობილნი იმ საქმისათვის, რომელიც აღასრულეს.

27. და როცა ჩავიდნენ და შეკრიბეს ეკლესია, აუწყეს მათ, რა ქმნა ღმერთმა მათთან, და როგორ გაუხსნა წარმართებს სარწმუნოების კარი.

28. და კარგა ხანს იყვნენ იქ მოწაფეობთან ერთად.

თავი მეთხუთმეტი

1. ხოლო ზოგიერთნი, იუდეიდან ჩამოსულნი, ასწავლიდნენ ძმებს. თუ კი არ წინადაიცივით მოსეს რჯულის თანახმად. ვერ შესძლებთ თავის ხსნას.

2. და როცა პავლეს და ბარნაბას დიდი დავა და ცილობა მოუწდათ მათ წინააღმდეგ, უბრძანეს პავლეს, ბარნაბას და ზოგიერთ მათგანს ამ საქმის გამო მოციქულებსა და ხუცესებთან წასულიყვნენ იერუსალემს.

3. ეკლესიის მიერ წარგზავნილებმა გადაიარეს ფინიკია და სამარია, და აუწყებდნენ წარმართთა მოქცევას, და დიდ სიხარულს ანიჭებდნენ ყველა ძმას.

4. და როცა მივიდნენ იერუსალემს, შეიწყნარეს ისინი ეკლესიამ, მოციქულებმა და ხუცესებმა, და აუწყეს მათ, რამდენი რამ ქმნა ღმერთმა მათთან ერთად.

5. მაგრამ წამოდგნენ ზოგიერთნი, ფარისეველთა მწვალებლობის მიმდევარნი, რომელთაც ერწმუნათ, და თქვეს, რომ უნდა წინადაცივითონ მათ, და უბრძანონ მათაც, დაიმარხონ მოსეს რჯული.

6. და შეიკრიბნენ მოციქულები და ხუცესნი, რათა განეხილათ ეს სიტყვა.

7. გულმოდგინე განხილვის შემდეგ, წამოდგა პეტრე და უთხრა მათ: კაცნო, ძმანო, ხომ იცით, რომ ღმერთმა პირველი დღეებიდანვე თქვენგან გამომარჩია მე, რათა წარმართებმა ჩემს ბაგეთაგან ისმინონ სახარების სიტყვა და ირწმუნონ.


8. და გულთამხილავი ღმერთი ემოწმა მათ, და მისცა მათაც სული წმიდა, ჩვენსავე მსგავსად.

9. და არაფრით განგვასხვავა ერთმანეთისგან, რაკილა რწმენით განწმინდა მათი გულები.

10. მაშ, ახლა რაღად გამოსცდით ღმერთს? რად გინდათ მოწაფეებს ქედზე დაადგათ უღელი, რომლის ტვირთაც ვერც ჩვენ შევძელით და ვერც ჩვენმა მამებმა?

11. მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ უფლის იესო ქრისტეს მადლით ვცხოვრებთ ჩვენც და ისინიც.

12. დადუმდა მთელი კრებული, და უსმენდნენ ბარნაბასა და პავლეს, რომლებიც ყვებოდნენ, რა სასწაულები



და ნიშები ქმნა ღმერთმა წარმართთა შორის მათ მიერ.

13. და მას შემდეგ, რაც დადუმდნენ ისინი, აიღო სიტყვა იაკობმა და თქვა: კაცნო, ძმანო, ისმინეთ ჩემი:

14. სიმონმა გადმოგცათ, როგორ მოიხილა ღმერთმა პირველად წარმართნი, რათა შემოეკრიბა მათგან ხალხი თავისი სახელით.

15. და მასვე ეთანხმებიან წინასწარმეტყველთა სიტყვები, როგორც დაწერილია:

16. ამის შემდეგ მოვიქცევი და კვლავ ავაგებ დავითის დაცემულ კარავს, და აღვადგენ მის ნანგრევებს, და კვლავ აღვმართავ მას,

17. რათა ეძებდნენ დანარჩენი კაცნი უფალს, და ყველა ხალხი, რომლებიც იწოდებიან ჩემი სახელით, — ამბობს უფალი, რომელმაც შექმნა ყოველივე ეს.

18. საცნაურია ღმერთისთვის უკუნისიდან ყოველი საქმე მისი.

19. ამიტომ მე ამგვარად განვსჯი: ნუ გაუღმნელებთ წარმართებს ღმერთისკენ მოქცევას;

20. არამედ მივწეროთ მათ, რომ ეკრძალონ კერპთაგან შებლაღუღლსა და სიძვას, და მზრჩველსა და სისხლს.

21. ვინაიდან მოსეს ძველთაგანვე ჰყავს თვითნებულ ქალაქში თავისი ქადაგნი, რომელნიც სინაგოგებში კითხულობენ მას ყოველ შაბათს.

22. მაშინ მოციქულებმა და ხუცესებმა მთელს ეკლესიასთან ერთად საჭიროდ ცნეს, ამოერჩიათ თავისიანთა შორის კაცები და ანტიოქიას წარეგზავნათ პავლესა და ბარნაბასთან ერთად: იუდა, ბარნაბად წოდებული, და სილა, უპირველესი კაცი ძმათა შორის;

23. და თავიანთი ხელით დაწერეს ასე: მოციქულნი და ხუცესნი და ძმანი, ანტიოქიაში, სირიასა და კილიკიაში წარმართთაგან მოქცეულ ძმებს: გიზაროდეთ!

24. რაკილა გავიგეთ, რომ ზოგიერთებმა, რომლებიც გამოვიდნენ ჩვენ-

გან, ავამღერიეს თავიანთი სიტყვებით და შეარყიეს თქვენი სული, ვინაიდან გეუბნებოდნენ, რომ უნდა წინადაცვითოთ და დაიმარხოთ რჯული, რაც ჩვენ არ დაგვივალდება მათთვის.

25. ამიტომ შევიკრიბეთ და ერთსულოვნად დავადგინეთ, ამოგვერჩია კაცი და გამოგვეგზავნა თქვენთან, ჩვენს საყვარელ ძმებთან, ბარნაბასა და პავლესთან ერთად.

26. რომლებმაც უფლის ჩვენის იესო ქრისტეს სახელისათვის მისცეს თავიანთი სული.

27. ამრიგად, გამოგვგზავნეთ იუდა და სილა, რომლებიც ამასვე გადმოგცემენ სიტყვით.

28. ვინაიდან მართებულად მიიჩნია სულმა წმიდამ და ჩვენაც, არ ავკიდოთ ზედმეტი ტვირთი, გარდა იმისა, რაც აუცილებელია, კერძოდ:

29. ეკრძალოთ კერპთათვის შეწირულს და სისხლს, დამზრჩველს და სიძვას. თუ ამათგან თავს მოიზღუდავთ, კარგს იზამთ. იცოცხლეთ!

30. წარგზავნილები მივიდნენ ანტიოქიას; და შეიკრიბეს ხალხი, და წერილი გადასცეს მათ.

31. და როდესაც წაიკითხეს, გაიზარეს ამ ნუგეშისცემით.

32. ზოლო იუდამ და სილამ, რომლებიც თავადაც წინასწარმეტყველნი იყვნენ, მრავალი სიტყვით ანუგეშეს ძმები და განამტკიცეს.

33. კარგა ხანს დარჩნენ იქ და მშვიდობით წარიგზავნენ ძმათაგან მოციქულთა მიმართ.

34. მაგრამ სილამ მოისურვა იქვე დარჩენა.

35. ზოლო ბარნაბა და პავლე ანტიოქიაში დარჩნენ, და სხვებთან ერთად ასწავლიდნენ და ახარებდნენ უფლის სიტყვას.

36. რამდენიმე დღის შემდეგ უთხრა პავლემ ბარნაბას: წავიდეთ და ვინახულოთ ჩვენი ძმები ყველა იმ ქალაქში, სადაც ვიქადაგეთ უფლის სიტყვა; ვნახოთ, როგორ არიან.

37. ზოლო ბარნაბას სურდა თან წა-

ეყვანა იოანეც, რომელსაც ერქვა მარკოზი.

38. მაგრამ პავლე ამტკიცებდა, რომ არ უნდა წაეყვანათ ის, ვინც პამფილიაში განდგა მათგან და საქმეში თანადგომად არ გაჰყვა მათ.

39. ვითარება ისე გამწვავდა, რომ ერთმანეთს დაშორდნენ: ბარნაბამ წაიყვანა მარკოზი და ზღვით ჩავიდა კვიპროსს;

40. პავლემ კი სილა აირჩია და წავიდა, და მიეცა მადლი ღმრთისა ძმათაგან.

41. და მიმოვიდოდა სირიასა და კილიკიაში და განამტკიცებდა ეკლესიებს.

თავი მეთექვსმეტი

1. და მიაღწია დარბეს და ლისტრას. და, ამა იყო იქ ერთი მოწაფე, სახელად ტიმოთე, იუდეველი მორწმუნე ქალისა და ბერძენი მამის ძე;

2. რომელსაც ემოწმებოდნენ ლისტრელი და იკონიელი ძმები.

3. მოისურვა პავლემ თან წაეყვანა იგი; და მოიყვანა და წინადასცვითა მას, იქაურ იუდეველთა გამო, ვინაიდან ყველამ იცოდა, რომ მამამისი ბერძენი იყო.

4. ხოლო ქალაქების დავლისას, ასწავლიდა მათ, დაემარხათ იერუსალიმელ მოციქულთა და ზუციესთა მიერ დადგენილი წესები.

5. და ეკლესიები მტკიცდებოდნენ სარწმუნოებით, და მრავლდებოდნენ ყოველდღიურად.

6. და როცა მოვლეს ფრიგია და გალატელთა მხარე, სულმა წმიდამ აუკრძალა მათ ასიაში ექადაგათ სიტყვა.

7. მისიაში მისულებმა სბითვინიაში დააპირეს წასვლა, მაგრამ სულმა ნება არ დართო მათ.

8. და გადავლეს მისია, და ჩავიდნენ ტროას.

9. და იხილა პავლემ ჩვენება ღამით: წარსდგა მის წინაშე ერთი მაკედონელი

ლი კაცი, ევედრებოდა მას, რომ წასვლიდა მისი მაკედონიას, და მთავრად მითხრობდა:

10. ამ ჩვენების შემდეგ, სასწრაფოდ გადაწყვიტეთ მაკედონიაში წასვლა, რადგანაც მივხვდით, რომ ღმერთმა გვიხმო, რათა გვეხარებინა იქ.

11. გავედით ტროადან და პირდაპირი სვლით ჩავედით სამოთრაკეში, ხოლო მეორე დღეს — ნეაპოლისში.

12. იქიდან კი — ფილიპოსში, რომელიც არის მაკედონიის ამ ნაწილის პირველი ქალაქი-კოლონია; და დავრჩით ამ ქალაქში რამდენიმე დღე.

13. ხოლო შაბათ დღეს ქალაქგარეთ გავედით; მდინარის პირას, სადაც, ჩვენი აზრით, სამლოცველო უნდა ყოფილიყო, დავსხედით და გამოველაპარაკეთ თავშეყრილ ქალებს.

14. და ერთი ქალი, სახელად ლიდია, ძოწეულთ მოვაჭრე, ქალაქ თიატირის მკვიდრი და ღვთისმოსავი, ისმენდა; და გაულო მას უფალმა გული, რათა ჩებექდა, რასაც იტყოდა პავლე.

15. და როცა ნათელ იღო მან და მისმა სახლეულმა, გვთხოვა და გვითხრა: თუკი ღმრთის ერთგულად შემრაცხეთ, შემოდით ჩემსას და დარჩით. და გვაიძულა ჩვენ.

16. ხოლო როდესაც სამლოცველოში მივდიოდით, შემოგვხვდა ერთი მხევალი, რომელსაც ჰქონდა პითონის სული, და მისნობით დიდძალ შემოსავალს აძლევდა თავის ბატონებს.

17. მოგვდევდა პავლეს და ჩვენ, და მოგვძახოდა: ეს კაცი უზუნაესი ღმერთის მონები არიან, რომლებიც გაუწყებენ ხსნის გზას.

18. ასე იქცეოდა მრავალი დღის მანძილზე. განრისხდა პავლე, მიუბრუნდა და უთხრა სულს: იესო ქრისტეს სახელით გიბრძანებ გამოხვიდე მაგისგან, და გამოვიდა მყისვე.

19. და როცა დაინახეს მისმა ბატონებმა, რომ შემოსავლის იმედი გაუქარწყლდათ, შეიპყრეს პავლე და სილა, და მოედანზე მიათრიეს მთაგრეზის წინაშე.

20. და მიჰგვარეს ისინი ერისთავებს



და თქვეს: ეს კაცი ამღვრევენ ჩვენს ქალაქს; იუდეველნი არიან,

21. და გვიქადაგებენ ზნე-ჩვეულებებს, რომელთა არც მიღება და არც აღსრულება არ შეგვფერის ჩვენ, რომაელებს.

22. და აღდგა ხალხი მათზე, ხოლო ერისთავებმა სამოსი შემოახიეს მათ და ბრძანეს, ჯობით ეცემათ ისინი.

23. როდესაც ცემით გული იჯერეს, საპყრობილეში ჩაყარეს ისინი, და უბრძანეს დილეგის მცველს, ფხიზლად სჭეროდა თვალი.

24. ამნაირი ბრძანება რომ მიიღო, მან შიდა საკანში შეყარა ისინი, და ფეხებზე ბორკილები დაადო მათ.

25. შუალამისას, როცა პავლე და სილა ლოცულობდნენ და უგალობდნენ ღმერთს, და უსმენდნენ მათ სხვა პატიმრები,

26. უცებ საშინლად იძრა მიწა, ისე რომ საძირკველითურთ შეირყა საპყრობილე, და მყისვე გაიღო ყველა კარი, და ბორკილები დასცივედა ყველას.

27. გაეღვიძა დილეგის მცველს, და საპყრობილის ყველა კარი ღია დაინახა, ხმალი იშიშვლა და თავის მოკვლა დააპირა, ვინაიდან ეგონა, ყველა პატიმარი გაიქცაო.

28. ხმამაღლა გამოსძახა პავლემ და უთხრა მას: თავს ბოროტს ნურას აუტებს, ვინაიდან ყველანი აქა ვართ.

29. ხოლო მან სანთელი მოითხოვა, შიგნით შევარდა და აცანცანებული ფეხქვეშ ჩაუვარდა პავლეს და სილას;

30. გამოიყვანა ისინი გარეთ და უთხრა მათ: ბატონებო, რა უნდა ვქნა, რომ ვცხოვრებ?

31. ხოლო მათ უთხრეს: გწამდეს უფალი იესო ქრისტე, და ცხოვრებები შენცა და შენი სახლიც.

32. და უქადაგეს უფლის სიტყვა მასა და მთელს მის სახლელს.

33. და წაიყვანა ისინი ღამითვე, და წყლულები მოჰხანა მათ; და მყისვე ნათელ იღო თავადაც და ყველა მისიანმაც.

34. და აიყვანა ისინი თავის სახლ-

ში, სუფრა გაუწყო მათ, და ხალხობრივ მთელს თავის სახლელთან რომლებმაც იწამეს ღმერთი.

35. ხოლო გამთენიისას, ერისთავებმა მსახურნი გაუგზავნეს და შეუთვალეს: გაუშვი ეგ ხალხი.

36. დილეგის მცველმა ეს სიტყვები გადასცა პავლეს: ერისთავებს უბრძანებიათ თქვენი გაშვება. აწ გადიო, და წადით მშვიდობით.

37. მაგრამ პავლემ მიუგო მათ: ჩვენ, რომაელი მოქალაქეები, გაუსამართლებლად გაგვჯობეს მთელი ხალხის თვალწინ, და საპყრობილეში ჩაგვადგეს, და ახლა მალულად სურთ ჩვენი გაშვება? ეგრე კი არა, არამედ მოვიდნენ და თვითონვე გამოგვიყვანონ.

38. მსახურებმა ერისთავებს მიუტანეს ეს სიტყვა. ხოლო მათ თავზარი დაცეათ, როცა გაიგეს, რომაელები ყოფილანო.

39. მოვიდნენ, ბოდიში მოუხადეს, საპყრობილედან გამოიყვანეს და სთხოვეს მათ, ქალაქს გასცლოდნენ.

40. და როცა გამოვიდნენ საპყრობილედან, ლიდიასს მივიდნენ, სადაც იხილეს ძმები, ანუეგუშეს ისინი, და გზას გაუდგნენ.

თავი მჩვიდმეტი

1. ამფიპოლისი და აპოლონია რომ გადასერეს, თესალონიკეში ჩავიდნენ, სადაც იყო იუდეველთა სინაგოგა.

2. და, როგორც სჩვეოდა, შევიდა პავლე მათთან და სამ შაბათს ელაპარაკებოდა მათ წერილიდან,

3. განუმარტავდა და უმტკიცებდა მათ, რომ ქრისტეს მართებდა, ვნებულიყო და აღმდგარიყო მკვდრეთით, და ეს არის იესო ქრისტე, რომელსაც მე გაუწყებთ თქვენო.

4. და ზოგიერთმა მათგანმა ირწმუნა, და შეუერთდნენ პავლეს და სილას, ისევე როგორც ღვთისმოსავ ბერძენთა დიდი სიმრავლე და მრავალი კეთილშობილი ქალი.

5. მაგრამ შურით აღიძრნენ ურწმუნო იუდეველნი, წამოიყვანეს მოედნიდან უკეთური კაცნი, და ბრბოდ შეყრილნი აბორგებდნენ ქალაქს; მივიდნენ იასონის სახლთან, და მოითხოვდნენ. ხალხისათვის გამოეყვანათ ისინი.

6. და რაკი ვერ მიაგნეს მათ, ქალაქის მთავართა წინაშე მიათრიეს იასონი და ზოგიერთი ძმთაგანი, და თან ყვიროდნენ: მთელი ქვეყნის ამრევნი აქაც მოსულან;

7. ხოლო იასონს შეუწყყნარებია ისინი, თუმცა ყველანი უკლებლივ ეურჩებიან კეისრის ბრძანებებს, და სხვას იტყვიან მეფედ, იესოს.

8. და აღაშფოთეს ამის გამგონე ხალხი და ქალაქის მთავარი.

9. მაგრამ მათ ჩვენება ჩამოართვეს იასონსა და დანარჩენ ძმებსაც, და გაუშვეს ისინი.

10. ხოლო ძმებმა დაუყოვნებლივ, ღამით გაამგზავრეს პავლე და სილა ბერეას, სადაც მისვლისთანავე შევიდნენ ისინი იუდეველთა სინაგოგაში.

11. აქაურები თესალონიკელებზე უფრო კეთილშობილნი იყვნენ: მთელი სულით და გულით შეიწყნარეს სიტყვა, და ყოველდღე არჩევდნენ წერილს, ასეა თუ არა ესო.

12. მრავალმა მათგანმა ირწმუნა, და მათ შორის იყვნენ ბერძნებიც: მრავალი წარჩინებული ქალი თუ კაცი.

13. მაგრამ როცა თესალონიკელმა იუდეველებმა გაიგეს, რომ ბერეაშიც იქადაგა პავლემ ღმერთის სიტყვა, მივიდნენ იქაც, და აღძრეს და აღაშფოთეს ხალხი.

14. მაშინ ძმებმა დაუყოვნებლივ წარგზავნეს პავლე ვითომ ზღვით აპირებს გამგზავრებასო; სილა და ტიმოთე კი იქვე დარჩნენ.

15. ხოლო პავლეს თანამგზავრებმა ათენამდე მიაცილეს იგი. და მიიღეს ბრძანება სილასა და ტიმოთეს მიმართ, რომ სასწრაფოდ ხლებოდნენ მას, და გამობრუნდნენ.

16. და ვიდრე მათ ათენში ელოდა პავლე, აღშფოთდა მისი სული, როცა

იხილა, რომ მთელი ქალაქი ებრუნებოდა იყო სავესე.

17. და ესაუბრებოდა სინაგოგაში იუდეველებსა და ღვთისმოსავეებს, ხოლო მოედანზე ყოველდღე მსჯელობდა მათთან, ვინც შეზღუდებოდა.

18. ზოგიერთმა ეპიკურელმა და სტოელმა ფილოსოფოსმა დავა დაუწყო მას. ზოგი ამბობდა: რისი თქმა სურს ამ ყბედს? ზოგი კი გაიძახოდა: როგორც ჩანს, უცხო ღვთაებების მქადაგებელია; ვინაიდან იესოსა და აღდგომას ახარებდა მათ.

19. ხელი ჩასჳიდეს, აეროპაგში მიიყვანეს და უთხრეს მას: შეგვიძლია გავიგოთ, რას ნიშნავს ეგ ახალი მოძღვრება, რომელსაც ქადაგებ?

20. ვინაიდან რალაც უცნაურს ასმენინებ ჩვენს ყურს. გაგვაგებინე, რას ნიშნავს ეს?

21. ხოლო ათენელებისა და იქ მცხოვრები უცხოელებისათვის არ არსებობდა უფრო სამო დროსტარება, ვიდრე რაიმე ახლის მოყოლა ან მოსმენა.

22. და დადგა პავლე შუა აეროპაგში და თქვა: კაცნო ათენელნო, ყველაფერი, რასაც ვხედავ, მიმოწმებს, რომ თითქოს დიდი ღვთისმოსავნი ხართ.

23. ვინაიდან როცა დავდიოდი და თქვენს ტაძრებს ვათვალიერებდი, ვპოვე სამსხვერპლო, რომელზედაც ეწერა: შეუტყნობელ ღმერთს სწორედ მას, ვინაც შეუტყნობლად ეთაყვანებით, მე გახარებთ თქვენ.

24. ღმერთი ქვეყნისა და ყოველივე ქვეყნიერის შემოქმედი, ღმერთი ცისა და მიწის უფალი, ხელთქმნილ ტაძრებში როდი მკვიდრობს.

25. და არ მოითხოვს მსახურებას კაცთა ხელით, თითქოს რაიმე სკირდებოდეს, არამედ თვითონ ანიჭებს ყველას სიცოცხლეს და სუნთქვას და ყოველივეს.

26. ერთი სისხლისაგან შექმნა მან კაცთა მთელი მოდგმა, რათა დამკვიდრებულიყვნენ მთელი დედამიწის ზურგზე, და დააწესა მათი დამკვიდრების

წინასწარდასაზღვრული ქამნი და ზღვა-რნი,

27. რათა ეძებნათ ღმერთი, სადმე ხომ არ წვაფწყდებით ან ვპოვებთ მასო, თუმცა შორს როდია თვითეული ჩვენგანისაგან:

28. ვინაიდან მისით ვცოცხლობთ და ვმოძრაობთ და ვართ: როგორც ამბობდა ზოგიერთი თქვენი პოეტი: მისი მოდგმა ვართ.

29. ამრიგად, რაკი ღმერთის მოდგმა ვართ, არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ღვთაება ოქროს ჰგავს, ან ვერცხლს, ანდა კიდევ კაცის ზელოვნებითა თუ შთაგონებით ნაქანდაკარ ქვას.

30. ხოლო ღმერთმა უგულებელყო უმეტრების დრონი, და აწ ყველგან უბრძანებს თვითეულ კაცს, შეინანონ.

31. ვინაიდან დაადგინა დღე, როცა სიმართლით განიკითხავს სამყაროს, მისგანვე განჩინებული კაცის მიერ, ვის მიმართ რწმენაც მისცა ყველას, რადგანაც აღადგინა იგი მკვდრეთით.

32. მკვდრეთით აღდგომა რომ გაიგონეს, ზოგიერთმა დაცინვა დაუწყო, ზოგი კი ამბობდა: ამას სხვა დროს მოვისმენთ შენგან.

33. და ასე გამოვიდა პავლე მათ შორის.

34. მაგრამ რამდენიმე კაცი გამოჰყვა და მორწმუნე გახდა; და მათ შორის დიონისე არეოპაგელი და ერთი ქალი, სახელად დამარისი, და სხვებიც მათთან ერთად.

თავი მეთვრამეტე

1. შემდგომ ამისა, პავლე გამოვიდა ათენიდან და კორინთოს ჩავიდა;

2. და შეხვდა ერთ იუდეველს; სახელად აკვილას, ტომით პონტოელს, რომელიც ცოტა ხნის წინად ჩამოსულიყო იტალიიდან, და მის ცოლს პრისკილას, ვინაიდან კლავდიუსს ებრძანებინა, რომ ყველა იუდეველს დაეტოვებინა რომი; და დაუახლოვდა მათ.

3. რაკი ერთი ზელობა ჰქონდათ, მა-

თთან დარჩა და საქმიანობდა; **სარჩელი**
ხელობით მეკარვენი იყვნენ. **ბიზანტიონისა**

4. ყოველ შაბათს სინაგოგაში ქადაგებდა და არწმუნებდა იუდეველებსა და ბერძნებს.

5. ხოლო როდესაც მაკედონიიდან მოვიდნენ სილა და ტიმოთე, პავლე აღძრულ იქნა სულის მიერ, რათა ემოწმებინა იუდეველთათვის, რომ იესო არის ქრისტე.

6. მაგრამ რაკი ისინი ეურჩებოდნენ და გამობდნენ, ჩამობერტყა თავისი სამოსი და უთხრა მათ: თქვენს თავზე იყოს თქვენი სისხლი; მე უბრალო ვარ; ამიერიდან წარმართებთან წავალ.

7. და წამოვიდა იქიდან და მივიდა ერთი ღვთისმოსავის სახლში, რომელსაც სახელად ერქვა იუსტუსი, და რომლის სახლიც სინაგოგას ესაზღვრებოდა.

8. ხოლო კრისტუსმა, სინაგოგის წინამძღვარმა, ირწმუნა უფალი მთელი თავისი სახლეულითურთ; და მრავალმა კორინთელმა, რომლებიც უსმენდნენ პავლეს, ირწმუნა და ნათელ იღო.

9. უთხრა უფალმა ღმერთი ჩვენებით პავლეს: ნუ გეშინია, არამედ ილაპარაკე და ნუ დადუმდები.

10. ვინაიდან მე შენთანა ვარ, და ვერაფერ აღმართავს ხელს შენზე, რადგანაც ბევრი ხალხი მყავს ამ ქალაქში.

11. და დაჰყო იქ წელიწადი და ექვსი თვე, და ასწავლიდა მათ ღმერთის სიტყვას.

12. ხოლო აქაიაში გალიონის პროკონსულობის დროს, იუდეველნი ერთად დაესხნენ თავს პავლეს და საძსჯავროს წინაშე მიიყვანეს იგი;

13. და თქვეს: ეს კაცი არწმუნებს ხალხს, რჯულის საწინააღმდეგოდ თავყვანს სცემდნენ ღმერთს.

14. ის იყო ხმის ამოღება დააპირა პავლემ, რომ გალიონმა უთხრა იუდეველებს: ეს რომ უსამართლობა ან დანაშაული იყოს, იუდეველნი, როგორც წესი და რიგია, მოთმინებით მოგისმენდით თქვენ.

15. მაგრამ თუ სარჩელი თქვენს მო-

ძღვრებას, სახელებს ან თქვენს რჯულს ეხება, თქვენვე მიხედეთ: მე არა ვარ ამის მსაჯული.

16. და გამოყარა ისინი სამსჯავროდან.

17. მაშინ ბერძნებმა შეიპყრეს სოსთენე, სინაგოგის წინამძღვარი, და სამსჯავროს წინ ჰკვემეს; მაგრამ გალიონი სულაც არ შეუწუხებია ამას.

18. ხოლო პავლე კი ხანს დარჩა იქ, მერე კი დაემშვიდობა ძმებს, და გეპით გაემართა სირიას, და მასთან ერთად პრისკილა და აკვილია, და კენჭრეაში თმა შეიკვეცა. ვინაიდან აღთქმა დაედო.

19. ეფესოს რომ მიალწია, ისინი იქ დატოვა, თვითონ კი სინაგოგაში შევიდა და იუდეველებს გაესაუბრა.

20. ხოლო როდესაც სთხოვეს, მეტ ხანს დარჩენილიყო მათთან, არ დათახხმდა,

21. არამედ დაემშვიდობა და უთხრა მათ: მოახლოებულ დღესასწაულზე უთუოდ იერუსალემში უნდა ვიყო. თუ ღმერთი ინებებს, კვლავ დავბრუნდები თქვენთან. და გაემგზავრა ეფესოდან.

22. კეისარიაში ჩასვლის შემდეგ, იერუსალემს ავიდა, მოიკითხა ეკლესია და ანტიოქიაში ჩავიდა.

23. ერთხანს დაჰყო იქ, წამოვიდა და თანდათანობით დაიარა გალატელთა ქვეყანა და ფრიგია, და ამტკიცებდა ყველა მოწაფეს.

24. ერთი ვინმე იუდეველი, სახელად აპოლოსი, ტომით ალექსანდრიელი, კაცი მჭევრმეტყველი და წერილის დიდი მცოდნე, ჩავიდა ეფესოს.

25. ის იყო მცოდნე უფლის გზისა, და მდულარე სულითა, მართლად მსჯელობდა და ასწავლიდა უფლის ამბავს, თუმცა იცოდა მხოლოდ ნათლისცემა იოანესი.

26. მან დაიწყო თამამად ქადაგება სინაგოგაში, და როცა მოუსმინეს, აკვილამ და პრისკილამ შეიწყნარეს იგი, და უფრო ზუსტად აუხსნეს ღმერთის გზა.

27. და როცა აქაიას დააპირა წასვლა,

ძმებმა გაამხნევეს და მისწერეს მოწაფეებს. მიეღოთ იგი; და როცა მოვიდა, დიდად შეეწია მორწმუნეთა დასახლებას.

28. ვინაიდან დაუნდობლად ამხილებდა იუდეველებს ხალხის წინაშე, და წერილის მიხედვით უჩვენებდა, რომ იესო არის ქრისტე.

თავი მეცხრამეტი

1. მოხდა ისე, რომ, კორინთოში აპოლოსის ყოფნის დროს, პავლემ მოიარა ზემო მხარენი, და ეფესოში ჩავიდა, სადაც შეხვდა ზოგიერთ მოწაფეს,

2. და უთხრა მათ: მიიღეთ კია სული? წმიდა, როცა ირწმუნეთ? ხოლო მათ უთხრეს: არც გაგვიგია, არის თუ არა სული წმიდა.

3. უთხრა მათ პავლემ: მაშ, რით მონათლეთ? ხოლო მათ თქვეს: იოანეს ნათლისცემით.

4. და თქვა პავლემ: იოანე ნათელს სცემდა სინანულის ნათლისცემით, და ეუბნებოდა ხალხს, რომ ერწმუნათ მის შემდეგ მომავალი, ესე იგი, იესო ქრისტე.

5. ეს რომ გაიგონეს, ნათელ იღეს უფლის იესოს სახელით.

6. და დაადო მათ ხელნი პავლემ, და გადმოვიდა მათზე სული წმიდა, და ამეტყველდნენ სხვა ენებზე და წინასწარმეტყველებდნენ.

7. ხოლო ყველა ერთად იქნებოდა თორმეტიოდე კაცი.

8. და შევიდა სინაგოგაში და გულუშიწრად ქადაგებდა სამი თვე; საუბრობდა და მოწმობდა ღმერთის სასუფევისთვის.

9. მაგრამ რაკი ზოგიერთნი გაფიცდნენ და ურჩობდნენ, და გამოდნენ უფლის გზას ხალხის წინაშე, განეშორა მათ, წამოიყვანა მოწაფეები, და ყოველდღე ესაუბრებოდა მათ ვინმე ტირანუსის სასწავლებელში.

10. ასე გაგრძელდა ორ წელიწადს, და ასიის ყველა მკვიდრმა მოისმინა უფლის იესოს სიტყვა, როგორც იუდეველებმა, ისე ბერძნებმა.



11. და ღმერთი მრავალ უჩვეულო სასწაულს იქმოდა პავლეს ხელით.

12. ისე რომ თვით ავადმყოფებსაც ადებდნენ ხოლმე მის ნაქონ ხელსახოცებსა თუ ოლარებს, და იკურნებოდნენ, და უწმინდური სულები გამოდიოდნენ მათგან.

13. და ზოგიერთმა იუდეველმა მოხეტიალე შემლოცველმაც დაიწყო უკეთური სულებით შეპყრობილთა მიმართ უფლის იესოს სახელის ხმობა, და ამბობდნენ: გაფიცებთ თქვენ იესოს, რომელსაც ქადაგებს პავლე.

14. ასე იქცეოდა იუდეველი მღვდელმოდღვრის სკევას შვიდი ძე.

15. მიუგო სულმა უკეთურმა და უთხრა მათ: იესო ვიცი, და პავლესაც ვიცნობ, მაგრამ ვინა ხართ თქვენ?

16. და ეცა მათ უკეთური სულით შეპყრობილი კაცი, სძლია მათ და იძღაფრა მათზე, ისე რომ შიშველნი და ნაცემ-ნაგვემნი გამოვარდნენ იმ სახლიდან.

17. ზოლო ეს შეიტყო ეფესოში მცხოვრებმა ყველა იუდეველმა თუ ბერძენმა, და თავზარი დაეცათ, და იდიდებოდა უფლის იესოს სახელი.

18. და მრავალი მორწმუნეთაგანი მოდიოდა და აღიარებდა და აცხადებდა თავის საქმეებს.

19. და მრავალმა გრძნულმა შეკრიბა თავისი წიგნები და ყველას თვალწინ დაწვა, და დაიანგარიშეს მათი ფასი და გამოვიდა ორმოცდაათი ათასი ვერცხლის დრაქმა.

20. ასე ძალუმად იზრდებოდა და მტკიცდებოდა უფლის სიტყვა.

21. და როცა ეს აღსრულდა, პავლემ გულში ჩაიდო, მაკედონიისა და აქიის გავლით, წასულიყო იერუსალემს, და თქვა: იქ ჩასვლის შემდეგ მე მმართვებს მოვიხილო რომიც.

22. და გაგზავნა მაკედონიაში ორი თავისი მსახური, ტიმოთე და ერასტოსი, თვითონ კი დროებით ასიაში დარჩა.

23. ზოლო იმ ხანად ატყდა დიდი შფოთი უფლის გზის გამო.

24. რადგან ვინმე დემეტრიუსი ცხლისმკედელმა, რომელიც აკეთებდა არტემიდეს ვერცხლის ტაძრებს, და დიდძალ მოგებას აძლევდა ხელოსნებს,

25. შეკრიბა ისინი და სხვა მათნაირი ხელოსნები, და თქვა: კაცო, ხომ იცით, რომ ამ ხელობაზეა დამოკიდებული ჩვენი კეთილდღეობა.

26. იმასაც ზედავთ და ისმენთ, რომ არა მარტო ეფესოში, არამედ თითქმის მთელს ასიაში ამ ვილაც პავლემ თავისი შეგონებით გადარია ამდენი ხალხი; ასე ამბობს: ხელით ქმნილნი ღმერთები არ არიანო.

27. ეს კი იმას გვიქადის, რომ არა მარტო ჩვენი ხელობა გახდება აბუჩად ასაგდები, არამედ დიდი ქალღმერთის არტემიდეს ტაძარიც არარად შეირაცხება, და დაემხოება დიდება მისი, ვისაც თაყვანს სცემს ასია და მთელი ქვეყანა.

28. ეს რომ მოისმინეს, რისხვით აღივსენ და ყვირილი მორთეს: დიდია ეფესელთა არტემიდე!

29. და მთელი ქალაქი მღელვარებამ მოიცვა. ყველამ ერთსულოვნად მიაშურა თეატრს და ძალით გაიტაცეს მაკედონელები გაიუსი და არისტარქე, პავლეს თანამგზავნი.

30. ზოლო პავლეს უნდოდა ხალხს შერეოდა, მაგრამ მოწაფეებმა არ დაანებეს.

31. ასიის ზოგიერთმა მთავარმაც, რომლებიც მისი მეგობრები იყვნენ, კაცი გაუგზავნა და სთხოვა მას, თეატრში ნუ გამოჩნდებიო.

32. ზოლო ამასობაში ერთნი ერთს გაჰყვიროდნენ, მეორენი კი მეორეს ვინაიდან კრება უთავბოლო იყო, და უმრავლესობამ არ იცოდა, რად შეიყარნენ.

33. იუდეველთა მოთხოვნით ბრბოდან გამოიყვანეს ალექსანდრე, რომელმაც ხელი ასწია სიჩუმის ნიშნად, და უნდოდა დამკველად გამოსულიყო ხალხის წინაშე.

34. მაგრამ როდესაც გაიგეს, იუდეველიაო, ყველა ერთხმად აყვირდა, და,

ასე, ორ საათს ყვიროდნენ: დიდია ეფესელთა არტემიდე!

35. მწიგნობარმა დააცხრო ხალხი და თქვა: კაცნო ეფესელნო, ვინ არ იცის, რომ ეფესელთა ქალაქი დიდი ქალღმერთის არტემიდეს ტაძრისა და დიოპეტეს მსახურია?

36. ხოლო თუ ეს უდავოა, მოვალენი ხართ დამშვიდდეთ, და არაფერი ქმნათ წინდაუხედავად.

37. თქვენ კი მოიყვანეთ ეს ხალხი, რომელსაც არც ტაძარი განუძარცვავს, და არც თქვენი ქალღმერთი უგმია.

38. ხოლო თუ დემეტრესა და მის თანამოსაქმეებს სურთ ვინმეს უჩივლონ, სამსჯავროც გვაქვს და მსაჯულებიც გვყვანან; ადგნენ და უჩივლონ ერთმანეთს.

39. მაგრამ თუ სხვა რამეს დაეძებთ, ეს უფლებამოსილმა თავყრილობამ უნდა გადაწყვიტოს.

40. ვინაიდან საფრთხე გვემუქრება, რომ ბრალს დაგვდებენ დღევანდელი არეულობის გამო, რადგანაც ვერავითარი საბაბით ვერ გავამართლებთ ამ თავყრილობას. ეს თქვა და დაითხოვა კრებული.

თავი მეთექვსმეტი

1. ხოლო შფოთის დაცხრომის შემდეგ პავლემ მოიხზო მოწაფეები, გაძოვმშვიდობა, გამოვიდა და მაკედონიისაკენ გაემართა.

2. და როცა მოვლო იქაურობა, და მრავალი სიტყვით ანუგეშა მორწმუნენი, საბერძნეთს ჩავიდა.

3. სამი თვე დაჰყო იქ, და რაკი იუდეველებმა შეთქმულება მოუწყვეს, როცა ხომალდით გამგზავრება დააპირა სირიაში, გადაწყვიტა დაბრუნებულიყო მაკედონიის გავლით.

4. ასიამდე თან ახლდნენ სოპატრე ბეროელი; თესალონიკელთაგან — არისტარქე და სეკუნდუსი, გაიუს დერბელი და ტიმოთე, ასიელები — ტიქიკე და ტროფიმე.

5. რომლებმაც წინ შეგვიწყინეს ტროაში გველოდნენ. ბიზანტიონში

6. ხოლო ჩვენ უფუარობის დღეების შემდეგ ხომალდით გავემგზავრეთ ფილიპოსიდან და მეზუთე დღეს მათ შვეტერდით ტროაში, სადაც შვიდი დღე დავრჩით.

7. და კვირის პირველ დღეს, როცა პურის გასატეხად შეიკრიბნენ მოწაფეები, პავლემ, რომელიც მეორე დღეს აპირებდა გამგზავრებას, სიტყვა უთხრა მათ, და შუალამემდე გააგრძელა საუბარი.

8. ხოლო ქორედში, სადაც შეკრებილნი ვიყავით, მრავალი სანთელი ენთო.

9. და რაკი პავლემ სიტყვა გააგრძელა, ერთ ჭაბუქს, სახელად ევტიქეს, რომელიც სარკმლის რაფაზე იჯდა, ძილი მოერია, და მესამე სართულიდან გადავარდა, და აიყვანეს მკვდარი.

10. ჩავიდა პავლე, ზედ დაემხო, მოეხვია და თქვა: ნუ შეძრწუნდებით, ვინაიდან მისი სული მასშივეა.

11. და კვლავ ავიდა, გატეხა პური და ჭამა, და დიდხანს ისაუბრა, გარიყრაყამდე, შემდეგ კი წავიდა.


12. ხოლო ჭაბუკი ცოცხალი მოიყვანეს, რამაც უზომოდ ანუგეშა ისინი.

13. ჩვენ წინ გავუსწარიტ ხომალდით და ავედით ასოსში, საიდანაც უნდა წაგვეყვანა პავლე; ვინაიდან ასე ბრძანა, რადგანაც თვითონ ფეხით აპირებდა წამოსვლას.

14. და როცა შემოგვიერთდა ასოსში, წამოვიყვანეთ იგი და მივედით მიტილენეში.

15. ხოლო იქიდან ხომალდით გავემგზავრეთ და მეორე დღეს დაფუპირისპირდით ქიოსს; მომდევნო დღეს მივადექით სამოსს, და შევჩერდით ტროგილიონში, ხოლო შემდეგ დღეს მივადწიეთ მილეტს;

16. ვინაიდან პავლემ ინება გვერდი აექცია ეფესოსათვის, რათა ასიაში არ დაყოვნებულიყო. რადგანაც ეშურებოდა თუკი შესაძლო იქნებოდა, ორმოც-



დაათობის დღეს ყოფილიყო იერუსალიმში.

17. ზოლო მილეტიდან კაცი გაგზავნა ეფესოში, და მოუხმო ეკლესიის ზუკესთ.

18. და როცა ეახლენ, უთხრა მათ: თქვენ იცით, რომ ასიაში მოსვლის პირველი დღიდანვე მარადყამ თქვენთან ვიყავი,

19. და ვმონებდი უფალს მთელი სიმდაბლით და მრავალი ცრემლით და განსაცდლით, რაც შემემთხვეოდა იუდეველთა ბოროტი ზრახვით.

20. და არაფერი დამიშურებია, რაც კი რამეში წავადგებოდათ, სახალხოდ თუ სახლებში რომ არ მექადაგა და მესწავლებინა თქვენთვის.

21. და ვაუწყებდი იუდეველებსა თუ ბერძნებს სინანულს ღმერთის წინაშე, და რწმენას უფლის ჩვენის იესო ქრისტეს მიმართ.

22. და აწ, აჰა, სულის მიერ შეკრული მივედივარ იერუსალიმს, და არ კი ვიცი, რა შემემთხვევა იქ.

23. მხოლოდ სული წმიდა ყველა ქალაქში მოწმობს, და ამბობს, რომ ბორკილები და ტანჯვა-ვაება მელის.

24. მაგრამ მე არაფრად მიჩანს ყოველივე ეს, და არც ჩემს სულზე უმეტესად შემირაცხავს სიცოცხლე ჩემი, ოღონდ კი სიხარულით გავასრულო ჩემი სარბიელი და მსახურება, რომელიც მივიღე უფლის იესოსაგან ღმერთის მადლის სახარების სამოწმებლად.

25. და აწ, აჰა, მე ვიცი, რომ ველარ იხილავს ჩემს სახეს ვერცერთი თქვენთაგანი, რომელთა შორისაც დავდიოდი და ვქადაგებდი ღმერთის სასუფეველს.

26. ამიტომაც ვმოწმობ თქვენს მიმართ დღევანდელ დღეს, რომ ბრალი არ მიდევს არავის სისხლში,

27. ვინაიდან არასოდეს დამიკლია ცდა, რომ არ მეთქვა თქვენთვის ღმერთის მთელი ნება.

28. მაშ, გაუფრთხილდით თქვენსავე თავს და მთელ სამწყსოს, რომლის მცველებადაც დავადგინათ თქვენ სულმა წმიდამ. რათა მწყემსავდეთ უფლისა და

ღმერთის ეკლესიას, რომელიც მარტოა დარჩენილი თანა თავისი სახელით.

29. რადგანაც ვიცი, რომ ჩემი გავლის შემდეგ შემოგესევინ მძვინვარე მგლები, რომლებიც არ დაინდობენ სამწყსოს.

30. და თვით თქვენგან აღდგებიან კაცი, რომელნიც ილაპარაკებენ უკუღმართად, რათა გაიყოლიონ განდგომილი მოწაფეები.

31. მაშ, იფხიზლეთ და გახსოვდეთ, რომ სამ წელიწადს განუწყვეტლივ დღე და ღამ, ცრემლით ვასწავლიდი თვითეულ თქვენგანს.

32. და აწ შეგავედრებთ თქვენ ღმერთს, ძმანო, და მისი მადლის სიტყვას, რომელსაც შეუძლია ავაშენოთ და მოგცეთ სამკვიდრო ყველა წმიდასთან ერთად.

33. არც ვერცხლი, არც ოქრო და არც სამოსი არ მინატრია მე არავისი.

34. თქვენ თვითონ იცით, რომ, აი, ეს ხელები შევლოდნენ ჩემს გასაჭირს და მათსაც, ვინც იყვნენ ჩემთან.

35. ყოველნაირად გიჩვენეთ თქვენ, რომ ამნაირი შრომით უნდა შეეწიოთ სნეულთ, და გახსოვდეთ უფლის იესოს სიტყვები, რადგანაც თავად თქვა: უმჯობესია გასცე, ვიდრე მიიღო.

36. ეს რომ თქვა, მუხლი მოიყარა და მათთან ერთად ილოცა.

37. და მწარედ ატირდა ყველა, ყელს ეხვეოდნენ პავლეს და ჰკოცნიდნენ მას.

38. უფრო იმ სიტყვის გამო იმდურებოდნენ, რომელიც თქვა: ველარ იხილავთ ჩემს სახესო. და ხომალდამდე მიაცილეს იგი.

თავი ოცდამეერთე

1. და როცა დავემშვიდობეთ მათ, და გავემგზავრეთ, პირდაპირი გზით მივადწიეთ კოსს, მეორე დღეს — როდოსს, იქიდან კი — პატარას.

2. ვიპოვეთ ფინიკიისაკენ მიმავალი ხომალდი. ავედიოთ ზედ და გავცურეთ.

3. გამოჩნდა კობროსი, მხარმარცხნივ მოვიტოვეთ იგი, სირიისაკენ გავემართეთ და მივადექით ტიროსს, ვინაიდან იქ უნდა გადმოეტვირთათ ხომალდი.

4. მოვიძიეთ მოწაფეები, და დავეყავით იქ შვიდი დღე. ხოლო ისინი, სულით აღძრულნი, უშლიდნენ პავლეს იერუსალემში ასვლას.

5. როცა გავლიეთ ეს დღენი, გამოვედით და წავედით, და ცოლ-შვილითურთ გამოგვაცილა ყველამ ქალაქგარეთ, მუხლი მოიყარეს ზღვის პირას და ილოცეს.

6. ერთმანეთს რომ დავემშვიდობებთ, ჩვენ ზომალდზე ავედით, ისინი კი საზღში დაბრუნდნენ.

7. ხოლო ჩვენ გავლიეთ გზა და ტიროსიდან ჩავედით პტოლემიდას, მოვიკითხეთ მოწაფეები და მათთან დავეყავით ერთი დღე.

8. მეორე დღეს კი გამოვედით, კესარეას მივადექით და შევედით ფილიპე მახარებლის, ერთი შვიდთაგანის საზღში, და მისას დავდექით.

9. ხოლო მას ოთხი ასული ჰყავდა, და ოთხივე ქალწული წინასწარმეტყველი იყო.

10. დიდხანს დავყავით მისას, და ჩვენს იქ ყოფნაში იუდეიდან ჩამოვიდა ერთი წინასწარმეტყველი, სახელად აგაბოსი.

11. მოვიდა ჩვენთან, აიღო პავლეს სარტყელი, ხელ-ფეხი შეიკრა და თქვა: ამას ამბობს სული წმიდა: კაცს, ამ სარტყელის პატრონს, ასე შეკრავენ იერუსალემს, და მისცემენ წარმართთა ხელში.

12. ეს რომ გავიგონეთ, ჩვენცა და იქაურებიც ვთხოვდით მას, არ ასულიყო იერუსალემს.

13. ხოლო პავლემ მოგვიგო: ამას რას სჩადით? რად ტირით და მიუტრებთ გულს? რადგან მე მზადა ვარ, არამცთუ შეკრულ ვიქნე, არამედ მოვკვდე კიდევაც იერუსალემს უფლის იესოს სახელისათვის.

14. რაკი თავისი ვერ გადავათქმევინეთ.

ნეთ. დაედუმდით და დავექით; დე. იესუს უფლის ნება!

15. ხოლო ამ დღეების შემდეგ იერუსალემს ასასვლელად გავემზადეთ.

16. ჩვენთან ერთად მოდიოდნენ კესარიელი მოწაფეები, რომლებსაც მივეყავდით ერთი ძველი მოწაფის მნასონ კობროსელის სახლში, სადაც უნდა გავჩერებულყავით.

17. იერუსალემში მისულნი სიხარულით მიგვიღეს ძმებმა.

18. ხოლო მეორე დღეს პავლე ჩვენთან ერთად მივიდა იაკობთან; და იყო იქ ყველა ზუციისი.

19. მოიკითხა ისინი, და დაწვრილებით უამბო ყველას, რა ქმნა ღმერთმა წარმართთა შორის მისი მსახურებით.

20. ხოლო მათ, ეს რომ მოისმინეს, აღიდეს ღმერთი და თქვეს: ხომ ხედავ, ძმაო, რამდენი ათასი მორწმუნეა იუდეველთა შორის, და ყველა მათგანი რჯულის თავგამოდებული მცველია.

21. შენზე კი გაიგეს, რომ მოსესაგან განდგომას ასწავლი წარმართთა შორის მცხოვრებ იუდეველებს, და ამბობ, რომ არ უნდა წინადასცვითონ თავიანთ შვილებს და არც ადათებს მისდიონ.

22. მერედა რა? უეჭველად შეიყრება ხალხი, როცა გაიგებს, რომ მოხვედლი.

23. მაშ, ისე მოიქეცი, როგორც ჩვენ გირჩევთ: აქა გვყავს ოთხი კაცი, რომლებმაც დადეს აღთქმა.

24. წაიყვანე ისინი და განიწმინდე მათთან ერთად, და გაიღე მათი აღთქმის საფასური, რათა შეიკვეციონ თმები, და მიხვდებო ყველა, რომ ის, რაც შენზე გაიგეს, ტყუილია, და რომ შენ კვლავინდებურად იმარხავ რჯულს.

25. ხოლო წარმართთათვის, რომელთაც ირწმუნეს, ჩვენ ვიმსჯელებთ და მოვიწერეთ, რომ ნუ დაიმარხავენ ნურაფერს ამგვარს, არამედ ეკრძალონ კერპთათვის შენაწირს, სისხლს, დამხრჩვალს და სიძვას.

26. მაშინ პავლემ წაიყვანა ისინი, განიწმინდა მათთან ერთად, და მეორე დღეს შევიდა ტაძარში, და გამოაცხადა



ეროვნული
ბრუნების

განწმენდის დღეთა გასრულება, როცა თვითეული მათგანისათვის უნდა შეწირულიყო შესაწირავი.

27. ხოლო შეიდი დღის გასრულებისას, ასიელმა იუდეველებმა, რომლებმაც ტაძარში დაინახეს იგი, შეაგულიანეს მთელი ხალხი, და ზელი დაადეს მას.

28. და შესძახეს: კაცნო ისრაელიტნო, გვიშველეთ! ეს კაცი ყველგან და ყველას წინაშე ქადაგებს ხალხის, რჯულისა და ამ ადგილის წინააღმდეგ: ვგეც არ იყოს, ბერძნებიც შეიყვანა ტაძარში, და შებღალა ეს წმიდა ადგილი.

29. (ვინაიდან ამაზე უწინ მასთან ერთად ტროფიმე ეფესელი დაენახათ ქალაქში, და ეგონათ, რომ პავლემ ტაძარში შეიყვანა იგი).

30. შეიძრა მთელი ქალაქი, და შეიყარა ხალხი; შეიპყრეს პავლე, ტაძრიდან გამოათრიეს, და მყისვე დაიხშო კარი.

31. და როცა მოკვლა დაუპირეს, ლაშქრის ათასისთავამდე მიადწია ხმამ, მთელი იერუსალემი ამბობდაო:

32. მანაც დაუყოვნებლივ წამოიყვანა მეომრები და ასისთავნი, და მოაშურა მათ. ხოლო მათ, ათასისთავისა და მეომრების დანახვაზე, თავი ანებეს პავლეს გვემას.

33. მაშინ მივიდა ათასისთავი და წამოიყვანა იგი: ბრძანა, ორმაგი ჯაჭვით შეეკრათ და ეკითხებოდა: ვინა ხარ, ან რა გიქმნია?

34. ხალხში ერთნი ერთს გაიძახოდნენ, მეორენი კი მეორეს. და რაკი ამ ღრიანცელში დანამდვილებით ვერაფერი გაიგო, ათასისთავმა ბრძანა, ციხეში შეეყვანათ იგი.

35. და როდესაც კიბეზე შედგა, ხალხის სიმრავლის გამო მეომრები იძულებული შეიქნენ. ხელში აყევანათ პავლე.

36. ვინაიდან ზღვა ხალხი მოსდევდა და ყვიროდა: მოკალი ეგ!

37. ციხეში რომ უნდა შეეყვანათ, პავლემ ათასისთავს უთხრა: შეიძლება

ერთი რამ გითხრა? ხოლო მან თქვა: ბერძნული იცი?

38. ვანა შენ არა ხარ ის ეგვიპტელი, რომელმაც ამას წინათ შეაგულიანა და უდაბნოში გაიყვანა ოთხი ათასი სიკარიელი?

39. უთხრა მას პავლემ: მე ვარ იუდეველი კაცი, ტარსოსელი, კილიკიის არცთუ უმნიშვნელო ქალაქის მოქალაქე. გემუდარები, ნება მიბოძე დაველაპარაკო ხალხს.

40. და როცა ნება დართო, კიბის თავზე დადგა პავლე, ხელით ანიშნა ხალხს, და როცა სრული სიჩუმე ჩამოვარდა, ებრაულად მიმართა მათ:

თავი ოცდამეორე

1. კაცნო, ძმანო და მამანო! ისმინეთ ჩემი თავის მართლება თქვენს წინაშე.

2. როდესაც გაიგონეს, რომ ებრაულად მიმართავს მათ, უფრო დიდი სიჩუმე ჩამოვარდა, ხოლო მან თქვა:

3. მე ვარ კაცი იუდეველი, კილიკიის ტარსოსში შობილი, ამ ქალაქში გამალიელის ფერხთით აღზრდილი და მამათა რჯულის მიხედვით გულმოდგინედ გაწვრთნილი, ღმრთის ისეთივე მოშურნი, როგორც თქვენ ყველანი ხართ დღეს;

4. და ვსდევნიდი ამ გზას ვიდრე სიკვდილამდე, ვკრავდი და საპყრობილეში ვყრიდი კაცებს და ქალებს,

5. როგორც დამემოწმებთან მღვდელმთავარი და ყველა უხუცესი, რომელთაგან წერილები წავილე დამასკოში მყოფი ძმებისათვის, და წავედი, რათა იქაურები შეკრულნი ჩამომეყვანა იერუსალემში, და გვეწამებინა ისინი.

6. და მოხდა ისე, რომ, როცა გზად მიმავალი ვუახლოვდებოდი დამასკოს, შუადღისას ანაზდეულად მომიცვა აღმა ნათელმა ზეცით.

7. დავემზე მიწაზე, და ჩამესმა ხმა, რომელმაც მითხრა: საულ, საულ, რად მდევნი მე?

8. და მე ვუთხარი: ვინა ხარ, უფა-

ლო? ხოლო მან მომიგო: მე ვარ იესო ნაზარეტელი, რომელსაც შენ მღვინი.

9. ჩემმა მხლებლებმა იხილეს ნათელი, და თავზარი დაეცათ, მაგრამ არ სშენიათ ხმა, რომელიც მელაპარაკებოდა მე.

10. და მე ვთქვი: რა ვქნა? ხოლო უფალმა მითხრა: ადექი და შედი დამოსკოვში, და იქ გეუწყება ყველაფერი, რისი ქმნაც ნაბრძანები გაქვს.

11. და რაკი იმ ნათლის დიდებისაგან ველარაფერს ვხედავდი, ჩემმა მხლებლებმა ხელოაქიდებული შემყვანეს დამასკოში.

12. ვინმე ანანია, კაცი ღვთისმოსავი რჯულისამებრ, და ყველა დამასკოელი იუდეველისგან პატივდებული,

13. მოვიდა ჩემთან, მომადგა და მითხრა: საულ, ძმაო, აგებილოს თვალი! და მაშინვე დავიწახე იგი.

14. ხოლო მან მითხრა: ჩვენი მამების ღმერთმა წინასწარ აგირჩია შენ, რათა შეიცნო მისი ნება, იხილო მართალი და ისმინო სიტყვა მის ბაგეთაგან.

15. რადგან შენ იქნები მისი მოწმე ყოველი კაცის წინაშე, იმის გამო, რაც იხილე და ისმინე.

16. მაშ, რალას უცდი? ადექი, ნათელი, მოუხმე უფლის სახეს, და ჩამოირეცხე შენი ცოდვები.

17. ხოლო როდესაც იერუსალემს დავბრუნდი, და ტაძარში ვლოცულობდი, ექსტაზში ჩავვარდი,

18. და ვიხილე იგი, და მითხრა მე: ისწრაფე და საჩქაროდ გადი იერუსალემიდან, ვინაიდან აქ არ შეიწყნარებენ შენს მოწმობას ჩემთვის.

19. და მე ვთქვი: უფალო, მათ იციან, რომ მე საპყრობილეში ვყრიდი და სინაგოგებში ვცემდი შენს მორწმუნეთ.

20. და როცა დაითხოვდა სისხლი შენი მოწამის სტეფანესი, მე იქ ვიდექი, ვიწონებდი მის მოკვლას, და ვდარაჯობდი მისი მკვლელების სამოსს.

21. და მითხრა უფალმა: წადი, რად-

განაც შორს, წარმართებულ ქვეყნებში შენ.

22. ამ სიტყვამდე უსმენდნენ მას, აქ კი ხმა აიმაღლეს და თქვეს: ალგავე მიწის პირისგან ვგეთი, ვინაიდან არ არის სიკოცხლის ღირსი!

23. და ვიდრე ასე ყვიროდნენ, მოსასხამებს იქნევდნენ, და მტვრის ბუქს აყენებდნენ ჰაერში.

24. ათასისთავმა ბრძანა, ციხეში შეეყვანათ და გაემართახებინათ იგი, რათა გაეგო, რატომ ყვიროდნენ ასე მის წინააღმდეგ.

25. და როცა ღვედებით დააბეს იგი, უთხრა პავლემ იქვე მდგომ ასისთავს: ნუთუ უფლება გაქვთ გაუსამართლებლად გაამართახოთ რომის მოქალაქე?

26. ეს რომ გაიგონა, ასისთავი მივიდა და უთხრა ათასისთავს: დაფიქრდი, რას აპირებ, ვინაიდან ეს კაცი რომაელია.

27. მივიდა ათასისთავი და უთხრა მას: მითხარი, მართლა რომელი ხარ? ხოლო მან თქვა: დიახ.

28. მიუგო ათასისთავმა: მე იმდენი ფული დავხარჯე, რომ რომის მოქალაქეობა მეყიდა. ხოლო პავლემ თქვა: მე კი რომაელად დავიბადე.

29. და მაშინვე დაეხსნენ ისინი, რომელთაც მისი წამება სურდათ, და თვით ათასისთავსაც შეეშინდა, როცა გაიგო, რომაელიაო, ვინაიდან შეაბორკვინა იგი.

30. ხოლო მეორე დღეს, რაკი სურდა დანამდვილებით გაეგო, რას სდებდნენ ბრალად იუდეველნი, ბორკილები შეხსნა მას, და ბრძანა, შეკრებილიყვნენ მღვდელმთავრები და მთელი სინედრონი, და გამოიყვანა პავლე, და მათ წინაშე დააყენა იგი.

თავი ოცდამესამე

1. პავლემ მზერა მიაპყრო საკრებულოს და თქვა: კაცნო, ძმანო, მე სინოდის მთელი სიწრფელით ვმოქალაქობდი უფლის მიმართ ვიდრე დღევანდელ დღემდე.

2. ხოლო მღვდელმთავარმა ანანიამ უბრძანა მის გვერდით მღვდომთ, ბაგეები დაეთეთქვათ მისთვის.

3. მაშინ პავლემ უთხრა მას: ღმერთი დაგთეთქვავს შენ, კედლო შეფეთქილო! შენ ზიხარ, რათა რჯულის თანახმად განმსაჯო, და ურჯულოდ ბრძანებ ჩემს ცემას?

4. ხოლო იქ მყოფებმა თქვეს: ღმერთის მღვდელმთავარს აგინებ?

5. და თქვა პავლემ: არ ვიცოდი, ძმებო, რომ ეგ მღვდელმთავარია; ვიხაიდან დაწერილია: უგვანი სიტყვით ხუ მიმართავ შენი ხალხის მთავარს,

6. და როცა მიხვდა პავლე, რომ მათ შორის ზოგნი საღუკეველნი არიან, ზოგნი კი ფარისევლები, ხმამაღლა შესძახა სინედრიონში: კაცნო, ძმანო, მეც ფარისეველი ვარ, ფარისევლის ძე, და ვისჯები იმის გამო, რომ მკვდართა აღდგომის იმედი მაქვს.

7. ამის თქმაც იყო, და ჩამოვარდა განხეთქილება ფარისეველთა და საღუკეველთა შორის, და შუა გაიყვნენ შეკრებილნი.

8. ვინაიდან საღუკეველნი ამბობენ, რომ არ არის არც აღდგომა, არც ანგელოზი, და არც სული; ფარისევლები კი აღიარებენ ყოველივე ამას.

9. და ატყდა ერთი ღრიანცელი. წამოდგნენ ფარისეველთა მხრიდან მწიგნობარნი, და ცილობის ნიშნად თქვეს: ვერაფერ ავს ვერ ვპოულობთ ამ კაცში; ხოლო თუ სული ან ანგელოზი ესიტყვა მას, ნუ ვეურჩებით ღმერთს.

10. მაგრამ რაკი განხეთქილება გამძაფრდა, ათასისთავმა, იმის შიშით, პავლე შუაზე არ გაგლიჯონო, უბრძანა მეომრებს, ჩასულიყვნენ მათ შორის, გამოეტაცნათ და ციხეში მიეყვანათ იგი.

11. ხოლო მეორე ღამეს თავზე დაადგა უფალი და უთხრა მას: მხნედ იყავ, პავლე, ვინაიდან როგორც მიმოწმე იერუსალემში, ისევე უნდა მიმოწმო რომშიც.

12. და როცა გათენდა, იუდეველები შეითქვნენ და ფიცი დადეს, არც ექა-

მათ და არც ესვათ, სანამ არ მოკლავდნენ პავლეს.

13. ხოლო ამ ფიცის დამდებნი ორმოცზე მეტი იყვნენ.

14. მივიდნენ ისინი მღვდელმთავრებთან და მწიგნობრებთან და თქვეს: ფიცით დავიფიცეთ, რომ ლუკმას არ ჩავიდებთ პირში, სანამ არ მოვკლავთ პავლეს.

15. მაშ, ახლა სინედრიონთან ერთად მოსთხოვეთ ათასისთავს, რომ ხვალ ჩამოგიყვანოთ იგი, ვითომ გსურთ უფრო გულდასმით განიხილოთ მისი საქმე; ჩვენ კი, ვიდრე მოახლოვდება, მზადა ვართ მოვკლათ იგი.

16. ეს ამბავი გაიგო პავლეს დისწულმა. წავიდა, ციხეში შეაღწია და უთხრა პავლეს.

17. ხოლო მან მოუხმო ერთ ასისთავს და უთხრა: ეს ჭაბუკი მიიყვანე ათასისთავთან, ვინაიდან რალაცა აქვს მისთვის სათქმელი.

18. მანაც წაიყვანა იგი, ათასისთავთან მიიყვანა და თქვა: პატიმარმა პავლემ მიხმო და მითხრა, შენთან მომეყვანა ეს ჭაბუკი, ვინაიდან რალაცა აქვს შენთვის სათქმელი.

19. ხელი მოჰკიდა ათასისთავმა, განზე გაიხმო და ჰკითხა: რაო, მაინც რა უნდა მითხრა?

20. ხოლო მან თქვა: იუდეველებმა განიზრახეს გთხოვონ, რომ ხვალ სინედრიონის წინაშე ჩაიყვანო პავლე, ვითომ უფრო გულდასმით სურთ მისი საქმის განხილვა.

21. მაგრამ ნუ ერწმუნები მათ, ვინაიდან ჩასაფრებულია ორმოცზე მეტი კაცი, რომლებმაც დაიფიცეს, არ ჭაძონ და არ სვან, სანამ არ მოკლავენ მას. და ახლა უკვე გამზადებულნი არიან შენი ბრძანების მოლოდინში.

22. ხოლო ათასისთავმა გაუშვა ჭაბუკი, და უბრძანა, არავისთვის ეთქვა, რომ მას აცნობა ეს.

23. მოიხმო ორი ასისთავი და უთხრა მათ: ღამის სამი საათისათვის მზად გყავდეთ ორასი ქვეითი, სამოცდაათი

ქართული
ენის
საზოგადოებრივი
მედიცინის
ინსტიტუტი

მხედარი და ორასი შუბოსანი, კესარე-
აში გასამგზავრებლად;

24. მზად გყავდეთ აგრეთვე სახედა-
რიც, რათა ზედ შესვან პავლე, და მძა-
რთველ ფელიქსთან მიიყვანონ იგი.

25. და დაწერა ასეთი შინაარსის წე-
რილი:

26. კლავდიუს ლისია მძლეთამძლე
მმართველს ფელიქსს, გინაროდეს.

27. ეს კაცი შეიპყრეს იუდეველებმა
და მოკვლას უპირებდნენ; მე მეომრე-
ბით მოვედი, და როცა გავიგე, რომ რო-
მაელია, გამოვიტაცე იგი.

28. მერე მოვისურვე გამოვო, რას
სდებდნენ ბრალად, და მივიყვანე მათს
სინედრიონში,

29. და მივხვდი, რომ ბრალს სდებ-
დნენ მათ რჯულის სადავო საკითხთა გა-
მო, მაგრამ სიკვდილის, გინდაც შეპყ-
რობის ღირსი ბრალი ვერაფერი ვუპო-
ვე მას.

30. და რაკი გავიგე, რომ იუდევე-
ლები შეითქვენენ მის წინააღმდეგ, მა-
შინვე შენთან გამოვგზავნე, და თახ
ბრალმდებლებსაც ვუბრძანე, რომ შენს
წინაშე ილაპარაკონ მასზე. იცოცხლე!

31. ხოლო მეომრებმა, ბრძანებისა-
მებრ, წაიყვანეს პავლე და ღამით მი-
იყვანეს ანტიპატრიდას.

32. მეორე დღეს კი მხედრებს გადა-
აბარეს ის, და ციხეში დაბრუნდნენ.

33. ხოლო ისინი მივიდნენ კესარეა-
ში, წერილი გადასცეს მმართველს და
წარუდგინეს პავლე.

34. წაიკითხა მმართველმა და ჰკი-
თხა, სადაური ხარო, და როცა გაიგო,
კლიციელიაო, თქვა:

35. მოგისმენ, როცა შენი ბრალმდებ-
ლებიც მოვლენ, და ბრძანა ჰეროდეს
პრეტორიუმში ჰყოლოდათ და თვალ-
ყური სჭეროდათ მასზე.

თავი ოცდამოთხე

1. ხუთი დღის შემდეგ მოვიდა
მღვდელმთავარი ანანია უხუცებსა და
ვინმე მკვერმეტყველ ტერტულუსთან

ერთად, რომლებმაც მმართველთან თქვე-
ვლეს პავლეს.

2. და როცა მოუხმეს მას, ტერტუ-
ლუსმა დაიწყო მისი ბრალდება და
თქვა:

3. შენი წყალობითა გვაქვს მყარი
მშვიდობა, და შენს მზრუნველობას ვუ-
მადლით ამ ხალხის კეთილდღეობას, რა-
საც მადლიერებით ვაღიარებთ ყველგან
და ყოველთვის, მძლეთამძლეო ფე-
ლიქს.

4. მაგრამ თავი რომ არ შეგაწყინო,
გთხოვ მოკლედ მოგვისმინო შენი მო-
წყალებით.

5. რაკი ეს კაცი მაგნებლად, მთელს
მსოფლიოში მცხოვრებ იუდეველთა შო-
რის შფოთის აღმძვრელად, და ნაზა-
რეველთა მწვალებლობის წინამძღვრად
ვცანით.

6. რომელმაც თვით ტაძრის შებილ-
წვაც სცადა, ამიტომ შევიპყრეთ და
ჩვენი რჯულისამებრ მოვინდომეთ მისი
განკითხვა.

7. მაგრამ მოვიდა ათასისთავი ლისია,
ძალისძალად გამოგეტაცა ხელიდან და
შენთან გამოგზავნა.

8. და მის ბრალმდებლებსაც გვიბრ-
ძანა, მოვსულიყავით შენთან. შეგიძლია
დაჰკითხო, და მისგანვე გაიგებ ყველა-
ფერს, რასაც ვდებთ ბრალად.

9. იუდეველებმაც დაუმოწმეს, სწო-
რედ ასეაო.

10. ხოლო პავლემ, როცა მმართვე-
ლმა ანიშნა ილაპარაკეო, თქვა: რაკიღა
ვიცი, რომ ამდენი წლის მანძილზე მა-
რთლად განიკითხავ ამ ხალხს, მით უფ-
რო თამამად ვილაპარაკებ თავის და-
საცავად.

11. რადგანაც შეგიძლია შეიტყო,
რომ სულ თორმეტი დღეა, რაც ავედი
იერუსალიმს თავყანასაცემად.

12. და არც ტაძარში, არც სინაგო-
გასა და არც ქალაქში დავუნახივართ,
რომ ვინმესთან მედავოს ან ამემბოხები-
ნოს ხალხი.

13. და ვერ დაამტკიცებენ იმას, რა-
შიაც აწ მდებენ ბრალს.

14. ხოლო იმას კი ვაღიარებ შენს

წინაშე, რომ იმ მოძღვრებით, რომელსაც ისინი მწვალებლურს უწოდებენ. ვმსახურებ მამების ღმერთს, და მწამს ყველაფერი, რაც დაწერილია რჯულში და წინასწარმეტყველთა მიერ;

15. და სასოება მაქვს ღმერთის მიმართ, რომ იქნება აღდგომა მკვდართა, მართალთაცა და ცოდვილთაც, რასაც თვითონვე მოელიან.

16. ამიტომ თავდაც ვიღწვი, რათა უმწიკვლო სინდისი მქონდეს ღმრთისა და კაცთა მიმართ მარადის.

17. მრავალი წლის შემდეგ მოვედი, რათა ვუძღვნა ჩემს ხალხს მოწყალება და შესაწირავი.

18. სწორედ შეწირვისას დამინახეს ტაძარში განწმენდილი, ხალხისა და შფოთის გარეშე,

19. ასიელმა იუდეველებმა, და სწორედ ისინი უნდა მოსულიყვნენ და შენს წინაშე ეჩივლათ ჩემთვის, თუკი რაიმე ჰქონდათ ჩემს წინააღმდეგ.

20. არადა ამათ თქვან, რა ბრალი ჰპოვეს ჩემში, როცა წარვდექი სინედრიონის წინაშე,

21. იმ ერთი სიტყვის გარდა, რომელიც შევსძახე მათ შორის მდგომმა, მკვდართა აღდგომა რომ მწამს, მიტომ მსჯით-მეთქი დღეს.

22. ეს რომ მოისმინა, ფელიქსმა, რომელიც კარგად იცნობდა ამ გზას, გადადო მათი საქმის განხილვა და თქვა: როცა ათასისთავი ლისია ჩამოვა, მაშინ გავარჩევ თქვენს საქმეს.

23. ხოლო ასისთავს უბრძანა, ედარაჯებინა პავლესთვის, მაგრამ ისე კი, რომ არ შეეწუხებინათ, და მისიანთაგან არავისთვის დაეშალათ მისი მსახურება ან ნახვა.

24. რამდენიმე დღის შემდეგ თავის იუდეველ ცოლთან, დრუზილასთან ერთად მოვიდა ფელიქსი, მოიხმო პავლე და იესო ქრისტეს რწმენის ამბავს ისმენდა მისგან.

25. და რაკი იგი სიმართლეზე, თავშეკავებასა და მომავალ განკითხვაზე ლაპარაკობდა. შეშინდა ფელიქსი და

თქვა: ახლა წადი, და როცა მოვიდეს მოგიხმობ შენ.

26. თანაც იმედი ჰქონდა, პავლე ფულს შემომადლევს თავდასასხნელადო. ამიტომ ხშირ-ხშირად უხმობდა და ესაუბრებოდა მას.

27. მაგრამ ორი წლის შემდეგ ფელიქსის ადგილი პორციუს ფესტუსმა დაიკავა. და რაკი სურდა იუდეველთათვის ეამებინა, ფელიქსმა პატიმრად დასტოვა პავლე.

თავი ოცდამეხუთე

1. ფესტუსი მოვიდა სამთავროში, და სამი დღის შემდეგ კესარეიდან ავიდა იერუსალემს.

2. მაშინ მღვდელმთავარი და იუდეველი დიდებულნი მივიდნენ მასთან პავლეს გამო,

3. ევედრებოდნენ და სთხოვდნენ, იერუსალემში მოეხმო იგი, გზაში კი ჩასაფრებასა და მოკვლას უპირებდნენ.

4. მაგრამ ფესტუსმა მიუგო მათ, რომ პავლეს კესარეაში დარაჯობენ, და მალე თვითონაც იქ მიემგზავრება.

5. ამრიგად, ვისაც შეუძლია, თქვა მან, ჩემთან ერთად წამოვიდეს, და თუ ამ კაცს რაიმე დანაშაული მიუძღვის, ბრალი დასდო მას.

6. რვა თუ ათი დღე დაჰყო მათთან, და კესარეაში დაბრუნდა. მეორე დღეს კი სამსჯავრო ტახტზე დაჯდა და პავლეს მოყვანა ბრძანა.

7. როცა მოვიდა იგი, გარს შემოერთყნენ იერუსალემიდან ჩამოსული იუდეველნი, რომელნიც ბევრ მძიმე ბრალდებას უყენებდნენ პავლეს, თუმცა არ შეეძლოთ დაესაბუთებინათ ისინი.

8. ხოლო მან თავის სამართლებლად თქვა: არც იუდეველთა რჯულის, არც ტაძრისა და არც კეისრის მიმართ არ შემიცოდავს.

9. ფესტუსს იუდეველთა მომადლიერება უნდოდა, და მიუგო პავლეს, და თქვა: იქნებ იერუსალემს გინდა აწვიდე, და იქ განისაჯო ჩემს წინაშე ამ ბრალდებათა გამო?

10. უთხრა მას პავლემ: კეისრის მსჯავრის წინაშე ვდგავარ, იქ, სადაც უნდა განვისაჯო. იუდეველთაგან არავინ შეუტაცებია, როგორც თავადაც მშვენივრად მოგეხსენება.

11. რადგანაც თუ დამნაშავე ვარ და ისეთი რამ ჩავიდინე, რომ სიკვდილს ვიმსახურებ, არ გავუბრძო სიკვდილს; მაგრამ თუ ყველაფერი, რასაც ისინი მამბრალებენ, მოგონილია, არავის შეუძლია მათ მიმცეს ხელში. კეისრის მსჯავრს ვუბნობ.

12. მაშინ ფესტუსი მრჩევლებს მოეთათბირა, და მიუგო მას: კეისარს უბნობ და კეისართანვე წახვალ.

13. რამდენიმე დღის შემდეგ აგრიბა მეფე და ბერენიკე ჩავიდნენ კესარიას, რათა მისალმებოდნენ ფესტუსს.

14. და რაკი კარგა ხანს დარჩნენ იქ, ფესტუსმა პავლეს საქმე გააცნო მეფეს და თქვა: არის ერთი კაცი, ფელიქსისაგან პატიმრად დატოვებული,

12. ვის გამოც, იერუსალემში ჩემი ყოფნისას, საჩივრელად მოვიდნენ იუდეველთა მღვდელმთავარნი და უბუცესნი, და მისი დასჯა მოხვდეს.

16. მაგრამ მე მივუხე მათ, რომ რომაელებს არ სჩვევიათ სასიკვდილოდ გასცენ ვინმე, სანამ ბრალდებულს პირისპირ არ წარუდგებიან ბრალდებულნი, და სანამ მას არ მიეცემა ბრალდებისაგან თავის მართლების ნება.

17. ხოლო როცა ისინი აქ მოვიდნენ, დაუყოვნებლივ, მეორე დღესვე დავჯექი სამსჯავრო ტახტზე, და ვბრძანე, მოეყვანათ ის კაცი,

18. ვის წინააღმდეგაც აღმდგარმა ბრალმდებლებმა ვერ წამოაყენეს ვერცერთი ისეთი ბრალდება, როგორსაც მოველოდი.

19. მაგრამ ისინი ედავებოდნენ მას თავიანთი სარწმუნოებისა და ვიღაც მიცვალებული იესოს გამო, ვისთვისაც პავლე ამტკიცებდა, ცოცხალიაო.

20. და რაკი ამ საქმის გარჩევა გამიჭირდა, ვუთხარი მას: ზომ არ გინდა იერუსალემს ახვიდე, და იქ განისაჯომეთქი ამ ბრალდების გამო?

21. მაგრამ პავლემ, მოეხიზნა, რომ გვეცლია ავგუსტუსის მსჯავრისად, და მეც ვბრძანე საპრობილემში გვეყოლოდა იგი, სანამ კეისართან გავგზავნიდი მას.

22. ხოლო აგრიბამ უთხრა ფესტუსს: მეც მინდა ამ კაცს მოვუსმინო. და მან მიუგო: ხვალვე მოუხმენ მას.

23. მეორე დღეს მოვიდნენ აგრიბა და ბერენიკე დიდის ბრწყინვალეებით, და ათასისთავებსა და უწარჩინებულეს მოქალაქეებთან ერთად შევიდნენ სამსჯავროში; და ფესტუსის ბრძანებით მოიყვანეს პავლე.

24. და თქვა ფესტუსმა: მეფეო აგრიბა და ყველა აქ დამსწრე კაცნო, თქვენ ხედავთ მას, ვის გამოც იუდეველთა მთელი სიმრავლე მომადგა იერუსალემში და აქაც, და ყვიროდნენ, რომ ეს არ არის სიციცხლის ღირსი.

25. მაგრამ მე მივხვდი, რომ სიკვდილის ღირსი არაფერი უქნია მას. და რაკი თვითონვე მოითხოვა ავგუსტუსის მსჯავრი, გადავწყვიტე მასთან გამგზავნა იგი.

26. და რაკი მის გამო დანამდვილებით ვერაფერს მივწერ იმპერატორს, ამიტომ მოვიყვანე ეგ თქვენს წინაშე, და, უწინარეს ყოვლისა, შენს წინაშე, მეფეო აგრიბა, რათა განიკითხო იგი, და მივხვდე, რა მივწერო.

27. რადგანაც უგუნურებად მიმაჩნია, პატიმარი გაუგზავნო და მისი ბრალდება კი არ ვაუწყო მას.

თავი ოცდამეექვსე

1. უთხრა პავლეს აგრიბამ: ნება გეძლევა, შენს თავზე ილაპარაკო. მაშინ პავლემ გაიწოდა ხელი და თავის დასაცავად თქვა:

2. მეფეო აგრიბა! ბედნიერი ვარ, რომ დღეს საშუალება მეძლევა შენს წინაშე ვიმართლო თავი ყოველივე იმისაგან, რასაც ბრალად მდებენ იუდეველნი.

3. მით უმეტეს, რომ იცნობ იუდე-



ველთა ყველა ჩვევასა და სადავო საკითხს. ამიტომაც გემუდარები, დიდსულოვნად მისმინო.

4. სიყრმიოვანვე მე ჩემს ხალხს შორის ვცხოვრობდი იერუსალემში, და ეს იცის ყველა იუდეველმა.

5. იმთავითვე მიცნობდნენ მე (თუკი მოწმობა სურთ), რომ, ჩვენი აღმსარებლობის უმკაცრესი მოძღვრების თანახმად, ვცხოვრობდი როგორც ფარისეველი.

6. და აწ სამსჯავროს წინაშე ვდგავარ იმის გამო, რომ იმედი მქონდა აღთქმისა, რომელიც ღმერთმა მისცა ჩვენს მამებს,

7. და რომლის აღსრულებამდე მიღწევის იმედიცა აქვს ჩვენს თორმეტ ტომს, დღედაღამ გულმოდგინედ რომ მსახურობენ ღმერთს. აი, ამ იმედის გამო მდებენ ბრალს, მეფეო აგრიბა, იუდეველნი.

8. რაო? ნუთუ დაუჭერებლად მიგაჩნიათ, რომ ღმერთი აღადგენს მკვდრებს?

9. მე თავადაც მეგონა, რომ ყოველნაირად წინ უნდა აღვდგომოდი იესო ნაზარეველის სახელს.

10. ასეც ვიქცეოდი იერუსალემში: მღვდელმთავართაგან უფლებამოსილმა მრავალი წმიდანი ჩავყარე საპყრობილეში, და როცა მათ ზოცავდნენ, ვეთანხმებოდი ამას.

11. ყველა სინაგოგაში მრავალჯის ვაწამებდი მათ, და ვაიძულებდი, ეგმოთ, და გამძვინვარებული ვსდევნიდი მათ, ვიდრე უცხო ქალაქებამდე.

12. სწორედ ამ მიზნით დამასკოს მიმავალმა, მღვდელმთავართა ხელმწიფებითა და ბრძანებით,

13. შუადღისას ვიხილე გზაზე, მეფეო, ნათელი ზეცით, რომელიც აღმატებოდა მზის ბრწყინვალეობას, და რომელმაც მომიცვა მეცა და ჩემი მზღებლებიც.

14. ყველანი მიწაზე დავემხეთ, და ჩამესმა ხმა, რომელმაც ებრაულად მიითხრა: საულ, საულ, რად მდევნი მე? გაგიჭირდება წიხლვა ღეზისა.

15. ხოლო მე ვთქვი: ვინა ხატარავნი ხართ? და მითხრა მან: მე ვარ იესო, რომელიც მელსაც შენ სდევნი.

16. მაგრამ აღეკი და ფეხზე დადექი; ვინაიდან იმისთვის მოგვევლინე, რათა დაგადგინო შენ იმის მოწმედ და მსახურად, რაც იხილე და რასაც გამოგიცხადებ,

17. და რათა განგარიდო ხალხსა და წარმართთ, რომელთა მიმართაც ამჟამად გგზავნი,

18. რათა თვალი აუხილო მათ, და მოიქცნენ სიბნელიდან სინათლის მიმართ, და სატანის ხელმწიფებიდან ღმერთის მიმართ, და, ამრიგად, ჩემდამი რწმენით, მიიღონ ცოდვათა მიტევება და წილხვედრი განწმენდილთ შორის.

19. ამიტომაც არ ვეურჩე, მეფეო აგრიბა, ზეციურ ხილვას,

20. არამედ თავდაპირველად დამასკოსა და იერუსალემს, შემდეგ კი იუდეველთა მთელს ქვეყანასა და წარმართებსაც ვუქადაგებდი სინანულსა და ღმერთის მიმართ მოქცევას სინანულის ღირს საქმეთა ქმნით.

21. ამიტომ შემიპყრეს იუდეველებმა ტაძარში და მოკვლა დამიპირეს.

22. მაგრამ, ღმერთის შეწევნით, დღევანდლამდე ვდგავარ, და ვუმოწმებ დიდსა თუ მცირეს, და არაფერს ვამტკიცებ, გარდა იმისა, რის გამოც წინასწარმეტყველნი და მოსე ამბობდნენ, რომ ასე უნდა მომხდარიყო,

23. რომ უნდა ვნებულიყო ქრისტე, და ჰარველი აღმდგარიყო მკვდრეთით, და ეუწყებინა ნათელი ხალხისა და წარმართთათვის.

24. ასე რომ იცავდა თავს, ფესტუსმა ხმამალა შესძახა: შმაგობ, პავლე! მეტიმეტ ცოდნას გაუშმაგებიხარ შენ!

25. ხოლო მან, — არ ვშმაგობ, — თქვა, მძლეთამძლეო ფესტუს, არამედ ქეშმარიტებისა და კეთილგონიერების სიტყვებს ვამბობ.

26. ვინაიდან იცის ეს მეფემ, ვის წინაშეც თამამად ვლაპარაკობ, ვერ დავიჭერებ, რომ აქედან მისთვის დაფა-

რული იყოს რაიმე; ვინაიდან ეს გადა-
კარგულში როდი მომხდარა.

27. გწამს, მეფეო აგრიბა, წინასწარ-
მეტყველთა? ვიცი, რომ გწამს.

28. ხოლო აგრიბამ პავლეს უთხრა:
ცოტაც და ქრისტიანად მაქცევ.

29. პავლემ კი თქვა: ღმერთმა ინე-
ბოს, რომ, ცოტათიც თუ ბევრითაც,
არა მარტო შენ, არამედ ყველა, ვინც
დღეს მისმენს, ისეთი გახდეს, როგო-
რიც მე ვარ, ცხადია, ამ ბორკილების
გარეშე.

30. ეს რომ თქვა, მეფე და მმართვე-
ლი, ბერენიკე და მათთან მსხდომნი
წამოდგნენ.

31. განზე გავიდნენ, და ერთმანეთს
ეუბნებოდნენ, რომ ეს კაცი, თავისი
ქცევით, არც სიკვდილს იმსახურებს და
არც ბორკილებს.

32. და უთხრა აგრიბამ ფესტუსს: შე-
იძლებოდა გავვეშვა ეს კაცი, კეისრის
მსჯავრი რომ არ მოეთხოვა.

თავი ოცდაშვიდი

1. როცა გადაწყდა ხომალდით ჩვენი
გავზავნა იტალიაში, პავლე და ზოგიე-
რთი სხვა პატიმარი ჩააბარეს აუგუს-
ტუსის რაზმის ასისტავს, სახელად იუ-
ლიუსს.

2. ავედით ადრამიტულ ხომალდზე,
და გავემგზავრეთ, იმ განზრახვით, რომ
ასიის სანაპიროს გასწვრივ გვეცურა,
და იყო ჩვენთან არისტარქე მაკედონე-
ლი, თესალონიკელი.

3. მეორე დღეს მივადექით სიდონს;
იულიუსმა კაცთმოყვარეობა გამოიჩინა
პავლეს მიმართ, და ნება დართო, მო-
ენახულებინა მეგობრები და მათ მზრუ-
ნველობას მინდობოდა.

4. მერე გავემგზავრეთ იქიდან და,
პირქარის გამო, გარს შემოვუარეთ კი-
პროსს.

5. გადავცურეთ ზღვა კილიკიისა და
პამფილიის გასწვრივ და ჩავედით ლი-
კიის მირაში.

6. სადაც ასისტავმა ნაზა იტალიაში

მიმავალი ალექსანდრიის ხომალდში
და დავესხა მასზე.

7. რამდენიმე დღის განმავლობაში
ნელა მივცურავდით, და ის იყო გავუს-
წორდით კნიდოსს, რომ ქარის გამო.
რომელიც წინსვლას გვიშლიდა, სალ-
მონესთან ჩავუარეთ კრეტეს.

8. რის ვაივაგლახით შემოვუარეთ
მას, და მივადექით კეთილ მისადგომად
წოდებულ ადგილს, რომლის მახლობ-
ლადაც მდებარეობს ქალაქი ლასეა.

9. მაგრამ რაკი საკმაო ზანმა განე-
ლო, და ცურვა გაძნელდა, ვინაიდან
მარხვა უკვე გასული იყო, პავლემ ურ-
ჩია

10. და უთხრა მათ: კაცნო, ვხედავ,
რომ მგზავრობა ძნელი იქნება და სა-
ხიფათო, არა მარტო ტვირთისა და ხო-
მალდისათვის, არამედ ჩვენი სიცოცხ-
ლისთვისაც.

11. მაგრამ ასისტავი უფრო მესაქე-
სა და ხომალდის პატრონს ენდობოდა,
ვიდრე პავლეს სიტყვებს.

12. და რაკი მისადგომი ხელსაყრელი
არ იყო გამოსაზამთრებლად, უძრავ-
ლესობამ განიზრახა გამგზავრებულის-
ვინ იქიდან, რათა, თუ შესაძლო იქნე-
ბოდა, კრეტეს ნავმისადგომ ფენიქსი-
სათვის მიეღწიათ, რომელიც, ერთის
მხრივ, სამხრეთ-დასავლეთის, ხოლო მე-
ორეს მხრივ, ჩრდილო-დასავლეთის ქა-
რებისკენაა მიქცეული, და იქ გამოე-
ზამთრებინათ.

13. დაქროლა სამხრეთის ქარმა, და
რაკი ეგონათ, ნატვრა აგვიხდაო, გაემ-
გზავრნენ და კრეტეს გასწვრივ გაცუ-
რეს.

14. მაგრამ მის საპირისპიროდ, მა-
ლე ამოვარდა გრიგალი, ეგრეთ წოდე-
ბული ევროკლიდონი,

15. ეძგერა ხომალდს და, რაკი მან
გრიგალს წინააღმდეგობა ვეღარ გაუ-
წია, ტალღების სათამაშოდ ვიქეცით.

16. და როცა ჩავუქროლეთ პატარა
კუნძულს, კლავდად სახელდებულს,
ძლივს შევიწარჩუნეთ ნავი,

17. რომელიც ამოათრის, და ყველა
საშუალება იხმარეს, რათა შემოესალ-



ტათ ზომალდი. მაგრამ რაკი შიშობდნენ, ვაითუ სირტისზე* აღმოვჩნდეთო, იალქნები დაუშვეს, და ისე მივქროდით.

18. და რადგან გრიგალი საშველს არ გვაძლევდა, მეორე დღეს ტვირთის გადაყრა დაიწყეს.

19. მესამე დღეს კი თავისი ხელით გადაუძახეს ზღვაში ზომალდის აღჭურვილობა.

20. მაგრამ რაკი რამდენიმე დღეს არც მზე ჩანდა და არც ვარსკვლავები, და კვლავინდებურად მძვინვარებდა გრიგალი, ბოლოს და ბოლოს, ხსნის ყოველგვარი იმედი გადაგვიწყდა.

21. და რაკი დიდხანს არაფერი გვეჭამა, პავლე ჩადგა მათ შორის და თქვა: კაცნო, უნდა დაგვეკვებინათ ჩემთვის, და არ გაშორებოდით კრეტეს, რითაც თავიდან აიცილებდით ამდენ ჭირსა და ვარაშს.

22. ახლა კი მოგიწოდებთ გამხნევდით, ვინაიდან არცერთ თქვენგანს არაფერი მოუვა, ზომალდის გარდა.

23. ვინაიდან ანგელოზი ღმრთისა, ვისიცა ვარ და ვისაც ვმსახურებ, მომეველინა წუხელ.

24. და მითხრა: ნუ გეშინია, პავლე! შენ გმართებს წარუდგე კეისარს, და აპა, ღმერთმა მოგმადლა ყველა შენი თანამგზავრი.

25. მაშ, მხნედ იყავით, კაცნო, ვინაიდან მწამს ღმერთისა, რომ ყველაფერი ისე იქნება, როგორც მეუწყა.

26. უთუოდ რომელიღაც კუნძულზე უნდა გავირიყოთ.

27. ზოლო მეთოთხმეტე ღამეს, რაც ადრიატიკის ზღვაში დავცურავდით, შუალამისას, მეზღვაურები მიხვდნენ, რომ რომელიღაც ზმელეთს ვუახლოვდებოდით.

28. გაზომეს სიღრმე, და გამოვიდა ოცი მხარი. ცოტა მოშორებით კვლავ გაზომეს, და გამოვიდა თხუთმეტი მხარი.

29. და რაკი შიშობდნენ, ვაითუ კლდეებს მივეხეთქოთო, ზომალდის ჩოდან ჩაუშვეს ოთხი ღუზა, და სასოებით დაელოდნენ განთიადს.

30. ზოლო რაკი მენავეებმა ზომალდისგან გაპარვა დააპირეს, და ნავი ჩაუშვეს ზღვაში, იმ საბაბით, თითქოს ზომალდის ცხვირიდანაც უნდოდათ ღუზის ჩაშვება, —

31. პავლემ ასისთავსა და მეომრებს უთხრა: თუ ესენი ზომალდზე არ დარჩებიან, ველარაფერი გიხსნიოთ.

32. მაშინ მეომრებმა გადაჭრეს ნავის თოკები, და ზღვაში ჩავარდა იგი.

33. განთიადისას პავლემ ყველას შესთავაზა პური ეჭამათ და თქვა: აგერ უკვე თოთხმეტი დღეა, რაც, მოლოდინში, უზმოდა ხართ, და ლუკმა არ ჩაგიდევთ პირში.

34. ამიტომაც გთხოვთ საჭმელი ჭამოთ; ეს საჭიროა თქვენსავე სახსნელად: რადგან არცერთი თქვენგანის თავიდან ერთი ღერი თმაც არ ჩამოვარდება.

35. ეს რომ თქვა, პური აიღო, ყველას წინაშე მადლი შესწირა ღმერთს, გატეხა და ჭამა დაიწყო.

36. მაშინ ყველანი გამხნევდნენ, და თავადაც ჭამეს.

37. ზოლო ზომალდზე ვიყავით სულ ორას სამოცდათექვსმეტი სული.

38. და როცა დანაყრდნენ, ზომალდს ტვირთი შეუშუსუბუქეს, და ზღვაში ჩაყარეს ზორბალი.

39. მაგრამ როდესაც გათენდა, ხმელეთი ვერ იცნეს; მხოლოდ შენიშნეს სანაპიროში შეჭრილი ყურე, რომელშიც გადაწყვიტეს ზომალდით შესვლა, თუკი შეძლებდნენ.

40. ახსნეს ღუზები და გაემართნენ, და მოუშვეს საჭის საკვრელნიც, ქარის მიმართ აღმართეს მცირე აფრა და ნაპირისკენ აიღეს გეზი.

41. მაგრამ წყალგამყოფ კლდეს დაეჯახნენ და მეჩეჩზე გამოკიდებულნი დარჩნენ. ზომალდი ცხვირით ჩაერჭო და გაქვავდა, ზოლო კიჩოს ტალღები ეხეთქებოდნენ და დამსხვრევას უქადდნენ.

42. მაშინ მეომრებმა განიზრახეს და-

* სირტისი — მეჩეჩი ლიბანის სანაპიროსთან.

ეხოცათ პატიმრები, რათა ვინმეს არ გაეცურა და არ გაქცეოდათ.

43. მაგრამ ასისტავმა, რომელსაც სურდა გადაერჩინა პავლე, ნება არ დართო მათ, და ბრძანა, ვისაც შეეძლო, პირველნი გადამხტარიყვნენ და ცურვით გასულიყვნენ ხმელეთზე,

44. დანარჩენებს კი ფიცრები ან ზომალდის ნამსხვრევები ჩაებლუჯათ და ასე გადაერჩინათ თავი; ამრიგად, როგორც იქნა, ყველამ მიაღწია ხმელეთს.

თავი ოცდამეხუთე

1. თავდალწეულებმა გავიგეთ, რომ კუნძულს მელიტე ერქვა.

2. ზოლო იქაურებმა უჩვეულო კაცთმოყვარეობა გამოიჩინეს ჩვენდამი, ვინაიდან, რაკი წვიმდა და ციოდა, ცეცხლი დაანთეს და შეგვიფარეს.

3. მაგრამ როდესაც პავლემ დიდძალი ფიჩხი შეაგროვა და ცეცხლს შეუკეთა, სიცხის გამო ანაზღად გამოძვრა გველი და მკლავზე შემოეხვია.

4. მის მკლავზე შემოგრაგნილი გველის დანახვისას იქაურებმა ერთმანეთს უთხრეს: ეს კაცი ნამდვილად კაცისმკვლელია, რაკილა ზღვისგან თავდალწეულს სამართალი უსწრაფებს დღეს.

5. მაგრამ მან ხელი გაიქნია, ცეცხლში შეაგდო გველი, და არა ვნებია რა.

6. მათ ეგონათ, გასივდება ან ახლავ მკვდარი თაეცემო; მაგრამ, რაკი დიდხანს ელოდნენ, და დაინახეს, რომ არაფერი ევნო, აზრი შეიცვალეს და თქვეს, ღმერთთაო.

7. იმ არემარეში მამული ჰქონდა კუნძულის მთავარს, სახელად პუბლიუსს, რომელმაც მიგვიღო და სამი დღის მანძილზე სტუმართმოყვარულად გვიმასპინძლა.

8. ზოლო პუბლიუსის მამა ლოგიხად ჩაეგდო ხურვებას და მუცლის გვრემას; შევიდა მასთან პავლე, ილოცა, ზეული დაადო, და განკურნა იგი.

9. ამის შემდეგ ყველა სნეული, ვინც კი იყო ამ კუნძულზე, მოდიოდა და იკურნებოდა.

10. სანაცვლოდ დიდმა პატიმრებმა და წასვლისას საგზობში მოგვიჩვენეს.

11. სამი თვის შემდეგ ჩავსხედით დიოსკურების ნიშნიან ალექსანდრიულ ზომალდში, რომელსაც კუნძულზე გამოეზამთრა.

12. ჩავედით სირაკუზაში, და დავრჩით სამი დღე.

13. წამოვედით იქიდან და მივადექით რეგიუმს, და რაკი ერთი დღის შემდეგ დაქროლა სამხრეთის ქარმა, მეორე დღეს ჩავედით პუტეოლისში.

14. იქ ვინახულეთ ძმები, რომლებმაც გვთხოვეს შეიდ დღეს დავრჩენილიყავით მათთან, და ასე ჩავედით რომში.

15. ჩვენი ამბავი რომ გაეგოთ, იქაური ძმები აპიუსის ფორუმსა და სამ ფუნდუკამდე გამოგვეგებნენ; მათი დანახვისას პავლემ მაღლი შესწირა ღმერთს და გამხნევდა.

16. რომში რომ შევედით, ასისტავმა პატიმრები გადასცა მხედართმთავარს, პავლეს კი ნება დართეს ცალკე ეცხოვრა, მის მეთვალყურე მეომართან ერთად.

17. ზოლო სამი დღის შემდეგ პავლემ მოუხმო წარჩინებულ იუდეველებს, და როცა შეგროვდნენ, უთხრა მათ: კაცნო, ძმანო, არც ხალხის წინაშე შემიცოდავს, და არც მამაპაპეული ადათის წინაშე, მაგრამ იერუსალემიდან მაინც შეკრული მიმცეს ზელში რომაელებს,

18. რომლებმაც განმსაჯეს და ჩემი განთავისუფლება უნდოდათ, ვინაიდან არა მქონდა სიკვდილის ღირსი არავითარი ბრალი.

19. მაგრამ რაკი იუდეველები მიპირისპირდებოდნენ, იძულებული ვიყავი, მომეთხოვა კეისრის მსჯავრი, მხოლოდ არა იმ მიზნით, რომ ბრალი დამედო ჩემი ხალხისთვის.

20. სწორედ ამიტომ მოგიხმეთ, რათა შეხილეთ და მელაპარაკა თქვენთან; ვინაიდან ისრაელის სასოების გამო მადევს ეს ზუნდები.

21. ზოლო იუდეველებმა უთხრეს

მას :ჩვენ არც წერილები მიგვიღია შე-
ნზე და ჩუდიდან, და არც რომელიმე
ჩვენს ძმას უთქვამს შენი ძვირი.

22. მაგრამ მაინც გვსურს მოვისმინოთ
შენგან, რას ფიქრობ; ვინაიდან
გვსმენია, რომ ამ მოძღვრების გამო
ყველგან დავობენ.

23. და დაუნიშნეს მას დღე, და მრავალნი
მივიდნენ მის სადგომში. და ის
დილიდან საღამომდე უხსნიდა და უძო-
წმებდა მათ ღმერთის სასუფეველს, და
ასწავლიდა, რას ამბობენ იესო ქრის-
ტესათვის მოსეს სჯული და წინასწარ-
მეტყველნი.

24. ზოგი ერწმუნებოდა მის სიტყ-
ვებს, ზოგი კი არა.

25. და რაკი ერთმანეთში ვერ შეთა-
ნხმდნენ და წასვლა დააპირეს, პავლეც
უთხრა მათ: კარგად თქვა სულმა წმი-
დამ თქვენი მამების მიმართ ესაია წი-
ნასწარმეტყველის პირით:

26. მიდი ამ ხალხთან, და უთხარი

მათ: სმენით მოისმენთ და ვეძინებთ
გებთ .ხედვით დაინახავთ და ვეწინააღმდეგობით
იხილავთ;

27. რადგან გამქისდა ამ ხალხის გუ-
ლი, და დაეწმინდა ყური და დაეცხრა
თვალი; რათა არ იხილონ თვალით, არ
იგრძნონ ყურით, და არ მოიქცნენ,
რომ განვკაჟონო ისინი.

28. მაშ, იცოდეთ, რომ ხსნა ღმრთი-
სა მოევლინა წარმართ; ამიტომაც ისი-
ნი მოისმენენ.

29. ეს რომ თქვა, იუდეველები წა-
ვიდნენ, და ცხარედ დავობდნენ ერთ-
მანეთს შორის.

30. ხოლო პავლე მთელი ორი წლის
განმავლობაში ცხოვრობდა იქ თავის
ნაქირავებ სადგომში, და იღებდა ყვე-
ლა მიმსვლელს,

31. ქადაგებდა ღმერთის სასუფეველს
და ასწავლიდა უფლის იესო ქრისტე-
სათვის თამამად და დაუბრკოლებლად.

თარგმანი ძველბერძნულიდან

□ შეგთგ ნოვერში: კათოლიკე ეპისტოლ-
ენი, კავლი მოციქულის ეპისტოლი
რომაელთა მიმართ□



ვანტანა ჯანაშიაძე

• • •

გადავთვალოთ გმირები თუნდაც მეასემდე —
ქრისტეს დაბადებიდან ცხრა აპრილის შემდეგ.

სირცხვილია, სიტყვებით თავს ინუგეშებდე —
ჩვენი წელთა აღრიცხვით ცხრა აპრილის შემდეგ.

აფეთქდება შინდისფრად დროშა ბორკილაცარილი
და სისხლივით იყივლებს აჩეხილი აპრილი.

• • •

ჩვენ ამაოდ დავეძებთ მთარგმნელს დელფინურიდან:
დელფინს პირი სავსე აქვს წყლით და მხოლოდ წყლით
და წყლით.

ჩვენ ვერ დაველოდებით პირწავარდნილ პურიტანს,
ვინც საზღაურს მოითხოვს წინასწარ და წინდაწინ.
ვერც დანიის პრინცსა და ვერც ესპანელ იდალგოს
ვერ გამოვედევნებით ფურცელ-ფურცელ-ფურცელ, —
თარჯიმანი გვჭირდება: რომ სიმართლე გვითარგმნოს
ადამიანურიდან — ადამიანურზე.

ტ ა შ ი ტ უ შ ი

გაუმარჯოს,
ერთდროულად ორთავ პალატაში
ვისაც ერთხმად ირჩევდნენ და ადიდებდნენ! (ტაში!).
ვისაც მთელი პარტერი და მთელი ბელეტაჟი
და ხუთივე იარუსი ტაშს უკრავდა! (ტაში!).
ვისაც ახლა რადიო-და ტელე-რეპორტაჟი
სამარეშიც არ ასვენებს, არ აყენებს! (ტაში!).
იმ სიმართლეს, ამ სიმართლეს გჟღის ცხრაკლიტულში
გაუმარჯოს! გაუ (ტაში!) მარჯოს (ტაში!)! ტუში!

პოეტმა უნდა დათესოს და ველარ უნდა მოიმკას;
 პოეტმა უნდა დასცინოს აღიარებულ მოდელს,
 დიდხანს არ უნდა იცოცხლოს: ან თავი უნდა მოიკლას,
 ან სხვისგან უნდა მოიკლას, ან ომში უნდა მოკვდეს!
 ბევრჯერ იქნება ცოდვილი, ბევრჯერ ყოფილა ნეტარი,
 ფერი დაჰკრავდა სისხლისა გზადაგზა ცრემლის მელანს,
 სახლს გაექცა და სარეცელს ლურჯა ცხენების მხედარი,
 ასი დემონი მოსდევდა სალაღობოს და მერანს.
 ვინ გვეტყვის: კარი აღსავლის კვლავ როდის ჩაირაზება?
 ვინ როგორ დაზარალდება? ვინ რამდენს ისარგებლებს?
 იისფერ თოვლში ლურჯები — ვინ გააქენა რაშები?
 რატომ მღერიან ბიჭები?
 რა აწუწუნებთ ბებრებს?

1937 — მესამე კუთხე

I

აქედან შეგაფურთხეს,
 იქიდან შეგიკურთხეს:
 ოთხივე კუთხეში ჯალათი დგას,
 დაეძებ მეხუთე კუთხეს.

II

ყოველთვის თვალს აცეცებდი,
 ჰბაძავდი პანტომიმას,
 ყოველთვის იმას ეძებდი,
 რაც არ არსებობს, იმას.

III

ცაში დაგეძებს ხარბი რადარი:
 შენ უკვდავების ხარ ბინადარი!

• • •

იყიდებოდა გიტარა —
 სიმებიანი ხვითო;
 თვითონ ჟღერავდა,
 მღეროდა,
 თვითონ ცეკვავდა,
 თვითონ.
 რა ტანი ჰქონდა,
 რა ტანი.

მარტო შეხედვა ღირდა,
 ფეხის წვერებზე ღებოდა,
 სადაფის ცრემლებს ღვრიდა...
 ახლა სად უნდა ვეძებო,
 ვის უნდა შევედავო,
 უღმერთოდ შეყვარებულო,
 ჩემო უფულო თავო.

კონტრასტი

ერონესული
ბიზლინოსეა

იძინებს ხარიზარია,
იღვიძებს ჭიამარია,
მზემაც სხივები არია, —
მოდის და მოუხარია...

და უცებ კონდარიან
ეზოდან ისმის არია:
— ჩვენ კარგად როგორ ვიქნებით,
კარგად ცუდები არიან?!

* * *

მე სიზმარში ხშირად ვხედავ ქუთაისის აივნებს:
ვარდის ჩაის შეექცევა, ვისაც ჩაის ჩაი ვნებს.
იწურება სალამო და ცხრება ქვა და ბეტონი,
ახალ მთვარეს ესალმება შენ ხარ ჩემი ბატონი.
ღვრიან დების გიტარები ხან სევდას და ხან იმედს
და უმცროსი მიაცილებს ნარდის აკომპანიმენტს.
მოაჯირებს ეკრძალება მორწმუნე და მოსავი
ჩემო ბატონოსავით და თვითონ ბატონოსავით.
მობრძანდება ნეტარი და მოდის უნეტარესიც,
ნახანძრალ და ნაგულისხმევ გუმბათებზე მთვარე ზის.
იმუქრება სიყვარულის სახიფათო ასაკი
და ყოველი აივნიდან იყურება აკაკი.

* * *

ჩქარობს მეისტორიე:
დროის საზღაურებით
გადარჩენილ პაპირუსს
ეძებს პაპირუსთანვე

და — ჰა და ჰა! — დღე დღეზე
ელის სასწაულივით —
რუსთაველის მეორეს
ან მეორე რუსთაველს.

* * *

ერთი და იგივე დამჩხავის ძერა,
ერთსა და იმავეს მპასუხობს ქვევრი,
მომწყინდა წერა და წერა და წერა
მარცხნიდან მარჯვნივ და ზევიდან
ქვევით.
ათასი ყურმილი იღვიძებს მყისვე,
აღვიძებს სიჩუმის გატრუნულ წიაღს,
გისმენთ და გისმენთ და გისმენთ და
გისმენთ,
ღიახ და ღიახ და ღიახ და ღიახ!
კითხვებით აივსო არე და მარე



და ქარში ანთებულ კელაპტარს
მიკრობს

მერემდე

და მერე

და მერეს მერე

მაქსი და მინი და მაკრო და მიკრო,
გრძელდება, გრძელდება ამბავი ესე
აქეთ და იქით და ასე და ისე,
ქარმაგი პაპები გარბიან რძეზე,
სათვალეს დაეძებს დიდება ისევ.

* * *

მიყურებს ძველი სურათი დედის:
დედა ჯერ კიდევ არ არის დედა:
მე მელოდება: არც მე ვარ მე და
არც უფლება მაქვს ამაზე მეტის...

...დავტოვე ნისლი სმოგის და დენტის,
ვარჩიე წმინდა საკმევლის კმევა:
მიმზერს ახალი საფლავი დედის
და მელოდება: მე უკვე მე ვარ!



დავით კვიციანი

რუსთაველის გამზირი

ცნობილ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს დავით კვიციანიძეს 70 წელი შეუსრულდა. ჟურნალ „მნათობის“ რედაქცია ულოცავს მას ამ მნიშვნელოვან თარიღს და უსურვებს ჯანმრთელობას, ღლეგრძელობას და შემოქმედებით წარმატებებს.

გაზაფხული ჩამოდგა სასტიკი და საზარი,
აპრილია, აპრილში არ უხდება თალზი მზეს.
სანდოდ დაგეშილებმა გადმოლახეს საზღვარი
და ტანკები მოავდნენ რუსთაველის გამზირზე.

რუსთაველის გამზირს სულ შვენის ანგელოზები,
მსახიობნი, ფერმწერნი, პოეტები — ღმერთები.
ფრიალებდა ქაშვეთთან საქართველოს დროშები.
დასარბევად მტერიც კი რომ ვერ გაიმეტებდა.

მტერი, — მტერი დაგინდობს, ლაზვარს ჩაგცემს მოყვარე,
აი, ჩემი სიმწარე, ჩემი კვნესა-წუხილი.
ღმერთო, ღმერთო, ამ დღემდე მე რატომ მოვიყარე,
რატომ გული არ გასკდა ცოტა ადრე, წუხელის...

გამარჯვების წადილი, რწმენა წმინდა, ნათელი,
ზრიალებდა სასახლის კარიბჭესთან ბოლომდი.
ხალხი ღამე ნატეხი, ხალხი ღამე ნათევი,
მღერით ეგებებოდა თავის დიად მოლოდინს.

ორღესული ნიჩბები, დანები და კეტები,
დახოცილი დედები, — დიდი ქალბატონები.
საკუთარ ხორცს იჭამდნენ პოეტები-ღმერთები.
ბოლმა სდულდა გულებში დაგროვილი ტონობით.
რუსთაველზე ჩამოსკვნა ქუთათური ვარდებიც,
ჩემი სულიც იქ იყო, შაოსანი, მწუხარე.
შორს, შორს გადიკარგვიან მურამწვანე ლანდები,
რუსთაველის გამზირი კვლავაც დაიმქუხარებს.

გაზაფხული ჩამოდგა სასტიკი და საზარი,
აპრილია, აპრილში არ უხდება თალზი მზეს.
მარადის იგიზგიზებს ჩემში ხსოვნის ზანძარი,
აჟ კი... ტანკებს რა უნდა რუსთაველის გამზირზე?

მე და ქუთაისი

სიზმრით, ცხადით, სისბლით, ზორციით,—
შენი ვარ და შენთანა ვარ მარად.
დარდით ნაღდით, ნაღვლით, ლოცვით,
ფეხუცვლელად ვდგავარ მე შენს ფარად.

გულით მთელით,
სისბლით ცხელით, —
შენი ძელქვის შტოცა ვარ და ფესვიც.
მე ვარ მწუხრი,
მე ვარ ცრემლი, —
დედის საფლავს მიწერილი ლექსის.

მწამდა ლხინის, ჳირის სუფრა,
სუფრის თავში მე თამადა-ღმერთი.
შენი ჳირის ჳირისუფალს,
სადღეგრძელო მომენატრა ერთი.

ველარ მოვისტუმრე ვალი,
შემოდგომის ამდენ ღვთიურ ფერთა.
ავი კაცის ზნე და თვალი,
ავი ზელი აგაშოროს ღმერთმა.

ერთგული და ერთგულება, —
ერთ კოცონზე ლუზღუზებს და იწვის.

მსაჭული არ შეგუღვევა,
რომ გატეზვა არ შეეძლოს ფიცის.

სიმართლის ჯოხს გადაბრიან,
(უკვე ვფიქრობ ჩემს სათუო ბედზე...)
და ცხელ ტყვიას დაგახლიან,
ლექსის მერცხლად ამოსაფრენ მკერდზე!

წყალნი ვლიან,
ქარნი ქრიან.
ფიქრის ლოდი მანამ უნდა ზიდო,
სანამ მიწას დაგაყრიან,
შენი მონურ ერთგულების ჳილდოდ!

მორჩა წყენა — გულდათუთქვა.
ჰა, მოვიდა, მოეხეტა დაღლა.
ჩემს საფლავზე ქუთათურთა,
დაე, აჩნდეს ნაბიჯების დამლა.

ჩემს საფლავთან ქუთათურთა,
სიტყვანი და სიმღერანი მესმას,
სხვა რამ მწადდა?
სხვა რა მსურდა?
საფლავიდან ამოვფრინდე ლექსად.

• • •

მიწა გვარჩენს და გვპატრონობს,
მიწამ გვშობა და გაგვზარდა.
მას ვეკითხები; — ბატონო,
ეს გზა მიგვიყვანს ტაძართან?

— არაო, დამსცა თავზარი,
— იქ მისვლა ძალზე ძნელია.
საძებნელია ტაძარი
და ის გზაც საძებნელია.

სიმაღლე

ეს გაზღავთ ჩემი სვეტიცხოველი,
თქვენ, ქალბატონო, რატომ იცინით?
აქ ერთად ბრწყინავს ფერი ყოველი,
აქ სული ფეთქავს, ვამბობ ფიცივით.

თქვენ გელიმებათ, მიბრძანეთ ერთი,
უძველეს მიწას ეწვიეთ როდის?
თმით ოქროსფერით, ღიმილით თეთრით,
შეგბედავთ ერთსაც, იღიმიით ოდეს,

მიცქერით ოდეს, ეკვით თამამით,
მე შებადება კითხვა და მჯერა,
იღიმიით ვითარც იასამანი,
ტაძრის რუბ გუმბათს როს აწვდენთ
მზერას.

ზომ არ გაშინებთ სიმაღლე ტაძრის?
ბრძანებთ; — ქართველნო, ზვედრი
გაქვთ მძიმე,
ტაძარი ესე არს დიდი განძი,
სიმაღლე მისი მე არ მამცირებს...

შემაკრთობს მზოლოდ, მერე
გალობა, —
შემძრავს, ვყუჩდები, თითქოს მეც
ვგალობ.
თეთრი ღიმილიც... თქვენ მიწყალობეთ,
სიმაღლის შიშის დათრგუნვის გამო.

რ ა ტ მ ?

სულ ნაბიჯ-ნაბიჯ,
სულ ბილიკ-ბილიკ,
მე ავდიოდი მალლა კიბეზე.
რა ეშველება იმ ჩემს სიყვარულს,
რომელიც მრჩება ბალის კიდეზე!

კვლავ ნაბიჯ-ნაბიჯ,
კვლავ ბილიკ-ბილიკ,
ახლა მშვიდობით დაშვებას ვნატრობ.
მუხლის კანკალით, მოღლილი გარჯით,
და მეკითხება ვიღაც ქილიკით:
ჩურჩულებს, მე კი მგონია ყვირის:
— ჰე, ბერიკაცო, იცინი რატომ,
— ვიციანი იმად, რად არა ვტირი.

თარი-არალე

რომანი

XXXIV

ახლად შემოსულ ხელისუფლებას ქალაქში გაეკრა მოწოდებები ქართულსა და რუსულ ენაზე. მოწოდებებს ხელს აწერდა ლენინი. ლენინი ითხოვდა წითელი ჯარისა და საერთო ხელმძღვანელთაგან, რათა საქართველოში არ გაემეორებიათ ის „შაბლონი“ (იგულისხმებოდა: ხოცვა-ჟლეტა და აონრება), რაიც ჩაედინათ რუსეთში.

ამის გამო ქალაქში არავინ დაუტუსალებიათ და არც სურვილს იჩენდნენ დატუსალებისა.

არც იმ მეომრებს სდევნიდნენ, რომელნიც წითელ ჯარს ებრძოდნენ. ქალაქში მშვიდობა იყო.

რუსის ჯარმა, რაკი სანაპირო ქალაქი დაიკავა, დასტოვა ქალაქში მცირე ნაწილი, ხოლო მთავარი ძალა გაემართა შორს.

რუსის ჯარი სიმრავლით ჰგავდა წყალ-დიდობას.

მალე ქალაქში სურსათ სანოვაგე დაილია და ისე, ვით მთელ საქართველოში დაიწყო შიმშილობა.

XXXV

რამდენიმე დღეა ილეოდა მატა.

მკურნალი, ძია ალექსი, აშკარად გაუბრბოდა ავადმყოფის ნახვას, თუმცა ამ ბოლო დროს არც ფერეულები აწუხებ-

დნენ მას, რადგან ჰხედავდნენ, რომ ავადმყოფი მომაკედავი იყო და მკურნალის ჩარევა მას მხოლოდ შეაწუხებდა.

სანაპირო ქალაქში სოლომონ ფერეულის ოჯახს დიდ პატივსა სცემდნენ; ამ ოჯახით კიდევ ამაყოფნდნენ; ხოლო განსაკუთრებით უყვარდათ მატა; ამიტომ გავრცელდა თუ არა ხმა მატას ავადმყოფობისა, მოქალაქეთ იწყეს სვლა ავადმყოფის სანახავად.

მოდოდნენ ქალაქში დარჩენილი ქალები თუ კაცები. ისინი მოდიოდნენ შავად ჩაცმულნი და აღსაყვანი მღუმარებით და ამ მღუმარებაში აგრეთვე სჩანდა მტრისადმი სამღურავი და მუქარა.

რადგან პირადად მატას ნახვა არ შეიძლებოდა, მოქალაქენი ცოტაოდებ ხანს სასტუმრო ოთახში იცდიდნენ, ემშვიდობებოდნენ ფერეულებს და უკანვე ბრუნდებოდნენ.

ჯერ კიდევ გუშინ ავადმყოფს ახველებდა და ხველების დროს უკანასკნელი ძალ-ღონით კვნესოდა. დღეს ავადმყოფი თითქოს დამშვიდდა. ის იწვა თვალეზ დახუჭული და ყოველ ამოსუნთქვის დროს სახე ოდნავ უთრთოდა. იგი არაფერს სჭამდა, არც წამლებს ღებულობდა. შინაურები მის ოთახში, რათა არ ეხმაურათ, ცერებზე დადიოდნენ, მხოლოდ მანანას ცერებზე სიარული სცხვენოდა; სცხვენოდა აგრეთვე ჩურჩულით ლაპარაკი. (განა ოჯახში რა-

მე საიდუმლოება გაჩნდა ისეთი რომელიც დედას უნდა დაუმალონ?) და მუდამ ცდილობდა მანანა, რათა დედის ოთახში თუ შინაურებთან ყოფნის დროს სახეზე შიში არ აღბეჭდოდა. ასეთი საქციელით მანანა ცდილობდა შინაურების, განსაკუთრებით, მამის გამხნევებას. ვერაფერი სჭრიდა.

ოჯახში ყველაფერი გამოცვლილი იყო.

დიასახლისობდა ბიცოლა ნინო, რომელმაც გუშინ თეთრეული გადააღაგა და ამ მუშაობის დროს (უთუოდ მას ეგონა თუ არავინ უსმენდა) სტიროდა და ჩუმი ხმით მოსთქვამდა.

— უბედურო მატა, უბედურო მატა!

მანანა შემთხვევით შემოვიდა და ხელათვე, ჩუმი და სწრაფად უკანვე გაბრუნდა, ასე რომ ბიცოლა ნინოს არაფერი შეუმჩნევია. მაშინ მანანა ლევანის ოთახში გაიქცა; ის იქ ატირდა ერთბაშად და თავშეუკავებლად, მაგრამ მოვალედ სთვლიდა თავს მამისათვის ყური ეგდო; ამიტომ თავის ხელს კბილებით ჩაეჭიდა, ჰკბენდა, რათა ხმაური დაეხშო და მისი ტირილი არავის გაეგონა. ოდეს მანანა ლევანის ოთახიდან გამოვიდა, იგი მოდიოდა მსუბუქად და ჩვეულებრივი ნაბიჯებით.

მამა ყოველ ნაბიჯზე აჩენდა თავის წუხილსა და კრთომას და აჩენდა ამას ავადმყოფის წინაშეც.

მანანას ფიქრით, ეს იყო დიდი უბედურება, რადგან კრთომისა და წუხილის გამოჩენას ავადმყოფი უნდა შეეწუხებია, თუნდაც მარტო იმითი, რომ ავადმყოფი იგრძნობდა, რომ მას მომაკვდავად სთვლიან და მის აღსრულებას ელიან.

ვერც ჰკადრა ბავშვმა მამას ვერაფერი.

ასე უქმად განაგრძობდა მანანა ქენჯნას. არ სტიროდა და მთელი უბედურებანი უკანასკნელ დღეთა მის ბავშვურ სულში გროვდებოდნენ მძიმე ვარამად.

დაღამდა.

ელექტრონის სინათლე იყო შეტად

ცუდი და მამამ ავადმყოფის წინაშე ნებართვა ითხოვა შანდალი.

ავადმყოფს ხმა არ ამოუღია, მხოლოდ ოდნავ ისმოდა მისი სუნთქვა, რომელიც ხან და ხან ისე მოულოდნელად სწყდებოდა, რომ ოთახში იქმნებოდა სიჩუმე.

ასეთი სიჩუმე იყო შიშის მომგვრელი.

მამამ, რა ავადმყოფმა ვერ უბასუხა, უნებურად ხელი ხელს მოუჭირა და ძვლებმა ხმაური მოიღეს; მანანამ ამას ვერ გაუძლო: მამა იყო ისეთი საბრალო და მან ხელები ისე მწუხარედ დაიმტვრია.

მანანა, რათა იქვე არ ატირებულყო, სწრაფად გარედ გავიდა.

მამამ სანთლები აანთო და შანდლით ხელში იგი უმწეოდ მიმოდოდა ოთახში და არ იცოდა შანდალი სად დაედგა. სანთლები ცაბცახებდნენ და ისროდნენ ლანდებს. ბიცოლა ნინომ მამას შანდლები გამოართვა; იქვე პაწია მაგიდა მდგარიყო და ზედ დასდო.

„გიშველა ღმერთმა ნინო!“ გულში დაბნეულად გაიფიქრა სოლომონმა. ნინო მხნედ იყო. არა თუ არაფერი ემჩნეოდა ნინოს, არამედ ვერც წარმოიდგინებოდა თუ იგი ოთახში ჩუმიად სტიროდა.

ავადმყოფი მარტო დასტოვეს და პაწია სასტუმროში გაიკრიფნენ და მიუსხდნენ ბუხარს.

მანანამ ბიცოლა ნინოს კალთაში თავი ჩასდო და ჩაეძინა. მის ირგვლივ მამა და თომა ისხდნენ; ეს ორი კაცი იყო მეტად საყვარელი და დღეს მეტად მწუხარე; ბიცოლა ნინო იყო თბილი და მისი კალთა იყო აგრეთვე თბილი.

საერთოდ ქვეყანა ათბა.

დღეს შუადღისით არც იყო ქარი, არც წვიმა, მაგრამ ისმოდა ზღვის გრგვინვა. ზღვა თითქოს აქეთ მოდიოდა. ეს იყო მეტად საამური და ცოტათი საშიში (აზრი რომ ზღვა ქალაქზე მოიწევს); და ის, რაც იყო საამური მანანამ დასწყევლა და იმ საამ-

მურისა დიდი ხანი სცხვენოდა, რადგან მას შეჭტვროდა მარტოდენ წუხილი. მხოლოდ ბიკოლა ნინო მის თმას ხელით ეხებდა; ეს არის აგრეთვე დიდათ საამური და მანანას ძალა არ ჰყოფნის სცხვენოდეს თვისი სიამოვნებისა.

შემდეგ მანანა სტირის: დღეს დილით დედამ ითხოვა, რათა ეზიარებინათ. აზიარეს. დედამ შემდეგ მამას ხელზე აკოცა. მანანასაც ხელზე აკოცა. მამა სტიროდა და ტირილით სთქვა:

— ღმერთო, რა შეგცოდნეთ ასეთი?

უეცრად, ისეთი რალაც ჩაესმა ძილში, თუ ისეთი რალაც იგრძნო, რაც ამდენ ხანს არც ჰსმენია, არც უგრძნია. მანანამ თვალები გაახილა. იგი ტანტუ დაეწვინათ და თხელი საბანი გადაეფარებიათ; თვითონ სადღაც წასულიყვნენ და მანანა მარტო დაეტოვებიათ. ბავშვი შიშმა აიტანა. იგი გაიქცა დედის ოთახისაკენ; დედის ოთახში მამას ბიკოლა ნინოს მხარზე თავი მიეყრდნო და სტიროდა. დედის თავთან იდგა თომა და ხელით დედის თვალთა ქუთუთოებს ოდნავ დაჰბჯენოდა. თომას ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა სახეზე. დედა, სრულიად გაყვიტლებული, აღარ სუნთქავდა.

მანანა მიხვდა.

ვერც ხმის ამოდება შესძლო, ვერც ნაბიჯი გადასდგა, არამედ გონება მიხდილი იტაკზე დაენარცხა.

XXXVI

იმ ღამესვე გაჰზავნეს თომა დავითნის მკითხველის მოსაყვანად. თომა ზღვის პირად გავიდა. იქ, ერთ პატარა სახლში სცხოვრობდა მოხუცი ძია ივანე. იგი გარდაცვალებულთ უკითხავდა სამღვთო წერილებს.

ივანე სახლში იყო. თაფლის სანთელი ენთო და მის სინათლეზე ხმა მალა ჰკითხულობდა დაბადებას. თომას მოსვლაზე მან კითხვა შესწყვიტა და, რა მოისმინა მატას გარდაცვალების ამბავი, ნელა წამოდგა, პირჯვარი გადაიწერა და სთქვა:

— წმინდაო ღმერთო, წმინდაო ღმერთო, წმინდაო უკვდავო, შეგვიწყალენ ჩვენი!

პაწია სანთელი უმწეოდ ცახცახებდა და მის შუქზე თომა ვერაფერს ჰხედავდა. ძია ივანე უთუოდ წასასვლელად ემზადებოდა. იგი ოთახში ნელა მიმოდოდა და ლაპარაკობდა, მაგრამ ისე ხმა დაბლა და ისე წრფელად (რაშიაც ოდნავ, ოდნავ ნაღველიც ჰკრთოდა), თითქოს თომას კი არა, თავის თავს ესაუბრებო. ძია ივანე, რამდენიც გამოჩნდა პაწია სანთლის არეში, სჩანდა მეტად მალალი, ხნოვანებისაგან ბეჭებში მოზრილი და გრძელი და თეთრი წვერულვაშიანი.

— დიდი პატივცემული მანდილოსანი ბრძანდებოდა მატა. და გიხარია ადამიანს წარმოდგენა იმისი, თუ რა ღირსეულად მოიხადა ქვეყნის წინაშე ვალი. დაგვიტოვა ძვირფასი ოჯანი, დაგვიტოვა მარგალიტივით შთამომავლობა. ახალგაზრდა იყო? ჰო, მაგრამ რას მოასწავებს ათეული წლები ეამთა სრბოლაში? არაფერს, ჩემო ბიძია თომა! ერთმა ბრძენმა ივანემ ბრძანა:

„ვინმე მწირი ხრიოკ უდაბნოში სცხოვრობდა.“

ერთ დილას, მშვიერ-მწყურვალნი იგი თავის გამოქვამულიდან გამოვიდა, რათა საზრდო რაიმე ეპოვნა.

ვნახოთ, დამშეული ლომიც სანადიროდ გამოსულიყო და რა მეუღაბნოე იხილა, შეუტია მას. მეუღაბნოე გაიქცა.

ერთი უზარმაზარი ხე უფსკრულის პირად იდგა. მეუღაბნოე ხეზედ ავიდა და ტოტზედ ჩამოჯდა, რომელი ტოტიც უფსკრულს გადაჰყურებდა. მაგრამ დახე უბედურებას: ტოტი ყოფილიყო ხმელი და იწყო ტოტმა მტკრევა.

თურმე ტოტში ფუტკრებს თაფლი ეშენებიათ. ფუტკრები აიშალნენ; ხოლო თაფლმა იწყო დენა.

ამავე დროს, უფსკრულის პირად ოდნავ დაკიდებულმა მეუღაბნოემ იგრძნო, რომ მის ფეხს რალაც სწვდება და

ქვანგებს ჰკრავს. მეუღაბნომ ჩაიხედა და დაინახა უფსკრულში ამართული, ხახა დაღებული ურჩხული; ხოლო ნაპირზე მას ელოდებოდა ლომი. მაშინ მიხვდა მეუღაბნომ, რომ ის იყო ლუკმა ან ერთის ან მეორესი, და უბედურმა თითით დაუწყო თაფლს ლოკვა, რათა შიმშილი მაინც მოეკლა და ცოტაოდენი სიამოვნება ეხილა“.

აიო, დასძენს ბრძენი, ჩვენი ცხოვრება მეუღაბნოს მაგონებს, ვიცით რაც გველის და მით უფრო გვესურს, რაც შეიძლება მეტი თაფლი გვევრდეს! იშვიათი წიგნია, უთუოდ მოგეხსენება, ჩემო ბიძია თომა, „სიბრძნე ბალავარისა“.

ივანე თავის თავს ესაუბრებოდა:

— საშინელებაა! დაასრულა მან და ოცნებაში შესულ კაცივით დაუმატა, და რაც დაუმატა, შეეფერებოდა ადამიანს, რომელსაც ბუნების სიძლიერე და სიდიადე უგრძნია და მოუნდომებია იქ თავისი ადამიანური ადგილი იპოვოს; რადგან დღეს ზღვა ღელავდა და ხმა ისეთი მრავალი და დაუსრულებელი ჰქონდა, რომ ადამიანურ მიმოქცევათა ყვირილი მასთან არაფრად გამოჩნდებოდა. ივანემ ეს დაუმატა:

— საშინელებაა და, თუ გნებავს, სასაცილოცაა. წავიდეთ, ჩემო ბიძია თომა!

XXXVII

მეორე დღესვე სოლომონ ფერეულის სახლის აივანზე, მგლოვიარების ნიშნად გაჰკიდეს ძაძა. ეს იყო ძველი ჩვეულება, აწ უკვე გადავარდნილი, და მისი განახლება სანაპირო ქალაქის მცხოვრებლებმა მიიღეს ვით ნიშანი, როგორც ოჯახური, აგრეთვე ეროვნული მგლოვიარებისა. მთელი ქალაქი მოდიოდა სოლომონ ფერეულის ოჯახში. მოქალაქენი ისეთი მშვიდი დუმილით ლებულობდნენ მონაწილეობას მგლოვიარებაში, რომ ემჩნეოდათ გადაწყვეტილება (რაც თავის თავად შე-

ქმნილიყო) არ ეცნოთ თავი დასაოცრებულად.

მოვიდა ვანო უთნელიძე და მისი დედა. ვანო სრულებით განკურნებულიყო, მხოლოდ სისუსტის გამო ფერნაკულულობა ემჩნეოდა. მანანას, მოულოდნელად სასტუმრო ოთახში შეხვდა. ორივენი ერთმეორის წინაშე შესდგნენ, მანანას ყვაველები მიჰქონდა ორივე ხელებით. მიჰქონდა დედისათვის. ვანომ უთხრა:

— მანანა, მონაწილე ვარ თქვენი მწუხარების!

ვანოს ხმა უტიროდა. მანანამ ცრემლიანი თვალები აარიდა მას:

— გამადლობთ! წყნარად სთქვა მანანამ და გაშორდა.

მოქალაქეებთან ერთად სოლომონ ფერეულის ოჯახში მოვიდა აგრეთვე მთავრობა. მთავრობა იყო ამ დროს ნავთსადგურის ერთი ქართველი მუშა. ის იყო ხნიერი და მეტად სინდისიერი კაცი. ის იყო რევკომის თავმჯდომარე.

თავმჯდომარე იმ განზრახვით მოვიდა, რომ სოლომონ ფერეულისათვის ეთქვა რაიმე, ეთხოვა რაიმე; ერთი სიტყვით: ამხანაგო ანუ მოქალაქე, ისე უნდა მოვიქცეთ, რომ არ გამოვიდეს დემონსტრაცია.

თავმჯდომარე, როგორც კომუნისტი, მოვალე იყო ყველასათვის მიემართა: „ამხანაგო“ ან უკიდურეს შემთხვევაში „მოქალაქე“, თავმჯდომარე კი დროგამოშვებით მიმართვაში გამოუჩნდებოდა „ბატონო“ს.

„ბატონო, ეს არ შეიძლება“.

სოლომონის ოჯახში ბატონი თავმჯდომარე ძალიან შეწუხდა. მას არაფრის განცხადებაც არ უნდოდა, მაგრამ ქალაქში ნამდვილი ხელისუფლება საგანგებო კომისია იყო, რომელშიაც შედიოდნენ რუსი მეზღვაურები. ისინი მოქმედებდნენ ფარულად და მათი ეშინოდა ბ-ნ თავმჯდომარეს. სოლომონის ოჯახში თავმჯდომარე ონისიმე ფერეულიძე მიიღო. თავმჯდომარე და ონისიმე ურთ-ერთს იცნობდნენ და ადვილად შეთანხმდნენ: თუ საგანგებო კომისია

იკითხავდა, აღმოჩნდებოდა რომ თავმჯდომარეს ზომები დროზე მიეღო; დანარჩენში კი საგანგებო კომისიის წინაშე პასუხისმგებლობას ჰკისრულობდა სოლომონ ფერეულის ოჯახი.

XXXIX

1918 წელს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით რუსეთმა ქალაქი ბათუმი გადასცა ოსმალეთს.

ბათუმი არის საქართველოს ერთი ვრცელი პროვინციის გული.

ბათუმი არის საქართველოს ქალაქი, ამიტომ საქართველომ დიდი დავის შემდეგ (ომიც ჰქონდა ოსმალეთთან ამის გამო) ბათუმი შეინარჩუნა.

ამით ქალაქ ბათუმის საკითხი თითქოს მოგვარდა.

ხოლო, როცა ბოლშევიკურმა რუსეთმა საქართველოს შემოუტია, ოსმალეთს ბათუმის დაპატრონების სურვილი კვლავ აღეძრა.

იგი დიდის ყურადღებით ადევნებდა თვალს ქართველ-რუსთა ომის ვითარებას და მოუთმენლად უცდიდა ხელსაყრელ მომენტს, როცა მის მიერ ბათუმის ხელში ჩაგდება შედარებით ადვილი გახდებოდა.

ასეთ შემთხვევად ოსმალეთს საქართველოს ჯარების საბოლოო დამარცხება მიაჩნდა.

და ამიტომ, როგორც კი ოსმალეთი დარწმუნდა, რომ ქართველთა სამხედრო ძალა სისხლდაცლილია, მან ბათუმში თვისი ჯარები შეიყვანა და ამ ქალაქის დაპყრობა განიზრახა.

მაგრამ მოხდა სასწაული! დამარცხებული ქართველი ჯარი აღსდგა, ჯარმა იომა და ბათუმი დარჩა საქართველოს.

XXXIX

მატარებელი, რომელიც სავსე იყო მეომრებით და რომელიც ბათუმში მოდიოდა, განთიადზე დადგა.

ლაღომისთანავე მატარებელს მოცვინდა ხალხი და შეიქნა გამალებული ფუსფუსი, თუმცა ეს იყო უბრალო მინდორი და არა სადგური ან რომელიმე სოფელი.

სხვებთან ერთად დაბლა ჩამოვიდნენ ლევან ფერეული და გივი ნადირაძე. ლევანი და გივი, ისე ვით ყველა სხვანი, იყვნენ დალილნი, ჭუჭყიანი და მშიერნი. ჩამოსვლისთანავე ლევანმა უნებური და ჩვეული მოძრაობით მკლავები გაშალა, მაგრამ გარემოს თვალი მოჰკრა და ისე მკლავებ გაშლილი შესდგა.

მის წინაშე გადაშლილიყო ლიბრი ზღვა, რომელიც მთელი თავისი სივრცით იყო წყნარი; მხოლოდ სილიან ნაპირებზე დაეყენებია თეთრი ქაფი და ამ ქაფში ზანტად ჩათბობილი ჰქმუოდა.

სილიან ნაპირებს მისდევდა ამაღლებული მწვანე მინდვრები, ბორცვები თუ სერები სავსე პალმებით, კვიპაროსებითა და მაგნოლიით. აქ არ იყო მარტი თოვლ-ჰყაპითა და სიცივით, ხოლო რაც იყო, ყველაფერი ეს: ზღვა და ხმელეთი და ზღვის გულზე ჩამოწოლილი თეთრი ბრწყინვალე ღრუბლები, ჰქმნიდნენ ისეთ სითბოს, ისეთ ფერებსა და ხმებს და ეს სითბო, ფერები და ხმები ისე იყვნენ ურთიერთთან შეთანხმებულნი, რომ მათ შემზღვარეს იტაცებდნენ და განაწყობდნენ დიდ სურვილთათვის. ყოველი ადამიანი თავისებურად გამოხატავს თავის აღფრთოვანებას, ზოგჯერ სრულებით არ მცოდნე იმისი, თუ იგი აღფრთოვანებულია.

მეომრები ასეთ სანახაობის წინაშე უნებურად იწყებდნენ ნელსა და ღრმა სუნთქვას, თან ირგვლივ იცქირებოდნენ, იქნებ თვალემა გაეძლოთ.

ასეთ საქციელს არა უშავდა რა, მხოლოდ როდესაც ლევანი დადუმებული შესცქეროდა ზღვას და ამ ცქერით მთელს მის არსებაში წარმოიშობოდნენ გარკვეული ხმები გინა სახეები, რომლნიც ჰქმნიდნენ მეტად სათუთსა და განუმეორებელ სიტკბობას, ამ დროს

გივი ნადირაძე თავს დასდგომოდა და დაუცხრომლად ლაპარაკობდა: ესეც აღფრთოვანებით, თორემ გივის ამდენი არასოდეს არ ულაპარაკნია.

ლევანი ცდილობდა გივი არ მოესმინა და რომ ცდილობდა მართო ეს ურღვევდა მას სულის სიტკბოებას.

მატარებელმა იყვირა, სულ ცოტა ხანი იდგა აქ მატარებელი. ლევანმა მოულოდნელი გაბრაზებით შეჰხედა გივის. გივის ქერა და ლამაზ სახეზე ჰაბუკური რბილი წვერები აჩნდა; ტუჩებზე ჭუჭყის შავი ზოლი გადაჰკროდა და დაუბანელი თვალები უელვარებდნენ.

ლევანმა გაიფიქრა: „აღფრთოვანებულია! კარგი რომ თავი შევიკავე და არაფერი უთხარი, ეწყინებოდა“.

ლევანმა გივის მკლავში ხელი ჩაავლო და რონოდან აიყვანა. გივი ლაპარაკობდა. მეგობრები ფანჯარასთან იდგნენ და ირხეოდნენ, ვით ირხეოდა მატარებელი. რამდენიმე ათეული მეომარი მატარებლის დადგომისას ჩამოსულიყო. ისინი ჯარისკაცული ნივთებით დატვირთულნი, გამოჩნდნენ შორს მიწოდორზე.

მატარებელში ფანჯრები დაეღოთ.

ჰქროდა ქარი მლაშე ზღვისა და მუქი ალენდრების, მაგრამ ხანდაზმით მაინც ისმოდა სუნი საძაგელ თუთუნისა და სხვათა.

გივი ლაპარაკობდა:

— წავაგეთ, ლევან, ომი, რა გაეწყობა! შენ რა გიჭირს, ბიძია, წახვალ საზღვარგარეთ, სწავლას დაასრულებ; მე კი ეს არ შემიძლია. ვერ დავტოვებ მოხუც დედას. ჯერ ამაზე რამდენი მემუღარა! საწყალი დედა, რა უნდა ჰქნას? ჩემს გარდა ორი პატარა კიდევ არის; ბიძები გვეხმარებიან, თუმცა ბიძები მდიდარი ხალხია.

ჰო, როგორ გაეხარდება დედას ეხლა რომ მნახავს! შენ აუცილებლად ჩვენთან წამოხვალ, ლევან! მართლა იმდენად ღარიბები კი არა ვართ, არ შეშინდე...

და გივი იცინოდა. ის იყო კმაყოფილი,

რადგან ომგადანდელი ბოლოდღე ბოდა სახლში. ის ნახავდა დედას, პატარა ძმებს, ბიძებს, ნაცნობებს, ყოველივე ეს უქადდა სიამოვნებას.

ომ-გადანდელი ლევანიც იყო, მაგრამ არა თუ სიამოვნებდა, უბრალო კმაყოფილების გრძნობაც არ გაჰკარებია მას.

მან არ იცოდა დედის გარდაცვალება, არც კოტეს ამბავი.


ლევანი ფანჯრიდან გაჰყურებდა ზღვასა და ზღვის აყვავებულ ნაპირებს და მიუხედავად გივის ლაპარაკისა, საიდანაც ზოგიერთი სიტყვები-ღა წვდებოდნენ მის ცნობიერებას, ჰფიქრობდა თავისას.

არაფერი გადაწყვეტილი არ ჰქონდა ლევანს და არ იცოდა, როგორ მოიქცეოდა ამა თუ იმ შემთხვევაში. მართალია, წუხელის მან სცადა რაღაც გემისდაგვარის შედგენა, მაგრამ ბორბლების ხმაურში ჩასძინებოდა და განთიადზე დაასკვნა: ისე მოქცეულიყო, როგორც უკანასკნელ წუთში ამჯობინებდა. ამითი დამშვიდდა, რადგან გამოცდილებით იცოდა, რომ არასოდეს თავისი სურვილის წინააღმდეგ არ მოიქცეოდა. მაგალითად, გივის დაეთანხმა სახლში სწევოდა, მაგრამ იცოდა, რომ მასთან არ წავიდოდა და რათა ზედმეტი ლაპარაკი და კამათი არ შეედგინა, ამ გარემოებას გივის უკანასკნელ წუთში ეტყოდა.

ბათუმში უეჭველად შეხვდებოდა ვინმე ნაცნობს, მაგრამ ეს არ უნდა ყოფილიყო ნიკო თელიასანი; არც ანიკო ბადრიძის ქალთან წავიდოდა, თუმცა ანიკო მდიდარ ბიძასთან სცხოვრობდა და მცხეთაში გამოთხოვებისას ლევანს მისამართიც მისცა.

უნდა ითქვას, რომ მაშინდელი აზალგაზრდობა დიდი პატივისმცემელი იყო ევროპისა და, რა ტფილისიდან ჯარმა დაიხია, მრავალს, და მათ შორის ანიკოსა და ლევანს, დაებადა აზრი საზღვარგარეთ წასვლისა.

ამრიგად ლევანი საზღვარგარეთ აპირებდა; ამისთვის უთუოდ საჭირო იყო ნებართვები, ნაცნობობა და დიდად სა-



სარგებლო იქნებოდა ბიძია ნიკო, მაგრამ სწორედ ნიკო თელიას შეწუხება არ სურდა ლევანს.

მატარებელი მიუახლოვდა ბათუმს. შორიდან ქალაქი გამოჩნდა თეთრი და მდუმარე, თითქოს იქ არავინ სცხოვრობდა, არამედ აეგოთ მარტოოდენ ზღვის დასამშვენებლად, ქალაქის პირდაპირ ზღვის დიდ მანძილზე უმოძრაოდ იდგნენ გემები, ზომალდები, სანდლები; ისინი იყვნენ მრავალნი, სხვა და სხვა ზომისანი და ზოგი მათგანი უშვებდა ბოლს.

გემების დანახვაზე ლევან ფერეულმა წარბები შეიკრა; მას (როგორ არა!) უყვარდა ზღვა, ზომალდები, მაგრამ ამ უამად აშკარად წარმოუდგა, რომ რომელიმე მათგანით ის უნდა გამგზავრებულიყო შორს და დაეტოვებია აქაურობა იქნებ დიდი ხნით.

დედა მაინც ენახა... სანაპირო ქალაქი არ სჩანდა და ის ადგილი, სადაც იგი უნდა ყოფილიყო, მოცული იყო ნისლით.

ცოტათი გულს აკლდა ახალგაზრდა ფერეულს თვისი ქალაქის მოგონება შედარებით იმ ბრწყინვალეობასთან, როგორც, ეტყობოდა, უნდა ყოფილიყო ბათუმი.

„ჰო, ეს არაფერია, ორივენი ეკუთვნის საქართველოს... და ასე მოულოდნელად წასვლას დედა აპატიებს მას; სამაგიეროდ, პირველი ბარათი გაეგზავნოს საყვარელ დედას. წერილი დაიწყება ასე:

„ჩემო ძვირფასო დედა! ღმერთია მოწამე რომ გამგზავრების წინ თქვენზე ვფიქრობდი და ვწუხდი...

ამგვარად გართულ ფერეულს გამოჰპარვოდა, თუ მატარებელი ქალაქში როგორ შევიდა.

ორთქლმავალს ეყვირა. მატარებელი ლიანდაგიდან ლიანდაგებზე ხტომითა და ხათქუნით გარბოდა რონოდებით მოცულ სადგურზე.

მატარებელი საბარგო სადგურზე გაჩერდა და ჯარმა, რომელსაც აწ უკვე არც უფროსი ჰყავდა, არც სახელწოდება ჰქონდა და მხოლოდ იარაღითა და ჩაცმულობით იყო ჯარი, უწესრიგოდ იწყო დაბლა ჩამოსვლა.

ლევანი და გივიც ჩამოვიდნენ. საბარგო სადგური, სანამ თვალი მისწვდებოდა და იქითაც, სადაც ვერ წვდებოდა თვალი, სავსე იყო რონოდებით.

ზოგიერთ რონოდას ედგა თოფიანი გუშაგი, თუმცა ხალხი, მზრუნველობით აღსავსე და უმეტესად ჯარისკაცობა, ისეთნაირი თავისუფლებით მიმოდოდა ყოველგან, როგორც შეფერისთ კირისუფალთ, რომელნიც წეს-რიგს ემორჩილებიან, თუმცა ეს წეს-რიგი მათივე დადგენილია.

ეს გამოხატულება კირისუფლებისა ლევანმა იმ წამსვე შენიშნა და იამა. მისი ფიქრით, ასეთ ხალხს შეეძლო სახელმწიფოს აშენება და არაფერი იყო საკვირველი იმაში, რომ ძველთაგანვე ამავე ხალხს ეშენებია ძლიერი და გონიერი სახელმწიფოები. მასალა, რომლითაც სახელმწიფო აიგება, იყო კარგი.

გარდა ამისა, ლევანმა, რომელიც ბათუმში პირველად იყო, თვალი მოჰკრა ჩაქურად ჩაცმულ მოქალაქეებს; ესენი იყვნენ მაჰმადიანი ქართველები; ისინი, აღსავსე ბუნებრივი სიამაყით, მიდიოდნენ მსუბუქად და ლაპარაკობდნენ გამყიფიანი ხმებით.

გივი ნადირაძისათვის ყოველივე ეს ნაცნობი იყო. გივი ცდილობდა ჩქარა ევლო და ყოველ ნაბიჯზე იძახდა — ჰეი, უკაცრავად, გაგვატარეთ!

ლევანს მატარებელში ფეხი დაჰბუყებოდა და თოფითა და ვაზნებით დატვირთული მისდევდა გივის. გივი ხშირად დგებოდა, რათა ხალხი გაერღვია, და ლევანი ზურგზე აწყდებოდა მას.

ირგვლივ ხალხი, რალაც განრისხებული და მუქარის ხასიათზე მოსული,

ქვემოთაა

ახსენებდა ოსმალსა და ოსმალეთს. რალაც ამბავი იყო.

— რა მოხდა, ხალხო, რაშია საქმე? ერთს ჭარისკაცებისა და მოქალაქეების ჯგუფს გასძახა გივიმ. ჯგუფიდან უპასუხეს:

— თათარს ბათუმი მიაქვს!

ახალგაზრდები განცვიფრდნენ; ლევანმა წამოიძახა: — ჰერიპაა!

გივიმ თვალები დააჭყიტა; გაჯავრებული გამოიყურებოდა; ბოლოს შეიგინა და დაუმატა:

— ფეხებსაც ვერ მოგვკვამს! და ისევ შეიგინა.

— ხედავ, შენ...!? ლევანს ეუბნებოდა გივი და თან და თან ბრაზდებოდა; უეცრად გივი ლევანს მოუბრუნდა და სიხარულით მიაძახა:

— ე, ბიჭო, ვგერ ბადრიძის ქალი!

ლევანმა დაინახა ვიღაც მხედარი, რომელიც რონოდის წინ იდგა და მოწყალების დას (ეს ხდებოდა შორს) ჩამოსვლაზე ჰშველოდა.

მოწყალების და ანიკოს ჰგავდა და ეს იყო გაუგებარი, რადგან ანიკო ბიძის სახლში უნდა ყოფილიყო; ხოლო მხედარი ლევანმა იცნო; ეს იყო ბ-ნი დათუშა ანუ დათა. ლევანის ძმის კოტე ფერეულის ჭარის ამხანაგი, გუნდის უფროსი და ხარისხით კაპიტანი.

ლევანს ბატონი დათუშა უყვარდა, რადგან ბატონ დათუშას ძალიან უყვარდა ლევანის ძმა კოტე. ამის გამო ლევანს უნდა გაჰხარებოდა ბატონ კაპიტანის ნახვა, მაგრამ მან, ბ-ნმა კაპიტანმა, მოწყალების დას წელში ხელეები ჩაავლო, როდესაც ეს სრულიად საჭირო არ იყო, ბავშვივით დაბლა ჩამოსვა და ხელბზე, ორივეზე აკოცა. ლევანმა უნებურად ნაბიჯს უჩქარა. მას გული უცემდა და წინააღმდეგ მოლოდინისა თვალთ ოდნავ უბნელდებოდა. საზოგადოდ ლევანს გამჭრიახი თვალები ჰქონდა, მაგრამ ამჟამად იგი ამაოდ სჭკრეტდა მათ წინ მიმავალთ ქალსა და მხედარს.

საჭირო იყო ანიკოს გამოცნობა, თან ახალგაზრდა ფერეული თავის თავს მო-

უთხრობდა, რომ ეს არ იყო იქვეაზობა, რომ მას დასასრულ რდნაუდაც არ ანიაზებდა არც ანიკო ბადრიძის ქალი, არც მისი მშვენება და, თუ მიიჩქაროდა, მიტომ, რომ უნდოდა ენახა (ვალდებული იყო ენახა) ბატონი კაპიტანი, რადგან იქვე, საღდაც რონოდაში იქნებოდა კოტე და კაპიტანი ეტყოდა, სახელდობრ სად!

ამრიგად ახალგაზრდა ფერეული ჰკვილობდა თავისი თავის წინაშეც ამაყი ყოფილიყო.

გივიმ მას რალაც უთხრა; გივის სახე ჰქონდა იმედ გაცრუებულისა და მოწყენილის, მაგრამ ლევანმა ვერაფერი გაიგო.

მეგობრები, რომლებიც რონოდებს თან და თან შორდებოდნენ, რადგან საბარგო სადგური თავდებოდა, მიდიოდნენ ჩქარა და უახლოვდებოდნენ მხედარსა და მოწყალების დას.

ლევანმა ჯერ ბუნდოვნად შენიშნა, რომ მოწყალების დაა, რომელიც მხედარს მკლავში ხელგაყრილი მიჰყავდა, ცოტათი უფრო მაღალი იყო ვიდრე ბადრიძის ქალი და მიდიოდა არა ვარჯიშთა სვლით (სპორტული ნაბიჯით), არამედ ქალურად. რა ლევანმა ეს შენიშნა, სიხარულით მოუბრუნდა გივის.

— ანიკო არ არის! სთქვა ლევანმა და ხელათვე მიხვდა, რომ ამას წინად სწორედ ეს გამოუცხადა გივიმ. გივიმ გაიმეორა: დიახ, სასტიკად მოვტყუვდი!

მაშინ ლევანმა გაიცინა, მხარზე ჩამოკიდული თოფი გაისწორა და თავისდამოულოდნელად წინ მავალთ თავდავიწყებით დაუძახა:

— ბატონო დათუშა!

ამ დამახებაში კრთოდა დიდი პატივისცემა ბ-ნი დათუშასადმი და ეს იმის გამო, რომ მოწყალების დაა, რომელიც დათუშას ახლდა, არ იყო ანიკო ბადრიძის ქალი.

—ვის ეძახი, ბიჭო... გაოცდა გივი. ლევანს თვალთ მოწოლილი სისხლი გადასვლოდა და რადგან თავის წინაშე კოტეს მეგობარს ჰხედავდა, უდავოა,



კოტეც აქ იქნებოდა და ლევანი განიცდიდა, თუ როგორ ჩაპკოცნიდა იგი თავის ძმას და როგორ გაუღიმებდნენ ისინი ერთი მეორეს; ამის მოლოდინში გული იღლებოდა და ასეთ დაღლილობაში იყო გამოთქმული სიტკბოება.

ლევანის დაძახებაზე მხედარი შესდგა და გაჯავრებული სახე მოიბრუნა.

— ვინ არის, ბიჭო? შემკრთალი ხმით იკითხა გვიგამ.

— მშვენიერი ბიჭია, იშვიათი ბიჭია! ლაპარაკობდა ლევანი და ღიმილით მიიჩქაროდა ბ-ნ დათუშასაკენ.

დათუშა იყო ოცდაათი წლის კაცი; მაღალი, გამხდარი, ტან-წერწეტი. ეცვა წყლის ფერი ჩოხის ხალათი და ეხურა დაბალი ბუხრის ქუდი. ატარებდა ხმალსა და ყელიან წაღებზე ღეზებს.

მან ლევანი იცნო და ღიმილით წამოიძახა:

— ო, უნცროსი ფერეული!

იგი ლაპარაკობდა მაღალი ხმით.

— სალამი, ბატონო დათუშა! როგორ ბრძანდებით? კოტეც სად არის? ზედიზედ წარმოსთქვა ლევანმა.

დათუშამ ჯერ გადაიხარხარა: ჰა-ჰა-ჰა... და შემდეგ მოჰყვა ამბავს: — ვითხოვ პატიებას, მარა კოტეც ტყვედ ჩავარდნილია; თურმე ვიღაც მანდილოსანს იარსიყებოდა და გაქცევა უსირცხვილებია.

დათუშა გრგვინავდა: მან იცოდა ასეთი ლაპარაკი და ლაპარაკში ხშირად ითხოვდა ბოდიშს: გთხოვთ მომიტევოთ, ვითხოვ პატიებას; ეს აძლევა მას განსაკუთრებულ ელფერს, ელფერს გულუბრყვილო კაცისა, თუმცა ბატონ დათუშას თავის თავი მხოლოდ თავაზიან კაცად წარმოედგინა.

დათუშა მოწყალეების დას მოუბრუნდა.

— ძვირფასია კოტეც ფერეული! არა, ქალბატონო ქეთევან!

ქალბატონი ქეთევანი ლევანსა და გივის თვალებ მილულული ათვალერებდა; მან იცოდა დათუშას ლაპარაკი, რაშიაც ხშირად შართალს ხუმრობისაგან ვერ გაარჩევდი. მაგალი-

თად დათუშა ეხლა ხუმრობდა, მხოლოდ ერთჯერ ათასეულის უფროსთან ჩაიზე მიწვეული იყო და, როდესაც უფროსის მეუღლემ ჰკითხა:

— როგორ მოგწონთ ნამცხვარი, ჩემი გაკეთებული გახლავთო — დათუშამ უპასუხა:

— არ ვარგა, ქალბატონო, არ ვარგა!

დათუშა მაშინ არ ხუმრობდა. დიასახლისს ჯერ ეწყინა, შემდეგ სხვებთან ერთად ისიც იცინოდა.

დათუშა ძლიერ უყვარდათ, რადგან მას იცნობდნენ, მაგრამ იქნებ ეს ახალგაზრდები ვერ იცნობდნენ მას! ამიტომ მოწყალეების დამ უსაყვედურა:

— ბეჩა, რავა გეკადრებათ, ბატონო დათუშა!

— ჰო, მართლა, მამატიე, ჩემო ლევან — უკვე წარბ შეკრული, უხუმრად ამბობდა დათუშა:

— კოტეც მართლა ტყვედ ჩავარდნილია, მხოლოდ არსიყობის ამბავი ჩემი გამოგონილია.

დათუშამ ეს სთქვა და ხელათვე დაიწყო ლაპარაკი იმ საგანზე, რაიც მას აღელვებდა და რაზედაც უთუოდ ამას წინად ლაპარაკობდა:

— არა, როგორ მოგწონთ ოჯახში თათარი? თათარი, ბატონო, ვითხოვ პატიებას...

ლევანი, რომელიც რატომღაც დარწმუნებული იყო რომ ტყვეობაში კოტეცს საშიში არაფერი შეემთხვეოდა, გულდაწყვეტილი მიჰყვებოდა დათუშას და გრძნობდა, რომ მის მწუხარებას მხოლოდ გივი განიცდიდა. რა გაეწყობოდა, მხედრებში უთუოდ წესად იყო, არაფრად ჩაეგდოთ ტყვეობა, გინა სხვა ასეთი მოვლენა და ლევანი წესს ემორჩილებოდა და ხმა გაკმედილი ისმენდა დათუშას, რომელიც ჰღელავდა, რომელიც ილანძლებოდა და ამის გამო ხან ქალბატონთან ითხოვდა ბოდიშს და ხან ბატონთან:

— მესმის, ბატონო, რუსეთმა დაგვამარცხა! ის კაცი მრავალია და ღონე აქვს, როცხა იქნება ჩვენ გაესწორ-

ერისნულნი
ბათუმის დანქანები

დებით, მაგრამ თათარი, ბატონო!! ჰაი მოკვდეს მაშინ კაპიტანი დათუშა, მმმ... კაპიტანი ბობოქრობდა და გადადიოდა ყვირილზე. იგი კბილებს აღრქიალებდა და მაშინ ქალბატონი ქეთევანი სახელოებზე ეტანებოდა მას, რათა კაპიტანი დამშვიდებულიყო:

— ბეჩა დათუშა, რა მოგივიდა?

ისინი (დათუშა, ქეთევანი, ლევანი და გივი) ხალხში მიდიოდნენ, მაგრამ ხალხი იმდენად იყო ვარაშით აღსავსე, რომ დათუშას ყვირილს არავინ აქცევდა ყურადღებას და თუ ვინმე აქცევდა, უთუოდ თანაგრძნობით. დათუშა მშვიდდებოდა და იწყებდა დაბალი ხმით:

— არა ბატონო! მე შესმის ვიცნა ძლიერება, სხვას რომ თავი დავახეზოთ, თუ გინდ სპარსეთისა და არაბეთის; ამ ხალხს აქვს წარსული კულტურა, აქვს შემოქმედება, რაღაც უშენებია, ჰყავს დიდი ადამიანები, მაგრამ ამას ბატონო, თათარს?.. გთხოვთ მომიტევოთ, მაგრამ წარმოიდგინეთ რაიმე ნგრევის მეტი... გარდა ამისა, ეს ამათი წყალობითაა, ჩვენ რომ სამი მილიონი ვართ ეხლა და არა 30! როდესაც ჩვენ 12 მილიონი ვიყავით, მაშინ ევროპის სახელმწიფოები არ აღემატებოდნენ რვა მილიონს; მაგრამ რა, ცალკე ამ მურდალმა, ცალკე სპარსეთმა მუსრი გაგვავლეს, გაგვკლიტეს, გადაგვასახლეს და მიმოგვფანტეს, ლაჩრები, საძაგელი ლაჩრები!... განა შეიძლება ოდესმე ამისი დაეიწყება? განა შეიძლება ოდესმე ამისი პატიება?!

ისტორიას რომ თავი დავანებოთ, ეს ხომ ჩვენი თვალის წინ მოხდა, სომხეთის განადგურება!...

დიდ ხანს ბობოქრობდა კაპიტანი ასე.

ლევანი არ იყო მომხრე მთელი ერი-სადმი ასეთი უპატივცემლობისა და თუმცა მას არ სმენოდა, მაგრამ აღვილად შეიძლებოდა წარმოდგენა იმისი, თუ რას იტყოდა კაპიტანი რუსეთზე მათთან ომის დროს. ახალგაზრდები, ლევანი და გივი, მიმხვდარი იყვნენ,

რომ ოსმალეთის მიერ, ბათუმის დანქანები მებას ისე ემოქმედნა დათუშაზე, რომ დაევიწყებინა და ოსმალეთზე გადაეტანა მთელი დამარცხების სიმწვავე.

ახალგაზრდებმა გაიგეს, რომ მთავრობა და ყველა ისინი, ვისაც გარემოება აიძულებდა ბოლშევიკებს მორიდებოდა, უკვე გემზე ისხდნენ. გემები იდგნენ ღია ზღვაში საფრანგეთისა და ინგლისის დროშების ქვეშ და მზად იყვნენ წასასვლელად.

ბოლშევიკების ჯარი დღეს შემოვიდა და დღესვე იყო მოსალოდნელი თათრების მიერ ბრძოლის დაწყება. ამავე დროს ჩვენი ჯარები თითქმის დაშლილი იყო და კაპიტანი დათუშა მიდიოდა ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში.

აღმასრულებელი კომიტეტი („აღმასკომი“) იყო ბოლშევიკური ხელისუფლება, რომელსაც მეთაურობდა ქართველი. მას (ქართველ ბოლშევიკს) დავვალებია ერთ ქართველ ღენერლისათვის ჯარის შეგროვება და თათრებისაგან ბათუმის დაცვა. ბოლშევიკი იყო თენგიზ ჟღენტი, ღენერალი — გიორგი მაზნიაშვილი.

დგებოდა ახალი ლეგიონები. კაპიტანი დათუშა ჰყვიროდა:

— გეფიცებით, ბიჭებო, ახალგაზრდობას, მოდით და ჩაეწერეთ!

ახალგაზრდებმა აღუთქვეს.

XLI

გივიმ და ლევანმა გაიარეს საბარგო სადგურის მიდამოები და გავიდნენ ფართე ქუჩებში.

ყველგან, სადაც თვალი მიწვდებოდა, ქუჩებსა თუ მოედანზე, იდგა და ჯგუფ-ჯგუფად მიმოდინოდა ხალხი: ჯარისკაცები და მოქალაქენი. რამდენიმე დღე იყო, ქალაქში სურსათი ნაკლებად იშოვებოდა, განსაკუთრებით პური, რაიც შესაძლებელია შედგეი იყო უზეირო განაწილებისა და მოშვივებული მოქალაქენი ერთი-მეორეს ქუჩებში უნა-

წილებდნენ საქმელს, რასაც შოულო-
ბდნენ ქალაქის სასადილოში და რასაც
მათ აწვდიდნენ საველე სამზარეულოე-
ბი.

ქალაქი ვერ იტევდა ხალხს.

ხალხი სცხოვრობდა სადგურებზე,
რონოდებში, რჩებოდნენ ქუჩებშიაც,
მაგრამ ამ უამად, ახალ ამბავთა მოლო-
დინში, ხალხი გარედ გამოსულიყო.

დარი იყო თბილი და მშვიდი.

გივი და ლევანი იმნაირად გაჩუმე-
ბულნი მიდიოდნენ, რომ ემჩნეოდათ,
ხალხის ლაპარაკსა და მითქმა-მოთქმას
(რაშიაც ხალხის სული ვლინდებოდა)
კიდევ ყურს უგდებდნენ, კიდევ პა-
ტივს სცემდნენ.

მხოლოდ, კაპიტანს რომ სიტყვა მის-
ცენ და დაშორდნენ გივიმ ჰკითხა ლე-
ვანს:

— მაშ, საზღვარგარედ აღარ მიდი-
ხარ?

— აღარ!

უპასუხა ლევანმა, და გივიმ, თითქოს
დაწყებული საუბარი გააგრძელაო,
სთქვა:

— იმედია დამეთანხმები, რომ სრუ-
ლებით საშიში არ არის!.. კოტეს ტყვე-
ობაზე ვლაპარაკობ...

ლევანმა ოდნავ გაიღიმა. ამ საგან-
ზე მის გულს სრულებით დარდი არ
ეკარებოდა, რადგან სიკაბუქე მუდამ
ითვალისწინებს მხოლოდ გამარჯვებას;
ამიტომ ლევანი ჰფიქრობდა ასე: საზღ-
ვარგარედ ვერ მივიღვარ, აღბად სა-
ჭიროა ოსმალოსაც ვეომო, რადგან ადა-
მიანმა ყველაფერი უნდა გამოსცადო.

ვინახავ ანიკოს; ვინახულე დედასაც!
საბრალო დედა! მანამდე კოტეც დაბ-
რუნდება და შემდეგ შეიძლება საზღ-
ვარგარედ წასვლა. უეცრად ლევანმა
კისერში მკბენარი იგრძნო (ორივე სა-
ვსე იყო მითბ) და ლევანმა გივის მკლა-
ვში ზელი სტაცა:

— გივი, რა გინდა, ბიჭო, სახლში?

ლევანს აშფოთებდა წარმოდგენა
იმისი, რომ უცხო ოჯახში (გივი ნადი-
რადის ოჯახში არასოდეს ყოფილა)
უცხო მანდილოსნის წინაშე (იგულის-

ხმებოდა გივის დედა) უნდა დაეჯი-
ეს სისაძაგლე; სასაძაგლე, რომელიც
ერთი იმ მოვლენათაგანია, რაიც ადა-
მიანს თავისივე თვალში ამცირებს და
აზარებს ადამიანობას.

— მაშ სად უნდა წავიდე?

იკითხა გივიმ და მის კილოში გამო-
ჩნდა ახალგაზრდა კაცი, რომელიც სი-
ბრძნესაც და სიგიჟესაც თანაბრად პა-
ტივს სცემდა.

ლევანმა მხარზე ხელი დაჰკრა და
თავი გაიქნია:

— წამოდი!

თუ გივი წავიდოდა, მიდიოდნენ კა-
პიტანთან: რა კი ომია, დეე ტილებია-
ნად იომონ!

თან ასეთ საქციელში იყო რაღაც სა-
ხარბიელო და ისეთი, რითაც შეიძლე-
ბოდა კაცს თავი მოეწონებია: ქუჩი-
დან პირდაპირ ომში!

— ანიკოს არ ნახავ?

ლევანმა დაუდევრად უპასუხა: მო-
ვესწრები! და რადგან ამ წუთში ამ ორ
მეგობარს ერთი-მეორე უფრო უყვარ-
დათ ვიდრე ოდესმე, მათ ურთ-ერთს
გაუციინეს და გზა შესცვალეს.

ბატონი დათუშა საქმეში იყო გარ-
თული. მას ირგვლივ ახალგაზრდა ჯა-
რისკაცები ერტყენ, რომელნიც ლებუ-
ლობდნენ ვაზნებს. ლევანისა და გივის
დანახვაზე ბატონი კაპიტანი ისევე წარბ-
შეკრული დარჩა. ბიჭები მის გუნდში
ჩადგნენ.

XLII

ანიკოს ბიძის სახლი ბათუმში გადა-
ჰყურებდა ზღვას. ბიძა იყო მდიდარი,
სახლიც შესაფერი ჰქონდა.

ანიკოს ოთახიდან სჩანდა ქალაქის
ის მხარე, საიდანაც ქალაქში მატარე-
ბელი შემოდის. და იგულისხმებო-
და აგრეთვე ფართე შარა-გზა, რომე-
ლიც მატარებელს მოსდევდა. იგულის-
ხმებოდა იმიტომ, რომ მოსჩანდა არა
თვით შარა-გზა, არამედ ყველაფერი
ზედ მავალი. ოთახიდან მოსჩანდა აგ-
რეთვე ზღვა.

ანიკოს ბიძას, ბატონ პავლე ბადრიძეს, ანიკოს ოთახი არ უყვარდა, რადგან, მისი სიტყვით, მთელი ზღვის ალიაქოთი იქ იყრიდა თავს. ანიკოს სწორედ ამიტომ უყვარდა ეს ოთახი და ნატრობდა ზღვის ღელვას. ზღვა ხშირად ღელავდა.

განსაკუთრებით ავდრიან ღამით, როდესაც ქარი ალმაცერად ისროდა წვიმას, და ეს სჩანდა ქუჩის სინათლეზე, ზღვა იწყებდა ბორგვას. ზღვა ხდებოდა შავი და ჰქუხდა. ანიკო ოთახში სინათლეს აქრობდა. გადასწევდა ფანჯრის რიდეებს და რამდენიც შეეძლო ისმენდა ზღვის გრგვინვას; ხოლო ის დანარჩენი, რაც აღემატებოდა ადამიანის მოსმენის უნარს, გადადიოდა ირგვლივ და ავსებდა სივრცეს ცის კიდურამდე; და მუდამ ასეთ ამინდში ხან აქ ხან იქ, ზღვაზე სჩანდა პაწია სინათლე ან რამდენიმე ერთად, რომელნიც უმწეოდ ქანაობდნენ და იწვევდნენ სიბრაღულს.

უთუოდ ეს იყო სანდლები.

ასეთი სურათების ხილვა ანიკოს ისე იტაცებდა და აღელვებდა, თითქოს იგი ყოფილიყო ვინმე ენით გამოუთქმელი ზღაპრული გმირი, რომელიც მღელვარებდა ზღვასთან ერთად. ასეთ დროს ანიკოს არ შეეძლო ოცნებობა, მაგრამ მის ალტაცებაში ჰკრთოდნენ სახეები თუ საგნები, რაიც მართალია წამიერად ჩნდებოდნენ, რომ მეორე წუთში სხვათათვის ადგილი დაეთმოთ ან გამჭრალიყვნენ, მაგრამ თავისთავად წარმოდგებოდნენ. ვით დასრულებული პოემები.

მაგალითად ბიცოლა ბარბაღე. ბარბაღე იყო უშვილო და მთელი ის სიყვარული, რომელიც უნდა რგებოდა შთამომავლობას, გადასულიყო წყნარ სევდაში. ანიკოს ჰზიზღავდა სევდა ბიცოლა ბარბაღესი და მის მეხსიერებაში ოცნებათა დროს ესეც კრთოდა.

კრთოდა აგრეთვე ლევან ფერეული, ფერ-მკრთალი, რომელსაც ისეთი საზეჰქონდა, რომ უთუოდ ჯიუტი იქნებოდა და თმაც საფეთქელზე ჯიუტად ჰქონდა ამოსული. არაჩვეულებრივი არა-

ფერი არ უთქვამს მისი ანიკოსთვის არც არაფერი ჩაუდენია ისეთი. ერთხელ, როდესაც ლევანი ელსმენით ლაპარაკობდა, ანიკო მივიდა და ისმენდა, და რადგან სხვის ლაპარაკს, თუნდაც გახუმრებით ისმენდა, უთუოდ ამიტომ ლევანმა დასაჯა და ცივად მიესალმა. მეორე დღეს ლევანმა ანიკოს აკოცა; ეს მოხდა ქუჩაში. ანიკო სტიროდა, რადგან თან ახლდა მომაკვდავი დაჭრილები. ლევანმა ოდნავ აკოცა ტუჩებში და განშორდა; და ყოველთვის, როდესაც ასე ფიქრობდა ბადრიძის ასული, ჰსურდა არ ჰქონოდა ნაფიქრალი არაფერი ლევან ფერეულის სიჯიუტისა და ჯიუტი თმის შესახებ, სამაგიეროდ არც ის ჰსურდა ჰქონოდა ნაფიქრალი, თუ დაჭრილთა წინაშე კოცნის დროს როგორი მოღეული გულით ელოდა ფერეულისაგან მეტ სიჯიუტეს.

თუმცა ასეთ დროს, დროს ქვეყნის ძრწოლისა, არ იყო საკადრისი ხსენება სიამოვნებათა, მაგრამ ანიკომ მაინც მოიწვია თავისას ნინო თელიას ასული, რათა ისიც დამტკბარიყო ზღვის სანახაობით. თელიები, როგორც უმეტესობა ტფილისიდან წამოსულთა, სცხოვრობდნენ რონოდებში.

მართალია, რონოდები იყო პირველი კლასისა და თელიებს მსახურებიც თან ახლდათ, მაგრამ პავლე ბადრიძემ, თავისი მეუღლისა და ანიკოს თხოვნით, მათ სთხოვა მის ოჯახში გადმოსულიყვნენ. მით უმეტეს, სანდროს, თელიას ვაჟს, მგზავრობაში მტკივანი ფეხი გაჰსივებოდა და ჰკრილობა ცოტათი გამიზეზებოდა.

ნიკო თელიამ უზომო მადლობა მოახსენა და მხოლოდ ანიკომ შესძლო მარტოდენ ნინოს წამოყვანა.

ნინოს მოსვლამდე ბადრიძის სახლის განწყობილება ისეთი ელფერისა იყო, როგორიც დაახლოებით ქალბატონ ბარბაღეს ჩაცმულობა და როგორც აგრეთვე შეენოდა დროს: მუქი, დინჯი, უხმაური.

რადგან ტფილისიდან ანიკოს არაფერი თან არ წამოეღო, ამიტომ მას ეცვა ბიკოლა ბარბალეს სამოსი.

სამოსი იყო ძვირფასი, ფერები დიდი გემოვნებით შეხამებული, მაგრამ ანიკოსათვის მეტად დახურული და ცოტათი სრული.

ნინო თელიას მოსვლით სახლში ხმაურმა იმატა; ნინო კიდეც იცინოდა და ტანთ ეცვა ღია და მხიარული ფერის სამოსი, ბატონი პავლე ბადრიძე ხშირად ლაპარაკობდა, რომ ეროვნული სირცხვილის ატანას სჯობია სიკვდილი და მუდამ დასძენდა, რომ ადამიანმა უნდა გადაიჭრა ძარღვები და მოკვდეს, როგორც კვდებოდნენ რომის პატრიციები.

ნინოს მოსვლის შემდეგ მან ერთჯერ გაიღიმა და ასე სთქვა: ჩვენ სახლში თითქოს პეპელა შემოფრენილიყოს და მოითხოვდეს ფანჯრების გაღებას!

ეს შეეხებოდა ნინოს; ამაზე ქალბატონმა ბარბალემაც გაიღიმა. თქვენ წარმოიდგინეთ, სთქვა მან, სრულებით ჭირვეული არ არის!

შემდეგ ნელი ამოოხვრით უთბრა ქმარს:

— საბრალო ბავშვები, ისეთი დრო შეხვდათ, რომ ჭირვეულობის საშუალებაც კი არა აქვთ.

მღელვარე ზღვის დანახვაზე ნინო თელიამ იგრძნო შიში. მან წამოიძახა: როგორ შეიძლება, გენაცვალე, ამას ენდო!

ამდენ ხანს გემით მოგზაურობას იგი წარმოიდგენდა როგორც სიხარულსა და სიამოვნებას. ვილაცას ეთქვა, რომ თელიები უნდა გამგზავრებულიყვნენ ინგლისური სამხედრო გემით. გემზე უთუოდ იქნებოდნენ ახალგაზრდა ოფიცრები. მათ წინაშე ნინო გაივლიდა პატარა ნაბიჯებით; ოფიცრები იტყოდნენ: მის თელია!

ნინომ, ინგლისური არ იცოდა.

სამაგიეროდ, თელიების ოჯახი იცხოვრებდა საფრანგეთში. ნინოს ეს უხაროდა. თავის სიხარულის შესახებ ასე აცხადებდა ნინო:

5. „მნათობი“, № 5.

— ვიცი, ანიკო, გენაცვალე, შენც მძრანავ, რადგან მიხარია. ამაზე მიჯავრდებოდა, მაგრამ მითხარი, გენაცვალე; რომ არ მიხაროდეს განა ამითი რამე შეიცვლება? ეს ომი ჩემი ბრალი ხომ არ არის ანიკო? შემდეგ ნინო ეპატიებოდა ანიკოს:

— წამოდი, გენაცვალე, ჩვენთან; შენ იცხოვრებ ჩვენთან, რადგან მამა ამბობს, რომ მას კარგად შეუძლია მუშაობა როგორც მკურნალს;

საზღვარგარეთ წასვლა არც ისე ადვილი ყოფილა, როგორც ანიკოს ტფილისში წარმოედგინა. ბიძა და ბიკოლა აქ რჩებოდნენ, არც ლევანი ჩამოვიდა და როდესაც ნინო გამომშვიდობებისას ანიკოს გადაეხვია და თელიების ოჯახი, ისე ვით მრავალი ქალი და კაცი, გემში ჩასხდა, ანიკომ იგრძნო სიხარული, რომ ის აქ რჩებოდა.

ნინოს სამწუხაროდ თელიების ოჯახი მიემგზავრებოდა არა სამხედრო, არამედ ჩვენი სავაჭრო გემით.

გემებს ეწვიათ საფრანგეთისა და ინგლისის დროშები.

XLIII

ჯერ ისევ რეიდზე იდგნენ წასასვლელად გამზადებული გემები, როდესაც ბათუმის გამაგრებულ მიდამოებში შეიქნა სროლა.

დაიწყო ომი ბათუმისათვის თათართა და ქართველთა შორის. ამავე დროს შარა-გზით, რომელიც ბადრიძის სახლიდან მოსჩანდა და რომელიც სროლის არეში იყო, იწყო ქალაქში შემოსვლა რუსის ჯარმა. რუსის ჯარს მოაცილებდა ქართული ცხენოსანი ჯარი, რათა მას, რუსის ჯარს, რომელიც ამიერიდან საქართველოში ამყარებდა თავის ხელისუფლებას, არაფერი ვნებოდა.

ანგარიში იყო უბრალო: მტერმა გაიმარჯვა, მაგრამ საქართველო არ უნდა დანაწილებულიყო.

ბადრიძეები: ბატონი პავლე, ქალბა-

ტონი ბარბალე და ანიკო ფანჯარიდან ზედადნენ ჯარის შემოსვლას, ჯარი იყო უამრავი.

ბადრიძეები იდგნენ ფერწასულნი და უხმოდ. ბატონმა პავლემ ვერ შესძლო ყურება და, რათა განმარტოებით ამოეგმინა, ფანჯარას გაშორდა. მას აედევნა ბარბალე. ბარბალე სტიროდა.

ანიკომ ფანჯარა გააღო; უთუოდ ტყვიები ახლო-მახლო ხლტოდნენ, რადგან ისმოდა მათი სრბოლის წივილი. ეს იყო სიკვდილი. ანიკო ფანჯარას გადაეყრდნო; კარგია, თუ მოვიდოდა სიკვდილი; მანამდე კი ანიკო გრძნობდა აყვავებულ გარემოს; ამის გამო გრძნობდა სიხარულს და არ სცხვენოდა ამისი, რადგან, შესაძლებელია, იგი ფანჯარასთან მდგომი მომკვდარიყო და, მაშასადამე, მას დამსახურებული ჰქონდა სიხარული.

ორი დღე და ღამე გაგრძელდა ომი.

ომი იწყებოდა განთიადზე ტყვიან-ფრქვევთა კაკანით და წყდებოდა მზის ჩასვლისას; და მუდამ, როდესაც ომი უნდა შეწყვეტილიყო, ოსმალთა აძლიერებდა ცეცხლს.

შარა-გზაზე, სადაც მტერი მოიწვევდა, სჩანდა როგორ თავგამოდებით გადარბოდნენ ჯარისკაცები, ვინ იცის თათრები თუ ქართველები, რადგან ეს არ სჩანდა ბომბების კვამლში და ცეცხლში.

ქალაქში ამ დროს უკვე დაბანაკებული იყო რუსთა ჯარი და ასე, ვით მთელ საქართველოს, და აგრეთვე მთელ რუსეთს, ქალაქს განაგებდა სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი.

ომის მესამე დღეს, შუადღისით, მტერი უკუ იქცა და ბათუმი განთავისუფლდა.

არავინ გრძნობდა ამის გამო სიხარულს, რადგან ვერ გაეგოთ, თუ ეს კაცი, ოსმალთა, რას ეჩრებოდა სხვის ოჯახში; მათი განდევნა მიღებულ იქნა, ვით უბრალო სამართლიანობის აღდგენა.

ამასთანავე, მრავალი ახალგაზრდა კაცი მომკვდარიყო ამ სამი დღის ომში

და ეს მოვლენა მწუხარებით აღსებდა ისედაც დამგლოვიარებულ ერს.

XLIV

ოსმალეთის ომის გათავების მეორე დღეს ლევან ფერეული მიმოდიოდა კენჭით მოფარულ ზღვის პირად, ბათუმის ქალაქის ბაღში.

მასთან ერთად მიმოდიოდა ანიკო ბადრიძის ასული.

ქალბატონ ბარბალეს აზრით, ეს უნდა ყოფილიყო შეყვარებულთა გასეირნება, რაიც სიყვარულს აძლიერებს.

ლევანს ეცვა ბატონ პავლე ბადრიძის ფიჯაკი და შარვალი; ესენი იყვნენ მისთვის ოდნავ ფართე, ლევანს ეს აწუხებდა და არ იქნა, ვერც წუხილი დაივიწყა და ვერც ის, რომ ტანსაცმელი ეკუთვნის სხვას. მას ნაბიჯებიც ეშლებოდა და სიარულში აკლდა სიმტკიცე. ანიკომ, რომელმაც ჯერ მკლავში ხელგაყრილი იარა ლევანთან, მისი განწყობილება იგრძნო და ხელები ჯიბეებში ჩაიწყო.

მარტის მზე ჩასულიყო. ზღვა ანათებდა იისფრად და ლევაგდა. იწყებოდა მიმწუხრი.

ეს დღე ლევანისათვის იყო უბედური და იგი დღე თავდებოდა. ლევანმა ყრულ სთქვა: დავბრუნდეთ!

ანიკოს არ გაუგონია, თუ არ გაიგონა. ანიკო ისმენდა მხოლოდ კენჭების ხმაურს, რასაც ჰქმნიდა მათი ნაბიჯები. ეს იყო საწყენი; მართალია, დამწუხრებული ანიკოც იქნებოდა, მაგრამ ასეთი უყურადღებობა მაინც სიცივეს ჰქმნიდა ამორებდა. იფიქრა თუ არა ლევანმა ასე, ზედიზედ საწინააღმდეგო აზრები მოაწყდა გონებას და გული ტკივილით შეიკუმშა. გონებაში ჯერ სთქვა:

„კეთილი, თუ დამწუხრებულია, მაგრამ თუ მხოლოდ იგი ამქამად ჩემს მამაკაცობაზე ფიქრობს?!“

მარტო ამის წარმოდგენას შეეძლო მთელი დღის გაფუჭება.

ეს იყო სისაძაგლე. ამისი გაფიქრე-

ბაც ამ წუთში იყო სისაძაღლე; ლევანს თავისი შერცხვა; შემდეგ თავის თავზე გაბრაზებული ჰფიქრობდა: „რისი დაშორება! ჩვენ არაფერი არ გვაშორებს! ან რისი კავშირი! ღმერთო, რა სიწვერილმანია!“

ასეთი აღშფოთება, რაშიაც გრძობათადმი დაუდევრობა უნდა გამოვლენილიყო, უფრო ჰშვენიოდა თვალუწვდენელ ზღვას, ვის წინაშეც ადამიანური ღმერთობა ხსენებაც კი იყო უძწეო და საბრალე; ასეთი აღშფოთება და უკუგდება პირადულისა აგრეთვე შვენიოდა ღმერთადელ დღეს. ღმერთადელი დღე დაიწყო უბედურებით.

ლევანი და ანიკო საავადმყოფოში იმ განზრახვით მივიდნენ, რომ ენახათ ბატონი კაპიტანი დათუშა და გივი ნადირაძე, ორივე მძიმედ დაქრილი იყო.

ლევანი იწყებდა წუნილს ასე:

„ყველაზე უფრო ადვილად ადამიანი სჩადის შეცდომებს“, შემდეგ ლევანი იწყებდა ბაგეების კვნეტას, რათა როგორმე წუხილი შეეწყვიტა. მას ეჭვი ჰქონდა რომ გივი მოკვდებოდა.

„ვის უნდა დასდებოდა ამაში ბრალი? ვინ იყო ის, რომელმაც საბრალე ბაგეში სახლში არ გაუშვა? ან იქნებ ის დაასახელოთ, რომელმაც სულის სიძუნწით, მშვენიერ ბაგეებს აღტაცების გამოხატულება დაუწუნა ზღვის პირად, როდესაც ბათუმში მოდიოდნენ?“

საავადმყოფოს ეზოს პირდაპირ დიდხალ ხალხს თავი მოეყარა. იყო ბალი. ბაღში ხეებზე ისხდნენ ყვავები და ჩხაოდნენ.

მართალია! გივი მომკვდარიყო!

დათუშა მომკვდარიყო!

ლევანს ისეთი მწუხარება დაეტყო სახეზე და ისე შეთრთოლდა, რომ როდესაც საავადმყოფოს კარები გააღეს და ხალხმა დაბოცილ მეომართა სანახავდ იწყო შესვლა, ანიკომ ჯერ სთხოვა, სრულებით არ შესულიყვნენ, მაგრამ ვერ დააჯერა, მკლავი მისცა და სიარულში შევლოდა.

დიდი მაგრამ დაბალი ოთახი იყო მეტად ცივი.

აქ ესვენა დაბოცილები. დაბოცილები იყვნენ ბევრი (სამოცამდე) ვეს დათუშა და გივი: ისინი ერთად ესვენენ.

დათუშას, რომელსაც ტყვია შუბლში მოხვედროდა, რათა ჭრილობა ცოტათი მაინც დაეფარათ, შუბლზე შემოეხვიათ ვიწრო ქაღალდი, ნაბეჭდი წარწერით: „მიწყალენ მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა!“

სხვებსაც ჰქონდათ ასეთი ქაღალდები:

„წმინდაო ღმერთო, წმინდაო ძლიერო, წმინდაო უკვდაო შეგვიწყალენ ჩვენ“.

ოთახის სიღრმეში, ერთ კუთხეში, ღვთის მშობლის ხატის წინ ენთო კანდელი.

ძალიან უმძიმდა ლევანს გივის შეხვედრა; ეგონა თუ თვალს ვერ გაუხწორებდა; ხოლო როდესაც შეხვდა, თვალი ვერ მოაშორა.

ეს იყო ყველაფერი ის, რასაც უნდა შეედგინა გივი; მაგრამ გივი ეს არ იყო, ხოლო რაც იყო: მას ტუჩები ჰქონდა შავი და ოდნავ ღია და მკერდი ისე ჰქონდა აწეული, რომ ლევანს სტოვებდა მოლოდინში: სადაცაა ამოისუნთქავსო.

გივი არ სუნთქავდა. არაფერი არ სუნთქავდა.

იდგა სიჩუმე ისეთი, რომლის წარმოდგენასაც ჰქმნიდა მეტად დაძაბული გონება, თითქოს საჭირო ყოფილიყო მხოლოდ სმენის გამახვილება, რათა ადამიანს მოესმინა სუნთქვა, რომელიც მართალია გაყინულია და ეკუთვნის მკვდართ, მაგრამ მაინც სუნთქავდა.

არაფერი ისმოდა. ასეთ დუმბულში ჩავარდნილ ადამიანს სტანჯავდა აქ ყოფნა.

ო, რა თქმა უნდა, ამ პატროსან კაბუკთ შეასრულეს ცხოვრება და იყვნენ ეხლა ადამიანთაგან განშორებულნი და ისეთნი, რომელნიც ჯერ არ იყვნენ ვითა ბალახნი გინა მიწა გინა ქვა. ასეთი წარმოდგენა არა თუ არ ჰქმნი-

და შერიგებას, არამედ იწვევდა სევდასა და სიცივეს; ადამიანს აიძულებდა სადღაც გაქცეულიყო, ვიღაც ეპოვნა, რათა მარტოდ დარჩენილს არ ეგრძნო თავისი არსებობის უმწეობა; რათა როგორმე დაეთარა უთანხმოება ბუნებისა, გონებისა და გონების წადილთა შორის; რათა დაეთარა, რომ გონება ადამიანისა თვისი წადილთა აღმაფრენით არის უმწეო; ხოლო ბუნება ძლიერი და უაზრო თვისი დაუსრულებლობითა და იღუმალეობით.

ასეთ მღელვარებაში მყოფ ფერეულს ჩაესმა ვიღაც ქალის ქვითინი და ზელათვე მის ზელს გაუბედავად შეეხნენ ანიკოს ზელები.

შემკრთალი ანიკო ეძებდა ცოცხალსა და ჯანმრთელ სხეულს. ამის წადილი უთუოდ ამდენ ხანსაც ჰქონდა და მხოლოდ ვიღაც ქალის ქვითინმა, რომელმაც სიჩუმე დაარღვია და გააბედა, ანიკოსაც გააბედვინა.

ანიკოს შეხებაზე ლევანი შეკრთა. ის ბედნიერად ჩასთვლიდა თავს, ეს რომ არ მომხდარიყო.

ანიკოს ჰქონდა ცივი თითები; შიშისაგან სახეზე მას ცივი გამომეტყველება მიეღო და გამომეტყველებითვე იმუდარებოდა ყურადღებას.

ლევანმა მხოლოდ ეს შესძლო, რომ ანიკოს ზელები მოიშორა და მოუთმენლად სთქვა: წავიდეთ!

ანიკო გაჰყვა.

ლევანმა ეხლაც სთქვა: წავიდეთ! ანიკოს არ გაუგონია და რადგან ღამდებოდა, ლევანმა გაიმეორა:

— წავიდეთ!

ლევანის ხმა ისმოდა ყრუდ, თითქოს იგი ლაპარაკობდა შორიდან. ანიკო მიდიოდა წინ. ისინი გრძობდნენ, რომ ერთიმეორისათვის გამოსადეგნი არ იყვნენ.

თავდებოდა შეყვარებულთა გასეირნება.

ქალაქში სინათლეები ენთო.

ქუჩებში დადიოდნენ გუშაგები.

ნავთსადგური იყო ცარიელი, მხოლოდ ნაპირთან ახლოს ქანაობდა პატარა სანდალი, რომელზედაც სინათლეებით მიმოდდიოდნენ. სანდლის პირდაპირ, ნაპირზე, პაწია ლვილში ერთი ბნერი კაცი ჩაქდა და უთუოდ სანდალზე აპირებდა, მაგრამ რა მომავალი ახალგაზრდა ქალი და კაცი (ლევანი და ანიკო) მას გაუთანასწორდა, იგი ლვილში წამოდგა:

— სალამო მშვიდობის, მანანა და ლევან!

სთქვა მან. შემდეგ მიხვდა რომ შეცდა და ღიმილით დაუმატა: — უკაცრავად, ბატონო! სახლში მივდივარ, იქნებ წამობრძანდეთ?

ეს იყო ვანო უთნელიძის მამა, მურზა. ლევანს გაეხარდა: — დიდი სიამოვნებით, ბატონო მურზა; მე მარტო გაიხლებით, მხოლოდ, თუ ნებას მომცემთ ქალბატონ ანიკოს სახლში მივაცილებ.

სანდლის სიღრმეში გუგუნებდა პაწია მანქანა. სანდალი ნელი რწვევით მისცურავდა.

ბატონი მურზა და ლევანი ქიმზე სკამ-ლოგინზე წამოწოლილიყვნენ. მურზა ნაბადში შეხვეულიყო და გაძულებით აბოლებდა თავის ჩიბუხს. ნაბადი ლევანისთვისაც მიეცათ.

მურზა, რომელსაც სქელი, შავი წარბები ჰქონდა, ხოლო თმა და წვერულვაში სრულიად თეთრი, სდუმდა და ლევანს ზელს არ უშლიდა. მურზას უკვე ეთქვა, რომ ოჯახის ამბავი მან არ იცოდა; რომ სანაპირო ქალაქში სურსათი არ იშოვებოდა და ახალი მთავრობის დავალებით მიჰქონდა სიმინდი. აგრეთვე მიჰქონდა გული, აღსავსე ბოლმით.

ზღვა, რომელსაც ამჟამად ლევანი

ჰხედავდა იყო ბნელი და გამოუცნობი. ზღვა ღმუღოდა.

გარეგნულად დამშვიდებული ლევანიც გულში ღმუღოდა. გამომშვიდობებისას ანიკოს მან უთხრა:

— გმადლობთ, ანიკო, მეგობრობისათვის! ომი გათავდა! ანიკო იცქირებოდა მშრალი თვალებით და არაფერი უთქვამს. ამის გამო და აგრეთვე იმიტომ, რომ სიტყვა ითქვა და უკან დახევა არ შეიძლებოდა, ლევანს თავზარი დაეცა და, შესაძლებელია, ეს აბორჯებული ზღვა და ეს სქელი, ლიბრედი ზეცა იმისათვის არსებობდნენ, რომ ადამიანს მათ შორის ადგილი მოენახა და, თუ რამ სტკიოდა, მათ შორისვე დაეამებია.

უთუოდ ლევანის წინაპრებიც ასე იქცეოდნენ.

ლევანი ჰფიქრობდა:

„სიკაბუყე, რომელსაც წინსვლა ჰსურს, უნდა გაუბრბოდეს კმაყოფილებას; წინსვლა და კმაყოფილება არიან მტრები. ვიყოთ გაბედული: ეს ლამაზი ქალი მე მინდოდა მხოლოდ პატივმოყვარეობისათვის, რომ ეთქვათ: რა მშვენიერი ქალი ეტრფისო ლევან ფერეულს. მაგრამ პატივმოყვარეობა დასაგმობია, როგორც ისეთი, რაიც ხელს არ უწყობს სულის სისადავეს, კეთილშობილებასა და სიღიადეს.

უდავოდ, ბადრიძის ასული მშვენიერად აღზრდილია; იშვიათი ბუნებისაა, მაგრამ ბუნება მისი ადამიანურია და იმ ადამიანურ ბუნებას ეხმაურებიან და ემორჩილებიან ჩემი გრძნობები, რომელნიც მე მბორკავენ და მადუნებენ; რომელნიც მე მამცირებენ და მაგდებენ ისეთ მდგომარეობაში, რასაც ვერც განვმარტავ და ვერც გავამართლებ. ეს მე ვარ ადამიანი, აღსავსე ყოველგვარი სისაძაგლით: ვარ მნდალი, სულსწრაფი, პატივმოყვარე, მაგრამ ამავე დროს ვარ გონიერი და რათა არ მძაგდეს ჩემივე თავი, უნდა ვიყო უმჯობესი; უნდა ვცდილობდე ჩავდიოდე წინააღმდეგ იმისა, რასაც მოითხოვს ჩემი ბუნება; წვრილმანი, პირუტყული და დამამცი-

რბელი! და რაც მთავარია, სიტყვების ლეს უნდა ეკიდებოდე ისე, რომ თათმანს, რომლის გადაგდებაც კაცს უნდა შეგეძლოს“.

— რატომ, შვილო, ასე გაბოროტებით ებრძვი თავს!

ერთჯერ სთქვა დედამ, როდესაც მის წინაშე შვილმა, ლევანმა, ასე იქადაგა. დედამ სიცივე იგრძნო შვილის სიტყვებში.

— იმიტომ, ძვირფასო დედა, რომ ადამიანმა თავის თავს თვალი გაუსწოროს. იმიტომ რომ ეს უმჯობესია!

თორემ საბრალო გივი ნადირაძე თბრილში კრთოდა. ლევანიც შეშინდა, როდესაც მტრის ტყვიები წუწუნით მიწას სჩიჩქნიდნენ, თითქოს მას და მის მეგობრებს დაეძებდნენ... მაშინ ლევანი თავის ჯინაზე თბრილში წაბოღდა და, როდესაც შეტევა გათავდა და თათრები გაიქცნენ, ლევანს არ სცხვენოდა თავისი თავის და ეს უხაროდა.

— რა თქმა უნდა, ძვირფასო დედა, ასე სჯობია!

თვით ფიქრთა შორის, სხვა და სხვა დროს ახალგაზრდა ფერეულს ეჩვენებოდა, რომ ზღვის ტალღები, თუშცა მშვიდობიანად ღმუღიან, მაინც ჰგვანან ცხოველებს, რომელნიც არიან საშიშნი;

რომ ბატონი მურზა გაბედული მეზღვაურია, და როდესაც ის აბოლებს ჩიბუხს, ჩიბუხი წითლად ანათებს მის დაღარულ შუბლს, ხოლო მასა და მის ნაბადს ისე ეხვევა თუთუნის ბოლი, თითქოს იგი, ბატონი მურზა, იწოდეს.

ამგვარი წარმოდგენები ახალგაზრდა ფერეულს ვერ ართობდნენ, რადგან იყვნენ მხოლოდ ხარკი დაუღლეი, კაბუყური ბუნებისა, და ფერეულს ისევე ეწყებოდა წინააღმდეგობათა კიდილი.

ასეთი კიდილითა და ყოყმანით უნდა დადგენილიყო პიროვნება, რომელსაც ჰსურდა როგორმე ეპოვნა თანხმობა ბუნებასა, ადამიანსა და ადამიანის წადილთა შორის.

შუალამეზე მურზა უთნელიძის სან-

დალი შევიდა სანაპირო ქალაქის ნავთსადგურში.

ნავთსადგურის უფროსობა მოვიდა.

ლევანმა ბატონ უთნელიძეს მადლობა მოახსენა და დაემშვიდობა.

XLVI

ვერც სიმდიდრით, ვერც გარეგნული მშვენებით ვერ ბრწყინავდა ჩვენი სანაპირო ქალაქი და თითქო ამისი სცხვენოდა. იგი სდუმდა.

ამ თავის წინაშე სირცხვილის გამო მას სწყალობდნენ. ლევანმა სიყვარულით გაიარა მძინარე ქალაქი; საჩქაროდ ნაცნობ ეზოში შევიდა და როდესაც აივნის წინ ზარს რეკდა, ის გრძნობდა აღფრთოვანებას დედის ხილვის მოლოდინში.

მაგრამ სახლში სიჩუმე იდგა.

ჰქროდა ქარი და ქარმა მის თავზე შეარხია. რალაც აივანზე დაკიდული ზეწრისებური. ლევანმა აიხედა და გული ჩაუვარდა; ეს იყო იმისი, რომ დაიხანა სამგლოვიარო ძაძა.

ამავე დროს, ოთახებში გაისმა ფეხის ხმა და ლაპარაკი. მანანას შემკრთალი ხმა ამბობდა:

— მამა, რეკავენ, ვილაც მოვიდა!

— ბიჭები იქნებიან!

უპასუხა მამამ და ხმაზე სჩანდა აჩქარებული მოხუცი, რომელიც ლაპარაკობდა მოუთმენლად, თან ისეთი იმედით, თითქოს (როგორც იქნა!) მას ეღირსა სიხარული. რაიც (ღმერთთა მოწმე!) ამდენი ტანჯვის შემდეგ დაძსახურებული ჰქონდა.

კარები გააღეს.

სინათლეში იდგნენ მამა და მანანა. ლევანმა იკითხა: — დედა?

ხმა აუთრთოლდა და მამასა და დას ხელები მოჰხვია. მათ ლევანი წაიყვანეს და როდესაც დედის ოთახში სინათლე აანთეს, ლევანმა დაიწყო ტირილი.

ლევანი სტიროდა ბავშვივით. ოთახში იყო დედის სურათი; დედა იცქირებოდა მშვიდად და იყო აღსავსე სევდით.

დიდ ხანს იტირა ლევანი სტირობი სდიოდნენ უხვად და ცოდოვით იდგნდა, რომ ის არ ენდო დედის წერილს და ავადმყოფობა მისი არ დაიჯერა, ის იწყებდა ძახილს:

— დედა, მამატიე!... და ისევ სტიროდა, რადგან მას შეეძლო დედა ეხახა და დედა არ ნახა.

ბოლოს ლევანი ოდნავ დასცხრა და სთქვა:

— რამდენჯერ გამიწვალეობიხარ, დედა, მე არ ვიცოდი... მე ვაპირებდი, როგორმე აწი გამომესყიდნა შენს წინაშე... სიყვარულით... — და ისევ ატირდა.

მამაც სტიროდა.

რამდენჯერ ლევანის ბავშვობაში მამამ სცადა ლევანისათვის დაეძახნა: დათუნა ანუ პატარა დათვი, მაგრამ, თუმცა ლევანი ფეხ-შექცეული დადიოდა, სახელწოდება მას არ მიუღდა, რადგან ლევანი იყო მახვილი, არაფერი გამოეპარებოდა, ყველაფერს ჰხედავდა და ჰქონდა უნარი შინაურებისადმი სიყვარულის გამოხატვისა და, განსაკუთრებით, დედისადმი ალერსისათვის ჰპოულობდა იმდენ საშუალებებს...

ამაზე დიდი მადლობელი იყო მანანა ლევანისა.

მამა სტიროდა სიყვარულით.

არ სტიროდა მხოლოდ მანანა. ის ევედრებოდა ღმერთს, ლევანს თვალეზოში არ ჩაეხედა მისთვის.

როდესაც დედა მიიცივალა, ყოველ ღამით მოდიოდა მედავითნე და ისძობდა მედავითნის ბოხი ხმა:

„მიწყალენ მე ღმერთო...“ და ხმაზე მოძრაობდა მისი თეთრი წვერები. იგი იყო მალალი, ანთებული თაფლის სანთლებ შორის ჩამდგარი და იქვე კუბოში ესვენა მშვენიერი დედა.

მანანას ოთახში აწვენდნენ ონისიმეს ბავშვებს და იქვე წვებოდა ბიცოლა ნინო, რადგან ონისიმეს მთელი ოჯახი და თომა აქ იყვნენ მაშინ. ყოველ დღით ბიცოლა ნინო დადებოდა ცხედართან და სტიროდა. ბიცოლა ნინო

სტიროდა ტკბილად, მოთქმით, მის ტირილზე სტიროდნენ სხვებიც, სტიროდა მანანაც, მხოლოდ მანანამ იცოდა გულის ამოსკვნა და სთხოვდნენ, რათა არ ეტირა. ერთჯერ ღამით, როცა ბიცოლა ნინომ ბავშვები დააწვინა, მანანამ უცნაური რამ ჩაიდინა. მან მოიხურა ზეწარი, თავზე დაიხურა ღამფის დიდი შუქფარი, რაიც ეფისკოპოზის მიტრას ჰგავდა, და თითქო სასულიერო პირი ყოფილიყო, ხელებს იქნევდა და მეღავითნესავით ბუტბუტებდა — მიწყალენ მე ღმერთო....

ბავშვები იცინოდნენ, მანანაც იცინოდა და სიცილის გამო თვალთ ცრემლები ადგებოდათ.

ასეთ ყოფაში მათ მოუხწრო ბიცოლა ნინომ. ბიცოლა ნინო არ გაჯავრებულა, პირიქით, მან სთქვა:

— ცბონებული ყოფილა, შვილო, დედა-შენი; სიცილი მადლია, რადგან ასეთი სიცილი თურმე მარტო მაშინ იცის, როცა ვინმე ცბონებული მიიცივლებს.

ბიცოლა ნინომ მანანას აკოცა და თუმცა მის სიტყვებს მანანა უნდა დაემშვიდებია, მანანა მთელი ღამე ძილში სტიროდა; რადგან მას უთუოდ არ უყვარდა დედა, ზოლო ლევანს მასზე უფრო უყვარდა და რომ ლევანს ეს არ გაეგო, მანანა ლოცულობდა.

— ღმერთო, შენი თეთრი წვერების ჭირიმე, ჩემსკენ ნუ გამოახედებ ლევანს!

XLVII

ამ ბოლო ხანებში მთელი გვარეულობა ფერეულებისა თავს იყრიდა სოლომონის სახლში. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ გვარში სოლომონი უფროსი იყო, გარდა ამისა ოჯახი იყო მგლოვიარედ და საჭირო იყო გამხნევება, მიცემა იმედისა, რასაც ჰქმნიდა მისგლა და ახლოს ყოფნა; ეს იცოდნენ გამოცდილებით; გარდა ამისა ლევანი ჩამოვიდა.

ლევანი მთელ გვარეულობას უყვარდა; მისგან მოელოდნენ რაღაც ისეთს,

რასაც გვარი უნდა დაემშვენებინა, რადგან ჯერ არავის ახსოვდა ლევანს ნათესაეები მოენახულებიოს, ამიტომ მის სანახავად მოდიოდნენ, ამასთანავე სადაცაა კოტე უნდა ჩამოსულიყო.

ტყვეობიდან მისი გაქცევის ამბავი გაეგოთ; ეს იყო საამაყო. ფერეულები არც იმას მალავდნენ, რომ კოტე ტყვეობიდან გაქცეულა და არც იმას, რომ მისი გაქცევა, როგორც სავაჟაკო ამბავი უხაროდათ. კოტეს მოუთმენლად ელოდნენ.

ვიკტორ რაზმაძე, რომელსაც იონა თავაძის საშუალებით ბევრი რამ გაეგო, იტყობინებოდა, რომ კოტე ტფილისის მხარეს არ იმყოფებოდა.

ფერეულებმა უკანასკნელად გაიგეს, რომ კოტე სამურზაყანოში მომხდარიყო (ღმერთმა იცის როგორ!) და მოდიოდა.

გარდა ამისა ფერეულები იკრიბებოდნენ, რათა გამოერკვიათ სად, როგორ და როდის დაეწყოთ და დაემუშავებითათ ყანა.

სანაპირო ქალაქში, ისე ვით მთელ საქართველოში და აგრეთვე რუსეთში, იწყებოდა შიმშილობა.

ახლად დადგენილი მთავრობა იყო რბილი და გაუბედავი და იმ ღონისძიებათა მიხედვით, რომლითაც მთავრობამ მმართველობა დაიწყო, ჰფიქრობდნენ, რომ იგი, მთავრობა, შეუდგებოდა ყურადღებისა და პატივისცემის არა დაპყრობას, არამედ დამსახურებას.

XLVIII

ახალგაზრდებმა (ლევანმა და მანანამ) ამ ბოლო დროს მამას შენიშნეს ყველაფრისადმი უყურადღებობა. მამა იცვამდა დაუდევრად; არ იპარსებოდა; საკმელს ვერ სკამდა, გახდა, წვერულვაში გაუთეთრდა და დაემსგავსა ისეთ კაცს, რომელიც მალე უნდა დასნეულდეს.

გარდა ამისა, მამას დასჩემდა შუა

ლაპარაკში სიტყვის შეწყვეტა, თითქოს ლაპარაკი მობეზრებული ჰქონოდე ან თითქოს სხვა რამეს ისმენს.

მამა უმეტესად სდუმდა.

ასეთი ღუმლით იგი განმარტობას არ ცდილობდა, მაგრამ იგი რჩებოდა მარტო, ვით ყრუ კაცი, რადგან შვილები, როდესაც მამა ასეთ მდგომარეობაში ვარდებოდა, მორიდების გამო თვითონაც იწყებდნენ დუმილს. მხოლოდ შვილები და მამა სდუმდნენ თავისებურად.

ქალაქში სურსათი არ იშოვებოდა.

ვინ იცის მოქალაქენი რითი ან როგორ იკვებებოდნენ, მხოლოდ თომა ფერეულს, სოლომონისა და ონისიმეს ოჯახისათვის და ზშირად, როდესაც გადაარჩებოდა, მეზობლებისთვისაც თავისი კარვიდან ჩამოჰქონდა თევზები. ჯილდოდ თომა ღებულობდა მადლობას.

მანანა თევზებს სწავდა.

დიდი ხანია სოლომონთან პური არ ენახათ; მხოლოდ ცოტაოდენი სიმინდის ფქვილი დარჩენოდათ, რაიც ორიოდე დღეს თუ იკმარებდა.

ლევანი შიმშილობის მოლოდინის გამო, თუ იმიტომ, რომ ჰაერი გამოიცვალა და ჯანმრთელად იყო, იმდენს სჭამდა, რომ მანანასი სცხვენოდა და არასოდეს გამძლარი არ იყო.

სადილად რომ სხდებოდნენ, მანანამ სთქვა:

— იცი, ლევან, ბაღში ტყემალი აყვავებულა!

მამა სდუმდა და არ გაუგონია. მანანამ კი ისე სთქვა რომ მამის დუმილის ელფერი დაეცვა, მაგრამ შინაგანი ჰაბუკური ძალით, ბაგები თავის თავად იღიმოდნენ და აჩენდნენ ელვარე კბილებს; ხოლო სიარულის დროს მკვრივი სხეული თითქოს ხტოდა. შემდეგ მანანამ სთქვა: ბრ, სიცივეა! და არც ეს იყო მართალი, რადგან სახეზე მანანას ალმური ასდიოდა, თუმცა ბაღში რომ იყო, ფოსტლები ტალახით გასვროდა და ნაწვიმარზე ატმის ხეები შეერხია;

თმაზე და ტანსაცმელზე დასწვრივ ნავდა და დნებოდა წვემის წვეთები ჰქმნიდნენ პაწია ნათელს, ვით თვლები პატიოსანნი.

აპრილი დაწყებულიყო...

წვიმა, ზშირად იდარებდა, რათა ხელმეორედ ეწვიო და ხეები, რომელნიც კიდევ ერთხელ იწყებდნენ აყვავებას, იყვნენ მუდამ სოველნი. ტყემლის აყვავების გამო ლევანმა გამოიჩინა ყურადღება. მან სთქვა:

— მართლა? და მანანამ თავი დაუქნია და ტუჩები გააკეთა ასე: „დიახ, მართლა! მე ისინი ვნახე, შენ კი იკითხე შენი „რიგვედა“!

ლევანი მუდამ ჰკითხულობდა და მანანასათვის „რიგვედა“ იყო ძმის დაცინვა.

მამამ წყალნარევი ღვინიანი ჭიქა ხელთ აიღო და მდუმარე შესდგა: იგი შესდგა თავის ფიქრთა წინაშე ვით კაცი, რომელიც უდაბნოშია და არ იცის საით წავიდეს. მამას ხელი უთრთოდა. მამა შეჰყურებდა თავის ხელს გულგრილად, თითქოს სხვა კაცი უკვირდებოდა, თუ ბატონ სოლომონ ფერეულს ჭიქის აღების დროს როგორ უცახცახებდა ხელები.

ლევანს უნდოდა მამისათვის ეთქვა:

— ეს თევზები თავიანთი ფეხით მისულან თომასთან კარავში, რადგან წყალში შესცივებიან; თომამ თვითონ მითხრა“...

მანანას ესმოდა და აფასებდა ასეთ ხუმრობას, მაგრამ მამა სდუმდა. იგი სდუმდა მძიმედ, რადგან ჰფიქრობდა ბავშვების დედაზე და თავის მეუღლეზე და უთუოდ არ იყო თანახმა.

არც შვილები, ლევანი და მანანა, იყვნენ თანახმა; მხოლოდ სიცოცხლე, რომელიც მათში იყო და რომელიც მათ ირგვლივ კიდევ ერთხელ იღვიძებდა, აიძულებდა მათ და ხელს უწყობდა შეთანხმებულიყო: რომ დედა, სადღაც შორს მოგზაურობს და დიდ ხანს ვერ დაბრუნდება.

მანანასათვის ეს ისეთივე იყო, როგორც ბავშვობისას:

დედა და მამა შუა ლამისას დაბრუნდნენ.

დედა ოთახში შემოვარდა, რადგან მანანა სტიროდა. დედას ხელთათმანები ეცვა შავი და გრძელი; მამა შემდეგ შემოვიდა ოთახში.

უეჭველია, ბავშვობისას ასეთი რამ მამასაც ექნებოდა გამოცდილი, მაგრამ დავიწყებული.

შვილები გრძნობდნენ მამას და ერთი-მეორეს.

მალე კოტეც უნდა დაბრუნებულიყო; იგიც მოგზაურობდა. დღესა თუ ხვალ აგრეთვე უნდა ჩამოსულიყვნენ ბატონი მურზა უთნელიძე და მისი შვილი ვანო.

უთნელიძეები, რომელთაც მთავრობამ სანდალი ჩამოართვა, მსუბუქი ჭაგნით რამდენიმე დღეა წასულიყვნენ სამურზაყანოში, სადაც ჯერ კიდევ იშოვებოდა ცოტათინი სიმინდი; მხოლოდ ფულის ნაცვლად სამურზაყანოში ლებულობდნენ საცმელსა და თეთრეულს და იმასაც ისეთ ნაცნობ და პატივცემულ კაცისაგან, როგორც იყო ბატონი მურზა.

მურზას მიჰქონდა გადასაცვალ საქონელი, თავისი და ფერეულებისა, ისე ვით ძველ საუკუნოებში.

იგი დაბრუნდებოდა მალე.

მანანამ წამოიძახა: დედა! და უნდოდა დაემატებია: ჩემი ვაშლი! რადგან ლევანმა ხუმრობით გათლილი ვაშლის ნაჭერი წაართვა; მაგრამ „დედის“ ძახილი ისე გაისმა, თითქო მანანა დედას მართლა ეძახდა, თითქო დედა მეორე ოთახიდან გამოვიდოდა და ღიმილით მოისმენდა, თუ ამ შტერმა ლევანმა რა ჩაიდინა.

ანგარიშ მიუცემლად მანანა ძმას ყელში წვდა და მთელი ძალ-ღონით დაუწყყო ხელის მოჭერა.

— ჩემი ვაშლი! რამდენჯერმე კბილების ხრკილით წარმოთქვა მანანამ. გაკვირვებულმა ლევანმა მანანა მოიშო-

რა და მტკივან კისერს ხელეზობდა ჯავდა.

შვილების ხმაურს მამამაც ყურადღება მიაქცია. ჩამოვარდა სიჩუმე. მანანა იჯდა შემკრთალი. მას აკრთობდა ის, თუ რატომ ჩაიდინა ასეთი რამ; აგრეთვე ის აკრთობდა, რომ მის უკან, სადაც ამდენ ხანს ეგულებოდა კედელი იყო უფსკრული, სადაც საშიში იყო ჩავარდნა, რადგან ჩავარდნა შეიძლებოდა და გადაშორდებოდი დედა-მიწას. ეს იყო საშინელება. მანანა უნდა დარწმუნებულიყო ამაში.

განცვიფრებულმა მამამ და ლევანმა დაინახეს, რომ მანანამ კედლისაკენ თავი მიიბრუნა, თითქო ექვიანი კაცი რამეს ჰხვერავდა, ადგა, შემოტრიალდა და დაჯდა.

ასე ჰქნა მანანამ რამდენჯერმე. შემდეგ მკლავებითა და თავით მაჭიდაზე დაემხო და დაიწყო ტირილი. იგი სტიროდა ხმა მალლა და იძახოდა:

— დედა, დედა!

მამა უზომოდ შეწუხდა; მამა ამბობდა:

— შვილო, მაკმარე უბედურება!

მანანას გული ამოესკვნა. ჯერ იგი უცრემლოდ ჰგმინავდა, შემდეგ გმინვა შეუწყდა და მანანამ ითხოვა ბალში გაეყვანათ. რადგან არ სწვიმდა, მანანას ტანთ სათბურები მოახურეს და ჰაერზე გაიყვანეს. ღონე მიხდილი მანანა მიჰყავდა მამას. მანანა თვალთ ვერ ჰხედავდა.

ლევანი მკურნალის მოსაყვანად გაიქცა.

XLIX

მართლა აყვავებულიყო ბალში ტყე-მალე.

ბალი იყო სოველი, ჰაერი მწვანე და გამჭვირვალე, ხოლო მიწა წვიმისაგან აღუებული. იდგა სურნელება მოახლოებულ გაზაფხულის.

— შვილო, მანანა!...

ამბობდა მამა და თავისაში მანანას

ფუნთუშა ხელები ეჭირა, რათა მათ მიჰფერებოდა.

მანანას თვალ-ხედვა თან და თან დაუბრუნდა და იგი სუსტად ილიმოდა. საშიში უთუოდ არაფერი იყო და მამა კვლავ მიეცა ღუმის.

მალე ალაყაფის კარები გაიღო და ეზოში ნელი რბენით შემოვიდა მურზა უთნელიძის ჭაგანი და შემოიტანა ცხენების ფრუტუნის და ოხშივარის; ცხენები (მსუბუქ ორ-თვალა ჭაგანში ორი ცხენი ება) ხეებს შორის ფეთღებოდნენ და მორბოდნენ უხერხულად. ჭაგანზე, სადაც სიმინდით სავსე ტომრები ეწყო, მურზასა და ვანო უთნელიძის გვერდით იჭდა გლეხურად ჩაცმული კოტე ფერეული.

ახლად მოსულნი ჭაგნიდან გადმობტნენ.

მათ ბაღში სოლომონი და მანანა შენიშნეს და მათკენ გაემართნენ. ამავე დროს გამოჩნდნენ მკურნალი და ლევანი. ისინი ფეხით მიდიოდნენ და, როგორც სჩანს, ლევანი მკურნალს აჩქარებდა და მოხუც ძია ალექსის სიარულში პალტო გაჰღებოდა.

— მანანა! ჩემო პატარა გოგონა!

მღელვარებით დაუძახა კოტემ დას და მის მღელვარებაში ისმოდა შიში და განცვიფრება; შიში იმის გამო, რომ სრულებით არ ელოდა მანანას ავადმყოფობას, ხოლო განცვიფრება იმაზე, რომ პატარა გოგონა, როგორც მას მანანა ახსოვდა და ელოდა, გამოცვლილიყო და თავის წინაშე ის ხედავდა ქალწულს, რომელსაც ზრდა, მართალია, ჯერ არ დაესრულებია, მაგრამ ადვილი იყო წარმოდგენა მისი დასრულებული მშვენიებისა. კოტე ერთად მოეწვია დასა და მამას.

მკურნალი მოვიდა.

ძმებმა, კოტემ და ლევანმა, ერთიმეორე გადაჰკოცნეს; ლევანს ამ დროს თვალთ ცრემლები მოადგა და კოტემ წარბები ოდნავ შეჰხუთა. ემჩნეოდა, კოტე განაგებდა თავის თავს. მას ეცვა გლეხური სამოსი: ჩოხის ხალათი, შარვალი და ქალამნები, მაგრამ სიარულში

ლში სჩანდა არა გლეხური ტანსაცმელი, არამედ მკვრივი და კარგად შეკრული სხეული. მკურნალმა ყოვლის უწინარეს სახლში შესვლა მოითხოვა და მამამ და კოტემ მანანა წაიყვანეს და სხვანი მათ უკან გაჰყვნენ.

L

სრულებით არ ელოდა ვანო უთნელიძე ასეთ ამბავს.

მას მოჰქონდა რვეული, სადაც ფაქრით, ისიც ხაზებით, შეესრულებია სამურზაყანოს სანახაობანი: რამდენიმე ხედი; აგრეთვე ერთი მოხუცი ქალისა და ბავშვის სახე და თუ მოახერხებდა უნდოდა მანანასათვის რვეული ეჩვენებია; წითლდებოდა მხოლოდ იმაზე:

„ვაი თუ მანანას არ მოეწონოს“ო, თუმცა გზაზე კოტეს უჩვენა და კოტეს მოეწონა.

საბრალო კოტე! დედის სიკვდილი რომ გაიგო, დიდ ხანს ხმა არ ამოუღია, მხოლოდ შემდეგ ამოიგმინა: ვაი!

იმ დამეს მურზამ უთხრა შვილს:

— რამხელა ვაჟაკი ყოფილა, ხედავ, შვილო?!

მკურნალმა მანანა გასინჯა: თვალი, მაჯა, მუხლი და სხვა.

ვანო ცდილობდა მანანასი ყველაფერი გაეგო, თითქოს არა თუ ამის უფლება ჰქონდა, არამედ თითქო მოვალეც იყო, და ეს მაშინ, როდესაც საზოგადოდ მორცხვი ვანო თავდავიწყების გამო მორცხობას ერეოდა, რათა მეორე წუთში გონს მოსული ისევ კარში მდგარიყო დარცხენილი და მღელვარე.

ეს იყო უცნაური.

მაგრამ ყველაზე უცნაური ის იყო, რომ მკურნალი, რომელიც ფერეულეების ოჯახში შინაური კაცი იყო და ყველას იცნობდა, როდესაც მანანას ავადმყოფობაზე ლაპარაკობდა, მიმართავდა არა მამას, ბატონ სოლომონ ფერეულს, არც სხვებს, არამედ მკურნალი შეჰყურებდა სრულიად ახალგაზრდა

ვანო უთნელიძეს და უმარტავდა: ეს სრულებით არაფერი არ არის! მე არაფერს ვწერ; მხოლოდ დასვენება, ჰაერის გამოცვლა.

მკურნალი წავიდა; ცოტათი გულუბრყვილო და თავისებური კაცი. სხვები იქ დარჩნენ.

დარჩნენ ყველანი მკურნალის გარდა, რათა ერთი მეორისათვის გამოეთქვათ სიხარული თუ გაკვირვება, ტანჯვა თუ მწუხარება იმის გამო, რაც მოხდა, და იმის გამო, რასაც ელოდნენ. და ამ მღელვარე გრძნობებს ერთმანეთს წარუდგენდნენ თუმცა ჩუმად, მაგრამ ძლიერად; და ძნელი იყო იქ ყოფნა, იმათგან გამოყოფა.

სოლომონმა ეს შესძლო. იგი იდგა

თავისთვის დაფიქრებული და მტკიცედ იმეორებდა:

„ტანჯვანი და მწუხარებანი, სიყვარული და სიძულვილი, ტკივილი და უზნურებანი, აი სამკაულები კაცთა, რითაც ერთი მეორეს ვაჯილდობთ, რასაც ერთი მეორეს ვსტაცებთ და რაც შეადგენს ჩვენს განუყრელ ავლა-დიდებას!“

შემდეგ იგი ლაღადებდა:

„უთუოდ გონებაჲმან ჩემჲმან, ვითა სვავმა მოშვიებულმა, განღრღნა და განკორტნა სხეული ჩემი და შესვა სული ჩემი!“

სოლომონი თრთოდა.

იგი გრძნობდა დაუძლეურებას, რადგან სცივოდა სხეულსა და სულში.

სოშო

დეკემბერი 1937.

მერი შალვაშვილი

გაზაფხულის სიოფონია

ვარდობისთვეებს შეგიგროვებ
ჩემი პეშვებით,
გავაღებ კარებს და შენს ტაძრებში
მიმოვაბნევ სუყველა ლოცვას,
მოპარულს ხორკლიანი დღეების ხელით,
მე შემოვაგლებ, საქართველო,
შენს მთა-გორებს იების სურნელს;
მე შევიწახავ შენს ღამეებს
ფრთხილად, სათუთად.
რომ ეუსაჩუქრო იმ განთიადებს
რომელთაც ახსოვთ შენი სახელი.
მე მიმოვაფენ შენი თმების

მწვანე ტევრს ირგვლივ,
ჩავიხედავ მთვარის ცრემლში,
ცრემლში მამულის...
მივეჩვევი წვიმის ამბორსაც —
ეს შენი თბილი ხელისგულია,
ნაკადულივით რომ გადაირბენს
ჩემს შემკრთალ მხრებზე.
ისევ მზე ფეთქავს,
საუკუნეთა მწვანე შრეებქვეშ...
ვარდობისთვეებს შეგიგროვებ
საქართველო,
ჩემი
პეშვებით.

ლიტვა, რუმინიკას შემოდგომა

ოქროს გვირგვინი ადგას ტყეებს
რუმშიშკეს ბაღებს.
სახლის გაცრეცილ საბურავზე
ფაიფურის მთვარე ნებივრობს,
და ორლობებს შემკრთალ მხრებზე
აწევთ სიჩუმე.
ჩვილი ბაეშვის სუნთქვა ისმის
ჩაკეტილი კარების იქით —
ეს უხილავი, უცნობი სული,
დათარეშობს ამ ძველ სახლებში.
ყრუ ოთახებში კენესის კედლები
მონატრებული ბუხრის სითბოს,
ცხელი პურის სურნელებას,
ცრემლსა და სიცილს.
ოქროსფერი ფერფლი აყრიათ
ფრთებზე

დადუმებულ ქარის წისქვილებს,
არეულია ერთმანეთში წყველა და
ლოცვა
და ფოთოლცვენა შემოდგომის
საგალობელი,
ეკლესია კი პირველყოფილი მარტივი
ხელით
შექმნილი ხატი, გულგრილად გვიძზერს
დაუსრულებელ სიმარტოვეში...
იქნებ შეეხოს უცხო ხელი ვიგეს თუ
ლოპშის,
მიწამდე დახრილ ვაშლის ხეებს იქნებ
შესწიროს
მსხვერპლად უკანასკნელი სიყვარული.



დაგვიანებულ სტუმარს უკვე არავინ
ელის
და ღამით კარსაც არავინ აღებს,
საყვავილეში დევს ფაქიზად
ანგელოზის მოკრილი ფრთები,
დრო კვლავ მოცურავს
სიცოცხლის ფერმკრთალ პეიზაჟიდან

მარადიული და შეუცვლელი, გიგანური
და შემპარავად, სიმშვიდით მიაქვთ
ზაფხულის ცეცხლი,
შემოდგომის ვიოლინოებს.

რუმშიშკეს — მუზეუმი ღია ცის ქვეშ
ვიგეს და ლოპშის — ჩვილი ბავშვის
საწოლი.

პოეტი

ჩემი თითები შეზრდილია
ვერხვის ჩის ფესვებს,
ჩემი თმები კი ტოტებს, ფოთლებს
და ელვის მავთულს.
ჩემი სხელი შეზრდილია
სივრცეების ფერმკრთალ კონტურებს,
ჩემი სურვილი — შენი ფიქრის
უხილავ კედლებს.
მე ვარ პოეტი,
მე ვარ თვალი დაკიდული სისხლიან
ძაფზე,
მე ვარ კრილი.

ნათელის და ბნელის გამყოფი,
ჩემში უსაზღვროდ, უკიდვანოდ —
ცხოვრობს კლოთო და აფროდიტე,
მე ვარ საწყისი სამყაროსი
(მომზირალი განცვიფრებული
ჩვილის თვალებით)
წუთისოფლის ერთ ცრემლში
რომ აერთიანებს: ტკივილს, დიდებას,
იმედს თუ ლოცვას...
ჩემი თითები შეზრდილია
ანთებულ სანთლებს.



ნაწი ჯაში

• • •

ძველებურად, ჩემი სოფლის გზაზე
მხვდება წყარო ხავსიანი ღარით,
ფეხს მისველებს ციურ მადლით სავსე
ბალახებში დაბნეული ცვარი.
მოხუცები ველარ მცნობენ, ვატყობ,

ვილაც მიმზერს, გამიხსენოს ცდილობს...
— მე ვარ, დილა მშვიდობისა, ხალზო!
— მშვიდობის გზა ნუ მოგშლოდეს,
შვილო.

• • •

აი, თითი შემობოჭეს ბეჭდით,
აი, ფატიოთ დამიმშვენეს თმა...

ნუთუ მოკვდა ყოველგვარი ეჭვი,
ნუთუ მართლა წამიყვანა... სხვამ.

• • •

წუთისოფელი, ტიალი, სანამ კარგად
არ დაგვდლის,
მანამ რად ვერ ვცნობთ:
კეთილ კაცს,
ბოროტს,

სათნოს თუ თაღლითს...
ამ ამოცანას, თითქოსდა ერთი
შეხედვით ადვილს.
უბრალოდ, ინტუიციით ხსნიან:
ბავშვი და ძაღლი.

• • •

ფიქრი ისევ გარდასულზე მომბეზრდა და
მარტოობაც გადავღალე მოგონებით.
მაგრამ დაზეთ?!
აღარ მახსოვს, რას გრძნობენ და
განიცდიან ჩვიდმეტი წლის გოგონები.



ანტირაბიული მკურნალობის კურსი

მოდერნიზმი

ექიმ ჭანკვეტაძეს ძალღმა უკბინა.
ამჟამად, კბენიდან ერთი კვირის თავზე, პათივცემული დასტაქარი იმ ოხერ, უპატრონო ძალღზე ისე არ ჯავრობდა, როგორც ნუთისოფლის სიმუხთლეზე: იმ ავბედით დილას მისხალი წინდახედულება და საზრიალობა რომ გამოეჩინა, უთუოდ აიცდენდა ამ ყოვლად უგუნურ, სულ არაფრიდან აღზევებულ ხიფათს. იცოდა — არ სცოდნოდა მაინც! — სასტუმრო „საფარას“ რესტორანთან არსებულ თონეში რემონტი რომ გამართულიყო, მაგრამ შვებულებაში წინდლით გასული კაცისთვის საპატიო, ოდნავ გულუბრყვილო სიხარულით ფრთაშესხმულმა, მაინც გასწია ლილინ-ლილინით „საფარასკენ“, — იქნებ მოხდა საოკრება და შუაკეთეს უკვე თონეო. არხეინად იყო — გავიდოდა ორისამი საათი და ივლისის ბდღვრიალა მზე სალექი რეზინივით დაარბილებდა თბილისის ქუჩების გადადუღებულ ასფალტს, ამიტომ ორბაზიანი შოთები თუ არა, დილის გამამხნევებელი სტირნობა ხომ მაინც შერჩებოდა დასტაქარს, მაგრამ... კაცი ბჭობდა — ღმერთი იცინოდაო, ნათქვამია. რანამს შეაღწია დასტაქარმა სასტუმროს უკანა ეზოში, მაშინვე მიხვდა, რომ პურის გამოცხობას აქ ჯერჯერობით არ შესადგომოდნენ: ჩეროში მთვლემარე, რესტორნის სამზარეულოს მიკედლებულ ძალღს გარდა ირგვლივ არავინ ჩანდა. ენერგიული სიჯიუტით შეპყრობილმა, მაინც გადასერა ხისა და მუყაოს დაცლილი ტარით ჩახერგილი ეზო და თონისკენ ჩამავალი რკინის ვიწრო კიბის ზედა საფეხურზეც შეადგა ფეხი. აბა, რას წარმოიდგენდა, ის ერთი ციციქნა გოშია — სამიოდე მტკაველი ნესტოებიდან კუდის წვერომდე — თუ გამოედევნებოდა უკან. მაგრამ გოშიამ დასტაქარის მშვიდობიანი ზრახვები არად ჩააგდო, უჩუმრად, ყეფისა და ღრენის გარეშე ნაშოუპარა მას და... შეიგრძნო თუ არა დასტაქა-


რმა მარცხენა ფეხის კოჭთან ჩხვლეტა და სისველე, მკვირცხლად გაინია და შემობრუნდა, მაგრამ გვიანდა იყო, — გოშიამ, ვითომც არაფერიო, მიანება კბილი დასტაქარის კოჭს და ზანტად ჩაირბინა კიბეზე, გაუჩინარდა სარდაფეთის ბნელეთში. უმალ მიავიწყდა დასტაქარს დილის მოციონიც, შოთებიც, შვებულებაც და ზაფხულის მცხუნვარებაც, სასწრაფოდ დაიღუნა, გაიძრო ფეხსაცმელი, აიკაპინა შარვლის ტოტი, ჩაინია წინდა და რა იხილა ალაგ-ალაგ მოკლე, ალისფერ ზოლებად შენეებულ სისხლის ხშირი წინწკლები, მყისიერად შეაფასა მრისხანება იმ გრიგალი-სა, ასე მოულოდნელად რომ დაატყდა თავს. ტკივილს თითქმის არ გრძნობდა, მაგრამ ბრაზით კინალამ იქვე დაიხრჩო, — თუშცა ჯერ ვერ გაერკვია რაზე თუ ვისზე ბრაზობდა: განგებაზე, საკუთარ უგუნურებასა თუ იმ წარწყმედილ გოშიაზე — ალბათ, უფრო საშვებულებო გეგმების ჩაშლის საშიშროებამ გაამწარა. შემდეგ, როგორც იყო, მუხლამდე აკაპინებული შარვლის ტოტითა და წახვერადგამძვრალი ფეხსაცმელით, გასწია სამზარეულოსაკენ — იქ თუ უშველიდა ვიხმე. მიუხედავად იმისა, რომ რესტორანი შუადღეზე იღებოდა, ხახვისა და ნიორის ოხშიერით გაყლენთილ სამზარეულოში დილიდან აღიაქოთი სუფევდა. აი, ახლაც, მოფუსფუსე, თან დასტაქარისთვის სრულიად უცხო საკითხებზე ცხარედ მოკამათე მზარეულებმა თავიდან არავითარი ყურადღება არ მიაქციეს ზღრუბლზე გადმომდგარ უცხოებს. „მიშველეთ, ხალხო! — აღმოსხდა წინამხდარ დასტაქარს, — შეხედეთ, თქვენმა ძალღმა რა მიყო!“ ამ შედახილის გაგონებაზე მოკამათენი შედრკნენ, დასტაქარი კი კედელზე მიმდგარ უზურგო სკამთან მილასლასდა, ფრთხილად ჩამოჯდა და წინდა ბოლომდე გაიძრო. „ხედავთ? ვის მოვთხოვო პასუხი? ვისია ძალღი?“ — სხაპასუხპით მიიყარა მან

კითხვები მზარეულთ. ექიმს მაშინვე თვით, გაურეცხავ ხალათში გამოწყობილი ახმახი მიუახლოვდა და ჭრილობას დააკვირდა. „ვახ, ბიჭო, კუსას რა უქნია! — თქვა შეშფოთებული, — რა ეცივბატონო, ვისია ეგ ოხერი კუსას კი ვეძახით და... ისე, ნამეტანი არ დაუგლავჯიხართ, ბატონო, გაგივლით... არც არავისია, რაც თავი მახსოვს აქ, ორი წელია ვმუშაობ, გდია აგერ ეზოში და...“. „ცოფიანი არ იყოს, — ამოიკვნესა დასტაქარმა, — იოდი ან სპირტი არ მოგებენებათ?“. „ვალოდემ, ბიჭო, ერთი მაგ არაყი მოასხი ბამბასა და აქეთ მიატო, — მიაძახა ერთ-ერთ მზარეულს ახმახმა და ისევ დასტაქარს მიუბრუნდა, — ნუ გეშინიათ, ბატონო, აქ ცოფიანს ვინ გააჩერებდა, ათასი ხალხი დადის ჩვენთან“. „ქალი რო ალაგებს, გუშინ იძახოდა კუსამ ლეკვი დააგდოო. მაგითო თუ გაავებულა, — აზრი გამოთქვა ვალოდემ, — სად შეგეყარათ?“. „თონეში ჩავდიოდი, — ისევ კვნესით უპასუხა დასტაქარმა, — უქნიდან წამომეპარა, ვერც კი გავიგე“. „თონის გვერდზე, სარდაფშია ლეკვი, — მხიარულად თქვა მესამე მზარეულმა, — მშობელმა ასე იცის, აიღო და დაგესხათ“, „ბამბა არა გექონია, საღვეთკას თუ მივასხამ არაყსა“, — დაიყვირა ვალოდემ. „მაიბა რაცაა“, — გაძოვხმანურა ახმახი. ვალოდემ საგულდაგულოდ დაჭმუჭნული, არაყადავლებული ქალაღდის ხელსახოცი მოარბენინა და მიართვა დასტაქარს. დასტაქარმა ხელსახოცი ჭრილობას მიადო, მაგრამ ვერავითარი წვა ვერ იგრძნო. „აჰა-აჰა, — გაქნია თავი ვალოდემ, — შრატის უნდა მაგას, შრატის, სიფრთხილეს თავი არ სტკივა, მა-აჰ“. მართალიც იყო. ექიმმა ჭანკვეტაძემ პროფესიული სიცხადით წარმოიდგინა თუ რა საზარელი შედეგი შეიძლება მოყვეს მის გაუფრთხილებლობას, წარმოიდგინა და ანაზღაურად შეაცვივა კიდევ.

ახლა კი, კბენიდან ერთი კვირის თავზე, ვეტექიმისა და პირადდ მის, ექიმ ჭანკვეტაძის მიერ მეთვალყურეობის ქვეშ აყვანილი ძალღი უქცრად დაიკარგა, გაიპარა თუ გააპარეს „საფარას“ სამზარეულოდან. რესტორნის მოსამსახურეების წინაშე დიდხანს იქნია ხელები გულმოსულმა დასტაქარმა, მუქართაც დაემუქრა, მაგრამ ვერაფერი გაანყო. იმავე ახმახმა ასე მოახსენა: „რა მექნა, ბატონო, კაცს აღარ აცალა შოთის ყიდვა, ნამეტანი გაავედა და... ჩემი თვალით არ მინახია, მაგრამ იძახიან აგერ — მძლოლმა ჩვენ მანქანაში შესვა და მუშტაიდის ბაღში გადააგდო თავის ლეკვიანადო, მოვა მძლოლი და გტყვით, მაშ როგორ...“

თავიდან კი საქმე თითქოს საათივით აენყო. მას შემდეგ რაც ახმახმა და ვალოდემ პირველი დახმარება გაუწიეს, დაუყოვნებლივ თავის პოლიკლინიკას მიაშურა და, როგორც

ძალღი დაკბენილმა, რიგგარეშე ტანს დაჭმუჭნული ქირურგთან. ქირურგის მიყოფილებით, მდებარე ვერ ტეტანუსის საწინააღმდეგო წესის უჩხვლიტა, შემდეგ კი მეზობელ დერეფანში მდებარე ანტირაბიული კაბინეტისკენ ასწავლა გზა. კაბინეტი მთელი რაიონის დაკბენილებს ემსახურებოდა და ამ „სპიდიანობის“ ჟამს მაინც და მაინც არ მიუწევდა მისკენ გული ექიმ ჭანკვეტაძეს, მაგრამ, მისდა სამწუხაროდ, სხვა გამოსავალს ვერ ხედავდა. თავად უროლოგიური პროფილის კლინიკაში მუშაობდა და დარწმუნებული იყო, რომ საჭირო შრატის საწყობშიაც კი არ მოეძებნებოდათ, არც ერთჯერადი შპრიციები ეგულბოდა სადმე, მეგობარი ექიმები კი თითქოს ჯიბრზეო. — მისი ცოლ-შვილისა არ იყოს, — ქალაქში გამეფებული სიცხით შეწუხებულნი, ერთიანად აგარაკებზე გაკრეფილიყვნენ ალბათ, გულდასმით რომ დაეძებნა, მოიხელთებდა მაინც ვინმე ნაცნობს, მაგრამ, სიმშვიდენარეთმეულმა, საბოლოოდ ანტირაბიულ კაბინეტს არცთუ ხანგრძლივ რიგში ჩადგომა აშკარა იქნა. კაბინეტის მეუფემ, ჭარმაგმა და დარბაისელმა მამაკაცმა, დიდი პატივით მიიღო — უცებ აღმოაჩინეს საერთო ნაცნობები — და გულისყურით გაუსინჯა ჭრილობა. „საგანგაშო არაფერია, — გამოიტანა მან დასკვნა, — მე, რა თქმა უნდა, ახლავე შემიძლია აცრა დაგინყოთ, მაგრამ ნაკბენი კოჭზეა, ვირუსი, სისხლში შეჭრილიც რომ იყოს, ტვინში მალე ვერ გადავა. ფაქტიურად უზრალლო განაკანონა და სასწრაფო ჩარევას არ მოითხოვს. მოგეხსენებათ, ცოფის ვაქცინირება ორჯანისმისთვის დიდი ვერაფერი სიაშოვნებაა, თუმცა, ახლო წარსულთან შედარებითაც კი, დღეს მძლავრი საშუალებანი გაგვარჩია. თქვენი კომპლექციის კაცს მინიმუმ თოთხმეტი წემსი უნდა დავუწინწო, ხოლო კურსის დამთავრების შემდეგ კიდევ ორი თვის განმავლობაში მეტად შეზღუდულად იგრძნობთ თავს. ნაკბენი ხელზე, ხელის თითებზე, ბარძაყზეც რომ ყოფილიყო, ლამპარაკიც კი ზედმეტი იქნებოდა — დღესვე დაგინყებდით მკურნალობას, ამ შემთხვევაში კი აჩქარება აუცილებელი არ არის. გირჩევთ ასე მოიქცეთ: მოელაპარაკეთ თქვენი უბნის ვეტექიმს, უმეთვალყურეთ ძალღს და თუ კბენიდან მეთერთმეტე დღეს ძალღი ცოცხალი დარჩა, აღარაფერი დაგემუქრებათ. ასე გვირჩევენია, ბატონო ჯულიკო, მოვიცადოთ ოდნავ“. ექიმი ჭანკვეტაძე გულითადად დაემშვიდობა სპეციალისტს, თავი დაუკრა იქვე მყოფ თანაშემწესა და მედდას და ქუჩაში გავიდა. ჭრილობა თითქმის შეუხორცდა და პრაქტიკულად აღარ ანუხებდა, თანაც განაჩენმაც დაამშვიდა. იმედი აღეძრა, რომ „საფარას“ მზარეულების დახმარებით რო-



გორმე გაართმევდა თავს იმ ოხერი გომის თერთმეტდღიან მეურვეობას.

სირთულე იმაში მდგომარეობდა, რომ ექიმ ქანკვეტაძეს ცოლ-შვილი ლიკანში, სანატორიუმში, გაეგზავნა დასასვენებლად და, ამდენად, სახლში მარტოდმარტო დარჩენილიყო. გრძნობდა, რასაკვირველია, რომ ძალზე საიმედო მეთვალყურეობის დაწესებისთვის მისი გალიაში ჩასმა და სახლში მოყვანა აჯობებდა, მაგრამ ჰქონდა კი მაგის თავი დასტაქარს? ქალაქელი, ცხოველებს შეუჩვეველი კაცისთვის, უფიშო ძაღლის ბინაში შემოგდება და მისი მოვლა დიდი ხათაბაა. როგორ მოუაროს ძაღლს, თანაც ლეკვიანს? ლეკვს მოაცილოს? მაგრამ ეს სისასტიკე იქნებოდა. ჯულიკო ქანკვეტაძეს კი ეზარებოდა სასტიკი ადამიანები.

ცოტა უცნაური, მისი ასაკისა და სოციალური მდგომარეობის კვალობაზე ოდნავ შეუფერებელი ზედმეტსახელი — ჯულიკო — ადევნებოდა ექიმ ქანკვეტაძეს. ოფიციალურად, მეტრიკისა და პასპორტის მიხედვით, მას ფრიად გავრცელებული სახელი — სერგო — ერქვა, მაგრამ ოჯახის წევრები და ნაცნობ-მეგობრები მაინც ჯულის, უფრო ხშირად კი უბრალოდ ჯულიკოს ეძახდნენ. რაც თავი ახსოვდა, ასე მიმართავდნენ და მანაც შეისისხლხორცა დარქმეული — აკი ანტირაბიული აცრების სპეციალისტსაც თავი ჯულიკოდ გააცნო. დასტაქარის მამა — ტარიელ ქანკვეტაძე — ჯერ ქუთაისში, შემდგომ თბილისში მასწავლებლობდა, დედა — თალიკო შუბითიძე, წვრილი სამოქალაქო მოხელის, იროდიონ შუბითიძის ქალი — ქმრის გარდაცვალებამდე უბრალო დიასახლისი იყო. ახალი ხელისუფლების სამსახურში ჩამდგარი იროდიონი იმდენად მიაპიტო, აპოლიტიკური თუ ილბლიანი ადამიანი აღმოჩნდა, რომ რაღაცა მანქანებით ეპოქით მოვლენილ მახეებში გაბმას გადაურჩა და სიცოცხლის გზა ღრმა საპენსიო ასაკში დაასრულა — სწორედ იმ წელიწადს, როდესაც კაცობრიობა კოსმოსში პირველი ხელოვნური თანამგზავრის გატყორცნას მოეხსნო. ტარიელ ქანკვეტაძემ კი, სამნუხაროდ, გაფურჩქვნის ასაკში, ორმოცი წლისამ დალია სული: თავისი ხელით დაკრფილმა სოკომ მოწამლა. იმ ავად სახსენებელ ზაფხულს ქანკვეტაძეები ცემში ისვენებდნენ და სანამ ცემიდან ბორჯომს, ბორჯომიდან კი თბილისს, სათანადოდ აღჭურვილ სტაციონარში ჩაიყვანეს ბოდივითა და ჰალუცინაციებით შეპყრობილი ავადმყოფი, შხამი ისე გაუჯდა ქსოვილში, რომ წამლობა დაგვიანებული იყო — თურმე ასეთი ბოლო ეწერა უბედურს. ვინ იცის, იქნებ დღეს კი მოეხერხებინათ მისი შველა, მაგრამ ნახევარი საუკუნის წინანდელი მედიცინა უმ-

ნეო აღმოჩნდა ესოდენ ძლიერი მანქანის წინაშე. ბავშვის მოვლისა და აღზრდის ტერიტორია — ორი წელიც არ შესრულებია დაობლებულ ჯულის — ქალბატონ თალიკოს და თავად მოსავლელ იროდიონს დაანათ მხრებზე. ტარიელის პატიოსანი მასწავლებლობის ხათრით ქანკვეტაძეებს გრიბოედოვის ქუჩაზე მდებარე ძველებურ სახლში ჰქონდათ მიჩენილი ერთი დიდი ოთახი. რაც მთავარია — იზოლირებული, რაც იმხანად თითქმის ფუფუნებად ითვლებოდა და ქალბატონ თალიკოს კანონიერი სიამაყის საგანსაც წარმოადგენდა. დიდი ხანა სხვა, შეუდარებლად უფრო კეთილმოწყობილ და წარჩინებული მეზობლებით განთქმულ სახლში დაედო ბინა ჯულიკო ქანკვეტაძეს, მაგრამ მაინც პირველ პაემანზე მიმაქროლი ჭაბუკივით აუპგერდებოდა გული, როდესაც, განზრახ თუ უნებლიეთ, იმ შეუხედავ, არაერთხელ ვითომ გარემონტებულ შენობას ჩაუვლიდა გვერდზე. კიდევ კარგი, ქალბატონ თალიკოს დისქმარში გაუმართლა, — ან განსვენებულმა ვიქტორ ნიჟარაძემ, იმხანად თბილისის სამოქალაქო ადმინისტრაციის საკმარად გავლენიანმა მუშაკმა, დიდად შეუნყო ხელი ცოლისდას: უფროს აღმზრდელად მიაღებინა რევოლუციის ამაგდართა შვილიშვილებისთვის საგანგებოდ გახსნილ საბავშვო ბაღში, რაც სრულიადაც არ იყო იოლად მოსაგვარებელი საქმე. ექვსი წლის იყო ჯული დიდმა სამამულომ რომ იქუხა და ომის დუხჭირ წლებშიც ხშირად დახმარებია — სურსათით, შემითა თუ ტყვილი სიტყვით — ბატონი ვიქტორი გარდაცვლილი ტარიელ ქანკვეტაძის ოჯახს. სწორედ სიძის მარჩვათისა და გულკეთილობის წყალობით მოახერხა შუბითიძის ქალმა, — მადლიერების გრძნობით აღიარებდა ხოლმე ამას, — ბიჭის ჯანმრთელად გამოზრდა და მისი ფეხზე დაყენება. მოგვიანებით, უკვე მოწიფულობის ხანაში შესულმა დასტაქარმა მოხუცებული დედისგან ეგზომ უცნაური ზედმეტსახელის მოგონების ამბავიც შეიტყო. თურმე ჯერი რომ ახალშობილისთვის სახელის დარქმევაც მიდგა, ტარიელს ბიჭის ქრისტეფორედ მონათლა განუზრახავს — გამოჩენილი საზღვაო მოგზაურის ქრისტეფორე კოლუმბის პატივსაცემად. ფრიად განსწავლულ მასწავლებელს განსაკუთრებით გეოგრაფია უყვარდა, ბევრიც ნაეკითხა კაცობრიობისა და ცივილიზაციის გამაბედნიერებელ მოღვაწე-მკვლევარებზე: ვასკო და გამაზე, მაგელანზე, კოლუმბზე, ამერიგო ვესპუჩიზე, მარკო პოლოზე და მავანსხვაზე, არც უნდა ყოფილიყო, მისი თვალსაზრისით, ამგვარ ცნობისმოყვარეობაში რამე საჩოთირო, მაგრამ... შვილისთვის ქრისტეფორეს დარქმევა... ქალბატონ თალიკოს

აზრით ეს მეტად გაუფრთხილებელი ნაბიჯი იქნებოდა: ჯერ ხომ ამ სახელს თითქოს რაღაც რელიგიური ელფერი წაურავდა, მერმე — მაშინ უაღრესად დაიძაბა პოლიტიკური ვითარება ესპანეთში, რეაქციონერი გენერლები იტალიელი და გერმანელი ფაშისტების ნაქეზებით აუმბობდნენ კანონიერ რესპუბლიკურ მთავრობას, საბჭოთა კავშირმა ესპანელ ხალხს სამხედრო დახმარება აღუთქვა, ასეთ არეულ დროს კი პირმშოსთვის აშერიკის აღმომჩენი ესპანელი ადმირლის სახელის მინიჭება... ქალიშვილს იროდიონაც დაუჭირა მხარი და საბოლოოდ, მიუხედავად ტარიელის მგრყობისა, ქალბატონ თალიკოს შეხედულებამ იმარჯვა: ბავშვს ერთობ ჩვეულებრივი, თანაც პოლიტიკურად საიმედო სახელი — სერგო — დაარქვეს. ამასობაში ტარიელს სკოლაში მოღვაწეობის რაღაც იდუმალი გაურკვევლობით აღსავსე ხანა დაუდგა, — მეტად შორს წაგვიყვანდა იმ დიდი თუ მცირე უსიამოვნების ჩამოთვლა სულს რომ უმწარებდნენ და ხვალინდელი დღის რწმენას უკარგავდნენ მასწავლებელს, ერთი კი ნადღია: სულით აფორიაქებულ ტარიელს ახლობლებისა და გარეშე სამყაროს არაფრისმთქმელი და უგერგილო გაშირება დასჩემდა. დაბრუნდებოდა ხოლმე სკოლიდან სახლში, ისადილებდა, ოდნავ დაისვენებდა და მერე — სულ ერთია, საოჯახო ფუსფუსით იყო გართული თუ უქმად სცემდა ოთახში ბოლთას, — იმ უკბილო და მხატვრულად გაუმართავი შაირების მოგონებას იწყებდა და თითქოს გულზე მალამოდ ეფინებოდა სახელდახელოდ შეთხზული, ხაში და გაუთლელი რითმები. თანდათან საქმე იქამდეც კი მივდა, რომ ქალბატონ თალიკოს სულმოკლე ეჭვი შეეპარა ტარიელის გონიერებაში. შეეშინდა. ვაითუ ჭკუაზე გადაძვივდა ქმარი, და მოერია, თუმცა, ამ სამარცხვინო და საშინელ ეჭვს, — მეუღლის საერთო გადადღისა და აშლილი წერებების ამბავი მისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენდა, — მაინც ვერ აიძულა თავი აბდაუბდა და პოეტურ გრძნობას მოკლებული ლექსებით აღფრთოვანებულიყო. მაგალითად ასეთით: „თუ გაიბზარა, თალიკო, ჩაფი, — ვეღარ უშველის თვით რომის პაპი“. ან ასეთით: „არც ბუდისტი ვარ, არც ქრისტიანი, — მინდა დავხიო მანეთიანი“. ან კიდევ: „მაქვს ისეთი მადა, როგორც ტორკვემადას, — დაშაპურე თალიკო, ვითომ ხარ კათოლიკო“. ან აათამაშებდა სადილის მერე ხელებში პატარა სერგოს და მუქარით განაცხადებდა: „გაიმარჯვებ, ურჩხულო? — მეც გავხდები ურჯულო!“. არადა ეს უღაზათო და უხამსი ტაეპი მალე ლამის რიტუალურ მიმართვად გადაიქცა, რამაც ქალბატონ თალიკოს სრულიად გასაგები

გულსწყრომა გამოიწვია. **ქანამ განაგებო?** შე მკრეხელო? ვის გაუგია, **შეეშინებო?** ათამაშებდეს, თან ურჯულო-ურჯულოო იდახდეს? — იტყოდა ხოლმე განანწყენებული ქალბატონი თალიკო და ამ სავსებით სამართლიან საყვედურს თან კიდევ რომელიმე არანაკლებ სამართლიან საყვედურსაც მოაყოლებდა. საბოლოოდ ასეთმა ტაქტიკამ გაჭრა მეუღლის ხათრით ტარიელმა ჯერ სიტყვა „ურჯულოს“ წინსართი „ურ“ მოაცილა, მერე კი სულაც ახალი რიტუალური ტაეპი შეთხზა: „ვერ გავყვიდი ფულზე ჩემს პატარა ჯულის“, დროთა განმავლობაში დედის ყური „ჯულისაც“ შეეჩვია და „ჯულიკოსაც“ და ასე და ამგვარად გამოიწვით და დამკვიდრდა ზედმეტსახელი, რომელიც „გერ, ნახევარი საუკუნეა თან სდევდა დასტაქრის ოფიციალურად დადგენილ გვარს.

ხანმოკლე დაფიქრების შემდეგ პოლიკლინიკიდან გამოსულმა დასტაქარმა იმ სავეტერინარო სადგურში გადაწყვიტა მისვლა, რომლის მოქმედების ზონაშიც სასტუმრო „საფარა“ შედიოდა. იმედოვნებდა, რომ იქ თუ არ დააჭერიან, აღრიცხვაზე მაინც ააყვანინებდა ძაღლს. უნდა ეჩქარა, — სანამ ექიმები შემოიარა, საათის ისარი სამს გადაცდა, ჩანაფიქრის სახვალიოდ გადადება კი არ სურდა. ვეტსადგურის მისამართი სწრაფად, სატელეფონო ცნობათა ბიუროს მეშვეობით დაადგინა — უწყებას ტადეუშ კოსტიუშკოს ქუჩაზე დაედო ბინა. კოსტიუშკოს ქუჩა პოლიკლინიკიდან მოშორებით, თბილისის ძველ უბანში მდებარეობდა და იქ მისასვლელად დასტაქარმა ტრანსპორტის სხვა სახეობებს ტაქსი ამჯობინა. ხელმოკლეობას იგი არ უჩიოდა, თვითონ შემოსავალი უზარმაზარი თუ არა, საშუალოზე გაცილებით მაღალი ჰქონდა, თუმცა ხარჯიც დიდი იყო: ცოლისა და ორი გასათხოვარი ქალიშვილის ჩაცმა-დახურვა, მათი ყოველწლიურად კომფორტაბელურ სანატორიუმებსა თუ დასასვენებელ სახლებში წარგზავნა და კოოპერატიული ბინის საფასურის გადახდა მნიშვნელოვანი სახსრების გაღებას მოითხოვდა მისგან. ამიტომაც ჯერჯერობით თავს იკავებდა მანქანის ყიდვისაგან, — თუმცა ბოლო რამდენიმე წელია მანქანის შესაძენად საგანგებოდ გახსნილ ანაბარს ას-ასი მანეთი ემატებოდა ყოველთვიურად. კლინიკის პროფკომის მიერ დაწესებულ რიგში ჭანკვეტაძე მეორე იყო, მაგრამ ვინიცობაა მასზე წინ ჩანერილი მანქანის გამოყვანაზე უარს განაცხადებდა, არც ამით დაშავდებოდა რაიმე — ასეთ შემთხვევაში დასტაქარი ადვილად ისესხებდა საჭირო თანხას.

ჭანკვეტაძეების მატერიალურ კეთილდღეობას საკმარისად მყარი საფუძველი გააჩნდა



ცენტრალურ უროლოგიურ კლინიკაში ბარე
 ოცდახუთი წლის მანძილზე მომუშავე დას-
 ტაქარმა არაერთი მეტნაკლებად ინტიმური
 სენის მკურნალობაში გაიწაფა ხელი და ხელ-
 მარჯვე ქირურგის სახელითაც სარგებლობდა
 — თუმცა უროლოგი ყოველთვის როდი გვევ-
 ლინება ქირურგიული ჩარევის ოსტატად, მა-
 გრამ ჯულიკო ჭანკვეტაძე სწორედ ასეთი
 ბედნიერი შეთავსების ცოცხალი მაგალითი
 იყო. ბუნებრივია, დასტაქარი განუული დახ-
 მარებისთვის კლიენტების უმრავლესობას სა-
 ზღაურს ახდევინებდა — ყველა დაინტერე-
 სებული პირისთვის ცნობილი ნიხრით, ნიხრი
 ჯულიკოს მიერ არ ყოფილა შემოღებული,
 — ის თავისთავად არსებობდა და იარსე-
 ბებდა იმისდა მიუხედავად, აიღებდა თუ არა
 ხელს ჯულიკო მკურნალობის ნახევრადლე-
 გალურ პრაქტიკაზე. ამასთან დასტაქარი
 ფრთხილად და ღირსეულად იქცეოდა, —
 უფასოდ მკურნალობდა ისეთ სნეულებს, რო-
 მლებსაც სახეზე და ტანისამოსზე აშკარა გაფ-
 ხეილობა ენერათ, და არც სანდო ნაცნობე-
 ბის რეკომენდაციით მობრძანებულებს ართ-
 მევდა ფულს. შემოსავლის წყაროს უეცარი
 დაშრეტა მაინც არ ეშუქრებოდა: ინტიმური
 სენების სტატისტიკა არ იჩენდა კლების ტენ-
 დენციას. კლინიკაში მუშაობის პირველ წლე-
 ბში ექიმ ჭანკვეტაძეს, მართალია, ეხაშუშე-
 ბოდა ამ ზედმეტი, ოფიციალურად აღურიც-
 ხავი შემოსავლისა, მაგრამ მეტი რა გზა იყო,
 — ან აქეთური უნდა დაეჭირა, ან იქითური
 და თანდათანობით შეეჩვია თავის გამორჩე-
 ულ სამსახურებრივ მდგომარეობას. კაცმა რომ
 სთქვას, რა მისი ბრალია, — იმართლებდა
 ჯულიკო თავს, — თუკი სნეული თავად ით-
 ხოვდა სწორედ ჯულიკო ჭანკვეტაძის და
 არა, მაგალითად, კოლეგა ბიბილურის ჩარე-
 ვას, რადგან ჭანკვეტაძის ოსტატობისა სჯე-
 როდა, გიზო ბიბილურისა კი — ნურას უკა-
 ცრავად! ისიც კი შთაიგონა წლების გან-
 მავლობაში ჯულიკომ, რომ თუ არ მიიღებ-
 და მხედველობაში სნეულის მუდარას, ბიბი-
 ლურის — ან ვინმე მისთანის — კლახტებში
 ჩააგდებდა დავდრომილს, უთუოდ გასტეხდა
 ჰიპოკრატეს ფიცს, ხოლო ჰიპოკრატეს ფი-
 ცი ის კონსტიტუცია იყო, რომლის თითოე-
 ული პნკარი ჯულიკოსთვის უზენაეს ჭეშმარი-
 ტებას წარმოადგენდა. იქნებ მართლაც ცივი
 უარით გაესტუმრებინა მამრალები? მაგრამ
 მაშინ ისინი ხომ გიზო ბიბილურს — ან სხვა
 მის მაგვარ „ხალტურშიკს“ — მიადგებოდ-
 ნენ და ვინ იცის რა ზიანს მიაყენებდნენ
 საკუთარ, ისედაც შერყეულ ჯანმრთელობას,
 მერე შედეგი? დასტაქარს უზომო პრინცი-

პულობის შედეგად მაზანდა — თუ ცოცხალი
 თორემ ნამდვილად არ დაინვდა, — გიზო ბი-
 ბილურისთანები მეტს თუ არა, ნაკლებს არ
 გამოართმევდნენ სნეულებს. მაგრამ — და
 ამ გარემოებას დასტაქარი განსაკუთრებული
 სიამოვნებით აღნიშნავდა — ავადმყოფები
 უფრო მას, პაციენტებზე მოქალაქესა და
 უზადო სპეცილისტს. ენდობოდნენ, ხოლო
 გიზო ბიბილურს სულ მთლად უპატირონ და
 ბოდიში ამ უშვერი გამოთქმისათვის — ნყარ-
 ნუყარი პაციენტები რჩებოდა, გულის სიღ-
 რმეში დასტაქარი ბიბილურს დასცინოდა
 კიდევ, — იმ ვაი-ექიმს იმდენად აეღო ხე-
 ლი პროფესიულ სინდისზე, რომ ვენერიული
 სენებით დაავადებულების მკურნალობასაც
 არ თაკილობდა და უროლოგისთვის ესოდენ
 შეუფერებელი, ბინძური გზით მოპოვებული
 სარჩოთი გადიოდა ფონს, ჭეშმარიტ ვენერო-
 ლოგებს ართმევდა ლუკმას. თუ ჭეშმარიტი
 ვენეროლოგი ათაშანგით დასნებოვანებულ
 მკურნალობას საშუალოდ ათას მანეთამდე
 უფასებდა, გიზო ბიბილური დემინგს მიმა-
 რთავდა, სანახევრო გასამრჯელოთი კმაყოფი-
 ლდებოდა და ასე იზიდავდა კლიენტურას.
 თავისთავად ცხადია, რომ სხვა, უფრო მარ-
 ტივი და გავრცელებული სნეულებებით შეზე-
 რობილებსაც უმსუბუქებდა ყოფას, უფსკრუ-
 ლზე გადებულ ბენვის ხიდზე მილასლასებდა
 ბიბილური, დაუცდებოდა ერთხელაც ფეხი და
 ციხეში ამოყოფდა თავს, მაგრამ ჯერჯერო-
 ბით — დასტაქარი იძულებული იყო სინამ-
 დვილე ელიარებინა — ოპერატიული სიტუა-
 ცია მაინც ბიბილურისთვის სასურველი გე-
 ზით ვითარდებოდა. ჯულიკოსთვის ცხადზე
 უცხადესი იყო თუ რატომ მიმართავდნენ
 გიზოს და გიზოსთანებს ათაშანგის მსხვე-
 რპლნი: სამინისტროს მიერ დაწესებული უმ-
 კაცრესი მოთხოვნის ძალით ვენდისპანსერში
 სამკურნალოდ განწირულებს არა მარტო
 „შემაცდენლის“ ვინაობის გამხელა ევალებო-
 დათ, არამედ საკადრო უწყების სახუთემშიაც
 უკეთედებოდათ სათანადო აღნიშვნა. ასე რომ,
 ოფიციალური გზა მაშვრალს კარგს არაფერს
 უქადდა, — ცალკე სამსახურის დაკარგვის
 მუქარისთვის უნდა გაეწია ანგარიში, ცალ-
 კე ნაცნობ-მეზობლებში სახელის გატეხვის
 შესაძლებლობისთვის. კერძო პრაქტიკოსი კი
 პაციენტს საექიმო საიდუმლოების შენახვის
 სრულ გარანტიას აღუთქვამდა და რა გასაკ-
 ვირია თუ საკუთარ რეპუტაციაზე ოდნავ
 მაინც მზრუნავ პიროვნებას მოსალოდნელ
 ცხოვრებისეულ უსიამოვნებებს ხშირად ნალ-
 დი ფულის გაღება ურჩევნოდა. რაიმე ეჭვის
 შეტანა სამინისტროს მოთხოვნის სამართლი-
 ანობაში დასტაქარს უაზრობად მიაჩნდა —
 ვინ იცის, რა საქვეწმო ზიანის მომტანი იქნე-
 ბოდა მკურნალობის აბსოლუტური ანონი-



ლასთან — უმნიშვნელო გამოწვევებით — მოახერხა ამხანაგური ურთიერთობის დაძვარება. ამ გამოწვევებში მასზე წლოვანებითა და სამსახურეობრივი მდგომარეობით რამდენადმე უფროსი გიზო ბიბილურიც შედიოდა. აღსანიშნავია, რომ ჯულიკომ თავად აითვალუნა გიზო, ერიდებოდა მასთან დაახლოებას, გიზო კი პირიქით, მუდამ ხალისიანი შეძახილითა და გულითადი მიხალმებით ხვდებოდა ჯულიკოს ქუჩასა თუ დერეფანში. შემპარავად ჩამოართმევდა ხელმე ხელს და გვარიანადაც დაულობდა, სანამ მოეშვებოდა, ზოგჯერ კი ისე მოუთათუნებდა ხელს შკლავსა თუ მხარზე, თითქოს ჯულიკოს ძუძუმტე ან სიყრმის ძმაცაი ყოფილიყოს, თან გაუბამდა სპორტზე, ნაცნობ თუ უცნობ ქალებზე ან უროლოგიის რომელიმე საკანძო და ამდენად სალაყობდ ქვეულ საკითხებზე გაუთავებელ მასლაათს. ჯულიკოსაც რა გამოსავალი ჰქონდა: მოჩვენებითი ყურადღებითა და ნაძალადევი ღიმილით ისტუმრებდა ბიბილურის მეგობრულ ავანსებს. გიზოს მიმართ ჯულიკო ზიზღიანრევი ანტიპათიის გრძნობით იყო გამსჭვალული: ბიბილურის დანახვისთანავე ნაძიერი ყრუანტელი დაუვლიდა ტანში, ისე ეზარებოდა მისი ოფლიანი, დონდლო ხელისგულის შეხება. ჯულიკოს ღამის გულს ურევდა ბიბილურის პირმოთენე ღიმილი, მისი მოკლედ შეკრეჭილი უღვაში, ქალებზე მასლაათის ბილინი მანერა. აღიზიანებდა ბიბილურის ლოყაზე მომჯდარი ბუსუსებიანი მეჭეჭის ამხარზენი იერი. ოფლი, უღვაში, გადაკრული სიტყვა მშვენიერ სქესზე, ბუნებრივი გამოწვანადი ბიბილურის ლოყაზე, — თავისთავად აქ, ცხადია, გასაქირდვი არაფერი იყო. მაგრამ არც მთლად უმიზეზოდ გიზოზე და ჯულიკოს გულში ანტიპათიის მკვებავი ცეცხლი. მაშინ შეიტყო პირველად ჯულიკომ, რომ ბიბილური ათაშანგით გახრწნილ ავანტიურისტებს აფარებს ხელს, ოლონდ კი გბისქელოს ჯიბე მათგან ამოგებული ფულით. ისიც მოახსენეს მეგობრულად გახხყობილმა კოლეგებმა, რომ გარენარი გიზო ბიბილური — თავად ქურდი და ავაზაკი — თურმე უფრო წარჩინებული ქურდების და ავაზაკების მფარველობით სარგებლობს და სანაცქლოდ მათ უფასო სამედიცინო დახმარებას უწევს. თუმცა იმასაც უმატებდნენ მეგობრულად განწყობილი კოლეგები. დირექტორი ხედავს და ხმას არ იღებს, იქნებ წილშიც კი გადის ბიბილურთანო, ჰოდა, რა ძალაჲ ჩვენ თავი გამოვიდოთო. ასეა თუ ისე, მეორე წელია გრძელდებოდა ჯულიკოს ბიბილურთან გარეგნულად უდარდელი შეხვედრები ქუჩასა თუ დერეფანში და საკითხავია, როდის მოიკლავდა, ან მოიკლავდა თუ

არა. ჯულიკო ქვეყნად სამართლებრივად მყარების სულიერ წყურვილს, კლინიკაში განსაკუთრებული შემთხვევა — „ჩე-პე“ — რომ არ მომხდარიყო: უცნობმა ბოროტმოქმედმა კლინიკის სანყობიდან მორფინის შემცვლელი ამპულები გაიტაცა. დანაკლისი იქნებ ვერც კი აღმოეჩინათ, ერთ-ერთ ზედმეტად ყურადღებიან ექიმს ეჭვი რომ არ შეეტანა მის ხელთ ჩავარდნილი ამპულის მთლიანობაში, — შემონმებისას დადასტურდა მორფინის დისტორირებული წყლით შეცვლა. სანყობის გამგემ იმთავითვე განაცხადა, ამ ქუჩყიან საქმეში მე ნუ მრევთ და დამნაშავე სამედიცინო პერსონალში დასძებნეთო. ვერც გაამტყუნებდი, დირექტორის სახელზე დანერილ არაერთ მოხსენებით ბარათში სანყობის გამგე დაჟინებით მოითხოვდა გადამჭრელი ზომების მიღებას არსებული არანორმალური ვითარების შესაცვლელად; განსაკუთრებით კი შემდეგ აღმაშოთებელ გარემოებებს აღნიშნავდა: სანყობისთვის დირექციას აშკარად შეუფერებელი სათავსო გამოეყო, ვერა და ვერ მოხერხდა ფანჯრების გისოსებით შემაგრება, რკინის სეიფის საკეტი თავიდანვე გაფუჭებული იყო, საიმედოობით არც სანყობის კარებზე ჩამოკიდებული ბოქლომი გამოირჩეოდა, ნესტი და სიბინძურე მუსრს ავლებდნენ ძვირადღირებულ ქიმიურ რეაქტივებს, სამედიცინო პრეპარატებსა და ტექნიკურ დანადგარებს. ერთი სიტყვით: სანყობის გამგის მიერ წერილობითი სახით ჩამოყალიბებული დასკვნის თანახმად, არსებულ პირობებში ნამლების შენახვის დადგენილი ნესების დაცვაზე გაფიქრებაც კი არ შეიძლებოდა, მაგრამ ეს გაფრთხილება დარჩა ხმად მლაღადებლისა. მეტიც, კლინიკის მესვეურნი დანაშაულის მიფუჩეჩების გზას დაადგნენ: მატერიალურად პასუხისმგებელ პირთაგან სასწრაფოდ შედგენილმა კომისიამ ამპულები ჩამოწერა, როგორც ტრანსპორტირების დროს დამსხვრეულნი, ხოლო სანყობის გამგე ადვილად დაარწმუნეს სამსახურის ნებაყოფლობით დატოვების აუცილებლობაში. ამ ფათერაკიანი შემთხვევიდან სულ რაღაც ორი თვე თუ იქნებოდა გასული, როდესაც სანყობის ყოფილი გამგე პირისპირ შეეფეთა რუსთაველის გამზირზე მშვიდად მოსეირნე ჯულიკო ჭანკვეტაძეს. ერთად ნასამსახურალებმა ტკბილი მუსაიფი გააბეს, ძველი ამბები მოიგონეს, სანყობის გატეხვაც გაიხსენა ჯულიკომ უდარდელად და — ჰოი, საოცრებაც! — მყისვე ისეთი მალალი ძაბვის გაელვება შეატყო თვალბში თანამოსაუბრეს, თითქოს მისი მეხსიერების უკვე შეხორცებულ ნაჭდევს კი არა, მუდმივად სისხლმდენ ჰემორაგიულ იარას შეეხო. „გიზო რავა? ხომ ხოშიანა? — უმალ დაინტერესდა სა-

წყობის ყოფილი გამგე, — ვაჟკაცი კაცია გი-
ზო!“. „არის რა, — მშვიდობიანად უპასუხა
ჯულიკომ, — რა უჭირს. დადის ძველებურად,
შრომობს“. „არა, შრომობს კი არა, ვაჟკა-
ცი კაცია, — აუხირდა ჯულიკოს სანწყობის
ყოფილი გამგე, — ლაზათიანი კაცია, გემ-
რიელი. საქმის შნოცა აქვს, პურმარილის
შნოც. ეგ უნდა იყოს დირექტორი და არა
თქვენი ლაყე“. ოდნავ გაიკვირვა მაშინ ჯუ-
ლიკომ, სანწყობის ყოფილ გამგეს კინაღამ შე-
ეკამათა კიდევ: ვითომ დირექტორს რას გვი-
წუნებ, მოსახსნელი იყავი და მეტიც, კიდევ
კარგად გაგიშვა და გადაგარჩინაო — უნდო-
და ეთქვა, მაგრამ შეიკავა, როგორც იქნა,
თავი. მაინც უცნაურად ეჩვენა სანწყობის ყო-
ფილი გამგისგან გიზო ბიბილურის ხსენება,
მით უმეტეს, რომ იმ ამპულების საქმეში
ჯულიკოს გუმანითა და რწმენით — არ უნ-
და ყოფილიყო მთლად პირწმინდა ექიმის ბი-
ბილური, ისეთ ამორალურ და გახრწნილ ხა-
ლხში ტრიალებდა უფროსი კოლეგა, მაგრამ
საბუთის გარეშე... ეხლა კი ისევ გაუღვივდა
ძველი ეჭვები: იქნებ პირი ჰქონდა შეკრული
ბიბილურთან სანწყობის გამგეს და იმითომ
უქებეს ხასიათსა და ლაზათს? ილაპარაკეს
კიდევ ცოტა ხანს ერთად ნასამსახურალებმა
და თავ-თავის მხარეს გასწიეს. იმ დღიდან
მოყოლებული, იმ ხანმოკლე საუბრის შე-
დეგად ავეკიათა ჯულიკოს მზაკვრული აზ-
რი: კმარა! — ამიერიდან ხელმრუდე კოლე-
გის საქციელს საგანგებოდ ჩაუკვირდა, სა-
ქმეს თუ დასჭირდა, მიუყურადებს, ჭუჭრუ-
ტანაში უთვალთვალეებს კიდევ, — იქნებ ამ
გზით მაინც მოხერხდეს გიზო ბიბილურის
ავეკაცობის უტყუარი დადგენა და უვნებელყო-
ფა-გაურკვეველია, თუ რამდენად საღი წარ-
მოდგენა გააჩნდა ჯულიკო ტანკვეთაძეს იმ
სირთულეებზე, უწმინდესი მიზნის მისა-
ღწევად საეჭვო ხასიათის ხერხების გამოყენე-
ბისას რომ აღმოცენდებინა ხოლმე, მაგრამ
ისიცაა გათვალისწინების ღირსი, რომ მარ-
ტოდენ ბიბილურისადმი ბრმა ანტიპატიო-
როდი ასაზრდოებდა მის ერთობ ავანტიურ-
ულ ზრახვას. საქმე კი, უპირველეს ყოვ-
ლისა, იმაში მდგომარეობდა, რომ ჯულიკო,
— როგორც ეს ხალხის სამსახურში ჩამდგარ
შეგნებულ ახალგაზრდას შეშვენის, — ზედმე-
ტად იყო დადარდიანებული ჩვენში საშინე-
ლი ბოროტების — ნარკომანიის — ზეავისე-
ბური, თითქოს და შეუზღუდავი გავრცე-
ლებით. სულ უფრო ლაღად გრძნობდნენ
თავს ადრე ქალაქის უბნელეს კუნჭულებში
ჩასაფრებული და ათასგვარ ნიღაბს ამოფა-
რებული ნარკომანები, ჯულიკოს კი მავანზე
უკეთ მოეხსენებოდა თუ რარიგ გამრავალფე-
როვნდა ხელმისაწვდომ გამაბრუებელ ნივთი-
ერებათა სააფთიაქო ასორტიმენტი და რა-

ოდენ მომაკვდინებლად მოქმედებს მათი და-
უნდობელი ჯადო ადამიანის სულიერ ფე-
ფიზიკურ მარმონიულობაზე. ჯერ კიდევ
სტუდენტობისას დაუთუთქა გული და გოხე-
ბა ჯულიკოს გამუდმებულმა ხილვამ იმისა,
თუ როგორ ჯიუტად იწამლავდნენ თავს მი-
სი თანაკურსელები შორეული ტრამალებიდან
შემოდნული ანაშის მახრჩობელა კვამლით.
„ანაშისტები“ არ აიძულებდნენ ჯულის მო-
ნანიღობა მიეღო მათ სერობებში, მაგრამ
არც ერიდებოდათ მისი, — პაპიროსის ღე-
როდან თამბაქოს ამოაცილიდნენ, შიგ გაფხ-
ვიერებულ ანაშის აურევდნენ, უკან ჩასტენი-
დნენ და ზეციურ ნეტარებას ეძლეოდნენ.
ზოგიერთნი კი ანაშაზე უფრო ტაბლეტებს —
ფარგონზე „კალიკებს“ — ეტანებოდნენ და
იქვე, ტუალეტში, ან ინსტიტუტის დერეფან-
ში, ზოგჯერ ლექციაზეც კი, უშიშრად და
ურცხვად „იჭრდნენ კაიფს“. ჯულიკოსთვის
საც არაერთხელ შემოუთავაზებიათ გასასინ-
ჯად „კალიკები“ თუ ანაშა, მაგრამ — მისდა
სასახელოდ — მისი შეცდენა ვერაფრით ვერ
მოახერხეს. თბილისის უმაღლეს სასწავლე-
ბლებში მეტნაკლებად ერთნაირი — ამაში
ეჭვის შეტანა შეუძლებელი იყო, — ვითარე-
ბა შეიქმნა, საზოგადოებრივი აზრი კი
თვლემდა, თვალს ხუჭავდა ბოროტების ბო-
გინობაზე. ამგვარმა გულგრილობამ თუ სი-
ბრიყვემ ჯულიკო იმდენად აღაშფოთა, რომ
ერთხელაც გაბედა და მგზნებარე სიტყვით
გამოვიდა კურსის კომკავშირულ კრებაზე.
თან სასტიკად გაიციხა გზას აცდენილი ამ-
ხანაგები, თან — სიფრთხილეს თავი არ
სტიკავო — მოერიდა კონკრეტული ფაქტე-
ბისა და გვარების ჩამოთვლას. საჯარო გამო-
სვლას ერთადერთი რეაქცია მოჰყვა: ბიჭები,
რომლებიც მას ადრე ნარკოტიკებს ხაზგას-
მული უშუალოდით სთავაზობდნენ, განაწყე-
ნებულნი დარჩნენ — ეს იყო და ეს. თუძცა
ჯულიკომ მათ საგრძნობი ამორალური ზიანი
იკერ მიაყენა, სამაგიეროდ პრინციპული
ადამიანის სახელი დაირქვა, რაც თავისთა-
ვად ერთგვარ წარმატებად შეიძლებოდა ჩა-
თვლილიყო. მას მერე დიდმა დრომ განვლო,
ჯულიკომ უმაღლესი დაამთავრა, უროლოგი-
ურ კლინიკაში შეუდგა მუშაობას, მაგრამ
ნარკომანთა და ნარკოტიკების გამავრცელე-
ბელთა მიმართ სიძულვილი იოტისოდენადაც
არ შენელებია გულში.

მაშ ასე: გადანყვეტილება მიღებულ იქნა
მაგრამ არც იმდენად მიაბიტი გახლდათ ჯუ-
ლიკო, რომ გიზო ბიბილურთან ტიტანიურ
შერკინებაში მიყურადებოდა და ჭუჭრუტა-
ნაში თვალთვალთ შემოფარგლულიყო. რა-
თა ზურგი გაემგავრებინა და ბოროტების პი-
რისპირ მარტოდმარტო არ დარჩენილიყო,
მოკავშირის შეძენაზე უნდა ეზრუნა. ჯერ

იყო და ერთ-ერთი კოლეგის გადამობრება მოინადინა, მაგრამ პირველსავე, ერთობ მიკიბულ-მოკიბული საუბრის შემდეგ, უყოყმანოდ აიღო განზრახვაზე ხელი: ნამეტანი ფაქიზი, დელიკატური პირი უჩანდა ჩაფიქრებულ ინტრიგას. ბევრი იტეხა თავი ჯულიკომ, რამდენიმე თითქმის უძილო ლამეც კი გაატარა და საბოლოოდ ბრძოლის ისეთი გეგმა შეიმუშავა, რომელიც განხორციელების შემთხვევაში უაღრესად მაღალი სინჯის ჯილდოს პირდებოდა მას. გეგმა ასეთი იყო: ჯულიკო თბილისის ერთ-ერთ ცნობილ და პოპულარულ გაზეთში განსაზღვრული შინაარსის წერილს გაგზავნიდა, ერთდროულად კი — რედაქციისთვის რომ დუმილის ბლანტ ქაობში ჩაფლობის საშუალება მოესპო — მეორე პირს უმაღლეს რესპუბლიკურ ინსტანციაში აფრენდა. ცხადია, რომ თავის ამ ნაოფლარს ჯულიკო სრულად და გარკვევით — გვარის, მისამართის, სამსახურის და ტელეფონის ნომრის ზუსტი აღნიშვნით — მოაწერდა ხელს. ერთი სიტყვით, ისეთ ჩოქბაგენში უპირებდა მთავარ რედაქტორს მოქცევას, რომ ის არა თუ დაინტერესებულყო უცნობი ავტორის ვინაობით, არამედ იძულებულიც კი გამხდარიყო გაზეთის ფურცლებზე საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი დისკუსია წამოეწყო — თუნდაც იმის რიგით, უმაღლეს ინსტანციას მისთვის მკაცრი პასუხი არ მოეთხოვა მშრომელთა წერილების მიმართ უსულგულობის გამოვლენისდა გამო. ასე და ამგვარად, პრესა, — ჯულიკოს წინასწარი ვარაუდით, — კონფლიქტში ჩართული აღმოჩნდებოდა, საბრძოლო ინიციატივა კი ჯულიკოს მხარეს იწვევებოდა. გაუჭირდა, ცოტა არ იყოს, ჯულიკოს სათანადო ტექსტის შედგენა — წერილი ხომ მწვავე, საქმიანი და, ამასთან, არაცილისმნამებლური უნდა გამოსულიყო — მაგრამ ახალგაზრდა უროლოგმა ამ ამოცანასც ღირსეულად გაართვა თავი. თუმცა კი ბევრი იწვალა, სანამ წერილის საბოლოო სახით დარჩა კმაყოფილი, მრავალი დარდი და იმედი ჩაიტია სათუთად მომრგვალებული ასოებით გადაესებულმა სამმა ფარატინა ფურცელმა: გულამაყუჩებელი მოგონებანი ჯულიკოს სტუდენტური წარსულიდან, ნარკომანიის კლინიკური სურათის ფრიად შთამაგონებელი აღწერა, გადაკრული სიტყვა იმ დემოგრაფიულ ზიანზე, რომელიც შეიძლება მოყვეს ნარკომანთა რაოდენობის ზრდას, მოკრძალებული შეხსენება იმისა, რომ რეალურად არსებული პრობლემის უგულებელყოფა, საქუთარი თვალის ახვევა, ერის მომავალს კეთილს ვერაფერს უქადის, რამეთუ კონსერვატიული თერაპია მომტანია არა სოციალური სენის თავისთავადი გაქრობისა, არამედ მისი გარდუვალი გაღრმავებისა და იქნებ

— უფალო, დაგვიფარე! — უკრწივლიდა კი გადაქცევსა. დამაგვირგვინებულ ანასც ში ავტორი გამოთქვამდა რწმენას, რომ რედაქცია, გაუნეეს რა ანგარიშს თემის აშკარა აქტუალობას, წერილის გამოქვეყნების საშუალებასაც გამოძებნის და მომავალშიაც ადგილს დაუთმობს ამ საჭირობოტო პრობლემათიკისადმი მიძღვნილ სადისკუსიო მსაულებს. წერას მორჩა თუ არა, ჭოქმანმა აიტანა ჯულიკო, — ვაითუ, სულ ამოად ვიბრძვიო, — მაგრამ სძლია სულმოკლე ეჭვებს, მაგიდიდან წამოადგა. ტანთ ჩაიცვა, ფოსტაში გაეშურა და წერილები არჩეულ მისამართებზე დააგზავნა. იმედოვნებდა, რომ რედაქციის — ან უმაღლესი ინსტანციის — თვალსაზრისს სამიოდე კვირის განმავლობაში შეიტყობდა, ამასობაში კი რაიმე ახალ, ფასეულ ცნობებს შეაგროვებდა ბიბილურის ამაზრზუნ და კანონსაინააღმდეგო საქმიანობაზე, მით უმეტეს, რომ საეჭვო პიროვნებები თავისას არ იშლიდნენ და აგრძელებდნენ ბიბილურთან სამსახურში პრონიალს. წერილების დაგზავნიდან მეოთხე თუ მეხუთე დღეს ექიმმა იუზა ბარამიძემ — თავად ლხინისა და დროსტარების მოტრფიალე ახალგაზრდამ, — ჯულიკოს ბიბილურის სამუშაო ოთახის კარებთან ატუხილ გამხდარ, სახეგაყვითლებულ პაციენტზე ანიშნა და ჩუმიად ჩაულაპარაკა: „შეხედე, ჩორნაც მოსულა“. „ჩორნა ვინლა?“ — შეფარული იმედით იკითხა ჯულიკომ. „ვაკელი მორფინისტია, ჩემს მეზობლად ცხოვრობს, — თითქმის ჩურჩულით მოახსენა იუზამ, — იჯდა, ფუნიკულორზე გაძარცვა ტურისტი და ჩავარდა. მალე გამოსულა, არ მოველოდი“. მაშინ ინანა ჯულიკომ დროულად ფოტოაპარატით შეიარაღება რომ ვერ მოიფიქრა — ფოტოსაქმეში კი საკმარისად გათვითცნობიერებული იყო — რათა კლინიკაში ჩორნას ვიზიტი აღებეჭდა ფირზე, თავი რომ დაეზღვია ამგვარი შეცდომის გამეორებისგან, მეორე დილითვე საწერი მაგიდის ყუთში დამალა სახლიდან მოტანილი ფოტოაპარატი, — ვარაუდობდა, რომ ასე უფრო ადვილად მოიპოვებდა მამხილებელ საბუთს. ფოტოაპარატი მალე გამოადგა: ბიბილური კლინიკის ეზოში საეჭვო იერის მამაკაცთან სეინობისას გამოიჭირა და მალულად სურათიც კი გადაუღო, მაგრამ ფირის გამყვანებისას გამოირკვა, რომ უცნობი მამაკაცი ღირექტორის პერსონალური მანქანის ახალი მძღოლია, ხოლო თავად ბიბილური, სამწუხაროდ, ზურგიით მობრუნებულა გადაღების მომენტში. აი, ასეთი და ამგვარი ხერხებით ანარმოებდა ჯულიკო პირად გამოძიებას, ინსტანციაც და რედაქციაც ვერჯერობით სდუმდნენ. გიზო ბიბილური კი ძვე-

ქრისტიანული

ლებურად, მხარზე ხელის ნაზი შემოკვრითა და თვალის მრავლისმეტყველი პაჭუნით ესალმებოდა დერეფანში შეყვანებულ ახალგაზრდა კოლეგას. წერილების საფოსტო სტიქიონის მიზარებიდან თვეზე მეტი გავიდა, ჯულიკომ ოდნავ მოიწყინა კიდეც, მაგრამ მოწყენა ვინ აცალა, — ერთ-ერთ მორიგ ორშაბათს დაჰკრა დიდი ხნის ნანატრმა ელვაჰ; პოპულარული გაზეთის მთავარმა რედაქტორმა ამოიღვა, როგორც იქნა, ენა, კლინიკის დირექტორს პირადად დაურეკა, მოიბოდიშა და ერთობ უცნაური თხოვნით მიმართა: დღის მეორე ნახევარში დაეთხოვა სამსახურიდან კლინიკის თანამშრომელი ვინმე სერგო ჭანკვეტაძე და რედაქციაში მიევილინა რალაც — რედაქტორის გამოთქმით — კონფიდენციალური საკითხის მოსაგვარებლად. შეხვიით გავარდა კლინიკის კულუარებში ხმა, ჯულიკოს პროკურატურაში იზარებენ გახმაურებული და გაუხსნელი მკვლელობის ბრალდების მონმედო, ზოგმა ისიც მორიშა, დასაჭერად ჰქონია, თურმე, საქმე ჭანკვეტაძესო, თავის ეპისტოლეზე რედაქციის რეაგირებით აღფრთოვანებულმა და პატივმოყვარე სიამაყით აღვსილმა ჯულიკომ კი ლამის ყველა კაბინეტი შემოიარა და ცნობისმოყვარეთ განხრახ ბუნდოვნად აგრძნობინა: რედაქციამ ნარკომანიის გავრცელების პრობლემას ყურადღება მიაპყრო და ჩემი ექსპერტიზის იმედი აქვს, რადგან მოეხსენება თუ როგორ დანვრილებით შევისწავლე ზოგიერთი ვაი-ეიქის მიერ შემოღებული ჯიბის გასქელების სამარცხვინო გზებიო. თანაც ირონიულობას მიმართავდა, რეტდასხმულ მსმენელთ ჯულიკოს ჭეშმარიტ როლზე ცალსახა ნარშოდგენა რომ არ შექმნოდათ. ყველა გაკვირებული იყო. არავინ მოელოდა ეს ყველას მორგებული, მხიარული, თავაზიანი ჭაბუკი ასეთ სოციალურ აქტივობას თუ გამოიჩენდა; ახრადაც არ მოსვლია ვინმეს, რომ ჯულიკო იხფორმაციის ნაწილობრივ გაფონვას განზრახ მიმართავდა, რათა ბიბლიურს მოსვენება დაეკარგა და გაეცა რითიმე თავი, — მაგალითად, დროებით აღეკვეთა კლინიკაში საექვო პიროვნებების მისვლა-მოსვლა და მით საგრძნობი ზიანი მიეყენებინა საკუთარი ეკონომიკური ინტერესებისათვის. შესვენების შემდეგ, დირექტორის ნებართვით ჯულიკომ სამსახური დასტოვა და რედაქციისკენ გასწია, გზად კი სახლში შეიარა და პასპორტი ჩაიღო გულსჯიბეში, საშურს გამონერისას რაიმე სირთულეს რომ არ გადაყრდა. რედაქციის შენობაში ჯულიკომ მშვიდობიანად შეაღწია, ოღონდ, მისი ვინაობის გამორკვევისთანავე, საშუალო ხნის სანდომიანი პირიხანის ქალბატონმა მას მთავარი რედაქტო-

რის ნაცვლად ვილაც კახა, ჟურნალისტიან შეუძღვა. პატარა, ვინისსარკმლიან ოთახში სანერი მაგიდისა და ორად-ორი ხის სკამის გარდა არაფერი იდგა. ჟურნალისტი ნამოდა და დუნედ ჩამოართვა ხელი ჭანკვეტაძეს, ქალბატონი კი ოთახიდან გავიდა. „დაბრძანდით, — უსიცოცხლო ხმით მიმართა ჯულიკოს ჟურნალისტიმა, — სანამ მთავართან შევალთ, მსურს საქმის ვითარება გაგაცნოთ“. სმენად ქცეულმა ჯულიკომ უნებურად ჟურნალისტიდან წარმოდინებული უხილავი გამოსხივება შეიგრძნო, იდუმალ შიშთან შეზავებული მუქარა ასულდგმულბედა ამ გამოსხივების მომაკვდინებელ ტალღებს. აკინებდა, არარაობად აქცევდა ვეება გარე სამყაროს — თავის ქუჩებით, მანქანებით, წარსულითა და მომავლით — და ყოველივეს მტკნარი უბრალოების სუდარას ჰფენდა. უცებ ჯულიკომ თავი უზომოდ გაცელქებულ, პატარა ბიჭუნად იგრძნო. ბიჭუნად, რომელსაც თამაშისას მეზობელი ძიას ფანჯარა შემოემსხვრა — განუცდია მსგავსი რამ ბავშვობაში ჯულიკოს, — ეხლა კი მეზობელმა ძიამ გამოიჭირა და იმასლა აქვს მნიშვნელობა თუ როგორი — მკაცრი თუ შედარებით მსუბუქი — შეხვედბა ბიჭუნას სასჯელი.. ეს მხოლოდ მოლოდინი, წინათგრძნობა იყო, მეტი არაფერი, მაგრამ, ღმერთო, რა შემზარავი მოლოდინი, რა გამყინავი წინათგრძნობა! „მე მოკლედ მოგახსენებთ, — განაგრძო ჟურნალისტიმა, — ნავიკითხვითქვენი წერილი. თქვენი მსჯელობა ნარკომანიის თაობაზე ღლეოკურია, თქვენი გულისტკივილი უსაფუძვლო როდია, მაგრამ პირადად ჩემთვის გაუგებარია, რატომ მიმართეთ გაზეთს და არა მილიციას, თუკი მართლა გაგანჩიათ კონკრეტული ფაქტები?“. „იმიტომ, რომ ეს საზოგადო, საერთო-სახალხო გასაჭირია, — ოდნავ აუთრთოლდა ჯულიკოს ხმა, — ზარებმა უნდა რეკონ, ზარებმა!“. „აქ სამრეკლო კი არა, გაზეთია, — თითქოს ზიზღნარევად შენიშნა ჟურნალისტიმა, — ჩვენ სადირექტივო ორგანოების დავალბებებს ვასრულებთ. სახლის სამსახურში ვეღავართ. თვით-შემოქმედება პრესაში, საზოგადოდ — იდგოლოგიაში, კულტურაში, სრულიად დაუძვებელია. ეს ისევე სახიფათოა, როგორც ცეცხლთან თამაში და ამის შესახებ თქვენ უნდა გცოდნოდათ. ყველაფერზე რომ ვწეროთ, ჩასაფრებული მტერი არ გვაპატიებს. სიფრთხილე გვმართებს, შეცდომას უნდა ვერიდოთ. ნარკომანია... ნარკომანია არ შედის იმ პრობლემათა ნუსხაში, რომელთა გარჩევა დღეს გვევალბება. შეიძლება ხვალ, ზეგ... ჩვენ თქვითონ ვერ გადავწყვეტთ, ეს ალემატება ჩვენს ძალბებს. უფლება არ გვაქვს, ნება მომცეით რჩევა მოგცეთ. მით უმეტეს, რომ მოწმეების

გარეშე ვსაუბრობთ". „ბრძანეთ“, — ძლივს შეეხმინა ჯულიკო. „არ იყო საჭირო მეორე წერილის გაგზავნა. თქვენ ჯერ ახალგაზრდა ხართ, ცხოვრებას არ იცნობთ, ბევრ რამეს ვერ ითვისებთ. ნუღარ გაიმეორებთ ამ... ამ ცულულუტობას. ამგვარმა ინიციატივამ შეიძლება შეტად უარყოფითი გავლენა იქონიოს თქვენს ცხოვრებისეულ წინსვლაზე. ხელი შეგიშალოთ, გასაგებია?“. ჟურნალისტმა მძიმედ შეხედა თვალბეჭდებში გარინდებულ ჯულიკოს, სკამიდან წამოდგა და ბოლთას ცემა დაიწყო. ოთახში მცირე ხნით სიჩუმემ დაისადგურა, რომელიც ისევ ჟურნალისტმა დაარღვია: „ბატონო სერგო, მე თქვენ გაგაცანით ჩემი პირადი, არაოფიციალური აზრი. ასე მგონია, სწორედ მოვიქცევი. რაც შეეხება ოფიციალურს... თქვენ მივიღებთ მთავარი რედაქტორი, ნამობრძანდით“. ჯულიკომ მუცლის არეში უსიამოვნო სიცივე იგრძნო, კანზეც ცივმა ჟრუანტილმა დაუარა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჩანდა — ჟურნალისტს გრძელ, ჩაბნელებულ დერეფანში გაჰყვა. ბოლოს ისინი ფართე, მაღალ, შავი დერმატინით გადაკრულ კარებთან შეჩერდნენ. „აქ დაძვლოდეთ, ბატონო სერგო“, — თქვა ჟურნალისტმა და კარს უკან გაუჩინარდა. ჯულიკო გრძელ კედელს მიეყრდნო ზურგით. რატომღაც დაამშვიდა დერეფანში გავლამ, ძალა დაუბრუნა აკანკალებულ ხელ-ფეხს. გავიდა რამდენიმე წუთი, ჟურნალისტმა კარებიდან გამოიხედა და თავის მსუბუქი დაკვრით ანიშნა ჯულიკოს: შემოდით. მათ მომცრო მისაღებში პრიალა მაგიდასთან მსხდომ ახალგაზრდა და სიმპატიურ მდივან ქალს აუარეს გვერდი და ზუსტად ისეთივე დერმატინით გადაკრულ მორიგ მონუმენტურ კარებს მიადგნენ. ჟურნალისტმა კარი შეაღო, სტუმარს გზა დაუთმო და ჯულიკო უმაღლ კედეზე შემოდგომის თვინიერი მზით გაჩირაღდებულ კაბინეტში აღმოჩნდა. უშველებელ, წიგნებით, საქალაქეებითა და სატელეფონო აპარატებით გადავსებულ მაგიდასთან მელოტი, ჩია კაცი იჯდა და რაღაცას გულსისყურით კითხულობდა. უშველებელი მაგიდისთვის მართი კუთხით მეორე, ვინრო და გრძელი, — როგორც სჩანს, აქ გამართული სხდომების მონაწილეთათვის განკუთვნილი, — მაგიდა მიედგათ რომლის ორივე მხარეს მაღალზურგისანი სკამები იყო ჩამწყვილებული. ჟურნალისტის მოკრძალებულ ჩახველებაზე ჩია კაცმა თავი ასწია და შემოსულთ ყურადღებით ჩააცქერდა. „აი, მოგიყვანეთ, ბატონო, — ხმადაბლა, ერთგვარი რიდით წარმოთქვა ჟურნალისტმა, — იცნობდეთ, ამხანაგი სერგო ჭანკვეტაძე, თქვენთვის ცნობილი წერილის ავტორი“. ჩია კაცს სახეზე ნაუსტობადევი სიხარული გამოეხატა. იგი ადგა, მიუახლოვდა ჯულიკოს

და ხელი გაუნოდა მას. „სალამი, ბატონო, რგო, რა ხანია გელით, მობრძანდით, აი, აგერ, ამ სკამზე დაბრძანდით, — ჩია კაცი ალტაცებას ვერ ფარავდა, — ფრიად მოხარული ვარ ფრიად“. მან მოიცადა სანამ ჯულიკო და ჟურნალისტი ერთმანეთის საპირისპიროდ დასხდებოდნენ, შემდეგ თავის სავარძელს დაუბრუნდა და უაღრესი თავაზიანობით იკითხა: „უკვე გაისაუბრეთ, არა?“. „დიახ, — სწრაფად უპასუხა ჟურნალისტმა, — მე შევეცადე ბატონ სერგოსთვის განმეძარტათუ რატომაა გართულებული მისი წერილის გამოქვეყნება“. „ჰო-ო, რთულია, ძალზე რთული, — ჩია კაცს სინანული გაეპარა ხმაში, — ისე კი, საინტერესო წერილია, უაღრესად საინტერესო. ნიჭიერი კაცის ხელი იგრძნობა. მომიტყევთ, უტაქტობაში არ ჩამომართვათ და ერთი მითხარით: მოთხრობა ან ლექსი თუ დაგინერიათ, ან თუ გიცდიათ მაინც?“. „არასდროს, არც დამიწერია და არც მიცდია, — ჩია კაცის უბრალოებით და კეთილმოსურნეობით გამხნეებულმა ჯულიკომ შვებით ამოისუნთქა, — მე მხოლოდ მინდოდა წვლილი შემეტანა ისეთი საზიზღარი მანკიერების წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც ნარკომანია. ასე მეგულემა და... დიდების მოხვეჭაზე. მერწმუნეთ, არც მიფიქრია“. „რეგულარულად თუ კითხულობთ ჩვენ გახვთ?“ — მოულოდნელად ჰკითხა ჩია კაცმა. „საკმაოდ. ამიტომაც სწორედ თქვენ მოგწერეთ“, — გასცა ჯულიკომ პასუხი. „და არა მარტო ჩვენ, — ჩია კაცს ოდნავ შესამჩნევად გაეღიმა, — შემიძლია გახაროთ: თქვენი წერილი კონტროლზეა აყვანილი“, „სხვა მისამართზე იმიტომ მივწერე, რომ აქ ჩემი წერილი არ დაეკარგა — უნებლიეთ — ვინმე უპასუხისმგებლო მუშაკს, — ჯულიკოს დროული საშუალება მიეცა ადრე მომზადებული პასუხის გამოყენებისა, — თორემ, აბა, რა ხერხი მქონდა?“. „ჩვენ წერილები არ გვეკარგება, — ჩია კაცს თითქოს სახე დაეძაბო, — კეთილი, მაგრამ აღარ ღირს... ბატონო სერგო, ასეთი კითხვა თუ დაგბადებიათ ოდესმე: რატომ ხდება, რომ ჩვენი გამორჩენილი მწერლები, პოეტები, საზოგადო მოღვაწენი თითქო ერიდებიან ნარკომანიის თემას?“. „არ დამბადებია, — მშვიდი გამოწვევით მიუგო ჯულიკომ, — რა ვიცი, იქნებ... იქნებ მაღლა ცაში დაფრინავენ, ვერც კი ამჩნევენ დედამინაზე რა ხდება. მე კი, რაც არ უნდა იყოს, ექიმის ვარ, ზოგ მწერალზე უფრო მიმინვდება ხელი“. „ექიმო... უროლოგი, არა?“. „დიახ, უროლოგი“. „მერე და განა უროლოგიაში პრიორიტეტების სისტემა არ არსებობს? მე თუმცა, ექიმის არ გახლავართ, მაგრამ სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი დარგის მკვლევარები მეტ დროსა და ყურად-



ლებას... სახსრებზე რომ არაფერი ვთქვათ — უთმობენ უფრო საშიშ და მოდებულ სწეულებებს, ვიდრე ისეთებს, წელიწადში ერთ-ორ უბედურს რომ გამოუწერენ მივიღინებას მიქელ-გაბრიელთან. მეშლება რამე? „როგორ გითხრათ, — ჯულიკომ მხრები აიჩეჩა, — საზოგადოდ, ყოველ სენს თავისი პატრონი ჰყავს. არც მთლად ისეა, ხელი აიღონ თუნდაც უიშვიათესი სწეულების განკურნების გზების ძებნაზე“. „ჰოდა, ნარკომანიასაც ასევე პატრონობენ. გახსნილია ნარკოლოგიური დისპანსერი, მუშაობს მილიცია. ფუნქციონირებს სასამართლო, მეტი რა გნებავთ? თქვენ ყველაფერში მართალი ბრძანდებით, გარდა მთავარისა: პრობლემას ჭეშმარიტი მასშტაბურობა აკლია. განა ჩვენ, გაზეთის მუშაკები, ბოროტების კერებს ვერ ვაძჩნევთ, განა არ ვიცით, ზოგიერთ ოჯახში საცოდაობა რომ ტრიალებს, მაგრამ ნარკომანიის ერთეული შემთხვევების სასეკარაოზე გამოტანა... ეს იქნებ რეკლამაც კი გახდეს მისი. ამაშია, ძირითადად, საქმე და არა იმაში, რომ მე თვითნებური გადაწყვეტილების მიღებისა მეშინია. მერწმუნეთ, საჭიროების შემთხვევაში მე პირველი მივადგებოდი იმ ინსტანციას, თქვენ რომ შეაწუხეთ და საკითხს მთელი სიმწვავეთ დავაყენებდი, მაგრამ რომ ვერ ვხედავ ასეთ საჭიროებას? ნუ გავიხყდებით, ჩვენში ნარკოტიკების ხმარება, მაღლობა ღმერთს, არც იმდენად გავრცელებულია, სამართლიან აღშფოთებას პანიკური ხასიათი რომ მივცეთ. ბოლოს და ბოლოს, ეს კაპიტალისტური სამყაროს თავისტიკივითაა, საქართველოში ნარკომანია პრაქტიკულად არ არსებობს, ხოლო არარსებულზე წერა...“. ჩია კაცმა თავი ჯიუტად გააქნია და ფრაზა აღარ დაასრულა. „დღეს, სწორედ დღეს არ უნდა მივცეთ მტრულად განწყობილ ელემენტებს ჩვენი საზოგადოებრივი ფასეულობების და იდეალების კრიტიკის უმნიშვნელო საბაბიც კი, — ჩაერია საუბარში ჟურნალისტი, — ჩვენ ძალზე რთულ, გარდამტეხ, წინააღმდეგობებით აღსავსე დროში ვცხოვრობთ“. „ურთულეს დროში, — სწრაფად დაეთანხმა ჩია კაცი, — ამიტომაც, რომ მართლა მტიკივულ თემებს ვარიდებთ თავს. დანაშაულში არ ჩაგვივალთ და პურის მალაზიებში კილომეტრიან რიგებზე ვერ დაგვიწერი, საგარეო პოლიტიკაზე ხმას ვერ ვიღებთ, თუმცა კარიბის კრიზისმა კინაღამ წაღვეა კაცობრიობა, თქვენ კი რაღაც ნარკომანიისაზე... პრიორიტეტების სისტემა ტყუილად როდი ვახსენე, არც ის მიკითხავს ტყუილბრალოდ, კითხულობთ თუ არა თქვენ — საშუალოზე მეტად განათლებული ადამიანი — იმ გაზეთს, რომელსაც, ფაქტიურად, დახმარებისთვის მიმართეთ. აი, პატიოსნად მიპა-

სუხეთ: რას გებულობთ ჩვენს გაზეთს? „რა ვიცი, მილეთის ამბავს ვიქვინებ, — ვინა-ფიქრების შემდეგ თქვა ჯულიკომ, — ანა-შვიდები, სპორტი, ქვეყნის ჭორი, — ჯულიკომ სიცილი ვერ შეიკავა, — ნაიკითხავ ზოგჯერ ვიღაც ქორვაჭრის დაპატიმრებაზე და გაგებარდება: ეს რა დალაგებულად მიცხოვრიო. ან საფეხბურთო მსაჯზე — ცუდად იმსაჯაო. ან მძლოლზე — მანქანას მივრალი მართავდაო. მეტი რას? მეტი... მეტი ჩვენ გაზეთს, ალბათ, არც მოეთხოვება. აბა, კომერციული პრესის მსგავსად მაფიხე და სენსაციური მკვლევლობებზე ხომ არ დაწერთ. ეს სქელი ალმანახის რედაქტორმა იტებოს თავი, ალმანახი თუ არ იყიდება, გაზეთისას კი... გაზეთს მაინც ვინერთ და ვკითხულობთ, აბა რა ვქნათ, ჭია რითი გავიხაროთ? ასე რომ, თქვენი გაზეთის მიმართ პრეტენზია არ მაქვს“. „ძნელი დასაჯერებელია, თუმცა ასეთი მიდგომით... — ჩია კაცსაც ჩაეცინა, — საოცარია, მაგრამ თუ შევცდით და თქვენი პოზიცია გავიზიარე, ახალი სამსახური მექნება საძებნელი“. „თუკი მართლა ასე ფიქრობთ, ბატონო სერგო, ქვეყანა რაღაზე შესაძრით? თქვენც შენუხდით, ჩვენც შეგვანუხეთ, — გესლიანად თქვა ჟურნალისტი, — მე მესმის, დროის გატარების მრავალი ხერხი არსებობს...“. „გამონაკლისის იმედი მქონდა, — მშვიდად აუხსნა ჯულიკომ, — მეგონა, ასეთი საჭირობოროტო საკითხის ხათრით, გაბედავდით და გადაუხვევდით ჩვეულ ფორმებს“. „აკი მოგახსენეთ, რომ სიმხდალემი არაა საქმე, — ჩია კაცმა ამოიხვნეშა და ჟურნალისტს მრისხანედ შეავლო თვალი, — ჩემი პატივცემული კოლეგა, ალბათ, დამეთანხმება, რომ ბატონი სერგოს სახით ჩვენი რედაქციის კარი შემოაღო ჭკვიანმა, განათლებულმა და გაბედულმა ქართველმა კაცმა. ნუ, ნუ... ეს კომპლიმენტი არ გეგონოთ. არავითარი სურვილი არა მაქვს ნაძალადევი ქარაგმებით გაგისტუმროთ აქედან. იცით, საკმაოდ მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილება მაქვს და, ნებას თუ დამართავთ, თავს უფლებას მივცემ მოგიყვით რაღაც... ჭკუის დარღვევაში არ ჩამითვალთ და იქნებ გამოიტანოთ თქვენთვის გარკვეული დასკვნები“. „ბრძანეთ, მე ყურადღებით გისმენთ“, — თქვა ჯულიკომ. ჟურნალისტიმა ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო და ჩია კაცს უმწეოდ გადახედა. „კაცს, რომელიც ჩვენ დროს უცხოურ სიგარეტს იშოვის, მონევას ვერ აუჯერძალავ, — გაიხუმრა ჩია კაცმა და კვლავ ჯულიკოს მიმართა, — ჯერ ერთი, მე არ მინდა, რომ თქვენ ეს კაბინეტი შინაგანი უკმაყოფილების ანდა უკმაყოფილების გრძნობით დატოვოთ, პასუხი არ მაღირსესო, მეორეც. — მსურს კიდევ ერთხელ ავიხსნათ:

თუ რის გამო მიმართა ნაჩქარევად თქვენი წერილის დაბეჭდვა, გარდა იმ ზედაპირული და, მე ვიტყვოდი, ცხადი მიზეზებისა, რომელთა შესახებ უკვე მოგახსენეთ, ვგრძნობ, უფრო სერიოზული არგუმენტებიც უნდა მოვიშველო, — ჩია კაცმა ჩაახველა და სამიერი შეყოვნების შემდეგ განაგრძო, — შორიდან მომიწევს დაწყება. მე დიდ პატივს ვცემ ჩვენს ახალგაზრდობას. თაობას ვცემ პატივს. თქვენი ბაობა ჩვენ თაობაზე გაცილებით უფრო ზედნიერია, ამჯერად კონკრეტულად თქვენ პიროვნებას არ ვგულისხმობ. არც შემოიძლია ვიცოდე, ბედნიერი ბრძანდებით თუ არა, თითოეული ადამიანი ამას თავისთვის წყვეტს. ამიტომ სწორედ თაობაზე გვინებს ლაპარაკი. გაცილებით უფრო ბედნიერ დროში ცხოვრობთ, ბატონო სერგო. რევოლუცია, მშენებლობა, ომი, აღორძინება, — ყოველივე ამის შესახებ თქვენ, არ მიწყინოთ, უფრო თეორიული წარმოდგენა გაქვთ, სხვების მონაყოლით, წიგნებიდან იცით, სიკვდილი არ გინახავთ. თქვენი თაობის ბევრი ახალგაზრდისთვის სიკვდილი — ახლობელი ადამიანის დაკარგვაა, სიდეუსჭირე — მშვიდი ბავშვობა, მაგრამ ეს მაინც სხვაა, სხვა... რამდენი წელი შეგისრულდათ, ომი რომ დაშთავრდა? „ცხრა“, — ჩუმაღ უპასუხა ჯულიკომ. „მე კი მაშინ ოცდათორმეტისა გავხდი. ორმოცდახუთი წლის ცხრა მაისს, პრალაში. როგორც განმანათავისუფლებლებს ისე გვხვდებოდნენ. — ჩია კაცს წამით თითქოს უხილავი ცრემლი მოერიდა, — ესლა კი ორმოცდაათისა ვარ, სად ეს პირობები და სად ის — მაშინ რომ გექონდა, თავს კი მაინც ისე ვგრძნობ. ვითომ ორასი წელი მიცოცხლია“. უცებ ტელეფონის წერიალი გაისმა, ჩია კაცმა ყურმილი აიღო, ვილაცას მადლობა მოუხადა და ჩაფიქრდა. სიჩუმე დაიძაბა და ჯულიკომ თავი უხერხულად იგრძნო, შერცხვა კიდევ იმისა, რომ ასე შეცდა და ზედმეტი მნიშვნელობა მიანიჭა გიზო ბიბილურის საეჭვო საქმიანობას. „ჰო, რას ვამბობდი? — ჩია კაცმა მკეთრად წამოიწია სავარძელში. ზურგში გასწორდა და განაგრძო, — ბედნიერებაზე, არა? ბედნიერებას და მშვიდობას, ბატონო სერგო, თვალის ჩინივით მოვლა და შენახვა უნდა. ბედნიერება — ეს არა მარტო ომში გამარჯვებაა, ხოლო მშვიდობა — არა მარტო საომარი მოქმედების შეწყვეტა, არამც და არამც! მშვიდობა — ეს იმის შეგრძნებაა, რომ ღამით დაუკითხავი სტუმარი არ მოგადგება და გაფიქრებული ცოლ-შვილის თვალწინ სასაკლავო კენ არ გაგრეკავს, ბედნიერება კი იმის იმედიცაა, რომ უნიჭიერესი, ღვთის მომადლებული მხატვარი იძულებული არ შეიქნება აბრების მოხატვით გაიტანოს თავი. ეს თუ რეპრესი-

რებულეზე არაფერს ვიტყვით, თორემ განსწავლული სთვალოს... აი, ამ ბედნიერებასა და ბედნიერებას დობას უნდა გავუფრთხილდე, თორემ კურსის რიგებსა და ნარკომანიას როგორმე გაუძლებს კაცი. ჩვენმა ხალხებმა უდიდესი მსხვერპლი გაიღეს, გამართლებული და გაუმართლებელი, მერე დადგა დრო და ფარდა აიხსნა: მთელი მსოფლიოს გასაგონად ითქვა უსამართლობისა და უკანონობის ამბავი. როგორ ფიქრობთ, ყველა კმაყოფილია ამით? განსაკუთრებით ასეთი მოუსაველიანობის? გვიბრძანებთ, პოლიტიკური სიბეცე გამოვიჩინოთ? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, განა ვალდებულები არა ვართ საქართველოს ინტერესები გავითვალისწინოთ? ნუთუ ჩვენ, კრესის მუშაკები, მეცნიერები, ექიმები, ერთი სიტყვით, ინტელიგენტები, სწორედ დღეს, როდესაც ქვეყანა ურთულესი საშინაო თუ საგარეო პრობლემების წინაშე დგას, შევარყევთ პოზიტიურ ძვრების ჯერ კიდევ არამდგრად რწმენას? რას გვიჩვენებ: ვნეროთ და ვებჭედოთ საქართველოში გაღვივებულ ნარკომანიასა თუ სხვა რომელიმე ფეხმოკიდებულ უმსგავსობაზე? რას იფიქრებენ ჩვენზე დედაქალაქში. მოძმე რესპუბლიკებში, რა მოუვა ჩვენს ეროვნულ პრესტიჟს? ვის დავასუსტებთ და ვის გავაძლიერებთ ამგვარი აღიარებებით? ჩერჩილს თავის დროზე უთქვამს: „სამართლე იმდენად ძვირფასი რამ არის, რომ მის დასაცავად მუდამ სიცრუე უნდა გვეკონდეს მომარჯვებელი“. არ იყო ის ინგლისელი უჭკუო კაცი? ჩია კაცმა თავისი მგზნებარე სიტყვა უეცრად განყვიტა და დაბნეულმა ჯულიკომ მთელი არსებით ირწმუნა მისი გონიერება და ზნეობრივი სიმშინდე, განიმსჭვალა მისდამი ნდობით, ჩიგონა, რომ — ვინ იცის — იქნებ თავადაც არის ამ ბრძენი კაცის ნდობის ღირსი, ბრძენისა, რომელიც არც ელაქუცება, არც თვალს უხვევს მატრიაზული ქათინაურებით და, შეჭველია, ჯულიკოსაგანაც პატიოსან სიტყვას ელოდება. ყურნალისტი კი სდუმდა, სახის ნაკვთებზე ვერც კი შეატყობდი, მხარს უჭერს თავის უფროსს თუ, პირიქით, განზილებულია გაგოხილით. „კარგად მესმის თქვენი, — ხანმოკლე შესვენების შემდეგ განაგრძო ჩია კაცმა, — გსურთ როგორმე ლიბერალური ხანის პოტენცია გამოიყვანოთ, საკუთარ აღქმასა და გამოცდილებას ეყრდნობით და ნაკლებად გნამთ სხვისი აღქმისა და გამოცდილებისა, მაგრამ... რა გგონიათ, მე, მთავარ რედაქტორს, არ მინდა ერთხელაც ისეთი დღე გამიიწინდეს, როდესაც თქვენ მომიტანთ მართალ წერილს ნარკომანიის შესახებ, მე მას გამოვაცქეყნებ, ხალხი კი წაიკითხავს და პასუხს მოთხოვს გარეწრებს? ან — თუ მოვლენებს უფრო ღრმად განჭვრეტით — არ შევნატრი იმ მა-

დღევანდელ დროს, როდესაც სარედაქციო პრაქტიკიდან ამოვარდება კუპირის ცნება; როდესაც ნაწარმოებს — სამამულო იქნება თუ ნათარგმნი — ისეთი სახით წავიკითხავთ, როგორც ავტორმა იწერა, ხოლო ფილმს — აქაურსა თუ იქაურს — ყოვლისშემძლე მაკრატელი აღარ შეეხება? გგონიათ, არ ვოცნებობთ დროზე, როდესაც კანონი, ლმობიერი კანონი და მართლწესრიგი ერთიანი იქნება უკლებლივ ყველასათვის — განუკითხავად ჩინ-მედლებისა, თანამედრობისა და გვარიშვილობისა, ხოლო ცივისსხლიან ბიუროკრატს, საკუთარი თავის გადარჩენის ინსტინქტსა და კარიერას რომ შესწირა მოქალაქეობრივი სინდისი, ფეხქვეშ გამოცლება მინა? შევნატრი და ვოცნებობ, ბატონო სერგო! მით მეტი წასუსხისმგებლობა მაკისრია. დღეს უკეთ, უფრო ლაღად ვცხოვრობთ, ვიდრე გუშინ, მაშ მოდით — ნუ დავთრგუნავთ ხვალინდელ დღეს, ისტორია დღეს ის ხვალ არ თავდება. ნუ მოვიქცევით ისე, რომ ზეგ სახვეწნი გუშინდელი უარყოფილი გაგვიხდეს, ნუ ჩავიდნით ამ ცოდვას! ნუ დავარწმუნებთ ნაეს ისე ძლიერად, რომ გადაბრუნდეს, მგზავრები კი წყალქვეშ ჩაგვიყოლიოს. ისტორია... — ჩია კაცს სუსტი ღმირი მოეფინა სახეზე, — ვიყოთ დიალექტიკოსები, გავუხიოთ ანგარიში დროს, რომელშიაც ვცხოვრობთ. ნუ დაგვაინფიცია, რომ თავისუფლება წესრიგის გარეშე — ქაოსია, წესრიგი თავისუფლების გარეშე — ტირანიაა. მოთმინება იქონიეთ, ბატონო სერგო! მსოფლიო ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში შევიდა, კომუნისტური თვისობრივ ნიშნულს წინ ვერავინ აღუდგება. მალე, სულ მალე საფეხბურთო რეპორტაჟებს სხვა ქალაქებიდან ტელევიზიის საშუალებით წავიყვანთ, ასეთ პირობებში მსაჯეს უთუოდ გაუჭირდება არაობიექტურად მსაჯობა. მოვა დრო, ზედმეტი თავისუფლების შეგვეშინებდა, ადამიანში ხორციელი, მხეცური სანყისის აღზევებისა და მისი თანმდევი ანარქიისა. წავიკითხავთ ტაციტუსი ან სვეტონიუსი? — უარის ნიშნად ჯულიუსი თავი გააქნია, — გახსოვდეთ, მომავალ წელს მოსკოვში სვეტონიუსის აკადემიური გამოცემა დაისტამბება, არ გამოგეპაროთ. იცით, გარკვეული თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე თავისუფალი ადამიანი კაცობრიობის ისტორიაში იყო იმპერატორი ტიბერიუსი, განსაკუთრებით მმართველობის უკანასკნელ წლებში. მერე და რა? მას შემდეგ რაც დიდებული რომის მეთუფე მიატოვა მობეზრებული და არც თუ უხიფათო პალატინი და კაპრას კუნძულზე გადაიხვეწა, იგი ქვედა იმპულსების მონა გახდა. მან ირგვლივ მლიქვნელები შემოიკრიბა, უახლოესი ნათესავები ანამა და გამოასალმა ნუთისო-

ფელს, მოსკო უამრავი ტიბერიუსი ტოკრატი და ცისმარე დღეს, დღევანდელს ატარებდა: ქალი აღარ უყო და მცირეხლოვან გოგო-ბიჭებს დაერია. სვეტონიუსის მიერ მოწოდებული ცნობებით ტიბერიუსი თავად იტანჯებოდა ასეთი ცხოვრებით, მაგრამ ველარ შეიცვალა, გამოიფიტა. გამოელია სულიერი ძალა. და განა მარტო ტიბერიუსი... თავს უფლებას მიეცემ გირჩიოთ: არ დააკლოთ ყურადღება გარდასულ ეპოქათა მებატიანეთ. არც არაფერს ნააგებთ, თანაც მიხედვით, რომ ათასწლეულების მანძილზე ადამიანი არც იმდენად შეიცვალა, რომ საკუთარ კეთილ განზრახვებს ენდოს — მეოცე საუკუნე ამის საუკეთესო ილუსტრაციად მოგვევლინა. იცვლება კლასობრივი სიტუაცია და არა ადამიანის სული. აბსოლუტური თავისუფლება პიროვნებისთვის ხშირად ისევე მომაკდინებელია, როგორც ტყვეობა, — ჩია კაცმა თვალის თვალში გაუყარა ჯულიუსი, — მაშ როგორ, ბატონო სერგო, კვლავაც ითხოვთ თქვენი წერილის გამოქვეყნებას? ჯულიუსი გამჭოლ მზერას ვერ გაუძლო, უნებურად ჩაღუნა თავი, იგრძნო, რომ ურჩევნია ფეხქვეშ მინა გაუსკდეს, ვიდრე გულსიტყვილი მიაყენოს ამ კეთილ და პირდაპირ, მამულის ბედ-იღბლით შეფიქრებულ კაცს. „მე იმითაც კმაყოფილი ვარ, რომ არ დაიხზრეთ და საქმის არსში ჩამახედეთ, — ჯულიუსი თავი ასწია, — საკითხი მოგვარებულია. ყველაფერი ვერ გამოთვალისწინებია თურმე“. „არ იღარდოთ, — ჩია კაცს სახეზე ნათელი მოეფინა, — მე მხედველობაში ვიქონიებ თქვენს მიერ ოდნავ ნაადრევად აღძრულ თემას. კვლავაც თუ რაიმე შეგანუხათ, ბატონო სერგო, აუცილებლად მოგვაკითხეთ. ამ კაბინეტის კარი მუდამ ღია იქნება თქვენთვის“. „გმადლობთ. — ჯულიუსი მიხვდა, რომ აუდიენცია დამთავრებულია და ფეხზე წამოდგა, — დღევანდელი ჩვენი საუბარი არასდროს დამავინწყდება, დიდად მადლობელი ვარ თქვენი. ნახვამდის, შენუხებისთვის დიდი ბოდიში“. „რას ამბობთ, რისი შენუხება, — ჩია კაცს წამოდგა ზეზე, — კარგად ბრძანდებოდით, ნარმატიბებს გისურვებთ“. ჯულიუსი ჩია კაცს თავი დაუჯრა და გასასვლელი სკენ გაემართა. მას ჟურნალისტი მიჰყვა. დერეფანში გავიდნენ თუ არა. ჟურნალისტი დამშვიდობების ნიშნად ხელი ჩამოართვა ჯულიუსს, თან გააფრთხილა: „მინც რა არის ჩვენი მთავარი როგორი ცოდნა, ერუდიცია, აზრის მკაფიოდ გადმოცემის უნარი ზოგჯერ ზედმეტი რომ არ მოსდოდა... შეეცადეთ, ბატონო სერგო, ნაკლებად ილაპარაკოთ ამ შეხვედრის შესახებ“. ასე დაცილდნენ ერთმანეთს.

ქუჩაში გავიდა თუ არა, მანქანების გნია-

სისგან თავებრუნე კი დაესხა ჯულიკოს. ოდნავ შეისვენა მიღებული შთაბეჭდილებით მოჯადოებულმა ახალგაზრდა უროლოგმა, შემდეგ ამოიხვეწა და ნელი ნაბიჯით გაყვა ხმაურთან, ხალხმრავალ გამზირს. აუჩქარებლად გაიარა „ზემელი“, ასევე ნელა და ანგარიშმიუცემლად აუყვა აღმართს და გრიბოდოსის ქუჩაზე აღმოჩნდა. სახლისკენ მიჩანჩალებდა და ფიქრობდა იმაზე, თუ რაოდენ უმეცარი ყოფილა სინამდვილეში, თუშცა კულტურულ, განათლებულ, თანამედროვე, გემოვნებიან პიროვნებად, ერთი სიტყვით, ნატიფ ვეროპიელად მოქმონდა თავი. თურქერა უსუსური, უმწეოა დროისა და სივრცის მოძალების წინაშე! რა ცოტა, სასაცილოდ ცოტა იცის იმ უზარმაზარი და იდუმალებით მოსილი სამყაროს შესახებ, მისი გონება და თავისუფლება რომ გარემოუცავს; სამყაროსა, რომელიც არსებობდა მის დაბადებამდე და უთუოდ იარსებებს მისი სიკვდილის — სიბართლე მწარეა — შემდეგაც უროლოგს ვარსკვლავეთისა თუ არაფერი გაეგება, იმ სამარცხვინო არაა, მაგრამ ადამის მოდგმაზე, სულსწრაფ გონიერ მაიმუნზე ხეირიანად თუ არა გაუგია რა. რითი იბართლოს თავი? ნარკომანიას ჯვაროსნულ ომს რომ უცხადებს და გიზო ბიბილურს რომ უპირებს სარმის გამოკვრას, ხომ არ ემსგავსება მით მდელიზე, ანუ საძოვარზე, მწვანედ აბიბინებულ მოლს: ქორფა შაბბს, ფიფოს, ჯოყარს, დიყს თუ სხვა რაიმეს, მინა თავისი ერთგული რომ ჰგონია, ის კი დავინყნია, რა ბედი ენია მანდვე შარშან თუ შარშანწინ აღმოცენებულ ბალახს? ღმერთი მაღალო, ან რა არ გაჩენილა, ან რა არ აღგვილა პირისაგან მინისა კაცობრიობის დასაბამიდან რომი, დიდებული რომი... ჯულიკო გაფაცვიცებით იგონებდა ფაქტებს რომაული ცივილიზაციის ისტორიიდან და სირცხვილით ლამის იწვოდა: სვეტონიუსი კი არა და, სკოლაში ნასწავლი აღარ ახსოვს როგორც წესი და რიგია, ან კი რა ასწავლეს იმის გარდა, რაც ხუთიანის მისაღებად იყო საკმარისი? აი, შედეგით: აღარაფერი აგონდება ცალკეულ და ერთმანეთთან დაუკავშირებელ ამბებს გარდა. ჯერ რესპუბლიკა იყო, თუ ჯერ იმპერია? ჰო, ფველ რომს ბარბაროსთა ტომებმა გაავლეს მუსრი. მონათმფლობელური იმპერია, ეჭვგარეშეა. შედარებით იოლი დასამხობი იქნებოდა. ესე იგი: ჯერ რესპუბლიკა, მერე — იმპერია. იულიუს კეისარმა იმით გაითქვა სახელი, რომ დიქტატორი გახდა და ნახევარი მსოფლიო დაიპყრო, მაგრამ შეთქმულებასა და ლლატს — „შენც ბრუტუს...“ — ვერც ის გადაურჩა. რომის ისტორიის ძირითადი მოვლენა იყო სპარტაკის ძლევა მოსილი აჯანყება, რომელიც საბოლოოდ

მაინც სისხლში იქნა ჩახშობილი, როგორც ტურ გარემოებათა გამო მონებიერი მარჯვებას ვერ მიაღწევდნენ. კიდევ რა? რაღაც გვიანდელ ეტაპზე იმპერია ორ ნაწილად გაიყო — აღმოსავლეთად და დასავლეთად. მეტი? იმპერატორი ტიბერიუსი... ტიბერიუსზე, სამწუხაროდ, არანაირი ცნობა არ მოეპოვება, მით უმეტეს, არც პალატინზე და არც კუნძულ კაპრეაზე. იძულებულია აღიაროს, რომ უცოდინარია: კიდევ კარგი, ჩია კაცმა — სრულიად შემთხვევით — აუხილა თვალები. ჯანდაბას, სჯობს გვიან: გიზო ბიბილურისა და ჩია კაცის ჯინაზე უკან არ დაიხვეს, მედგრად შეერკინება საკუთარ უბირობას, ჩაბუღებულებს აკადემიურ გამოცემებს, ჩაფელობა ხელნაწერებში, შეისწავლის პირველწყაროებს... მანამდე არ დამშვიდდება, სანამ ძველი რომის უფლებამოსილ მოქალაქედ არ შეირაცხავს თავს. იმპერატორების ქრონოლოგიური ნუსით ჩამოთვლა ხომ დილის გამამხნევებელი ვარჯიშით... რა ყოფინაა? „ჰეი, მშობილო, ჰო, შენ, ეპე-ჰეი, შენა, შენი!“

უეცარი შედახილისგან ჯულიკო შედრკა, — ასე შედრკება ახალჩაძინებული, ცივი წყალი თუ მისახეს სახეზე ხუმრობით, — ძველი რომი მიატოვა, გრიბოდოვის ქუჩის ნაცნობ ტროტუარს დაუბრუნდა და ძალაუბებურად ყურადღება ჭუჭყიან სამუშაო ხალათში ჩაცმულ, განუხსბლვრელი ასაკისა და ჩაფსკენილი ტანის მამაკაცზე შეაჩერა. მამაკაცი ამოდ შესჭიდებოდა მოზრდილი და, ეტყობა, მძიმე ბიდონის სახელურს და შველას ხმამაღლა ითხოვდა. ბიდონი სადარბაზოსგან მოშორებით, ნესტით შენისლულ კედელთან იყო მიდგმული, შორიახლო გამველელ-გამომველი არავინ სჩანდა და გონს მოსული ჯულიკო მიხვდა, რომ ჩაფსკენილი სწორედ მას მიმართავდა. ჯულიკო გაუბედავად მიუახლოვდა სადარბაზოს და რამდენიმე წამის განმავლობაში აკვირდებოდა ჩაფსკენილის ამოუჭინთვარებას. „მეგობარო, ეს პადვალში ჩამატანიე, წელი გამიწყდა. ვაჟაკურად, მშობილ-ჯან, ვნიკოთ რა“, — ჩაფსკენილი სახელურს შეეშვა და ტანში გასწორდა, ჯულიკოს მიაპყრო იმედიანი მზერა. ჯულიკო ხათრიანი ახალგაზრდა იყო და. ცხადია, მისახმარებლად გაიწია — სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა. მან სახელურს ხელი ერთ მხარეს ჩაჰკიდა, ჩაფსკენილმა — მეორეს, და ასე, ტორტმანტორტმანით შებაჯბაჯდნენ სადარბაზოში. წამით სარდაფში ჩამავალი კიბის დასაწყისთან შეყოვნდნენ, სახელურები გაცვალეს და ფრთხილად, საფეხურების მოსინჯვით, შეუდგნენ ჩასვლას. „აქეთ, მშობილ-ჯან, აქეთ, ცოტაცა და შიგ ათიანში ვხეთქვით და დუ-შაში იქნება, — ჩაფსკენილი სიმძიმისგან უაზროდ



ბუტბუტებდა. — არ დავიშალოთ, არ დავინდოთ, დედა ეტირება. ჯან, დავკრათ, ერთი, ორიც, ერთი, ორიც... როგორც იქნა, სარდაფამდეც ჩააღწიეს. ჯან, ერთი დაშადგმუნენ ბარემ. — ჩაფსკვნილმა ფეხი ჰკრა კარს, რომელიც ჭრილობითა და კვნესით გაიღო, — მოდი, აქეთ შემო, ჯან". სარდაფში უკუნეთი სიბნელე და შმორის სუნი იდგა, „დაიცა, ძველო, დადე, სინათლე ავანთო“, — უბრძანა ჩაფსკვნილმა, ხელით კედელზე მოჩხრიკა და უმალ სადალაც წინ, სარდაფის სიღრმეში მარტოხელა ნათურა აკიფადა. საპირისპირო კედლამდე საკმაოდ დიდი მანძილი იყო გასასვლელი და ჯულიკოს, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა კიდევ: ეს რამხელა სარდაფი ჩამალულა ამ ჩემი მშობლიური ქუჩის ღრმულეებშიო. საბოლოოდ ბიძონი რალაც მყარ სადგარზე მოათავსეს, ჯულიკომ შვებით ამოისუნთქა, „კარდა, აბა“ მიძახა ჩაფსკვნილს და მარდად, რათა თავიდან ზედმეტი მადლობები აეცილებინა, გასასვლელი სკენ შებრუნდა. გაოგნდა კიდევ. ასე მოეჩვენა. საიმედოდ ჩარაზულ კართან ადამიანის ხორცის საგლეჯად ჯოჯოხეთიდან მოვლენილი ორი კაციჭამია იდგა. ერთი, ტახად ბრგე და მაღალი, ზანტად ათამაშებდა საჩვენებელ თითზე წვრილ, ნათურას სინათლეზე ყვითლად მოელვარე ძენკვს; მეორე, უფრო დაბალი და მომრგვალებული, ბოროტად იღიმებოდა და ბასრი დანა მოემარჯვებინა ხელში. უნებლიედ ჯულიკომ უკან, კედლისკენ, დაინია, რალაცის თქმა მოინადინა, მაგრამ სიტყვა პირზე შეეშრა. არა თუ ყვირილის, არამედ ღმუილის უნარიც წაერთვა — ქვემოდან, მუცლის შიგნეულობიდან, ტლანქი ბურთი ამოგორდა, უსაზღვროდ გაიბერა და ხახაში გაეჩხირა. მსუქანი კაციჭამია ნელა დაიდრა ჯულიკოსკენ. ბრგე კი ადგილზე დარჩა, ისე ალაღად აბზრიალებდა ძენკვს, თითქოს აქ შემთხვევით, სეირის საცქერლად შემოსულაო. ჯულიკომ კიდევ ნაბიჯით დაინია უკან, მერე, როგორც იქნა, ჩაფსკვნილის არსებობა გაახსენდა და დახმარების უცვარი იმედით ათრთოლებულმა მისკენ გაიხედა, მაგრამ ნაუცბადვემა მუდარამ არ გაჭრა: ჩაფსკვნილმა გიზო ბიბილურივით გაიღიმა და მუცელში ჩააზილა ჯულიკოს ფუტისანი მუშტი. ჯულიკო კუდუსუნით ბიძონს შეასკდა, მწარედ ამოიკვნესა — გამჭოლი ტკივილისგან გონება დაებინდა და გადაყლაპა კიდევ უკითხავად აღზევებული ბურთი — და იატაკზე ჩაცურდა. „ხმა, კრინტი — სიძულვილით ჩაისისინა მსუქანმა კაციჭამიამ, — თორემ გაგათავებ, ლორივით დაგკლავ!“ „რა გინდათ ჩემგან? — ჯულიკომ ძლივს ასწია თავი, — ხუთ მანეთზე მეტი არა მქვს თან“. „ვის რა შავ ქვად

უნდა შენი ხუთი მანეთი, **ჭაფსკვნილი** კვნილმა ფეხსაცმლის წვეტი შეიღო და მკერდს, — იოლად მოინდომე ფულის მოვნა. ნაბიჭვარო? — მერე მსუქანს მიუბრუნდა, — რაო, რა მითხარი, რა ქვია ამ დაშპალს?". „სამსახელიანია. ჩათლახი, — მსუქანმა ჯულიკოს სახეში შეაფურთხა, — ჯერ ჯულიო, მერე სეროფიო, მერე ჯულიკოო, გვაბნევედა, ძალიშვილი“. ჯულიკო ძლივს ნამოკდა ფეხზე. ჩაფსკვნილმა, თითქოს მის ნამოდგომას ელოდებოდაო, უმალ გამლირი ხელი სთხლიშა ჯულიკოს ცხვირში და ისევ იატაკზე დასცა. „სამი თავი გაბია, სამსახელიანო? — ეხლა ჩაფსკვნილმაც შეაფურთხა, — ჯან, სად ერრები? გიზოს თავი დაახებე, თორე... ჯერ შენ მოგკლავთ, მერე დედაშენს დაგაკლავთ საფლავზე. გიზოს ხომ იცი, სად უნდა აკოცო, ნაბიჭვარო? გიზომ? ნუ იკისრებთო, ერთი ვაპატიოთო, თორე... ჯერ შარვალს ჩაგხდითო, მერე გაგათავებდით და მტკვარში გისროლებდით, გაიგე? რა გინდოდა გაზეთში, ჯან?". „მე... მე არაფერი, მე გიზოზე ცუდი არაფერი... გეშლებათ, თქვენ გეშლებათ, — ჯულიკო სანყლად ლუღლუღებდა, ლაპალუპით სდიოდა ცრემლი. ტუჩებზე მარილიან სიმწკარტეს გრძნობდა. ვერ გაერკვია ცრემლი იყო თუ სისხლი, — გაზეთში სულ სხვა საქმეზე ვიყავი. მე ვიხუმრე, ვიხუმრე, გამიშვით...“. „რა გეხუმრება, ნავაგო? — ჩაფსკვნილმა ძალით აათრია ჯულიკო ფეხზე და მუჯღუგუნე ჰკრა, — იცოდე, ჯან, იოლად ნაშოვი ფული არამია. ჩვენ გაგაფრთხილეთ და როგორც გინდა. ეხლა ნავალთ, შენ დარჩები. მაც საათზე ათი ნუთი დაინიშნე. ძმობილ-ჯან, ადრე არ გაიპარო, თორემ ლინად გიპოვი და ლინად დაგჭრი, მტკვარში ჩაგძირავ, ჯან. ნავედით, ეყოფა ამას, ნახვამდის, იხვო“.

...სწორედ ეს, მესხიერებიდან სანახევროდ განდევნილი, გვარიანად გახუნებული ამბავი მოაგონდა ვეტსადგურისკენ ტაქსით მიმავლო დასტაქარს. მყის შეაფრეოლა კიდევ იმ ყოვლად დამამცირებელი პატიმრობის გახსენებისას, მაგრამ სძლია, გაქანება არ მისცა წარმოსახვის წიაღში აღმოცენებულ მონახენ ნიაღვრის, საიმედოდ დათრგუნა მხრწოლავი ბოლმის უმაქნისი ნებივრობა. იმით ინუგეშა — მერამდენედ! — თავი, რომ საქვეყნო ბოროტებასთან ბრძოლაში მცირედ წარმატებას მაინც მიღწია: გიზო ბიბილურს თვალის უადგილო პაჭუნზე და ნაძალადევი ძმაბიჭობის სხვა უმსგავსო გამოვლენებზე სამუდამოდ აღღებინა ხელი. ამჟამად კი სულ უცხო ხიფათი უჩრდილავდა მომავალს და რაწამს მძლოლს გაცრეცილ სამანეთიანს აწვდიდა, უკვე სრულად მოეთიკა ბრახი, — რალა დროს შურისგებაზე ოცნება იყო!



ვეტსადგური ძველისძველ კასაკის შესანი-
 ლბავად უდიერად შელესილ ერთსართულიან
 შენობაში მოთავსებინათ. კოსტიუშკოს ქუ-
 ჩის ამ მონაკვეთზე სარესტავრაციო სამუშა-
 ოები ჯერ არ გაჩალებულიყო, სახლები საუ-
 კუნზე მეთია შეულესავნი იდგნენ და უბან-
 საც თითქოს არ შეცვალა დასაბამითი —
 ერთობ გასანყლებული, ამასთან კი გასაოც-
 რად ბუნებრივი — სახე. პირველი, რაც ვეტ-
 სადგურის მოზრდილ წინაოთახში შესულმა
 დასტაქარმა იხილა, რკინის დაბალ მაგიდაზე
 პირქვე მწოლიარე თეთრი პუდელი იყო. პუ-
 დელი საცოდავად წმუტუნებდა: ქათათა
 სამედიცინო ხალათში გამოწყობილ ქალბა-
 ტონს ფინიას თათები ქამრებით შემოუჭრია
 და ასე მიუბია მაგიდაზე, თვითონ კი მსხვი-
 ლი შპრიცი მომარჯვებინა ხელში. ოდნავ
 მოშორებით, ფანჯარასთან სათნო გარეგნო-
 ბის უღამაზო მანდილოსანი — ეტყობა, პუ-
 დელის პატრონი, — იჯდა და ოთხფეხა მე-
 გობრის გვემას სიბრალულისგან გაშვებული
 თვალებით შეჰყურებდა. „უკაცრავად, ვეტე-
 ქიმი თქვენ ბრძანდებით? — საკმაოდ რი-
 ხიანად იკითხა დასტაქარმა, — ერთი პატარა
 საქმე მაქვს მოსაგვარებელი“. „არა, მე ექ-
 თანი გახლავართ, — თავაზიანად მიუგო ქა-
 ლბატონმა და აღურხიანად გაუღიმა, — აი,
 იმ კარებში შებრძანდით. ვეტექიმი თავისთა-
 ნაა“. დასტაქარმა თავაზიან ექთანს მადლობის
 ნიშნად თავი დაუქრა და აღნიშნული მიმარ-
 თულებით გაეშურა. მერე კარზე ზრდილო-
 ბიანად დააკაკუნა და ვეტექიმის კაბინეტში
 შეადგა ფეხი. ერთ ციციქნა ოთახში, უბრალო
 საკანცელარიო მაგიდასთან დასტაქარზე გაცი-
 ლებით უმცროსი, ლოყებლავლაყა, უღვაშა
 კაცი იჯდა და სქელ დავთარში რალაცას გუ-
 ლმოდგინედ იწერდა. დასტაქარმა წამით ირ-
 გვლივ მიმოიხედა და დაინახა, რომ კედ-
 ლები ძაღლების ფოტოსურათებითა და პლა-
 კატებით იყო გადავსებული; „ცოფი სასიკე-
 დილო სწეულდება! დროულად აცერით თქვენი
 ძაღლი!“ — მოუწოდებდა ერთი წარწერა,
 „დაკბენილზე აცრა — თქვენი გადარჩენის
 გარანტია!“ — მოუწოდებდა მეორე. არ ეპა-
 ბაურობა დასტაქარს, წასვლის სურვილიც
 კი აღეძრა, მაგრამ გვიანდა იყო: უცხო ფე-
 ხის ხმის გაგონებაზე უღვაშამ კალმისტარი
 გვერდზე გადასდო და სტუმარს შეხედა. „მე...
 უკაცრავად, უბნის ვეტექიმი მინდა და აქეთ,
 თქვენთან, გამომგზავნეს, — მოკრძალებით
 შეუდგა დასტაქარი თავის გასაჭირზე თხრო-
 ბას, — დღეს დილით ძაღლმა ფეხზე მიკ-
 ბინა, დიდი არაფერი, უბრალო განაკნარია.
 პოლიკლინიკაში უკვე ვიყავი, ტრანსუსის აც-
 რაც გამიკეთეს, ჰოდა... ცნობა თუ არ წარ-
 გადგინე, რომ ძაღლი ჯანსაღია, ცოფის აც-
 რასაც დამიწყებენ და... ამ გაგანია სიცხეში

მაგის თავი მაქვს? შვებულეზაც წამიხდება,
 პოლიკლინიკის ქირურგი შემპირდა. უბნის
 ვეტექიმს აუცილებლად შევატყობინებო, იქ-
 ნება მიხედოს საქმესო“. „რა გვარზეა შეტყ-
 ყობინება? — ვეტექიმმა სხვა სქელი დავთარ-
 ი გადაშალა, — ვისია ძაღლი?“. „ჭანკვე-
 ტაძის გვარზე, ბატონო... უკაცრავად, თქვენი
 სახელი არ ვიცი“. „მამუკა, — ვეტექიმმა
 დასტაქარის ცნობისმოყვარეობა დააკმაყოფილა
 და ისევ დავთარში ჩარგო თავი, — კი, დაუ-
 რეკავთ, მოსულა შეტყობინება. დილით ობი-
 ექტზე ვიყავი და ექთანს ჩაუწერია. აგერ, ჭა-
 ნკვეტაძე ჯულიკო, ორმოცდაცამეტი წლის,
 ცენტრალური უროლოგიური კლინიკა, ძაღლმა
 უკბინა სასტუმრო „საფარაში“, ო, „საფარა-
 რა“ — ჩემი უბანია... მამუკ, ვის ეუთვინის
 ძაღლი, ბატონო ჯულიკო?“. „მგონი, არავის,
 მაგრამ არც გარბის არსად, სამზარეულოსაა
 შეხიზნული, — დასტაქარმა მხრები აიჩეჩა,
 — დიახ, თქვენი უბნისაა, ბატონო მამუკა“.
 „ეგ მართალია, მაგრამ ცნობა, აბა, რა უფ-
 ლებით მოგცეთ? დღეს თოთხმეტი რიცხვია,
 ოცდახუთამდე ვერაფრით ვერ გამოვწერ.
 რაც შეეხება მეთვალყურეობას... ტრანსპორტი
 მე არა მაქვს და ადგილი, რანაირად დავა-
 ნესო? პასტერის საქალაქო სადგურს მიმარ-
 თეთ ან, უკეთესი იქნება, აიღეთ და წამოი-
 ყვანეთ ის დალოცვილი სახლში“. „ნამეტანი
 სახლადფორთოა ეგ, ბატონო მამუკა. მერე, რაც
 მთავარია, სასტუმროში ცოფიან ძაღლს ვინ
 გააჩერებდა? — დასტაქარის ხმაში მუდარამ
 იმძლავრა, — იმიტომ იკბინება რომ, თურ-
 მე, ლეკვი დაუფტია და გაავებულა. ლეკვს
 რომ მოვაცილო, მემონია სულ არ გადირიოს.
 ამ პაპანაქებაში ის კი არა, ლამის მე ვეცე
 ხალხს დასაკბენად და... ბატონო მამუკა,
 თქვენ რომ ეხლა „საფარაში“ გამომყვით და
 იქაურები გააფრთხილოთ, თავის ძაღლს მი-
 ხედონ, ეგეც საკმარისი იქნება. ერთი-ორ-
 ჯერ მივაკითხავთ მერე, ათი დღეც გავილის
 და ცნობასაც გამომიწერთ, მეტი თქვენგან
 არც არაფერი მინდა. აღრიცხვაზე მაინც აგი-
 ყვანიათ და პასუხისმგებლობა ისევ თქვენ
 გეკისრებათ, ხომ ასეა? ტაქსის ფულიც ჩე-
 მზე იყოს. თქვენც იქნებით მშვიდად და
 მეც“. „უპატრონო ძაღლებს აღრიცხვაზე ჩვენ
 მოსასპობად თუ ვიყვანთ, — ხანმოკლე დუ-
 მილის შემდეგ განაცხადა ვეტექიმმა და მა-
 ლულად დაამთქნარა კიდევ, — ეს რა ბულია
 ქალაქში, მიდი და დაიცავი სანიტარია... კა-
 რგით, ბატონო, იყოს თქვენებურად, წამოგ-
 ყვებით „საფარაში“. დროა ჩავაკითხო, შე-
 მოიკედლეს მანანწალა ძაღლები, კატები,
 მოსვენებას არ აძლევენ ხალხს. მაგრამ თქვენც
 უნდა მიხედოთ, თორემ თუ დაიკარგა ძაღლი
 — სდიე მერე კუდში. სხვა თუ არაფერი, თუ
 აცრა — ადრე დანყება სჯობს. წავიდეთ,

აბა!.. ასე ტკბილად და საამურად დასრულდა ეს მუსაიფი და ოციოდე წუთში დასტაქარი და ვეტეკიმი „საფარას“ რესტორნის სამზარეულოში იყვნენ...

ექვსი დღის განმავლობაში გაუთვალისწინებელი არაფერი მომხდარა, მეშვიდე დღეს კი გაქრა, დაიკარგა ძაღლი. ჯერ იყო და მძლოლ-ექსპედიტორს გადააბრალეს მზარეულებმა და დამლაგებლებმა, კუსა მანქანაში შესვა და თავის ლეკვიანად მუშტაიდის ბაღში მოისროლა ყურუმსაღმაო, თუმცა არც იმას უარყოფდნენ, რომ გაავებული ცხოველი შოთებიდან ვაჭრობას აბრკოლებდა და ნერვებს უშლიდა კლიენტურას. განყრა, ძლიერ განყრა დასტაქარი, გაცეცხლებულ გულზე იყვირა კიდეც: რაღას მამბრყევებით, თქვე ოჯახქორებო, რატომ შემპირდით მივხედავთ კუსასო, მუშტაიდში თუ უპირებდით გადაგდებას, მაგრამ, აბა, ფუჭი და ამოო ყვირილით რას გახდებოდა? ბევრი კი ილახძა გულის მოსაოხებლად ჯულიკომ, საბოლოოდ კი მინაც იძულებული გახდა ბედს შერიგებოდა: წყველა-კრულვითა და ბუზლუნით ისევ პოლიკლინიკაში, იმ წინა კვირას გაცნობილ ქირურგთან გასწია. ქირურგმა, საქმის არსი შეიტყო თუ არა, თანაგრძნობით გაშალა ხელები, დასტაქარს მუცლის არე გააშიშვლებინა, შრატის შემცველ ამპულას მოატეხა წვერი და პირადად გაუკეთა პატივცემულ პაციენტს პირველი ნემსი.

ალიონის შემოსვლამდე ვერ მოერია იმ ღამეს ძილი დასტაქარს. ბინაში ხმის გამცემი არავინ ჰყავდა გვერდში და სანამ ტელევიზორის ცქერით ირთობდა თავს, ასე თუ ისე ახერხებდა შინაგანი წონასწორობის შენარჩუნებას. მაგრამ ოდეს მზის სიმხურვალით შედედებული ბინდი მტვრიან ქუჩებში დაიქსაქსა და ქალაქს სულთამხუთავ ღამედ მოეგლინა, ოდეს დაძინება სცადა და იძედიანად — ეხლა კი მოვისვენებო! — გადაიფარა თხელი ზენარი ჩამონოლილი წყვილიადით გარემოცულმა დასტაქარმა, მაშინ კი დათმო ოპოზიცია, ველარ აღუდგა შიშის აღზევებას ისე, როგორც ეს მისი სიდარბაისლისა და სტატუსის კაცს ეკადრებოდა. ფანჯარა ღია დაეტოვებინა, ფარდაც ბოლომდე გადაეხსნა — ასე სუფთა ჰაერი უფრო შემოვაო — დასტაქარს, მაგრამ მალე, მოულოდნელად მალე დაიღალა და შენუხდა აღთქმული მოსვენების დაუოკებელ მოლოდინში. იქნებ მეზობელ ქუჩაზე აღმავალ-დაღმავალი მანქანების ბზული, ან მთეარისა თუ შორეული ვარსკვლავების მქრქალი შუქი უმოწყალოდ უფრთხობდა მას ნანატრ ძილს, იქნებ, თუმცა... თავადაც შესანიშნავად ესმოდა, რომ ჩვეულებრივ პირობებში, ფიქრის გორის მიკროკლიმატს კარგა ხანს შეჩვეული,

ვერც კი შეამჩნევდა, ^{ცხადია} [ქენსმოქმ] უფსკრულიდან მომდინარე [წესები] [ჩვეულებ] ბრივ პირობებში. ამყამად კი ზურგზე იწვა, ნაღვლიანად შეპყურებდა ფანჯრის უსასრულოდ ღრმა მართკუთხედში შემოპარულ ცას, სამყაროს სუნთქვას უგდებდა ყურს და ფიქრობდა იმაზე, რომ ყოველივე შეიძლება ძალიან მალე დამთავრდეს. დილასვე, ძაღლის გაქრობისთანავე გაუელვა აზრმა: ვაითუ, ამ ერთკვირიანმა დაგვიანებამ სული გამაფრთხობინოსო. პოლიკლინიკიდან დაბრუნდა თუ არა, თაროდან ენციკლოპედიური ცნობარი გადმოიღო და კვლავ ყურადღებით ნაიკითხა ყველაფერი, რაც კი ცოფს შეეხებოდა: ვირუსის ძირითადი გადამტანი — ცოფიანი ძაღლი, საინკუბაციო პერიოდი — ათი დღიდან ერთ წლამდე, უფრო ხშირად — ოთხი-ექვსი კვირა. დასაწყისში ნაკბენ ალაგზე — როგორც ნესი, უკვე შეხორცებულზე — შეიმჩნევა შესივება, რომელსაც თან სდევს მძაფრი ტკივილი შესივებულზე, სიცხის უმნიშვნელო აწვეა და ანგარიშიუცემელი შიშის გრძნობა. ერთი-ორი დღის შემდეგ დაავადება გადადის კრუნჩხვით სტადიაში, ავადმყოფი სასტიკად იტანჯება მისხალი გაღიზიანებითაც კი: წყლის უბრალო დანახვაზე ან რაკრაკის გაგონებაზე, სიის დაბერვაზე, ნებისმიერ შეხებაზე მას ემართება კრუნჩხვები, ჰალუცინაციები, ებინდება გონება, თუმცა, შეტევათაშორის შუალედებში იგი სალად აზროვნების უნარსაც ავლენს. კრუნჩხვითი სტადია იცვლება დამბლური, ლეტალური სტადიით, რომლის დროს ავადმყოფი კვდება. პროგნოზი — უიმედო, ავადმყოფობის ხანგრძლივობა — ხუთი-ექვსი დღე. გადარჩენის აბსოლუტურ გარანტიას აცრაც კი არ იძლევა: სიკვდილიანობა აცრილთა შორის — სამ მეთედ პროცენტამდე, მათ შორის ვინც აცრას თავი აარიდა — ოცდათხუთმეტ პროცენტამდე. ცოფიანი ცხოველის კბენა ყოველთვის როდი იწვევს დაავადების განვითარებას: თავს იჩენენ ისეთი გარემოებანი, როგორც ორგანიზმში შეჭრილი ვირუსის რაოდენობა, ნაკბენი ადგილის სიახლოვე მთავარ ნერვიულ ცენტრებთან და ა. შ. დიდი მნიშვნელობა ენიჭება აცრის დროულად დაწყებას, რადგან ადამიანის ორგანიზმში ცოფის საწინააღმდეგო იმუნიტეტს გამოიმუშავენს პირველი ნემსის გაკეთებიდან ორი-სამი კვირის შემდეგ. თუ გამოირკვა, რომ ეჭმობიანი ცხოველი კბენიდან მეთედ დღეს ცოცხალია, მკურნალობის კურსი წყდება. თუ მომჩივანს ცოფის სიმპტომი აღმოუჩნდა, მკურნალობას არც იწყებენ — აზრი არა აქვს...

ჯულიკო ჭანკვეტაძემ დაინახა ფსკერი. არაერთხელ — მეტადრე დილაადრიან, მაგრამ ზოგჯერ საღამო ხანსაც დაუფლე-

ბია ჯულიკოს შეგრძნება იმისა, რომ ის არა დედამინაზე მყარად დამდგარი ადამიანია, არამედ დროის უსასრულო, შეუზღუდავ ზღვაში უხილავ ბანარზე უაზროდ გაპოკიდებული ქალაქის თოჯინა. ზღვას არც ზედაპირი აქვს, არც ფსკერი, არც ნაპირი — ყოველ შემთხვევაში, მათი დანახვა შეუძლებელია. ყველგან, ყოველი მიმართულებით მთის ჰაერითი გამჭვირვალე დროა განფენილი. ქალაქის თოჯინა სადაც ზედაპირთან ახლოს ფართხალებს — ეს უდაოა, რამეთუ კაშკაშა მზითაა გასხივოსნებული ყველაფერი ირგვლივ, — მაგრამ, დედამინის გაუთავებელი დღელამური ბრუნვის შედეგად, ზღვის მჭვირვალეობა დროთა განმავლობაში შესამჩნევად იკლებს: მწვანე — ის მწვანე აღარაა, რაც ოდესღაც იყო, ლურჯი — ის ლურჯი, წითელი — ის წითელი, ფერებმა თითქოს დაკარგეს ის ბუნებრივი სილადე რომელიც ახასიათებდათ სანამ ჯულიკო მესრულდებოდა ოცი, ოცდახუთი, პა-პა ოცდაათის წლის. საზოგადოდ, ეს უცნაური შეგრძნება ჯულიკოს მაინც და მაინც არ ანუხებდა, რამეთუ ფსკერი არ სჩანდა, ხოლო მჭვირვალეობის ბენო შემცირებას ისევე მიეჩვია, როგორც, მაგალითად, უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე საკუთარი პროფესიულ დონის თანდათანობით და, ერთის შეხედვით, ძალდაუტანებელ ამბლებას, მაგრამ, ვაგლახ: საშიში, ცოფზე ეჭვმიტანილი ცხოველი უზოუკვლობის წყვდიადში მიიფარა და შეღონებულ ჯულიკოს ისღა დარჩენოდა, რომ რაიმე სხვა, ნაკლებად საჭირობოროტო საგანსა თუ მოვლენაზე ფიქრით გაებათილებინა სამედიცინო ცნობარიდან ამოკრეფილი პროცენტების იდუმალი ძლიერება. ქალაქის პაპანაქებას განრიდებული თავის ჯალაბობა გაიხსენა და შეეცადა წარმოედგინა თუ როგორ იმოქმედებდა ახლობელ ადამიანებზე მეტადრე კი მეუღლეზე. მისი ამჟამინდელი განსაცდელი. რასაკვირველია, თავდაც ხვდებოდა, რომ სინამდვილის ამნაირი ასახვა გადაუჭრელ წინააღმდეგობას შეიცავდა, ვინაიდან ცოლმა მისი თავგადასავლის შესახებ არაფერი იცოდა. მაგრამ ახლა მთავარი ამოცანა სასიკვდილო შიშის დათრგუნვა იყო და ამ ამოცანის გადანყვეტის ხათრით ჯულიკო სიამოვნებით მიმართავდა თუნდაც ყველაზე ფანტასტიურ გაზვიადებასაც კი. მაინც და მაინც ძალს უნდა ეკბინა, რომ... ჯულიკოს ცოლი არ უყვარდა. არც სძაგდა, მაგრამ არც უყვარდა, უბრალოდ მიეჩვია, შეისისხლხორცვა ამდენი ხნის განმავლობაში და, რაც მთავარია, ვერ ხედავდა გონივრულ ქამოსავალს ისტორიულად შექმნილი ვითარებიდან. ჯულიკომ ოცდაცხრა წლის ასაკში კეთორწინა. შეუგვიანდა, სხვადასხვა პირად

და მეტნაკლებად საპატიო გარემოებად გამო, ოჯახის შექმნა და იმის რადიკალიზაცია დაათს ისე არ გადავიცილდე, რომ დედას ზრძალი ვერ დავანახო და სიბერის ფაშს გული არ დავუთუთქო, ცხოვრების თანამგზავრი დიდი განკითხვისა და განსჯის გარეშე შეარჩია. გამოადგა კიდეც ქალი: გარეგნობით — საყოველთაო აზრით — მიმზიდველი, ხასიათით — ჯულიკოს თვალსაზრისით — ლბილი და მორჩილი, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობით — სახიერო, ქცევითა და მიხერა-მოხვრით — ზრდილი და პატიოსანი. ვაჟაც, მართალია, ვერ გაუჩინა ჭანკვეტაძეების მოდგმის სადიდებლად, მაგრამ, სამაჟიეროდ, ისეთი კოხტა ქალიშვილებით დააკაჩუქრა, რომ ძეთა პატრონებსაც — არა ერთსა და ორს — შეშურდებოდათ ჭანკვეტაძეების ბედნიერებისა. მოკლედ, ბედის უკუღმართობას ჯულიკო არ უჩიოდა, მაგრამ სიყვარული... იყო, თუმცა, მათ ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში ისეთი პერიოდები, როდესაც მოვალეობის გრძნობა თითქოს უკან იხვედა და სხვა, უზენაეს გრძნობას უთმობდა ადგილს, მაგრამ მით უფრო იშვიათად მეორედ ებოდნენ ეს ხანმოკლე დღესასწაულები, რაც მათ ქორწინებას წლები ემატებოდა — იდილია მეტ სულიერ სითბოსა და თავდადებას ითხოვდა ჯულიკოსგან, ვიდრე მას გაცემა შეეძლო, ამასთან გაუთვალისწინებელ ფაქტორაკებში გახვევასაც უქადდა და ჯულიკოს ისევ მოვალეობის მრავალნაცადი მოხდა ურჩევნოდა — თურმე — ხელოვნურად გრძენული ქარცეცხლის გაჩაღებას. მიუხედავად ყოველივე ამისა, ცოლს უაღრესად იშვიათად ღალატობდა — ათასში ერთხელ, ისიც რომელიმე დიდ ქალაქში მივლინებაში ყოფინასა თუ აყვებოდა ხორციელ ნადილს და დაუხალოვდებოდა ვინმე უცნობ, ეშხიან და, გარეგნობისა და მიხედვით, სრულიად ჯანმრთელ ქალს, ისეთს, რომელიც ცხოვრების გზაზე ველარასოდეს შეეფეთებოდა და ოჯახურ სიმშვიდეს ვერ აუზღვრევდა. დარწმუნებულიც იყო, რომ ცოლი უთუოდ აპატიებდა ასეთ „სამივლინებო“ ღალატს — სიამაყით არც შეიმჩნევდა, ვინმე მკრეხელს რომ გაებედა და ჯულიკოზე ენა მიეტანა. აბა, რომელი ჭეშმარიტად ქართველი ქალი, — თვითკმაცყოფილებით იმშვიდებდა ჯულიკო გონებას შებიღულ სხეულზე გრილი შხაპის გადავლებისას, — არ შეუნდობს ქმარს უწყინარ ცუნდრუკობას, და არა თუ შეუნდობს, არამედ მალულად მისი მამაკაციური გამარჯვება არ ეამება, მით უმეტეს, რომ, როგორც ცნობილია, ცრულღალატით დარცხვნილი მეუღლე სახლში დაბრუნებისას მცირეოდენი ხნით მიტოვებული ცოლის მიმართ ჩვეულებრივზე მეტ მზრუნველობასა და სითბოს

ინენს. მერე და განა ხანმოკლე განშორება არ ამძაფრებს თუნდაც მოჩვენებითი სიყვარულის გრძნობას, არ ქმნის ახალ მყარ ფასეულობას, არ აძლუბებს ასეთი სიყვარულის ფასეულობებზე დამკვიდრებულ ოჯახს? სხვა, უფრო რომანტიკული საშიჯნურო თავგადასავლების რისკზე ჯულიკო არასოდეს წასულა, თუმცა ხშირად კი დაბადებია ამის იდუმალი სურვილი. ტყბილი ოცნებებით შემთვრალს ჯულიკოსთვის არავითარი ზღუდე აღარ არსებობდა, ასეთ ზარხოშზე უადრესად სასტიკიც იყო და უადრესად ყოჩაღიც. ადვილად შეეძლო წარმოედგინა თუ როგორ უნგრევს ოჯახს ნაცნობსა თუ ამხანაგს, მეგობრის კერაშიც კი შეაქვს განხეთქილება. ზოგჯერ იმდენადაც კი გათამამებულია, რომ ცოლთან აღერსისას იმ, მორიგ ერთადერთ — გათხოვილსა თუ გაუთხოვარს — უძღვნიდა ვნების სიმშურვალეს, სიზმარში კი საკუთარ თავს ცოლთან გაყრასა და ახალ ქორწინებას ულოცავდა: ვინ იცის, იქნებ ნაკლები სიცრუე და მეტი სიყვარული იყო ასეთ აკრძალულ ტრფიალში, ვიდრე იმ ნელთბილ და ზანტ გრძნობაში ცოლ-ქმარს რომ აერთიანებდა. დილამდე გრძელდებოდა ნეტარება, მაგრამ როდესაც მშვენიერი ასულის მიუნვდომელი სახე დაფიონს მიბარდებოდა და გამოღვიძებისა და გამოფხიზლების ბოროტი წამი დაჰკრავდა, რა ექნა — ისევ მორჩილად უბრუნდებოდა ყოველდღიურობის მდარე და შეუქცევად კანონებს. აი, ახლაც, ცოლზე ფიქრისას, მაინც გაახსენდა ია ზამთარაძე, გარდასულ დღეთა ია... მისი მეუღლის ყოფილი დაქალი, რომელსაც რამდენიმე წელი აღარ შეხვედრია და რომელიც უკანასკნელი ოცდაერთი წლის მანძილზე სულ შეიდჯერ — არც მეტი, არც ნაკლები — ნახა, ისიც შემთხვევით. ამ შვიდი შეხვედრიდან სულ პირველი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი და მრავლისმეტყველი, პირველი ჯულიკოს შეუღლების შემდეგ, რაღაც დიდ და ზარ-ზეიმით აღსავსე წვეულებაზე შეხვედნენ მაშინ ერთმანეთს და სიტყვა არ დასცდენია ია ზამთარაძეს, ოღონდ წამით — წამით კი არა, მეყით, წამის მეათედით, — დახარა, გააპარა თვალი, რამეთუ ვერ გაუძლო ჯულიკოს ასეთივე წამიერ და თითქოსდა უდარდელ გამოხედვას. ია ზამთარაძე, ზამთარი, სუსხი, ვნებათა ლეღვა, ოდნავ კაპასი და, ამავდროს, ნაზი და დამთბობი ია... რაც მეტს ფიქრობდა ია ზამთარაძეზე კოჭის შესაძლო სასიკვდილო შესივებით დამწუხრებული დასტაქარი, მით უფრო უმტკიცდებოდა რწმენა იმისა, რომ ის, მეორე, ია ზამთარაძესთან ერთად არშემდგარი ცხოვრება უფრო სავსე, ლაღი და ბედნიერი იქნებოდა, ვიდრე ეს — ულაზათო და მშვიდი. თუნდაც იმის გამო,

რომ ია, მგონი, მართლა უფრო და უფრო ღვთის მიერ მისთვის დადგენილ ფარგლებში, ხოლო მომავალი მეუღლე... მომავალი მეუღლე — თავადაც საკმაოდ მიმზიდველი — მაინც მეტად გამოსადეგი ეჩვენა, ვიდრე ლამაზი, ქედმაღლური წარმტაცობით აღსავსე, მაგრამ ოფოფებიანი და ოდნავ ისტერიული ია. გადამწყვეტ მომენტში სათვალავში ჩასადგები აღმოჩნდა იას თვითსილაშაზე, სილაშაზის ბუნებიდან გამომდინარე არამდგრადობა, ქალური ორჭოფობის გაუმადლობა, შესაძლო „სამივლინებო“ ლალატი — აი რა! — და შედეგად ჯულიკოს თითოთი საჩვენებელ მასხარად გარდაქცევის საშიშროება. ცოლის ლალატის ქვეცნობიერმა შიშმა განსაზღვრა მიღებული გადაწყვეტილების ხასიათი, თორემ, — აღიარა სასოწარკვეთილებას მიცემულმა დასტაქარმა, — ან ია ზამთარაძესთან იქორწინებდა, ან დარჩებოდა ისე, უცოლოდ, ბერნად, არად ჩააგდებდა მოხუცებული დედის სურვილს მოსწრებოდა რძალს და შვილიშვილებს. ღმერთმანი, — დასტაქარს ჩაეცინა, — ლალატი, არლალატი, ერთგულე... რა განსხვავებაა, თუკი ყოველივე მუხათგვერდის ან, უკეთეს შემთხვევაში, საბურთალოს სასაფლაოთი უნდა დასრულდეს? და განა მართო ია... მისი ცოლი ხომ სხვაც შეიძლებოდა გამხდარიყო. იქნებოდა მაშინ მეორე, მეხუთე, მეათე ცხოვრება, სინამდვილეში კი ისევ ერთადერთი — მცირეოდენი განუმეორებელი ვარიაციებით. შესაძლოა, ორი გოგო — ჭანკვეტაძის ნაცვლად ორი ბიჭი — ჭანკვეტაძე შემატებოდა საქართველოს მოსახლეობას, ან სამი, ან არც ერთი, ან ვინმე სხვა გაესტუმრებინა ლიკანში ამ ზაფხულს, ან ცოტა ადრე მოკვდებოდა, ან ცოტა მოგვიანებით — აი, ბატონებო, მთელი ვარიაციები. რაც შეეხება ლალატს... ატკენდა, თქმა არ უნდა, ცოლის ლალატი გულს, მაგრამ — ფსკერის გამოჩენისა არ იყოს — ატკენდა არა იმდენად წრფელი გრძნობის, რამდენადაც უფრო ტრადიციისა და საზოგადოებრივი აზრის გადამკიდეს; აბა, სხვა ნაირად როგორ ამგვარი ცოლ-ქმრული ურთიერთობისას? არადა არც სჯეროდა არავითარი ლალატის. ვერც ინამებდა სიმუხთლეს ქალისგან, რომელიც წლების განმავლობაში სამზარეულოში ფუსფუსებდა და წინდებს ურეცხავდა ქმარს. თუმცა, — ნაღვლიანად გაიფიქრა დასტაქარმა, — იმ, მეორე თუ მეათე ცხოვრებას ჩემი გოგონები შეენიერებოდნენ. ქარს ვაგატანდი იმათ, ვინც დღესდღეობით ყველაზე ძვირფასია ჩემთვის. სასწორის ერთ მხარეს — ქალიშვილები, მეორეს — განუხორციელებელ ოცნებათა თაიგული. მძიმე არჩევანია, ცხადია, მაგრამ... არა, ვერა, რაც არ უნდა იყოს, სის-



ხლი და ხორცია ჩემი, ვერ დავთმობდი ასე იოლად... ბოლო დროს, მას შემდეგ რაც მისმა ქალიშვილებმა სკოლა დაამთავრეს და — ორწლიანი ინტერვალით — უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები გახდნენ, ჯულიკო იძულებული გახდა მეტი რიდიითა და კრძალვით მოკიდებოდა მათ. განსაკუთრებით კი უმცროსს, ამჟამად მეორეკურსელს. თავისთავად ცხადია, რომ მის მზეთუნახავებს — უმცროს „მამისთაგუნას“ და უფროს „მამისჩიტუნას“ — არ დაკლებიათ არც სწავლა-განათლება, არც მუსიკა, არც გერმანული და არც მშობლების მზრუნველი ხელი, მაგრამ ჯულიკო მაინც — სრულიად უნებურად — ერიდებოდა შვილებთან დიდ-მნიშვნელოვან საქვეურო თუ საყოფაცხოვრებო თემებზე ახრთა ურთიერთგაზიარებას. არ მიაჩნდა საჭიროდ. უმთავრესად იმიტომ, რომ ქვეცნობიერად არ სურდა ეცნო გოგონების უფლება სერიოზულად ემსჯელათ რაიმეზე, რაც მტყუყვლების სიღრმით თანამედროვე ხელოვნებაზე სალონურ ბჭობას ან ფრანგული მოდის მიღწევათა გარჩევას ალექსატობოდა; და კიდევ იმიტომაც, რომ გუშანით გრძნობდა: ქალიშვილები უფრო დედისაა, ვიდრე მამის. ასე გრძელდებოდა ერთი ზამთრის იმ ერთ-ერთი, არც თუ სამახსოვრო დღემდე, როდესაც მტყუნაკლებად მნიშვნობარმა თბილისელებმა ქალაქის პოპულარულ გაზეთში გამოქვეყნებული ნეკროლოგიდან შეიტყეს ჩიხა კაცის გარდაცვალების ამბავი. ჯულიკომ — მავან სხვა მნიშვნობართაგან განსხვავებით — ის დღე დავიწყებას არ მისცა. მის გონებაში სამუდამოდ აღიბეჭდა: საღამოა, გარეთ დილიდან მოყოლებული ბარდნის, შემინდებული ქუჩა სქლადაა დაფარული არაფანისეული, მუქი იისფერი თოვლით. ისინი კი — მთელი ოჯახი — გაზქურის ცეცხლითა და რადიატორით გვარინა: ნად შემთარ, თითქოს საახალწლოდ განახ-ჩახებულ სამზარეულოში შეიკრიბნენ, ნავახშმეზე გამრეულად მიერთმევენ „მამისჩიტუნას“ მიერ ზღაპრულად დაყენებულ ინდურ ჩაის, ტკბილად მასლაათობენ ქვეყნის ასავალ-დასავალზე და დრო-დრო ერთმანეთს თვალბში სიყვარულით უღირღიტებენ. გარეთ სიცივია, სახლში კი თბილა, ოჯახში ჩვეულებრივი სიმშვიდე სუფევს და ჯულიკოც ბედნიერია, ყოველ შემთხვევაში, თავი აბსოლუტურად ბედნიერ ადამიანად მოაქვს, მით უმეტეს, რომ იანვრის თვე კეთილი გა-მოდგა: რამდენიმე რთული ოპერაცია, — ადენომები, კისტები, შარდის ბუშტის კეთილთვისებიანი სიმსივნე, პროსტატის კიბოს მოშებული ფორმაც კი, — და არც ერთი მსხვერპლი საოპერაციო მაგიდაზე, ძალაუნებურად დადგები ტკბილი მასლაათის გუნება-

ზე კაცის უცბე — იმ წამს ცოლმა დატოვებული, გამრიელი ჩაის მეორე ულუფა მოართვა, — ყური მოკრა თუ რაღა გა-დაულაბარა „მამისთაგუნამ“ „მამისჩიტუნას“: „გაიგე, კიდევ ერთი იგნაციუს ლოილა გამოგვეცალა ხელიდან“. „ვინ, ვინ? — იკითხა ოდნავ შეცბუნებულმა ჯულიკომ, რომელსაც სხვათა შორის, კარგად მოეხსენებოდა, რომ იეზუიტთა ორდენის დამაარსებელმა მეთექვსმეტე საუკუნეში დალია სული, — ვინ გამოგვეცალათ?“. „ვინ და... — „მამისთაგუნამ“ ჩიხა კაცის ჯულიკოსთვის სათაყვანებელი გვარი დასახელა, — ასე ამბობენ, იეზუიტით ეშმაკი და ორპირი კაცი იყო“. „სისულელეს ლაბარაკობენს — ისე უკმებად წარმოთქვა ჯულიკომ, რომ „მამისჩიტუნას“ სასულეში ქლუპი გადაცა და მყის ხველება აუტყდა, — ბლარტები ხართ ჯერ, ლანირაკები, იმეორებთ ვიგინდარების ნაყბებს. რა უფლებით? იცით კი რამე მაგ კაცის შტახებ? რა თქმა უნდა, არაფერი აი, მე კი ოდესღაც შევხვედრივარ მას, — ჯულიკო ოდნავ მოლბა, — უნდა გითხრათ, რომ მასთან საუბარმა ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა, ღირსეული, პატიოსანი და განათლებული კაცი იყო. უგანათლებულესი მომხვეჭელი ეგ არ ყოფილა და სისხლისმსმელი, ომი გამოიარა, არც მერე გამიგია ცუდი... არა, მაინც რა უფლებით აყენებთ შეურაცხყოფას, იეზუიტო? ბავშვები აღარ ხართ, იმის შეგნება უნდა გეყოთ, რომ ერთმანეთისგან თეთრი და შავი განასხვავოთ, დროა ჩაუფიქრდეთ და გაარკვიოთ, ვინ არის ჭეშმარიტი პატივისცემის ღირსი და ვინ არა“. დაასრულა რა ეს მოკლე დარიგება, ჯულიკომ საკამათო საკითხი ამონურულად სცნო, მაგრამ ვინ შეარგებინა კანონიერი მეორე ჭიქა, — გაგულისებულმა „მამისთაგუნამ“ ერთობ ფიცხელად შეუბრუნა სიტყვა ოჯახის უფროსს: „თითრსაც კარგად ვარჩევ და შევსაც. მართლა ბავშვი ხომ არ გგონივარ? ჩვენ რომ ტყუილს და სიფლიდეს დაგვაჩვიეთ, ეგ... ჯანდაბას, ეგ არაფერი, მაგრამ თავსაც იტყვანათ? იეზუიტებიც ხართ და უარესებიც, იმათ ღმერთი მაინც სწამდათ. საცოდავი ლოილა მონაგონია, პირველკლასელი. ვის და როდის უნახია სი-მართლე თქვენგან?“. „ვიცი, ყველაფერი ვიცი! — აუნია გაბრაზებულმა ჯულიკომ ხმას, — იკრიბებით, მაიმუნობთ, რლაც ორგანიზაციებს ქმნით, სწავლა აღარ გინდათ. დამოუკიდებლობაო, წამდაუნუმ რომ გაიძახით შენ და შენი ამფსონები, ჩვენ აღარ გვეკითხებით? ვის მოგკეთ ქვეყანა? თქვენ? ანბანი ვერ გისწავლიათ! შენ ცხოვრება ჯერ არ იცი, შეილო, დამიჯერე: ასე თუ გააგრძელებით, ერთ მშვენიერ დღეს ყველას აგზვეტავენ, ყოფას გიტირებენ და მამიკო ვე-

ღარ გიშველის „პერდაჩების“ იმედზე ხარ? დედა აღარ გეცოდება? ჭკუას მოუხმეთ, ჭკუას!“. „საჭურისების თაობა ხართ, რა უნდა გელაპარაკოთ!“, — რალაც განსაკუთრებული სიმშვიდით თქვა „მამისთაგუნამ“ და თავი დახარა. გაოგნებისგან ჯულიკოს ენა ჩაუვარდა; ასეთი — ზღარბივით მოკუნტული, გაშმაგებული, კადნიერებითა და სიძულვილით აღსავსე — არასოდეს ენახა „მამისთაგუნა“, მით უმეტეს, რომ თითქოს არც დაუმსახურებია უმცროსი ქალიშვილისგან ამგვარი წყრომა. უნდოდა ეპასუხა, მაგრამ უეცრად წაერთვა კამათის ხალისიანი ძალა, რისხვით გადახედა აფეთქების მოლოდინით გარინდებულ ოჯახის წევრებს, ფეხზე წამოდგა, იდგა ასე რამდენიმე წამს, შემდეგ გაბრუნდა და სუფრა ხმისამოუღებლად მიატრია. მონუსხულივით გასწია თავის ოთახში, სინათლე ჩააქრო და ლოგინში ჩაწვა — არავის მოშვება აღარ სურდა თავისთან, ბოდიშის მოსახდელადაც კი. წყნება დილისთვის გაუარა. ჩვეულებისამებრ — ვითომც არაფერი — მიესალმა თავის საყვარელ, საქებ და — ემჩნეოდა — საკმარისად დამფრთხალ „მამისთაგუნას“, მაგრამ უკვე ჩამოუყალიბდა გარკვეული აზრი...

დიდხანს ებრძოდა უძილობას დასტაქარი. ლოგინში ვერაფრით რომ ვერ მოისვენა, ზეზეულად მოინადინა აფორიაქებული გულის დაშოშმინება — ოთახში ბორიას შეუდგა. მერე, შეწუხებულმა, პერანგიც კი ჩაიცვა: ქუჩაში გავალ, გავიერიწებ. იქნებ გულს მოეფონოსო, მაგრამ მაინც მოერიდა ასე გვიან — თუ ადრე — სახლიდან გასვლას. პერანგი გაიხადა, ისევ წამოწვა, თვალები დახუჭა და საკუთარი გულის ბაგაბუგის მისცა თავი. ალბათ იმ უღმერთო ბაგაბუგის ხართით თუ მოიხელთა ალიონისას ძილმა. სიზმარიც საგონებელის შესაფერი ესტუმრა. ვითომ იმყოფება ჯულიკო უზარმაზარ, საგანგებოდ მორთულ, გაჩირადებულ დარბაზში, თავის პარტერითა და ამფითეატრით, თავის ლოკებითა და ვეება სცენით. დარბაზი ხალხითაა გაჭედილი, ჯულიკო კი ცალკე. მისთვის განკუთვნილ ლოკაში, რბილ და ძვირფას სავარძელში მოკალათებულა და სეირს აკვირდება. დარბაზში ჩვენს მოქალაქეებს გარდა, ყველა ჯურისა და ტონის უცხოელებიც არიან, თანაც უცხოელები რაოდენობრივად აშკარად სჭარბობენ ჩვენებს. ჯულიკოს თვალს ეამება ამდენი, უაღრესად გემოვნებით შეკერილი ნაირფერად სამოსებში გამოწყობილი, უდავოდ კეთილგონიერი და განთქმული ადამიანის ხილვა. სცენაზე თაიგულებითა და დაფნის გვირგვინებით შემკული გრძელი „საპრეზიდენტო“ მაგიდა დგას, იქვე, რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით კი მძლავრი,

უძვირფასესი ტროპეული კარგი სინანული მოთლილი ტრიბუნა აღმართული ულტრათანამედროვე, ეტყობა, ეპონური ნარმოების, გიგანტური ჭალის სინათლეზე მოლაპლაპე მიკროფონი ამშვენებს, „საპრეზიდენტო“ მაგიდას თავყრილობის ხელმძღვანელები უხსეიან, ხოლო მათ ზურგს უკან ჩამოშვებულ ხავერდოვან ფარდაზე უცნობი კეთილშობილი მამაკაცი, — როგორც ჯულიკო ხვდება, თვით ლუი პასტერის, — მომცრო, ბრინჯაოს ჩარჩოში ჩასმული პორტრეტი ჰკიდია, პორტრეტის დაბლა კი აბრეშუმით ნაქარგი ნარწერა ბზინავს: „მხურვალე სალამი ცოფთან ბრძოლის მსოფლიო კონგრესის მონაწილეებს“. დარბაზი მიყურებულა, ყველა ჯულიკოს გამოსვლის მოლოდინშია. აი, ჯულიკო სავარძლიდან დგება, მონივნებით თავს უკრავს სულგანაბულ აუდიტორიას და ხელის მოხდენილი მოძრაობით ანიშნებს პრეზიდენტის შუაგულში გატრუნულ ყვითელხალმიან თავმჯდომარეს — აქაო და არ დაიდარდო, კონგრესის უფალო პრეზიდენტო. მოვსულვარ რათა გამცნოთ სასიხარულო ამბავი უებარი წამლის აღმოჩენისა და კაცობრიობის გადარჩენისაო, მაგრამ — როგორც უშალვე ირკვევა — ამ ოდნავ უდიერი საქციელით უნებლიეთ რალაც დაუხერხელ კანონს არღვევს. მომხსენებლის უტიფრობით აღშფოთებული თავმჯდომარე მკვირცხლად იხსნის ჩალმას და, რაც ძალა და ღონე აქვს, ჯულიკოს ესვრის. მერე, გააფთრებული, მუშტსაც უღერებს და სავესებით გამართული ქართულით უყვირის: რაკი ასეთი უკულტურო და თავხედი ყოფილხარ, სიტყვას გართმევ და შენს მაგივრად ტრიბუნაზე ქალაქ თბილისის უროლოგიური საზოგადოების სრულუფლებიან დელეგატს, პატივცემულ ბატონ გიზო ბიბილურს ვინცევი. ამის გაგონებისთანავე პარტერის წინა რიგიდან მანტიანამოსხმული ბერეკაცი წამოადგება და მისი ასაკისთვის შეუფერებელი, შეტისმეტად სხარტი ნაბიჯით სცენისკენ გაემართება. ტრიბუნაზე აირბენს თუ არა, მანტიას იატაკზე მოისვრის და... თავმჯდომარის ესოდენ უხეში შეურიგებლობით რეტდასხმული ჯულიკო თავლებს არ უჯერებს: მიკროფონთან არა საყოველთაოდ ცნობილი გარეწარი გიზო ბიბილური, არამედ ან გარდაცვლილი ჩია კაცი დამდგარა და ურცხვად, იქედნურად დაუკრეჭია კბილები. ჯულიკო შემკრთალიცაა და შეშფოთებულიც, სურს დაუნდობელ თავმჯდომარეს როგორმე აუხსნას, რომ სცენაზე ყველას თვალწინ მკრეხელობამ დაისადგურა, — ვერაგი გიზო ბიბილური ჩია კაცის ნიღაბს ამოფარებია და აშკარად აბუჩად აგდება კონგრესის განხილულ მონაწილეებს; ისიც უნდა შეაგნებინოს.

რომ ადათი განზრახ კი არა, უმეცრებით დაარღვია მხოლოდ, მაგრამ უეცრად ნებისყოფა ღალატობს: გრძნობს თუ როგორ ეკვეთება მუხლი და ერთმევა — როგორც ოდესღაც „მაშისთავუნასთან“ შეკამათებისას — ლაპარაკის უნარი. იძულებულია უკან, ლოყის ჩრდილში დაინიოს, სავარძელში დაემხოს და გულსტიკვილით ისმინოს თუ რა ღალად და რიხიანად ქადაგებს მეტიჩარა ბერიკაცი: „ქალბატონებო და ბატონებო ჩვენი პლანეტა განსაცდელშია. აქ, ამ დარბაზში, საქვეყნო გასაჭირის ჯერ არნახულმა ქართველმა გაგვეერთიანა. ბენუარის ლოყის მაძიებელთა საძრახის მოდგმას მე ვერავინ მიმაკუთვნებს, და, თავისთავად ცხადია, ვერც ვერავინ მიიძულებს ვითვალთმაცოდ და არსებული უმძიმესი ვითარება შევალამაზო. მდგომარეობა კი მართლაც სავალალოა. დედამინას ცოფის საზარელი ეპიდემია მოედო, მუტანტური და უაღრესად ცვალებადი ვირუსი ვაქცინებისადმი საოცარ მდგრადობას ამჟღავნებს და მუსრის გავლებით ემუქრება კაცობრიობას. ვის თუ არა თქვენ, ჩემო ღრმად განსწავლულ კოლეგებო, შესანიშნავად მოგეხსენებათ, რომ დაღუპულთა რიცხვმა უკვე ას მილიონს გადააჭარბა, ხოლო პირდაპირი ზარალი, „რომის კლუბის“ შეფასებით, ერთ ტრილიონ ამერიკულ დოლარს აღემატება. ეს მინიმალური ციფრებია. რაც შეეხება არაპირდაპირ ზარალს, მისი ზუსტად დათვლა შეუძლებელია, თუმცა, ნათელია, რომ იგი არაფრით ჩამოუვარდება ზიანს, რომელსაც საშუალო სიძლიერის თერმობირთვული კონფლიქტი მოგვაყენებდა. იმის გამო, რომ ინფექციის კერების ლოკალიზება დროულად ვერ მოხერხდა, კრიზისმა გლობალური ხასიათი მიიღო. შიმშილის პირასაა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის მოსახლეობა; ჩრდილოეთ ამერიკასა, ევროპასა და ავსტრალიაში მატულობს ინფლაცია; შეფერხებულია ფართო მოხმარების საქონლის წარმოება და საერთაშორისო სავაჭრო მიმოსვლა — შეწყვეტილია საფუძვლები თვით იმ ცივილიზაციისა, რომლის აკვარგანიობას, ასეა თუ ისე, შეეჩვიეთ. დამბლამ დაჰკრა ეკონომიკას, იკნინება ზნეობა. ფინანსური ინსულტი თრგუნავს მსოფლიოში განთქმული სამეცნიერო ცენტრების საქმიანობას, სულ მეტი და მეტი ადამიანი ეწირება საღი გონებისთვის გაუგებარ, სისხლიან ეროვნებათაშორისო უთანხმოებებს, სექსუალურმა აღვირახსნილობამ საბოლოოდ დააქცია ოჯახის ინსტიტუტი, სულს ლაფავს ხელოვნება. კატასტროფულად იკლო ოდესღაც პოპულარული ჟურნალ-გაზეთების ტირაჟმა, რადგან ფოსტალიონობა ერთ-ერთ ყველაზე მავნე და სახიფათო პროფესიად იქცა — ცოფიანი ცხოველები

ბი განსაკუთრებული სისასტიკით, სწორედ ფოსტალიონებს ესხმიან თავს. ყველა ღალადი ნებიან, ერთმანეთს უკანასკნელ ლუკმას აცლიან მოხუცები, ქალები და ბავშვები, ღმურის ინტელიგენცია, უკმაყოფილო პროლეტარიატი, გვერანებულია სოფელი. ჩემის აზრით — და ეს არა მარტო ჩემი აზრია — ცოფიანი ძალებისა და არანაკლებ ცოფიანი ადამიანების ხროვებს ვერაფერი აღუდგება წინ, თუ სისუსტეს გამოვიჩინეთ და მოვერდიებით საგანგებო-სააღყო ნებსების შემოღებას უკლებლივ ყველა სახელმწიფოში, დიდსა თუ პატარაში, ქრისტიანულსა თუ მაჰმადიანურში, დემოკრატიულსა თუ ტოტალიტარულში. იმ სამარცხვინო გარემოებას, რომ ცოფის ვირუსმა სამხრეთ პოლიუსზეც კი შეაღწია, დამპალი ლიბერალების ძირგამომხრელ მოქმედებას თუ მივანერთ. ქალბატონებო და ბატონებო, ჩვენი მტრების თავზე ხელის გადასმის მანკიერ პრაქტიკას ბოლო უნდა მოვლსო! გამოსავალი ერთია: ახალი ტიპის ანტირაბიული ვაქცინა უშოკლეს ვადებში უნდა იქნას გამოგონილი. სწორედ ამას — და არა წყლის უქმად ნაყვას — მოვლიან ჩვენგან, სწავლულებისგან, ხალხის ფართო მასები. გაფიქრებაც კი მეშინია იმისა, რომ ჩვენივე უყიარათობისა და გაუბედაობის გამო ცივილიზაცია ხელიდან შეიძლება გამოგვეცალოს. საბედნიეროდ, ზოგიერთ მონინავე ლაბორატორიაში უკვე მიღწეულია მეტად შთამბეჭდავი შედეგები. ამიტომ მე ოპტიმისტი გახლავართ. ჩემს იმედებს მყარი საფუძველი გააჩნია. მაგრამ, ქალბატონებო და ბატონებო, ნუთუ მხოლოდ ვაქცინის შექმნითა და მისი წარმოებაში დაინერგვით უნდა შემოვიფარგლოთ? არა, არა და კიდევ ერთხელ არა! კორუფციისა და სიზარმაცის კართაგენი უნდა დაინგრეს! როგორ, ნუთუ მართლმსაჯულებას გაუსხლტება ყველა ეპოქის უდიდესი და უსაზიზღრესი ბოროტმოქმედი, არაადამინი, რომელმაც ამდენი უბედურება დაატრიალა? ამას ვერ დავუშვებთ! როგორც პასუხისმგებელი, ძალაუფლებით აღჭურვილი პირი, მოხარული ვარ გიპატაკოთ: ავაზაკის პარაშუს ბოლო მოვლო! ჩვენი სახელოვანი გამომძიებლების გარჯას ფუჭად არ ჩაუვლია, მივულოცოთ მათ, ქალბატონებო და ბატონებო, ეს დიადი გამარჯვება! ახლა კი თქვენზე, მხოლოდ თქვენზეა სიტყვა. საორგანიზაციო კომიტეტის სახელით მოგმართავთ აქვე, საჯაროდ, გავუსწორდეთ არამზადას. მრავალი თქვენგანი, პატივცემული კოლეგებო, კარგად იცნობს ამ სალახანას. ტკბილად ვუღიმოდით, მეგობრულად ვესაუბრებოდით, ხელს ვართმევდით, ძმურად ვუყოფდით პურსა და მარილს და ვერც კი წარმოგვედგინა, თუ რა გაქანების

ყაჩაღთან გვექონია საქმე. მაგრამ მორჩა, დავიჭირეთ, ვეღარსად გაგვექცევა! ო, რარიც ცბიერად ეცინებოდა გულში ამ ყოველად უღირს, გახრწნილ პიროვნებას, როდესაც ჯერ კიდევ ადვილად მოსავლელი, შესუსტებული ვირუსით შემპყრობილი სულ პირველი პაციენტის მკურნალობისას, მაღლულად ნაატება წვერი ანტირაბიული ვაქცინის შემცველ ამპულას, ვაქცინა წყალსადენში ჩაანთხია. მის ნაცვლად ამპულაში დისტილირებული წყალი ჩაანვეთა და მოგიზგიზე ალით შეუკრა ამპულას პირი! პაციენტი, რასაკვირველია, გაეცოდა, სხვა უდანაშაულო ადამიანებსაც გადასდო ცოფი, მაგრამ, საბედნიეროდ, ამაზრუნემა ოინბაზმა ყველაფერი როდღა გაითვალისწინა. ცბიერად რომ ეცინებოდა, არ ფიქრობდა, ო, არ ფიქრობდა იმაზე, რომ ერთხელაც ჟამი დაჰკრავს და არაკაცი წარსდგება ხალხების ტრიბუნალის, ახალი ნიურნბერგის წინაშე, გაიზიარებს ნაცისტი ლიდერების ხვედრს. გვეყო ლოდინი, პატრიოტიზმი! დაამსხვრიეთ ბორკილები, ფეხზე ერთიანად წამოდექით, ბენუარის ლოჟას ახედეთ და დააკვირდით ბოროტ სულს, რომელიც დღესაც ბოგინობს და ლაშობს დიდების მოხვეჭას დაქანცული კაცობრიობისთვის ვითომდა უებარი წამლის შემოტყუებით. წინ, წინ მეგობრებო, დავანარცხოთ ქალაღდის ვეფხვი, ვეცეთ დამნაშავეს, გავაკრათ სატანა სამარცხვინო ბოძე!“. ბერიკაცი ხელებს ზეაყრობს და უმაღ პარტიერში საიდანლაც სქელი თეთრი თოკი შემოსრილდებდა. მხოლოდ ეხლა ხვდება განცვიფრებულნი ჯულიკო, რომ ჩია კაცად გარდაქცეული გიზო ბიბილური სწორედ მას — ექიმ ჯულიკო ჭანკვეტაძეს — უპირებს გასამართლებასა და ჩამოსწრაფას, შიშით ლოჟის კარს მივარდებდა, ცდილობს ჩარაზოს, მაგრამ გრძელი, გველივით სლიპინა თოკი აივინს მხრიდან აპირებს შემოცურებას, წამიც და საშინელი საბელი ჯულიკოს ნეივზე ეხვევა, ბარძაყზე ადის და... კიდევ კარგი, დროზე გამოელვია დასტაქარს, თორემ ფანატიური ბერიკაცის სულთამხუთაობას სიზმარშივე შეენიერებოდა. ოთახი უკვე მზით იყო განათებული. დასტაქარი რამდენიმე წუთს გაუნძრევლად იწევა, შემდეგ წამოდგომა სცადა, მაგრამ, უძლური, ისევ ბალიშზე დაემხო: ძილში ფეხი წაერთვა, დაბუფებია უხერხულად წოლისგან. ნალვლიანად გაიფიქრა, რომ, ერთხელაც იქნება, სლიპინა თოკი უფრო მალღა მოასწრებს ასრილღებას, ყელზე შემოეხვევა, ის კი — თბილისში ცნობილი ქირურგი, ჯულიკო ჭანკვეტაძე — გამოლვიძებას ვერ ეღირსება და ასე, უგონოდ და უგუნურად, განუტევებს სულს. დაუდგენს მერე სასწრაფო დახმარების ექიმი ტვინში სისხლის ჩაქცევას ან გულის

უკანა კედლის მწვევე ინფარქტს და უმოკლეს არეუენ კიდევ ნათესავ-ახლობლები დაჭიანებულ მინას...

დაკბენიდან მეათე დღეს, საღამო ხანს, მას შემდეგ რაც დასტაქარის ორგანიზმმა ანტირაბიკის რიგით მესამე დოზა შეირგო, ჭანკვეტაძეების ბინაში ტელეფონმა დაინკრიალა. დასტაქარმა სინანულით დამაშუნჯა ტელეფონანზე მოცქრიალე ლიომა ვაიკულე და ყურმილი აიღო. „ალო, ალო, გამარჯობათ, ბატონო ჯულიკო, — გაისმა ყურმილში ალტაცებით აღსავსე ხმა, — მამუკა გახლავართ, მამუკა“. „გამარჯობათ, — დასტაქარი დაიბნა, — ბოდიში, რომელი მამუკა?“. „მამუკა, ვეტექიმი, — ალტაცებამ საგრძობლად იმატა, — აი, ძაღლის ამბავზე გირეკავთ“. „ა-ა... ბატონი მამუკა ბრძანდებით? — მოულოდნელობისაგან ჯულიკოს გულიც კი აუფრიალდა, — უკაცრავად, უცებ ვერ გიცანით... მოხდა რამე?“. „მამასადამე გვეშველა, ბატონო ჯულიკო, — სატელეფონო აპარატს ალტაცება აზანზარებდა, — ვიპოვე, თქვენი ძაღლი ვიპოვე. შეგიძლიათ კურსი შეწყვიტოთ. ნემსი აღარ დაჭირდებთ, ჯანმრთელობის ცნობას ხვალვე მოგართმევთ“. „სად, როგორ მოახერხეთ? — ყოველგვარი აღფრთოვანების გარეშე იკითხა დასტაქარმა, რომელმაც უკვე მოასწრო აცრის გათავისება და მასში სიცოცხლის გახანგრძლივების ერთგვარ საწინდარსაც კი ხედავდა, — წამდვილად იგივე ძაღლია? სხვა არ შემოგვაპარონ“. „იგივეა, მამ როგორ! შევამოწმე, ისე ხომ არაა, დაბეჯითებით განაცხადა ვეტექიმი, — „საფარას“ დირექტორთან მომიხდა შესვლა. ყველაფერი მოვახსენე და დავეშუქრე: ცოფზე ეჭვიმტანილი ძაღლი თუ არ მაპოვნინე, იძულებული ვიქნები აქტი შეგიდგინო-თქო“. „ეს კარგად გითქვამთ, — დასტაქარი სწრაფად მოერია გულის ფრიალს, — მერე დირექტორმა რაო, დაგეხმარათ?“. „მაგრად დავუდექი და რა ექნა? აქტი უნდა მაგას? ძაღლი მოსასპობია-თქო, მძლოლექსპედიტორს რა უფლებით მოაცილებინეთქო, მივანეცი, უბედურება თუ მოხდა, პირველ რიგში შენ აგებ პასუხს-თქო. დამინყო, მე რა შუაში ვარო, არც ვიცოდი ეგ ამბავიო. რა ვქნა, უაქტოდ ვერ წავალ-თქო. გამოიძახა ის ექსპედიტორი და ჩემს თვალწინ ტყავი გააძრო, ისეთ დღეში ჩააგდო, შემეცოდა კაცი: საიდანაც გინდა, იქიდან გამიჩინე ძაღლიო, თორემ ჯარიმით და საყვედურით ვერ გადამირჩებო. გატყვდა ექსპედიტორი, ძაღლი ვეტსადგურში მოვაყვანინე მანქანით“. „ასე იოლია მუშტაიდში უპატრონო ძაღლის მოძებნა? — ოდნავ გაიკვირვა დასტაქარმა, — არ გაგიჭირდათ?“. „მუშტაიდი არა ტოლმა! — ვეტექიმმა გულიანად გადაი-

ხარხარა, — ტყუილი, კაცო, ტყუილი! შე-
უგნებელი ხალხია, ბატონო ჯულიკო, გაუ-
ნათლებელი, რა უნდა ელაპარაკო. თუ არ
დააშინე, არაფერი გამოგივა. თურმე, ნუ იტყ-
ყვით და, ექსპედიტორს ერთი დამლაგებლის
სახლში დაუმალავს ძაღლი. ლოტიკინზე სად-
ღაც ერთმანეთში შეთანხმებულან, ჩვენ კი
გაგვაცურეს, მუშტაიდო. ასე მოხდა ეს ამ-
ბავი". „ვერაფერი გამოგივა. კი მაგრამ, ეს
მატრახაზობა რა ჯანდაბად დასჭირდათ? —
განყრა დასტაქარი, — მოეთმინა ათი დღე
იმ დალოცვილებს და ნაეყვანათ მერე, მე არ
დავუშლიდი". „თქვენ, მართალია, არ დაუ-
შლიდით, მაგრამ... — ვეტექიმის საზეიმო გა-
ნწყობილებას მეყით თითქოს ღრუბელი გადა-
ეფინა, — ვერა, მერე ველარ წაიყვანდნენ,
იმიტომ რომ მე დავუშლიდი. უპატრონო, და-
ეთარში გატარებული ძაღლი უნდა მოისპოს.
ან, უკეთეს შემთხვევაში, პასტერის სადგურს
გადაეცეს. მაგრამ პასტერის სადგურს ამდენი
ძაღლი არ სჭირდება. ასე რომ... ძლივს ნა-
ვართვით, ბატონო ჯულიკო, იმ დამლაგებელ
ქალს თქვენი ძაღლი, ცოცხალი თავით არ
მატანდა. ძლივს დავარწმუნე, შევამონებ,
ჯანმრთელობის ცნობას გავცემ და უკან და-
გიბრუნებთ-თქო. მოვატყვილე, მაგრამ რა
მექნა?". „ის ვიღაც ოხერი ასე თუა შეყვა-
რებული იმ ჭუჭყიან ძაღლში, აიღოს და
გაიფორმოს, — ბობოქრობდა აღშფოთებუ-
ლი დასტაქარი, — დედა უნდა უტიროს კაც-
მა, ნემსებით ამოკლეს მაგათ გამო!". „არ
გაიფორმებს, თქვენც არ მომიკვდეთ. გიყიარ
— ჯულიკომ იგრძნო თუ რარიგ განაცვიფრა
ემშაკი ვეტექიმი ასეთმა გულუბრყვილობამ,
— მეტი საქმე არა აქვს! მაგათ ასე იანგარი-
შეს: ეს ამბავი გადაივლის და ძაღლს უკან,
სასტუმროში შევგადებთო. მანდ, რესტორან-
თან, საჭმლის ნარჩენების გარდა რა ყრია,
ეგეტ ნაგაზია რა! მოკლედ, ასეა თუ ისე, ძა-
ღლი ხელში ჩავიგდეთ. ხვალი, შუადღებზე:
სამსახურში გამოვიარეთ და მოვრჩეთ მაგ
საქმეს". ხანმოკლე მოფიქრების შემდეგ და-
სტაქარი ამ წინადადებას დასთანხმდა და ისი-
ნი ერთმანეთს დაემშვიდობებნენ.

ჯულიკო კვლავ ტელევიზორს მიუჯდა, გა-
დაცემას შუალაშემდე უყურა, მაგრამ ნართ-
მეული სიმშვიდე მაინც ვერ აღიდგინა. ისევ
გაურკვევლობა, ისევ... ერთის მხრივ, რა
სჯობს იმას, რომ ხვალიდან მკურნალობის
კურსს კანონიერ საფუძველზე შეანყვეტინებს,
ხოლო მეორეს მხრივ... ჯულიკომ იცოდა,
რომ არც თუ შორეულ წარსულში ცოფზე
ექვამიტანილ ცხოველებს ზუსტად ორი კვი-
რის განმავლობაში აკვირდებოდნენ, მოგვი-
ანებით კი დაკვირვების ვადა ათ დღემდე იქ-
ნა შემცირებული. ასეთი შემცირება, უდა-
ვოდ, კარგად შემონმებულ სტატისტიკურ მო-

ნაცემებს ეყრდნობოდა, ხხვაგვარად-თქვი
კავშირო მინისტრიც კი ვერ გასცემდა წეს-
ბამის ბრძანებას, მაგრამ, — ეჭვობდა დას-
ტაქარი, — ვაითუ ის ორკვირიანი ვადა ოდ-
ნავ უფრო გამართლებული იყო და ეხლა
სწორედ ჯულიკოზე გადატყედებოდა უიშვი-
ათესი გამონაკლისის ჯოხი? მაგრამ დასტა-
ქარმა არჩევანი ადრე გააკეთა — მაშინ, რო-
დესაც ვეტექიმი არ გაიმეტა და შრომა წყა-
ლში არ ჩაუყარა. ამიტომაც ჯაერობდა სა-
კუთარ თავზე. თუმცა, აბა, რანაირად მოქ-
ცულიყო, რა პირით განეცხადებინა უარი
ჯანმრთელობის ცნობაზე, რომელსაც ასე თავ-
გამოდებით მოითხოვდა...

მეორე დღეს დასტაქარი ვეტსადგურში და-
თქმულ საათზე გამოცხადდა. თორმეტს ხუთი
ნუთი აკლდა, როდესაც ვეტექიმის კაბინეტში
შეადგა ფეხი და გულითადად მიესალმა შე-
ყვრობილი ძაღლებს ბედის უსულგულო გა-
ნმგებელს. ვეტექიმმა ჯულიკო მომცრო, უფ-
რო ფრინველთათვის განკუთვნილ გალიაში
დამწყვედეულ გოშიასთან მიიყვანა და დასტა-
ქარმა მყისვე იცნო არსება, რომელმაც ამ-
დენი უსიამოვნო განცდა დაატეხა თავს. ცუ-
გა, რომელსაც, ეტყობა, არავითარი წარმო-
დგენა არ გააჩნდა ანტირაბიულ ვაქცინაზე,
სანიტარული დასუფთავების სამსახურზე,
სასაკლაოებსა და ადამიანის მიერ ლალო-
ბით გამოძენილი ცივილიზაციის სხვა აუ-
ცილებელ ატრიბუტებზე. ნაღვლიანად შეს-
ტკეროდა სერიოზული იერის მამაკაცებს,
რომელთა ნაქებებისა და პირდაპირი ჩარევის
შედეგად იგი გულში ლეკვს განაშორეს, რათა
ჯოჯოხეთური სივინროვის გალიაში დაემნ-
ყვდიათ. მამაკაცები კი რკინის ციხე-გალა-
ვანს გარს უფლიდნენ და მოსასპობად განწი-
რულ ცხოველს უდიდესი გულსყურით აკ-
ვირდებოდნენ. „ნამდვილად ჯანმრთელია?“
— დადებითი პასუხის ცუდად შენიღბული
მოლოდინით იკითხა დასტაქარმა და გალი-
ასთან ჩაცუცქდა. „სნეულს რა უგავს?“ —
კითხვითვე დაუდასტურა ვეტექიმმა სასურვე-
ლი ვარაუდი. „რა გაენყობა, გამოვირეთ
ცნობა“, — განზრახ მტკიცედ განაცხადა
დასტაქარმა და ისე დაყინებით ჩააცქერდა
ცუგას სველ, დიდრონ, ტყვეობით განანამებ
თვალეებში, რომ სიკვდილმისჯილმა გოშიამ
— ალბათ იმის იმედით, ჭალარა ძია მალე საპ-
ყრობილედან დამიხსნისო, — კუდი გააქცი-
ნა და ძაღლური გრძნობების მოზღვავების-
გან საცოდავად დაიწმუტუნა კიდეც. დას-
ტაქარი სასწრაფოდ გასწორდა ტანში. „ჩემ-
თან შემობრძანდით, ბატონო ჯულიკო“, —
რიხიანად წარმოთქვა ვეტექიმმა, სტუმარს
თავის ციცქნა ვითომ-კაბინეტში შეუძღვა და
თავად მაგიდასთან დაჯდა. დასტაქარს ფეხ-
ზე დადგომა მოუნია, ვეტექიმმა კი ჯული-

კოსთის ნაცნობი სქელი დავთარი გადაშალა, ჯერ იჭვეწულად, თითქოს დანერლის გარჩევა უჭირსო, გამოიკვლია დავთარში ჩაკრული შეტყობინება, შემდეგ უთანასწორო ჭიდილში დამარცხებულვით ამოიოხრა, მაგიდის უჯრიდან საგანგებოდ გამზადებული ბლოკნოტი ამოაცურა, პასტის კალმისტრებით სავსე ხის თლილი ჭიქიდან ერთი კალმისტარი ამოაძრო, ხელში მოიძარჯვა, წაშით დასტაქარს ახედა და წერას შეუდგა. წერილს ტუჩებს ისეთი მონდომებით აცმაცუნებდა, რომ დასტაქარმა ძალუნებურად საკუთარი თავი სკოლის მკაცრ მასწავლებლად, ვეტექიმი კი ბეჯით, მაგრამ უნიჭო მოსწავლედ წარმოიდგინა და სიცილი ძლივს შეიკავა. წერა რომ დაამთავრა, ვეტექიმიმ შეესებულ ქალაქი ბლოკნოტიდან ამოხია, „ბლანკს ბეჭედი არ უნდაო“, ნაიბურტყუნა და საბუთი დასტაქარს გადასცა. ჯულიკომ ცნობა ყურადღებით წაიკითხა, შემდეგ ოფიციალური ქალაქი ოთხად დაკეცა და პერანგის გულსჯიბეში შეინახა. პანია ოთახში მცირე ხნით უხერხულმა დუმლიმა დაისადგურა. დასტაქარი რატომღაც არ ჩქარობდა კაბინტიდან გასვლას, ვეტექიმი კი, რაკილა საქმე დაგვირგვინებულად ჩათვალა, არაფერს ამბობდა, რადგან მაინც სტუმრისგან მოელოდა მადლობას: ყველა ადამიანური წესითა და კანონით ამ ბატალიაში უკანასკნელი სიტყვა ექიმ ჭანკვეტაძეს ეკუთვნოდა. „ბატონო მამუკა, იქნებ... ერთი უცნაური თხოვნა მაქვს თქვენთან, — გაბედა და განყვიტა ჯულიკომ დუმლის დაძაბული ძაფი, — იცით... იქნებ ძალღი დაშითმოთ“. „რაა? რა დაგითმით? — დაიბნა ვეტექიმი, — რომელი ძალღი? კუსა? რად გინდათ?“. „ისე... ერთი ჩანაფიქრი მაქვს, — ჯულიკომ შეიგრძნო თუ როგორ მოეძალა სისხლი მის შუბლსა და ლოყებს, — ფიზიოლოგიური ექსპერიმენტის დაყენებას ვაპირებ, კლინიკაში კი ვივარიუმი არა გვაქვს“. „აბა, რანაირად დაგითმით? — გაოცებული ვეტექიმი ჩანდა, როგორც იქნა, ჯულიკოს თხოვნის არსს, — დავთარში რომ არ გამეტარებინა, ვიზამდი კიდევ რამეს... არა, ბატონო ჯულიკო, არ გამოვა. რევიზია თუ მომადგა, რა წყალში გადავხტე? თუ გამოირკვა, რომ ძალღი სადაც საჭიროა არ გადავიცი, ადგილს დავკარგავ“. „მომყიდეთ ძალღი, — უნებურად წამოსცდა ჯულიკოს, თუმცა ცოტა ხნით ადრე ფულის ასე დახარჯვა აზრადაც არ მოსვლია, — ხომ შეიძლება ამომყიდოთ ჯანმრთელი ძალღი. ოც მანეთს მოგცემთ, დამეთანხმეთ, ასეთი ძალღი მეტი არც ღირს“. „რის ოცი მანეთი? — გაეცინა ვეტექიმს, — აქ მარტო ხელფასს ვღებულობ ასოთხმოცს. ძალღების აცრაც ფულია, რა გგონიათ? რისი

გულისთვის გავრისკო? აბა, ორასი მანეთი რომ გეთქვათ, ყაბულს ვეტყენებოდა... რა დენი? — ჯულიკოს ბრახისგან კინდამ ენა წაერთვა, — ორასი ერთ ბინძურ ძალღში? ნამეტანი ხომ არაა, პა? აი, ეხლავე, ამ წუთში, გაძღვეთ ოცდაათ მანეთს, ძალღი ამ გალიითვე მიმყავს, გალიას ხვალ გაბრუნებთ და მოვრჩეთ ამ ვაჭრუკანობას!“. „რა შუაშია გალია? გალიაში არ არის საქმე, — ჯიუტად გააქნია ვეტექიმი თავი, — თქვენზე გავიგე, კარგი ქირურგი არისო. არ მიწყინოთ და ერთს შეგაკითხებით: ოპერაციაში რამდენს ითხოვთ? თანხა, თანხა მითხარით!“. „ოპერაციას გააჩნია. ყოველ შემთხვევაში მსუნავობას და გაუმადლობას არ მპარალებენ. ექიმებს — ხატი, რჯული, — სულ უფასოდ ვუკეთებ, — უპასუხა გულმოსულმა ჯულიკომ, — რა შემოსავალი ასეთი მე მაქვს, აგერ მანქანა ვერ მიყიდა. ბობოლასავით ხალხის გაყვლედა რომ ვიკადრო, იცოცხლე, ორასს კი არა, სამასსაც აქვე მოგართმევდით, მაგრამ სადაა?“. „რას ამბობთ, ბატონო ჯულიკო, სად თქვენი შემოსავალი და სად ჩემი...“, სცადა ვეტექიმი შეკამათება, მაგრამ ჯულიკომ სიტყვის დამთავრება არ აცალა: „ეხლა ყველაფერი არ მათქმევინოთ. ობიექტებზე ხომ გადიხართ, არ მითხრათ — არაო!“. „რა ობიექტებზე? — ვეტექიმი ოდნავ გაფითრდა, — ვინ მოგახსენათ?“. „მაგას რა მოხსენება უნდა? სასადილოები, სახინკლეები, ფარდულები, რა ვიცი მე! — გაცეცხლდა ჯულიკო, — არც მაინტერესებს, ჯანდაბას, ორმოცი მანეთი იცოს, თანახმა ხართ?“. „სუ-უ, ჩუმად, კაცო, აქ თხელი კედლებია, — გაგულსებული ვეტექიმი „შენობით“ მიმართვაზე გადავიდა, — რით ვერ გაგაგებინე, კაცო, მეშინია, ვერ ვიქნები თანახმა. გაიგე რა, მარტო ხელფასად მაძღვევენ ასოთხმოცს. ასოთხმოცს მერე რევიზია... მოკლედ, ასოთხმოცს კაპიკი არ მოაკლდება. ეგ ჩემი ბოლო სიტყვაა და როგორც გინდა“. „ნუ, თუკი ასეა, ჩაიშალა, — ხმადაბლა, თითქოს მოლაპარაკებისადმი ინტერესი დავკარგაო, — თქვა ჯულიკომ, — ვერ მოვირგებოთ, მაგდენი არა მაქვს“. „ჩაიშალა და ჩაიშალა, მთავარია ჯანმრთელობა, — არანაკლებ მშვიდად დაასკვნა ვეტექიმი, — დღესვე ჩაუტანეთ პოლიკლინიკას ცნობა, კარგად ბრძანდებოდეთ“. განაწყენებულმა დასტაქარმა ჭეშმარიტად ინგლისური თავახიანობით დაუკრა თავი უდრე ვეტექიმს და ნელი სვლით ვეტსადგურის გასასვლელისკენ გასწავა. ფარულად იმედოვნებდა, რომ სანამ კარებს იმადნებდა, სქელი დავთრების მეუფე გონს მოვიდოდა და მხნე შეძახილით უკან, მოლაპარაკების გასაგრძელებლად მოუხმობდა. მაგრამ მოლოდინმა არ გაუმართლა: ბა-

ტონ მამუკას აშკარად ეცოტავა დასტაქრის მიერ შემოთავაზებული თანხა.

სამუშაო დღის დამთავრებამდე ჯერ კიდევ საკმაოდ დრო დარჩენილიყო, როდესაც პოლიკლინიკის ქირურგმა პაციენტ ჭანკვეტაძის ავადმყოფობის ისტორიაში უპატრონო ძაღლ „კუსას“ ჯანმრთელობის ცნობა ჩააკრა და ხიფათისგან თავის დაღწევა გულწრფელად მიულოცა დასტაქარს.

სალამოს თერთმეტის ნახევარზე ჯულიკო — მსგავსად ფეხბურთის ყველა ჭეშმარიტი გულშემატიკურისა — თავის საყვარელ ფერად ტელევიზორს მიუჯდა, რათა მისგან რომანტიული მანძილით დაშორებულ კონტინენტზე გამართული სპორტული შერკინების ცქერით დამტკბარყო. რა ხანია გულის ფანცქალით ელოდებოდა ამ ფეერიულ სანახაობას, რამდენჯერ ხმამალლა განუცხადებია კიდევ ამის შესახებ, მაგრამ, აჰა, დაჰკრა ნანატრმა საათმა და ჯიბრზე აღმოჩნდა, რომ ზემი უცხოა, სხვისი, — გინდ ყოფილა, გინდ არაო. რაღაც ფერმკრთალი, იდუმალი დარდი მოსვენებას უკარგავდა ჯულიკოს, უშლიდა შეესისხლხორცებინა ჯერ კიდევ ადრეულ გაზაფხულზე დაგეგმილი სიხარული. დასაწყისიდანვე თამაშს უაღრესად უგულისყუროთ აკვირდებოდა, პირველი ტაიმის შემდეგ კი სულაც გამორთო ტელევიზორი, სანერ მაგიდაზე კარადიდან მუყაოს კოლოფში სათუთად შენახული ქართულენოვანი საბეჭდი მანქანა გადმოიღო, საკმარისი ოდენობის ქალღი და მოიმარაგა და წერას შეუდგა. ბევრი წერისგან ხელიც კი დაეღალა. არც დაუთ-

ვლია, რამდენი ფურცელი დაფარავს მანქანის თავის ნამოღვანარი დაბეჭდვის ლექსად „ჩემი ჩნია. ფრთხილად, ცალი თითით ბეჭდავდა. ერიდებოდა მექანიკური შეცდომების დაშვებას. მერე გადაიკითხა დაბეჭდილი და იძულებული გახდა ეღრუბინა, რომ განსაკუთრებული სტილისტიკური სინატიფით არც უკანასკნელი ვარიანტი გამოირჩეოდა, — დასაშვებზე გაცილებით ხშირად ურთავდა ტექსტში ისეთ სიტყვებს, როგორც, მაგალითად: „ვეტეკიმი“, „გარდაქმნა“, „მამული“, „პატიოსნება“, „ობიექტი“, „ბოროტება“, „გამომძაღველი“, და აგრეთვე ზოგიერთ სხვა-საც, მაგრამ ამასობაში, თურმე, ლამის მესამე საათი შემოსულიყო და ჯულიკოს დაეზარა წერილის ხელმეორედ გადაბეჭდვა. დიდხანს იჭყლიტა თავი იმაზე ფიქრით, თუ როგორ და რანაირად მოენერა საჩივარზე ხელი, დიდხანს ატრიალა კალმისტარი ხელში, მაგრამ საბოლოოდ მაინც საბეჭდი მანქანის უთვისტომო შრიფტს მიენდო და ხელმონერისთვის განკუთვნილ ცარიელ ადგილას ორად-ორი ჯადოსნური სიტყვა — „პატიოსანი კაცი“ — მოათავსა. შემდეგ უჯრაში მარკიანი კონვერტი დასძებნა, ამოიღო და ყდის სათანადო პნკარს დააბეჭდა მისამართი: „საქართველოს სსრ პროკურატურა. რესპუბლიკის პროკურორს“.

ლამით ჯულიკოს მშვიდად ეძინა. სასაცილოდ ფშვინავდა ძილში და ნაღვლიანი მთოვარი მქრქალად ეფინებოდა მის დაღლილ, თითქო ცვილისგან ნაძენ უცოდველ სახეს. დილით ექიმ ჭანკვეტაძეს შეუსავდა კოჭი.

ვაჟა ხორნაული

მზეო, შენც ნაღვლიანი ხარ...

ფიქრო, ცის სევდად ქცეულო,
გულო, სატევარგაყრილო,
ჩვენი სიმშვიდე ვინა თქვა,
ვლოცულობთ, ვწვებლობთ, ვჯახნობთ.

მზეო, შენც ნაღვლიანი ხარ,
სამყაროს ტანჯვით დაღლილო,
ჩვენს აივნებთან მოსულო,
ჩვენს ქრილობებთან დახრილო...

კიდევ ერთი დღე წავიდა

ბნელდება...
ფიქრმა სამყარო
კვლავ უფლის სახლად იწამა,
კი არ ჩამქრალა სინათლე,
უბრალოდ, ფერი იცვალა,
გულში კვლავ ერთად ილოცეს
ზეცამ და დედამიწამა...

კიდევ ერთი დღე წავიდა,
ლიმილით გარდაიცვალა.

აჰ კი სიჩუმეა

კარგია ახლა სახლში ყოფნა —
ძველ მოგონებებთან
და ნაცნობ საგნებთან...

ქალაქში ნისლია
და ხმაური მოისმის ნისლიდან,
აჰ კი სიჩუმეა
და ამ სიჩუმეში
ბებერ კატასავით
კრუტუნებს მაცივარი.

დავნიანება

რასაც უფალი ინებებს,
 დღეს — არა,
 ხვალე მოხდება,
 შენც წახვალ.
 ბედნიერების
 ვარსკვლავი ზეცას მოსწყდება,
 ჩემი გზა გაიბზარება,
 კინკარი შეაცოცდება,
 დღე ჩვენი სინართლისა
 მტრედევით ჩუმად მოკვდება,
 შენ სივრცე გაგიმკრთალდება,
 მე ფიქრი დამიღონდება...
 რასაც იღბალი ინებებს,
 დღეს — არა,
 ხვალე მოხდება!

ვინც სასიკვდილოდ გამწირა

ეშმაკის ცისკენ მიმავალს
 მწარე დღე გაუთენდება,
 დროის ნაპრალში ჩაქედილს
 ამოსვლა გაუძნელდება,
 ქარი არ შეეშველება,
 მგზავრი არ გაუჩერდება...
 ვინც სასიკვდილოდ გამწირა,
 საიქიოში ბერდება!

ირაკლი ციგროშვილი

მეამა იის სინარული...

მეამა იის სინარული
მაისის დილით,
ავყევ მაღლობის მანათობელს,
ფრინველთა ბოჭირს,
ტანს იმოსავენ
ცის მანანით ყვავილნი ზრდილნი,
გადავიფიწყეთ წუთით ყოფნა
გუშინდელ ბრბოში.
მყავ ბედნიერი იის სუნთქვით,
იის დუმილით,
გადაათეთრა ფერდობები
ტყემლის რტობემა.
აღვიძებს, აღხენს ყრუ-კუნჭულს
ფუტკრის ბზუილი,
რაროგ თბილი ზარ,
რაროგ უხვი — უბიწოებავ!

ორომტრიალი დღეისდღისა...

ორომტრიალი დღეისდღისა
ჯერ არ გაკმარა
დღეისდღემ,
ბევრი წყალდიდობა მოსასვლელია...
უფსკრულის პირზე
მოჩუჩულებს ღელე კამკამა,
შუადღის ალი
მიუყვება გაღმა ღელიანს.
რას საუბრობენ
დათოვლილი ფოთლები ყრმობის,
თავის შორეულ
სამყოფელს რომ მიჰკედლებიან.

ხავსს არ იკიდებს
და ნიკორაეს საწუთროს ლოდი,
თვალს ვიწყობებ ზალისიანს,
ზოგჯერ — ვნებიანს.
ბევრი სანთელი
ჩამოდნა და ჩამოიღია,
სიამის ცრემლს
და მწუხარების ცრემლს შეერია.
მაგრამ მბეუტავი მოგონება
მაინც თბილია.
მაინც ნუგეშად დაგრჩენია
მთების კერია.

ჩ ი ტ ე ბ ი

მწვანე ტოტებში ააშენეს ჩიტებმა ბუდე
და მზეს შეხედეს სასოებით —
ვით მლოცველებმა ზენაარ ძალას.
მწვანე ტოტებში
აკამკამდა რიყრაყის ჩქერი
და დედამიწის ათასი ხმა
წაილო ცისკენ.

მე უნებურად გამახსენდა
სიყმაწვილის უდარდებობა,
ლალი ფრთებისთვის დამწიფებელი
სივრცეები თავისუფალი
და თხილნარებში ჩიტის ბარტყები.

* * *

მიუსაფრობას რატომ ჩივიზარ —
ოთახის ყვავილო!
გზისპირებზე რომ ფურცლები მოაბხიეს,
სათიბებში რომ ყელყელობენ —
იმ ყვავილების ბედს ინატრი?!..

თავარ გოთუა, ალექსანდრე გოთუა

თავბადასავალი ლევან გოთუასი

თავი მეორე

მამის გარდაცვალების შემდეგ ჩვენს ოჯახში საშინელი მწუხარება და გაჭირვება ჩამონვა.

დედა ხშირად ავადმყოფობდა, ნერვები ლაღატობდა.

ლევანის დაუბრუნებლობას ყველა ჩვენგანი ცალკეულად განვიცდიდით, ვფიქრობდით და ვოცნებობდით, საერთოდ კი ამაზე ხმამალა ლაპარაკის გვეშინოდა, ვინაიდან დედა ლევანთან დაკავშირებით ყველაფერს მტკივნეულად განიცდიდა.

ერთხელ დედამ დემეშაც კი გაუგზავნა ტაშკენტის კონცენტრაციული ბანაკების სამმართველოს უფროსს, რომლის ასლი სახლში შემოგვრჩა:

Ташкент, ул. Ленина, 31. Управление концентрационных лагерей Левану Готуа.

Срок твой кончился, ждем мать София Готуа.

წარმოვიდგინეთ, იმ საშინელ დანესებულეებაში დედას დეკემბის მიღებასთან დაკავშირებით, ალბათ, როგორ დასცინეს დედის გულსა და განცდას. საიდან სადაო ლევანი მაშინ ქ. ბიისკში იყო, ტაშკენტიდან რამოდენიმე ათასი კილომეტრით დაცილებული, შორეულ ციმბირში.

უსაზღვრო მოლოდინში ცხელი ზაფხულიც გადავაგორეთ. ლევანის დაბრუნებაზე მთელი იმედი გადაგვწურა, გულს იმით ვიმშვიდებდით, ამ არეულობის დროს ახლა თბილისში მისი ჩამოსვლა შესაძლებელია სახიფათოც ყოფილიყო. იგრძნობოდა ავბედითი წლების გამწვავება და პოლიტიკური ვიოარების დაძაბვა.

ქალაქში საშინელი შიში და უიმედობა სუფევდა. სწავლული, განათლებული, ნამდვილი პატრიოტები ლამით, ჩუმად, მოულოდნელად

ქრებოდნენ ზოგჯერ მთელი ოჯახით, რაც შიშის ზარს სცემდა ყველას. სათავეში მოქცეული ერთი მუჭა ხალხი ბერიას ხელმძღვანელობით საშინელ სისასტიკეს ატრიალებდნენ მთელს საქართველოში, სრულიად უდანაშაულო ხალხს სამშობლოს მტრად აცხადებდნენ. გამკითხველი, სიმართლის მაძიებელი და მფარველი არავინ იყო. ასე დაიკარგნენ მამას ამხანაგები, ნაცნობი ოჯახები, სახელოვანი ხალხი და ახალგაზრდობა.

— ეს რა სახელმწიფოში ვცხოვრობთ; — სწუხდა ხმამალა დედა, — ეს რა წელია 1936, ალბათ საქართველოს და ქართველი ხალხის ერთობლივი განადგურებაა გამიზნული.

— პატიმრებს აქედან ციმბირში აგზავნიან და აბა იქედან ლევანს აქეთ შინ ვინ გამოუშვებსო, შეიძლება უკეთესიც იყოს, იქ რომ არის, ვიცით ცოცხალია, ჯანმრთელია და მუშაობს კიდევ. საარსებო წყაროც აქვს. თუ ჩვენ არ დავეხმარეთ, შიმშილით აღარ მოკვდება. ამჟამად თბილისში დაბრუნება უფრო სახიფათოც და საშიშიც არის, — ხშირად ამისთანა მსჯელობით თავს იმშვიდებდა დედა, ჩვენ კი ყველამ კარგად ვიცოდით თუ რა ცეცხლი უტრიალებდა გულში.

სექტემბრის ერთ დილას სრულიად მოულოდნელად ჩუმად ჩვენს კარს ვიღაც მოადგა და ფრთხილად დაგვიბრაზუნა. ყველა შემინებული ნაშოვცივდით, კარებს შივაშურეთ, შიშით ყველამ ცუდი ამბავი გავიფიქრეთ, აბა იმ დროს თბილისში კარგს რას წარმოიდგენდი. დედა ძლივს ადგა ლოგინიდან, კარები უნდობლად გააღო. სახლში შემოვიდა ახოვანი, ბრგვ ვაჟაკიც, გრუზა, ხუჭუჭათმიანი, მხარზე პატარა ზურგჩანთა გადაკიდებული. მოსული კაცი ლევანი აღმოჩნდა.

ჩვენ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. იმ



სიხარულის აღწერა შეუძლებელია, ეს ზეციური ამბავი იყო.

სიხარულისაგან ყველა მოთქმით ვტიროდით, განსაკუთრებით კი დედა. გულმზურვალეა დედა-შვილური ურთიერთობა. მოფერების დროს შიგა და შიგ გაკვირების თვალთ შესცქეროდა თავის შვილს და ეს ამბავი არა სჯეროდა. ლევანს ასე დავაყვაცებულს, ბრგე კაცად ნახვას ალბათ არ მოელოდა. ამდენი გაჭირების გადატანის შემდეგ ის სულ სხვანაირად წარმოედგინა. სხვათა შორის ჩვენ, ბავშვებსაც ასე დაგვემართა. მე და მზიას არც კი გვეჯეროდა, რომ ასეთი დიდი ძმა გვყავდა. ლევანიც ალბათ არ მოელოდა თუ ჩვენ ასე გაზრდილებს გვნახავდა.

— ო, წლები, წლები, ო, სამშობლო, ო, სახლი, თბილისი, — გოცვებით იმეორებდა ლევანი. — მშობლიური კერა ძვალ-რბილში მაქვს გამგებარი. ძნელია სხვაგან დიდი ხნით, თუნდაც თავის ნებით, მით უფრო იძულებით ცხოვრება ან არსებობა, მაგრამ ბედის უკუღმართობას წინ რა დაუდგება.

— პოი რამდენ დროს გაუვლია?! რამდენი კალო უჩემოდ გალენილა?! — ყველას გვკოცნიდა და გვეფერებოდა.

— რა სიხარულია ძლივს დავბრუნდი სამშობლოში, რას მერჩოდნენ ნეტავი, — გულსტიკვილით იძახდა ის, — ან რას ერჩიან იმ ხალხს, რომელსაც სიცოცხლეზე მეტად, გულალალობით სამშობლო უყვარს, სწამს მისი მონაშესის და კეთილი მომავლის, მძღვერი ახალი თაობის, ბარაკიანი მშობლიური მიწის, ერთგულების, ძმობის და, რაც მთავარია, თავისუფლების. — თავისდა უნებურად გულის თქმამ გაიტაცა ლევანი, გული აუტოკდა, ბევრის თქმა უნდოდა. გულის სიღრმიდან ამოსდიოდა კვნესა, რისთვისაც მან ამდენი იტანჯა და იწამა, მაგრამ დედამ პირზე ათრთოლებული ხელი მიაფარა. შეშინებულმა ლევანი შეაჩერა, კედლისკენ ანიშნა ჩურჩულთ, უთხრა — ყური აქვსო.

მერე ყველა ერთად ლევანის დაბანა-დასუფთავებას შევედებით, ის იღიმებოდა, ყველაფერს სიამით და სიხარულით ღებულობდა მონატრებული. მერე კი საუზმისაკენ მოუხმოდედა, ქართულ პურს მონატრებული ხარბად მიეტანა შოთს. ჩვენი ხვამციკრე სუფრიდან ყველაფერი ეგემრილა, ყველაფერს ცალ-ცალკე ხობტა შეასხა, საუზმის შემდეგ კი მამის საფლავზე დაყინებით მაშინვე გასვლა მოითხოვა.

მამას საფლავზე ისევ ავტირდით. ჩვენი მწუხარება უფრო გულჩათხრობილი, ღრმა სევდიანი და ღვარცრემლიანი იყო. გვახრჩობდა სინანული, სანყალ მამას ლევანის დარდი ჩაყვა საფლავში. აბა ამას ხმამაღლა როგორ ვეტყვოდით, მაგრამ ლევანი თვითონ

ხვდებოდა. ის მუხლმოდრეკილი დიდიხანს სდუმდა, ცრემლი კი უნებურად საფლავს სველებდა. ეს ცრემლი გულის სამონატრე იყო, გულსაყვ და სევდიან-იდუმალი, მაგრამ ბევრის მთქმელი. ყველასათვის ნათელი გახდა თუ ლევანის გულში რა ცეცხლი ტრიალებდა.

გული რომ მოიჯერა, ლევანმა თქვა:

— როგორი მძიმეა ჩვენი ოჯახის ბედის ტრიალი. მამის საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ გამიღრმავა პატრიოტული სულისკვეთება, სამშობლოს თავისუფლების მაღალი იდეები, დიდი მოვალეობის გრძნობა, ხალასი სიყვარული სამყაროსი, ბუნების, ადამიანის, ბევრ საკითხში და იდეებში მე და მამა ერთსულოვანი ვიყავით. ის ამაცობდა ჩემით. მე ყოველთვის დიდი მეოცნებე, გულ-მართალი კაცი ვიყავი, მიყვარდა საქართველო, მისი მთა-ველი, ხალხი და მისი თავისუფლება. უდანაშაულო მსხვერპლი გამხადეს, თვითონ მოლაღალტებმა მანამეს, შეურაცხმყვეს, მანვალეს, სიკვდილის პირას მიმიყვანეს, გადავურჩი ყოველივეს, სწორედ სამშობლოს სიყვარულმა და სიმათლემ გადამარჩინა. ბანაკებში სისასტიკე ეხლა რომ მიძინვარებს ალბათ, დრომ და ერთეულმა პიროვნებებმა მოიტანეს, თორემ ალალი ქართველი და სხვა ერის უბრალო კაცი ყოველთვის გულკეთილი და თავისი ოცნების ერთგულია.

ლევანი, ბუნებრივად კეთილი, ახალგაზრდა ლაპარაკად იყო გადაქცეული. საოცრად ამაღლელებლად ჭღერდა მისი ხმა სასაფლაოს იდუმალ სიჩუმეში.

— მე მიწდა დავივინყო განცდილი, მაგრამ რა დამავინყვებს სისხლით გაყენთილ, სიკვდილის პირამდე მისული უდანაშაულო ხალხით გამოტენილ ბანაკებს. ქვის ლოდი და მძიმე ტკივილი თვითონ შეიჭრა ჩემს არსებაში და გულის სიღრმეში დამჩრა დაღი, — ლევანი საშინელი ლევით განაგრძობდა — რამდენი ხალხი დარჩა იქ, აღარც გზა და აღარც საცალფეხო ხიდი დაურჩათ სამშობლოსთან, საცოდავები, შავ უფსკრულთან არიან მისულები, ჩვეისტებთან ნომარნი და საბოლოოდ სასტიკად დარბეულები.

— ლევან, შეჩერდი! — დაიკვილა დედამ, — მეტის ატანა აღარ შემიძლია.

ლევანმა ყველას გადმოგვხვდა, ეხლდა მიხვდა, რომ თავისდაუნებურად ამოაფრქვია ნაღველი და ისედაც მძიმე განცდა უფრო გაიმწვავა.

ეს დღე იყო და ეს დღე, ლევანს არ უყვარდა თავის წარსულის მოგონება და მასზე ბასი.

ასე დარჩა მთელი თავის სიცოცხლის მანძილზე.

სანდროსთან დეპეშა გავგზავნეთ, რომელიც

ამ დროს რაჭაში რიცეულ ჰესის მშენებლობის უფროსად მუშაობდა.

თინა ხშირად შენიშნავდა: — შენ, ლევან, არა ხარ ფიზიკურად ძლიერ შეცვლილი, უფრო დავაჟაკებულხარ, მამას დაემსგავსე კიდევ, მხოლოდ ნაღველი გაქვს თვალებში ჩანოლილი და ამ გახარების ჟამს, შენს გაბრწყინებულ თვალებში ამას უფრო მკვეთრად ვამჩნევო. ლევანი სიამით იღიმებოდა — ჩემო ფილოსოფოსო და ვაჟკაცო დაო, კიდევ რას მამჩნევო? — სიყვარულით ეუბნებოდა ლევანი თინას.

ზურგჩანთაში ლევანის ნაწერი რამდენიმე რვეული აღმოჩნდა.

— საცვლები და ის მცირე რამ ნივთი, რომელიც იქ მქონდა, გაჭირვებულ ხალხს დაუშტოვა.

— თქვენ ვერ წარმოიდგენთ, — გვეტყოდა ხოლმე იგი, — იქ რა ჯოჯოხეთი ტრიალებს, თბილისში ცოცხალი რომ დავბრუნდი, მე თვითონაც მიკვირს და არ მჯერა. კატორღაში წამებას სიკვდილი სჯობდა.

ლევანის დაბრუნებამ ოჯახში ხალისი, სიხარული და ბედნიერება შემოიტანა. ზოგჯერ არც კი გვეჯეროდა.

— ჩვენ ისევ თავიდან ვინყებთ ცხოვრებას, — ცრემლნარევი ღიმილით და ალელვებით ამბობდა დედა. — დიდი დანაკლისი და გაჭირვება განვიცადეთ. ოჯახის საუკეთესო წევრები ადრეულად წავიდნენ ჩვენგან, მაგრამ დღეს ისევ შევივსეთ და უნდა მჭიდროდ შევიკრათ. ეხლა თქვენ იცით, შვილებო, როგორ იშრომებთ, ისწავლით, განვითარდებით, ასახელებთ ჩვენ გვარსა და სამშობლოს. ლევანის ჩამოსვლით ჩვენი ოჯახის ცხოვრება ისევ კალაპოტში უნდა ჩადგეს.

რას იფიქრებდა დედა, რომ ლევანის ჩამოსვლა ისევ ხანმოკლე აღმოჩნდებოდა. ყველა ვხარობდით და ვლალბოდით. ვეხვეოდით ლევანს და თბილისის ყოველდღიურ ცხოვრებიდან ხან რას და ხან რას ვუამბობდით, ლევანი დიდი გულსყურით გვისმენდა, ყველაფერი აინტერესებდა.

ყველას იმედი გვქონდა, ლევანის გადასახლებაში ყოფნის ვადის დამთავრების, ამდენი გადატანილი ვაივავლახის და თბილისში დაბრუნების შემდეგ ცხოვრებაში შეზღუდვები და დაბრკოლებები აღარ უნდა შეხვედროდა. თურმე როგორ მოგტყუვდით. დაბრკოლებების გადატანა ჯერ კიდევ წინ მქონდა.

1936 წელი საქართველოში, როგორც ცნობილია, მძიმე დროდ ითვლებოდა. ჯერ არ იყო ჩათავებული რეპრესიები და საერთოდ ადამიანთა მასიური გაქრობა, პირიქით უფრო გამწვავებაც შეიგრძნობოდა. თბილისში გაურკვეველი პოლიტიკური ვითარება სუფევდა, სამშობლოს მოღალატეებად ცხადდებო-

დნენ როგორც დიდი პარტიზანული მუშაობის ასევე უპარტიოებიც, მეცნიერები, მწერლები, უაღრესად გათვითცნობიერებულნი და ნაშადვილად სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანები.

ლევანმა სწრაფად აულო ალლო თბილისში არსებულ რთულ ვითარებას. ამდენ ნაცნობ-მეგობრების დაპატიმრებას არ მოელოდა, შეკრთა კიდევაც.

სწორედ ამ პერიოდში დაიწყო ლევანის მოქალაქეობრივი უფლებების აღდგენაზე ზრუნვა „პასპორტი“, „ჩანერა“. ყველაფერი მეთისმეტად ძნელდებოდა.

რამოდენიმე დღის შემდეგ გამოიჩვენა, რომ ლევანს პასპორტის გაცემაზე და საერთოდ თბილისში ჩანერაზე უარი უთხრეს.

— ჯერ ველარ ჩათავდა და უკვე განმეორებით იწყება ჩემი მუდმივი წამვლა. უმჯობესია ისევ კატორღაში უკან დავბრუნდეთ ანა უპასპორტოდ ამ დანყველილ რეჟიმში რას გავხდები. მუდმივად ჩვეას მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნას კი ისევ იქ ყოფნა მირჩევნიაო, — ჯავრობდა ლევანი.

ლევანის ჩამოსვლასთან დაკავშირებული სიხარული თანდათან გაქარწყლდა. ნერვიულობა და უკმაყოფილება მწვავდებოდა. დედამ დაიწყო განცხადებების წერა, სხვადასხვა ინსტანციებში მისვლით ნაცნობ-უცნობები შეანუხა.

დიდი ხნის შემდეგ ლევანისათვის პასპორტის მიცემა გადანყდა, მხოლოდ თბილისში ჩანერაზე კი კატეგორიული უარი განუცხადეს.

პასპორტის მიღების გაჭიანურებამ და ლოდინმა ლევანს ხასიათი გაუფუჭა.

— უკეთესია პასპორტი სულ არ მოეცათ, ხომ ვარსებობდი ამდენი ხნის განმავლობაში უპასპორტოდ, ნომრით.

ლევანი ჩვესი ისევ აღრიცხვაზე აიყვანეს. დანვრილებითი ავტობიოგრაფია დაწერიწეს, მერე კი დაცინვაც დაუნყეს, თითქოს ხუმრობით, ცინიკური ღიმილით, ისე კი სრული სერიოზულობით უთხრეს.

— გვიკვირს, რომ აქეთ გამოგიშვეს, ისე კი უკეთესი იქნებოდა იქ დარჩენილიყავი. შენი იქით, უკან დაბრუნებისათვის ჩვენ არც დროის დახარჯვა და არც წვალეობა დაგვჭირდებოდაო.

ლევანი, საშინლად ალელვებული და გულნატკენი, დარწმუნებული იყო, რომ თბილისი მისთვის აღარ არის თავისუფლებისა და გადარჩენის საბოლოო თავშესაფარი.

— დედა და თქვენ, ბავშვებო, წარმომიდევით თვალწინ, ამიტომ გადავყლაპე მათი წამოროშინი, თაკი ძლივს შევიკავე. თორემ იმ ვიგინდარებს ვაჩვენებდი სერის. იმ წუთში სიცოცხლევ აღარ მინდოდა. ვისი და-

საცინი გავხდო, ვისი? მათი წყალობით რამდენი წმინდათამინდა ადამიანების საფლავები დარჩა კატორღაში. უდანაშაულო ხალხი ჯავრმა და მიწამ შეჭამა, ისე კი ჩვეაში ნათქვამი ცუდად მენიშნა, ნუთუ მე ჩვეას მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა ვიყვი, ეს არ არის კარგი საქმე.

ლევანის ლელვა ჩვენც გადმოგვედო. სანდროს ჩამოსვლამ გამოაკეთა განწყობა. რაჭიდან ბევრი ხილი და ღვინო — ხვანჭკარა ჩამოგვიტანა. საღამოზე წავიქეიფეთ კიდეც ქართული საქმელები განსაკუთრებულად ლევანის დაკვეთით მომზადდა. ყველაფერს მონატრებულმა ლევანმა ქართულ ყაიდაზე განწყობილ სუფრას რომ დახედა, მისი ეშხითა და სილამაზით აღტაცებულმა ტაში შემოკრა.

— ამისთანა ხვებ-ბარაქიანი და გემრიელი სუფრა მარტო საქართველოში იცის. — შემდეგ კი ხარბად დაენაფა საქმელ-სასმელს, ყველაფერს ხოტბას ასხამდა, აღფრთოვანებით სვამდა და სვამდა რაჭიდან ჩამოტანილ ხვანჭკარას, ცოტა შექეიფიანდა კიდეც. დედა, ტასო, სანდრო, თინა და ჩვენ — თამარ და მზია აღფრთოვანებით შეეცქეროდით ლევანს, რომელიც საქმარისად გამხიარულდა კიდეც. თვალები გაუბრწყინდა და სამშობლოს, ჩვენ, შინაურებს და ქართულ საქმელსა და სასმელს მონატრებულმა ძალიან მოიღვინა. ისიც აღნიშნა:

— ჩემს ამ ბედნიერ დღეს, წინ 12 წლის ტანჯვა-წვალება უდევს, მე ავიტანე ყველაფერი და ხომ ასრულდა ჩემი ოცნება, მე თქვენთან ვარ და მომავალიც ჩემია.

ლევანის ბედნიერებამ, სიხალისემ და მხიარულებამ ყველა კარგ ხასიათზე დაგვაყენა.

ლევანმა ხვანჭკარით ჭიქა შეავსო და ჯერ დედას სადღეგრძელო წარმოსთქვა. დედა აქო და ადიდა. შემდეგ მამის სახსენებელი თქვა, მერე კი ჩვენი ყველას სადღეგრძელო ერთად შესვა, ყველა გადაგაკოცნა და სუფრიდან ადგა.

— ამდენი ხნის დაჩაგრული ოჯახი ხარობს, — თვალცრემლიანი იმეორებდა დედა. ის ძალიან მოკრძალებულად და ღელვით ფორტეპიანოსთან მივიდა, დაუკრა და ლევანის საყვარელი სიმღერა ნაღვლიანად დაამღერა, სიმღერაში დედას ჩვენ ყველა აყვივით.

ლევანმა დედა ხელში აიტაცა, გულში ჩაიკრა და გადაჰკოცნა. დედა პატარა ბავშვივით მიენდო მას, ლევანი ხედავდა, რომ დედა უკვე ძლიერი ქალი აღარ იყო. გადატანილი წლებს ჭირვარამმა საგრძნობი დალი დაასვა, გასაცოდავებული და ნერვიული, უკვე ღრმა მოხუცი ქალი იყო.

ლევანმა სანდროს ისევ პასპორტის მიღე-

ბის გაჭიანურებაზე და ლოდინზე ჩემთვის საუბარი. ეს საკითხი მას ანუხებდა, სანდრომ ლევანი დაარწმუნა, ყოველივე ის რაც ახლახნადა, ამ პოლიტიკურ ვითარებაში ბუნებრივია, ვფიქრობთ შენი მომავალი ცხოვრება კარგად წარიმართება, ოღონდ დაწერე რამე კარგი და აჩვენე ყველას შენი შესაძლებლობა. ჩვენ შენით ვამაყობთ ლევან. შენ ჩვენი ოჯახის გმირი ხარო.

— მე გმირობამდე ბევრი მაკლია, ეს ცნება მეტად ღრმა, შინაარსიანი და მნიშვნელოვანია, გმირი ის არის, რომელიც დროის მოთხოვნის სიმაღლეზე აღმოჩნდება, აუცილებელს, უმთავრეს უმრავლესთა სანადილს, უანგაროდ თავდადებულად მოიპოვებდებს და მიზანსაც მიაღწევს. მე კი სულ ციხის მონობაში ვიყავი, მარტოდ მარტო. — ლევანმა შემდეგ მოგონების გუდაც გაგვიხსნა და გადასახლების ზოგიერთი მძიმე თავგადასავალი გვიამბო.

— ჩემი გადარჩენა მე თვითონ მიკვირს, დაუჯერებელიც არის ის, რაც გადავიტანე. ეს მხოლოდ განგებამ და ჩემმა გადამრჩენელმა ღმერთმა იცის, ვაი! ვაი! რომ უამრავი პატიმრისათვის ეს ფიზიკურად აუტანელია. საუკეთესო ხალხი იღუპება. უკანასკნელ პერიოდში შექმნილი არნახული წამება და ჩეხვა, ასე მგონია, ადამიანთა მოსპობის უტყუარი ზრახვებია. ჩემი გაგებით იქ, შორეულ ციმაბირში პატიმართა მასობრივი განადგურების ორი გზა არსებობს:

1) მასობრივი თვითმკვლელობა: ციხეებში რეჟიმის გამწვავება — გასასტიკებას და არაადამიანური წამების ფორმების შემოღებას ბევრი პატიმარი სიციფემდე და თვითმკვლელობამდე მიჰყავს.

2) გრძელვადიანი პატიმრების მასობრივად თავიდან მოცილება დახვრეტით. ბანაკებში უადგილობის გამო ყოველი ახალი ეტაპის მიღების წინ იწყება მექანიკური გაცხრილვა. ყოველგვარი სასამართლოს და სამართლის გარეშე.

მთავარი უბედურება ისაა, რომ სხვების დასანახავად და გასაგებად მკვდარს, როგორც ცოცხალს ისე ედავებოდნენ, ქირდავდნენ ის უღმერთოები.

წინათ ასე მეგონა სოლოკებში წამების ყველაზე მძიმე რეჟიმი იყო დაწესებული, თურმე ნუ იტყვიო რა შედარებაა და ბედნაა ახალ ციმაბირის ციხეების რეჟიმთან, ეს ხომ ჯოჯოხეთია. გასაკვირი ის არის რაც ყველაზე უფრო უძვირფასესია ცხოვრებაში ადამიანის სიცოცხლე იქ არაფრად ღირს. ეს რა სახელმწიფოში ვცხოვრობთ არ ვიცი. იქ სოლოკებში მავთულხლართების მიღმა მაინც იზრდებოდა და მნიფდებოდა იმედის სანერგე, რა ყოფილა ადამიანი? ის უფრო საკვი-

რველია ვიდრე მე ვფიქრობდი. ახალ ციშბირში კი ცხოვრება? სრული არარაობაა... და ლევანს რაღაცა მნიშვნელოვანი უნდა ეთქვა ჩვენთვის, მაგრამ საუბარში შემინებული დედა ჩაერია პოლიტიკაზე ლაპარაკი აუკრძალა.

— დედა, ეს მარტო პოლიტიკა როდია, სიმართლეა მწარე.

ბავშვები იმნუთშივე დასაძინებლად ვაგვაგზავნეს.

ლევანი და სანჯრო კიდევ დიდხანს ჩქმად საუბრობდნენ.

ათი დღის ნერვიულობის შემდეგ ლევანი პასპორტით გამოგვეცხადა.

— მომილოცეთ! 32 წლისა ძლივს მეღირსა მოქალაქეობა, სრულწლოვანება და დავაუკაცება. ეს ხომ ჩემი პირველი პასპორტია, საერთოდ თავის დროზე ვერ მოვასწარი მისი მიღება, მერე კი ვინ მომცა ამის საშუალება.

როგორც აღვნიშნეთ, თბილისში ჩანერაზე ლევანს უარი ეთქვა. დადგა საკითხი, სად ნავიდოდა სამუშაოდ, რომელ რაიონში, სამსახურის ძებნაში გავიდა კიდევ რამდენიმე დღე.

სრულიად მოულოდნელად სახლის რწმუნებული და მილიციელი დაგვადგნენ თავზე. 24 საათში უნდა გავხვიდეთ თბილისიდან, გააფრთხილეს ლევანი — წინააღმდეგ შემთხვევაში ვაგასახლებთო.

ლევანი გაელიმა. დედა კი ძალიან გაჯავრდა, ისინი ყვირილით გააგდო.

— ნადით და ჩეკაში დაგვაბეზლეთ, თქვენ და თქვენისთანებმა ხომ მეტი არაფერი იცით. სანამ ლევანი რაიონში სამსახურს არ იშოვნის, არსადაც არ გაუშვებ. ეს ხომ ჩემი შეილია, ვითომ სტუმარია, ისე ჩათვალეთ. რამდენ ჩაუნერეულ ხალხს აჩერებთ და იმათ არ ერჩით. ჩვენ გვენახეთ დაბალი ღობე, მე თქვენ გიჩვენებთ სიერს! — ლევანის ჩამოსვლით გაგულიანებული დედა დაემუქრა კიდევ.

ლევანმა კიდევ ათი დღე დაჰყო სახლში, სამსახურს ეძებდა, შემდეგ ნამდვილად არავის შევუწუხებიათ, მაგრამ თვით ლევანი ნერვიულობდა. ჩვენი ოჯახის მეგობრებმა ცუკავშირში გააგზავნეს, იქ კი ნალკაში ეკონომისტის ადგილი გამოუწახეს.

ლევანი ნალკაში კარგად მოეწყო. უფასოდ პატარა ოთახიც მიიღო და კარგი ჯამაგირიც დაენიშნა.

— ძლივს არ ამოვისუნთქე თავისუფლად, დიდი ხნის პატიმრობის შემდეგ! — ხარობდა ლევანი. ეს მცირედი კარგი პირობები სახარბიელო აღმოჩნდა მისთვის. დედა ეხვეწებოდა — პირველ ხანებში ოჯახის დასახმარებლად ფულს ნუ გამოგზავნი, შენთვის ტანსაცმელი და საცვლები იყიდე, ჩაიცვი, თო-

რემ უხერხულია სამსახურში, ისე, ციკარული. ლევანი ჯერ ყოყმანობდა, შემდეგ კი შინაშე მისცა სიტყვა დედას, რომ მუშაობდა უნდა თხოვნას. ისე კი ღიმილით ხშირად იმეორებდა.

— იქ ფეხშიშველი და შიშველი იმდენხანს მამყოფეს, ტანსაცმლის საჭიროება და მასზე მოთხოვნილება მთლიანად მომისპეს, ჩემზეა ნათქვამი, ზოგი ჭირი მარგებელიაო.

სხვათა შორის ლევანს ჩაცმა-დახურვაზე გულგრილობა მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვა.

ნალკაში ცხოვრებითა და მუშაობით ლევანი კმაყოფილი იყო. მით უფრო, რომ მის გარშემო ტრიალებდნენ ახალი იდეებით გაბსჭვალული, სწავლული, პატრიოტი ახალგაზრდობა.

ლევანმა ნალკაში მუშაობით მალე დაიშახსურა კარგი სახელი. ის ურთიერთობაში მეთად დაკვირვებული იყო.

თბილისში ხშირად ჩამოდიოდა. მუშაობის შემდეგ ბევრი დრო რჩებოდა, ამიტომ ძალიან ინტენსიურად წერდა. აინტერესებდა ლიტერატურა და ისტორიული თემები. — მე საუკუნეთა სიღრმეს ჩავყურებ. ჩემს არსებაში ერთად ტრიალებს წარსულს, სინამდვილის და ხელოვნების ურთიერთობის პრობლემა.

ხანდახან დედა ბავშვებს ხელს დაგვტაცებდა და ლევანთან გაეჩნდებოდა. დედას უხაროდა ლევანის კარგად ყოფნა, მაგრამ მაინც უნდოდა რომ ის თბილისში ყოფილიყო, სახლში უფრო ნაყოფიერად იმუშავებო.

ახლოვდებოდა 1937 წელი. დედამ მოისურვა რომ ახალ წელს ყველა ერთად შეგვევდეთო. დიდიდან დაიწყო სახლში ფუსფუსი და მზადება. ლევანი ნალკიდან ჩამოვიდა, სანდრო ვარციხიდან, დანარჩენები კი ყველა სახლში ვიყავით. ლევანის თქმით ახალი წელი გარდა ყოველი სიკეთისა, უნებლიეთ შორს წასულთა, გადასახლებულ-გადახვეწილთა და დღეუბულთა დღეც არის ჩვენშიო. ამიტომ ეს დღე ყოველთვის ღირსშესანიშნავია. ძალიან მოკრძალებულად და წყნარად სუყველამ ერთად შეგვევდით ახალ 1937 წელიწადს. აბა ქეიფისა და მხიარულების თავი ვის ჰქონდა, როდესაც ახალი წლის სიკეთე, ოცნება, მშვიდობის იმედი გაიქარწყლა. თბილისში საშინელი შიში და უიმედობა ჩამოწვა, რეპრესიები და ოჯახების მოსაპობა კი ამ რეჟიმირდა, არამედ გამძლავრდა. ამ ამბით ჩვენი ოჯახი და განსაკუთრებით ლევანი საშინლად შეწუხებული იყო, ლევანი ცდილობდა ნალკიდან ხშირად აღარ ჩამოსულიყო, დღე და ღამე მუშაობდა.

ლევანმა ნალკაში 6 თვე დაჰყო, რის შემდეგ გათავდა მისი საამუშრო ცხოვრება და მუშაობა.



ერთ დღეს სრულად მოულოდნელად სამხედრო კომისარიატში გამოიძახეს და დახვეწილებით ავტობიოგრაფია დაანერჩინეს. ამა ლევანი თავის ბიოგრაფიას რას დამალავდა. დასწერა, რომ 12 წლის გადასახლებაში ნამყოფი კაცია, არცერთხელ სასამართლოს წინაშე არ ყოფილა წარდგენილი, ან რაიმე სერიოზული ბრალდება არ ჰქონდა წაყენებული, თუ არ ჩაითვლება მცდელობა საზღვარგარეთ გაქცევაზე, ამ შემთხვევის დროსაც სასჯელი სამეულმა მიუსაჯა და არა სასამართლომ, სამხედრო კომისარიატის შემდგმ, ნალის შინაგან ორგანოებმა დაინყეს ლევანის ვინაობის დადგენა.

ორგანოს ერთმა ხვთისნიერმა თანამშრომელმა ლევანს საიდუმლოდ უთხრა პირდაპირ, — ჩქარა გამეცალე აქედან, შენ ცოდვაში ნუ ჩამრევთ.

— ეს იმდენად მოულოდნელი ამბავი იყო, თითქოს ხვალინდელი დღე ჩამიქრა, უცერად ჩაკვდა თავისი მისწრაფებებით, — თქვა ლევანმა და ცხოვრებაზე გულ-ნატყენი და საგრძნობლად აღელვებული იმავე დღეს ნალკიდან წამოვიდა.

— ჩემი ზღაპრული ხანმოკლე ცხოვრება დამთავრდა და ხელში სინამდვილის მკაცრი კუდი ჩამჩრა. კეთილი კაცისადმი მაღლიერების გრძნობით იყო ღრმად განმსჭვალული, კეთილ კაცს რა გამოლევს საქართველოში. სახლში არაფერი დედას არ გაუმხილა. ისევ ცეკავშირს მიაკითხა. ის ლუქსემბურგში (ახლანდელი ბოლნისი) სამუშაოდ ისევ ეკონომისტად გადაიყვანეს.

ბოლნისში ლევანი უფრო უკეთესად მოეწყო, ეს ქალაქი ადგილმდებარეობით, მოსახლეობით და საცხოვრებელი პირობებით უკეთესი აღმოჩნდა ნალკაზე. აქ გერმანელები იყო დასახლებული, თბილისიდანაც ეს ქალაქი უფრო ახლო იყო და მისასვლელადაც უფრო იოლი.

ლუქსემბურგში ლევანი მეტად ნაყოფიერად დღე და ღამე მუშაობდა. ლევანმა აქ მუშაობას თვითონ თავისთვის ლიტერატურული აღმავლობის პერიოდი შეარქვა, მან შესძლო თავისი ორი ნაწარმოების, უფრო სწორედ დრამების დამთავრება „მეფე ერეკლე“ და „დაძირული სოფელი“.

ერთ კვირა დღეს, როდესაც ჩვენ დები თინა, თამარი და მზია ლევანთან ჩვეულებრივად ჩასული ვიყავით, ლევანმა ღიმილით გვითხრა: — მინდა ჩემი დრამიდან ერთი პატარა ნაწილი წაგვიკითხოთ, მაინტერესებს თქვენ, როგორც საერთო მკითხველის აზრით. ჩვენ ერთდროულად სამივე აყვავანდით, ლევანი დავაფრთხეთ კიდეც — არ გვინდა მართო ნაწილი, წაგვიკითხე მთლიანად შენი ნაწარმოები.

ლევანმა ჩვენ წინ მაგადაც, მკლერი და წერილი ხელნაწერი გადაფურცლა. ბევრ ფურცელზე ნაშლილ-ნამოშლილი ადგილები და ვინახეთ. ბევრზე კი, ტუქტის გვერდით, ფხვრით მოხატულმა სხვადასხვა სახეებმა გავაკვირვა, ეს ამ პიესაში მოქმედი პირობის პორტრეტები იყო. შემდეგ მოქმედ პირთა ჩაცმულობის ნახატებიც. გვაჩვენა, ხელნაწერის ბოლო ფურცელზე მიხატული.

როგორც ლევანმა აგვისტო, დრამა „მეფე ერეკლე“ მან დიდი ხანი ლიტერატურულად და ფაქტიური მასალით დაამუშავა. პიესა კი 18 დღეში დაწერა — ეს ნახატები კი ესკიზებია. მოქმედი პირობი და მათი ჩაცმულობა მე ეს ასე წარმომიდგენიაო.

ბევრი ხვენწა არ დაგვიჩვენებია. ლევანი დაგვთანხმდა პიესის მთლიან წაკითხვას. ჩვენ მის გარშემო მოხერხებულად მოვკალათდით და გავინაბეთ.

სოცარი სიცოცხლით აყლერდა ხელნაწერი. როგორც იტყვიან, პიესა ერთი სულს ამოქმით თავიდან ბოლომდე წაგვიკითხა, იმდენად მოგვეწონა, რომ აღერთოვანებინა. გან ხმა ვერ ამოვიღეთ. მერე კი სამივე ერთად აყვავანდით, სიხარულით ტაში შემოეკარით, ლევანს შემოეხევიეთ და გადაკოცნეთ, სათანადო ხოტბა შევასხით. მან დიდ აღერთოვანებით წარმოსთქვა.

— მე ავსახე საქართველოს მძიმე წარსულში გზაჯვარედინი, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სულის კვეთება, შალაღი ეროვნული ზნეობა, შრომისა და ბრძოლის უნარიანობა, თვითშეგნება, პატრიოტიზმი, სიყვარული და ერთგულება. თუ ამას მე მივალწიე და გამომივიდა ბედნიერი ვარ.

— ლევან რას უპირებ ამ პიესას, არ უნდა გადასცე თეატრს? მოდი გამატანე, დებატეფიწინებ და მერე შენი საქმე შენ იცი, — ეხვეწებოდა თინა.

ლევანი დათანხმდა. ხელნაწერი თბილისში წამოვიღეთ და მეორე დღეს შემანქანეს ნავულეთ დასაბეჭდათ.

— თითქოს რალაც დამთხვევას ჰქონდა ადგილი, მზიამ ცენტრალურ გაზეთში ამოიკითხა ცნობა საუკეთესო პიესისათვის საკავშირო კონკურსის გამომცხადების შესახებ. ნაბეჭდის წარმოდგენა შეიძლებოდა ნებისმიერ ენაზე. დაწესებული იყო სამი ძალიან დიდი (რამდენიმე ათასი) ფულადი პრემია.

შემდეგ კვირას. გადაბეჭდილი პიესითა და გაზეთის ცნობით შეიარაღებულნი დილაღრიან ლევანთან გავჩნდით.

იმავე საღამოს დრამა „მეფე ერეკლე“ ნუსისამებრ გაეფორმეთ და მოსკოვში გავგზავნეთ.

ნალკაში ყოფნის დროს ლევანმა მეორე დრამის დაწერა დაასრულა: „დაძირული სო-

ფელი" (ოპტიმისტური ტრაგედია), ეს კლასიკური გაგებით ცდა იყო ნამდვილი ამბავის პიესად შექმნისა და მისი საინტერესო სახით წარმოდგენისა. ბოლნისში დრამა კიდევ გადასინჯა და გადაამუშავა.

პიესის დამთავრების შემდეგ ლევანს ურჩიეს ეს დრამა მიეცა წასაკითხად რუსთაველის თეატრში მსახიობ აკაკი ხორავასთვის. ლევანი რამდენიმე დღით თბილისში ჩამოვიდა და პიესა წასაკითხად ხორავასთან წაიღო.

ხორავა ძალიან უნდობლად შეხვდა ლევანს. დერეფანში დიდხანს აცდევინა და მერე უარი უთხრა პიესის წაკითხვაზე. დროს უქონლობა მოიმიზეზა.

— მე ეს სრულიადაც არ მწყენია, — გვიყვებოდა ლევანი. — ის ნამდვილად დიდი მსახიობია და საზოგადო მოღვაწე და დრო მართლაც არ ექნებოდა. მერე ისიც, რომ სრულიად უცნობი კაცი მოვედი, „ლევან გოთუა“ ვარო — ვუთხარი, ეს სახელი და გვარი კი მას არაფერს ეუბნებოდა. ალბათ ბევრი ანუხებს თავისი ნაწარმოებებით, ესლაკი მე შემოვებამტე, რომელი მწერალი მე ვარ, ვიღაცა უცნობი. ასევე უხმოვ, მართალია უკმაყოფილოდ, შემოვტრიალდი და უკან წამოვედი. ხვენწა ხომ საერთოდ ჩემთვის უჩვეულოა. გულში ძალიან მენწყინა. ეს პიესა ხომ ჩემი პირველი თანამედროვე და გამოგიტყდებით საყვარელი ნაწარმოებია. ხორავამ, ეტყობა, გულის ტკივილი შემატყო და თავისი რიხიანი ხმით დამიძახა — მოიცადეო.

— ახლო მომავალში რომ წავიკითხავ, ამას ვერ შეგპირდებიო, ისე კი დამიტოვე, ჩემს აზრს შეგატყობინებო.

ლევანმა ეს პიესა დაუტოვა ხორავას. სულმოუთქმელად ელოდებოდა პასუხს. — სანამ „ჩაძირული სოფელის“ ბედ-იღბალს არ გავიყვებ, მანამდე სხვა პიესას არ გამოვაჩვენო.

მეორე დღეს დილაადრიან სრულიად მოულოდნელად დარეკა ტელეფონმა და ყველას გასაკვირველად ლევანი ითხოვეს.

— მე აკაკი ხორავა ვარო, შენ კაცო უკვე დასრულებული მწერალი ყოფილხარ, ვინა ხარ? რა კაცი ხარ?

ლამე არ დამეძინა უბრალოდ გადავათვალიერე შენი „ჩაძირული სოფელი“. მერე სულ ვეღარ დავიძინე, ვეღარ მოწყნადი ნაწარმოებს და ბოლომდე ჩავედი, „ტანში სულ ყრუანტელი მივიღია“. თუ შეგიძლია თეატრში გამომიარე ჩემს მოსაზრებებს გეტყვიო.

ტელეფონის ზარმა სახლში დიდი სიხარული შემოიტანა, პატარა ბავშვივით ხარობდა ლევანი. სამწერლო ასპარეზზე ეს მისი პირველი დიდი გამარჯვება იყო, ჩემთვის უკვე დიდი ამბავია, რომ

ხორავას მოენონა ჩემი პიესა „ჩაძირული სოფელი“ ნაზე ნურც დაიდგმებაო.

— რას ამბობ ლევან, ყველა ერთხმად ვაწყნარებდით ალექსებულ ლევანს. სწორედ სცენაზე დაიდგმება, ხორავას მოენონა „ჩაძირული სოფელი“ და ალბათ როგორც შენ საზღვრავდი მთავარ როლსაც ის ითამაშებს;

დიდი სიხარულით, გაბრწყინებული, სულ ფრენით მიადგა რუსთაველის თეატრს ლევანი დანიშნულ დროს. შემთხვევით დერეფანში შეხვდა ხორავას, რომელიც ძალიან რიხიანი ხმით მიესალმა ლევანს და გააცნო იქვე მდგომ ორ მსახიობს, როგორც მომავალი მწერალი. მერე თავის ოთახში მიიპატიჟა, ხორავა დიდხანს უქებდა ნიჭს და ტალანტს, ენის სინმინდეს და პიესის დაწერის თავისებურებას, შინაარსს და ფაბულას, მოკლედ ყველაფერი ძალიან მოენონა, ყვებოდა ლევანი. მხოლოდ ბოლო მოქმედებაში, უფრო სწორედ პიესის დასასრულის შეცვლა მოითხოვა, სადაც წამყვანი მოქმედი პირი ილუპებოდა. სწორედ ჩემი პიესის დედააზრიც ეს იყო, რეჟის ხანდაზმულმა მაცხოვრებელმა ვერ დასტოვა თავისი მშობლიური სოფელი, სათაყვანო ეკლესია. ეკლესიის გუმბათზე ავიდა კრიტიკულ ფაშს და ეკლესიასთან ერთად წყალში ჩაიძირა ზარების შემზარავი რეკვიტო. ხორავამ უთხრა ლევანს — მე მიწნდა წამყვანი როლის თამაში და შენ ეს ბოლო უნდა გადააკეთოო, მე იქ სიკვდილი არ მიწნდა, ასე მიმჩნია, უნდა გადავრჩე და ცოცხალი დავრჩე, თანამედროვე პიესაში არ შეიძლება, წამყვანი გმირი ასე კვდებოდესო.

— პიესის გადაკეთებაზე მე უარი განვაცხადე. ვინაიდან ჩემი ჩანაფიქრი მტკიცე იყო. ამაზე ხორავას გული მოუვიდა და ხმამაღლა შემომძახა, — კაცო, ეს ვინ ყოფილხარ? ჯერ მწერალი არა ხარ და უკვე ჯოჯოტობის განტანა გნადია, პიესას აძვირებ. მე გეუბნები პიესა გადააკეთე, ჩემთან მოიტანე დასადგმელად, იცოდე, არ იზარალებ, კარგად გასარგებლებო.

ლევანმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო. შეპასუხებას კი მაინც თავის შეკავება არჩია.

— გაეჩუმდე; სიბრაზისაგან ხმას ვერ ვიღებდი. ხორავამ ჩემი სიჩუმე სხვანაირად შეაფასა, იფიქრა, რომ მომტეხა. სიჩუმით ისარგებლა, თვალთმაქცურად შემომხედა და ჩამილაპარაკა: შენ პიესის დაბოლოება როგორც გთხოვ, ისე გადააკეთე, მე კი ფულად საფასურს ერთიო-ორად მოვამატებინებო.

ასეთი ყიდვა-გაყიდვის ანგარიში განსაკუთრებით მენწყინა, ამბობდა ლევანი, მართალია ხორავას პირადად არ ვიცნობდი, მისი კარგი და დიდი კაცობაც გაგებულნი მქონდა, მაგრამ მასთან ამისთანა საუბრის გაბმას არ



მოველოდი, საერთოდ ვერ წარმოვიდგენდიო.

— ჯერ მწერალი არა ვარ, მართალია, მატერიალურადაც მიჭირს, მაგრამ ჩემი ნაწერების გამყიდველი არ ვარ, — შევკადრე ხმა-მალლა. ხორავამ ჩემი ნათქვამი თითქოს არ გაიგო, პიესის საფასური გაათქვამა და დაცინვით დასძინა, ამხელა კაცი ხელმოკლედ ხარო და შენი ანგარიშიც გასაგებია, სანამ მწერლად გაგხდითო.

ლევანი სასტიკად აღელდა და გაჯავრდა. — მე მართალია ხელმოკლედ ვარ, არც მწერლობაზე ვეძებ თავს, მაგრამ ჩემი სულიერი საზრდოს და განცდების ვაჭარი არასდროს ვყოფილვარ და არც გავხდებიო. თუ გნებავთ პიესა ასე დადგით, თუ არა და მომეცით, უკან წავიღებ, შემაშფოთებელია ჩემთვის ასეთი საუბარიო.

სიბრაზისაგან ხორავა წამონითლდა, ფეხზე წაბოდგა, მას ვერ წარმოედგინა, ვიღაც უცნობ გოთუასაგან ასეთი წინააღმდეგობა. პიესა ლევანს გადასცა და ძალიან გაჯავრებულია ღვარძლიანად თქვა:

— ვაი, ვაი, რომ სანანებლად გაგიხდება ჩემი წყენინება, იცოდე შენი პიესების დადგმას ვერსად ვერ ეღირსები, ეს არ მოხდება, სანამ ჩემს წინაშე ბოდიშს არ მოიხდი და მუხლმოდრეკით არ შემეხვეწები დრამის მიღებას და საერთოდ დახმარებას. მოფიქრებისათვის გაძლევ ერთ კვირას, ეს პიესა გადააკეთე. უკეთესი იქნება. თუ არა და, მერე ბევრს ინანებ და შენს თავს დააბრალო.

ლევანმა ხელი დასტაცა პიესას და თეატრიდან გარეთ გამოვარდა. სახლში დიდად აღშფოთებული მოვიდა, ყველაფერი დანვრლებით მოგვიყვა. ძალიან განიცდიდა ხორავასთან ასეთ დიალოგს, სულ იმას გაიძახოდა — ამხელა კაცი როგორი დამცირებით მევაჭრებოდა და არაფრად მაგდებდაო. ეს ამბავი ლევანისთვის მეტად უცნაური და უჩვეულო იყო. ძალიან წუხდა. დედაც შეწუხდა. შეეხვეწა ლევანს — იქნებ მართლა შესძლო ისე შეასწორო, შენი პიესა რომ თეატრში დაიდგასო. ამისთანა დროში ასეთი განთქმული მსახიობის და დიდი კაცის მომედურება არ არის კარგი და ზოგჯერ საშიშიცააო, ყველაფრის ეშინოდა სანყალ დედას, ამიტომ ხორავას დამუქრება ცუდად ენიშნა. ლევანი ცხარობდა. მე ასე შევიგრძენი მთავარი გმირის განცდები, მე ასე მწამს მისი ხასიათის სიმტკიცე და ცხოვრების ფასი. ყოველი გმირი ხომ ჩემი შემოქმედებითი სულისკვეთებაა, ჩემი სულიერი სამყარო, მე ამას ვერ გადავაკეთებო.

ასე გაცრუებული იმედებით დასრულდა დრამა „ჩაძირული სოფელის“ ბედ-იღბალი, შემდგომშიაც ლევანს ეს პიესა აღარსად მიუტანია.

ლევანი მეტად მგრძობიარე კაცი ვახსოვდათ, ძალიან მტკივნეულად განიცადა პიესა „ჩაძირული სოფელის“ კრახი. ისეთ ხასიათზე დადგა, თითქოს მთელი მისი შემოქმედება დამარცხდა. ადგილს ვერ პოულობდა, წერას გულს ვერ უძებდა და დროებით ხელი უშვა ყველაფერს.

დაიწყო ხეტიალი და მოგზაურობა. ჯერ ბოლნისის შემოგარენი დაიარა, მერე თეთრი წყაროს რაიონში გადაინაცვლა. ყოველთვის გადაფურცლული ჰქონდა „ვახუშტი ბატონიშვილის“ წიგნი და წითელი ფანქრით აღნიშვნებს აკეთებდა. მოკლედ, შემოიარა ქვემო ქართლის მრავალსაუკუნოვანი არქიტექტურული ისტორიული ძეგლები, ტაძრები, მონასტრები, დარბაზები, ძირფესვიანად შეისწავლა ალგეთის, ხრამის, მაშავერას და სხვა მრავალი მდინარის მცირე თუ ღრმა ხეობები. შემოიარა დიდგორის ველები, თავისი მომავალი ჩანაფიქრისათვის, განჭვრიტა „დავით აღმაშენებლის“ მოპოვებული მძიმე გამარჯვება, მისი მეფობა და ცხოვრება.

— ეს უნიკალური ძეგლები გულის ტკივილით წარსულში გადამაყუდებს ხოლმე და ქართლის ცხოვრების ჭირვარამს მთელი სისასტიკით მაგრძობინებს.

თბილისში საქართველოს უმძიმესი 1937 წელი მძვინვარებდა. რეპრესიები, გადასახლება და ალაღმართალი ხალხის უგზოუკვლოდ დაკარგვა ყოველდღიურ უბედურებას ჰქმნიდა. ეს ამბავი მოქმედებდა ყველაზე და განსაკუთრებით საღად მოაზროვნე ადამიანებზე, მით უფრო ლევანზე, რომელმაც თვითონ იწვინა ამდენი მძიმე ამბავი. აღჭფოთებით გაიძახოდა — საქართველოში რა ხდება, ვერ გამიგია. რესპუბლიკის თავკაცები მეტად საშიში პიროვნებები არიან განდიდების მანიით შეპყრობილები, გაუკუღმართებული აზროვნებით, საუკეთესო ქართველებს ანადგურებენ, საშველი კი არსაიდან არის. როდემდის?

ლევანი შინაგან კრთომას და შიშს გრძობდა. თბილისში იშვიათად ჩამოდიოდა, რაიონში კი ადგილს ვეღარ პოულობდა. გადაწყვიტა გასცლოდა რამოდენიმე ხნით მაინც ამ საშინელ გარემოს, წასულიყო მთაში.

— ჩეკას მივაჭვას, კავკასიონს მივეჯაჭვებო. — ირონიით გაიძახოდა ის. — ჩემი ოცნება მაინც დიდებული მშობლიური კავკასიონის მწვერვალების დალაშქვრია; მარტო იქ, ყინულოვან სამყაროში ვგრძნობ სრულ თავისუფლებას, უშიშროებას და ყოველმხრივ სილალეს. ბუნება და ადამიანი ასე გულლიად და გულდაგულ არსად არ შეიყრებიან, როგორც მთებში თუ ფრიალო კლდეზე.

მოგზაურობის შემდეგ ლევანი რამდენიმე დღით სახლში ჩამოვიდა. დედა გაახარა. კა-

რგად გამოიყურებოდა, მზისგან დამწვარი, უფრო დავაჟაცებულყო. მერე ლუქსებურგში წავიდა კვლავ. ყოველდღიურ თავის ეკონომისტურ საქმიანობას შეუდგა.

საქართველოში ვითარება ყოველმხრივ გამწვავებული იყო. ლევანი ჩაიკეტა, წერა-კითხვას მონატრებულმა უფრო ენერგიულად მოჰკიდა ხელი ლიტერატურულ მოღვაწეობას.

ერთ დღეს ლუქსებურგში ლევანი სრულიად მოულოდნელად რაიკომში დაიბარეს. ლევანი იქ არ გამოცხადდა და შეუთვალა: პარტიული არ ვარ, სამსახურშიც თბილისში ვარ გაფორმებული, აქ მივლინებით დროებით ვარო. მართალია რაიკომიდან მოეშვენი, მაგრამ ცოტახანში სამხედრო კომისარმა სამსახურში მიაკითხა; სამხედრო ბილეთი მოსთხოვა და პასპორტი შეუმონწა, გაუკვირდა რომ ჩანერილი არსად არ იყო. იქვე ავტობიოგრაფია დაანერინა. ლევანმა თითქოს დაწყნარებით, მაგრამ დიდი შინაგანი კრთობით ავტობიოგრაფიის წერა დაიწყო, გრძნობდა, როგორ ეცლებოდა ფეხქვეშ ნიადაგი, სამინლად აღელვებულმა ავტობიოგრაფია რამდენიმე სიტყვით მოუხაზა: „მე ლევან გოთუა, 32 წლის, სამხედრო ვალდებული არა ვარ. გასამართლებული არ ვყოფილვარ, 12 წელიწადი ვიყავი პატიმარი, „როგორც დიდი პოლიტიკური მოღვაწე“, ეხლა განთავისუფლებული ვარ და თბილისის ცეკავშირში ვმუშაობ. დროებით აქ ვარ მოვლინებული, სანამ თბილისში ჩამწერენ“. ლევანი თავის ავტობიოგრაფიას საერთოდ ასე მოკლედ წერდა. ავტობიოგრაფია კომისარს გადასცა და რეაქციას ელოდებოდა. სამხედრო კომისარმა ავტობიოგრაფიის კითხვა რატომღაც ხმაძალდა დაიწყო. ჯერ რიხიანად, შემდეგ სათვალე გაისწორა და ხმას საგრძნობლად მოუკლო. ამასთან ერთად თვალები თანდათან გაუფართოვდა.

მერე საშინლად გაბრაზებულმა ლევანს შესძახა:

— გამაშაყირე ამ ბიოგრაფიით? ეს რა არის? ლევანმა ძალიან აღელვებით უპასუხა — სავალალო ის არის, რომ დავერე სრული სიმართლე. გთხოვთ, ვაჟაკურად ცოტახანს დამაცალე და მე თვითონ წავალ აქედან, საცა თბილისის ჩაწერა გაფორმდება.

ლევანი ადგა და სამხედრო კომისარს ჩუმად გაეცალა. საშინლად ლელავდა, ორჭოფულ მდგომარეობაში ჩავარდნილი, არ იცოდა, როგორ შემოტრიალდებოდა ეს საქმე. ეხლავე გაქცეულიყო აქედან, სად წასულიყო, ამ ზამთრის მოლოდინში მთაში განდგეილად ვერ წავიდოდა. ასეთმა დაჭიმულმა მდგომარეობამ რამდენიმე დღე გასტანა. შემდეგ ლევანმა ველარ მიითმინა — რაც იქ-

ნება, იქნებო. გაბედა და ტყვედ იქცა.

— ველარ ვისვენებ, დამშვიდებას თქვენგან ველი, ამდენ გაურკვევლობას ველარ ვიტან, არ ვიცი, ამჯერად როგორ ვიქნები, საერთოდ გადავრჩები, მითხარით? მიჩრჩით, როგორ მოვიქცე, ქართველი კაცი არა ხარ? მე უკვე დავიბენი.

კომისარი გაოგნებული შესცქეროდა, მერე კომისარმა შუა ხნის პატიოსანმა ქართველმა კაცმა ლევანს უთანაგრძნო, დაანყნარა — ნადი თავისუფლად იმუშავეო, მე სანამ აქა ვარ, შენ ხელს უბატონოდ არავინ გახლებსო. ავტობიოგრაფია ლევანის თვალწინ დახია — ჩუმად იყავიო, გააფრთხილა. ამჯერად ბოდიშთან ერთად ლევანმა კომისარს დიდი მადლობა გადაუხადა.

გადავგორეთ საქართველოსათვის უმძიმესი 1937 წელი, რაც ხდებოდა საქართველოში და კერძოდ, თბილისში ძნელი ასაღწერია, განადგურდა ისედაც მცირე რიცხოვანი ქართველი ერი. ლევანი რაიონში ადგილს ვერ პოულობდა. ის მეტად შეწუხებული იყო სამშობლოს გაურკვეველი მომავლით, და შემზარავი გარემოებით.

ერთხელ საშინელი ბრძოლის სულსკვეთებით შეპყრობილი ჩამოვიდა კიდევ თბილისში, თავისი ჩანაფიქრი ოჯახს გააცნო.

— მძიმე ფიქრები მომანვა, არ შემიძლია შევეგუო ამ უსამართლობას, ბევრი საზრუნავი და საოხავი განვსჭვრიტე. სიკვდილის შიშიც დავკარგე, ქართველთა უმონყალოდ განადგურების ასე უმოქმედოდ ცქერა, ცხოვრების მიღმა ყოფნა შეუძლებელია, გადავწყვიტე: საჭიროა მოქმედება — მე და ჩემი თანატოლები ამხანაგები არალეგალურ აქტიურ მუშაობაზე უნდა გადავიდეთ. ნუთუ ვერაფერს გავხდებით.

— რას ამბობ ლევან, — სასოწარკვეთილებით შესძახა ყველამ. — შენ ალბათ ვერ საზღვრავ დროს და მთავრობის სისასტიკეს. ეხლა პოლიტიკური ბრძოლის გამოცხადებამ შეუძლებელია და ეს უდრის შენს — მთელი ჩვენი ოჯახის და ყველა მათ განადგურებას, ვინც თქვენს ირგვლივ იქნება. ცხარე კამათის შემდეგ ლევანი ძლივს დავითანხმებთ, რომ სადღესოდ აშის ნამონყება შეუძლებელია და საჭიროა უფრო ხელსაყრელი დროსა და პირობების გამოხაზვა. მიუხედავად ამისა, ლევანმა თავის განზრახვა არალეგალურად მაინც თავის ამხანაგებს გაუმხილა. მაგრამ ამოდ, ძალიან გულნატკენი მოვიდა სახლში, ხალხი ისეთი დაშინებული და დაკნინებული ამის მოსმენაც კი არ უნდათო.

მერე კი ლევანმა თბილისში იმდენი მძიმე ამბავი გაიგო და მოისმინა; რომ თვითონაც დაშინდა. ზამთრის გასვლას მოუთმენლად



უცდიდა. ზაფხულში კი ისევ მთაში აპირებდა წასვლას.

— განდგილივით მთაში უნდა წავიდე, იმ არის ჩემი თავშესაფარი და თავისუფლებაო — ხშირად იმეორებდა.

1938 წელი მაინც ლევანისათვის სიკეთით დაიწყო. ოჯახში დიდი სიხარული შემოფრინდა. გაზეთ კომუნისტში აღმოჩნდა პატარა ცნობა. საქართველოში ცხოვრობს მწერალი ლევან გომთაყვანისკირი, რომლის პიესამ „მეფე ერეკლე“ საკავშირო კონკურსში, მოსკოვში გაიმარჯვა და მაღალი ჯილდო დაიმსახურა. ჩვენ კი საქართველოში არც მწერლის ვინაობის და არც პიესის არსებობის შესახებ არაფერი ვიცითო. თინა, მე და მზია ლევანთან გავფრინდით და გავახარეთ.

ეს მისი ლიტერატურული ნიჭის პირველი გამარჯვება იყო, ისიც საკავშირო აღიარება. აღელვებული ლევანი სულ იმას გაიძახოდა: — შეიძლება მეშველოს რამეო. იმედი მიეცა. ბედი არ გამჩირავს, ისევ არ ჩაბადგედს ვანსაცდელში. სადღაც ვაჩვენებ შეძლებისდაგვარად მაინც მფარველობსო.

ცოტახანში ლევანმა ლუქსემბურგში ანგარიში გაასწორა და თბილისის ცეკავშირში გამოცხადდა:

— ეკონომისტობას თავს ვანებებ და მწერლობას ვიწყებ. — განუცხადა მან ქალბატონ ლიზა მუსხელიშვილს. ქალბატონი ლიზა ჩვენ ოჯახს კარგად იცნობდა და ლევანს ეხმარებოდა. მას ყოველთვის უთანაგრძნობდა ვინაიდან თვითონ ამ მთავრობისაგან მეტად განამებული იყო, ქმარი უდანაშაულოდ დაუხვრიტეს, თვითონ კი პატარა გოგონა — ნონათი ხელში ძლივს გადაურჩა რეპრესიას, მაგრამ რამდენი წვალევა გადაიტანა ვინ მოსთვლის?

იმ წელს როსტომ მუსხელიშვილთან ერთად 15 საუკეთესო პატრიოტი ვაჟაკები, ქართული ჯარის წარმომადგენლებიც დახვრიტეს. მამა ხშირად დიდი სინანულით იგონებდა: ა. ანდრონიკაშვილს, ვ. ნულუკიძეს, გ. ხიმშიაშვილს, კ. აფხაზს, ნ. ზანდუკელს, ს. ბაგრატიონ-მუხრანსკის და სხვებს.

ლევანი თბილისში გადმოსვლისთანავე შეუდგა ჩაწერაზე ზრუნვას. ინტენსიურად დაიწყო საჯარო ბიბლიოთეკაში შემდგომი პიესისათვის მასალის დაგროვება.

თბილისში ჩაწერა იგვიანებდა, მისთვის ეს იყო მეტად მტკივნეული საკითხი, ამიტომ ცდილობდა ზედმეტად არავის შეეჩინა მისი აქ ყოფნა.

ზაფხულს ერთერთ დღეს სრულიად მოულოდნელად ლევანი ისევ ჩეკაში გამოიძახეს. რა თქმა უნდა ისევ აღრიცხვაზე აიყვანეს და თბილისში ჩაწერის ნება დათრეს.

— რა მჭირს ასეთი? — ცხარობდა ლევა-

ნი, — რატომ? რისთვის? მუდმივად აპირებ მე და უნდობი დანსებულების მეთაღმურთობის ქვეშ უნდა ვიყვე. ხომ ყველა სასჯელი მოვიხადე, თავისუფლება მივიღე, ეხლა რაღა უნდათ ჩემგან.

— ნუ ლევა ლევან, ხომ არ შეიძლება ყოველთვის ასეთი რეპრესიები და 1937 წელი მძვინვარებდეს, — ვამშვიდებით ოჯახის წევრები ლევანს.

ამრიგად 1938 წელს ლევანი მუდმივ საცხოვრებლად თბილისში ძლივს ჩაწერეს. ჩანერის გულისწყრომა მალე დაივიწყა, სანამ საქართველოში ვარ უნდა ვიმოქმედო და ვიმროშო ჩემი სამშობლოს საკეთილდღეოდ. მევე რაც იქნება, იქნება, ხალხნი ვართ და ყველაფერი გამოჩნდებაო, გადწყვიტა მან.

1940 წლის გაზაფხულზე ლევანმა ლიტერატურულ მუშაობას უფრო აქტიურად მიჰყო ხელი. დღე და ღამე ბიბლიოთეკებში ატარებდა და თავისი დრამები წესრიგში მოჰყავდა. ამზადებდა „მეფე ერეკლეს“ თეატრისათვის გადასაცემად. მუშაობით დღე და ღამე გასწორებული ჰქონდა. გვიკვირდა მისი დაუშრეტელი ენერჯია. დალლა რა იყო საერთოდ არ იცოდა.

ერთხელ წერის დროს 5 დღე და ღამე გადააბა უძილოდ. თავის ოთახიდან საჭმელადაც არ გამოსულა.

ჩვენთან სახლში უფრო და უფრო ხშირად მოდიოდნენ ორივე თეატრის წარმომადგენლები. მათ პიესა „მეფე ერეკლე“ აინტერესებდათ. განსაკუთრებით რუსთაველის თეატრიდან ხორავას სახელით მოსული კაცი აქტიურობდა.

— წარმოიდგინეთ, ლევან, — აღფრთოვანებით აღნიშნავდა ის, — ვერ წარმოიდგენია აკაკი ხორავას საქართველოში, ჰყავდეს მეტოქე ან ბადალი მეფე ერეკლეს როლის შესრულებაში. ის შეუდარებელი, ბრწყინვალე და შეუცვლელი იქნება. საერთოდ პიესაც ჩვენ თეატრში კარგად ნავა.

— მართალია, ხორავა საუკეთესო მსახიობია და მისთვის მე პიესა „ჩაძირულ სოფელში“ საუკეთესო როლი მქონდა განსაზღვრული, მაგრამ ამის ასრულება ვერ მოხერხდა, ჩვენ ვერ შევთანხმდით. ნუ მიწყენთ, მეფე ერეკლე მე სულ სხვანაირი წარმომადგენია და ამას სხვა შემსრულებელი უფრო მოუხდება. ჩემი „ჩაძირული სოფელი“ კი თეატრის მიღმა დარჩა ხორავას წყალბობით.

ცოტახანში ლევანმა „მეფე ერეკლე“ მარჯანიშვილის თეატრს გადასცა.

ლევან, სამუდამოდ არ მოიმდურო მსახიობი ხორავა და როგორც თვითონ დაგეჰქანა, სანანებლად არ გაგიხდეს ეს საქმე, ველავდით ოჯახის წევრები.

— ჯერ ეს პიესა თეატრში გავიდეს კარ-

გად, ვნახოთ, ხალხი როგორ მიიღებს, მერე კი მე იმდენი დრამა მაქვს მოფიქრებული და დასაწერი, რომ თბილისის ყველა თეატრებს ეყოფა, — ღიმილით გვანწყნარებდა ლევანი. სპეციალურად ხორავასთვისაც დავენეროლსო.

ერთ დღეს ლევანი საშინლად აღელვებულად დაბრუნდა შინ და თქვა: ქუჩაში ჯაშუში ამეკიდაო. ჩვენ ყველა გავშორით შიშისაგან. მაინც დავეჭვდით, ალბათ მოეჩვენა-თქო, რამდენიმე დღის შემდეგ კი, (ლევანმა ჯაშუშს „ჩემი ჩრდილი“ შეარქვა) ისევ გვითხრა „ჩემი ჩრდილი“ ნამდვილად დამდეგს, ძალიან უსინდისოდ და მოუწრდებლად, ნეტავი ვიციოდე რისთვისის?

ლევანი სახლიდან წავიდოდა თუ არა, ჩვენ ფარდას ამოფარებული ჯაშუშს თვალყურს ვადევნებდით. რამოდენიმე დღეში ამ ახალგაზრდა კაცს მთელი ოჯახი უკვე კარგად ვიცნობდით.

ერთხელ ლევანმა განგებ ბევრი არბენინა, დამალობანაც ეთამაშა, ძალიან დალაღა, მერე კი ველარ მოითმინა, უცებ შემობრუნდა და ჩრდილს პირისპირ შეხვდა, ხელში მალღა აიტაცა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა შეანჯღღრა.

— რა გინდა ჩემგან? ვინ გამოგგზავნა ჩემს დასაზერად, დამსდეგ საკებნად, ძალღივით, ნადი ეხლავე, გამშორდი, თორემ აქვე გაგათავებ. შენ უფროსებს გადაეცი პოლიტიკაში არ ვერევი, თავი დამანებონ, — გაშმაგებულმა ლევანმა ჯაშუში მიწაზე დაანარცხა. შემინებული კაცი სწრაფად ფეხზე უხმოდ წამოხტა, ქალღღივით გაფიტრებული, მართლაც უცებ გაუჩინარდა. რამდენიმე თვით ლევანმა ამოისუნთქა.

— ციხიდან განთავისუფლება ჩემთვის თურმე თავისუფლებას ჯერ კიდევ არ ნიშნავს, — ნუხდა ის.

რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ დაიწყო ლევანის დევნა. მას ნელ-ნელა ანერვიულებდნენ, წონასწორობას აკარგვინებდნენ და ცხოვრებას უწამლავდნენ. — შეიძლება ეს პროკოპაცია კი არის ჩემი დაპატიმრების საბაზისათვისო ნუხდა ლევანი.

ცოტახანში ჯაშუშად ლამაზი შუახნის ქალი მოველინა, რომელიც პრანჭვა-გრეხით და კეკლუცად ლევანს კუდში დასდევდა. შემდეგ ჯაშუშად შუახნის მამაკაცი და სულ ახალგაზრდა ყმანელი იყო, მოკლედ ლევანს არ

დაადგა საშველი. სწორედ ის ქალი 1946 წელსი ლევანის მესამედ დაპატიმრების შემდეგ პირზე დაადგა და რალაცა პოლიტიკურ საკითხთან დაკავშირებით ზღაპარს ჩმახავდა. ლევანი ძლიერ გაჯავრდა, აღშფოთებული ზეზე ნამოვარდა, ყვირილით, მატყუარა ქალს ენა ჩააგდებინა და საკანიდან გააქცია.

— ისევ ხომ არ მიმზადებენ ცუდ ამბავს, — გულჩათხრობილი იმეორებდა ლევანი. ლელავდა, ნერვიულობდა. ცდილობდა მეტი დრო სახლში ყოფილიყო და ემუშავა, ამხანაგებს მოსვლა აუკრძალა. დიდი ნებისყოფა იყო საჭირო, რომ ასეთი დამცირება აეტანა. ამ პერიოდში ლევანმა დაწერა ახალი დრამა, დავით აღმაშენებელი და სხვა ნაწარმოებები, ცოტა ფული რომ ხელს ჩაუვარდა, იყიდა პატარა საბეჭდი მანქანა და თავის ნაწარმოების ბეჭდვას შეუდგა. აგვიკლო კაკუნით. ერთ დღეს თინამ მოაგროვა ლევანის ნაწერები და ჩუმად, როდესაც „ჩრდილი“ სახლთან არ იდგა, სამსახურში გადამაღა. ლევანი იმეორებდა — სიფრთხილეს თავი არ სტკივა, ნაწერები და ეს მასალა მომავალში ყოველთვის დამჭირდება, არ დამეკარგოსო. თითქოს გულთმისანი იყო, სწორედ ეს მასალა დარჩა ჩვენთან სახლში და ჩვენ ამ მოგონების წერისას ამით ვისარგებლეთ. ლევანმა თვითონ, გადასახლების 10 წლის შემდეგ, ეს მასალა სათანადოდ დაამუშავა, გააღრმავა, გააფართოვა და წიგნის სახით წარმოგვიდგინა. ეს იყო „მგზავრული კრიალოსანი“, სადაც ჩვენს მიერ შემონახული ყველა მასალა გამოყენებული.

მიუხედავად ალბინიზმში მიღებული ფიზიკური ტრავმისა და მარცხისა, ლევანმა მთაში სიარული მაინც არ მიატოვა, პირიქით, ყოველ ზაფხულს უფრო დაბუჯითებით იღებდა მონანილობას კავკასიონის მწვერვალების დალაშქვარში და გატაცებაც არ მოჰკლებია. რამდენჯერმე ექსპედიციას თვითონაც ხელმძღვანელობდა.

1940 წლის 4 ოქტომბერს ლევანი ნავებით მოგზაურობს მტკვარსა და ალაზანზე. იგი აღნიშნავდა: „ჩვენი ფლოტილია“ ალაზანში შეცურდა ინჟინერ ვიქტორ მალაგიჩკის ხელმძღვანელობით და 16 მგზავრი. ლევანი ამ მოგზაურობიდან დიდად ნასიამოვნები და კმაყოფილი ჩამოვიდა. გარემოს დავეწაფეთ, გავლაღდით. შთაბეჭდილებით გავმდიდრდით და ავივსეთო.



მერაბ კოსტავა


ტურიზმი და ძეგლები

ტურიზმი სპორტის იმ სახეობათაგანია, ფიზიკურ განმრთელობასთან ერთად სულიერი სარგებლობის მოტანაც რომ ძალუძს. ადამიანი გადის ბუნების წიაღში და გულიხგადასაღვნი პანორამების გარდა ტკბება ზურთმომღვრების შედევრთა ჰერეტიოთ, რომელნიც მრავლად მოიპოვებიან ჩვენში. მთელი ჩვენი წარსული, ქვეყნის კულტურა და ისტორია იშლება მაშინ მისი მწერის წინაშე. ეტრატებსა თუ ფოლიანტების გადაუვითებულ ფურცლებზე აღბეჭდილი ამბები ახალის ძალით იწებენ ფეთქავს მის წარმოდგენაში და უოველი ქვა, ჩუქურთმა, თუ ციხის გოდოლი უცნაურის ენით იწებებს შეტყველებას და ჰყვება თავის გასაოცარ თავგადასავალს.

წარსულთან კონტაქტის ამგვარი დამყარება განსაკუთრებით სკოლის ასაკის ბავშვებისთვისაა საშური, როდესაც ისინი ისტორიისა და გეოგრაფიის დაუფლებას იწყებენ. ტურისტული ლაშქრობები განსაკუთრებით იმ ადგილებში უნდა ეწყობოდეს, სადაც მრავლადაა ჩვენი კულტურის ძეგლები, ტაძრები თუ ციხეები. იმ ადგილებზე, რომლებთანაც საგმირო საქმენი თუ სხვა მორალური ფაქტებია დაკავშირებული, მოზარდთა განმრთელობა და ერთდროულად წარსულის შეყვარება, გამორჩეულ წინაპართადმი მოწიწების აღძვრა, გაღვივება ტრეშმარტი მშვენიერების შეგრძნებისა გონიერი მწვრთნელის ღირსეული ამოცანაა. გავიხსენოთ თუნდაც არისტოტელეს პერიპატეტიური სკოლის მეთოდიკა. ბუნების წიაღში სეირნობისას გადასცემდა სწორუპოვარი მოძღვარი თავის შეგირდებს სიბრძნეს. საუბარი ხომ გულების გასაღებია და უშუალო ინტიმური კონტაქტის დამამყარებელი. მართებულად წარმართული, გულის სითბოთი განმსჭვალული საუბარი კულტურის ძეგლებთან დაკავშირებულ ისტორიულ ამბებზე, როდესაც იგი იქვე, იმავე ძეგლების მონახულები-

სას მიმდინარეობს, სწორედ რომ საწინდარია იმგვარი მოწიწების აღძვრისა, რომლის შემდეგაც მოსწავლენი აღარ დაეზადება სურვილი ედღებზე წარწერების გაკეთებისა, თუ ძეგლთა სხვაგვარი ხელყოფისა. მხოლოდ ამგვარად მიეცემა მის თვალში მნიშვნელობა ამ უძველეს, საუკუნეთა ქარცეხლში გამოვლილ ნაგებობებს.

წარსულის ახეთი გამოწვლილვა და იქიდან მხოლოდ ღირსეულის შეყვარება იმის საფუძველია, რომ მომავალშიც ასევე პირუთენელად დააფასოს დღევანდელი ცხოვრების ნაყოფი. უგულვებელყოფა საკუთარი ერის წარსულისა იგივეა, არად ჩააგლო შენივე ყრმობა და სიჭაბუკე. სახსოვარი ნივთი გარდაცვლილი მეგობრისა იმიტომაა ძვირფასი, რომ ცხოვრების ურველდლიურ წვრილმანში ჩათრეულს, ნიადაგ გაგონებს მის ძვირფას სახეს. ჩვენი დიდი წინაპრების ასეთივე სახსოვარია ჩვენთვის ტაძრები და ციხეები. რომელთა ხილვა მათ ნათელს უნდა გვაგონებდეს. ფონს ვახვლა ახლო ადგილების მოსინჯვით იწყება. ჭერ ერის სუნთქვის ყუათი უნდა შეიგრძნო, ჭაპვის პერანგად მოიგრგო ტანზე მისი სიყვარული. კარგახანს უნდა ატარო რამდენადმე მაიწოლირებელი ეს გრილი ლითონი, სანამ სიყვარულის ახალი ტალღა არ შემოგეგუნება და გარდამეტებული მზურვალბით არ შემოგადნობს ტანზე ამ ჭაპვის პერანგს. მაგრამ ეგ როდი გააქრობს ერის სიყვარულს. სხვა ერთა სულებს იგრძნობ მაშინ შენი ერის სულის სიახლოვეს, ისე, ვით მოყვანის გულის ფიცარს გრძნობს ხოლმე ადამიანი თავის გულთან ახლოს თვითგამორკვევისა და თვითშემცნების შემდეგ. საკუთარი ერის ისტორიულ ეთოსსა და მხატვრულ ფორმებში წეროვნული კლასიკური მაგალითების პოვნა და განვითარება უტყუარი საფუძველი და მართებული გზა სხვა ერთა კულტურების ჭერო-



ვანი გაგებისა და შეუვასებისა. ეროვნულიდან ინტერნაციონალურისაკენ მიმავალი ეს გზა აუცილებელია, რათა უნიადაგო; ჰაერში გამოკიდებულ ხეს არ დამეგავსოს კაცი. ასე რომ უდავოა; მოსწავლეთათვის ძველების გაცნობისას მემპატიანედ განსხვავებული კონთრაგარი პეროდლივით უნდა წარმოადგეს მათ წინაშე და მათ ხალას ბავშვურ წარმოდგენას მალიმალ წარმართავდეს. გარდასული დროის ტრამალებისაკენ სწორუპოვარ გამირებთან ფიც-ვერცხლის საკმელად თუ უღიდეს მოძღვრებთან დასამოწაფებლად. ასეა; მოწამეთას ხილვა დავით და კონსტანტინე მხიბიძგების უმტკიცეს სულს აღმოაცენებს ეპოპის წარმოდგენაში, გელათის აკადემია — დავით აღმაშენებლისა და იოვანე პეტრიწის ნათელ სახეებს, ალავერდის ტაძარი — ქეთევან წამებულისას; გუდარები — დემეტრე თავდადებულისას, კობახისთავი — ცოტნე დიანისას, ვარძია, უინცივისი თუ ბეთანია — თამარისას, კავთისხევი — თემურ-ლენგის მიერ შუაგულ ტაძარში ცოცხლად ამოწვარი მონაზვნებისას, დავით-გარეჯა — შაბაბახის ბრძანებით ბარბაროსულად მოკლული ბუთი ათახი ბერისა და ა. შ. ერთი სიტყვით იდეალუბოს ამგვარად გავლიძება მოწარმებში სწორი აღზრდის ქეშმარიტი საფუძველია. უტყუარი ლოგია გვარწმუნებს, რომ სწორედ იმ ისტორიულ ადგილებთან დაკავშირებული გამირები თუ აღძრავენ მათში ხათუთ დამოკიდებულებას ხსენებული ადგილებისადმი.


მაგრამ ტურიზმი პილიგრიმობაა არა მარტო ეთოსის, არამედ მაღალი ესთეტიკური შეგრძნებების გასაღვივებლადაც. ნოვალისის ფრთიანი შედარებისა არ იყოს, ჩვენი ბუროთმოდვარნიც ოდითგანვე ლანდშაფტს უყურებდნენ ვითარცა დრადას და ორეადას (ესთეტიკური ფრაგმენტები), როგორც ერთ მილიან ცოცხალ ორგანიზმს, რომელსაც უთუოდ მოეძებნებოდა ერთადერთი კულმინაციური წერტილი, „ადგილის დედის“ ტახტის სამკვიდრებელი, ამ წერტილის პოვნა წარმოადგენდა უთუოდ მათ ძირეულ ამოცანას, რადგან მხოლოდ იქ დამკვიდრებული ტაძარი თუ შექმნებდა გარემოს მტ მშვენებას. ეს კულმინაციური პუნქტი გარემოს ნებისმიერი წერტილიდან ჩანდა, ვითარცა ზეადმტაცი და უღამაზესი ადგილი და პირუკუ, ერთდროულად მხოლოდ აქედან იშლებოდნენ მიმდებარე სანახები მეტადრე აღმატებულის მშვენებთა და მომხიბვლელობით. ბუროთმოდვარნი როდი ითვალისწინებდნენ გარემოს მხოლოდ გეოლოგიურ საწყისს, რელიეფის ფერსა და მოხაზულობას, მცენარეულ საფარს, ზემოხსენებული წერტილის სიმაღლეს, არამედ მეტეოროლოგიურ გარემოცვასაც, ციური სივრცის გაშლილობასა და მკვირვალუბას, სინათლის ინტენსივობასა და ფერთა გამშას დღის ნებისმიერ დროში. ნისლიანობასა თუ კა-

ბადონე აცურებული ღრუბლების ფორმებს და უფრო მეტიც, ასტრონომიულ ხაჭუისადაც უღრუბლო ღამეში ვარსკვლავთა სიხშირესა და განლაგებას ტაძრის გუმბათის გარშემო, მათი ელვარების ძალას, აქედან გამომდინარე ირჩევდნენ ისინი სტილს, ადგენდნენ ტაძრის სიმაღლეს, ირჩევდნენ სამშენებლო მასალასაც.

ამგვარ სანუკვარ ადგილთა პოვნა სხვადასხვაგვარად ხდებოდა, რისთვისაც ლაღადებენ მთელი რიგი ეპიზოდებისა ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძველებიდან და ქართლის ცხოვრებიდან. მაგალითად, ზარზმის მონასტრის აგებაზე ბასილი ზარზმელი ასეთ გასაოცარ ამბავს მოგვითხრობს: „რამეთუ იყო რა დიდი იგი მამა და მოძღუარი მიქელ პარბელი (იხ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება და გიორგი მერჩულეს გრიგოლ ხანძთელი), აღმაშენებელი და სასწავლთა და ნიშთა მომქმედი, მდგომარე ლოცვასა ღამისასა, განკვირვება რაიმე დაეცა და აღიტაცა ზეცად და იბილა ვინმე, ვითარცა მღვდელ-შუენიერად შემოსილი, და ეტყოდა მას, რათა მის მიერ განსწავლულნი იგი მოწაფენი მყის წარავლინნეს ქუეყანად სამცხისად, რომელ არიან სერაპიონ და იოვანე; და უჩუენებდა ნიშთა რათმე და სახეთა, თუ რომელსა მოვიდენ ადგილსა, პოონ, მივიდენ რაა სასწავლი იგი და მუნ ხელყონ აღშენება მონასტრისა „შემდგომ ამისა მოუწყნა მიქელმა სერაპიონს“, აუწყა ნიშნი, რაიმე მის ადგილისანი, რათა ადვილად იცნან ადგილნი იგი, რომლისა აღშენებად ბრძანება მოეღო“, გაისტუმრა და თან აახლა იოვანე და ორნი ძმანი იმართაგანი, სერაპიონმა მიიძია და იცნო ის ადგილი, მიქელმა რომ აღუწერა და მუნ აღაშენა მონასტერი ზარზმა, რადგან თავადვე იყო ბუროთმოდვარნიც.

„ქართლის ცხოვრება“ შუამთის მონასტრის აღშენების ერთ უჩვეულო ამბავსაც მოგვითხრობს: „ღევან დაიპყრა კახეთი და მოიყვანა ცოლად ასული გურიელისა თინათინ. ამა თინათინისასა იტყვიან, სიყრმესა შინა ნახა ჩუენება ესე: „შეგირთავს მთავარი ვინმე და მისვლასა შენსა ადგილსა ერთსა“ უჩუენა ადგილი ნიშანი და რკუა ესრეთ: და მუნ იქნება შინდი თეთრი ერთი და უშენე მონასტერი ერთი დედანსა ღმრთისასა ხოლო რაჟამს მოიყვანეს შუამთას და ჩამოახდინეს განსასვენებლად, და რაჟამს იბილა თინათინ ადგილი იგი, იყო უოველივე ნიშნული ჩუენებისა და შინდი თეთრიცა. რაჟამს იქორწინეს, შემდგომად აღაშენა ეკლესია შუამთისა და დაადგინა მოძღუართ-მოდლუარი.

როგორც ვხედავთ, სხვა უჩვეულო ფენომენებიც ეროდნენ ტაძრისათვის საშურო საკრალური ადგილების პოვნაში სიხშირისა თუ ნათელხილვის სახით. მაგრამ მაინც, საბოლოო ეტაპზე აუცილებელი იყო ბუროთმოდვარის მახვილი თვალი, რომელიც ზუსტად განსაზღვრა-



ვდა წერტილს ტაძრის ასაგებად და გარემოს შეუხამებდა მის მოცულობას, ფორმას თუ სა-
ამშენებლო მასალის ფერს. ასე აგვირგვინებდა
ხელოვანი ბუნების ნამოქმედარს, თითქო შემო-
ქმედს ეკიბრებოთ იგი ამით და ასრულებს
იმას, რაც დაუსთავრებელი სახით დატო-
ვა სამყაროს უზუნაესმა არქიტექტორმა. თი-
თქოს მან განეგებ შეესთავაზოთ იგი ადა-
მიანს შესავსებად ასეთი სახით, რათა თა-
ნაშემოქმედათ ექცია იგი. აქედან იშვა მეტო-
ქეობა ხელოვანისა სამყაროს შემოქმედთან. აი
რატომ შედაარა კონსტანტინე გამხახურდიამ
სვეტიცხოველის ამგები ღმერთთან მებრძოლ
იკოხს, რითაც მკიდროდ დაუკავშირდა გოე-
ტეს ესთეტიკის საფუძვლებს. როგორც აღნი-
შნავს დიდი ნოვალისი, ფორმის უზადლობით
თავის ქმნილებებში გოეტეს ძალუძს თვით უბ-
რალად საყოფაცხოვრებო ამბავსაც კი პოეტური
სრულყოფილება მიანიჭოს, მაშინ როდესაც მრ-
ვალნი აკნინებენ დიად იდეებს ღუზვირი ფო-
რმით. ხელოვნებისათვის საშურო მასალიდან
შექმნილ ფორმასა თუ ხატს, იდეის დონემდე
აღწევებულს, მიჩნევადა გოეტე ხელოვნების
იდეალად და ამაში ხედავდა კიდევ ხელოვანის
შემოქმედთან მეტოქეობის საფუძველს, რ-
ამედრც სრულყოფს სამყაროს მიერ შემოთავა-
ზებულ ფორმებს. აქ ეხშიანება გამხახურდიამ
გოეტესეული ესთეტიკის ქვაკუთხედურ დებუ-
ლებას,

განგებობთან ამგვარი მეტოქეობის თუ თანა-
შემოქმედების ფაქტებს მრავალს წააწყდება
ადამიანი საქართველოს წებისმიერ კუთხეში და
ამიტომაც ტურიზმს დიდი მნიშვნელობა ენიჭება
ადამიანის ესთეტიკური თვალსაწიერის გასაფა-
რთობლად, ხელოვნების სკრალურ პრინციპე-
ბში ჩასადრმავებლად. სასკულეო ასაკის მოზარ-
დებში, ამ წედლ, ჯერ გადაუფუტელ მასალაში
ჩვენი ისტორიული ძეგლები უფრო კვეცნობი-
ერად მოქმედებენ, რასაც მხოლოდ ფართა მსვლე-
ლობაში გამოაქვს ნასურველი ნაყოფი. ყველგან
გონებისწამრტყვენილი სიურპრიზი, შემადლე-
ბულზე, ბეობებში და ვაკობაზე და აქედან
შესაბამისი განწყობილება. ვიწროებში შეხიზუ-
ლი მოწასტრები თითქო სიჭუჭღროვეში და-
წყუდებულან და მკერძალბებული კაცის სინ-
დისივით ღრმად ჩამსხლარან ბევთა უბე-
ებში. ამიტომაც იციან ბოლმე გარემო-
საგან მოწყვეტილებმა უცარი შეგებებით
ნიმჭვიდის წაგვრა, ბოლო შემდეგ კი უდიდესი
ნეტარების მონიჭება, რადგან ამ იდუმალი ად-
გილების დაბმული არე, სენაკისებური სივრ-
როვე, შწერისათვის მცირე სარბიელი და საო-
ცარი ნიშჭვიდე თავდაც სოფლისაგან განუენ-
ბულს მრგამსგავსებს და საკუთარ თავშივე მი-
კაკლენს უსაწდვროებისა და იდუმალების სა-
ბიბლად. ბეთანია ამგვარი სავანე, ახვეე შიო-

მღვიმეც, თავისი ექსპრესიული ნაოქმედეხეული
ებით.

მალლობებზე აღმართული ეკლესიები და მო-
ნახტრები სულ სხვაგვარ განწყობილებას მბა-
ლებენ. თუნდაც ზედაწენი, მთაზე დაშენებული
სარანგი მცბეთისა, მიმდებარე ხანახების მეუ-
ფე და გულისგადასაღვე პანორამათა ნიადგ
მკვერტელი. საოცარი სურათების მესაიდუმ-
ლეა იგი, გამუდმებით რომ მქარგავენ მზის სხი-
ვებისა და ღრუბლებისაგან ცეცხლისა და მკე-
რის ძალები. აქ ერთდროულად იხილავ ზეამა-
ვალ: უკიდევანო, სინათლით გაჭერებულ სივ-
რცეს და ქვედამავალი ტალღისებური რელიე-
ფის სიმსუბუქეს, ხდაც უნაწესი კონტურები
და უფაქიწესი ხაზები გაქრობას ლამობენ თით-
ქო; იხილავ, თუ როგორ ზავდება და გადადის
ურთიერთში ნისლივით მოწრქო ქავლები მკე-
რისა და მქრქალი, თითქოს მატერიისაგან გან-
ტვირთული მოფარფატე რელიეფი, იხილავ იმა-
საც, თუ როგორ დაივლის და განმსკვალავს
მკერის ყველა ფენას, უმკვირვალესსაც და უზ-
რქესსაც მარად მოლივლივე, შენის მომგვრელი
შუქი სინათლისა. შიო მღვიმისაგან განსხვავებით
აქ იმარხისის პრიმატი იგრძნობა ექსპრესიოზე.
შიომღვიმე კლდეთა გასაოცარი ფორმითა და
შემოგარენთა დაღვარწნილობით გაოცებს. იგი
ერთთავად გეოლოგიური სასწაულია. ზედაწენი
კი საოცრებაა მეტეოროლოგიური, სივრცეში
არსად ისე არ ამოსკვივის ღვთაებრიობის მ-
ლუმი სუნთქვა, როგორც აქ. აღბათ ამიტომაც
არ მიუნიჭებია საყდრის ფორმისათვის დიდი
მნიშვნელობა მის ამგებს. სოფლური სიმარტო-
ვე და ხურენლება, უბრალობა შეუწავა მან
საყდრის ტანმორჩილებას და საამშენებლო მ-
ნალაც მებად უბრალე შეარჩია.

სხვადასხვა მიმართულებით, მაგრამ მიინც
ერთი მიზნისაკენ მიჰყავხარ შიომღვიმისა და
ზედაწენის ვარსკვლავს. თუ შიომღვიმე უძირო
წილს ვაზიარებს საკუთარი სულისხს, ზედაწენ-
ზე საკუთარი თავიდან გამოდინარ, რათა უსა-
წდვროდ განივრცო სივრცეში, თითქოს მკერის
ლურჯი კრეტსაბმელის გარღვევას ლამობდე.
გრძნობ, რომ სხვადასხვანაირად, მაგრამ მიინც
ერთიდაიგივე იმაულის მოქმედებს ორივეგან:
თითქო სივრცის მიღმიდან და საკუთარი თავი-
დან ერთი და იგივე წყარო გეხშიანება უკვდა-
ვებისა და მარადისობის ენით.

სულ სხვა განწყობილება მოედინება ვაკეზე
აგებული მალღებანიანი ტაძრებიდან. განა მოელს
მცბეთად არ ღირს მტკვრისა და არაგვის შე-
საყართან ამაყად აზიდული სვეტიცხოველი,
ბრგე და მახსოფრი, ოქროსქერანგისანი საოცრე-
ბა, მზიური ჩუქურთმებით დაუნჩებული, თანაბ-
რის მშვენიებით გამომწირალი ზედაწენიდან, ქვა-
რიდან, ბაგინეთიდან, დიდგორ საწყექელას
მთებიდან, გონისწამლები პანორამებით იმავე
ქვარისაკენ, ზედაწენისაკენ, გიორგი კაღოუბნე-

ლისაკენ, წმინდა ნინოს ბაზილიკისაკენ. ადგილის ოდნავი შენაცვლებაჲ კი დაუკარგავდა მას გარემოს მიმართ ამ გასაოცარ ჰარმონიას. ყოველივე შემოთქმული, მეტ-ნაკლებად, თუ სხვადასხვა ვარაიციებით, თუგინდ სხვა ინდივიდუალური თავისებურებების შემოერთებითაც ითქმის მცხეთის ჭვარჭი, გელათზე, იუალთოზე, ალავერდზე, მარტვილზე, მარტყოფზე, წვერზე, გუდარეხზე. ფიტარეთზე და ა. შ. არა მარტო ხუროთმოძღვრების, არამედ ფერწერის სფეროშიც მშვენიერების კემზარით შემფასებლად აქცევენ ადამიანს მთელი რიგი ტაძრებისა თუ მონასტრებისა: სახელდობრ ძვირფასი ფრესკები ყინცვისისა, ბეთანიისა, დავით-გარეჯისა, უბისისა, გელათისა და ა. შ. ასეთი ადგილების შემომკმედ ძალაზე ლიტერატურული შედეგებისც უხვად დაღადებენ. განა შეიქმნებოდა უსვეტიცხოველოდ კონსტანტინე გამსახურდიას

„დიდოსტატის მარჯვენა“, უსვეტიცხოველი — დეკორატიული უბეთანიოდ გალაკტიონისა და ნარეკის მშენებლობის ვილის იმავე სახელწოდების ლექსები, უმთავრესად ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკისა და იმავე გალაკტიონის საყოველთაოდ ცნობილი შედეგები. შემოხსენებული საქარალური ადგილებითაა შემთავონებული ეს ქმნილებები, რადგან ისე ვით უწინ გამოცხადებები, ამეამად მუწებია ამ გასაოცარ ადგილთა ხშირი სტუმრები. ასე, რომ შეუძლებელია ჩვენი ხუროთმოძღვრული ძეგლების ეთიკურ და ესთეტიკურ დანიშნულებაში ოდნავი ეჭვის შეტანაც კი. ამიტომაც ტურისტული დაშქრობების მართებულად წარმართვა დიდად შეუწყობდა ხელს მოწარდებში ჩანსალი სხეულისა და ჩანსალი სულის ჩამოყალიბებას. ძველი ბერძნების თქმისა არ იყოს, სრულქმნილი ჰარმონიული ადამიანის ფორმირებას.

მწარლოგის მოთვინიარება

11

ლიტერატურის პარტიულოგის პრინციპი და შემოკმდევაბითი თავისუფლება

შემოკმდევაბითი თავისუფლება უპირველესად ორ აუცილებელ კომპონენტს გულისხმობს — პირველი, მწერალს (საერთოდ ბელოვანს) უნდა ჰქონდეს საკუთარი კონცეფცია და მეორე, — ზნეობრივი პასუხისმგებლობა. ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი უარყოფს ორივე კომპონენტს და, ამდენად, შემოკმდევაბით თავისუფლებასაც.

ამ აზრის საილუსტრაციოდ მივმართოთ ნიშნებს.

კონც საბჭოური ლიტერატურის განვითარებას თვალს გააყოლებს, დაინახავს, როგორ იყო ჩვენში გაჩაღებული ლენინიზადა. სტალინიზადა და ბერიაზა. იწერებოდა უანგარიზო და უღლევი ლექსი, მოთბობა, პიესა, რომანი. მწერალთა პლენუმებსა და ურილობებზე იკითებოდა საგანგებო მოხსენებებიც — „ამხანაგ სტალინის სახე ქართულ საბჭოთა მხატვრულ ლიტერატურაში“. ეს გახლავთ სათაური იმ მოხსენებისა, რომელიც წაიკითხეს საქართველოს საბჭოთა მწერლების მეორე ურილობაზე 1988 წლის 25 სექტემბერს. იგი ასე იწუება:

„პოეზიაზე მინდა გესაუბროთ და მეორე როგორ პოეზიაზე“

რუსთაველის დიდებული ქართულით რომ ახახავს ჩვენი ეპოქის აზროვნებისა და ქმედების უღიღეს გენიოსს, მშობლიურსა და საუვარედ ბელადს სტალინს...!

კრიტიკის გაგრძელება საჭირო აღარ არის. მკითხველი ისედაც კარგად მიხვდება, რა იქ-

ნება ნათქვამი ამგვარად დაწუებული მოხსენებაში.

არც ეს მოხსენება და არც მხატვრული ნაწარმოებნი, მიძღვნილი სტალინისადმი, არ უოფილა ნებაყოფლობით, გულწრფელად და მწერლის სურვილით დაწერილი. ეს კომპარტიის მკაცრი მოთხოვნა იყო, ლიტერატურის პარტიულობის პრინციპის შესაბამისად.

1987 წლის 15 მაისს საქართველოს კ პე-10 ურილობაზე ბერიაშ მოიწონა სტალინისადმი მიძღვნილი ლექსები.

„უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით სწრაფად განვითარდა ქართული საბჭოთა პოეზია. ქართული პოეზია გამდიდრდა ახალი მნიშვნელოვანი ნაწარმოებებით.“

პირველ რიგში საჭიროა აღინიშნოს დიდი სტალინისადმი მიძღვნილი ნაწარმოებნი. ჩვენი პოეტები უმღერიათ ბელადის სახეს, როგორც ყველა ჩვენი გამარჯვების სიმბოლოს...!

ეს შექება მკაფიოდ აუწყებდა მწერლობას, რომ კომპარტია მოიწონებდა მხოლოდ შეკვეთით დაწერილ თხზულებებს...

რაკი ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი პანეგირიკულ-პროპაგანდისტულ მწერლობას ითხოვს, მართო ლენინი, სტალინი და ბერია არ გამხდარა ხობის საგანი. ყველა ბელადისათვის უნდა ემღერათ დახვრეტამდე და ხალხის მტრად გამოცხადებამდე.

გაგახსენებთ რამდენიმე ნიმუშს. პეტრე სამსონიძე:

„დიდი მოსკოვის თუ პეტროგრადის განწირულები — ლანდათ ქეუღლინი; აქარიშხალდნენ გმირ ვოლოდარსკის და ლენინ-ტროცკით გამოწვეუღლინი... გადაიქეციო ცეცხლის ისრებათ... ხელაეთ, უფრს გვიგდებს ზინოვიევი“.

ჩვენი სიმღერა მას მოესმება,

გაგრძელება: იხ. „მნათობი“, № 4.

1 შ. დადიანი — რჩეული წერილები, წიგნი 1. 1950 წ. გვ. 5.

1 უფრს. „მნათობი“, 1937 წ., № 5, გვ. XVI II.

„სიგარტ ყიყინა ბრძოლის ძიებები“¹

კონსტანტინე ლორთქიფანიძე:
„კამენევი ჩის ტრიბუნლიდან
როგორც რუმორი
კაპიტანის მღელვარე ზღვაში,
შეუხარებდა და აღგენდა
შორე საკითხებს...“

ფრიდონ ნაროუშვილი:

„სინამდვილეში მხოლოდ კულაკი
გამდირებულ სისხლიან პურით
ღმუღოდა მგლურად... ისმენდა ღმუღის
თვით ბუხარინის ფაქიზა ყური...“²

ხშირად ლექსში „ბელადის“ ნათქვამი ციტატა იყო ჩახშული.

კარლო კალაძე:

„ეს კაცი ეხლა, — ყოველ უბრალო
ნიეთში თუ არი,

რომელიც ჩვენგან
ოქტომბრის შემდეგ გაქვებულა!

„— სხვა მომაკედავი ასე უეტრივ და
დიდებულთ
მთელი სხეულით არ გადასულა ხალხში
(ბუხარინი)“³

ამგვარი უთვალავი მაგალითის დახახელება შეიძლება. ცხადია ისიც, რომ მათ პოეზიახთან არავითარი კავშირი არა აქვთ. მაგრამ ისინი იმ ფუნქციასაც ვერ ასრულებდნენ, რისთვისაც მათ წერდნენ. პროპაგანდისტობაც უსარგებლო აღმოჩნდნენ. ხოტბაშეხმულ „ბელადებს“ მალ-მალ იჭერდნენ, ზერტდნენ და ხალხის მტრებად აცხადებდნენ. ლექსებიც თან მიჰქონდათ.

შეიძლება მკითხველმა იკითხოს, რატომ მომყავს საილუსტრაციოდ ერწაცლექსები?

როცა აზროვნება აკრძალულია, დროის, ეპოქის სულის ამოსაცნობად უნიკო მწერალი უფრო მეტ მახალას იძლევა, ვიდრე ნიჭიერი. ხომ გახსოვთ ანდაზა — „კუტრს რასაც ჩახაზებ, იმას ამოგაძებებსო“. უნიკო მწერალი ქვევრია, რომელსაც მხოლოდ ჩაძახებულის ამოძახება შეუძლია. იგი ეპოქის კონსტრუქტურას, გაბატონებულ დოგმას და გემოვნებას ფოტოგრაფიულად ახახვხვ. რაკი საკუთარი აზრი არ გააჩნია, თუთიყუშოვით იმას იმეორებს, რაც უკველდღე ესმის, ნიჭიერი მწერალი კი საკუთარი აზროვნების, გემოვნების კუთხით უუარებს ყვე-

1 პ. სამსონიძე — ტეცხლის ბეჭედი (დინამო-ლექსები), ტფილისი, 1923 წ., წიგნის ბეჭედები დანომრული არ არის.

2 კ. ლორთქიფანიძე — ლიმილი (ლექსები), 1927 წ., გვ. 63.

3 ფ. ნაროუშვილი — პოლიტიკური პოეტის დეკლარაცია, 1931 წ., გვ. 23.

4 ეურ. „მნათობი“, 1928 წ., № 1. კ. კალაძე — „ამხანაგი ლენინი“. ალბათ, „მომაკედავის“ მაგიერ უნდა იყოს „მოკედავი“.

ლაფერს და ამგვარადვე წარმოგვიდგენს, შევტყუ-
აუცილებლად უნდა გაიმიჯნოს დროს და პირო-
ვნება... როცა გალაკტიონ ტაყაი უყვარს

„ნათქვამია — ხელი ხელს
ორივე კი პირსა ჰბანსო,
გეგმა უნდა შეეასრულოთ
საწარმოო-საფინანსო.

დაეკრიოთ ვნახოთ, რასაც იქმს
დღე ღამით და ღამე დღისით
რიგი რიგებს, რიგი რიგს,
რომ შეივსოს დანაკლისი.
ჩამორჩენილობა — ძირს!
ყოველ მანქანაზე მღეგმა
უნდა სძლიოს ყველა პირს,
უნდა შეასრულოს გეგმა“¹

ძნელია ამოიცნო — სერიოზულად არის ეს
დაწერილი თუ ირონიულად. როგორც ყოველი
ნიჭიერი ადამიანი, გალაკტიონიც დიდი ირო-
ნისტი იყო. ამიტომ მის შემოქმედებაში ცრუ-
პანეგირიკულია და ირონიულის გამოჩენვა ად-
ვილი ხაქმე არ არის.

მაგრამ, როცა კალე ბოზობიძის ქვემოცი-
ტირებულ სტრიქონებს წაიკითხავთ —

„ბრიგადირებო, გეგმაზე მეტი მოგვეციოთ
ნათო,
ბაზას თუ კანაფს არტელი გვითმობს,
ხორცს და ბეწვეულს, რძის პროდუქტებს
მწყემსების ნადი.
სახელსნოდან კვლავ გუგუნებს
ლოკომოტივი,
ისევ გრიალი ცის სივრცეში გააქვს
პროპელერს,
ისევ მანქანებს ბენზინი და ზეთი
მოტორის
და გამზირიდან ეჯიბრება სივრცე
შოფერებს“²

საეჭვო არაფერია: ზუსტად შეგიძლიათ შე-
იცნოთ ეპოქა, მისი იდეალი, სულიერი ავლა-
დიდება, ზნეობრივი სიღრმე.

ამით არის გამართლებული ერწაცლიტერა-
ტურის დამოწმება.

მართო „ბელადებისადმი“ მწერლის დამოკი-
დებულება არ განისაზღვრება ლიტერატურის
პარტიულობის პრინციპით. გაპირობებულია სა-
ერთოდ ყოველი მოვლენისადმი დამოკიდებუ-
ლება. ამის საბუთად შეიძლება კიდევ ერთ ნა-
თელ მაგალითს მოვუხმოთ.

1925 წლის 28 დეკემბერს თავი ჩამოიხრჩო

1 ვალ. ტაბიძე — თხზულებანი თორმეტ ტო-
მად. ტ. III, 1966 წ. გვ. 364-365.

2 ეურ. „პროლეტარული მწერლობა“, 1931
წ., № 8-9, გვ. 145.



ხერგეი ესენინმა. ეს თვითმკვლელობა ტიცაან ტაბიძემ ლექსით გამოიკვლია. ამ ლექსში მან იწინასწარმეტყველა საკუთარი და მისი ამხანაგების ბედი.

„ამხანაგებო, თუ ღრმა ღღღში
ჩვენი თავებიც ხაღმე დაგორდეს
(ხაზი ჩემია — ა. ბ.)
ყველამ იცოდეს — სხვა პოეტებში
ესენინ ჰყავდა ძმად ცისფერ ორდენს!“

მართლაც, ამ ლექსის დაწერიდან არც ისე დიდი ხანი გავიდა, რომ კომპარტიის ტერორის მსხვერპლი გახდებოდა ტ. ტაბიძე და სხვა ქართველი მწერლები.

მაშინ ესენინის თვითმკვლელობას და ტ. ტაბიძის ლექსს გამოეხმაურა პროლეტარული კონსტანტინე ლორთქიფანიძე. ამ ლექსს სათაურად ჰქონდა — „რამდენიმე სიტყვა ესენინს და სხვებს“. ხოლო ეპიგრაფად უძღოდა ტ. ტაბიძის სიტყვები — „შევცვამთ ხაწამლავს ჩვენ როგორც შირონს“.

„აპა ლექსიც დაიწყე, მამძიმებდა ფერები:
ღამე იყო და გული მოგონებით მიძერდა,
შორს ქუჩიდან ფარანი ფერმიხილი,

როგორც თავი დამხრჩვალნი ესენინის
მიცქერდა.

მწუხარებამ შემიპყრო, მსურს გავძახო: მანენა
შენი უკანასკნელი ხულიგნობა ესენინ!
განა ჩვენი ცხოვრება ისე ჩლუნგი რამეა
სასიკვდილოდ თოკზე რომ გადმოჰკიდო

თვითმკვლელობა რათ გვინდა მოვა დრო და
თოკივით,

პოეტებო, უმდრეთ ახალ ქვეყნის ალიონს,
სჯობს კისერზე გრივალნი მოვიხვიოთ

საწამლავის მაგიერ ეს ცხოვრება დავლიოთ“.

1928 წლის 8 ოქტომბერს „ლიტერატურულ საქართველოში“ კ. ლორთქიფანიძის ამ ლექსის ახალი ვარიანტი დაიბეჭდა სათაურით — „ხერგეი ესენინს“. ეპიგრაფად, ტ. ტაბიძის სიტყვების მაგიერ, წინ უძღვის — „1928 წელს, 28 დეკემბერს, ღამით, ლენინგრადის სასტუმრო „ანგლტერში“ თავი ჩამოიხრჩო პოეტმა ხერგეი ესენინმა“. ეს ვარიანტი ასეთია:

1. უფრ. „ქართული მწერლობა“, 1926 წ. სექტემბერ-ოქტომბერი.
2. 1927 წელს ლექსების კრებულში „ლიმილი“ (გვ. 39), პოეტმა ისევ გამოაქვეყნა ეს ლექსი სულ ოდნავ შეცვლილი ვარიანტით.

„გამაღვიდა სიჩუმემ. ხმის გამტემა
არავინ,
დაილია სანთელი და ბუხარი გაცივდა...
ჩემი ფანჯრის პირდაპირ ეს ჩამჭრალი
ფარანი
ასე რამ დაამგვანა ჩამოხრჩობილ კაცის
თავს.
ასე მწარედ არასდროს მე გული არ
მტკენია,
ის მარყუქი თითქოსდა მეც კისერზე
მიჭერდეს...
ნუთუ ჩვენი ცხოვრება ისე მოსაწყენია,
შენისთანა ბუღბული ბაღში არ
გავგიჩერდეს.
მაშ რა მოხდა იმ ღამეს, გული რად
მოგვიკალი,
შენ არასდროს არ იყავ ლაჩარი და
გამქცევი...
თოკი არა, — კისერზე მოვიხვიოთ
გრივალნი,
რომ მგონებიც კვდებოდნენ, როგორც
ჯარისკაცები“.

ამ ლექსის ქვეშ დაწერის თარიღად 1928 წელი წის. მაგრამ ეს ხომ ტყუილია. 1926 წელს კ. ლორთქიფანიძემ დაწერა პირველი ვარიანტი, რომელიც ძირითადად და არსებითად განსხვავდება ახალი ვარიანტისგან განწყობილებით, დამოკიდებულებით, პათოსით, მიჯანდასახულობით. რატომ გახდა მწერალი იძულებული სიცრუე ეთქვა? ლექსის დაწერის ძველი თარიღის დატოვება და სრულიად ახალი ვარიანტის შექმნა ხომ იმას მოწმობს, რომ კ. ლორთქიფანიძე ხინდისის ქენჯნას განიცდიდა იმ პირველი ვარიანტის გამო? არ შეიძლება, არ განეცადა, რამეთუ ლექსის პირველ ვარიანტში გადმოცემული დამოკიდებულება ესენინისადმი ნაკარნახევია არა ქართველი პოეტის უშუალო განცდით, არამედ კომპარტიის იმდროინდელი ლიტერატურული პოლიტიკით. ესენინის შემოქმედებისადმი კომპარტიის მაშინდელი დამოკიდებულება, ბუხარინის პირით, ამგვარად გამოითქვა:

„...ესენინშინა“ მთლიანად — ეს არის საწინააღმდეგო შეპუღრული, ურცხვად შეფერუმილი, ლოთური რუსული დედისგინება, ლოთური ცრემლებით მაგრად დახველებული და ამიტომ უფრო მეტად საწარელი, უცნაური ნაწავი „ხვადი ძაღლისა“, „ხატებისა“, „ქიქიანის დედაკაცებისა“, „წმინდა ხანლისა“, მთვარისა, ძუძუნებისა, უფალ-ღმერთისა, ნეკროფილებისა და ლოთური ცრემლების სიუხვისა; ეს არის ნაწავი „ტრადიკული“ ლოთური სლოკინისა, რელიგიის, ხულიგნობის, ცხოველებისადმი „სიყვარულის“ და ადამიანისადმი, განსაკუთრებით ქალისადმი ბარბაროსული დამოკიდებულებისა; ესაა ნაწავი უმწეო ცდებისა „ჯართო გაქანე“

ბისადმი“ — უბრალო დუქნის ოთხ ფრიად ვიწრო კედლებს შორის, ნაწავი თავაშვებულობისა, რომელიც პრინციპის სიმალღეწეა აყვანილი. და ყველაფერი ეს იფარება მოხალისე კვანძისა და სიხარულითის ხაზარველ ქვეშ. აი, რა არის „ესენინიშინა“.

როგორც ხედავთ, კ. ლორთქიფანიძემ შექანიკურად გადაიტანა ლექსში ესენინისადმი კომპარტიის დამოკიდებულება. მაგრამ დროთა განმავლობაში ნათელი გახდა, რომ კომპარტიის ლიტერატურულ პოლიტიკას შეუძლია აიძულოს ესენინი, თავი მოიკლას, ფიზიკურად გაანადგუროს იგი, მაგრამ უძლურია დაამარცხოს ესენინი, როგორც პოეტი. პოეტმა ესენინმა გაიმარჯვა. კომპარტია იძულებული გახდა შეეცვალოს მისადმი დამოკიდებულება. იგი რუსული პოეზიის დიდოსტად აღიარეს. ნაცადი ზერხი გამოიყენეს: ესენინის ადრინდელი ლანძღვა-გინება ცალკეულ პირებს გადაბარალეს; მათ შეცდომად მონათლეს. ახლა გამარჯვებული ესენინისადმი უარყოფითი დამოკიდებულება გამოირიცხებოდა. კ. ლორთქიფანიძეც კმნის ლექსის ახალ ვარიანტს, ხადაც ესენინი აღარ არის შეურაცხყოფილი.

ახე ჩააყენა ლიტერატურის პარტიულობის პრინციპმა კ. ლორთქიფანიძე უზერხულ მდგომარეობაში. მკითხველმა აღარ იცის, ლექსის რომელ ვარიანტზეა კ. ლორთქიფანიძე წევობრივად პასუხისმგებელი — პირველმა თუ უკანასკნელზე? როდის გამოთქვა პირადი აზრი — 1928 წელს თუ 1978 წელს? ალბათ, 1978 წელს, მაგრამ ეგზომ დიდმა დაგვიანებამ პოეტის გრძნობას აზრი და შინაარსი დაუკარგა.

ეს არ არის ცალკეული შემთხვევა. ყოველი ხაბჭოთა მწერალი (ხელოვანი ხაერთოდ) ასე იქცევა.

ლადო გუდიაშვილს ერთხელ გრიგოლ რობაქიძის პორტრეტი დაუხატავს. ტიციან ტაბიძის სიტყვით „ეს არის უდიდესი, რაც შეუქმნია ლადო გუდიაშვილს. გრიგოლ რობაქიძე არწივის თავით, რომელსაც გადმოსდის ტვინი ბაღდაშვით და შუბლი შედრეკია ისე თითქმის მაცხოვარს ჩასცემა ლახვარი“¹ მერე გრ. რობაქიძე ემიგრაციაში წავიდა. მის წინააღმდეგ პაფფლტეტი — „გველის პერანგოსანი“² — დაწერა კომუნისტმა პუბლიცისტმა გრიგოლ მუშიშვილმა. ეს წიგნი მხატვრულად ლ. გუდიაშვილმა გააფორმა. მხატვარმა გრ. რობაქიძის

თავს ქვეწარმავლის ტანი გასწავს და მწერალი გველად გამოიყვანა.

როდის იყო გულწრფელი ლ. გუდიაშვილი — მაშინ, როცა არწივისთავიანი გრ. რობაქიძე დახატა, თუ მაშინ, როცა გველისტანიანი გრ. რობაქიძე გამოსახა?

რა თქმა უნდა, ლ. გუდიაშვილმა თავის გულისნადები მაშინ გამოთქვა, როცა არწივისთავიანი გრ. რობაქიძე დახატა, ხოლო როცა გველისტანიანი გრ. რობაქიძე გამოსახა, მაშინ მხატვარი კომპარტიის განკარგულებას ასრულებდა. სხვა გამოსავალი იმ დროს ლ. გუდიაშვილს არ ჰქონდა. მისი სიცოცხლეც ბეწვზე ეკიდა. როგორმე თავი უნდა გადაერჩინა.

თვითონ გრ. მუშიშვილი ბედიც ნათლად გვეუბნება: „რა მძიმე იყო ყოველი ადამიანის ცხოვრება“.

გრიგოლ მუშიშვილი ადრე სოციალ-დემოკრატიისტი იყო. მერე ბოლშევიკების ხანაში გადაბარგდა. პროლეტარიატისთვის ერთგულების დამტკიცება გვარის შეცვლითაც გადაწყვიტა. ნამდვილი გვარი ხოფერია — მუშიშვილად შეიცვალა, მუშათა კლასის პატივისცემის ნიშნად. სხვებსაც მოუწოდებდა აქეთკენ. „ეული! — საყვედურობდა გრ. მუშიშვილი ხანდრო იულს — როგორ შეიძლება პროლეტარული პოეტი ეული, ე. ი. განმარტობული; განცალკევებული; გარიყული იყოს პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში? ნ. ზომლეთელსაც და ეულსაც აქვთ საუცხოო ნამდვილი გვარი „პროლეტარული ბუნების“; ქურიძე, ქურა ქარხნის ელემენტია და დიდი ფიქრია ხაქირო, ნამდვილი გვარი კი არა, ანალოგიური ფსევდონიმი გამოიგონო მწერალმა“.¹

მინც არაფერმა უშველა. 1987 წლის 17 აგვისტოს საქართველოს მწერალთა კავშირის კრებაზე ითქვა: „გრ. მუშიშვილი გამქვადვებული იქნა, როგორც ხალხის მტერი, ჯაშუშურ და დივერსანტულ ბანდის მონაწილე“.² იგი გაანადგურეს.

არის დრო, როცა მთელი ერი მიეცემა სასოწარკვეთილებას, აღარავის ხეცრა სამართლიანობის, პატიოსნების, კეთილსინდისიერების და მხოლოდ საკუთარ ტუავს უფრთხილდება ადამიანი. ასეთთა კომუნისტების დიქტატურის ეპოქა. ამ ეპოქაში გაბატონებულია ლიტერატურის პარტიულობის პრინციპმა ჩამოაყალიბა მწერლის ახალი ტიპი — მწერალი-ფლტეტი, რომელიც პოლიტიკური ქარის მიმართულებით ტრიალებს და ცხოვრობს დევიზით — აბა, ჩემო მანახეო, ხან ისე და ხან ასეო.

1 ქურ. „მნათობი“, 1927 წ., № 1. ნ. ბუხარინი — გესლიანი შენიშვნები, გვ. 183.

2 ქურ. „მეოცნებე ნიამორები“, 1923 წ., № 10, სტატია — „დადაიზმი და ცისფერი ყაწწები“.

3 იხილეთ გრ. მუშიშვილის წიგნი „გველის პერანგოსანი“, 1934 წ.

1 ქურ. „მნათობი“, 1928 წ., №8-9. გრ. მუშიშვილი — „პროლეტარული მწერლობის დასაცავად“, გვ. 172.

2 ლესა, ფონდი 8, აღწ. I, საქ. 600. ფურც 7-8-9-10-11-12, ოქმი № 5.

გმირობა დიდი, იშვიათი და განსაკუთრებული ნიჭია. უწინაესი იშვიათად იძლევა მას და სრულიად არ არის აუცილებელი უკველი კაცი; მით უმეტეს, მწერალი, გმირი იყოს. ხაერთოდ, მწერალი ემოციური, 'უსტი არსებაა და იოლად ემორჩილება განკარგულებას. ძალადობის წინაშე ისეთმა ადამიანებმაც კი მოიდრიკეს ქედი, როგორც იყვნენ გალილი, რადიშჩევო, რილევი და სხვანი. სამოქალაქო გმირობა უადრესად იშვიათი მოვლენაა. თუ იგი ვინმემ გამოავლინა, ეს ბუნების სასწაულად უნდა ჩათვალოს. დემეტოს მადლობა შესწიროს და გაჩუმდეთ. ჩვეულებრივ კი მწერალს ღმობიერად უნდა მოექცე. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, სიმართლე და მართა, ტუული ილაპარაკო და ამა თუ იმ პიროვნებას ის მიაწერო, რაც იგი არ არის. ვალტაბიძის დაწერილმა თორმეტ ტომში მოიყარათვია (როცა უველაფერი გამოიცემა, მეტიც გამოვა). მაგრამ ამ თორმეტიდან ნამდვილი პოეზია ორ ტომში დატევა. დანარჩენი მაკულატურაა, რომელიც ვალაკტიონის ბადალ პოეტურ ნიჭიერებას კი არა, უბრალო უნიჭობას არ ეკადრება. ეს იმიტომ მოხდა რომ ვალაკტიონი გმირი არ იყო. სრულიად საქმარისია, რომ იყო გენიალური პოეტი. ამ გენიალურმა ნიჭმაც ვერ გაუძლო სკკპ ძალდატანებას და საკუთარი შემოქმედება ერწასტეკსებით გაავსო. ეს ტრავიკული მაგალითი ნათლად მეტყველებს ერთ ჭეშმარიტებას — საზოგადოება ისე უნდა მოეწყოს, რომ ადამიანი არ იყოს იძულებული სინდისს უღალატოს. კომუნისტებმა კი საზოგადოება ისე მოაწყვეს, რომ არსებობა თუ გინდა შეინარჩუნო, აუცილებლად ნამუსი უნდა გაყიდო. ამან გამოიწვია ქართული მწერლობის წინეობრივი დაქვეითება, რისი უშუალო საფუძველიც ლიტერატურის პარტიულობის პრინციპია.

111

ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი და მწერლის აბტიური საზოგადოებრივი როლი

დღევანდელმა მკითხველმა აღბათ არ იცის, რომ იყო დრო, როცა არსებობდა ე. წ. მუშათა გაწვევა მწერლობაში. რას ნიშნავს ეს?
„პროლეტარული მწერლობის ბოლშევიზაცია და რიგების გამუშურება ზვენი გენერალური ლოზუნგია, დამკრეფ მუშათა ბირთვის ზრდა — ამოცანათა ამოცანაა, ამ მიზნითაა წამოწყებული დამკრეფი მუშების გაწვევა პროლეტარული ლიტერატურაში“ — იძლევა პახუხს კრიტიკოსი ვალერიან ლუარსაბიძე.¹

კონსტანტინე ლორთქიფანიძე დასტურებს მის მიზანი იყო „გველოდა მრავალრიცხოვანი დაშქარი უპარტიო მწერლებთან საბრძოლველად“.¹

დღევანდელმა მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ მაშინდელი პოლემიკის ენაზე „უპარტიო მწერალი“ ნიშნავს ნამდვილ მწერალს. დასკვნა მკაფიოა: მწერალთა რიგებში მუშების გამრავლებით უნდა მოეკლათ ნამდვილი მწერლობა. ნათლად არის გამოსატული მარწმის: მწერლობა არ არის ნიჭიერება. არ არის აზროვნება. იგი არის პროპაგანდა. პროპაგანდა კი შეუძლია ყველას, ვინც იცის წერა-კითხვა და ესმის მოცემული დირექტივის აზრი და მიზანი. სიტყვა-კაშმულ მწერლობას ენიჭებოდა სკკპ აბტიუნიტის ფუნქცია.

პირველი ზუთწლედის მესამე გადამწვეტი წემლი (ეს კომპარტიის სამეტყველო ენა) წარმატებით რომ დაემთავრებინათ, ქ. ტულის № 1 ქარხნის მუშებს მოწოდებით მიუშართავთ მშრომელებისათვის. ამ მოწოდებას დიდი აზბით გამომხმარებია ქართული მწერლების კრებაც.

ამ კრებაზე „ორატორებმა აღნიშნეს, რომ ტულის მუშების მიმართვა წარმოადგენს უდიდესი მნიშვნელობის ფაქტს. ტულის მოწინავე პროლეტარების ძახილი განსაკუთრებით იმიტომაც უფროა საყურადღებო, რომ ის უშუალოდ მოდის მუშათა წიალიდან და გამოსატავს ყველა პათიოსანი მშრომელის გულისთქმას“.


ტულები მუშების პახუხად კრებას დაუდგენია:

„მწერალთა კლუბთან გაიმართოს სოციალისტური მშენებლობის უკველი დარგის მიღწევათა გამოფენა დიავრამების სახით; მოეწყოს სოცმეგიბრის კაბინეტი; დაარსებული იქნეს „518“ ქარხნის და „1040“ სატრაქტორო სადგურის სახელობის მწერალთა ბრიგადები, რომლებიც იმუშავებენ საწარმოებში და კოლექტივებში. ამ ბრიგადებს ევალებათ დღემდე არსებულ სუსტად მომუშავე მწერალთა ბრიგადების ბუქსირზე აყვანა; მწერლებს შორის გამოცხადდეს სოცმეგიბრება სოციალისტური მშენებლობის პროცესების და მუშათა ახალი ყოვაცხოვრების საუკეთესოდ ასახახავად; გამოიცეს სქელტანიანი კრებული, რომელშიც მხატვრულად გაშუქებული იქნება სოციალისტური მშენებლობის მიღწევები; კრება ვალათ იღებს აწარმოოს პრაქტიკული მუშაობა ამხ. სტალინის ლოზუნგის „დავეუფლოთ ტექნიკას“ განახორციელებლად“.²

შემოქმედება გაიგივებულია აგურის დამზადების პროცესთან. მწერალი მიჩნეულია მებამ-

1 „ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ., 10 ივნისი: კ. ლორთქიფანიძის სიტყვა.
2 ეურ. „პროლეტარული მწერლობა“, 1931 წ., № 3, გვ. 154-155.

1 ეურ. „პროლეტარული მწერლობა“, 1931 წ., № 1-2, გვ. 123.
9. „მნათობი“, № 5.



ლედ, რასაც შეუკვეთავ, იმას რომ დაგიშვადებს. ამ დამოკიდებულების შედეგია ის, რომ ხშირად იწვევდნენ კრებებს და მწერლებს ტყავს აძრობდნენ, რატომ არ წერთ, გეგმებს რატომ არ ასრულებთო. ერთ-ერთი ასეთი კრება მოუწვევიათ 1987 წლის 28 ივლისს, რომელზეც თორმეტი მწერალი გააბარეს კრიტიკის ქარ-ციცხლში პროდუქციას რატომ არ იძლევიანო.¹

როგორც ცნობილია „ოთარანთ ქვრივის“ შემდეგ, თუმცა კიდევ ოცი წელიწადი იცოცხლა, ილიას მხატვრული ნაწარმოები არ დაუწერია. ახლა წარმოიდგინეთ, ხელისუფლების ვანკარგულებით კრება მოეწვიათ და ილია გაელანძღათ, რატომ არაფერს წერ, გეგმას რატომ არ ასრულებთო... ეს ხომ გაუგონარი სისულელეა. ჰოდა, ეს გაუგონარი სიბრყვე საბჭოელი მწერლის ყოველდღიური ცხოვრებაა.

იმის გამო, რომ დღეს აშკარად არ იწვევენ მუშებს მწერლობაში, ნურავინ იფიქრებს — სიტყვაკაშშული ლიტერატურისადმი დამოკიდებულება შეიცვალა. დამოკიდებულება იგივე დარჩა, შეიცვალა მისი გამოვლენის ფორმა. ფორმის გამოცვლა ორი მიზეზით მოხდა. პირველია ის, რომ მუშათა გაწვევამ არ გაამართლა. მაგალითად, 80-იანი წლების ბოლოს მწერლობაში გაწვეული 280 მუშიდან მწერალთა კავშირის წევრად მხოლოდ ორი დარჩენილა.² დანარჩენი ისევ ქარხანაში დაბრუნებულა. მწერლობას საკუთარი ხელობა ამგობინა. მეორეა ის, რომ გაწვევამ ფუნქცია დაკარგა, რაჟი მწერლობა დაიორგუნა და დათანხმდა აგიტპუნქტში თანამშრომლობას.

1980 წლის 28 სექტემბერს ვაწეთმა „კომუნისტმა“ გამოაქვეყნა ინფორმაცია — „მევენახე და პოეტი — ერთ მწყობრში“. იგი გვაუწყებდა, რომ იქ, „სადაც ზუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმების შესრულების ბედი წყდება“ გაუმგავარნენო მწერლები. ამ მგზავრობას „დიდი შთაბეჭდილება“ მოუხდენია და მის შედეგსაც დაუყოვნებლივ გავცეცანით 25 სექტემბრის „კომუნისტში“.

„რთველშია მთელი კახეთი,
იმხელა მოსავალია,
— გადამრევ, შინჯიაშვილო,
ნუთუ სტუმრისთვის გცალია?
— მცალიან კარგი სტუმრისთვის,
მგოსნები მიყვარს ძალიან.
რაჟი ამაგი დაფასდა,
პაი-პაი, რომ მცალიან...“

ამას ეწოდება, ლიტერატურის პარტიულობის

1 ლხცსა, ფონდი 8, აღწ. I, საქ. 600, ფურც. 5-6. ოქმი № 4.

2 „ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ., 10 ივნისი.

პრინციპის თანახმად, მწეტელოტი...
ზოგადობრივი როლი.

მწერლობა — აგიტპუნქტის შექმნას უწყობდა ხელს მოწოდებაც კოლექტიური შემოქმედებისაკენ.

1986 წლის 24 მაისის „ლიტერატურული საქართველო“ ვაზარებული იუწყებოდა — ნ. მიწიშვილი, ტ. ტაბიძე და ს. ჩიქოვანი ერთად წერენო პოემას „სამშობლო“. ვაწეთი დახძენ: „პროლეტარიატის უდიდესი დღესასწაულისათვის მწერლების ასეთი კოლექტიური მუშაობა საუკეთესო საშუალებაა დიდი მხატვრული ტილოების შესაქმნელად“.

მწერალთა ერთ-ერთ კრებაზე კ. ლორთქიფანიძეს უთქვამს „პ. იაშვილმა და ა. მაშაშვილმა ერთად დაწერეს ლექსი ამხ. სტალინისადმი მიძღვნილი და ეს ლექსი ისე ორგანულად არის დაწერილი, რომ ვერ გაარჩევ სად თავდება ერთი ავტორი და სად იწყება მეორე“.

დღეს ეს სიტყვები შეიძლება გონებაგახსნილ მკითხველს მწარე ირონიად მოეჩვენოს. როგორ უნდა გათქვეფილიყო ერთმანეთში ორი ძირეულად განსხვავებული პოეტი — ცისფერყანწილი პაოლო იაშვილი და პროლეტმწერალი ალიო მაშაშვილი? ეს გათქვეფა ხომ მათი პოეტური ინდივიდუალობის, თავისთავადობის სიკვდილს მოასწავებდა! ცხადია, ამას ნიშნავდა, მაგრამ კომპარტიის ამოცანაც ეს იყო: წაეშალათ მწერლის ყოველგვარი ინდივიდუალობა, თავისთავადობა და მიეცათ უსახო, უფერული კოლექტიური გამომეტყველება. ამიტომ კ. ლორთქიფანიძის სიტყვებში ირონია კი არ არის, არამედ შეწინებული კაცის თანხმობა, ვისაც ვერ გაუბედავს, ხმა ამოიღოს უაზრო მოთხოვნის წინააღმდეგ. კ. ლორთქიფანიძე თავად რომ ყოფილიყო კოლექტიური შემოქმედების მომხრე, მაშინ არ ეცდებოდა, რაც შეიძლება მკაფიოდ გამოეკვეთა საკუთარი მწერლური პროფილი.

კოლექტიური შემოქმედება ყველაზე ნათლად ვლინდებოდა გალექსილ მიმართვებში.

როგორც იცით, სკკპ საქმიანობაში დამკვიდრებულია წესი, რომლის თანახმად, კომპარტიის ყოველი ადგილობრივი პლენუმი, კონფერენცია, ყრილობა უგზავნის წერილს სკკპ ცკ-ს, მის გენერალურ მდივანს. წინათ ეს მიმართვა-წერილები ილექებოდა.

სანიშნულად ასეთი გალექსილი მიმართვები შეგიძლიათ წაიკითხოთ 1988 წლის 10 იანვრის „ლიტერატურულ საქართველოში“, 1947 წლის 11 ნოემბრის ვაწეთ „ლიტერატურასა და ხელოვნებაში“, 1986 წლის „მნათობის“ მე-12 ნომრში და სხვაგან. იმდროინდელი პრესა გადაქრლებულია ამ გალექსილი მიმართვებით. მათი

1 გაზ „ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ., 20 მარტი.

პოეტური ღირებულების საჩვენებლად გაგაცნობთ ჩამდენიმე სტრიქონს.

„ინდუსტრიის მხარედ იქცა ჩვენი კუთხე
მოსაწონი,
ტყვარჩელი და კიბითრა, ტყიბული და
ზესტაფონი,
აბრეშუმის ქარხანა თუ ქუთაისის
ლიტოპონი,
ელექტრონით მოქარგული საქართველოს
მიღაპონი.

ოცდაათს ათასს აკარბებს მასწავლებელი
სოფლისა,
არის რვაასი ათასი მოწაფე, თვალი
მშობლისა,
მეცნიერი და სტუდენტი, საბჭოთა დიდი
სკოლისა,
რა არმია დიადი! სიხალისეა შრომისა“.¹

ლიტერატურული კრიტიკა აღტაცებული იყო ამგვარი პოეზიით.

„ქართული პოეზიის უდიდეს მიღწევას წარმოადგენს პოეტების მიერ საბჭოთა საქართველოს 16 წლისთავზე ლექსად გადმოცემა „საბჭოთა საქართველოს მწერალთა წერილისა ხალხთა ბელადის დიდი სტალინის მიმართ“. ეს წერილი „რომელიც ქართული საბჭოთა პოეზიის ოქროს ფონდში შევა. მოწმობს ქართული საბჭოთა ლიტერატურის უდიდეს ზრდას და ამავე დროს წარმოადგენს სოციალისტური სამშობლოს და ახალი ცხოვრების შემოქმედის ამხანაგ სტალინის ერთგულ მწერალთა კოლექტიური შემოქმედების შესანიშნავ ნიმუშს“.²

არც ეს გალექსილი მიმართვები შევიდა საბჭოთა პოეზიის ოქროს ფონდში და ვერც კრიტიკოსმა დაუმტკიცა ერთგულება კომპარტიას. 1987 წლის 17 ოქტომბერს დ. დემეტრაძე, როგორც „გამომეღვაწეებულ ხალხის მტერი“ გარიცხეს მწერალთა კავშირიდან და გაანადგურეს.³

სამწუხაროდ, ათეული წლები დასჭირდა იმ ელემენტური ჰუმანიტების აღიარებას, რაც ყველა დროში, ყველა კვიანაში იცოდა ყველა მწერალმა.

Коллективно нельзя создать ни «Войну и мир», ни «Братьев Карамазовых».

1 ეურ. „საბჭოთა ხელოვნება“. 1939 წ., № 12. გალექსილია ა. მაშაშვილის, გ. ლეობიძის, ი. მოსაშვილის, ს. ჩიქოვანის, ირ. აბაშიძის და კ. კალაძის მიერ.

2 გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ., 15 მაისი.

3 ლესა, ფ. მ. აღწ. 1, საქ. 600, ფურც. 20 23-24-25. ოქმი № 9.

4 „ლიტერატურნაია გაზეთა“, 1979 წ., 30 მაისი, ი. ბონდარუვის სიტყვა.

ни рассказов «Архиерей» Чехова, «Травой травой» Бундина.

მართალია, კოლექტიური შემოქმედებისაკენ მოწოდებას სკა თავი დაანება. მაგრამ მწერლისაგან ერთგულებისა და შორილების ფიცს კი ურყევად იხოვს. მწერლობაც დებს ამ ფიცს.

„...სიტყვა, რომელიც წარმოთქვა ამხანაგმა ელუარდ შევარდნაძემ ურილობათა დიდ დარბაზში, პატრიოტიზმის ბრწყინვალე ნიმუშად მიმაჩნია!

მაგრამ მე ახლა კი არ ვაქვბ მას, ქართველი მწერლების სახელითა და დავალებით უბრალოდ ვულოცავ სოციალისტური შრომის გმირის მაღალ წოდების მინიჭებას, მანაც ხომ მომიღოცა ლენინური პრემია! ეხეც რომ არ იყოს, მის გმირობას ქალიან-კაცთანად მთელი საქართველო ჩემულობს და ჩვენ. მწერლებმა, რალა დავაშავეთ!

...საერთოდ, იმ ბედნიერ დედას გაუმარჯოს, რომელიც სამშობლოს ასეთ შვილს გაუზრდის“.⁴

„უამთლმწერელმა ხამს უკვდავოს
ოცდამეექვსე!
ქამთლმწერელი ხომ შენა ხარ, ძეაო
მელექსეც,
მაშ, დაქექ წერად ამ ფიქროთაგან
განუშორებლად,
რაც ელვარებს. შექმნილია გამრგებ
ხელებით,
და გაამდიდრე, გაამდიდრე „ქართლის
ცხოვრება“
ამ ლამაზ დღეთა ჯადოსნური
ამეტყველებით“.²

განა ეს სტრიქონები რითიმე განსხვავდება აღრე გავრცელებული გალექსილი მიმართვებისაგან?

„...მომავალშიაც მჭიდრო კავშირში ვიქნებით ჩვენს ხალხთან და ჩვენს პარტიასთან. პარტიისა და მწერლობის საქმე განუყოფელია“.³

„გადამლილი დევს „მცირე მიწა“ ჩემს
მაგიდაზე,
ეს ცეცხლოვანი სტრიქონები კვლავ
გამიტაცებს.
„ლორძინებას“ ვკითხულობდი გუშინწინ
ღამით
და აი ახლა შთაგონებით ჩაეკერო
„უამორს“.

1 გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1981 წ., 31 მარტი.

2 გაზ. „კომუნისტი“, 1981 წ., 30 იანვარი. ლექსი ეძღვნება საქართველოს კ XXVI ყრილობას.

3 გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1981 წ., 9 იანვარი.



ბრძოლის,
შენების,
გამარჯვების,
ცხოვრების
წიგნებს

კითხულობს ხალხი — მებრძოლი და
აღმშენებელი...¹

ლენინი და სტალინი და ბრენენია და ერთი
მთლიანი ციკლია ერთმანეთს დაკავშირებული.

აგიატაციის დროს ეს ერთგულდება გამოწვე-
ულია იმით, რომ ყოველმა საბჭოელმა მწერა-
ლმა უკვე შედგენილი იყოს — როგორც უნ-
და შეიცვალოს სკკპ ლიტერატურისა და ხე-
ლოვნების დამოკიდებულება, იგი არასო-
დენს დაუშვებს აწარმოების თავისუფლებას და
არც აწარმოების კონტროლს შეწყვეტს. გინდა
თუ არა, თუთიყუშისთვის ის უნდა გაიმეოროს, რა-
საც გობრძანებენ.

ნადეჟდა მანდელშტამი წიგნში — „Воспо-
минания“ — წერს:

„უკანასკნელი წვეთი, რომელმაც მას (ანდრეი
ბელის — ა. ბ.) ცნობიერება მოუწამლა, იყო
კამენევის წინასიტყვაობა. იგი დაურთეს მის
წიგნს გოგოლის შესახებ. ეს წინასიტყვაობა
გვიჩვენებს, როგორც უნდა შეტრიალდეს შინა-
პარტიული ურთიერთობა, სულერთია, აზრის ნო-
რმალურ განვითარებას მიიწე არ დაუშვებენ.
მოვლენათა ნებისმიერი შემობრუნების დროს,
აზრის აღწერისა და მასზე შეურყვარების იდეა
მიიწე დარჩება საფუძველთა საფუძველად. აი,
გზატყეპალი, გვიხარებს ჩვენ და, თუ იგი გა-
ვიყვანეთ, რატომ უნდა იმგზავროთ შუკებით?..“
(გვ. 148).

გზატყეპალად სკკპ ცკ დადგენილებანია მიჩ-
ნეული. მწერალიც ვალდებულია მხოლოდ და
მხოლოდ ამ გზით იაროს. მაშინ იქნება იგი
საზოგადოებრივად აქტიური. არ უნდა დაინა-
ხოს განსხვავება აგიატაციის თანამშრომელსა
და საზოგადო მოღვაწეს შორის. მთელი ლენინი-
ადა, სტალინი და, კოლხოზი და, სამგორი და,
შაჰესი და, ბერი და, ბაში და, ენგურა და,
ყურძინა და ჩაის მოკრეფი და ეკუთვნის აგიატ-
აციის და არაფრით არ უკავშირდება არც სი-
ტყუარა და ლიტერატურას და არც მწერლის
საზოგადოებრივ აქტიურობას. მწერლობის აქ-
ტიური საზოგადოებრივი როლი მაშინ შელავ-
დება, როცა ლიტერატურა დაჩაგრულის დასა-
ცავად ებრძვის ხელისუფლების თვითნებობას.

როცა 1924 წლის აგვისტოში ქართველი ხალ-
ხი სისხლით იცლებოდა, ჩვენს მწერლობას არ
შქონდა საშუალება პროტესტი გამოეთქვა. ხო-
ლო პროლეტლიტერატურა ფარისევლობდა —

„როდესაც გინახავს! ეხლა გინახავს! ნაკრები
ველოსი არ ითვლება“.¹

როცა 20-იანი წლების ბოლოსა და 30-იანის
დასაწყისში მშრომელ, გამრჩე გლეხობას კუ-
ლაკებს ეძახდნენ და ციხეში მიიყვანებდნენ.
მაშინაც ხელფეხმკრული იყო მწერლობა, კომ-
პარტია ავალბდა ხოტბა მუქთახორებისთვის
შეესხათ. ამის საბუთია რომანები „ძახილი მთა-
ში“, „ლელო“, „ჩაი“, „მამამ გამოგზავნა“ და
სხვანი, რა დღეში იყო მშრომელი. მუყაითი
გლეხი ნათლად არის დახატული მიხეილ ჭავჭავიშ-
ვილის „დამპატივეში“.

მშრომელი გლეხის წინააღმდეგ ბრძოლის შე-
დეგად ეს მდგომარეობა მივიდეთ:

„ჩემი ბავშვობა და სიჭაბუკე არასოდეს არ
დაშორებია იმერეთის სოფელს. ახლაც თვალწინ
მიდგას იმერელი გლეხის ძველი კარმიდამო, რა-
გინდ გაქრებული უნდა ყოფილიყო ჩვენებუ-
რი კაცი, ორი თუ არა, ერთი შეწველი ძროხა
მიიწე დაუდიოდა ოჯახში, ჰყავდა თბა და ღო-
რი, მრავალა — შინაური ფრინველი.

ახლა რომ ჩავუარე სოფლის ეზოებს, მართა-
ლი ვითხრათ, ცოტა გულო დამწყდა. ის ეზო-
ები ნახევრად დაცარიელებული მეჩვენა. ძრო-
ხა ძალიან იშვიათად სჩანდა, შინაური ფრინვე-
ლიც შეთხელებულიყო, თხის წვეტიანი რქებიც
სღარხად დამინახავს, არც კარმიდამოში და
აღარც ეკალ-ბარდში“.²

როცა 35-38 წლებში უდანაშაულო ადამიან-
თა ხანაკლო მოაწყვეს; მწერლობას ევალებო-
და ამ ტერორის ორგანიზატორებისათვის ემ-
ღერათ.

„— აქ ვის ანდობთ გულის ნადებს
და ქართველი ხალხის საქებს!
— ბერიას ჩვენს მოამაგეს, —
სტალინური რკინით ნაკედი!“³

ანდა
„იყავ დღეგრძელი და როცა ქვეყნად
მოვა ოქტომბრის წელი სამოცი,
გვემღეროს შენთვის კვლავ ასე ერთხმად
შარი, ხოტბა და მისალოცი“.⁴

ახე იყო მომდევნო წლებშიც, ასეა დღესაც.
როცა 1958 წლის მარტში, კომუნისტური
პროპაგანდით გონდაზინდულმა ახალგაზრდობან
პაწია ჭანყი მოაწყუო, ისინი ისე გაუთუებ, ხე-
ლიც არავის აკანკალებია. არც ის გაუთვალის-
წინებიათ, რომ ისინი „მხოფლიო პროლეტარი-

- 1 კ. ლორთქიფანიძე — „პირველის შემდეგ“ (ლექსები). 1927 წ., გვ. 28.
- 2 კ. ლორთქიფანიძე — „სოფელი ღონიერიო თუ კაცი გონიერიო!“ გაზ. „კომუნისტი“, 1979, 14 აპრილი.
- 3 გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ.
- 4 გაზეთ „ლიტერატურული საქართველო“ 1937 წ., 5 ნოემბერი.

1 კურ. „საქსკარ“, 1980 წ., № 5.



ატის ბელადის, ბრძენი მამისა და მასწავლებლის" ლირების დასაცავად იბრძოდნენ. ბავშვებს არ შეეძლოთ მიმხვდარიყვნენ, რომ 80 წლის მანძილზე ნაშლერ-ნაწერს ქება-დიდება თვალთმაქცობა და შტკანარი სირიუე იყო. ეს დაზოცილი ბავშვები ისე ჩაყარეს მიწაში, რომ მშობლების გარდა, არავინ უწყის, სად არის მათი განსასვენებელი. მწერლობამ მაშინ ვერ გამოთქვა პროტესტი.

სამაგიეროდ აიძულებდნენ უხვად ეფრქვიათ: ცრემლები აწიაში, ლათინურ ამერიკაში თუ აფრიკაში მომხდარი უსამართლობის გამო. ეს ძალადობა იმისათვის იყო საჭირო, რომ სოციალიზმის არსებობა მხოლოდ ტერორის გზით არის შესაძლებელი. საკმარისია, ოდნავ შემსუბუქდეს ტერორი, რომ სოციალიზმი მაშინვე დაემშოს. ნუთუ არაფერს ეუბნება მას უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის ამბები? თუ დღეს ყველას დასანახად არ არის გაჩაღებული ლიანგური ხოცვა-ჟლეტა, როგორც ეს 80-იან წლებში იყო, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ დაბრეკებული საბჭოთა ხალხი მუშასაქონლის მოთმინებით ეწევა უღელს. ხმას აღარ იღებს და რატომ უნდა გაუფუროს აბა, კინტი დაძრას, ისეთ დღეს დააყრიან, რომ 1987 წელი დღვის წყალბად მოეჩვენებათ.

დაფიქრდით, მთელი მსოფლიო ირყევა მანიფესტაციებით, დემონსტრაციებით, მიტინგებით, გაფიცვებით, ერთადერთი ქვეყანა, სადაც სამარისებური სიწყნარე და დუმილია, სსრკ-ია. ნუთუ 24 მთლიანი კაცი ისეა კმაყოფილი კომუნისტების მმართველობით, რომ სხვა აღარაფერი უნდა, გარდა თვჩაქინდრული, უხმო მუშაობისა? ცხადია, არა, მაგრამ ტოტალურმა სახელმწიფო ტერორმა პირუტყვად აქცია. ძველ რომში მონას „ინსტრუმენტუმ ვოკალეს“ — მოლოპარაქე ინსტრუმენტს — ეძახდნენ. სსრკ-ში ვოკალეც აღარ არის. უბრალოდ ინსტრუმენტია. იმდენად დაჩლუნგდა ჩვენი შეგნება, რომ როცა 7 ნოემბერს ან პირველ მაისს, ჭოხის ცემით გამოჩვენებენ ხალხს ქუჩაში და ააქულოპინებენ, ზემი და დღესასწაული გვგონია!

საბჭოთა მოქალაქის მდგომარეობას დიდებულად გამოხატავს ერთი ანეგდოტი.

ამერიკელ თურნალისტს უციოხავს საბჭოთა თურნალისტისთვის — რატომ არაოდეს არ გამოქვეყნდეს საბჭოთა მოქალაქე პროტესტს? საბჭოთა თურნალისტს მიუგია — უველაფრით კმაყოფილია და არც საპროტესტო აქვს რაიმე. არ დაუჭერებია ეს ამერიკელს. დაუთინია — ხელისუფლება არ აძლევს პროტესტის უფლებას. მაშინ საბჭოთა თურნალისტს წაუყვანია მუშებთან ამერიკელი და მიუშართავს — აი, თვითონ გახიჩვეთ, გამოთქვამენო თუ არა პროტესტს.

ამერიკელს გადაუწყვეტია მუშებთან გალიონება და უთქვამს — ყველას ხელფასი უნდა დაგაკლონო. საშინელი ტაშისცემა და „ვაშას“ ყვირილი ატეხილა. გაოცებულ ამერიკელს დაუმატებია — საერთოდ ყველას ხელფასი უნდა წაგართვანო. ისევ ტაშისცემა და „ვაშას“ ყვირილი. მთლად დაბნეულა უცხოელი — სამსახურიდანაც და ბინიდანაც უნდა გაგუარონო. ამაზეც ტაშისცემითა და „ვაშას“ ძახილით გაყრუებულა იკაურობა. უკანასკნელი ღონე მოუკრებია ამერიკელს და დაუყვირია — ხვალ ყველანი უნდა ჩამოგაბრჩონო. ისევ „ვაშას“ შეძახილი და ტაში. მაგრამ მუშებს შორის ვილაცას ხელი აუწევია და სიტყვა უთხოვინია. ვადარეულა სიხარულით ამერიკელი — ეს მაინც განაცხადებო პროტესტს. წამომდგარა ის მუშა და უციოხავს — სახრხობელას თოკი ჩვენ მოვიტანოთ თუ პროფკავშირი მოგვცემსო.

სკკ მიერ ჩატარებულ ტერორს ერთი მიზანი და ამოცანა ჰქონდა — დაენერგა საყოველთაო შიში, საბოლოოდ დაეთრგუნა ყოველგვარი პროტესტის სურვილი, შეექმნა ტოტალური მორჩილების ატმოსფერო. ეს სრულად არის გამოცხადებული დღეს. ახლა სკკ მიზანი და ამოცანაა შეინარჩუნოს მიღწეული და კიდევ უფრო გააღრმავოს იგი. ეს არის პარტიის საქმე. ამით კომპარტია ხალხს გადააქცევს მუშა-საქონლად, რომელიც მორჩილად იზრომებს. ამ მიზანს მე-11 საუკუნეში ყოველი გონიერი ადამიანი მიხვდა. მაგალითად დოსტოვესკი. „Dcch“-ში ეს ცხადად ჩანს. მაგრამ, სამწუხაროდ, არის ეპოქები, როცა ადამიანი უგუნურებას უფლებს უფრს და ჩირად არ ავდებს გონიერებას. ასე დაემართა პროლეტარიატსაც.

IV

პარტიულობა და ლიტერატურის მუშანისტური პრინციპი

კაცობრიობის ისტორიამ გვიჩვენა, რომ არის მარადიული კონფლიქტი და არის წარმავალი, დროებითი კონფლიქტი.

მარადიული კონფლიქტია უნიკობისა და ნიკიერების, სილამაზისა და სიმშინჯის, ავადმყოფობისა და სიჯანსაღის, გონიერებისა და უგუნურების, კეთისა და უკეთობის, ძლიერებისა და უძლიერების, უნარიანობისა და უუნარობის და ა. შ.

დროებით, წარმავალ კონფლიქტს წარმოშობს ეკონომიური, პოლიტიკური, სოციალური, იურიდიული და ამგვარი მოვლენები.

დროებით კონფლიქტს შეუძლია გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს მარადიულ კონფლიქტზე, ელფერი შეუცვალოს, ნიუნსი, შტრინი მიუმატოს, დააჩქაროს ან შეანელოს, გააძლიერ-

1 ლიანგური — მასობრივი.

როს ან დასუსტოს, მაგრამ არ ძალუძს არსებითად შეცვალოს იგი.

რუსი მწერალი ალექსანდრე სოლჟენიცინი მიმართავდა სკკპ-ს — თუ ერთ უბედურ დღეს ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის ყინულის ლოდები დნობას დაიწყებენ და კაცობრიობას მსოფლიო წარღვა დაემუქრება, მაშინ ვისლა შეჩრთი ცხვირში თქვენს ყუბადღებულ კლასობრივ ბრძოლას?

მართლაც, ვისლა ეცლება მაშინ გაარჩიოს, ვინ არის ლარიბი და ვინ — მდიდარი, ვინ არის მუშა და ვინ — კაპიტალისტი, ვინ არის იდეალისტი და ვინ — მატერიალისტი?

ტექნიკურ-მეცნიერული პროგრესის წყალობით კაცობრიობა თერმობირთვული იარაღის პატრონი გახდა. იგი აქვს როგორც კაპიტალისტურ, ისე სოციალისტურ სამყაროს. ისიც განახსენებელია, რომ კაპიტალიზმს უფრო ადრე ჰქონდა, ვიდრე სოციალიზმს. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისათვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია სოციალ-პოლიტიკურ სისტემას. მეცნიერება და ტექნიკა განვითარების თავის გზით მიდის და სოციალ-პოლიტიკური სისტემა — თავის გზით. დღეს კაცობრიობის ბედი მეცნიერებას და ტექნიკაზე დამოკიდებული და არა ამა თუ იმ პოლიტიკურ სისტემაზე, თავი რომ გადაიჩინოს და არსებობა შეინარჩუნოს თერმობირთვულ იარაღს კაპიტალიზმში გამოიყენებს და სოციალიზმშიც. ერთიც გაწიარავს კაცობრიობას და მეორეც. ისევ მეცნიერება თუ იხსნის კაცობრიობას კატასტროფისაგან.

ამგვარ სიტუაციაში ვანა სასაცილო არ არის კლასობრივი, რელიგიური, პარტიული, ფილოსოფიური და ამგვარი წინააღმდეგობანი?

ეს საშინელი იარაღი ერთიანად ემუქრება ყველას და ყველაფერს.

რაცა ტურ ჰეიერდალმა პაპირუსის გუმით ატლანტის ოკეანე გადაცურა, მასთან თანამშრომლობდნენ სხვადასხვა ერის, სხვადასხვა რწმენის, სხვადასხვა მსოფლმხედველობისა და პარტიულობის ადამიანები. მაგრამ ამ სხვადასხვაობას სრულიად არ შეუშლია მათთვის ხელი ერთი, საერთოადამიანური საქმე ეკეთებინათ.

რაცა ადამიანს უკურნებელი სენი შეეპურება და გარდაუვალი სიკვდილი დაემუქრება, რალა მნიშვნელობა აქვს მის სოციალურ, ეკონომიურ, პოლიტიკურ თუ იურიდიულ მდგომარეობას?

არ არსებობის წინაშე შიშვლდება ადამიანი და ხელოვნურად გამოგონილი ყოველგვარი სამოსელი მნიშვნელობასა და ღირებულებას კარგავს.

ადამიანს ერთადერთი მტერი ჰყავს — უგუნურება.

კანის ფერიო განსხვავებული რასები ბუნებაში გააჩნია. უგუნურებამ კი ნაირ-ნაირი რასობრივი თეორიები მოიგონა და რასები ერთმანეთს დაუპირისპირა.

იმის მიყენება რომ თქვენის კანონზომიერების შესაბამისად დაადგენ ბული რასების თანაბარუფლებიანობა აღიაროს, უგუნურება ყველა ღონეს ხმარობს, მათ ერთმანეთი დააჩაგვრინოს.

სხვადასხვა ერთ ბუნებამ გააჩინა. თავისუფლება და თავისთავადობა მიანიჭა, უგუნურებამ კი ერთი ერის მიერ მეორის დაპყრობა, დაჩაგვრა, ასიმილაცია მოიგონა, იმის მაგიერ, რომ ყოველი ერის ბუნებით თანდაყოლილი თავისუფლება აღიაროს, უგუნურება ნაირ-ნაირ საშუალებას იგონებს ერთა წასაკიდებლად და გადასამტერებლად.

ნაირ-ნაირი ენაც ბუნებამ გააჩინა. უგუნურებამ ენების დიქრიმინაცია მოიგონა. იმის მაგიერ, რომ ყველა ენის აუცილებლობა და პატივისცემა აღიაროს, უგუნურება ცდილობს გააბატონოს რომელიმე ერთი ენა, დანარჩენი კი ჩაწიხლოს და მოსპოს.

ყოველი პიროვნება თავისუფალ ადამიანად ბუნებამ გააჩინა. უგუნურებამ კი სხვადასხვაგვარი ჩაგვრა მოიგონა — ეროვნული, სოციალური, პოლიტიკური, რასობრივი, იდეოლოგიური, რელიგიური და ა. შ.

ეს უგუნურებას სურს, იყოს ბუნების კანონზომიერებაზე ძლიერი და შეცვალოს იგი. დაუჭვემდებაროს მის მიერ გამოგონილ უპყუო სისტემებს.

რასაც ადამიანი მიწვდა და შეიცნო სამყაროში, მან გაგვაოცა პარმონიულობით, კანონზომიერებით, აუცილებლობით, მშვენიერებით და სამართლიანობით, მაგრამ რასაც ვერ მიწვდა და ვერ შეიცნო, მან შეაშინა და თავწარი დასცამოეჩენა ქაოტურად, უსამართლოდ, ბოროტად. თუმცა ელემენტური ლოგია ითხოვდა კითხვა დაგვესვა ასე: თუ ის, რაც შევიცანიო მარმონიული და სამართლიანია, რატომ უნდა იყოს ქაოტური და უსამართლო ის, რაც ვერ შევიცანიო? ლოგია ითხოვს ვიფიქროთ — ისიც, რაც ვერ შევიცანიო, ისევე სამართლიანი, კანონზომიერი, აუცილებელი, პარმონიული და მშვენიერია, როგორც ის, რაც შევიცანიო. ოღონდ სამართლიანი, მშვენიერი და მარმონიულია იმ შემოქმედის თვალთახედვით, ვინც ეს უთვალავ ფერიანი სამყარო შექმნა, რომელიც ყველგან არის, მაგრამ რომელსაც ადამიანი ყოველთვის ვერ ხედავს და ვერ წვდება. ამიტომ უნიჭობაც და ნიჭიერებაც, სიღამაშეც და სიმახინჯეც, ავადმყოფობაც და ქანმრთელობაც, კეჟააც და უქკუობაც, პატისნებაც და უნამუსობაც, ძლიერებაც და უძლურებაც, უნარაინობაც და უუნარობაც სამყაროს აუცილებელი და განუყოფელი ნაწილია. ეს მარმონიული ერთიანობა კარგად შეიცნო დავით გურამიშვილმა. მან ქერ ვკვირვებულმა კითხვა დასვა:



„თუ ხარ ღვიძილი, რაღა არს ძილი?!
 თუ ხარ სიმადრე, რა არს შიმშილი?!
 თუ ხარ სიციცხლე, რა არს სიციცილი?!
 იყავ ერთ-ერთი, აწამე ღმერთი“.

მერე დამწვიდებულმა თავად უპასუხა:
 „სიციცილ-სიციცილე ორივე
 არიან ღვთისა განგება“.

უგუნურებას ღვთის განგება ანუ ბუნების
 კანონზომიერება შეცდომად მიიჩნია და მის
 „გახწორებას“ ცდილობს. ამით უგუნურება კა-
 ცობრიობას თიშავს, ადამიანებს ერთმანეთს
 უპირისპირებს ჩასობრივ, ეროვნულ, რელიგი-
 ურ, სოციალურ, პოლიტიკურ, პარტიულ და
 სხვათა საფუძველზე.

მწერლობა ადამიანს არ უნდა უუურებდეს
 სექტური თვალსაზრისით, რომელიმე დოქტრი-
 ნის კუთხით. მას ადამიანისადმი დამოკიდებუ-
 ლების ერთი თვალსაზრისი უნდა ჰქონდეს —
 ს ა ე რ თ რ კ ა ც ე ბ რ ი ვ ი.

ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი კი
 ბიძულებს მწერლობას ადამიანს უუუროს აკ-
 ვიატებულ სოციალ-პოლიტიკური დოქტრინის
 შესაბამისად.

„მე ბოლშევიკის გარდა სხვა ვინმე
 არც მიმანია ადამიანად“.

შკიბვებისათვის ნათელია ამ სტრიქონების
 აბსურდულობა. პოეტმა ადამიანთა ხილდან ამო-
 რიცხა არა მარტო მილიონობით რიგითი მოქა-
 ლაქე, არამედ წარსულისა და აწმყოს უდიდესი
 მოღვაწენი — რუსთაველი, დანტი, გოეთე, ნი-
 უტონი, აინშტაინი და სხვანი და სხვანი. ისინი
 არ ყოფილან ბოლშევიკები და, მაშახადამე,
 პოეტის ლოგოკით, არც ადამიანები. მაგრამ, რაც
 მთავარია, ამ ლექსს თუ დაუუჭრებთ, არც კო-
 მქვეშირელები არიან ადამიანები, რამეთუ კომ-
 პარტიაში შესვლამდე ვერც ისინი იქნებოდნენ
 ბოლშევიკები.

კ. ლორთქიფანიძის ციტირებული სტრიქონ-
 ნების შემდეგ, უნდა გაახსენოთ ნიკო ლორ-
 თქიფანიძის სიტყვები:

„გაშხდარ თხას, დაკოვლებულ ცხენს, ჩახ-
 მანდამტვრეულ თოფს ფახი ეკარგება, ადამიანს
 კი ერთი და იგივე ფახი აქვს ურველთვის და
 უველგან, იმერეთის მფოფხას არგუნებს თუ
 დაწეღლის მღვორეთ გაჩენს უფალი. დადიანის
 ხასახლე ათას ფაცხაში არ გაიცილება; ადამი-
 ანი კი იმდენივე ღირს, რაც მთელი კაცობრი-
 ობა, ადამიანის არც გაცვლა შეიძლება, არც
 დაფახება, არც გამარჯლება, არც გამოკლება.
 იგი უფასოა, იგი ერთია, მუდამ ერთი.“

ადამიანთა მუდამ ადამიანთა — არც შეტი და

არც ნაკლები“ (მოთხრობა — „ღვთისმშობლის
 ღმერთი და მთხოვარი“).

ორი ლორთქიფანიძის ამ ციტატების შედარებით
 ნათლად ჩანს განსხვავება ლიტერატურის პარ-
 ტიულ და მუშაინსტურ პრინციპებს შორის. ისიც
 გასაგებია, რომელ პრინციპს უნდა აღიარებდეს
 მწერლობა და ხელოვება.

თითქოს კ. ლორთქიფანიძის ლექსის დაგვი-
 ნებული პასუხია შოთა ნიშნიანიძის „კომუნის-
 ტები“, რომელიც 70-იან წლებში დაიწერა.
 ამ ლექსში ცნება „კომუნისტი“ უსახვდროდ
 არის გაფართოებული. თუ ერთი პოეტისათვის
 ბოლშევიკის გარდა, სხვა არავინ არის ადამიანი,
 მეორე პოეტისათვის უკველი გამოჩენილი კა-
 ცი, იქნება იგი რეალური, ისტორიული პიროვ-
 ნება თუ მხატვრული ნაწარმოების გამოგონილი
 პერსონაჟი, კომუნისტი. ამიტომ ერთადაა თავ-
 მოურილი — პრომეთე, ცხრა ძმა ხერხეულიძე,
 ცოტნე დადიანი, დემეტრე თავდადებული, ჯო-
 დანო ბრუნო, მღვდელი თევდორე, ტარას ბუ-
 ლბა, სპარტაკი, გავროში... ლენინი და სტალი-
 ნი.

შ. ნიშნიანიძის ლექსში კლასობრიობის, პარ-
 ტიულობის ეველა ნიშანი წაშლილია. ცნება
 „კომუნისტი“ სრულიად აბსტრაქტულია.

რამ გამოიწვია პოეტის და საზოგადოების ამ-
 გვარი დაბნეულობა? რატომ დაკარგა ცნება
 „კომუნისტმა“ კონკრეტული შინაარსი და აბს-
 ტრაქტული გახდა?

რევოლუციის იდელების სამსახურმა პრო-
 ლეტარულ მწერლობას ბევრი უზარობა და უზ-
 ნეობა დააწერინა.

„მე გადავწყვიტე მილიანი გულით,
 ახალი ქვეყნის დაერჩე ერთგული!
 არ გაგიკვირდეს დღეს ეს ცვლილება,
 არ გაგიკვირდეს, ნუ მეტყვი ჭალათს,
 მე მამას მოვკლავ, დავაბრჩობ დედას,
 რეკოლუციამ თუ კი მიბრძანა!“

არც რევოლუციას, არც ლიტერატურას არ
 დასჭირდა ასეთი პოეტი. კალე ფეოდოსიშვილი,
 როგორც ხალხის მტერი, გაანადგურა იმ რევო-
 ლუციამ და პარტიაში, რომლისთვისაც დედას
 ახრჩობდა და მამას ჰკლავდა.

„ეაშა — გ. პ. უ. — შენი განაჩენი
 ბოლშევიკურად არის დაწერილი!
 როგორც პოეტმა — პოლიტიკურმა
 უნდა შეასრულო შენი გაკვეთილი:
 სოციალიზმის ყველა მიზნებელი
 დიქტატურის ტყვიით იყოს დახვრეტილი!“

1. შ. ნიშნიანიძე — გადასახელი (ლექსების
 კრებული), 1977 წ., გვ. 97.

2. ეურნ. „მერცხალი“, 1926 წ., № 4. კ. ფე-
 დოსიშვილი — „ქალაქის ბაღში“.

1 კ. ლორთქიფანიძე — პირველის შემდეგ
 (ლექსები), 1927 წ., გვ. 41.



ვაშა, გ. პ. უ. შენი განაჩენი
ბოლშევიკურად არის დაწერილი!

ამ სტრიქონების ავტორიც — ფრიდონ ნარო-
უშვილიც — მოსპეს.

ასე გაგრძელდება აღარ შეიძლებოდა. საბჭო-
ური მწერლობა მთლიანად იხიდა ნიღაბს და
საბოლოოდ ემიჯნებოდა ლიტერატურის ჰუმანი-
სტურ პრინციპს. აუცილებელი გახდა, თუნ-
დაც ფორმალურად, ჰუმანიზმისაკენ შემობრუ-
ნება. მაშინ ისტორიისაკენ მიიხედეს და იქ და-
იწყეს ძებნა იმ ადამიანების, რომელთაც შეეძ-
ლოთ იდეალის როლის შესრულება. იტალიელმა
კომუნისტმა მწერალმა და კინორეჟისორმა პიერ
პაოლო პაზოლინიმ გადაიღო ფილმი „მათეს სა-
ხარება“, როცა მკითხეს — კომუნისტმა კაცმა
ქრისტიანე ფილმი რატომ გადაიღეთო — უპასუხა
პირველი კომუნისტი ქრისტი იყო და ამიტო-
მის.

ასე დაიკარგა კრიტიკიუმი — ვინ არის კო-
მუნისტი. თუკი კაცობრიობის ისტორიაში ყო-
ველ დიდებულ პიროვნებას კომუნისტს დავარ-
ქმევთ, ამას რაღა სჯობსო, მოეწონათ სკკპ-ის
მუშაკებს და ტაში დასცხეს აბსტრაქტული კო-
მუნისტის სადიდებლად. გამოჩნდა ის, რაც უძ-
ველესი დროიდან ცნობილია. ამდღებულის,
მშვენიერი და გმირული საერთოადამიანური
თვისებაა. იგი ადამიანის სულიერ სამყაროში
დევს და არაფერი მნიშვნელობა არა აქვს იმას
რასობრივად, ეროვნულად, სოციალურად, პარ-
ტიულად, რელიგიურად ეს ადამიანი ვინ არის.
თურმე უბრალო ქვეშაირტება გამორჩენილი;
ყოველ მოძღვრებას შეიძლება მიეტმანოს ავა-
ზაკი და ყოველი მოძღვრება აღიაროს პატიო-
სანმა ადამიანმა. ბუნებრივი ამბავი ყოფილა,
რომ კაპიტალისტიც შეიძლება იყოს კარგი და
ცუდი, და კომუნისტიც, ქრისტიანიც და მამმა-
დიანიც. მდიდარიც შეიძლება იყოს ნაძირალა
და ღარიბიც. კომუნისტობა არ ყოფილა კაც-
ობის საბუთი. დინახეს ეს, მაგრამ ამის აღი-
არება არ უნდათ. უნდათ მხოლოდ ის, რომ
კაცობრიობის გრძელი ისტორიის მანძილზე ყო-
ველ კეთილშობილ კაცს კომუნისტის ქუდი ეხუ-
როს. არ უნდათ აღიარონ, რომ ამდღებულის,
მშვენიერი, კეთილშობილური, გმირული ადამი-
ანის სულიერი თვისებაა და არა პარტიული
ან კლასობრივი. ამ მხრივ იდეოლოგიური მარც-
ხის დამატებას აბსტრაქტული კომუნისტით აპი-
რებენ. მაგრამ არავის დავიწყებია, ადამიანში
რა თვისების აღწერას ქადაგებდა და ქადაგებს
საბჭოური ლიტერატურა.

ლიტერატურის პარტიულურობის განხორციელებას
ხოვდა და ითხოვს. მწერლობამ გამოავლინოს
კლასობრივი თვითშეგნება. ეს კი გულისხმობს
ადამიანთა შორის კლასობრივი და პარტიული
დაპირისპირების ასახვას, წინასწარ დადგენილი
ტენდენციით. ეს ტენდენცია ბრძანებს: მართა-
ლია მხოლოდ კომუნისტი. სხვა ყველა მტყუა-
ნია. ზნეობრივად ის იქცევა სწორად, ვინც კო-
მუნისტს ემბრობა. სხვა ყველა დამნაშავეა. ამ
მოდელის მიხედვით იქმნება ყველა მხატვრუ-
ლი ნაწარმოები, მართალია, ამგვარმა მოდელმა
მოქალაქე ინტერესი მხატვრული აზროვნების მი-
მართ, რამეთუ მკითხველმა წინასწარ იცის, რო-
გორ და რანაირად დამთავრდება ყველა კონფ-
ლიქტი. ბრძოლა, ურთიერთობა, მაგრამ პროპა-
განდისთვის ასე მიიჩნეის საჭიროოდ და არას-
დიდებით არ ფიქრობენ მის შეცვლას.

მარშალი ვასილევსკი მემუარებში გვიამბობს:
ერთხელ სტალინმა მკითხაო, მამათქვენს ოთხი
შვილი ჰყავს. ოთხივე კარგი მდგომარეობის
მქონე. რატომ არ ეხმარებით მოხუც მამას,
რატომ გაქვთ მასთან კავშირი გაწყვეტილი?
ამის პასუხად ვასილევსკის უთქვამს: — „...1928
წლიდან ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილ მშო-
ბლებთან. ასე რომ არ მოვქცევულიყავით მაშინ,
როგორც ჩანს, არა მარტო ჩვენი პარტიის რი-
გებში ვერ მოვხვდებოდით, არამედ მუსურ-
გლენური არმიის რიგებშიც კი საეჭვოა რომ
მემსახურა“. ვასილევსკის მამა მღვდელი იყო.
ხუცესის შვილს საბჭოთა ზელისუფლების პი-
რობებში სამუშაო რომ ეშოვნა, აუცილებელი
იყო სასულიერო წოდების მშობელზე უარი ეთ-
ქვა. მშობლების გაყიდვით და მიტოვებით გა-
ეკეთებინა კარიერა. მარშალი თურმე ყველა ან-
კეტაში გულმოდგინედ აღნიშნავდა — მამასთან
კავშირი აღარ მაქვსო.

ეს არ არის ცალკეული შემთხვევა. ეს იყო
კომპარტიის მიერ შექმნილი მოდელი, რომლის
მიხედვითაც უნდა ეცხოვრა ყოველ საბჭოთა
მოქალაქეს. „მამა და მასწავლებელი“ თვალთ-
მაქცობს, როცა ვასილევსკის ეკითხება, მამას-
თან კავშირი რატომ გააწყვეტიათო. სტალინ-
მა ჩინებულად იცოდა, რატომაც ჰყავდა ვა-
სილევსკის მამა მიტოვებული. ოღონდ მას ადა-
მიანის გამასხარავება უფერდა და უხაროდა,
როცა კომუნისტური უწყობის მონას ხედავდა.

ვინმე ა. კოლოდუბს, „ხალხის მტრის“ შვილს,
თორმეტი წლის ბიჭს, მოუთხოვია მამის დახ-
ვრება და გვარის გამოცვლა. ამას სიხარულით
აქვლიანებული „პარავდა“ იუწყებოდა.²

1 ფ. ნაროუშვილი — პოლიტიკური პოეტის
დეკლარაცია, 1931 წ., გვ. 21. გაუ ანუ ოგაუ —
Объединенное государственное политиче-
ское управление. КГБ-ის აღმზრდელი სახელი

1 გახ. „ლიტერატურული საქართველო“,
1979 წ., 21 დეკემბერი.
2 ან. ანტონოვ-ოვსენკო, „ტირანის პორტ-
რეტი“ (რუსულად), 1980 წ., ნიუ-იორკი, გვ.
143.



დანიელ გრანინის მოთხრობის — „უკან სამ-გზავრო ბილითი“¹ — პერსონაჟი, პეტრე სერ-გეის ძე უნდა გადაესახლებინათ, რაკი მამა ჰყუ-ვდა კულაკი. მამამ ურჩია შვილს — წადი, მთა-ვრობასთან დამახმინე. უარი თქვი ჩემზე, რო-გორც კულაკზე. კომუნისტებს ეს გამცემლობა მოეწონებოთ, შეგიუვარებენ და ცხოვრებაში გზა გაგებხნებაო. შვილიც ამ რჩევის შესაბამისად მოიქცა და გამყიდველობით იხსნა თავი.

ასე აუალიბებდნენ „ახალი ადამიანის“ შეგ-ნებას და მორალს.

სევასტი თალაკვაძის რომანში — „გადასა-სვლელო“ — აღწერილია, როგორ მიმდინარე-ობს ოჯახში „კლასობრივი ბრძოლა“.

საშუალო გლეხი გლაზუნ ზვიადამე კოლექ-ტივიზაციის წინააღმდეგია. მას ორი ქალიშვი-ლი ჰყავს — თინა და ოლღა. ისინი კოლექ-ტივიზაციის მომხრე არიან. მათ შორის ბრძო-ლაა. როცა გლაზუნ ზვიადამე კულაკურ შეთ-ქმულებაში მონაწილეობა მიიღო, იგი კომკავ-შირიღმა შვილმა ვახცა. ახალგაზრდა ბოლშე-ვიკი პორფირე ეუბნება ანდრო კირსანიას, კო-ლექტივიზაციის ერთ-ერთ ორგანიზატორს:

„...თინა საუცხოო ტიპია ბოლშევიკის. იცი რა მითხრა: ბაიაშვილი მამაჩემს მეგობრობს ძ-ლიანო. მამაჩემი კი ფარული მენშევიკია და ჩვენი მტერიო. ეს მე აქამდის მინდოდა ვან-მეცხადებინა. მაგრამ ამ უბედურებამ მო-მისწრო (თინა კულაკებმა დასჭრეს — ა. ბ.) და ვეღარ შევძელი. ახლა კი როგორც კი გამოვე-წერები, ცეკას მინდა უთხრა ყველაფერი. ამი-ტომ ჩქარობს გამოწერას საავადმყოფოდან“.

თინა აღშფოთებულია იმით, რომ მამამისი ბაიაშვილმა არ დააპერინა. კრებაზე თინა ბაია-შვილს ამხელს, როგორც ინტრიგანს:

„— იგი, ამბანაგებო, ჩემ მენშევიკ მამას, რომელთანაც მე მუდამ დავაში და ჩხუბში ვარ, მეგობრობს და ამას წინად მას გეპუემ ხელი სხაცა დასაქერად, ბაიაშვილმა იგი დაიფარა თა იხსნა“.

მერე ავტორი თავის მხრივ ამატებს:

„მან, გლაზუნმა ისიც კი არ იცის, რომ თა-ვისმა ქალიშვილმა — თინამ ცენტრს უთხრა, გაუზიხლა მამამისის პოლიტიკური ვინაობა“.

როცა თინას გამცემლობა ანდრო კირსანიას მოხუცმა დედამ გაიგო, არ მოეწონა ეს და შვილს უთხრა:

„— მაგრამ ის ვილაც თინა უოფილა, მამის წინააღმდეგ წახვლას და მტრად გამოცხადებას

მე თქვენსავით ვერ მოვეუწონებ, **ეპიკურული** შვილს. ესაა მისი კაი ქალიშვილბუნებ **საქართველო**. ბოლშევიკი ანდრო სირცხვილით იწვის ღე-დის ასეთი ჩამორჩენილობის გამო და დედა კომუნისტურად დაარია:

„— შენთვის ძნელია ახლა გაიგო ჩვენი კლასობრივი ბრძოლის საიდუმლოება, მისი პრინციპი, პოლიტიკური ბრძოლის ლოგიკა და დაუნდობლობა...“

ამრიგად, ლიტერატურის პარტიულობის პრი-ნციპის მიხედვით შექმნილი ნაწარმოებნი საუ-ცხოო ბოლშევიკად მამის გამყიდველებს თვლი-ან. ხოლო მშობლის სიყვარულისა და პატივის-ცემის მოთხოვნილება მხოლოდ იმას შეიძლება გაუჩნდეს, ვინც ჩამორჩენილია და კლასობრივი ბრძოლის ლოგიკა არ ესმის.

ამგვარი შეგნების გამო გასცა მამა პავლიკ მოროზოვმა. ამის გამო გამოაცხადეს იგი საბ-ჭოთა ბავშვის ეტალონად. ამიტომ უმღერიან და ლიტერატურაში მთელი პავლიკი და შექმნეს ამიტომ დაუდგეს ძეგლი.

ამიტომ ჰყვავდა „მთვარის მოტაცების“ პირ-ველ ვარიანტში კომკავშირელი არწყან ზვამბაია მამას, კაც ზვამბაიას.

მაგრამ მშობლების გაცემა-გაყიდვა მაშინ არის სიჭკეღე, თუ იგი კომუნისტების სასარგებლოდ ხდება. თუ კომუნისტების საწინააღმდეგოდ ჩა-დიან, მაშინ კი გაუგონარი ზნედაცემულობაა.

როცა კომპოზიტორ დ. შოსტაკოვიჩის შვილმა მ. შოსტაკოვიჩმა ვეღარ აიტანა სსრკ-ში ცხო-ვრება და თავი აშშ-ს შეაფარა, „ლიტერატურ-ნაია გაზეტი“ (1981 წ. 6 მაისი) აღწვოთდა: „ყველა დროში და ყველა ხალხისათვის ყველა-ზე უმდაბლესი გამცემლობა იყო დედ-მამის საქმისა და ბსოვნის ღალატი“.

მართლა? მაშინ რატომღა უმღერის და ბოტ-ბას ასხამს საბჭოთა ლიტერატურა მოროზო-ვეებს, კოლოდულებს და მათ მსგავს ნაძირა-ლებს!

სიძულვილისა და მტრობის ასე აშკარა ქადა-გება დღეს უკვე აღარ გამოდგება. იგი უნდა შეინიღბოს. ეძებენ კიდევ ნიღბს.

„თუ შეიძლება ტენდენციო, არსი გმირთან, პერსონაჟთან გავაიგივოთ, მაშინ საბჭოთა ლი-ტერატურის დადებითი გმირია ადამიანის სიყ-ვარული, კეთილშობილება, ნდობა და მოვალე-ობა, სიღამაზისა და მშვენიერების გრძნობა, სიკეთისა და სიყვარულის ნიჭი“.²

1 „ნოვი მირ“, 1976 წ., № 8.
2 ს. თალაკვაძე — გადასასვლელო, წიგნი პირ-ველი, 1933 წ., გვ. 197, 202, 209.

1 ს. თალაკვაძე — გადასასვლელო, წიგნი პირ-ველი, 1933 წ., გვ. 198-199.
2 გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1981 წ., 24 ივლისი.

ადიუარ სოხტარია-ბროსა

მეცნიერის არქივიდან

აკადემიკოს ნიკოლოზ ბერძენიშვილის არქივში, რომელიც კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული, ინახება რეცენზია („მოსხენებითი ბარათი“) აკად. ინგოროყვას წიგნზე — „გიორგი მერჩულე — ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა“, თბილისი 1954 წ. იგი ეხება დასახელებულ წიგნში აფხაზეთის ისტორიის საკითხების გაშუქებას.

რეცენზია თავდება სიტყვებით: „მოსხენებითი ბარათი ემყარება ინსტიტუტის თანამშრომელ სპეციალისტთა ნაშრომებს აღნიშნულ საკითხში“, რასაც მოსდევს ხელისმომწერა: „ივ. ჭავჭავიძის სახ. ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, აკად. ნ. ბერძენიშვილი“.

ამ რეცენზიის თუ „მოსხენებითი ბარათის“ შექმნის ისტორია ასეთია:

1954 წელს, ივ. ჭავჭავიძის სახ. ისტორიის ინსტიტუტის სწავლულ მდივნად მუშაობის დროს, დამიბარეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერების განყოფილებაში, სადაც მითხრეს, რომ — არის აჭრა პ. ინგოროყვას წიგნის „გიორგი მერჩულეს“... ამოღების შესახებ, რადგან ამ წიგნმა დიდი უკმაყოფილება და საპროტესტო გამოსვლები გამოიწვია აფხაზეთში. როდესაც უკვე იღვევს ეს შე გადავიცი ინსტიტუტის დირექტორს, აკად. ნიკოლოზ ბერძენიშვილს, მან აშკარა უკმაყოფილება გამოხატა — „წიგნის ამოღება — ეს რაღა მეთოდიაო“ და დაშვალა გადამეცა, რომ ინსტიტუტი ამ საკითხზე თავის დასკვნას მოახსენებდა ცენტრალურ კომიტეტს. დიდი ხანი არ გასულა და აღნიშნული რეცენზია — „მოსხენებითი ბარათი“, მართლაც წარდგენილი იქნა, რის შედეგადაც პ. ინგოროყვას წიგნის „ამოღების“ საკითხი მოიხსნა, მაგრამ გადაწყდა, გამართულიყო მისი საქარო განხილვა. თავდაპირველად ივარაუდებოდა ზეპირი დისკუსიის მოწყობა, ხოლო შე-

მდგომ არჩიეს განხილვა უფრნად „მნათობის“ ფურცლებზე გაშლილიყო. ამას მოჰყვა „მნათობის“ 1956 წ. მე-12 ნომერში ნ. ბერძენიშვილის წერილის — „პ. ინგოროყვას წიგნის — „გიორგი მერჩულეს“ გამო“ გამოქვეყნება. ეს მოკლე წერილი ნავარაუდევად იყო წიგნის ზეპირი განხილვის დროს შესავალ სიტყვად და ასეთი სახით გადაეცა რედაქციას; რომელმაც იგი უცვლელად დაბეჭდა, თუმცა ავტორი ვარაუდობდა კორექტურაში მის საბოლოო გამართვას. ამავე ნომერში დაიბეჭდა აკად. ქეთევან ლომთათიძის წერილი, მომდევნო ნომერში აკადემიკოსების — გიორგი ახვლედიანის, სიმონ ყაუხჩიშვილის, პროფ. დ. კობიძის და სხვათა წერილები.

იმის გამო, რომ ნ. ბერძენიშვილის წერილში ზოგიერთი დებულების ფორმულირებამ გაუგებრობა გამოიწვია და, საერთოდაც, საკითხის განხილვას დიდი ვნებათა ღელვა მოჰყვა, დისკუსია შეწყვეტილი იქნა.

ჩვენ კვეყანაში ამის შემდეგ შექმნილმა სიტუაციამ და აფხაზეთის პრობლემატიკის ფაქტიურად აკრძალულ სფეროდ გამოცხადებამ არა მარტო გაართულა მეცნიერული ჰეშმარიტების დადგენა, არამედ აფხაზ კოლეგებთან თავისუფალი აჭრთა გაცვლა-გამოცვლის საშუალების მოსპობამ ცალმხრივი მიმართულება მისცა უკანასკნელთა შრომებში აფხაზეთის ისტორიის გაშუქებას. ამან თვალსაჩინო ვნება მოუტანა მეცნიერებასაც და თვით ჩვენს საზოგადოებასაც, რის უარყოფით შედეგებს დღესაც ვიმკობ. ჩვენი გადაუდებელი ვალია ამ ხარვეზის შევსება, რაშიც გარკვეული როლი შეუძლია შეასრულოს საკითხის ისტორიის განხილვამაც.

ამიტომ მიზანშეწონილად ვთვლით მივუბრუნდეთ აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის არ-



ქვეში დაცულ შემოთ აღნიშნულ დასკვნას პ. ინგოროყვას წიგნზე.

რეცენზიადან თვალნათლივ ჩანს, რომ ისტორიკოსთა წრეში პ. ინგოროყვას, როგორც ძველი ქართული მწერლობის მკვლევარის, მეცნიერულ ნააზრევს, მის დებულებებს სათანადოდ ეწეოდა ანგარიში. შემთხვევითი არ არის, რომ პ. ინგოროყვას ნაშრომები, მათ შორის „გეორგი მერჩულე...“ და განსაკუთრებით მისი წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევები ფართოდ არის გამოყენებული და მითითებული ფეოდალური ხანის საქართველოს კულტურის ისტორიის თუ ისტორიული გეოგრაფიის საკითხებისადმი მიძღვნილ შრომებში ივ. ჭავჭავაძის, კ. კეკელიძის, ნ. ბერძენიშვილის და სხვათა შრომებთან ერთად. სათანადო ადგილი აქვს მას მიჩენილი. კერძოდ, ისტორიოგრაფიული ხასიათის ბიბლიოციფრებიც. (იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I-III).

მართალია, ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის ინსტიტუტში პ. ინგოროყვას შრომაზე ხსენებული რეცენზიის დაწერიდან სამხანევარი ათწლიანი წელი გავიდა და აქ დასმული საკითხების გაშუქებაში ზოგიერთი რამ დაზუსტდა, მაგრამ მთლიანობაში ამ რეცენზიას არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

რეცენზია („მოსხენებითი ბარათი“) ემუარება მეცნიერთა — მ. ინაძის, მ. ლორთქიფანიძის და თვით ნ. ბერძენიშვილის მიერ საგანგებოდ დაწერილ ნარკვევებს.¹

რეცენზია იწყება სიტყვებით: „პ. ინგოროყვას შრომა „გეორგი მერჩულე — ქართველი მწერალი მეთე საუკუნისა“ — ღირსშესანიშნავი მეცნიერული ნაწარმოებია. მასში დასმულია საქართველოს ისტორიის არა ერთი ძირითადი საკითხი, რომელთაგან ზოგიერთი მართებულად არის გადაჭრილი.“

1. მ. ინაძემ თავისი თვალსაზრისით ანტიკურსა და ნაწილობრივ აღრეფეოდალურ ხანაში აფხაზეთში არსებულ ეთნო-პოლიტიკური ვითარების შესახებ გამოაქვეყნა წერილები: „ანტიკური ხანის შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს მოსახლეობის ეთნოკური შედგენილობის საკითხისათვის“, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, № 2, 1960 წ. მ. ლორთქიფანიძე შუა საუკუნეების აფხაზეთის ისტორიის საკითხებს ეხება თავის მონოგრაფიაში „ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება“, 1963, „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ II ტომსა და უკანასკნელ დროს გამოქვეყნებულ საგანგებო წერილებში, ხოლო ნ. ბერძენიშვილის დებულებები აფხაზეთის ისტორიის შესახებ სათანადო მასალებითურთ შევიდა მის „საქართველოს ისტორიის საკითხების“ III (თბ. 1966) და VIII (თბ., 1975) წიგნების საგანგებო თავებში.

სავსებით ბუნებრივია, რომ ესოდენ დიდ შრომს ახასიათებს ზოგიერთი შეცდომისა და თუ ნაკლები მნიშვნელობისა.²

შემდგომ განხილულა აფხაზეთის ძველი მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობისა და აფხაზეთა ვინაობის საკითხს კ. პ. ინგოროყვას თვალსაზრისი, რეცენზიაში ვკითხულობთ: „ავტორის ძირითადი დებულება ამ საკითხში შემდეგია: აფხაზეთის მხარეები ძირითადი ქართული ქვეყანაა, რომელიც ძველი დროიდანვე ქართველი ტომებით იყო დასახლებული. მათ შორის ერთ-ერთი ქართველი ტომი იყო აფხაზები, ანუ იგივე მესხები.“

აღნიშნული დებულება პ. ინგოროყვას აგებული აქვს უმთავრესად ბერძენ-რომაული და ბიზანტიელი ავტორების ცნობათა განხილვის საფუძველზე, რომლებიც წარმოადგენენ ერთ-ერთ ძირითად წყაროს ანტიკური და აღრეფეოდალური ხანის შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს ტომთა ისტორიის შესასწავლად.³

ქვემოთ, ამ ცნობათა მოწაყვების განხილვის შემდეგ, რეცენზიაში წერია: „პ. ინგოროყვას უდავო დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მან თავი მოუყარა ყველა ზემოაღნიშნულ ავტორთა ცნობებს შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ქართველ ტომთა შესახებ და შეეცადა დაედგინა მათი აქ განსახლების ადგილი.“

პ. ინგოროყვას ის დებულება, რომ ქართველი ტომები უძველესი დროიდან მოსახლეობდნენ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე, სავსებით სწორია, მაგრამ არაა საკმარისად დასაბუთებული ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე ახ. წ. II საუკუნიდან მოხსენებული აბასხები არიან იგივე მესხები.“

ამის შემდეგ მოტანილია საბუთიანობა იმის შესახებ, რომ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე ძველი დროიდან ქართველური ტომების (მენიოხ-სანიგების და სხვათა) გვერდით (ჩრდილო-დასავლეთით) მოსახლეობდნენ ჩერქეზული და ადიღური მოდგმის ტომები, ხოლო საკუთრივ აბაზგები დადასტურებულნი არიან ახ. წ. II საუკუნიდან (ფლავიუს არიანეს ცნობების მიხედვით) დღევანდელი აფხაზეთის მთიან ზონაში, სადაც მათ განსახლებას ვარაუდობს თვით პ. ინგოროყვაც.

II ს. მწერალის ფლავიუს არიანესა და VI ს. ავტორის პროკოფი კესარიელის ცნობების შედარების საფუძველზე რეცენზიაში აღნიშნულია: „როგორც წყაროებიდან ირკვევა, ახ. წ. II ს-დან მოკიდებული აბასხები (აბაზგები) თანდათან ავრცელებენ თავიანთ გავლენას შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე“

მცხოვრებ სანიგებზე“... რის შედეგადაც „აბა-
 ზგთა“ პოლიტიკური გავლენა გავრცელდა შავი
 ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე“. აღ-
 ნიშნული ფაქტი რეცენზიაში განხილულია
 როგორც აბაზგთა სამთავროს მიერ სანიგთა
 სამთავროს პოლიტიკური დაქვემდებარება და
 პოლიტიკური ზეგმონობის ამიერიდან მათ ხე-
 ლში გადასვლა, რის შემდეგაც ნათქვამია:

„ნიშნავდა თუ არა ეს ფაქტი იმას, რომ
 ამიერიდან სანიგა (ე. ი. მეგრულ-ლაზურის) ტო-
 მები უკალოდ გაჰქრნენ შავი ზღვის ჩრდილო-
 აღმოსავლეთ სანაპიროს ტერიტორიიდან და
 მთელი ეს სანაპირო აბაზგებმა დაიკავეს? რა-
 საკვირველია არა. ცხადია, გარკვეული ეთნი-
 კური ცვლილებები უნდა მომხდარიყო აბაზ-
 გთა პოლიტიკურ მომძლავრებასთან ერთად,
 მაგრამ ის გარემოება, რომ მთელი შუა საუ-
 კუნების მანძილზე აფხაზეთის სანაპიროზე
 მეგრული მოსახლეობა მოჩანს; გვაძლევს საფუ-
 ძველს ვიფიქროთ, რომ ეს ტომები განაგრ-
 ძობენ აქ ცხოვრებას VI ს-ის შემდეგაც.“

ამრიგად, სწორი უნდა იყოს პ. ინგოროყვა,
 როდესაც იგი სხვა ქართველ ტომთა შორის,
 რომელნიც მოსახლეობდნენ შავი ზღვის
 ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე აფხაზეთის
 სამთავროს შექმნის დროს და მომდევნო ხა-
 ნებში (შუა საუკუნეებში) მეგრულ-ლაზურ
 ტომებს ჰენიოხ-სანიხებსაც ასახელებს“.

რეცენზიაში შემდგომ მსჯელობაა მთის მო-
 სახლეობის ბარად ჩამოსვლის ტენდენციებზე,
 ამის მიზეზებსა და შედეგებზე. კერძოდ, შავი
 ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე ასე-
 თი პარაცისის შესახებ შემდეგია აღნიშნული:

„მთიანი ჯონის მოსახლეობის მონოლას სანა-
 პიროზე და მის მომძლავრებას ამ დროისა-
 თვის ხელს უწყობდა აგრეთვე ჩრდილო კავ-
 კასიაში პერიოდულად მიმდინარე დიდი ეთ-
 ნიკური გადაჭრუფებანი, რაც იწვევდა კავკა-
 სიონის გადმოდმა ხელისშემწყობი პირობების
 არსებობის შემთხვევებში ჩერქეზულ-ადიდუ-
 რი ტომების ახალ-ახალი ნაკადის ჩამოსახლე-
 ბას.“

ასეთ ჩამოსახლებას ჰქონდა ადგილი, მაგა-
 ლითად, ძვ. წ. I ს-ში, როდესაც აქ ჰენიოხ-
 სანიგთა შეზობლად (ჩრდილო-დასავლეთით)
 ჩამოდიან კიქები. ანალოგიური მოვლენები მე-
 ორდება მომდევნო ხანებშიც. VI საუკუნიდან
 მოკიდებული აფხაზთა პოლიტიკური გავლენის
 გავრცელების შემდეგ შავი ზღვის მთელ ჩრდი-
 ლო-აღმოსავლეთ სანაპიროზე, სახელწოდება
 „აბაზგა“ სცილდება ვიწრო ეთნიკურ ფარგ-
 ლებს და პოლიტიკურ ტერმინად იქცევა. ამი-
 ერიდან, აფხაზი ნიშნავდა არა ერთ რომელიმე
 ტომს, არამედ ქართულა კულტურის წრეში
 გაერთიანებულ ყველა იმ ქართველურ და არა-
 ქართველურ ტომებს. რომელნიც ამ დროს

შავი ზღვის მთელ ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლეობდნენ“.

ქვემოთ საუბარია აფხაზთა მონაწილეობაზე
 დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური გაერ-
 თიანების საქმეში და მათ როლზე: „აფხაზთა
 პოლიტიკური გაძლიერება და მათი გავლენის
 გავრცელება შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპი-
 როზე აბაზე არ შეჩერებულა. მომდევნო ხა-
 ნებში (VIII ს.) აფხაზთა მთავრები მთელი
 დასავლეთ საქართველოს გაერთიანებასაც უდ-
 გებიან სათავეში.“

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს,
 რომ პ. ინგოროყვამ არსებითი ხასიათის კო-
 რექტივი შეიტანა იმ მოვლენათა გაშუქებაში,
 რომელთაც ადგილი ჰქონდა დასავლეთ საქა-
 რთველოში VIII ს. დასასრულს, სახელდობრ,
 აღნიშნა ის გარემოება, რომ VIII ს. არ მომხ-
 დარა დასავლეთ საქართველოს დაპურობა-და-
 მორჩილება აფხაზების მიერ, არამედ ფაქტიუ-
 რად მოხდა, აფხაზეთის ერისთავის თაოსნო-
 ბით, მთელი დასავლეთი საქართველოს გაერ-
 თიანება და განთავისუფლება ბიზანტიელთა
 ბატონობისაგან. ამ ფაქტის სწორი განსაზღვრი-
 სას პ. ინგოროყვა დასავლეთ საქართველოს
 გაერთიანებას აფხაზეთის ერისთავის თაოსნო-
 ბით, „აფხაზთა სამეფოს“ შექმნას, ამ სამე-
 ფოს აშკარად გამოხატულ ქართულ პოლი-
 ტიკას და მის მკიდრო კავშირს სხვა ქართულ
 სამეფო-სამთავროებთან ხსნის აფხაზების ქარ-
 თული წარმომავლობით“.

პ. ინგოროყვას ეს უკანასკნელი დებულება
 რეცენზიაში არ არის გაზიარებული. ამის შე-
 სახებ იქ ნათქვამია: „როგორც იყო აღნიშნული,
 აფხაზთა ქართული წარმომავლობა სადაოა და
 რაც მთავარია, თვით პ. ინგოროყვას მიერ მო-
 ტანილი საბუთები ამის სამტყიცებლად არაა
 მყარი და დამაჯერებელი. აგრეთვე აღსანიშ-
 ნავია ისიც, რომ მხოლოდ აფხაზთა ქართული
 წარმომავლობა, კიდევ რომ იყოს ეს დამტკი-
 ცებელი, ვერ ახსნის ისეთ მნიშვნელოვან მო-
 ვლენას, როგორცაა დასავლეთ საქართველოს
 გაერთიანება“. ქვემოთ რეცენზიაში საუ-
 ბარია იმაზე, რომ „VI ს-თვის ერთმა-
 ნეთის გვერდით დასავლეთ საქართველოს
 ზღვისპირა ტერიტორიაზე ძირითადად მ პო-
 ლიტკური ერთეული არსებობდა: აფ-
 ხაზეთის სამთავრო, აფშილეთის სამთავრო
 და ლაზეთის სამთავრო. საზღვარი აფხაზეთსა
 და აფშილეთს შორის ციხე-სიმაგრე ტრაქვას-
 თან გადიოდა. ხოლო აფშილეთისა და ლაზეთის
 შორის საზღვარი მიყვებოდა მდ. კოდორსა და
 კელასურის ზღუდებს.“

როგორც ცნობილია, ფეოდალური საქარ-
 თველოს გაერთიანების პროცესი დიწყო ად-
 რინდელი ფეოდალური სამთავროების შექმ-
 ნით.

VIII საუკუნის დასაწყისისათვის დასავლეთ



საქართველოს ტერიტორიაზე აფხაზეთისა და აფშილეთის ერთ „აფხაზთა სამთავროდ“ გაერთიანება მომხდარი ფაქტია. VI-VII სს. ბიზანტიელი ისტორიკოსები აფშილეთის სამთავროს ცალკე პოლიტიკურ ერთეულად მოიხსენიებენ. აფშილეთის მთავარი მოხსენიებულია წყაროებში VII ს. I ნახევარშიც. მაგრამ VIII ს. I ნახევრის მოვლენებთან დაკავშირებით აფშილეთი ბიზანტიურ წყაროებში ცალკე საშთავროს სახით აღარ იხსენიება, ხოლო იმავე VIII ს. 30-იანი წლების ამბების აღწერისას ქართული წყარო (მატიანე ქართლისაჲ) ამბობს: „ქალაქი აფხაზეთისა და აფშილეთისა ცხუმი“, ე. ი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ დროს აფხაზეთი და აფშილეთი უკვე გაერთიანებულია, და ცხუმი-აფშილეთის ქალაქი, აფხაზეთის ქალაქიცაა, რადგან „აფხაზეთის“ პოლიტიკური ცნება ეხლა უკვე აფშილეთსაც მოიცავს. ამგვარად, VIII ს. დასაწყისისათვის მოხდა „აფხაზეთის“ მნიშვნელობის გაფართოება და საკუთრივ აფხაზეთიდან ის გაფრცხლდა აფშილეთზეც. ამირიდიან აფხაზეთის საზღვრად გაზდა ზღუდე კლასიკურისა. VIII ს. დასასრულს ხდება ტერმინ „აფხაზეთის“ შემდგომი გაფართოება. VIII ს. დასასრულს დასავლეთ საქართველო გაერთიანდა და შეიქმნა დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის სამეფო“. იოანე საბანისძის „აფხაზეთი“ ეს არის მთელი დასავლეთი საქართველო. გაერთიანებული დასავლეთ საქართველოს „აფხაზთა სამეფოდ“ წოდება გაპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ გაერთიანებისათვის და ბიზანტიის ბატონობისაგან განთავისუფლების ბრძოლის საქმეს სათავეში ედგა აფხაზთა მთავარი ლეონ II. VIII ს. დასასრულს ლეონმა განახორციელა გაერთიანებული დასავლეთ საქართველოს განთავისუფლება ბიზანტიის ბატონობისაგან და თავი „აფხაზთა მეფედ“ გამოაცხადა. რამ განაპირობა ლეონ აფხაზთა მთავრის გაპირველება დასავლეთ საქართველოში? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად რეცენზიაში განხილულია ის პოლიტიკური პროცესები, რომელთაც ადგილი ქონდა დასავლეთ საქართველოში XI-X სს. ისინი შემდეგში მდგომარეობდა:

ში მხარში ედგა მთელი დასავლეთ საქართველოს ქართული მოსახლეობა. ლეონ აფხაზთა ერისთავი რომ ძირითადად დასავლეთ საქართველოს ქართულ მოსახლეობას ეურდნობოდა თავის ბრძოლაში ბიზანტიელების წინააღმდეგ ეს დასტურდება ლეონის მიერ დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისთანავე სატახტო ქალაქის ანაკოფიიდან ქუთაისში გადმოტანით. ლეონმა სატახტო ქალაქი სახელმწიფოს წამყვანი მოსახლეობის და თავისი ძირითადი დასაყრდენი ძალის ცენტრში, ქუთაისში გადმოიტანა. ქართული მოსახლეობის წამყვანი როლი „აფხაზთა სამეფოში“ დასტურდება აგრეთვე აფხაზთა სამეფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკით. პ. ინგოროყვა მართებულად აქცევს ყურადღებას ამ სახელმწიფოს აშკარად გამოხატულ ქართულ ხასიათს. წამყვანი ძალა „აფხაზეთის“ (დასავლეთ საქართველოს) ქართული მოსახლეობა იყო; შექმნილი სახელმწიფო ქართული სახელმწიფო იყო და მისი პოლიტიკაც ქართული უნდა ყოფილიყო. „აფხაზთა მეფე“ და „აფხაზთა სამეფო“ იმდენად ჩვეულებრივ ტერმინად იქცა, რომ ფეოდალური საქართველოს გაერთიანების შემდეგ (რადგან ამ სამეფოს ტახტი დასავლურ ქართული სამეფო სახლის წარმომადგენელმა დაიკავა), გაერთიანებული საქართველოს მეფეს „აფხაზთა მეფეს“, ხოლო მთელ საქართველოს „აფხაზეთსაც“ უწოდებდნენ. ამავე დროს ნიშანდობლივია, რომ აფხაზები იმდენად შეთვისნენ ქართველებს და ეწიარნენ ქართულ კულტურას, რომ მათ ცალკე იშვიათად თუ ვინმე ახსენებდა. პ. ინგოროყვამ ყურადღება მიაქცია იმ საინტერესო გარემოებას, რომ ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი დასავლეთ საქართველოს ტომთა ჩამოთვლის დროს არ ასახელებს აფხაზებს ცალკე და მათ ეგრიხელებს მიაკუთვნებს. პ. ინგოროყვას ეს გარემოება აფხაზთა ქართულ წარმომავლობის საბუთად მიიჩნია, ნამდვილად კი ლეონტი მროველის ეს ცნობა მისი დროის საქართველოს რეალურ-ისტორიულ ვითარებას ასახავს. VIII ს. დასავლეთ საქართველოს გაერთიანების შემდეგ საკუთრივ აფხაზეთი „აფხაზთა სამეფოში“ საერისთავოს სახით შევიდა, ამირიდიან აფხაზები აღარ წარმოადგენდნენ რაიმე განსაკუთრებულ, სხვა ქართული საერისთავობისაგან განსხვავებულ ერთეულს. ისინი ქართველებში იგულისხმებოდნენ. და ქართველი ისტორიკოსიც მათ მეგრულ-ლაზებს მიაკუთვნებს.

„XI-VII ს-დან ლაზეთი ბიზანტიის ძლიერი გავლენის ქვეშ ექცევა. ამ დროს ბიზანტიის ხელისუფლებამ ლაზეთის (ეგრისის) „მეფე“ ეგრისის „მთავრად“ აქცია. ამასთანავე საზოგადოებრივი განვითარება აქ შედარებით აფხაზეთთან მეტ წინააღმდეგობას აწუდება...

აღნიშნული გარემოება გარკვეულ უპირატესობას უქმნის აფხაზთა მთავარს ბრძოლაში პირველობისათვის. პ. ინგოროყვა მართებულად აღნიშნავს, რომ VIII ს. დასასრულს აფხაზთა მთავარმა კი არ დაიპყრო ეგრისი, არამედ გაათავისუფლა მთელი დასავლეთ საქართველო ბიზანტიელთაგან. აფხაზთა მთავარს ამ საქმე

დაახლოებით ასევე ეხმობ ეს საკითხი საშუალო საუკუნეების სომეხ ისტორიკოსებს. პ. ინგოროყვა ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ IX ს. სომეხი ისტორიკოსი იოანე კათალიკოსი (დრახხანაკერტელი) აფხაზთა სინონიმად ხმარობს მეგრელს („მეგრელთა მეფე



კონსტანტინე“ ამბობს ის აფხაზთა მეფეზე). პ. ინგოროყვას აზრით, ეს იმის მაუწყებელია, რომ იოანე კათალიკოსს აფხაზები ჩამომავლობით ქართველებად (მეგრელებად) მიაჩნია. ნამდვილად კი იოანე კათალიკოსს აფხაზები მიაჩნია ქართველებად (მეგრელებად) არა წარმოშობის თვალსაზრისით, არამედ ისტორიულად, კულტურულად, პოლიტიკურად, აღრევაც, და განსაკუთრებით ჭერ დასავლურ ქართულ, ზოლო შემდეგ მთლიან ქართულ სახელმწიფოში გაერთიანების შემდეგ აფხაზები საბოლოოდ ეზიარნენ ქართულ კულტურას. IX ს-დან აფხაზთა სამეფოს ეკლესია საბოლოოდ ჩამოშორდა ბიზანტიას და დასავლეთ საქართველოს ეკლესია მცხეთის ტახტს დაექვემდებარა. გაიდევნა დასავლეთ საქართველოდან ბერძნული ენა და IX ს-დან გაბატონდა ქართული ენა, რადგან „აფხაზთა სამეფოს“ სახელმწიფო კულტურის ენა ქართული იყო.

აფხაზთა მეფეების ბრძოლა ბერძნული ქრისტიანობის წინააღმდეგ ქართული ქრისტიანობისათვის აშკარა მოწმობა იყო მათი ქართული პოლიტიკისა“.

ქვემოთ, რეცენზიაში ლაპარაკია იმის შესახებ, თუ როგორ განიხილებოდა შუა საუკუნეებში აფხაზეთი ქართულ საეკლესიო იერარქიაში:

„XI ს. მართლმადიდებლურ ქრისტიანულ სამყაროში მწვავედ დაისვა ქართული ეკლესიის თვითმწყობის კანონიერების საკითხი. გამოჩენილ ქართველ მოღვაწეს, გიორგი მთაწმინდელს წილად ზედა მოვალეობა დაეცვა მსოფლიო პატრიარქის კარზე ქართული ეკლესიის თვითმწყობის კანონიერება. გიორგი მთაწმინდელი ქართული ეკლესიის თვითმწყობის კანონიერებას ასაბუთებს ანდრია მოციქულის და სიმონ კანანელის სამოციქულო მოღვაწეობით აფხაზეთში. ის ეუბნება მსოფლიო პატრიარქს: „ჩუენ პირველწოდებულისა და ძმისა თუსისა მწოდებელისა ნაწილნი ვართ და სამწყსონი მის მიერ მოქცეულნი და განთლებულნი. და ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთანი. სიმონს ვეტუ კანანელსა, ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების“, ე. ი. თვით გიორგი მთაწმინდელი აფხაზეთს საქართველოდ თვლის. აფხაზეთი საქართველოდ მიაჩნია მას იმთავითვე. სიმონ კანანელის მოღვაწეობის დროსაც (არსებული ტრადიციით სიმონ კანანელი I საუკუნეში მოღვაწეობდა). ჩანს ასეთივე თვალსაზრისი ბატონობს საერთოდაც, რადგან მსოფლიო პატრიარქის კარზე გიორგი მთაწმინდელის საბუთი საქარისად მიიჩნის ქართული ეკლესიის თვითმწყობის კანონიერების დასასაბუთებლად“. ამის შემდეგ ლაპარაკია აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული

მატერიალური კულტურის შედარებითი ეკლესიების ხასიათზე:

„დასანიშნავია აფხაზეთის მატერიალური კულტურის ძველთა აშკარად გამოხატული ქართული ხასიათი. დამახასიათებელია, რომ X საუკუნემდე მატერიალური კულტურის ძეგლები (ძირითადად საკულტო ძეგლები) ლაზურ სამყაროსთან კავშირს ამჟღავნებენ, რომელიც თავის მხრივ ბიზანტიურ გავლენას განიცდიდა. X საუკუნიდან კი აქაური მატერიალური კულტურის ძეგლები უკვე აშკარად აღმოსავლეთ საქართველოს კულტურულ გავლენას ამჟღავნებენ (არქიტექტურული სტილი, უამრავი ქართული წარწერები, მათ შორის ბესლეთის ხიდის ცნობილი ასომთავრული წარწერა XII საუკუნისა). საკულტო ძეგლებს გარდა აღსანიშნავია საერო ნაგებობანიც, აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებობს უამრავი ფეოდალური ხასიათის ციხეები და ციხე-დარბაზები, რაც აქაური ფეოდალური საზოგადოების დაწინაურების მაჩვენებელია.

გაერთიანებულნი ქართულ კულტურულ სამყაროში აფხაზები ქართული კულტურის აქტიური მშენებლები იყვნენ“.

ამის შემდეგ რეცენზიაში წარმოდგენილია უკვე საქართველოს პოლიტიკური დასუსტებისა, ერთიანი სამეფოს დაშლისა და ამასთან დაკავშირებული მოვლენების შედეგად შექმნილი ვითარება: „XIII ს-დან მდგომარეობა იცვლება — ვკითხულობთ რეცენზიაში — საქართველოში შექმნილი მძიმე მდგომარეობის შეშვეობით გასაქანი ეძლევა მრავალ ისეთ მოვლენას, რაც ძლიერი საქართველოს არსებობის დროს თავს ვერ იჩენდა.

ფეოდალური საქართველოსათვის, ისევე როგორც მრავალი სხვა ქვეყნისათვის, დამახასიათებელია განვითარების არათანაბარი დონე მთასა და ბარში. გასაგები მიზეზების გამო მთა საგრძნობლად ჩამორჩებოდა ბარს. იმ დროს, როდესაც ბარში განვითარებული ფეოდალური ურთიერთობა იყო, საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა პრიმიტიული წყობილების საფეხურზე იმყოფებოდა. როდესაც საქართველო ძლიერი ქვეყანა იყო ბარი ენერგიულად უტევდა მთას და მთის მოსახლეობა თანდათან ექცეოდა ბარის გავლენის ქვეშ. მაგრამ ქვეყნის დასუსტების დროს მდგომარეობა იცვლება. XIII საუკუნე გარდატეხის მომენტია საქართველოს ისტორიაში, დასუსტებულ ქვეყანაში საგრძნობი ხდება მთის მოსახლეობის მოწოლა. მოსახლეობა თანდათან ჩამოდის მთიდან ბარში და ამ ჩამოსულ მოსახლეობას თან მოაქვს თავისი შედარებით ჩამორჩენილი ყოფა. XIII ს-დან ჩვენში დოკუმენტურადაა დადასტურებული მთიელი მოსახლეობის ჩამოსვლა აღმოს. საქართველოში, კერძოდ, ქართლში ასევე დოკუმენტურადაა

საქართველო
საქართველოს

დადასტურებული შიიდან მოსახლეობის დიდი რაოდენობით ბარში ჩამოსახლება XVI-XVII სს. კახეთში. XIII ს.-დან აფხაზეთის შიიანების მოსახლეობის დიდი რაოდენობით ჩამოსვლა ბარში უთუოდ სავარაუდებელია. საამისო პირობა იყო ერთი მხრით საქართველოს სახელმწიფოს დასუსტება, და მეორე მხრით — ჩრდ. კავკასიიდან ოქროს ურდოს მოწოლა.

აფხაზეთის ისტორიაში ასეთი თავისებური სურათი გვაქვს. არსებული ქართული და უცხოური წყაროები XII-XIII სს.-მდე აფხაზეთს ახასიათებენ როგორც კულტურულად და ეკონომიურად მოწინავე საქართველოს უშუალო შემადგენელ ნაწილს, დაწინაურებული ფეოდალური სოციალური წყობისა და ფეოდალური ეკონომიკის ქვეყნად. ამასვე ადასტურებენ მატერიალური კულტურის ძეგლებიც. მომდევნო ხანის ცნობები აფხაზეთის შესახებ XV ს.-მდე იმდენად მცირეა, რომ თქმა იმისა, თუ რა ვითარებაა ამ მხრივ, ძნელია. XV საუკუნეში კი აფხაზნი წარმართობისადმი მიქცეულან („მცნება სარკულო“), ხოლო XVIII ს.-დან მოკიდებული არსებული ცნობები და გვიანი ხანის ეთნოგრაფიული მასალა აფხაზეთს ახასიათებს, როგორც ჩამორჩენილი ეკონომიკისა და კულტურის ქვეყანას; გვაროვნული წყობილებითა და წარმართული რელიგიით. აფხაზეთი, სადაც ქრისტიანობა პირველი საუკუნეებიდანვე გავრცელდა, ხოლო სახელმწიფო სარწმუნოებად VI ს. გამოცხადდა, XV-XVII სს. წარმართებით არის დასახლებული“.

ქვემოთ რეცენზიაში სათანადო საბუთების საფუძველზე ვრცლად არის საუბარი იმაზე, თუ რა ვითარებაა შეიქმნა აფხაზეთში XVII-XVIII სს., რომელიც იყო შედეგი აქ მომხდარი ძირეული ძვრებისა:

„მეტად საყურადღებო ცნობები XVII საუკუნის აფხაზების უოფის შესახებ შენახულია იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის აღწერაში, ეს უკანასკნელი აფხაზებს მიჰყვარს იმ „ველურ ხალხებს“, რომელნიც კავკასიის მთებში ცხოვრობდნენ. ლამბერტი აღნიშნავს, რომ ეს ხალხები თუმცა თავს ქრისტიანებად აცხადებენო, მაგრამ ნამდვილად ქრისტიანობის არაფერი სცხიათ“.

ლამბერტი წერს:
«Саади с северо-западной стороны она (т. е. Колхида) окружена хребтом Кавказских гор, которые населяют дикие варварские народы... Ближайшими являются абхазцы (Abcassi), аланы, сваны, карачаевцы, джикки, черкесы. Все они именуются христианами, но живут без законов и занимаются охотой и грабежами. Разнообразие их наречий и языков удивительно. Каждое из этих

народностей имеет свое собственное наречие...»

ლამბერტი სხვა ადგილას სვანების აღწერის შემდეგ წერს:

«Теперь перейдем к остальным народам, которые живут в Кавказских горах. Дальше на север от Мингрелии живут абхазцы (Abassi или Abaschi), которых турки называют абассами (Abbassa)... в городах и крепостях абхазцы не живут, но (обыкновенно) собираются десять или двадцать семейств одной фамилии, выбирают какое-нибудь возвышенное место, строят здесь из саломы несколько шалашей и обводят все крепким забором и глубоким рвом. Последнее делают потому, что у них обычай грабить друг друга»...

ლამბერტი აფხაზებს უქებს ბუნებას, ხალხის სილამაზეს, აღნიშნავს ჭოგთა სიმრავლეს; თევზს არ სვამენო, კიბო ეწივლებათ, სახლი არაფერი აქვთ მორთულობისა (утварь) ერთი მეორეს ჰყიდიან მონებად, შეიარაღებულით სძინავთ...

XVII საუკუნის მისიონერის პატრი იოანეს მოწმობით აფხაზებს კამა-სმის წესი ისეთივე აქვთ, როგორც ჩერქეზებს.

საინტერესო ცნობა აქვს დაცული ლამბერტის აფხაზებში არსებულ დამარბვის წესის შესახებ: მკვდრებს ხის ორეში სდებენ და ხის წვერში ჰყიდებენ, მიცვალებულის იარაღს იმავე ხეზე ჰყიდებენ, ხოლო მიცვალებულის ცხენს შეკაზმევენ და იმდენს არბენიებენ, ვიდრე არ გასკდება...

დამარბვის ასეთი წესი აფხაზეთში დადასტურებული აქვს თურქ მოგზაურს ევლია ჩელიბისაც, რომელმაც აქ იმგავარა 1841 წელს და აგრეთვე ვახუშტის. იგივე წესის არსებობა დადასტურებულია ეთნოგრაფიული მასალითაც. ეთნოგრაფიული მასალა ადასტურებს, რომ აფხაზებში გვაროვნულმა წყობილებამ არსებითად XIX საუკუნემდე მოატანა.

ზემოთ მოყვანილი დაუინებელი მოწმობანი იმის შესახებ, რომ აფხაზები აგრე ჰგვანან კავკასიის მთიელ ხალხებს, უოფაში, სარწმუნოებით, რომ ისინი ციხეებში და ქალაქებში არ ცხოვრობენ, რომ საკუთარი ენა აქვთ, რომ მათი მეურნეობა შესაქმონელია და მონადირეობაა, რომ, როგორც ჩანს მეხობრბლეობა ან სულ არა აქვთ, ან მეტად მცირე, რომ ისინი მეგრელებს არ ჰგვანან უოფა-ცხოვრებით, — უველაფერი ეს იმის მოწმობაა, რომ XVII საუკუნის აფხაზები მართლაც კავკასიანებია, საკმაოდ გვიან ჩამოსულნი ბარში. მათ ჭერ კიდევ ვერ აუთვისებიათ ბარი და მთიულურ ცხოვრებას განაგრძობენ. რა თქმა უნდა ესენი არ არიან აბორიგენები. მათ ვერ შეუთვისე-

ბიათ ქრისტიანობა, ისევე, როგორც ვერ შეუთვისებიათ ფეოდალური მეურნეობა (ამ უკვლად უზგესა და ნოყიერ ქვეყანაში), ისევე როგორც ვერ შეუთვისებიათ ფეოდალური სოციალური წყობა და გორაებზე გვარებით (ერთი გვარის ხალხი) დასახლებულნი ცხოვრობენ. თუ მათ მიწის საკუთრება აქვთ, ის უთუოდ ამ ინსტიტუტის დასაწყისი სტადია შეიძლება იყოს, რამდენადაც აფხაზები უმთავრესად მეჭოგეობას მისდევენ და არა მიწისმოქმედებას...

ყველაფრიდან ჩანს, რომ აფხაზები XVII საუკუნეში თავისთავადი ხალხია, კავკასიანელთა მონათესავე, პრიმიტიული ყოფით და წარმართული რელიგიით.

მეორე მხრივ, როგორც იყო აღნიშნული, მომწიფებულ საშუალო საუკუნეებში (VIII-XIII სს.) აფხაზეთი არის განვითარებული ფეოდალური ქვეყანა, საიდანაც ქრისტიანობა მთაში ვრცელდებოდა, ამას მოწმობენ ბერძენი მწერლები, ქართული ფეოდალური მწერლობა (იოანე საბანისძე), ამას მოწმობს აწინდელი აფხაზეთის არქიტექტურული ძეგლები... და უცბად ხდება ძირფესვიანი გარდატეხა... XV საუკუნიდან აფხაზეთი წარმართობს; ძირფესვიანად უქმდება ზედიზედ საეპისკოპოსოები, ქრება ქრისტიანობა — და ეს ხდება არა იმის გამო, რომ აქ მსმალეთმა ძალით დანერგა მამამადიანობა, როგორც ეს მოხდა მესხეთში, არამედ სულ სხვა საფუძველზე. მამამადიანობა აფხაზეთ შორის ფეხს იკიდებს მას შემდეგ, რაც იქ ქრისტიანობა მიწოდდა.

რა უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი? ე. ი. რამ გამოიწვია აფხაზეთში ქრისტიანობის მიწოდება?

სავსებით დაუჭერებელია, რომ ესოდენ ინტენსიურ ფეოდალურ ქრისტიანულ ქვეყანაში, როგორც იყო აფხაზეთი, საიდანაც ქრისტიანობა იმიერკავკასიის ხალხებშიაც კი ვრცელდებოდა, ქრისტიანობა თავისთავად გაქრა და მისი ადგილი პირველყოფილმა წარმართობამ (გვაროვნული წყობილების სარწმუნოებამ) დაიკირა... ეს დაუჭერებელი რამ არის. ვანა მუშობელი სამეგრელო უფრო განვითარებული მხარე იყო ეკონომიურად, პოლიტიკურად ან სოციალურად? ან როგორც მოხდა, რომ სამეგრელოში სასოგადოებრივი განვითარება გვიანფეოდალურამდე მივიდა, ხოლო აფხაზეთი წინაფეოდალურ ურთიერთობას შერჩა? რათქმა უნდა ეს ასე არ ყოფილა. აფხაზეთი ისევე განვითარებული (თუ უფრო არა) ქვეყანა იყო, როგორც სამეგრელო, ან საქართველოს სხვა რომელიმე ნაწილი. ამის მოწმობაა აფხაზეთის ბუნებრივი პირობები, ისტორიული წყაროების ჩვენებები, აფხაზეთის მატერიალური ძეგლები (ფეოდალური ციხეები, სასახლეები, ტკლესიები, მონასტრები)...

მაშ რა მოხდა? მოხდა *ქრისტიანული* ქონდა არაერთგან საქართველოს მთელსა და მთარის ურთიერთობაში. ფეოდალური შერჩევა და სუსტების შემდეგ ჩამოწვა მთა. სრულიად შეუძლებელია, რომ აფხაზეთში ინტენსიური ფეოდალური მეურნეობა ექსტენსიურ მთის მეურნეობით შეცვლილიყო, დაწინაურებული ფეოდალური კულტურა მთის ყოფით შეცვლილიყო, რომ აფხაზეთი ქრისტიანობისაგან მიცვეთილიყო, თუ აქ მთის ჩამოწოლას არ ჰქონდა ადგილი.

მხოლოდ ამის შედეგად შეიძლება მოხდარიყო ის, რომ განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის ქვეყანა 1000-წლოვანი ქრისტიანობით „უბრუნდება“ ექსტენსიურ მეურნეობას, წარმართობას...

ფეოდალურ ხანაში მთიელი აფხაზები რამოდენიმე ნაკადად ჩამოდიან აფხაზეთის ტერიტორიაზე. ერთ-ერთი ასეთი ნაკადი უნდა ჩამოსულიყო XIII ს-ში, როდესაც ჩრდილო კავკასიაში ოქროს ურდოს მოწოლით კავკასიის ტომები სამხრეთით მოიწვედნენ (ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე ამავე ხანაში ოსებშიც, რომელთაც გადმოდიან კავკასიის პირაქეთ და საფუძველს უყრიან ლიახვის ხეობის ოსურ მოსახლეობას). მთიელი აფხაზების ჩამოსახლების პროცესი გრძელდება მომდევნო საუკუნეთა მანძილზე... XV საუკუნეში ეს პროცესი საქმოდ შორს ყოფილა წასული, რის აშკარა მოწმობაა აფხაზეთი მიქცევა წარმართობისადმი („მცნება სარჭულთ“). XVII საუკუნისათვის მთიელ აფხაზეთა ახალი ნაკადის ჩამოსვლა სავარაუდებელია, რომელმაც კიდევ უფრო გააძლიერა აფხაზეთის ახალი მოსახლეობა.

ის ფაქტი, რომ ჩამოსული ელემენტი შედარებით ადვილად ერევა დამხდურ საზოგადოებას (აფხაზურსა და არააფხაზურს), მასზე გაცილებით დაწინაურებულს, სოციალურ მოვლენათა სფეროში პოპულარობს ახსნას.

ფეოდალურ უღლის ქვეშ მყოფი ადგილობრივი მოსახლეობა ადვილად ურიგდებოდა მთიდან ჩამოსულთ, რომელთაც პრიმიტიულ ყოფასთან ერთად სოციალური თავისუფლებაც მოჰქონდათ.

აფხაზეთში გაბატონებული ახალი ყოფა, რომ სასურველი იყო ფეოდალურ უღელში ჩაბმული საზოგადოებისათვის კარგად ჩანს იქიდან, რომ XIX საუკუნეში სამეგრელოს მოსახლეობა მნიშვნელოვანი რაოდენობით გადადის აფხაზეთში და იქ „აფხაზდება“, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მათ სოციალურ თავისუფლებას ანიჭებდა.

ერთ-ერთი ხელისშემწყობი პირობათაგანი იმისა, რომ მთიელმა აფხაზებმა შედარებით ადვილად შეითვისეს მათი დამხდური თანამოქმენი, იმაში შედგომარეობდა, რომ ადგილობ-

რევი აფხაზური მოსახლეობა თუმცა პოლიტიკურად და კულტურულად გაქართველებული იყო, ინარჩუნებდა თავის საკუთარ ენას.

ამის პირდაპირი მოწმობაა XIII ს. ქართველი მწერლის მითითება.

უნდა აღნიშნოს, რომ გაქართველება უპირატესად გაბატონებულ კლასს შეეხებოდა, ძირითადი მასა მოსახლეობისა უფრო მტკიცედ ინახავდა ეთნიკურ ნიშნებს.

როგორც ჩანს, ძველ (ქართულ) კულტურულ ტრადიციებს გვიან მხოლოდ აფხაზთა გაბატონებული წრეები ინარჩუნებდნენ. დამახასიათებელია ამ მხრივ ის გარემოება, რომ ქერვაშიძეებს გვიან თვით აფხაზები „ქართველებს“ ეძახდნენ. ჩანს, იმიტომ, რომ ესენი ძველ ქართულ ტრადიციებს მისდევდნენ. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ XVIII-XIX საუკუნეებშიც აფხაზთა გაბატონებული წრეების სამწერლობო ენა ქართული იყო. ამაზე მიუთითებს ვახუშტიც, რომელიც წერს, რომ აფხაზები თუმცა საკუთარ ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ დამწერლობა ქართული აქვთ. ცხადია, ეს ძველი ვითარების გაგრძელება იყო“.

რეცენზიის დასკვნაში აღნიშნულია, რომ განსხვავებით პ. ინგოროყვას მტკიცებისაგან, აფხაზეთის ტერიტორიაზე კავკასიური, მათ შორის აფხაზურ-ადიღური ტომები ქართულ მოსახლების გვერდით ცხოვრობდნენ ძველი დროიდანვე (იგულისხმება აფშილებისა და აბაზგების აქ დადასტურება I-II საუკუნიდან). შემდეგ კი ვკითხულობთ: „აფხაზები ქართველებთან ერთად აქტიურად თანამშრომლობდნენ საქართველოს კულტურულ-ისტორიულ ცხოვ-

რებაში, განიცდიდნენ ქართული კულტურის ძლიერ გავლენას და თვითონ ხდებოდნენ კულტურის აქტიური მშენებლები.“

XIII საუკუნიდან მოკიდებული ფეოდალური საქართველოს დაშლასთან ერთად აფხაზეთის საერისთაო (ანაკოფიიდან დასავლეთით მდებარე ტერიტორია) თანდათან თავისუფლდება პოლიტიკურად და, ავრცელებს რა თავის საზღვრებს აღმოსავლეთით, იქცევა დამოუკიდებელ სამთავროდ. ამავე ხანებში მიმდინარეობს ინტენსიური პროცესი მთიელი აფხაზების თუ სხვა კავკასიური მოდგმის ტომების ჩამოწოლისა ბარის აფხაზეთში. ერთიანი საქართველოს კულტურის დაცემის პირობებში ეს პროცესი იქამდე ძლიერია, რომ საცხებით უცვლის კულტურულ სახეს ბარის მოსახლეობას აფხაზეთში.

ახალი მოსახლეობა, ქვეყანაში ოსმალთა ბატონობის პირობებში, ვერ ახერხებს წინაპართა კულტურულ მემკვიდრეობის ათვისება-გაძლიერებას და ბატონდება პრიმიტიული საზოგადოებრივი ურთიერთობა“.

დასასრულს რეცენზიაში ნათქვამია, რომ თუმცა „პ. ინგოროყვას ნაშრომში გენეტიკური კავშირი ძველსა და ახლანდელ აფხაზებს შორის გაწვევითი აღმოჩნდა, ამისდა მიუხედავად პ. ინგოროყვას დამსახურება ამ საკითხის მეცნიერულ შესწავლაში უდავოდ საპატიოა. საკითხის დასმითა და რიგი დებულებების სწორად გადაწვევით ავტორმა საგრძნობლად წინ წაწია საქართველოს ისტორიის ამ პრობლემის მეცნიერული შესწავლის საქმე“.

ავტორის თხოვნით პონორარი გადაირიცხება მ. კოსტავას სახელობის დემოგრაფიულ ფონდში.



ჯანრი კაშია

უბისი ანუ რენესანსი „ურენესანსოდ“

„მაქვს მეგრდს მიღებული
ქნარი, როგორც მინდა.
ჩემთვის დიდებული
სხივი გამობრწყინდა.
მკვიდრად ააშენა,
ვინაც ააშენა
და ცით დაამშვენა
დიდი ნიკორწმინდა.“


.....
მზერა ქართულია
სივრცის დაუნჯებით
თვალი გართულია
ფრთიან ფასკუნჯებით:
ფრთები, ფრთები გინდა,
კიდევ ფრთები გვინდა,
გინდა დაეუფლო
სივრცეს, ნიკორწმინდა!“

გალაკტიონ ტაბიძის, მეოცე საუკუნის უდი-
დესი ქართველი პოეტის ამ დაუოკებელ აღტა-
ცებაში გამოთქვა თავი ქართულმა ხედვამ.
ეროვნული მხატვრული ინტუიცია არქიტექტურული
სიღრმიდან ამოსხივდა ქართველი პოეტის მწე-
რაში. ნიკორწმინდა 1014 წელს აგებული ეკ-
ლესიაა მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეების
მხატვრობით. ცივი „ევროპული ავტორიტეტუ-
ლი“ თვალი უყურებს პატარა ტაძარს (ევრო-
პული მასშტაბით) მდგარს მთებით გარშემორ-
ტყმულ ბორცვზე და ევროპაში მიღებული კრი-
ტერიუმების თანახმად ხედავს მას ბიზანტიური
ხელოვნების ანარქელად, ხოლო ამ თავისი „ვე-
რდიქტის“ დასამტკიცებლად ორიოდ ავტორი-
ტეტს მოიშველიებს (ვინკელმანისა თუ სტრი-
გოვსკის მსგავსს) და სამიოდ ზოგად დებულე-
ბასაც ჩამოაყალიბებს. ფილოსოფიურს. მერე
ცივად გაიკვირებს, რამ გააგვიყა ქართველი
პოეტიო, და ცინიკურად დაასკვნის —
„პროვინციალური პატრიოტიზმი!“.

ღირებულებათა სკალის „ევროპული“ კრიტი-
კული ხედვა ქართველის ხედვისაგან, არსები-
თად განსხვავებული აღმოჩნდა.

რას ხედავენ ისინი?

„დასავლური“ („ინდოევროპული“) ხედვისა-
თვის მთავარი არის თვით საგანი, როგორც თა-
ვისთავში ჩასრულებული შემონაქმედი, რომე-
ლიც სრულყოფილების ყველა ნიშნით უნდა
ხასიათდებოდეს. ბერძნულიც და რენესანსულიც
ხედვა (მსოფლხატი გამოვლენილი ხელოვნება.
ში, ფილოსოფიაში, ლიტერატურაში, რელიგი-
აში... ცხოვრების წესში...) საგნობრივ-დასრუ-
ლებულია და რეალურ-მატერიალური საგნის —
„სხეულის“ სახეს იძენს. ინდოევროპული ხე-
დვის ეს საგნობრივ-სხეულბრივი არსება პრი-
ნციპულად საწინააღმდეგოა „აღმოსავლური“
(„სემიტური“) ხედვის აბსტრაქტულ-ნიშნობრივი
არსებისა. ყველაზე უფრო ძლიერად გამოვლი-
ნდა ეს განსხვავება „ძველი აღქმის“ და მას-
თან გენეტიურ-რასობრივად დაკავშირებულ
„ყორანში“ წარმოჩენილი მსოფლხატით (ებრა-
ულსა და მუსულმანურ ხელოვნებასა, ლიტერა-
ტურასა, „ფილოსოფიასა და ცხოვრების წეს-
ში, ერთის მხრით, და ქრისტიანულ, „გაინდო-
ევროპელებულ“ მსოფლხატში. ქრისტიანობა
„განსხეულბული სახიერების რელიგია“ და
მსოფლხატი მთელს სისრულეში ყოფიერებისა
და შემოქმედების პრინციპულადაა მუდღებულ
ებრაული და მუსულმანური „ტრანსცენდენტუ-
რი და უხილავი“ ღმერთის რელიგიისა და
მსოფლხატისათვის. აბსტრაქციაცაზე დამორჩილე-
ბული ყოფიერებისა და შემოქმედებისათვის
მთელს თავის სისრულეში (ირანულ სუფიზში
მუსულმანურ-სემიტურმა ხედვამ ინდოევროპი-
ზაცია განიცადა და მოგვცა ერთგვარი
„ინდოსემიტური“ მსოფლხატი, რამაც ერთგვა-
რი „უნერხლობა“ შეუქმნა წმინდა მუსულმა-
ნებს — სემიტებს. იგივე შეიძლება ითქვას სა-



წყის ქრისტიანობაზეც, რომელმაც პატრისტიკაში სრული ინდოევროპიანობა განიცადა და სემიტურის აბსოლუტურად საწინააღმდეგო მხოლოდხატი მოგვცა. ამიტომაც სრული გაუგებრობის შედეგია ტერმინის „იუდეოქრისტიანის“ მიყენება საერთოდ ქრისტიანობისათვის. თვით მოციქულებიც კი, სულთმარების შემდეგ უკვე აღარ ხედავენ სამყაროს „იუდეური“ ხედვით, არამედ არსებით „ინდოევროპულად“ იუდაიზმისა და მუსულმანობაც ერთი, „სემიტური“ ხედვის სისტემაში ვითარდებიან და ორივენი ერთნაირად უპირისპირდებიან ინდოევროპულ ქრისტიანობას, რომელსაც ერთ ძლიერ ნაკადად უერთდება ქართულ-კავკასიური ხედვა და ქრისტიანობა, რომლის არსებით ნიშანსაც წარმოადგენს ერთგვარი ინტეგრირება ამ ორი ურთიერთდაპირისპირებული ხედვისა.

ქართული ტრადიციული ხედვა ტაძარს იმთავითვე ინტიმური თვალთ უყურებს ანუ, როგორც თავისაც და ღმერთისაც საერთო სახლს ამიტომაც კომპოზიციითა რიგს, განხვავებით ვთქვათ. ბიზანტიური ან, „ადრეერენსანული“ კედლის მხატვრობისაგან, „დაზგური“ თვალთ აღიქვამს და ქმნის კიდევ ქართული „მონუმენტალიზმი“ კედლის ანუ მონუმენტურ მხატვრობაში, იმთავითვე დაზგური ანუ „ინტიმური“ მხატვრობის „ფსიქოლოგიზმითა“ და „დრამატისმიითა“ ნეტივიზმი (სვანური ფრესკები, დავით გარეჯის, გელათის, უინფისის და, თვით, „იმპერიული“, სვეტიცხოვლისა და ალავერდი-საც... განსაკუთრებით იგრძნობა ეს ქართულ-ბიზანტიური მხატვრობის თანამყოფობისას — წრომი, წალენჯიხა, უპიანი...) ტაძრის შიდასივრცის გაინტიმურების ეს მისწრაფება და ცდა თავისი შინაგანი ბუნებითა და „კონცეპტუალობით“ არის საწინააღმდეგო, როგორც ბიზანტიური, ანუ აღმოსავლურ-ქრისტიანული (ორთოდოქსული), ასევე დასავლურქრისტიანული (კათოლიკური) ხედვისა. ევროპული იდეა ტაძრისა, როგორც „ღვთის სახლისა“, დას. ევროპულმა მხატვრულმა ხედვამ, ისევე, როგორც ბიზანტიურმა. თავის ტოპოლოგიურ არსებში გაასრულა იდეად „urbis gloriosa“ — ქალაქი ღიღებისა — და მოქალაქეთა თავშეყრის ალაგად დასახა. ამან, ერთის მხრივ, ასახვა მოკვა ვატიკანის მიმართვაში („urbis et orbis“) და ბიზანტიური არწივის ორთავიანობაში, თავის მხრივ, გოთური არქიტექტურის ბრძანულ არქიტექტურასთან შედარება ნათელს ხდის ამას: — რომანულში ჭერ კიდევ არის შიდა სივრცის ერთიანობა და „თბილი“, ადამიანური მასშტაბი (verelay). მაშინ, როცა გოთური ტაძარი სინამდვილეში ნამდვილი „ქალაქია“. სამლოცველოთა სისტემა (Notre Dame de Paris)... შეიძლება ვთქვათ, რომ რომანული და ადრებიზანტიური ხედვა კულ-

ტურის თვალის ხედვა — ფეოდალიზმი ხედავს პარამონიო ბარობს, ხოლო ბიზანტიური მაღალი სტილი კი — ფეოდალიზმისა — ფეოდალიზმი მონარქიულ განსრულებული. ცივილიზაციის თვალ იდეას იდეოლოგიურად ამოშავებს და საქმედ აქცევს; ე. ი. ანაწევრებს და განწყობს, ახარისხებს ღირებულებებს; ხოლო კულტურისეული ხედვა კი იდეას ცხოვრებად, ე. ი. მთლიანობად ხედავს და არ განწვილითავს და ახარისხებს მას ღირებულებათა იერარქიულ სისტემად, არ ხდის საქმედ. კულტურას იდეოლოგია არ გაანია. მოქალაქეთათვის ქალაქი გარემოა და არა ინტიმური საცხოვრისი, რომელშიც მას უშუალო კავშირის დაშვარება შეეძლება ღმერთთან. „მონუმენტურობა“ — სხვაობად დგინდება. განყენებულობად, რაც ქმნის თანდათან „გაუცხოების“ ანუ ჰუმანიზაციის შესაძლებლობას და, ბოლოს, სტოვებს კიდევ ტაძარს, იქცევა-რა საერო-სამოქალაქო „ჰუმანისტური“ იდეალების“ გამოხატვისა და დაშვყოფილების სახედ და, საბოლოოდ, დეკუმანიზირებული ანტი-ისტორი-მასობრივი იდეოლოგიის ფორმად... ამიტომაც ბიზანტიური მხატვრობის ყველაზე „ცხოველხატულ“ პერიოდშიც კი — „პალეოლოგების რენესანსის“ დროს, — მონუმენტური მხატვრობა ნაწილობრივ რჩება „ვიდაცი“ (წმინდანის, მარტვილის) თავგადასავლად და არახლდეს არ შემოდის ინტიმურ სივრცეში აღმნიანის (და არა მოქალაქის) ცხოვრებისა. ქართული ხედვიდან ბიზანტინა „დასავლურობის“ იმ ნიშნებით ხასიათდებოდა, რომელიც დასავლეთისათვის სავსებით აღმოსავლური იყო. ამიტომ, თუმც ბიზანტიურ მხატვრობასთან კავშირში და მისგან შეთვისებით, ქართული ხედვა უკველთვის საკუთრივ ქართული ინტუიციის გამოვლინებას წარმოადგენდა და ქართველისთვის „ქართული“ და არა „ბიზანტიური“ რელიგიურ უნივერსუმს განახაზიერებდა. მიხეილ ნაწივილი, ქართველი კულტუროლოგი, თავის ვრცელ გამოკვლევაში „თვალსაზრისი რუსთაველის შესახებ და გამო“ ქართულის ცენტრალურ წერტილში მოთავსებით ასე აფასებს დასავლურსა და აღმოსავლურ პრინციპებს: „იდეალის რეალური მასშტაბების გრძნობა — საფუძველია დასავლური ხელოვნების, რომელმაც მოახდინა კიდევ იდეალურის და რეალურის დახვევაბაცა და შეხვევაბაცა დასავლურ ხელოვნებაში იდეალს ხედავთ და არა წარმოსახვით, რადგან რეალიზმითა გასახლდურული, ხოლო აღმოსავლურში რეალიზმს წარმოსახვით და არა ხედავთ, რადგან იდეალითა განშლილი ანუ: დასავლური იდეალიზმი გონებითა, ხოლო აღმოსავლური რეალიზმი — გრძნობით“... ქართული ხედვა ქართული ხელოური წყობისა და კულტურის ისტორიული ჩამოყალიბების პირობების გამო „ორისავე



მხლებელია“ — დუალისტურია თავისი არსებით, რაც ბუნებრივად სინთეზურ ხედვად ვლინდება: ქართველი ერთნაირი სიწრფელით ეწიარება აღმოსავლურ სენსუალიზმსა და დასავლურ რაციონალიზმს, ვითარცა თავის ბუნებრივ შემადგენელს. ანუ აღმოსავლური სენსუალიზმის სიმამაცს დასავლური რაციონალიზმით ანელებს, ხოლო დასავლური რაციონალიზმის სიცივეს აღმოსავლური სენსუალიზმით ათბობს. რუსთაველი — ეს სინთეზური ხედვა საზეიმოადა გაშლილი. მეორეს მხრივ, ის, რასაც ჩვენ „რუსთაველურ ჰუმანიზმს“ ვუწოდებთ სავსებით ეთანაბრება მარი-მადლენ დავის მიერ დახასიათებულ ქრისტიანობის მეთორმეტე საუკუნის ადამიანს:

„ვეფხისტყაოსანი“ გვიხსნის სრულიად ახალ კუთხეს ქართულ-ევროპული კულტურული არსების შესაცნობად. თავისთავად ცხადია, რომ ბერძნულ-ბიზანტიური ცენტრების ავტორიტეტი, დაფუძნებული ათონის მთისა და სხვა დიდი სასულიერო-რელიგიური წყაროების თეოლოგიურსა და იკონოლოგიურ-სიმბოლიკურ კანონზე, გავლენას ახდენდა არა მარტო საკუთრივ ბიზანტიური, არამედ ბიზანტიის მომიჯნავე და მის პარალელურად, და მასთან კავშირში მყოფ ქვეყნებზეც, როგორც სლავურ-ბალკანურ, ისე შვიტარაზიულ-კავკასიურ რეგიონებშიც. მაგრამ, და ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტია, ამ სასულიერო რელიგიურ ცენტრებში მოღვაწეობდნენ არა მარტო ბერძენ-ბიზანტიელი, არამედ ყველა მართლმადიდებლურ — და არამარტო — ქრისტიანული ავტოკეფალური ეკლესიების წარმომადგენელნიც. საქმარისა, აღნიშნოს ათონის მთაზე, პეტრიწონში, იერუსალიმში, უდიდესი და უძველესი ქართული სასულიერო-რელიგიური და ფილოსოფიური ცენტრები (იოანე პეტრიწის, ევფთიმე და გიორგი მთაწმინდელეების დასახელებაც იკმარება). ქართველი თეოლოგები აქტიურად მონაწილეობდნენ პატრისტიკული თეოლოგიის შემუშავებაში — პეტრე იბერის სახელი საქმარ ავტორიტეტით მოსავს ქართულ თეოლოგიურ აზრს. ასე რომ, გარკვეული თვალსაზრისით, სახეზე უკუგავლენაც გვაქვს. ბიზანტია, თუმცა იგი გარკვეულ პერიოდებში აღმოსავლეთ საქრისტიანოს უდიდესი და უძლიერესი იმპერია იყო პოლიტიკურად, სრულიადაც არ წარმოადგენდა კულტურული ექსპანსიის უქველ წყაროს, იმ უბრალო მიზეზისა გამო, რომ უმეტესობა უშუალოდ ბიზანტიის იმპერიაში, ან მისი გავლენის სფეროში შემავალ ქვეყანათა სახელმწიფოებრივადაც და კულტურულადაც, ისევე როგორც რელიგიურად, არანაკლებ განვითარებული იყო. „ბიზანტიური კანონი“ ვრცელდებოდა ამ ქვეყნებში არა როგორც დოგმა, არა

მედ, როგორც შესაძლებლობა და საშუალები საკუთარი ხედვის გადმოსაცემად. ეს ნიშნავს თავის გადამუშავებობდა შესაძლებლობას, რომელიც ერთგვარი ხედვის კანონისა და მოთხოვნებისა. გავლენა, ამ თვალსაზრისით, ისაზღვრებოდა საკუთრივ ბიზანტიელი მხატვრების ფიზიკური მონაწილეობით ამა თუ იმ ქვეყნის ხელოვნებაში, ან ბიზანტიურ სკოლებში განსწავლული ადგილობრივ მხატვრებისა: ორივე შემთხვევაში, უმეტესწილად ირდებოდა ბიზანტიურ კანონთა „ბიზანტიზმი“. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ თეოფანე ბერძენისა და ანდრეი რუბლიოვის ურთიერთმიმართება: რუბლიოვი რუსული პირველხედვის არსებას გამოავლენს და თავისი ბუნებით არის „ანტითეოფანური“, „ანტიბიზანტიური“. იგი რუსულ არქიტექტურის წყაროდან საზრდოობს და არა ბერძნულად „განსწავლის“ (წინააღმდეგ შემთხვევაში, რუბლიოვის — და ყველა სხვათა — ღირებულება მხოლოდ „მეორადი“ და იმიტაციური იქნებოდა და, უკეთეს შემთხვევაში, გენიალური „იმიტატორის“ სახელს დაიმსახურებდა!) და ეს რუსეთში, რომელიც თავისთავს ბიზანტიის პირმშოდ და სულიერ მემკვიდრედ აღიარებდა და იმტკიცებდა... ძლიერი ბიზანტიური გავლენის ქვეშ წარმოდგენილი აღმოსავლურ-ქრისტიანული ქვეყნების ხელოვნება უშუალო და დაკვირვებული განხილვისას გაცილებით უფრო ღივრენციურებულ სურათს იძლევა, ვიდრე საკუთრივ ბიზანტიური. და ადვილი შესაძლებელია, რომ ბიზანტია, თავისი იმპერიული დიდების ზენიტში, სრულიად მოურიდებლად იყენებდა „პერიფერიათა“ ღირებულებებს, მიჩნედა რა მათ უფლებამოსილ მფლობელად თავისთავს და მხოლოდ, სამწუხაროდ, ჭერ არავის შეუხედავს და გაუაზრებია ის ნაკადები, რომლებიც ბიზანტიაში ჩადინებოდა საკუთრივ იმპერიის პროვინციებიდან და გარშემო ქვეყნებიდან. და არც დაბრუნებულ მხატვართა შემოქმედებაა შესწავლილი საყოველთაოდ, თუ, ცხადია, ასეთნი ცნობილნი არიან. ამგვარი „მეტროპოლიტური ეგოცენტრიზმის“ ანუ „იმპერიული თეოტოპიის“ მაგალითები ევროპულმა ცივილიზაციამ მრავლად იცის, მხატვრობასა და... პოლიტიკაშიც.

მიუხედავად ქრისტიანობისა, რაც ბიზანტიას და სხვა ქრისტიან ქვეყნებს ევროპის მთელი კონტინენტისა ერთიან შუასაუკუნოვან ქრისტიანულ-გეოდალურ ცივილიზაციაში ათავსებს. არის საქმარად საფუძვლიანი და არსებითი განსხვავება ბიზანტიურ მსოფლსახესა (Image of the Vort) და ქართულ მსოფლსახეს შორის. ეს განსხვავება არა მხოლოდ „გრაფიკული“ (ენობრივი) ბუნებისაა, არამედ, გამოხატავს იმ არქეტაპულ „მზის კვანძს“, რომელიც მილოსურ პარადიგმად ახასიურებს ამა თუ იმ



ერის ისტორიულ-მემორიული უფიქრებდა. ეს მითოსური არქეტიპი კმნის ერის მეტაისტორიულ განწყობას და აფორმებს მის ხედვას: უნივერსული სწორედ ამ ხედვის სახედ და პორიზონტად ეხსენება ერს და სახიერდება მის კულტურაში და კულტურის ყველაზე უფრო „მეტაფიზიკურ“ ფორმაში — ხელოვნებაში. ამდენად, თქმა იმისა, რომ ქრისტიანული ქვეყნები, მოქცეულნი ბიზანტიის გავლენის სფეროში, ან უშუალოდ ბიზანტიის იმპერიაში შეეყვანილნი, არსებითად ბიზანტიურ ხელოვნებას ასახიერებენ ან, უკიდურეს შემთხვევაში ამ კულტურის პერიფერიულ-პროვინციულურ ასახვას წარმოადგენენ, არის მონობლოკური აზროვნებისა და განწყობის გამოვლინება. მაგალითისათვის შევადაროთ ქართული და ბიზანტიური ხედვა ბუნებისა, ტაძრისა და შიდა სივრცისა (საკულტო არქიტექტურა ენაა, რომელშიც უფიქრობს მსოფლსახე — ამ თვალსაზრისით ეს არქიტექტურა არის „სახლი უფიქრებისა“, ვითარცა ენა და მისი წაკითხვია ან გაგებით. შევიმეცნებთ მსოფლსახეს და ამ მოცემული ხელოვნისა თუ კულტურის მიმართებასაც უნივერსალურად: ღმერთისა და კოსმოსისადმი, ადამიანით გარკვეულ ადგილას: სწორედ ადამიანის ადგილი, ღმერთისა და ადამიანის ურთიერთმიმართება და ამ უნივერსუმის ხედვის (გამოხატვის) ფორმები და საშუალებები განსხვავებენ კულტურათა და ცალკეულ ხელოვნათა მსოფლსახეს და აძლევენ მათ განუმეორებელ თავისთავადობას, როგორც ღმერთის მიერ ტოლფასად შემონაქმედება, რაც ენათა ანუ ერთა ტოლფასად შემონაქმედებაშია გამოხატული ქრისტეს მიერ მოციქულთა სულთმოფენაში). მიხეილ ნანეიშვილის ზუსტი განსაზღვრით: „ქართული საწყისისათვის მიუღებელი იყო ბერძნული ქრისტიანობის ასკეტიზმი და ფასტიზმი. ქართული ქრისტიანობის გათავისთავადება ჰუმანური უნივერსალიზმით იყო შთაგონებული... ქართული ესთეტიური იდეალისათვის უცხოა როგორც „ანემიური“ სისხლსაქლებობა. ისე „ავრესიული“ რელიგია: „ესთეტიკოსობა“ და „ფნატიკოსობა“... საერო სიბო, ზომიერი ასკეტიზმი და მისტიზმი, შინაგან დადგენილი ადამიანური საზომი — ყოველივე ეს ის ნიადაგი-წიაღია რომელშიც მწიფდებოდა რენესანსული (რუსთაველური) ემბრიონი იდეალისა... გარედან მიღებული, საერთო, აბსტრაქტულია ფორმით და შეგნებაში მონაწილეობს. სამშობლოდან მიღებული ტრადიცია — საკუთარი, კონკრეტულია ფორმით და ინტუიციაშია. შეგნება სასურველია — ისტუიცია საჭირო ხელოვნება ინტუიტურია ბუნებით — შეგნებულია დონით... კულტურა ფლობდა სტილის. ეროვნული სტილი (ხე) კი ხელოვნებაში განსახიერდება, როგორც ალაგში, სადაც ერთმანეთს ერწყმის იდეალური და

რეალური, გრძობადი და გონიერი... რენესანსული სტილი ინტუიცის შინა არსებას მსოფლიოს ლისგული... როგორც მხიარულება არის ხვედრი ქართველი ერისა, როგორც ხალხისა, ასევე სევდა არის ხვედრი ქართველი ერის, ვითარცა საზოგადოებისა. მაგრამ ქართველ ხალხს მუდამ ჰქონდა „ხალხური“ სიბრძნე ანუ მხიარულება და სევდა ზიარი იყო — ეს იყო საფუძველთა საფუძველი ქართული მხატვრული ხედვისა მაშინ, როდესაც მხატვარი ხალხში არსებობდა, როგორც მისი (ხალხის, ერის) ინტუიციის აქტივობა და მისი გამოხატულება. აქედან წარმოსდგა ქართული რენესანსული ხედვა „რენესანსის“ გარეშე. საუცხოო დადასტურებას ვპოულობთ ყოველივე თქმულისა უბისის მხატვრობაში.

(საქართველოში ათასობით ეკლესია და სამლოცველოა, რომელთაგან თავის დროზედ აბსოლუტური უმრავლესობა მოხატული იყო სხვადასხვა დროს, საქართველოს ქრისტიანული სახელმწიფოს არსებობის 1500 წლის განმავლობაში. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე მუშა წელს (ნინოს მიერ მირიანისა და ნანას მოქცევამდე) საქართველოში ქრისტიანობის საქადაგებლად მოსულა, ქართული ტრადიციით, ანდრია პირველწოდებული სიმონ კანანელთან ერთად და თითქმის მთელი დასავლეთი საქართველო მოუქცევია. ქართული ეკლესიური ტრადიციით საქართველო ღვთისმშობლის წილხედობილი ქვეყანაა (ღვთისმშობელი, უძლურებისა გამო, ანდრიამ შეცვალა ღვთისმშობლისავე თხოვნით), ხოლო ეს ეკლესიური ტრადიცია ისეა ხალხის მიერ შესისხლხორციელებული, რომ უტყუარ ქემშარტიბად განიცდება ერის მიერ. ამავე დროს, საქართველოში ინახებოდა ქრისტეს კუართი, რომელიც წილად ხვდა მცხეთელ ურიებს... 488 წელს, საქართველოს ეკლესიის ტრადიციით, გამოცხადდა საქართველოს ავტოცეალია. ხოლო წინარეკრისტიანული სახელმწიფოებრივი ცხოვრება საქართველოსი მიმდინარეობდა უძველესი შუამდინარულ-წინააზიური ცივილიზაციის წიაღში და მასთან ღრმა პოლიტიკურ და კულტურულ-რელიგიურ ურთიერთობაში, რაც თავის დადასტურებას ვპოუვებს ქართულ ენაში (სვანურითა და მეგრულ-ლაზურით), არქეოლოგიურ მასალაში, რომლის შესწავლა, შეიძლება ითქვას, მხოლოდ იწყება, და უძველეს წერილობით წყაროებსა და თქმულებებში. ამ თვალსაზრისით მარტო არგონავტების მითი იმარებდა და ბერძენ ისტორიკოსთა შრომებში (ჰეროდოტე, ქსენოფონტე და სხვა... ამ უდიდესი ტრადიციის ფონზე განხილული ქართული ხედვა და მსოფლსახე რომ სრულიად დამოუკიდებელ და ბიზანტიურისაგან განსხვავებულ სახეს იღებდეს, არც არის გასაკვირი, თუმცა ეს

აზრი დღემდე დაუძლეველია მონობლოკური გუნდებით შეკრებელი სპეციალისტ-ბიზანტოციენტრისტებისათვის).

სივრცისა და ტაძრის (ნაგებობის) ქართული ხელება გვეუბნება სრულიად გარკვეულად, რომ ქართული თვალი პლასტიკურ ფორმას (არქიტექტურულ მოცულობას), აღიქვამს და უყურებს არა მხოლოდ პლასტიკურ მასათა სისტემაზე, არამედ გარემოსადმი მის დამოკიდებულებაში. თავისთავადი არქიტექტურული ფორმა მას იმდენად აინტერესებს, რამდენადაც ამ მოცემულ ადგილასაა დასაყენებელი და რამდენადაც ეს ფორმა ამთავრებს გარემოს — ქმნის მცირე უნივერსს, ლოკალურ კოსმოსს, გარედან დანახული ქართული ტაძარი (თავის საუკეთესო და ე. ი. არსებით მაგალითებში — ჭვარი, სვეტიცხოველი, ალავერდო...) შეუძლებელია აღქმულ იქნას გარემოსაგან დამოუკიდებლად: არცერთ სხვა ადგილას ტაძარი არ „უღერს“ დასრულებულად (საუკეთესო მაგალითია ჭვრის კობო ატენის სიონი, რომელიც „დასასრულებლად“ საგანგებო ბორცვზე შესვს, მაგრამ მიიღეს სრულიად სხვა სახე —). ქართული ხელების ამ არსებაში გამოვლენილია უღრმესი რელიგიური და თეოლოგიური იდეა ღვთაებრივი და ადამიანური შემონაქმედის ურთიერთდასრულებადობისა და ურთიერთშერწყმულობისა: ღვთაებრივი შემონაქმედი — ბუნება დაუსრულებადია ადამიანის შემონაქმედის — ტაძრის გარეშე (ისევე, როგორც არ იყო დასრულებული ღვთაებრივი შემოქმედება ადამიანის გაკეთებამდე „სახედ ღვთისად“). ტაძარი, ამდენად, გაასრულებს, ამთავრებს ღვთაებრივ შემონაქმედს.—უსა ადამიანის უმადღესი დანიშნულება ამ სამყაროში — კი არ „გარდაქმნას“ ღვთაებრივი კოსმოსი, არამედ გაასრულოს, დაამთავროს იგი და „აჩვენოს“ თავისი საკუთარი ღვთაებრიობა. ამიტომაც, — გადავდივართ რა ხელების მეორე ასპექტზე — ტაძარი იქცევა სრულყოფილ ალაგად და „სახლად“ ღმერთისაც და კაცისაც; ინტიმურ ალაგად მათი პირისპირ შეყრისა და ურთიერთობისა მამაშვილურ გულთბილობაში. ეს რელიგიური იდეა მით უფრო მკვეთრად არის გამოთქმული ქართულ ბუროკრატულურებაში, რაც უფრო ღრმად შევდივართ დროთა სიღრმეში; ქრისტიანული რელიგიისა და თეოლოგიის მხატვრულად „გამოთქმის“ თვალსაზრისით არქიტექტურულ „შის კვანძს“ ამ ხელებისა ქმნის მცხეთის ჭვარი. ჭვარი იხევა „ჩახული“ თავის გარემოში, როგორც კარგი დიზაინერის მიერ მოწყობილი ინტერიერი. ამ თვალსაზრისით ბუნება „გარემოდ“ კი არაა ჭვრისათვის მოცემული, არამედ მისთვისობრივ განვრცობად — წარმოსახვა ავსებს მთელს სივრცეს „ჭვრებით“ და ის, პირველი და ერთადერთი, მალღდება ვითარცა

ღვთაებრივი ხატი — სიმბოლოა სივრცისა და ღვთაებრივი ხატის ერთდროულად. რადგანაც სივრცის მუდამი შეგნით და საგნებს გაერთ იყოფება, არის რა სამყაროს ცენტრი ადამიანისათვის ვითარცა საგანთა მხედველის ადგილი და სფერო ადამიანის, ვითარცა სამყაროს მსმენელის სივრცე. ანუ ცენტრიდან ჩანს და სფეროში ისმის. საგნები გონების ექსტენსიურ ფართში ჩანს. გონება მათთან მიღის, როგორც სხვასთან, ხოლო სამყარო გულის ინტენსიურ სიღრმეში ისმის. გულში, როგორც იგივეში: სუფევს ის“ (მ. ნან.) ქართული რელიგიური არქიტექტურული ფილოსოფია ამ დებულების ნათელ ილუსტრაციას იძლევა: ქართული ტაძარი გარედან — საგანია კოსმიური სივრცის ცენტრი, რომელიც შეგნიდან კოსმიური სივრცეა — ადამიანის გულში ამღერებელი, გარედან ადამიანი ტაძარს ხედავს და ბუნებას ისმენს. ზოლო შენობის შეგნით გადაწყვეტილებული ეს ხელება თავისთავს, ვითარცა ცენტრს და იგივეს ამ ბუნებისას არსებს და ავალბებს. კედლის მხატვრობა თავისი ფერადოვანი ენით (ფერითა და ფორმით; სიუჟეტური „უნივერსუმით“) შიდა სივრცეს უნივერსალური ყოფიერების ალაგად აქცევს, რომელიც თავისი ორგანიზულობითა და გულთბილობით — „არაიდეოლოგიურობით“ — ხელს უწყობს სახლის ინტიმურობის შენარჩუნებას. თვით ისეთ განადიოზულ (ქართული მასშტაბებით) — ტაძარშიც კი, როგორც სვეტიცხოველი ან ალავერდია მოხატული შიდა სივრცის ყოველი წერტილი. რამდენადაც საშუალებას გვაძლევს შერჩენილი მხატვრობის ხილვა, „ახლომღურის“ სიტბოთი გათბობს. ქართულ ტაძარში კედლის მოხატულობა ყოველთვის არის თანაზარი განცდის სფერო ანუ „გათავისება“ სულიერი თავგადასავალისა და ხორციელი ტანჯვისა, რომელიც „სხვას“ ვითარცა საჭვრეტ ობიექტს კი არ გადახდომია, იყო იგი თვინდ წმინდანი, არამედ ჩვენ, ვითარცა საქრისტიანო სამეზობლოსა და მოყვრებს განვციდია. გზას ტაძრის კედლიდან მლოცველის გულამდე „მანდილი“ არა აქვს. ე. ი. გზა კი არ არის — ვითარებაა, რომელიც ჩვენ ვიმყოფებით სულიერად...

(ბიზანტიური შიდა სივრცის მხატვრობა, ამის საწინააღმდეგოდ. წარმოადგენს იქ, კედელზე მკაცრი „სიმბოლოზმითა და განწოვადებით“ აღბეჭდილ გზას და თავგადასავალს იმ წმინდანისა, ღვთისმშობლისა თუ თვით მაცხოვარისა, რომელსაც ვკითხულობთ სხვანდ ჩვეთვის და რომლის თავგადასავალსაც ვიმეცნებთ გონით. აქედან მომდინარეობს ბიზანტიური „სპირიტუალური“ კედლის მხატვრობის „სიცივე და სიმშრალე“. რამაც შემდგომად ფონი შეუქმნა „პალეოლოგიურ რენესანსს“, რომელიც თავისი შინაგანი ხედვით, ცხადია, გარკვეულ ვითარებას გამო-



ხტავდა და სრულიად არ წარმოადგენდა „კვლავ შობას ელინიზმისა — „რენესანსს“ იმ უბრალო მოწვევისა გამო, რომ ელინიზმი ბიზანტიის ბუნებრივი გარემო იყო და არც „აღმოსაჩენად“ მიმართული. ქართულ მსოფლხატში ეკლესია არა მარტო ღმერთის სახლია, არამედ ადამიანის სულიერი უფის ალაგაც: ისევე, როგორც ადამიანის საცხოვრისი სახლი, დარბაზი, იყო ქრისტიანობამდე და, არსებითად, მეოცე საუკუნემდეც დარჩა მეტაფიზიკოლოგიურად, ღმერთის სახლი.

ქართული ხედვისთვის დამახასიათებელი ეს ინტიმურობა ტიპოლოგიურ ხასიათს იძენს და გამომდინარეობს საერთო ქართული ხედვის არსებიდან. ქართველ მხატვრული და იდეური ამოცანა, არსებითად, მანამდე აქვს გადაწყვეტილი, ვიდრე უშუალოდ ძველის „მორთვას“ დაიწყებდეს — ძველია თვითონ სამკაული ბუნებისა. ამვე დროს ხედვა გარედან შიგნითაა მიმართული, განსხვავებით ბიზანტიურისაგან, რომელიც, საპირისპიროდ, შიგნიდან — გარეთ ხედვას სივრცეს ტაძრისა (ცხადია, მხედველობაში ვიდრე ტიპოლოგიას ხედვისა: „ბიზანტინიზმს“ და არა რომელიმე ცალკეულ ძველსა თუ ეპოქას. ბიზანტიელიწათვის შიდა სივრცე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, — „ხადეთა“ — ვიდრე ქართველისათვის, რომლისთვისაც შიდა სივრცე „ჩვენ“-ობითი ინტიმურობის ღირებულებისაა. ამიტომაც ბიზანტიური ტაძრის მონატულობა მეტი „კანონიკურობითა“ და „ობიექტურობით“, განუენებულობით ხასიათდება, ვიდრე ქართულისა. შედარებისათვის: სრულიად განმარტვებულ ხედვა აქვს სომეხ შემოქმედს. რაც მისი ასევე უღრმესი რელიგიური იდეისა და განწყობის გამოხატულებას წარმოადგენს: სომხური ხედვა ტაძარს, სრულიად დამოუკიდებელ და თავისთავში ჩასრულებულ სინამდვილედ ხედვას. გარემო მისთვის არის ამ თავისთავში ჩასრულებული ფორმის არსებობის ალაგი, და ამდენად, შემთხვევითი ფაქტორი, საკუთრივ არქიტექტურული თვალსაზრისით. სომხური ტაძრის არქიტექტონიკა არ მოითხოვს ბუნებასთან მიმართებას და ერთნაირად საინტერესოა გაშლილ სივრცეშიც და მუწყუმის ელშიც. ამაში სომხური არქიტექტურის, როგორც სომხური ხედვის ენის უდიდესი თავისებურებაა. თუ რა რელიგიური და თეოლოგიური იდეა შეიძლება ამოვიკითხოთ ამ მონოლითურ ფორმებში, ეს ცალკე კვლევის საკითხია, მაგრამ ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ამ სხედვაზე უდიდესი გავლენა მოახდინა და სრულყოფილად ჩამოაყალიბა მონოფიციტურმა რელიგიურმა და თეოლოგიურმა რწმენამ, რომელიც კიდევ კრძალავდა მაცხოვარისა და წმინდანთა გამოხატვას, ე. ი. ღვთაებრივ შემოწამებლს თავისთავში დასრულებულად, „მატერიალურად“ ერთგვაროვნად და გაუნაწილებლად თვლიდა (თვლის). აქედან

წარმოსდგება დომინანტური ხასიათი ქვეყნისთვის, ბრწყინვალე ბარელიეფები და სხვა. ბის განუმეორებელი თავისთავადობაც და ასევე „მონოფიციური“ მხატვრობა მინიატურებისა და ხელნაწერებისა (ტაძრის შიდა სივრცის მონატვა უკვე ნიშნავს ორი სუბსტანციის „კვი-სა“ და „ხადების“ შერევას. რაც არღვევს ერთბუნებოვნებას არსისა... იმავე დროს, ქვეში კვეთილი ბარელიეფი რჩება იგივეობრივ არსად და სუბსტანციურად მონოლითად. იგივე ითქმის მინიატურებსა და ხელნაწერებზეც. ადამიანი-შემოქმედი ხელოსნის დანიშნულებას ასრულებს ამ გაგებით. სომხურმა გენიამ ეს „ხელოვნობა“ რიფსიმეს, ოძუნის, ახტამარის, ნორავანკის, სანაინის, არციის, ახპატის, გეგარდისა და ხხვა სომხურ არქიტექტურულ შედევრთა ბრწყინვალე ხელოვნებად აამალა. სომხური ტაძარი ყველა თვალსაზრისით მონოლითურია. იგი შიდა სივრცეს არ „ითხოვს“ და შიგნიდან „ამოვსებულად“ ისეთსავე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს. სომხური ტაძარი შიგნიდანაც და გარედანაც სკულპტურულად დასრულებულია, მონოლითია (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით) საპირისპიროდ ქართული ტაძრისა, რომელიც აუცილებლობით ითხოვს შიგნით დასრულებას გარე და გარეთ დასრულებას შიდა სივრცისა. ხხვა ტიპოლოგიურად განსხვავებულ ხედვას გვაძლევს რუსული მრავალგუმბათოვანი ტაძრები, რომლებშიც გარეგნული სახე არ შეესატყვისება შიდა სივრცეს — განსაკუთრებით ბის არქიტექტურაში — გარე სახის „ხორომულობა“ საპირისპიროა შიდა სივრცის „ინპურობისა“, რაც სრულიად გარკვეული მსოფლხედვის გამოხატულებას წარმოადგენს... ეს განსაზღვრავდა, აგრეთვე, ისოდენ დიდ მისწრაფებას ხატწერისაკენ. ხატწერამ ბუნებრივად გამოხატა რუსული რელიგიური მსოფლხედვა. საინტერესოა, რომ რუსულმა ეკლესიურმა პოლიტიკამაც გამოავლინა შეუთავსებლობა ქართულ შიდა სივრცესთან, როდესაც ბრძანა ეკლესიის მხატვრობის შეღწევა ქართულ ეკლესიებში. ამ მომენტში იგი „გულწრფელად“ ავლენდა. საკუთარ მხატვრულ ინტუიციას და იდეოლოგიას სრულიად განსხვავებულს. როგორც ქართული. ასევე ბიზანტიური და, ცხადია, სომხური ხედვისაგან.

ბიზანტოცენტრიზმის-და შესაბამისია დასავლეთ ევროპული იტალიცენტრული „რენესანსული“ თვალსაზრისიც. თავისთავად „რენესანსი“ წარმოადგენს ასევე გარკვეული ხედვის და მსოფლსახის გამოვლინებას და, სახედლობრ, თეოზატიის და ქუძანიზაციის პროცესისა. რაც ხედვის შინაგანი წყარო იყო. ეს პროცესი განსაკუთრებული სიძლიერით მიმდინარეობდა დასავლეთ ევროპულ ქვეყნებში, რომელთაც არ ჰქონდათ უშუალო და უწყვეტი გან-

ვითარება უძველესი ან „არქაული“ დროიდან ელინიზმის გავლით ქრისტიანობისაკენ („რენესანსი“ ჰუმანიზაციასთან ერთად დესიმბოლიზაციას განიცდის. გზა დასავლეთ-ევროპული „რენესანსული“ განვითარებისა მიღის ორგანულ-სიმბოლური ხედვიდან იდეურ-სიმბოლურ ხედვამდე (შუა საუკუნეები), შემდეგ ქვეითდება ინდივიდუალურ-სიმბოლურ და კიდევ ქვეით; პერსონალისტურ ასიმბოლურ ხედვამდე, რასაც მოჰყვება პერსონალისტური რეალიზმი — აბსტრაქტულ დეპერსონალისტური (დეჰუმანიზაცია)... ორგანულ-უშუალო და სინთეზური. ყველა ეს-ეტაპი ხედვის გარკვეულ სისტემას წარმოადგენს. მაგრამ ყოველთვის ევროპული პოლიცენტრული ერთობის წიაღში — მაგრამ ეს ცალკე თემა) ელინიზმი წმინდად „აღმოსავლური“ ან ელიტურ-წინააღიური მოვლენაა. ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ იმ ქვეყნებში, რომლებიც ამ რეგიონში (კავკასიის ჩათვლით) არსებობდნენ, განვითარება ორგანული იყო და ბიზანტიური იდეოლოგიზაციისა და პოლიტიკის გავლენისა-და მიუხედავად. მათ ბუნებრივად შეინარჩუნეს თავისი მსოფლხედვა, მითუმეტეს, რომ ამ რეგიონის და, კერძოდ საქართველოს ისტორიული ვითარება დიდად განსხვავდებოდა ბიზანტიურისაგან. ის, რომ აღმოსავლური „რენესანსი“ დასავლურს „უსწრებდა“ მთელი საუკუნით და მეტით, სინამდვილეში არის გამოხატულება აღმოსავლეთის ბუნებრივი ხედვისა და არა „რენესანსულობისა“. თავის დროზე რომ მეტი ყურადღება მიექციათ ამ ვითარებისათვის, შესაძლოა, რენესანსული ღირებულებათა სკალაზე საქმალ ბევრი გადაადგილება მოხდებოდა: მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარება, რომელმაც მეთორმეტე საუკუნეში „რენესანსულად“ დაასრულა წარდაშობა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნით“, ხოლო მეცამეტე-მეთოთხმეტეში კი მოგვცა „პერენესანსული“ (?) ეიწვისისა და უბისის მხატვრობა. საქმე ისაა, რომ არც შოთა რუსთაველს და არც უბისის მხატვარს არ ჰქონდა არც „ელინიზმის“ აღმოსაჩენად საქმე და არც „საკლავოზობოდ“. ეს იყო სრულიად ორგანული და ბუნებრივი გამოხატვა არქიტექტურისა, რომლის (და რომლით) ხედვა ქართულ კულტურას ამთლიანებდა ისტორიულ ეპოქა სვლაში და მას იგივეობრიობას ანიჭებდა.

თვით იტალიურ მხატვრობაშიც, ჰუმანიზაციის დასაწყისი ან პროტორენესანსი იმას კი არ მოასწავებდა, რომ ადამიანის „აღმოჩენა“ დაიწყეს და სხვა მისდაგვარ გულუბრყვილო „აღმოჩენებს“, არამედ იმას, რომ სიმბოლური ხედვიდან თანდათან სიმბოლურ-მგრძობლობით ხედვაზე გადავიდნენ, რაც მსოფლსახეს „აბუნდოვანებდა“: ორი შემხვედრი ხედვა ერთმანეთს აკრობდა და ხელს

უშლიდა. ამიტომაც „გარენესანსულად“ არაფერია, თუ არა ხედვის ფორმირება და ინტელექტუალიზება (გაცხობიერება): რენესანსული ხედვა ცოდნის და გრძობის ხედვაა, და არა რწმენის; ეს ცოდნა მხატვრულ საშუალებებზეც გავრცელდა და, ასევე, მოითხოვა ამ საშუალებათა დემოხსტირება. არქეოლოგიამ თავისთვის აღმოაჩინა ის ღირებულებები, რომლებიც თავის ათვისებულ-ჰუმანიტურ „რენესანსულ“ თეორიას დაულო საფუძვლად, და საბოლოოდ სრულიად ღვარჯინილი პერსპექტივა მიიღო. დღეს უკვე სავსებით ნათელია ამ ხედვის ნაკლულებანი; და სახელობრ: რომ არსებობს არა ერთი, არამედ მრავალი ცენტრი ხედვისა, მათ შორის „რენესანსული“ ხედვისა. რომ არა ყოველი ამგვარი ხედვა არის აუცილებლად „რენესანსული“, არამედ და არსებითად ორგანული და ბუნებრივი; რომ გავლენის ძალის ზაფები მდებარეობენ და გამომდინარეობენ არა აუცილებლად „ცენტრიდან“ პერიფერიებისაკენ და რომ „ცენტრის“ ცნება (არაპოლოტიკური) საქმალ ბუნდოვანია... ევროპაში რომ დღე სხვადასხვაგვარად მდინარებდა სხვადასხვა ქვეყანაში, ამას ის უბრალო ფაქტიც მოწმობს, რომ როდესაც იტალიაში ჰუმანიზაციის ნიშნები ჩნდება — პროტორენესანსი „გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთსა და ესპანეთში შუა საუკუნეების „სიბნელე“ ჯერ არ შეფერფლილა. ამ „სიბნელეს“ შესახებ ცალკეა სასაუბრო, მაგრამ „ვინკელმანისტების“ გარდავის მოუვა თავში დღეს ამტიცოს, რომ ამ პერიოდში თუ კი იყო რაიმე ღირებულება — იყო იტალიაში, ყოველივე სხვა კი იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც იგი იტალიურ „რენესანსულ“ სულთან და მოძრაობასთან მიმართებაში იმყოფება. ასე კი ამტიცებდნენ... ხოლო, თუ ასე იყო საკუთრივ ევროპაში, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა სავალალო დღეში იმყოფება „ევროპად“ არმიჩნეული ქრისტიანული სამყარო. დაახლოებით იგივე მოდელია გადატანილი ბიზანტიოლოგიაშიც. ცენტრი და ერთადერთი ღირებულება არის ბიზანტია („იმპერიული კომპლექსი“, რომელიც ახლა გადატანილია იგივე მასშტაბებით და განწყობით რუსეთზე!). ეს ერთდავარი „ვინკელმანიზმი“ თანამედროვე ხელოვნებაშიცოდნების ნამდვილ „ესპანურ ჩექმად“ იქცა.

ვინკელმანი სწერდა თავის შრომაში — „Reflections on the Peining and Sculpture of the Creeks“, რომ „The only way for us to become great, or inimitable if possible, is imitat the Greeks“ — ეს მსგავსების კრიტიკიუმი იმპლიციტურად ატარებს „ევოლუციონიზმის“ იდეას (რაც გამოვლინდა კიდევ ვინკელმანის მეორე ძირითად შრომაში History of the Art of Antiquity) რომ არსებობს წარმოშობის (არქაიკა), სრულ-



ყოფილებისა (კლასიკა) და კვდომის (დეკადანსი) ორგანული გზა. არსებითად, ამგვარ „მცენარეულ“ თვალსაზრისს (Herbal theory of creativity) მივყავართ სრულ აბსურდამდე. როგორც შემოქმედების, ასევე, საკუთრივ ხელოვნების გაგებაში. „ევოლუციონისტი“ თვალის გამორიცხავს შემოქმედებით უნიკალობას და ხედვის მხოლოდ იმას, რასაც თავის ღირებულებათა სკალის ბადეზე ათავსებს. ამ კლიშე-თი ზღბა ისტორიული ღირებულებების დადგენა მიმართებით ამ, ერთხელ დადგენილი (და გარკვეული მოვლენისათვის ან ხედვისათვის დამახასიათებელი, კრიტერიუმებისადმი. ყოველივე) რაც ამ სკალის გარეთ რჩება — არადირებულია. ეს ვრცელდება ეპოქებზე, ქვეყნებსა და ხალხებზე და... ცალკეულ შემოქმედებებზეც. ამგვარად, შემოქმედება ერთგვარ „კოლბაში“ თავსდება და ზღბა პრეპარირება და კლასიფიცირება ამა თუ იმ მოვლენისა. ეს „ჭუმანისტიური ინტელექტუალიზმი“ გონიერი იდეის „იდეოლოგიზირებას“ ახდენს, თვალს იბრმავეებს და ვეღარ ხედავს იმას, რაც სრულიად ცხადი და ნათელია მშვიდი „არაიდეოლოგიზირებული“ ხედვისას. და ვიდრე თანამედროვე ხელოვნებათმცოდნეობა არ განთავისუფლდება „ვიკელმანისტიური ცნობიერებისაგან“, ხელოვნების ისტორია დარჩება თავის „მცენარეულ“ დონეზე: ერთის უნიკალობა ყოველთვის იქნება შეწირული რჩეულთათვის — იქნება ეს რჩეული ეპოქა, ქვეყანა, თუ რომელიმე „მეტრი“.

ქრისტიანული ხაზგარეშე „ერთიანი“ იყო სწორედ ქრისტიანობისა ანუ მსოფლმხედვისა და მსოფლგანცდის წყაროს გამო და არა პოლიტიკური თუ სოციალური დომინირებისა გამო ერთი, ცენტრალური ქრისტიანული იმპერიისა ყველა სხვა ქვეყნებზე. არც ერთი ერის უნივერსუმის ზედვის შინაგანი ბუნება არ იგუებს გარედან მოხვეულ კანონს და ყოველ შეხაძლო შემთხვევაში თავს ითავისუფლებს მისგან. ეს არის ერისაც და პიროვნებისაც (და მითუმეტეს, შემოქმედის) თვითგადარჩენის კანონი. თავისუფლება თვითგადარჩენის ღვთაებრივი გზა არის, გაუთქვეფავობისა და მოუსპობლობის გზა. უნიკალურ ღირებულებად დადგინების გზა. მხატვრის ნიჭი, ადგილობრივი ტრადიცია და, და რაც თავი და თავია, მსოფლმხედვის ურფენომენი ანუ არქეტიპი მოცემული კულტურისა განსაზღვრავენ ამ განთავისუფლების ძალასა და ხარისხს.

(ქართული და ბიზანტიური მხატვრობის განცალკევება მეტად იოლია, რადგან ბიზანტიული მხატვრებიც და „ბიზანტიურად“ მხატვრული ქართველებიც ბერძნულ წარწერებს აკეთებდნენ სიუჟეტებზე, ხოლო ქართველები კი — ქართულს. ეს კანონი კარგად მტკიცდება ქართველების მოხატულ სომხურ ძეგლებზეც, რომ-

ლებსაც ქართული წარწერები აქვთ (მაგ., L'Art Armeniens-Maznod. 1987). მითუმეტეს, როდესაც საკმე ეგება ისეთ პერიოდს, როგორცაა პალეოლოგთა მეფობის ხანა (13-15 სს), რომელიც აღბეჭდილია „დასასრულის“ განცდით და რომელსაც „პალეოლოგიურ რენესანსს“ უწოდებენ, მასში აღმოჩენილი „ელინისტიური ჰუმანიზაციის“ გამო. თუ გავიხსენებთ ისტორიულ მოვლენათა მიმდინარეობას, სახელდობრ, მონღოლთა ბატონობას, შემდეგ განთავისუფლებას და გიორგი ბრწყინვალის და ბაგრატ მეხუთის მეფობას თემურ ლენგამდე ე. ი. მთელ საუკუნენახევარს (1225-1386), თვით ბიზანტიის ვითარებასაც, ადვილი შესაძლებელია, რომ შევძლოთ თავის განთავისუფლება „არქეოლოგიური“ მეთოდისაგან ხელოვნების და, მითუმეტეს, რელიგიური ძეგლის კვლევისას. ეს „ინტეგრალური თვალ“ და, მაშასადამე, „ხედვა“ აუცილებელი მოთხოვნაა თანამედროვე კვლევისა. უბისის მხატვრობის „პალეოლოგიზირება“ და მეთოდებზე საუკუნეში მოთავსება თავის საფუძველს ჰპოვებს მარტოოდენ „აქსიომატურ“ დებულებაში — „ცენტრი აღმოსავლურ ქრისტიანული მხატვრული შემოქმედებისა არის ბიზანტია. ნებისმიერ სხვა ადგილას გარკვეული ნიშნები შეიძლება გაჩნდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ისინი ბიზანტიაში ჩნდება და; ბიზანტიის უშუალო დამსარეებით. თუ ვეაქვს ნიშნათა მსგავსება, ვეაქვს თანადროულობაც“. ამ აქსიომის საფუძველზე შექმნილი განწყობით წარმოებს ნებისმიერი ძეგლის ანალიზი, რასაც მივყავართ „სკალათა და ზუსტებამდე“. ამგვარი „არქეოლოგიური“ მიდგომით უბისის მხატვრობა დაცოცავს მეთოდებზე საუკუნის მთელს სიგრძეზე. ხელოვნებათმცოდნეობამ, ჩვენის ღრმა რწმენით, როდესაც იგი „ჭუმანიზირდება“ და „ათეიზირდება“, თავი უნდა შეიკავოს რელიგიური ნაწარმოებების შეფასებიდან, ან უნდა წარმოადგინოს ნაწარმოების ინტეგრალური ანალიზი. წინააღმდეგ შემთხვევაში, „მხატვრული ანალიზი“ სინამდვილის გაცრუებად მოგვევლინება და არა „მხატვრულ სინთეზად“.

აქ ერთი მომენტია აღსანიშნავი ბიზანტიური მხატვრული ხედვისათვის: ბიზანტიური მხატვრობის ე. წ. „სპირიტუალიზმი“ (ხაკმაოდ ბუნდოვანი ცნება ხელოვნების არსების თვალსაზრისით) წარმოადგენს სრულიად გარკვეულ „იდეოლოგიზაციას სრულიად გარკვეული თეოლოგიური ნედვისა საეკლესიო კანონად ჩამოყალიბებულის. ეს კანონი გარკვეულწილად ვრცელდებოდა საქრისტიანოს საზღვრებში ერთნაირად, მაგრამ განიცდიდა ტრანსფორმირებას ადგილობრივ ნიადაგზე. ბიზანტიური მხატვრობა ამ კანონის ყველაზე ზუსტი და ერთგული გამტარებელი იყო, რაც მას ხლიდა ორთოდოქსიის „მეტრად“, ბიზანტიური

„სპირიტუალიზმი“ არის სიმბოლური ხედვის იდეოლოგიაცა და კანონიზაცია. ამან მრავალწილად განსაზღვრა ბიზანტიური მხატვრობის შინაგანი განვითარების არსება. „სპირიტუალიზმიდან“ ორგანულ ან „ჰუმანისტურ“ ხედვაზე გადასვლა აღიქმება, ჩვეულებრივ, როგორც დაცემა ან დეკადანსი, იმ მიზეზისა გამო, რომ მხატვრობას აკლია „დახვეწილობა“ — სინამდვილეში კი — ფრიად საექვო „იდეალურობა“): ისევე, როგორც ელინიზმი აღიქმება „კლასიკის“ მიმართ „დეკადანსად“, ხოლო გვიანი რომის შიდაფრი განცდა და ფსიქოლოგიზმი, რომაული „კლასიკის“ მიმართაა წარმოდგენილი დაცემად. სინამდვილეში კი, ის რაც გვაქვს, მაგალითად, „პალეოლოგიურ რენესანსში“, წარმოდგენს დაცემის წინა განწყობით გაპირობებულ ხედვას. იგი ასუსტებს და არბილებს სიმბოლური ხედვის იდეოლოგიურ კანონს და ათავისუფლებს ადგილს ინტიმური და ორგანული აღქმისათვის. — ჰუმანიზაცია („ელინიზმის ნიშნები“) და დრამატიზაცია იდეოლოგიური კანონით გადაღლის შედეგია და არა „ელინიზმის მიბაძვისა“. (მსგავს მოვლენას აქვს ადგილი ისეთი ტიპოლოგიურად „ბიზანტიურ“ — რამეთუ „იდეოლოგიურ“. — მაგრამ ათივსტურ კანონიზირებას დაქვემდებარებულ ხელოვნებაში, როგორცაა „საბჭოთა ხელოვნება“. საბჭოთა ხელოვნების ისტორია ნათელ სურათს გვაძლევს „რენესანსთა“ მთელი სერიისა, რომლებიც იდეოლოგიური კანონის ზიგზაგავებს და შესუსტებას მოსდევს, ნშირად კი უსწრებს კიდევ.

ქართველი ბიზანტიოლოგის, ა. აღექსიძის საშართლიანი შენიშვნით: „შუა საუკუნეების ბერძნულ კულტურაში ანტიკური მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულების პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია მე-11 საუკუნისათვის, როდესაც ბიზანტიურ სამყაროში თვალსაჩინოდ ძლიერდება ანტიკური კულტურული ნაკადი. ამ მოვლენის შეფასება, როგორც ანტიკური წარსულისადმი ინტერესის აღორძინებისა, არ უნდა იყოს მართებული, რადგან კავშირი ანტიკურ წარსულთან ბიზანტიაში, არსებითად, არასოდეს არ შეწყვეტილა. იგი იყო სხვადასხვაგვარი ანტიკურობისადმი მიახლოებით, მისი აღქმის ხარისხით და ხასიათით... რა ზომითაც არ უნდა მიხლოდებოდნა ბიზანტიური კულტურა ანტიკურს. აქ არასოდეს არ შეიძლება მიღწეულიყო მათი თანხვედრა, იგივეობა, იდენტა და ფორმათა ადექვატური აღორძინება. ფეოდალური, ქრისტიანული, მედიევალური ბიზანტია წარმოადგენდა სრულიად სხვა ისტორიულ, სოციალურ-კულტურულ კომპლექსს. სხვა სტრუქტურას...“ (ა. აღექსიძე „მიქელ პხელოსი და ანტიკური მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულების პრობლემა“, თ. „კრიტიკა“ 2/87, გვ. 160). მაგრამ მსგავს მსოფლგანცდას არ ჰქონია ადგილი საქართველოში და, ამდენად, ქართული ხელოვ

ნების განვითარება თავისი „ვეტოკულტური“ გზით მიდიოდა იმავე ქრისტიანულ მსოფლგანცდას და სრულიადაც არ გამოირცხავს „ბიზანტიური კომპლექსის“, ხელოვნების და განსაკუთრებით, მხატვრული ტექნიკის და საშუალებების ათვისებას. სავარაუდებელია, რომ ქართველი მხატვრები ხშირად სწავლობდნენ ბიზანტიის ცნობილ სამხატვრო ცენტრებში — მონასტრებში (ქართულში და, ალბათ, ბერძნულშიც), სადაც თავს იყრიდნენ მთელი საქრისტიანოს (ორთოდქსული) მხატვრები, და სადაც ხდებოდა ადგილობრივ და ინდივიდუალურ ხედვათა ურთიერთგამიძლიერება.

ღვთაებრივი მისტიკის ადამიანურ დრამად აღქმა და ხედვა გამოწვეული იყო არა მარტოდონენ „დეკადენტური“ მსოფლშეგრძნებითა და ბიზანტიის (და შემდგომად, კათოლიკურ ევროპის) „მიწწხრობით“, არამედ პოლიცენტრული ხედვის შეცვლით. მონოცენტრული ხედვით. თვლი, რომელიც „ყოვლისმზილელი“ იყო ერთდროულად. არ მოითხოვდა არც „მერსპექტივას“ და არც „სამგანზომილებიანობის“ ილუზიურ გამოხატვას. „რენესანსული“ ჰუმანიზაცია გამოიხატა ამ ყოვლისმზილელი თვლის შეცვლით ადამიანის ხედვის წერტილით. ეს პროცესი საქმოდ ხანგრძლივი იყო და, დასავლეთ ევროპაში დასრულდა ხედვის სრული ჰუმანიზაციით: ბიზანტიური „პალეოლოგიური რენესანსის“ ხედვის შინაგანი არსება ესეც იყო. სრულიად განსხვავებული იყო ქართული ხედვის ამოსავალი წერტილი. ქართულ ხედვას არ განუცლია ისეთი „სიმბოლიზაცია და იდეოლოგიზაცია“, როგორც ბიზანტიურმა და იგი რჩებოდა ყოველთვის ღვთაებრივ-ადამიანური თანაზიარობის ხედვის წერტილზე. ღვთაებრივი მისტიკია იმდენადვე განიცდებოდა ადამიანურ დრამად, რამდენადაც ადამიანური დრამა იყო აღქმული ღვთაებრივ ტიკილად. ამასთანავე ყოველთვის რჩებოდა ის, საიდუმლოთ მოცული მისტიკია, რომელიც ღვთაებრივს ამაღლებდა ადამიანურზე და ადამიანს აწყალობებდა, მაღლს შვენიდა. ამაში გამოიხატა ქართული ხედვა მაცხოვრისა, როგორც ღმერთისა და ადამიანისა. დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისა“ ამის აშკარა დასტურია, ხოლო რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ სრულყოფილი გამოხატულებაა „რენესანსისა“ ურენესანსოდ რამეთუ ბუნებრივ-ქართულად. იგივე დასტურდება ქართულ ხუროთმოძღვრებასა და მხატვრობაში.

იდეოლოგია შთანერგვის საფუძველზე ვითარდება და არა რწმენის. იდეოლოგიური ხედვა, ვითარცა ფანტიური, დაკლილია ცხოვრებისაგან, მისთვის ხედვა — „გაკერპებად“ საბიერდება. მეოცე საუკუნე იდეოლოგიური ხედვის ტოტალური ზემის მაგალითებითაა სავსე ყველა ტოტალიტარულ სისტემებში და იდეო



ლოგიურად მომართულ ადამიანებში ლენინის სტალინი, მუსოლინი, ჰიტლერი, ბრენდები... გორბაჩოვიც კი იდეალურ მოდელებად არიან წარმოდგენილი (იხ. მათი პორტრეტები მხატვრობაში). მათი სისტემებიც იდეალური არიან და ა. შ. მათ სახეს ცხოვრებისეული ცვლილებები და ქართველები არ ეკარებინა. ეს იდოლიზაცია და სიმბოლიზაცია ათვისებულა „ჭუმანისტურმა“ და იდეოლოგიურმა თვალსაზრისმა გააიგივა რელიგიურ რწმენასთან და მის საფუძველზე დანახულ ხატებასთან ღვთიური სახისა და ღმერთისა და ადამიანის ცხოვრებისა, რომელიც ყოველთვის აქ და ახლა ხდება. საქმარისა თვალთი გაადევნო იკონოგრაფიულ ხედვას უნივერსუმისა მის სიმბოლურ და განცდილ ფორმაში რომ სრულიად ნათელი გახდეს აბსოლუტური განსხვავება ამ ორ, ფუნდამენტურ, ხედვას — რწმენით-რელიგიურსა და შთანერგვით-იდეოლოგიურს შორის. ვერავითარი შთანერგვა და იდეოლოგია ვერ დაანახებს მხატვარს ლენინს, ჰიტლერს, სტალინს ან, გინდათ, გორბაჩოვს ისე, როგორც ხედავს ქრისტეს ვერელს (Vérelay) ფრონტონის შემოქმედი, ან უბისის ქართველი მხატვარი. (თვით პირველ შედეგში „იდოლიზაციისა“ მალაქია ტორიშელიძის და ე. ბედიას „მითში სტალინი“. მიუხედავად აშკარად „ცენზარული“ ან „სახარბიო“ სტრუქტურისა, იდეოლოგიური მითომანია ცინიზმად ბრუნდება — ე. ი. თავის საწინააღმდეგო ნიშანს იძენს და ამიტომ ეს წიგნი და სხვა მისდარნი, ცინიზმის შედეგებადაც შეიძლება ჩაითვალოს). ქრისტე ყოველთვის ღმერთია და თუ მის სახეზე ჭმუნვა და მწუხარებაა ასახული — ეს ჩვენი (და ჩვენივე), ადამიანის ჭმუნვა და მწუხარებაა და მხატვარი, ვითარცა საუკრიო ღვთისა, ღმერთის ერთ გვესაუბრება არსებულ და მოსალოდნელ ამავთა შესახებ. ტაძარში გამოხატული ქრისტე, რომელიც ცოცხალი თვალთი ისევ და ისევ უყურებს გზას თვისი ცხოვრებისა და წამებისა ადამიანთათვის, ამ აქ და ახლა მყოფი ადამიანისათვის, რომელსაც ადგია ყოვლისმხილველი თვალი ღვთისა და რომელიც აგერ-აგერ ადგილს და იქერს იმ უნივერსუმში, რომელსაც მაცხოვარი განაგებს და წარსდგება მაცხოვრის სამართლის წინაშე. ეს ქრისტე იკრეფს ყოველთა ჭმუნვასა და ცოდვას თვის მწერაში და ეს აღბეჭდილია მის სახეზე (იხ. ქრისტეს იკონოგრაფია აღმოსავლურ და დასავლურ ეკლესიებში და მსოფლხატში. ეს თემა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ეპოქალურ და ეროვნულ, თუმცა უკველთის ქრისტიანულ მსოფლხატთა შესაცნობად). ამიტომაც ცოცხალი მაცხოვრის ხატი — იგი ჩვენთან ერთად, ჩვენით და ჩვენივეს ცხოვრობს! რელიგიური მხატვარი უნატიფესი მიძღვება იმ ღვთაებრივი ვიბრაციებისა, რომლებიც მის გულში სახიერდება ამ, მო-

ცემულ სახედ, დღევანდელ სახედ მხატვრის ხოლო ღმერთის დღევანდლობა „კონკრეტულად ათასწლეულს სწვდება, რამეთუ „დღე ერთი ვითარცა წელი ათასი“. იმავე მიმართებით ხედავს მხატვარი მოვლენის „გეოგრაფიასაც“. მტებისმიერი მოვლენა სიმბოლურ ხედვაში დანახულია „კოსმოსურ რეალობაში“ და ღმერთულებასაც ამ კოსმოსურ არსებობად იძენს. იმიტაციურ-„ჭუმანისტური“ თვალი კი ხედავს მოვლენას მის ნაწილობრივ სივრცეში, გეოგრაფიულ ლოკალში — აქედან „რეალისტრობა“ ხედვისა. მაგრამ საინტერესო ისაა, რომ, რთგორც კი იმიტაციურ-რეალისტური ხედვა ცდილობს „კოსმიური უოფიერების რეალობის“ გასმოხატვას, იგი იძულებული ხდება დაუბრუნდეს სიმბოლურ ხედვას და მის შესატყვის საშუალებებსაც. ასევე შეიძლება ითქვას, რომ „ჭუმანისტრობა“ ხედვისა გამოიხატა სურათისშიდა პოლიცენტრული „პერსპექტივის“, რომელიც „ყოველისმხილველ თვალს“ განსახიერებდა და „მაყურებელს“ სურათის სივრცეში რთავდა, შეცვლილთ მონოცენტრული, სურათისაგან გამოქმნილი თვალის ხედვის პერსპექტივით. რენესანსის რელიგიური თემატიკა თავისი არსებით — მხატვრული ხედვით აღარ არის რელიგიური, რადგან გამორიცხავს „შინაგან ყოვლისმხილველ თვალს“ და სურათის ილუზიურ სივრცესა და რეალობას თიშავს მაყურებლისაგან — აუცილებს მათ ურთიერთისაგან. მეტიც, თვით „მაყურებელი“ მხოლოდ ჭუმანისშია და რენესანსის წარმონაქმნია და რელიგიურმა, ანუ შუასაუკუნეების მხატვრობამ „მაყურებლის“ ცნება არ იცის. ჭუმანისტური ხედვის რეალიზმი ილუზიურ-იმიტაციურ პრინციპზეა აგებული, მაშინ როდესაც რელიგიური ხედვის სიმბოლურობა რეალურ ვანცდას ეურდნობა. პრინციპი, რომელიც დავით კაკაბაძემ გამოთქვა აღმოსავლურ და დასავლური ხელოვნების განსასაზღვრად, შეგვიძლია თვით დასავლურ ხელოვნებაშიც გამოვვიყენოთ „რელიგიური ხედვისა“ და „ჭუმანისტური ხედვის“ გამოსაკვეთად: „დასავლეთ ცეროპის პლასტიკურ ხელოვნებას ანასიათებზე შემდეგი წინადადება: „რელიგიური სულია მხატვრობისა“. ეს აზრი ეუთვისის იმ ადამიანს, რომელმაც პირველად ჩამოაყალიბა იტალიურ რენესანსის იდეა... აღმოსავლეთის ხელოვნებზე ხასიათდება განყენებული ცნებით და ფორმებით, დასავლეთის ხელოვნება დამყარებულია კონკრეტულ და მატერიალურ ფორმებზე. აღმოსავლეთის ხელოვნება მიილტვის მარადისაკენ, დასავლეთის — დროულისაკენ. ანტირატულ და სპირიტუალურ წარმოდგენას აღმოსავლეთისა წინააღმდეგა დასავლეთის კონკრეტული და მატერიალური აზრი. აღმოსავლეთში ბუნებამ განყენებულ პროპორციებში და შესაძლებელ ფორმებით ისახება, დასავლეთში კი — ადამიანის მხედველობით და ინდივიდის გატიფი

იზომება. პლასტიკური ხელოვნება, რომელიც დამყარებულია „Trompe-l'oeil“ სისტემაზე, ეკუთვნის დასავლეთ ქვეყნების გამოგონებას. ეს სისტემა გადმოსცემს კონკრეტულ ფორმებში სტატიკურ სივრცეს. ხაზებიანი პერსპექტივა არის ერთი ამდაგვარი საშუალება ამ სისტემის გადმოსაცემად. ის ჩვენ გვაყენებს უძრავ მდგომარეობაში, განსაზღვრულ დროში, განსაზღვრული სივრცის მიმართ. Trompe-l'oeil „სისტემა სრულებით უცნობია აღმოსავლეთის ხელოვნებაში. ადამიანი განიცდის სივრცეს განყენებულ ფორმებში, ვერ დაქაყოფილდება „Trompe-l'oeil“ სისტემის წარმოდგენით. მისთვის სივრცის განცდა არსებითი მოთხოვნილებაა და ბუნებრივი გრძნობა. ამიტომ აღმოსავლეთის პლასტიკური ხელოვნება კონსტრუქტიული და მონუმენტურია. ის გადმოცემულია სივრცის განუსაზღვრელ მანძილსა და განუზომელ დროში. არქიტექტურული ფორმებიც გამომდინარეობენ სივრცის ამ ორხაირი განცდიდან. აღმოსავლეთის ფორმები — მრგვალ და სპირალურ ხაზებში, დასავლეთის — პირდაპირ ხაზებში. აღმოსავლეთი სივრციდან გამოდის და ქმნის სივრცის ახალ სახეს. დასავლეთი კი ბუნების სივრცისაგან მიისწრაფვის და მას ბაძვის“ (დ. კაკაბაძე, „ხელოვნება და სივრცე“, ნაკადული, 1988, გვ. 180-182). ამ მცირე შეხავლის შემდეგ ვნახოთ, რას და როგორ გვეუბნება უბისის ქართველი მხატვარი.

უბისი: სამონასტრო ანსამბლი მეცხრე საუკუნის ეკლესიით და 1941 წელს აშენებული სვეტიით. ეკლესია წმ. გიორგისაა. მოხატულია მეთოთხმეტე საუკუნეში. ათარიღებენ: ამირანაშვილი მე-14 ს. პირველი ნახევარი; ჭურიჩ — 14-ე ს. შუა ხანები; ლორთქიფანიძე — 14-ე მეორე ნახევარი. არგუმენტაცია: ამირანაშვილი ადგილობრივ-ქართულ ნიშნებს აძლევს უპირატესობას; დანარჩენები კი — მინც ბიზანტიურს, იმპლიციტურად გატარებული აზრით, რომ საქართველოში არ შეიძლებოდა ადრე ყოფილიყო ის ნიშნები, რომლებიც ბიზანტიაში და სლავურ ქვეყნებში მოგვიანებით გაჩნდნენ. ინგა ლორთქიფანიძე ერთთავად ამაზე აგებს თავის ანალიზს — იხ. „უბისის მოხატულობის მხატვრულ თავისებურებათა შესახებ“ (რუსულად). მისთვის ეს მოხატულობა არის „ნათელი მაგალითი პალეოლოგიური რენესანსისა“. მხატვრობას თან წარწერები ახლავს ქართულ-აბსოლუტური უმეტესობა, და ბერძნულ ენაზე — აბრევიაციები. მოხატულობას ერთ ავტორს ჰიაწერს ლორთქიფანიძე; ორს — ამირანაშვილი; ოთხს — ტოლმაჩესკაია. ქართულ წარწერებში მოხსენებულია: დამიანე და გერასიმე. ამირანაშვილი დამიანეს მხატვრად თვლის. ლორთქიფანიძე, ვახტანგ ბერიძის კვალდაკვალ, გერასიმეს თვლის მხატვრად. ეკ-

ლესია დარბაზულია, ერთნაირი შენებულა მერიკოსის მიერ (ლორთქიფანიძე). ლორთქიფანიძე — „უბე“ — მოხსენებულია გიორგი მერჩულეს მიერ: „მაშინ მამამან გრიგოლ, სარწმუნოებისაებრ მეფისა, აღაშენა მონასტერი და უწოდა სახელი მისი უბეა, და აღარიონ ვინმე, იერუსალიმით მოსრული, სარწმუნოა მოხუცებული, დაადგინა მამასახლისად, რამეთუ ხანძითი წარყოლილ იყო იგი თეოდორეს და ქრისტეფორეს თანა და აქუნდეს მას კეთილნი წიგნი. და მამამანცა გრიგოლ თვისნი წიგნი, რომელ აქუნდეს, და-ვე-უტენა მონასტერსა მას. ხოლო ხელმწიფე იგი სიხარულითა აღივსო მონასტრისა მის შენებისათვის და შეწირა საშენებლად მისა ფრიად შესაწირავი და მიანიჭა მამასა გრიგოლს და მოყუასთა მისთა დრამამ ათი ათასი და ყოვლითა კეთილითა აღაესნა“ (თავი 1, საუნჯე, ტ. 1, გვ. 157).

თვლის ერთი გადავლებაჲ კი ააშკარავებს უბისის მხატვრობაში სხვადასხვაგვარ ხედვათა სისტემას. სრულიად გაფორმებული და მონოლინგვური ხედვის გვერდით, რომელიც, არსებითად, არ განსხვავდება ბიზანტიური და სლავური თანადროული ხედვისაგან, გვაქვს ასე ვთქვათ, ბილინგვური ხედვა — ანუ მხატვარი უკვე სრულიად სხვა მსოფლსახეს ხედავს და განასახიერებს, მაგრამ ჭერ კიდევ არაა განთავისუფლებული ძველი განწყობიდან და არც სრულყოფილად დაუფლებული ახალი ხედვის გამოხატვის საშუალებებს. ეს ვითარება კარგად შეიძლება დახურათდეს ფლობერის ერთი წერილით, რომელშიც ფლობერი ახალ ლიტერატურულ ხედვას და სტილს ახასიათებს, მაგრამ ამბობს, რომ სავალალოდ მას თვითონ არ გააჩნია საშუალებები ამის გამოხატავად (იხ. წერილები). უბისის მხატვრის სრულიად ახალი ხედვა აქვს, რომლის განსახიერებასაც ცდილობს იგი იმ საშუალებებით, რომლებიც ხელთა აქვს — ტრადიციული „ბიზანტიური“ საშუალებებით. და აქ ვხვდებით იმას, რასაც შეიძლება ეწოდოს „კოფლიქტი ხედვასა და ტექნიკას შორის“. ხელოვნების კლასიკურმა ინტორიამ „კოორდინატთა სისტემა“ ტექნიკურ კრიტიციუმსა და იმიტაციასზე ააგო. ათეისტურმა და პოლიტიკისტურმა თვალამ ღირებულება დაინახა ბუნების იმიტაციის ტექნიკის სრულყოფილ დაუფლებაში და ამას დააყრდნო სპეციფიურად მხატვრული ღირებულების სკალაც ამ კოორდინატთა სისტემაში წინარერენესანსულმა მხატვრობამ დაიკავა თუმცე თავისთავადი, მაგრამ იმიტაციის თვალსაზრისით პრიმიტიული ადგილი. ითვლება (სამწუხაროდ, დღესაც კი), რომ შუასაუკუნეების მხატვარმა არ იცოდა (!), ან არ შეეძლო გამოხატვა „ბუნებრივი“ სივრცისა, სხეულის მოცულობის იმიტირებას ვერ ახერხებდა და რომ



„რენესანსად“ მხოლოდ დეკორატიულად და სიმბოლიურად ღირებული მხატვრობა გვაქვს. ხოლო ნამდვილი კი იწყება „რენესანსიდან“ — ე. ი. იტალიიდან. შრავალიციხოვანი „რენესანსები“, რომლებიც სოკოებივით აღმოცენდა ხელოვნების ისტორიაში („აღმოსავლური რენესანსი“, „მუსულმანური რენესანსი“, „სლავოლოგიური რენესანსი“, „რენესანსი“ საფრანგეთში, ინგლისში, ესპანეთში, გერმანიაში... და სხვა) ამ, მთავარი, რენესანსის დაკანონების შემდეგ, სხვა არაფერია, თუ არ მთელი კაცობრიობის (ან, თუნდაც ევროპის) ხელოვნების განვითარების მოწოდება იტალიური რენესანსის „პროკრუსტეს სარეცელზე“. ამით საკუთრივ იტალიური რენესანსის უნიკალობაც ზდება განწვევებული „რენესანსებში“ და სხვა ევროპელ ერთა ხედვის უნიკალობაც. ის ფაქტი, რომ ევროპის ერები ერთი ცივილიზაციაში თაღქვეშ ერთადებოდნენ და ქრისტიანულ ცივილიზაციას ქმნიდნენ, სრულიადაც არ გამორიცხავს ამ ერთიანი ცივილიზაციის წიაღში გამოვლენილ უნიკალობას, რითაც არის კიდევ ღირებული ევროპული ცივილიზაცია — უნიკუმთა ერთობა. ევროპული ცივილიზაციის პოლიცენტრიზმი განსაკუთრებული ღირებულების კულტურული მოვლენაა და ევროპის ხელოვნების (როგორც უველაზე მგრძობიარე ისტორიული და მეტაფიზიკური ინსტრუმენტის) განვითარების ისტორია გვიჩვენებს, თუ როგორ უკიდურეს წერტილამდე მიიღის ეს პოლიცენტრიზმი სუბიექტივიზმისა და ინდივიდუალიზმის სახით მაშინ, როდესაც მოლიანად ევროპის განვითარების ტენდენცია პოლიცენტრალური უნიკალობიდან შეგალოსოპულაციურ უნიფიცირებამდე დადის. ერთ ასეთ უნიკალურ მოვლენას წარმოადგენს უბისის მხატვრობა, რომელშიც ერთდროულად არის მოცემული საერთო-ორთოდოქსული და საკუთრივ ქართული მხატვრული ხედვა და, სადაც, ეპოქისათვის დამახასიათებელ „ტიქნიკურ საშუალებათა“ გვერდით ვხვდებით სრულად უნიკალურ თავისუფლებას მხატვრულ ცხოველხატვისა.

ხელოვნების ისტორიის ევოლუციონისტური და იმიტაციური („კუმანისტური“) თეორია თვით ხელოვნების შემოქმედებითი არსების საწინააღმდეგო აღმოჩნდა. ამ თეორიამ, თუმცა მეტად „კომფორტაბელური“ შენობა და აპარტამენტები ააგო, მაგრამ ხელოვნებას, არსებითად, გამოაცალა ის ერთადერთი, რაც ხელოვნებას ღვთაებრივი შემოქმედების ასპექტად სახავდა — უნიკალობა და ერთდროულობა. თეორია „მარტივიდან — რთულისაკენ“, თავისთავად არაშემოქმედი ინტელექტის მიერაა მოაზრებული, რომლის „კუმანისტური“ და ათეისტური იდეოლოგია სრულიად გამორიცხავს მომენტალური განათლების, ანუ მადლის შესაძლებლობას და უკველი შემოქმედებითი აქტი ლოგი-

კური (ან ქვეცნობიერ-პარალოგიკური) აზროვნების შედეგი ჰგონია. ევოლუციონისტურმა ბადემ „პროკრუსტეს სარეცელივით“ დაჭვარა სხვადასხვა დროის, ტემპერამენტის, ხედვის, კულტურის, ფსიქოლოგიის, ტრადიციის, პიროვნულობის მხატვართა, არქიტექტორთა, ერთა, პიროვნებათა და... ცივილიზაციათა ვარსკლავური ნათება კაცობრიობის ისტორიული, უფიერების დამეულ ცაზე და ამ ლოგიკურ ბადეს კატეგორიული იმპერატივის სახე მიანიჭა — რეალობა დიქიორა. ის, რაც ამ „ბადეში“ არ ექცევა, ღირებულებას მოკლებული, ან, რაც შემთხვევაში, არარსებული ხდება და არაფერს არ შეუძლია ევოლუციონისტური ბადის გარღვევა. მაგრამ რეალობა ევოლუციონისტთა კაბინეტური თეორიის მიხედვით, მადლობა ღმერთს, არ ვითარდება და არც ევოლუციურ (და მის უკიდურეს — რევოლუციურ) იმპერატივებსა და იდეოლოგიას ემორჩილება. უკველი ახალი მხატვარი, უკველი ახალი ხედვა და ახალი აციმციმება ვარსკლავისა გლეჯს „ევოლუციურ ბადეს“ და წარმოაჩენს ღვთაებრივი სხივით განათებულ უნიკალურ მოვლენას. ამ ღვთაებრივი სხივის სიძლიერე განახლებებს მხატვრებს, ეპოქებს, ცივილიზაციებს ურთიერთისაგან და ანიჭებს მათ განუმეორებლობასა და ღირებულებას. საკმარისია თვალი გადავავლოთ ხელოვნების ისტორიას, რომ სავსებით ცხადი შეიქმნას შეუძლებლობა რაიმე „შედარებითი შეფასებისა“ და „შედარებითი ღირებულებების დადგენისა“ არა თუ ეპოქათა, ცივილიზაციათა, ერთა, სკოლათა... და ა. შ., არამედ თვით ერთი ხელოვანის სხვადასხვა გამოვლინებას შორისაც. ცხადია, ეს სრულიადაც არ გამორიცხავს არც მოვლენათა ურთიერთკავშირს, არც მათ ურთიერთგამომდინარეობას და არც „განვითარებას“ მოცემული კრიტერიუმების საზღვრებში. ჩემი შეხედულებით, ნებისმიერი ნაწარმოების „წაითხვა“ უნდა ხდებოდეს იმ ენაზე, რომელზედაც არის ის შექმნილი, რადგან არა მხოლოდ ზოგადკაცობრიული ენობრივ-სიმბოლური „ბეჭდები“, არამედ საკუთარი ენობრივ-„აღფაბეტური“ ქსოვილიც განსაზღვრავს ნებისმიერი ნაწარმოების არსება-ფორმას. ხელოვნება „ევოლუციის მომენტი“ კი არ არის, არამედ უნივერსუმის მწერა — უნივერსუმი გვიცქერის ჩვენ — კაცობრიობას და გვაუფრთხილებს უნივერსუმს. ესაა ხატის მისტიური არსება — ის, და-ხატული, გვხედავს და გვიცქერს, თვით იქვეა-რა-ჩვენს სულიერ სამწერელად. ეს ვრცელდება არა მარტო საკუთრივ ხატებზე, არამედ უკველ ნა-ხატ-ზეც და მ-ხატ-ვრობაზეც (და შე-მონაქმედზე) საერთოდ.

დავით კაკაბაძე წერს: „ბიზანტიის და მუსულმანთა კულტურის აყვავების დროს საქართველოში, ხელოვნების შემეცნება ისევე პოზიტი-

ური იყო, როგორც საზოგადოდ ამ ეპოქის ხელოვნება ბიზანტიური ცივილიზაციის განვითარებაში. ქართული შემოქმედება წარმოადგენდა დიდმნიშვნელოვან ფაქტორს: ქართული ხუროთმოძღვრების ზოგიერთი ფორმები წარმოადგენდნენ იმ დროის სრულიად განსაკუთრებულ სახეებს, რომელთა გავლენა მეზობელ ხალხებზეც ვრცელდებოდა: იმ დროის ქართული ოქროშეკვლეობა ითვლება ბიზანტიური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშად, ყველაფერი ეს მოწმობს, რომ ქართველი ხალხი თავისი კულტურული ძალით და შემოქმედების უნარით იყო იმ ეპოქის კულტურულ ხალხთა შორის თანასწორი წევრი.

ბიზანტიური და მუსულმანური კულტურის შესუსტებას მოსდევს ჩვენი თანდათანობითი დაუძლეობა. დასუსტებულ საქართველოს იტალიის რენესანსი არ უგრძნია, ისე, როგორც არ უგრძნია იგი მთელ აღმოსავლეთსაც.

დასავლეთის (ევროპის) ცივილიზაციის ზრდა ხდებოდა საქართველოს მონაწილეობის გარეშე, ვინაიდან ის ბუნებრივად გაბმული იყო აღმოსავლეთის ცივილიზაციის გაქრობის დაქანებაში" (დ. კაკაბაძე იქვე, გვ. 111-112). სწორედ ამიტომ იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ქართული მხატვრული ხეღვისა და მსოფლსახის სისტემის ინტეგრალური ანალიზი, როგორც გზა ქართულ ღირებულებათა დადგენისა და მსოფლიო ცივილიზაციათა სისტემაში ჩართვისა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს (შეტად დამაფიქრებელი ფაქტების არსებობისა გამო), რომ ინტეგრალური ანალიზი და ქართულ თვითღირებულებათა გამოვლენა სრულიადაც არ გულისხმობს აუცილებელ დადგენას ქართულის „ზებუნებრიობისას“. ამგვარი პროცენტული „შოკინიზმი მხოლოდ ზიანის მომტანია და სრულიადაც არ უწყობს ხელს ქართული ქრისტიანული (და წინარე-ქრისტიანული) კულტურის საერთოქრისტიანულ (ანუ ევროპულ) და წინარექრისტიანულ (მცირეთაშუა) ცივილიზაციის კონტექსტში გააზრებას.

უბისის ეკლესია ერთი თავისთავში ჩასრულებული უნიკალური მხატვრობის მავალითს გვაძლევს, რასაც ირონიულად ეწოდა „რენესანსი „ურენესანსოდ“.

(შერეული ხედვა აშკარაა თითქოს. საინტერესოა უკვეა წარწერების ანალიზი, მათ შორის, ბერძნულიც (პალეოგრაფია). გარდა ამისა, საერთო შთაბეჭდილება აშკარად რამდენიმე ხელს გვიჩვენებს — გასარკვევია რამდენს და კონკრეტულად რომელი ნაწილები, ან კიდევ დადგინდეს მთლიანი მამოგენურება —

გაეკედეს პარალელური ანტიკური მხატვრობისა და ხეღვისა... სლავური-საც... ასევე მსოფლხედვისაც მეთორმეტე-მეთოთხმეტე საუკუნეებში. გაეკედეს ისტორიული ქარგა: რა ვითარება იყო საქართველოში. მის ირგვლივ და ქვეყნის შიგნით. თვით უბისი რას წარმოადგენდა მაშინ და რა კავშირები შეიძლებადა ყოფილიყო უბისსა, დანარჩენ საქართველოსა და ბიზანტიურ სამყაროს შორის... უკველი ეს საკითხი ინტეგრალურად... მეტე საკუთარი კომპოზიციები და მთელი სისტემა...

„საიდუმლო სერობა“

შობა

ზიარება

იერუსალიმში შესვლა...

ხელები... პორტრეტები... ქრისტე-ღვთისმშობელი...

წმ. გიორგის ციკლი.

უბისის მონასტრის მნიშვნელობა დაკავშირებული უნდა იყოს გრიგოლ ხანძთელის უდიდეს ავტორიტეტთან და იერუსალიმიდან ჩამოსულ ილარიონთან — მონასტრის პირველ მოძღვართან. უბისის მონასტრის დიდ ავტორიტეტზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ იქ მესვეტე ცხოვრობდა, რაც უბისის მაღალი სახულიერო ატმოსფეროს გამოხატულება არის. გიორგი მერჩულეს ცნობა, ილარიონის განსწავლულობის შესახებ და იმ წიგნების საგანგებოდ აღნიშვნა, რომლებიც უბისის ბიბლიოთეკას დღეო საფუძვლად. ქართული კულტურის პერსპექტივაში უბისი საქმოდ მნიშვნელოვან, თუმცა, შესაძლოა, განმარტოებულ სულიერ ცენტრად მოსჩანს. ეს თავის დადასტურებას თვით შიდა სივრცის მოხატულობაშიც პოკვებს, რომლის თავისთავადობა მას სრულიად განსაკუთრებულ მოვლენად ხდის ქართული მხატვრული ხეღვის თვალსაზრისით.

ისტორიული ვითარების გათვალისწინების გარეშე ძნელდება სერიოზული კვლევა უბისის მოხატულობის თარიღისა. მეთოთხმეტე საუკუნე საქმოდ დაძაბული საუკუნეა და, პირველ რიგში, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას:

- 1) რამ გამოიწვია მონასტრის ეკლესიის მოხატვა;
- 2) რა ძალები არსებობდა იმისათვის, რომ ეკლესია მოხატულიყო... ვინ არიან ეს „დამიანე“ და „გერასიმე“—ბიზანტიაში განსწავლული ქართველი მხატვრები, საქართველოში დაფუძნებული ბიზანტიელები, ბიზანტიელი და ქართველი მასწავლებელ-მოწაფე, და ა. შ. შევეცადოთ ვუპასუხოთ ამ კითხვებს, ცხადია, დაშვებათა და აღბათობათა გათვალისწინებით.

მუსიკალური სახის ზოგიერთი კონცეფციის კრიტიკული ანალიზი

მუსიკის შინაარსს ჰეგელის თანახმად, ადამიანის შინაგანი სამყარო წარმოადგენს. სწორედ ეს არის „მისი გრძნობების სტიქია“, ან „სულის წარმოდგენა გრძნობის მელოდიურ ბგერებში“. ამ თვალსაზრისით, მუსიკა პოეზიის მსგავსია, მაგრამ მისი შინაარსი „გარე სახეში“ არ გადადის ე. ი. არ ასახავს რეალური სინამდვილის საგნებსა და მოვლენებს „სულიერი ხედვისა და წარმოდგენების ფორმით“.

მუსიკაში გრძნობათა სტიქია მკაცრად გაანგარიშებული მუსიკალური სტრუქტურის შექმნის კანონებს ემორჩილება. „ერთის მხრივ, ის გრძნობის გამოხატვისაგან დამოუკიდებლად მიჰყვება ბგერის მარმონიულ კანონებს, რომლებიც რაოდენობრივ მიმართებებს ეფუძნებიან, მეორეს მხრივ, ტაქტისა და რიტმის განმეორების წყალობით, ისევე როგორც თავად ბგერების შემდგომი განვითარების წყალობით, ის ხშირად კანონზომიერი და სიმეტრიული ფორმების ბატონობის ქვეშ აღმოჩნდება ზოლმე-ამგვარად, მუსიკაში მეფობს უღრმესი გულწრფელობა და გულითადობა და, ამასთან, უმკაცრესი გონივრულობა, რადგან მუსიკა აერთიანებს ორ უკიდურესობას, რომლებიც ადვილად ხდებიან დამოუკიდებელი ერთმანეთთან მიმართებაში. ასეთი განცალკევებისას მუსიკა უშიშრად არაბრუნდება არქიტექტონიკურ სახიანთ ღებულობს, როცა ის, განთავისუფლებული გრძნობათა გამოხატვისაგან, დიდი გამოგონებლობით აშენებს ბგერებს, მუსიკალურად კანონზომიერ შენობებს“ (1, 282).

საოცარია ჰეგელის შორსმჭვრეტელობა, რომელმაც მოდერნისტული მუსიკის გაჩენა იწინასწარმეტყველა, რომელიც „განთავისუფლებდა რა გრძნობათა გამოხატვისაგან, წმინდა კონსტრუქციული პრინციპებიდან ამოვა და დაიწყებს „თავისთვის მუსიკალურად კანონზომიერი შენობის აგებას“. შემთხვევითია თუ არა ეს

გამონათქვამი? შემდგომი მსჯელობა დავგარწმუნებს, რომ არ არის შემთხვევითი. ფილოსოფოსი, თავისი დროის მუსიკალურ პრაქტიკაზე დაყრდნობით წვდებოდა მუსიკის ბუნებას, და წინასწარ ჰკრეტდა უკიდურესობათა განვითარების შესაძლებლობას მუსიკაში, მათ აბსოლუტამდე მიყვანას. ეს შესაძლებლობა მდგომარეობს თვით ბგერისა და მისი ფუნქციური დანიშნულების გამოყენებაში მუსიკაში. თუ პოეზიაში, ჰეგელის მიხედვით, ბგერები, როგორც გრძნობადი ელემენტები, გულგრილნი არიან პოეზიის სულიერი შინაარსისადმი, რადგან კავშირი მათსა და სიტყვის შინაარსს შორის პირობითია, კონვენციურია, მუსიკა „თავისთავად ბგერას თავის სტიქიად აქცევს; ასე რომ, რამდენადაც ის არის ბგერა, ის უნდა განიხილებოდეს როგორც მიზანი. ამით, რამდენადაც ბგერათა სამეფო არ უნდა ემსახურებოდეს უბრალო აღნიშვნას, ამ თავისუფალ ჩამოყალიბებაში მას შეუძლია მივიდეს ფორმირების ისეთ წესამდე, რომელიც თავის არსებით მიზნად აქცევს საკუთარ ფორმას, ვითარცა ბგერითი მხატვრული სახე“ (1, 286).

სხვა სიტყვებით, აქ გამოაშკარავდება მუსიკის, როგორც ხელოვნების თვითღირებულება. ასეთი შესაძლებლობის განსაზღვრაში ფილოსოფოსი არა მხოლოდ წინასწარჰკრეტდა მუსიკალური ხელოვნების განვითარების შემდგომ ლოგიკას, არამედ აფიქსირებდა მის გაზრდილ დამოუკიდებლობას იმ დროში, როცა ის, განთავისუფლდა რა ეკლესიის ბატონობისაგან და თავი დააღწია მეცენატების ზრუნვას, ე. ი. საზოგადოებაში მისი გამოყენების მომსახურე, ინსტრუმენტულ ფორმებს და განავითარა ცხოვრების ასახვისა თუ საზოგადოების იდეალების გამოხატვის საკუთარი შესაძლებლობები. განსაკუთრებით ისეთ ახალ ფორმებში, როგო-

რიცაა ოპერა, სიმფონია და მუსიკის კამერული
უნარები.

ჭეგელის ესთეტიკის უძველესი მიღწევაა მუ-
სიკალური ხელოვნების შინაარსისა და ფორმის
ერთიანობის ანალიზისაკენ მიხრატება. მას
სწორედ ამან მისცა შესაძლებლობა არამარტო
მუსიკის სპეციფიკა განესაზღვრა, არამედ ეწი-
ნასწარმეტყველებინა მისი ცალმხრივი განვი-
თარების ტენდენციები, რაშიაც ჭეგელი მუსი-
კის მასებისაგან მოწყვეტის, მის ელიტურ ხე-
ლოვნებად გადაქცევის საშიშროებას ზედავდა.
(ეს შემდგომში ნაწილობრივ ასეც მოხდა).

„განსაკუთრებით უახლეს დროში მუსიკა, ნა-
თელი შინაარსიდან მოწყვეტით საკუთარ სტი-
ქიაში ჩაფლო, რადგან მისით მონიკებული
ტკბობა მიმართულია ხელოვნების მხოლოდ ერ-
თი მხარისაკენ, დაკავშირებულია მხოლოდ კომ-
პოზიციის წმინდა მუსიკალური უნართან და
მის ოსტატობასთან, ეს სფერო კი წარმოად-
გენს მცოდნეთა იდეალს, და ნაკლებად შეეხება
ზოგადსაკაცობრიო მხატვრულ ინტერესს“. ამ-
რიგად, ბგერითი ორგანიზაცია, ან ბგერითი სა-
ხეები, ჭეგელის მიხედვით, უნდა იქმნებოდნენ
არა საკუთარი თავისთვის, არამედ მათში სუ-
ლიერი შინაარსის გამოსახატავად. სხვაგვარად
„მუსიკა ცარიელი, აწრს მოკლებული რჩება
და არ შეიძლება საკუთრივ ხელოვნებად ჩაითვა-
ლოს. რადგანაც მასში არ არის ყოველგვარი
ხელოვნების ძირითადი მომენტი — სულიერი
შინაარსი და გამოხატულება. მხოლოდ მაშინ,
როდესაც ბგერათა გრძობად სტიქიაში და მათ
მრავალრიცხოვან კონფიგურაციაში გამოხატება
სულიერი საწყისი მის თანაზომიერ ფორმაში,
მუსიკა ქეშმარიტი ხელოვნების დონემდე
მალდება“. (ჭეგელი).

როგორც ვოკალური, ისე ინსტრუმენტული
მუსიკის ყველა საშუალებიდან ფილოსოფოსი
„სულის უღრის“ გამოხატვის უმდალეს ფორ-
მად მელოდიას მიიჩნევს. გამომხატველობისა და
გამომხსავლობის პრობლემის გადაწყვეტისას
ჭეგელი ამა თუ იმ წარმოდგენისა და ახცი-
აციის აღმოცენების შესაძლებლობას არ უარ-
ყოფდა, მაგრამ მათ მუსიკის აუცილებელ ელემ-
ენტებად არ თვლიდა, რადგან, „ესაა ჩვენი
წარმოდგენები და ზედვანი, და, თუმც მუსი-
კალური ნაწარმოებები მათი საბაზი გახდა,
მან თავად არ წარმოშვა ისინი უშუალოდ, ბგე-
რათა მუსიკალური დამუშავებით (ჭეგელი).


ჭეგელის მუსიკალური ესთეტიკის ანალიზი და
შეფასება ცალკე, საგანგებო გამოკვლევას მოი-
თხოვს, მაგრამ ნათქვამიდანაც ცხადია, რომ
ჭეგელის მუსიკალურ ესთეტიკაში, პირველად,
მეთოდოლოგიურად ნაკოფიერადაა განსაზღვ-
რული მუსიკალური შინაარსის სპეციფიკა
და მისი ზორცესხმის ზახიათი. აქ თეორიული
გამოხატულება და დასაბუთება პპოვა მუსიკა-
ლური ხელოვნების ყველაზე უფრო მალაღმა

და სპეციფიკური განვითარების, უმრავ-
სიმფონიამ, რომელმაც ბეთსაღმარაგო-
ბაში სახოვნად განასახიერა საზოგადოების რე-
ვოლუციურად გარდაქმნის ეპოქის რევოლუცი-
ური განწყობილებანი და ფილოსოფიურ-სული-
ერი ძიებანი (დ. ზოლტანი, ნ. შახნაზაროვა).
შემდეგ იგი ასახავდა ბურჟუაზიული სა-
ზოგადოების მზარდ წინააღმდეგობებს და ევ-
როპულმა მუსიკალურმა ესთეტიკამ რამდენადმე
დაკარგა ის ფილოსოფიურ-მეთოდოლოგიური
სიმაღლე, რაც ჭეგელის ესთეტიკაში იყო მიღ-
წეული. ამის შედეგი გახლდათ მუსიკალური ხე-
ლოვნების შინაარსისა და ფუნქციის პრობლე-
მის გადასინჯვა, რომელიც ჭეგელის შემდგომი
ბურჟუაზიული ესთეტიკის ბევრი წარმომადგე-
ნლის ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივმა
მიდრეკილებამ განაპირობა.

ერთ-ერთი ფიგურა, რომლისგანაც კლასიკური
გერმანული ფილოსოფიიდან თანამედროვე ბუ-
რჟუაზიული ფილოსოფიისა და ესთეტიკისაკენ
გადასვლა დაიწყო, ა. შოპენმაუერი იყო. მან
დიდი გავლენა მოახდინა ხელოვნების და განსა-
კუთრებით, მუსიკის კონცეფციის განვითარება-
ზე, ვინაიდან იგი მუსიკას ხელოვნების ყველა
სხვა გვარიდან გამორჩეულად განიხილავდა.

ფილოსოფოსის შეხედულებები მუსიკაზე გან-
საზღვრა მისმა ფილოსოფიურმა სისტემამ. ამ
სისტემის თანახმად, ბუნებისა და საზოგადოე-
ბის ყველა მოვლენა წარმოადგენს მსოფლიო
ნების, ქვეცნობიერი და სტიქიური ძალის „ობი-
ექტივაციას“, რომელიც ადამიანის ინსტიქტებ-
სა და სურვილებში ვლინდება; ქვეცნობიერი ინს-
ტიქტები იქვემდებარებენ ინტელექტს, რომე-
ლიც მოწოდებულია, ემსახუროს ნებას და ასახოს
ბუნებასა და საზოგადოებაში მისი გამოვლენა
ყველაზე უფრო ტიპური ფორმებისა და „იდე-
ლებში“, რომლებიც რეალური საგნების, ბუნე-
ბისა და მოვლენების პირველსახეებად მიიჩნე-
ვიან. შოპენმაუერის თეორიის მიხედვით, ხე-
ლოვნების ყველა გვარში მუსიკის გარდა, ხდე-
ბა უაღრესად ტიპური ბუნების საგნები, მო-
ვლენებისა და ადამიანური ცხოვრების „იდე-
ბის“ გამოსახვა. და მხოლოდ მუსიკაში აიხანება
არა მოვლენათა სამყარო, გამოხატული ამ იდე-
ებებსა და სახეებში, არამედ უშუალოდ თავად
ნება.

ფილოსოფოსის სიტყვებით, „მუსიკას“ იდე-
ბის შეუხებლად, სრულიად დამოუკიდებლად
მოვლენათა სამყაროსაგან, მისი სრული იგნო-
რირებისას, მსოფლიო სულიც რომ არ ყოფი-
ლიყო, შეეძლო როგორღაც ეარსება, რისი
თქმაც არ შეიძლება სხვა ხელოვნებებზე, მუ-
სიკა — ესაა უშუალო ობიექტივაცია და ანა-
ბექტი მთელი ნებისა. მუსიკა, აქედან გამომ-
დინარე, სხვა ხელოვნებებისაგან განსხვავებით,
სრულიადაც არაა იდეების ანაბექტი, იგი თა-
ვად ნების ანაბექტია. აი რატომაა მუსიკის ზე-



მოქმედება უფრო ძლიერი და ღრმა, სხვა ბე-
ლოვნებების შემოქმედებაზე; „ეს უნადასკენლნი
ზომ მხოლოდ ჩრდილზე ლაპარაკობენ, ის კი —
დედაარსზე“ (შოპენმაუერი).

მუსიკა ფილოსოფოსის მიერ საერთოდ გაი-
გვივებულია სამყაროსთან: „სამყაროს შეიძლება
ვეწოდოთ როგორც განხორციელებული მუსი-
კა, ასევე განხორციელებული ნება“ (შოპენმა-
უერი). ასეთია შოპენმაუერის დასკვნა, რამაც
უდიდესი გავლენა მოახდინა არა მხოლოდ მუ-
სიკის თეორიაზე, არამედ ზოგიერთი კომპოზი-
ტორის, განსაკუთრებით, ვაგნერის მსოფლმხე-
დველობასა და შემოქმედებით პრაქტიკაზე.
(ვაგნერი. ზოგჯერ თავის წერილებს ხელს
აწერდა სიტყვით — „ნება“).

მუსიკის ეს უსაზღვრო გაზვიადება, ლიტერა-
ტურასთან შედარებით, — რომელსაც განმან-
ათლებელთა ესთეტიკოსები და გერმანელი ფი-
ლოსოფოსები კანტიდან შეგულებულად ხელოვნე-
ბის უველა სხვა სახეზე მაღლა აყენებდნენ, მი-
სი უნარის გამო, გამოხატოს გონის იდეები, —
ასახავდა ევროპაში რევოლუციური გარდაქმნე-
ბის შედეგებით გულისგატეხვას, ამვე დროს,
ის პარადოქსული და აბსოლუტიზირებული ფი-
რმით მუსიკალური ხელოვნების იმ გაზრდილ
გავლენასაც ასახავდა, რომელიც მან დიდი კო-
მპოზიტორების, ჰაიდნის, მოცარტის, ბეთჰოვე-
ნის, შუბერტისა და სხვათა შემოქმედებით მო-
იპოვა.

შეგელისაგან განსხვავებით, რომელიც დაწ-
რილებით ანალიზებდა ადამიანის ხულიერი
სამყაროს სახეობრივი განხორციელების მხატ-
ვრულ საშუალებებს მუსიკაში, შოპენმაუერი
შემოიფარგლა მხოლოდ მუსიკალური ხელოვნე-
ბის შინაარსის ქვეცნობიერ-იმპულსური ბუნე-
ბის პრინციპულად არაგამომსახველობითი არ-
სის შესახებ დებულებით.

მუსიკის შოპენმაუერისეული კონცეფცია შე-
მდგომში გარკვეული ხარისხით კონკრეტიზირე-
ბული და განვითარებული იყო მისი მიმდევრის,
ფ. ნიცშეს მიერ, რომელმაც ევროპული კულ-
ტურის მამოძრავებელ ძალთა ტიპოლოგიაში
„აპოლონური“ წესრიგისა და გარკვეულობის
კულტს დაუპირისპირა „დიონისური“ საწყისი,
რომელმაც უველაზე უფრო ადეკვატური განხო-
რციელება მკვთა ანტიკური ეპოქის მუსიკაში
და აღორძინდა ი. ს. ბახის, ლ. ბეთჰოვენიისა და
რ. ვაგნერის გერმანულ მუსიკაში (ნ. 185).

მუსიკის ირაციონალურ-ვოლუნტარისტული
კონცეფცია, როგორც თანამედროვე ბურჟუა-
ზიულ მუსიკაში ანტიკულტურული, ქვეცნობი-
ერ-ინსტიტუტური სწრაფვის სახეობრივი გამოხა-
ტვა, შემდგომ მუსიკისმცოდნეობასა და კრიტი-
კაში ფსიქოანალიზურ ესთეტიკად „განვითარ-
და“. აქ მუსიკალურ სახეთა ინტერპრეტაცია ეუ-
რდნობოდა, ეფუძნებოდა პიროვნების სტრუქ-
ტურის ფროიდისებულ განსაზღვრებას, რომლის

თანახმადაც ადამიანის მთელ ცხოვრებასაც
მოღვაწეობას მისი ქვეცნობიერი სფეროს
სექსუალური „ოიდიპოსის კომპლექსის“ ლტო-
ლვანი მართავენ. ამგვარი ლტოლვანი თავს
იჩენენ ზმანებებსა და ფანტაზიებში, ან კულ-
ტურული მოღვაწეობის სხვადასხვა ფორმებში,
მათ შორის, მხატვრულ შემოქმედებაში სიმბო-
ლიზირდებიან. ზ. ფროიდის თეორიის მიხედ-
ვით, ხელოვანი მხატვრულ სახეებში სიმბოლურ
ან გაკულტურულბუნებულ ფორმაში ახორციელებს
საკუთარ ლტოლვებს, ამით იგი ნაწილობრივ
თავისუფლდება „ცნობიერების ცენზურაზე“
არაცნობიერ ლტოლვითა დაწოდებისაგან. ფა-
რთო საზოგადოებას, ამგვარი ხელოვნების აღ-
ქმისას, შევებას პოულობს, რადგან სუბლიმაციის
მეოხებით „ოიდიპოსის კომპლექსის“ ენერგია
მხატვრულ სახეებად, გამოხატვის სოციალუ-
რად მისაღებ ფორმებად გარდაიქმნება, აქედან
გამომდინარე, ხელოვნების შინაარსად სიმბო-
ლურ-სახოვან ფორმაში დაშიფრული ადამიანის
სექსუალური, აგრესიული მისწრაფებები ცხად-
დება. ამ თეორიაზე დაფუძნებული მეთოდო-
ლოგია ფსიქოანალიზის ფუძემდებლის კვალ-
დაკვალ გამოიყენებოდა ლიტერატურის, პოეზი-
ის, დრამატურგიის, ფერწერის კვლევისას. ამ
ხვედრს მუსიკაშიც ვერ დააღწია თავი. განსა-
კუთრებით ნაყოფიერი მახალა ფსიქოანალიტი-
კოს-ხელოვნებთმცოდნეებისათვის გახდა რ. ვა-
გნერის შემოქმედება, რომლის ბევრი ოპერის
სახეები ინტერპრეტირებულნი იყვნენ როგორც
კომპოზიტორის ფსიქოანალიტიკური კომპლექ-
სების გამოხატვა. მაგ., ზ. ფროიდის ერთ-ერთი
მოწაფე, ო. რანკი ლენგერინის სახეს, ვაგნე-
რის იმავსახელიანი ოპერიდან, განმარტავს
როგორც კომპოზიტორის ბედის გამოხატვას,
მის დაბრუნებას ბავშვობის წლებისაკენ, ე. ო.
როგორც უზრუნველი ბავშვობისკენ დაბრუნე-
ბის მისწრაფებას, და რაც მთავარია, მისწრა-
ფებას, კვლავ იგრძნოს დედის სიყვარული და
ამით მოახდინოს რეალიზება „ოიდიპოსის კომ-
პლექსის“ ინციტური მისწრაფებებისა, (ო. რა-
ნკი). მეორე ფსიქოანალიტიკოსმა, მ. გრაფმაც,
სტატიაში „რიჩარდ ვაგნერი „მფრინავ ჰოლან-
დიელში“, განავითარა მთელი ვერსია, რომლის
თანახმადაც, კომპოზიტორმა „მფრინავი ჰოლან-
დიელის“ სახეში განასახიერა საკუთარი ბედი —
უსასრულო ხეტიალი ევროპის ქალაქებში: მი-
ზეზი კვლავ ეს კომპლექსია — არაბუნებრივი
გრძნობა დედისადმი, რომელიც ვაგნერს ძალი-
ან უყვარდა და თავისი ოპერის გმირ ქალებში
ანსახიერებდა. ასე მაგ., ა. მ. გრაფის აზრით,
„ზიგფრიდი“ — კომპოზიტორის ბავშვური ფა-
ნტაზიის განსახიერებაა, — გახდეს გმირი და
მოეწონოს დედას.

მსგავსი განმარტება „დაიმსახურეს“ ვაგნე-
რის სხვა ნაწარმოებებშიც. ფსიქოანალიტიკური
„კვლევა“ ვაგრცხვდა სხვა კომპოზიტორებზეც

— ლ. ბეთოვენი, ა. მოცარტე, ფ. შოპენი; ფ. შუბერტი. მაგ., ე. ნიუმანი თავის წიგნში „ბეთოვენის ქვეცნობიერი“ ამოდის, მისი აზრით, დიდი გერმანელი კომპოზიტორის ცხოვრებასა და შემოქმედებას შორის არსებული შეურთებელი წინააღმდეგობიდან, მისი მუსიკის მოქალაქეობრიობასა და ჰეროიკულობას, ამტკიცებს ნიუმენი, არაფერი აქვს საერთო კომპოზიტორის პირად ცხოვრებასთან, რომელშიაც ნიუმენმა ფსიქოანალიზის შედეგად აღმოაჩინა თითქოსდა ტრაგიკული კლიწები, კომპლექსებით გაწამებული პიროვნება (სექსუალურად არასრულყოფილი) და მისთვის საძულველი სამყაროსაკენ... განგებ ზურგშექცეული ადამიანი.

მუსიკის მსგავსი „ბიოგრაფიებითა“ სავსე მიმოხილვითი მონოგრაფია ფრანგი ფსიქოანალიტიკოს-მუსიკისმცოდნის ა. მიშელისა — „ფსიქოანალიტიკური სკოლა მუსიკის შესახებ“, საკმარისია მისი გამოკვლევებიდან ერთი მაგალითის მოყვანა, რომ სხვა დანარჩენიც ადვილად წარმოვიდგინოთ. იგი განიხილავს დონუთანის, მოცარტის იმავსახელიანი ოპერის გმირის სახეს, ავტორი მის იდენტოფიციტებას ახდენს თვით კომპოზიტორის სახესთან, რომელმაც ამ ოპერაში თითქოს თავისი „ოიდიპოსის კომპლექსი“ განახორციელა, რაც აიძულებს თავის გმირს უსასრულო ხეტიალში ამაოდ ეძებოს შეუვარებულღებში დედის სახე.

ფსიქოანალიტიკური მეთოდოლოგიით იკვლევდნენ თანამედროვე ავანგარდისტ კომპოზიტორებსაც, რომლებიც ფროიდის იდეებით გამსჭვალულ ატმოსფეროში მოღვაწეობდნენ — ვ. შონბერგს, ა. ბერგსა და სხვებს. მართალია, ვ. შონბერგის მონოღრაფია „ლოდინი“, ისევე როგორც ბერგის ოპერები — „ვოცეკი“ და „ლულუ“, ნამდვილად განიცდიან ფროიდის იდეების გარკვეულ გავლენას, მაგრამ იმდენად, რამდენადც ფსიქოანალიზმა თავისი დროისთვის დამახასიათებელი ნევროტული კომპლექსები და ფსიქოანალიტიკური განწყობილებები ასახა (რაც სრულიად არ არის დამახასიათებელი მოცარტის, შაიდნის, ბეთოვენის ცხოვრებისა და შემოქმედების დროისათვის). მაგრამ ამ ნაწარმოებების ფსიქოანალიზს არ ძალუძს, ახსნას მათი სოციალურად დეტერმინირებული შინაარსი და, მით უფრო, — მათი ხორცშესხმის არაჩვეულებრივად ექსპრესიულ საშუალებათა თავისებურებანი. ამ თითქოსდა ფსიქოანალიტიკოსებისთვის მომგებიანი მაგალითებიდანაც კი ცხადია, რომ მუსიკალური ხელოვნების ნაწარმოებები იქმნებიან არა ინტიმურ-პიროვნული კომპლექსების გამოხატვისა და დაძლევის მიზნით, არამედ მათ აქვთ საზოგადოებრივი შინაარსი და მნიშვნელობა. ბოლო ხანებში ამ დასკვნამდე მიდიან ხელოვნების ფსიქოანალიტიკურად ორიენტირებული თეორეტიკოსე-

ბიც. ეს გამოვლინდა, მაგ., კრებულში ფსიქოანალიზი და შემოქმედების ხელოვნება სტატიაში. ერთ-ერთი სტატიის ბოლოს, რომელიც ეძღვნება ფსიქოანალიზის შესაძლებლობებს ხელოვნების სპეციფიკის ხსენაში, მათ შორის, მუსიკისაც, ავტორი ასე დაასკვნის: „ხელოვნების ნაწარმოები აქვს საზოგადოებრივი განზომილება, რომელსაც კავშირი არა აქვს ფსიქოანალიტიკურ განზომილებასთან“.

სწორნი არიან საბჭოთა მკვლევარები ა. ფარბუტინი და ა. კლიუვეი, რომლებმაც აღნიშნეს ფსიქოანალიტიკურ გამოკვლევათა შეზღუდულობა. ეს გამოკვლევები ძირითადად მიმართულია არა მუსიკალური ხელოვნებისა და მისი სახელების სპეციფიკაზე, არამედ ბიოგრაფიულ დეტალებზე, რომელთა დასკვნები მცირეოდენი ვარიაციებით ყოველთვის წინასწარ განსაზღვრულია. „როდესაც ფროიდისტული ხელოვნებათმცოდნეობა ეხებოდა საკითხებს, რომლებიც ბიოგრაფიისა და შემოქმედებითი ჩანაფიქრების წინასტორიის ფარგლებს სცილდებოდნენ, მას არ შეეძლო რაიმე ახლის წაწყვენება თავად ფროიდისა და მისი მოწაფეების იდეებთან შედარებით. მუსიკალურ მიმართებაში ეს იდეები განსაკუთრებით ვულგარული და უსუსური ხდება“ (ფარბუტინი, ა. კლიუვეი, ა.).

მუსიკის, როგორც ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების შინაარსის გამოხატვის, მუსიკალური სახის სპეციფიკასა და ფორმებზე აქცენტირების გარეშე განმარტების ფსიქოლოგიურ და ფსიქოანალიტიკურ მეთოდებს უპირისპირდებიან კონცეფციები, რომლებშიც, პირიქით მუსიკის არსი გამოყვანილია მისი ფორმიდან, კომპოზიციიდან და მისი ენის თავისებურებიდან. ბურჟუაზიული მუსიკალური ესთეტიკის ბევრი მიმართულების წარმომადგენელნი ყურადღებას მიაპყრობენ მუსიკალური ხელოვნების იმ ასპექტს, რომლის გავრცელებაც, როგორც უკვე ნაჩვენები იყო, მეტად ვარაუდობდა, ლაპარაკობდა რა „მუსიკალურად კანონზომიერი ბგერათა შენობის წმინდა კონსტრუქციული პრინციპების“ ახსნათა პირველი, ვინც მუსიკის ანალიზის ამ გზას დაადგა, იყო ავსტრიელი მუსიკისმცოდნე ე. შანსლიკი. ის კატეგორიული წინააღმდეგე იყო მუსიკის, როგორც კომპოზიტორის სულიერი ცხოვრებისა და ემოციების ან გარესამყაროს მოვლენების საზოგადოებრივი საშუალებად გაგებისა. „მუსიკალური ნაწარმოების სილაბაზე, — ამტკიცებდა იგი, — არის რაღაც წმინდა მუსიკალური... მუსიკალური ხელოვნების ნაწარმოები — ესაა მუსიკალურ ბგერათა სტრუქტურა ან მარმონიული თანმიმდევრობა, რომელიც გამოხატავს საკუთარ თავს, საკუთარ მუსიკალურ შინაარსს, ყოველგვარ არამუსიკალურთან შეუფარებელს, ამოწმადულს მუსიკალურ ნაწარმოებში მუსიკა-



ლური ელემენტების თავისებურებებიდან და მათი ორგანიზაციის წესიდან.

ამრიგად, ჰანსილმა მკვეთრად დააყენა მუსიკის მასალის ხასიათთან — ბგერით მუსიკალურ სუბსტანციასთან კავშირში მუსიკალური-შინაარსის სპეციფიკის საკითხი და მისგან მთლიანი ნაწარმოების ორგანიზების პრობლემა. როგორც გ. ლ. ერმაში წერს თავის წიგნში — „ხელოვნება როგორც აზროვნება“ — ჰანსლიკი არ არის ფორმალისტი, ის სრულიადვე არ იზრძვის უშინაარსო მუსიკისათვის; ოღონდ მუსიკის შინაარსს ბგერათა მატერიის კონსტრუირების ფარგლებში ეძებს“.

აღემა იმის შესახებ, რომ მუსიკა მის უშაღლეს და სპეციფიკურ ფორმებში თავისუფალია გარე, არამუსიკალური შინაარსისაგან, ფართო გავრცელება მხოვე თანამედროვე საზღვარგარეთულ მუსიკალურ ესთეტიკაში. გერმანელი ესთეტიკოსი, ნ. შარტმანი, დაპირაკობდა ხელოვნების არაგამომსახველ სახეებზე — არქიტექტურასა და ორნამენტზე და ამტკიცებდა, რომ „არსებობს კიდევ“ წმინდა მუსიკაც“, რომელსაც გარე მუსიკალური თემები არ გააჩნია და არ საჭიროებს მათ“. ასეთ მუსიკას ის განმარტავს; როგორც მუსიკის ფორმებით ესთეტიკური თამაშის პრინციპზე დაფუძნებულ თავისუფალ ხელოვნებას. ფილოსოფოსის აზრით, „წმინდა მუსიკაში“ თამაშის“ პრინციპი სრულ დამოუკიდებლობას აღწევს. მუსიკა არის ტონებით; ტონების თანმიმდევრობით, შარტმანი, ბგერათა ელფერებით, ე. ი. იმ მასალით თამაში, რომელიც უშაღლესი ხარისხით მოცდობილია გარე ესთეტიკურ თემებს, სიუჟეტებსა და გარეესთეტიკურ მიზანს, ამიტომ მუსიკა საერთოდ ყველაზე თავისუფალი ხელოვნება ხელოვნების სახეებს შორის. და იგი თავისუფალია სწორედ ორმაგი აზრით, იგი თავისუფალია როგორც არაესთეტიკური თემებისა და სიუჟეტებისაგან, ასევე არაესთეტიკური მიზნებისგანაც. თავად მუსიკალური „თემა“ თავისუფლად იქმნება და წმინდა მუსიკალური ფანტაზიის პროდუქტს წარმოადგენს.

საინტერესოა ნ. შარტმანის განმარტება მუსიკალურ ნაწარმოებში გრძნობადისა და იდეალურის ურთიერთშეფარდების შესახებ. მუსიკალურ ნაწარმოებში იგი განახვავებს გრძნობად-აკუსტიკურს და მუსიკალურად სმენადს. ეს უკანასკნელი ჩნდება, როგორც მუდგერი მატერიის კომპოზიციური სინთეზის შედეგი და ნაწარმოების მუსიკალურ საზოგადოებას წარმოადგენს. „ამრიგად, — წერს შარტმანი, — აღამიანებს ფაქტიურად იმაზე მეტი ესმით, რასაც გრძნობადად სმენადი იმღევა: მათ ესმით სხვა, უშაღლესი წესის მუსიკალური სახეები. რაც ხრუტიად შეუძლებელია აკუსტიკური მოსმენისას, ეს სხვა სხვა სწორედ მუსი-

კალური ნაწარმოები, კომპოზიცია, შეუვა, სონატა“.

სახე ამ გაგებით, ამა თუ იმ მუსიკალური ენის ერთიანი ფორმის აღქვადურია; ფილოსოფოსის გამოთქმით იგი შეადგენს მუსიკალური ნაწარმოების „უკანა პლანს“, რომელიც მთლიანად მუსიკალური ფაქტორის გრძნობადი აღქმის საფუძველზე და მის შედეგად აღმოცენდება. მაგრამ, ამასთან ერთად, ნ. შარტმანი არ უარყოფს, რომ მუსიკა იწვევს აღამიანის განსაზღვრულ სულიერ განცდებს, წარმოადგენს გამოცხადებას, რომლის გამოხატვაც ხელოვნების ნებისმიერ სხვა სახეში შეუძლებელია. ჩნდება გარკვეული „ანტინომია“ — ერთის მხრივ, მუსიკა — ბგერათა წმინდა კონსტრუქციული, საგნობრივი სტრუქტურა, მეორეს მხრივ — სუბიექტური, სულიერი ცხოვრების კუთვნილი თავისებური განცდა; რომელიც არაჩვეულებრივად ძლიერად და ღრმად იყრობს აღამიანს.

ეს ანტინომია ესთეტიკოსის მიერ შემდეგნაირად გადაიჭრება: „მუსიკის სიღრმისეული ფენებისათვის დამახასიათებელია მთლიანი აღამიანის გატაცება და მისთვის შესაძლებლობის მიცემა, ტკობაში შეერწყას მას. გარეგნული ფენები კი აღამიანს მხედველის პოზიციაში აყენებენ და ხედვის ობიექტები თავად ხდებიან. კომპოზიციური სტრუქტურის საგნობრიობა იმდენად ძლიერია კარგ ნაწარმოებებში, რომ სიღრმისეული ფენებიც მუდამ განსაზღვრულ საგნობრივ მდგომარეობას ინარჩუნებენ“ (შარტმანი).

განვითარების პროცესის ორგანიზაციის მუსიკალურ-მხატვრულ საშუალებებს შეუძლიათ სულიერი პროცესების დინამიკა ისე გამოხატონ, რომ გარეგნულ სახეებს არ მიმართავენ — „სულის საიდუმლო“, აჯუნება და გარინდება, ღელვა, ბოხოქრობა, ჩივილი, ზეიმი და ა. შ. გამოხატონ მოძრაობის სახეების საშუალებით. მაგრამ ამ სიღრმისეული ფენით, რომელიც მუსიკალური ნაწარმოების ყველა ელემენტის და „კომპოზიციური სტრუქტურის საგნობრიობითა“ აღმოცენებული, მუსიკალური ნაწარმოების მთელი შინაარსი არ ამოიწურება. თავის საუკეთესო ნიმუშებში მუსიკა ეძებს უშაღლეს, მეტაფიზიკურ დონეს ან ფენას — რელიგიურს ან ფილოსოფიურს. რომელიც უფიერების უშაღლეს სულიერ ფორმებს ასახავს. ამიტომ, შარტმანის აზრით მუსიკის მხოლოდ სტრუქტურული ელემენტებით შემოფარგვლა, როგორც მუსიკის ფორმალისტური თეორიები სჩალიან, არასაკმარისია მუსიკალური ხელოვნების ყველა ასპექტის გასაგებად. ასეთი მიდგომისას ისინი მხოლოდ „გარეგნულ ფენას“, ანუ მუსიკალური ნაწარმოების საგნობრივ, ბგერით მხარეს აქცევენ ყურადღებას და მისი შინაარსის საზოგადოებრივი და

ფილოსოფიურ-მეტაფიზიკურ ასპექტებს არ ითვალისწინებენ. მუსიკაში და მუსიკის სტრუქტურის ყველა ელემენტის ბგერათა თავისუფალი თამაში ქაოტური და თვითნებური არ არის, იგი ემორჩილება კომპოზიციურ მთლიანობას, რომელიც აღქმისას ადამიანის სხვადასხვა სულიერ მდგომარეობებს აღვიძებს. ღრმა მუსიკალური ნაწარმოები კი „უკანასკნელი არსის“, ანუ ფილოსოფიური იდეებისა და განზოგადებების გამოხატვად გვევლინება.

ამრიგად, მარტმანმა დასძლია მუსიკალური ხელოვნების ფენომენოლოგიური მეთოდის შეზღუდულობა და მისი მრავალი დამახასიათებელი თვისება შენიშნა: მასალის ორგანიზაცია და მასზე აღმოცენებული მუსიკალური შინაარსის სახეობებისა და მისი აზრობრივი მნიშვნელობის სპეციფიკა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ფილოსოფოსის თვალთახედვის არც გარეთ დარჩა მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც ხელოვნების ფენომენოლოგიური ანალიზის ფარგლებს სცილდება, სახელდობრ — ხელოვნების შინაარსის საზოგადოებრივი ცხოვრებით დეტერმინაციის პრობლემები, მუსიკალური ხელოვნების სხვადასხვა უარის გენეზისისა და განვითარების პრობლემა საზოგადოებრივი პირობების ცვლილებებთან დამოკიდებულებაში, მუსიკის შინაარსის გაღრმავება საზოგადოებრივი მოთხოვნილებებისა და იდეალების ზეგავლენით და სხვა, რომელთა გადაჭრის გარეშე არ შეიძლება ბოლომდე აიხსნას მუსიკალური ხელოვნების ზოგადი და სპეციფიკური თვისებები, მისი სინამდვილის საზოგადოებრივი ხასიათი, მასში გამოხატული და გამოხატველი ასპექტებისა და მხარეების ურთიერთშეფარდების პრინციპები.

მუსიკალური ხელოვნების სპეციფიკურობის პრობლემის ანალიზური აბსტრაქტიული დაუენებით გამოირჩევა ხელოვნების სემანტიკური კონცეფციები. სემანტიკური ესთეტიკის ცნობილი წარმომადგენელი ს. ლანგერი, რომელიც მუსიკას უყურებდა როგორც მოდელს, ხელოვნების უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადასაწყვეტად. თავის ნაშრომში „ფილოსოფიის ახალი გაგება“, ავითარებს თეორიას, რომლის თანახმადაც, მუსიკა წარმოადგენს „გამომხატველ ფორმას“ ან სტრუქტურას, რომელიც წარმოადგენს ან გამოსახავს გრძობათა ლოგიკურ სტრუქტურასა და მოძრაობას (ილმავლობა, დაცემა, კონფლიქტის გადაწყვეტა) და რომელიც მუსიკის ტონალური ელემენტების სისტემითა და კომბინაციებით გამოიხატება (ს. ლანგერი). მაგრამ მუსიკაში ასახული სულიერი სამყაროს, ემოციების კონკრეტულ-ისტორიული, შინაარსობრივი სპეციფიკა და მუსიკალური ხელოვნების სოციალურ-ესთეტიკური ფუნქცია გარეთ რჩება. მისი მთავარი საზრუნავია ფორმალური სტრუქტურის ანდა ზოგადად ხელოვნების ფი-

რმის ადამიანის გრძობათა რეაქციის სტრუქტურითა თუ ფორმით პრინციპული ფუნქციონება, ე. ი. მუსიკის ინტერპრეტაცია როგორც სიმბოლურ ფორმათა განსაკუთრებული გვარი-სა. ამ ნაკადში განიხილავს იგი ხელოვნების სხვა სახეებსაც.

ამის შედეგად ს. ლანგერი მუსიკას, ისევე როგორც ხელოვნების სხვა სახეებს, ართმევს ნიშნურ-ასახვით ფუნქციას, კავშირს საზოგადოებრივ სინამდვილესთან და განიხილავს მას, როგორც სიმბოლურ; ჩაკეტილ ავტონომიურ სტრუქტურას, რომლის მნიშვნელობა და აზრი თვითმარია და საკუთარ თავს გამოხატავს.

„ხელოვნების ნაწარმოები მოკლებული უნდა იყოს ყველა რეალისტური კავშირს და იყოს თვითმარია, რათა მისდამი ინტერესი მის საზღვრებს გარეთ არ ვალიოდეს“ (17, 178). — ასევე იგი, შემდეგ განაზოგადებს რა ხელოვნების თავის კვლევას. მაგრამ ამით, არსებითად, ის მუსიკალურ ხელოვნებას საზოგადოებრივი სპეციფიკასა და საზოგადოებრივ მნიშვნელობას ართმევს. ამიტომ, სემანტიკური ესთეტიკის მკვლევარის, ბასინის სამართლიანი აზრით, „ყველა საბუთი არსებობს იმისათვის, რომ ხელოვნების თეორიის „ახალ გაგებაში“ ფორმალისტური თეორია ვუწოდოთ იმ აზრით, რომ მასში ხელოვნების ნაწარმოების აღქმისას გაუმართლებლადაა გაზვიადებული ფორმის როლი ემოციების ფორმირებისა და გაცნობიერების პროცესში“, მსგავს დაასკვნამდე მივიდა ე. ვ. ლიენტიევიც, რომელმაც კრიტიკულად გაანალიზა ხელოვნების სემანტიკური კონცეფციები, საერთოდ, და მათ შორის, მუსიკის შესახებ ს. ლანგერისა და სხვათა მსგავსი მოსაზრებები.

თანამედროვე ბურჟუაზიული ესთეტიკის ზოგიერთი სხვა წარმომადგენელიც, რომლებიც ხელოვნების სხვადასხვა პრობლემის გადაწყვეტის საკუთარი ფილოსოფიურ-მეთოდოლოგიური მიდგომით გამოირჩევიან, ყურადღებას არ აქცევენ მუსიკის საზოგადოებრივ ფუნქციას. ეს დამახასიათებელია, აგრეთვე ფილოსოფოს-ეგზისტენციალისტებისთვის. მისი ვა. მოჩინილი ლიდერი, უ.პ. სარტრი, გამოდის ხელოვნების საკუთარი კონცეფციიდან, რომლის თანახმადაც მხატვრული ნაწარმოების შინაარსს ირეალური, წარმოსახული სამყარო შეადგენს. რომლის გაჩენის პირობაა ნეანტიზაცია; ე. ი. ცნობიერების მიმართვა ამ წარმოსახულ სამყაროზე. ის ამტკიცებს, რომ მუსიკაც ადამიანის წარმოსახულ ცნობიერებაში ჩნდება, რომელიც აღიქვამს მას. „ბეთმოვნების შეშვიდე სიფონია“, — ამტკიცებს ე. პ. სარტრი. — სანამ არ შესრულდება, არ არსებობს არც ღრმში, არც სივრცეში, არამედ მსმენელთა წარმოსახულ სამყაროში მისი შესრულების დროს ჩნდება. ამასთან, არც

დროს, არც ადგილს მუსიკასთან დაკავშირებული მნიშვნელობა არა აქვთ — მსმენელები მთლიანად გადადიან ირეალურ სამყაროში. მუსიკა, წერს ფილოსოფოსი თავის ნაშრომში „წარმოსახული“, არსებობს რეალობის მიღმა, არსებობის მიღმა, მე არ მესმის ის რეალობაში, მე ვუსმენ მას წარმოსახულში“. ხოლო წარმოსახულის გაჩენის პირობებს, რომელიც სიმფონიის შესრულებითაა პროვოცირებული, ქმნის ადამიანის რეალობიდან გამოთიშვა და მისი წარმოსახულში გადასვლა, ანუ ცნობიერების ირეალური მდგომარეობა. მუსიკა, სარტრის მიხედვით, არსებობს არა მხოლოდ რეალობის მოცემული სიტუაციის გარეთ, არამედ ფლობს საკუთარ „შინაგან“ დროს, რომელიც რეალურ დროში არ ჩაირთვება და ერთგვარად მის გარეთაა. „მეშვიდე სიმფონია არ იმყოფება დროში. ის აგრეთვე იმყოფება სავსებით რეალობის მიღმა, ის მოგვეცემა თვითონ, მაგრამ როგორც არარსებული, როგორც მისაწვდომის ფარგლებს გარეთმყოფი“.

ფრანგი ფილოსოფოსის ხელოვნების კონცეფციის თანახმად, მხატვრული ნაწარმოების შინაარსი იბადება როგორც შინაგანი რეალობა, გამომხმობილი ანალოგიით“ ან მატერიალური წარმოქმნის სტრუქტურით, რომელიც ხელოვნების ყოველი სახისათვის სპეციფიკურია, — მათი აღქმისას წარმოგვიდგებიან იდუმალი სახით და შესაძლებელს ხდიან წარმოსახვაში ხელოვნების სახეთა გაჩენას. ნაშრომში — „რა არის ლიტერატურა“ — სარტრი მხოლოდ ლიტერატურას, მხატვრულ პროზას ამხატველ ფუნქციას ანიჭებს. აქ სიტყვა იძენს საზოგადოებრივი ცხოვრების ასახვის ნიშნურ ფუნქციას, ე. ი. შესაძლებელს ხდის მხატვრული ლიტერატურის სოციალურად აქტიურ როლს. რაც შეეხება ხელოვნების სხვა გვარებს — ფერწერას, სკულპტურას, მუსიკას და პოეზიასაც კი, მათი მნიშვნელობის მატე-

რიალურ მატარებლებს — ფერებს, ტანსაცმელს, ბუნებრივ მასალებს, პოეზიაში — სიტყვას — არ შეუძლიათ ნიშნურ ფუნქციას ფლობდნენ და წარმოადგენენ არა ენას, რომელიც რაღაცას აღნიშნავს, არამედ ესთეტიკურ ელემენტებს, რომლებიც სამშენებლო მასალას წარმოადგენენ ხელოვნების ამ სახეებისათვის. ამიტომ ისინი არ შეიძლება „ანგაჟირებულნი“ და გამოყენებულნი იყვნენ საზოგადოებრივ ბრძოლაში, რადგან საზოგადოებრივად ზოგადმნიშვნელოვანი შინაარსის გამოხატვის ენას არ წარმოადგენენ. შინაარსის გამომხატველი ენა მხატვრული სტრუქტურის საზღვრებს გარეთ იმყოფება, ხოლო ისინი წარმოადგენდნენ ესთეტიკურ ობიექტებს, რომლებიც მხოლოდ საკუთარ თავს გამოხატავენ. „ტიკვილის ყვირილი ნიშანია მისი გამომწვევი ტიკვილისა, მაგრამ სიმღერა ტიკვილზე არის ერთდროულად თვითონ ეს ტიკვილიც და რაღაც სხვაც“. — ასევე სარტრი და ამ მაგალითზე აკონკრეტებს ხელოვნების ამ სახეთა საკუთარ თეორიას. მუსიკას გნოსეოლოგიურ ასპექტში სარტრი განიხილავს, როგორც საზოგადოებრივი სინამდვილის საზოგადოებრივი ფუნქციამოკლებულს, ონტოლოგიურში კი — როგორც შინაგან რეალობას. ან ირეალობას, რომელიც რეალური დროისა და საზოგადოებრივი ფუნქციების გარეთაა.

როგორც ვხედავთ, ეგზისტენციალიზმის ესთეტიკას, მუსიკალური ხელოვნების ინტერპრეტაციისას, საერთო აქვს ესთეტიკის აბსტრაქტულსა და ფორმალისტურ ტენდენციებთან.

საზოგადოდ, მუსიკალური ხელოვნების ზოგიერთ სპეციფიკურ თავისებურებათა მიგნების მიუხედავად, დასავლეთის ესთეტიკამ მაინც ვერ მოგვცა მუსიკის ყოველმხრივი, თეორიულ-მეთოდოლოგიური და კონკრეტულ-ისტორიული ანალიზი.



ქართული კრიტიკის მნიშვნელოვანი შენახენი

ელიზბარ ჯაველიძის სარეცენზიო წიგნის შესავალი ნაწილი თანამედროვე ქართული კრიტიკის საფუძვლიან ანალიზს ეძღვნება. ბატონი ელიზბარის მოსვლამ ქართულ კრიტიკაში თავიდანვე მიიქცია მკითხველი საზოგადოების ყურადღება. ღრმა განსწავლულობა, წერის მაღალი კულტურა და დახვეწილი ლიტერატურული გემოვნება გამოარჩევს მის წერილებს ჯერ კიდევ ძველი შტამებითა და სტერეოტიპებით გაჯერებული ზოგიერთი კრიტიკული წერილებისაგან. კომპეტენტური კრიტიკა პაერივით სჭირდება ჩვენს მწერლობას. გაეიხსენათ ილიას ცნობილი სიტყვები: „ლიტერატურა თავის ფართო მნიშვნელობით, გონების ნაჭირნახულები იყავი, საცა წმინდა ზობალოც არის და ბალახბულახის თესლიცა. რაც ცხავია ზავისთვის, ისიც კრიტიკაა ლიტერატურისთვის“. ილია კვლავაძე გულისტკივილით მიუთითებდა, რომ „დღეს ჩვენში დიდძალი ტაშის მკვრელი ჰყავს“ ქუჩურ კრიტიკას, მაგრამ „იღის სხვა კრიტიკა, რომელსაც მეცნიერული კრიტიკა ჰქვიათ. იგი „პოს“ სათქმელსაც და „არას“ სათქმელსაც ერთნაირის სიფრთხილით, ერთნაირის აწონდაწონვით ეპყრობა“. დაბეჯითებით შეძლება ითქვას, რომ ბატონი ელიზბარის სარეცენზიო წიგნი მეცნიერული კრიტიკის თვალსაჩინო ნიმუშია. ამასთან ერთად, იგი იმისი დადასტურებაცაა, თუ როგორი პასუხი უნდა გაეცეს დაბალი დონის, არაკომპეტენტურ კრიტიკის (მათ შორის, ილიას მიერ ნახსენებ „ქუჩურ კრიტიკასაც“).

კრიტიკის პრობლემებზე მსჯელობისას სარეცენზიო წიგნის ავტორი ჩერდება დღევანდელი ჩვენი ცხოვრების თვისობრივად ახალ ეტაპზე. გარდაქმნის „ქადონსური კვართი“ ჩვენი ყოფის ყველა სფეროს შეეხო. „სახარობა და დემოკრატიზმი საზოგადოებრივი ცხოვრების მთავარ საზღვარავად იქცა... ვერ ვიტყვით, რომ ჯერ-ჯერობით დოგმატიზმის ძველი, მძიმე კედლები დაინგრა და მთლიანად მოიშპო... მაგრამ უნეტელი დაიძრა და ლლობაც დაიწყო... მართა-

ლია, ჯერ კიდევ ზის ჩვენში პატარა ცენზორი, შიშის თვალებით რომ იმზირება, და ამიტომაც ყველაფერს ვერ ვამბობთ ისე, როგორც საქმის ეგების, მაგრამ რასაც უკვე „ვბედავთ“, ის წარსულში გაუგონარ მკრეხელობად და სახელმწიფოს მტრობად შეიძლება ჩათვალიყო“ (გვ. 4). სრული ქეშმარიტებაა. დოგმატიზმის, შტამების, კაზუსების მსხვერვეა მართლაც ძველი საქმე ყოფილა. რამდენად სამწუხაროა, რომ გარდაქმნის დაწყების მომდევნო წლებში და დღესაც იწერება ისეთი რომანები, დოკუმენტური მოთხრობები, რომელთა ავტორები ძალზე პრიმიტიულად, დაბალ მხატვრულ დონეზე წარმოგიდგენენ „რევოლუციის რაინდების“ „ცხოვრება-მოღვაწეობას“. ზოგიერთი „გამორჩეული“, იდეოლოგიური დონის პროფესორი „ახალ მეთოდოლოგიურ“ პრინციპებს სთავაზობს საზოგადოებას იმისათვის, თუ როგორ უნდა იქნას დაძლეული თანამედროვეობის პოზიციებიდან ტერენტი გრანელის ლექსებში „დაბუდებული პესიმიზმი“. მეორე პროფესორი წინადადებას იძლევა, რომ ჩვენს სკოლებში ისევ უნდა აღსდგეს 30-იან წლებში გავრცელებული, კლასობრივი ბრძოლით გამსჭვალული გასამართლებები და ა. შ. სწორედ ასეთ დოგმატიკოსებზეა ნათქვამი სარეცენზიო წიგნში შემდეგი სიტყვები: „თანამედროვე კრიტიკული აზრის ერთ-ერთი არსებითი ხარვეზი ისიც არის, რომ ძალზე ზშირად ნაწარმოების წაქითხვას „კონიუნქტურის“ სუნი ასდის, ზშირად მხატვრულ ტექსტს კითხულობენ არა ისე, როგორც ეს მწერლის მიერ არის კოდირებული, არამედ ტენდენციურად და დროის მოთხოვნილებების შესაბამისად“ (გვ. 9). იმის გამო, რომ ჩვენში გაბატონებული იყო ავად სახსენებელი „ველგარული სოციოლოგია“, ნაწარმოები მხოლოდ წითელ და თეთრ ფერში აღიქმებოდა. უმთავრესი სოციალური, კლასობრივი პრობლემა იყო, მხატვრულ მხარეს ყურადღება არ ექცეოდა. „ამიტომაც ჩვენი წინა თაობის კრიტიკოსების თუ ლიტერატორების ნაშრომებს ატყვიან ველგარული სოციოლოგიის დადი. მრავალი კრიტიკოსის ნიჭიერება ჩახშოვა ვაშთა ვითაობამ, ასინი ფიქრობდნენ ერთს, წერდნენ მეორეს და ეს მოვლენა ჩვეულებრივად აღი-

1 ელიზბარ ჯაველიძე. უკეთუ ხულითა... (ლიტერატურული წერილები), გამომცემლობა „შენახენი“. 1988 წ.



ქმედობა საზოგადოების მიერ. სწორედ ამ მიზეზების გამო ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა გამრუდებული, არასწორი გზით განვითარდა, რამაც აშკარად თავი იჩინა როგორც სკოლაში, ასევე უმაღლეს სასწავლებელში... ეს დიდი „ცოდნაა“, შთამომავლობით რომ მივიღეთ... მის „მონანიებას“ ალბათ კიდევ თაობები დასჭირდება“ (გვ. 10-11).

ზემოთ მოთხრობილმა მიზეზებმა ძალზე დააენინეს ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა და, საერთოდ, ლიტერატურათმცოდნეობა. სარეცენზიო წიგნის ავტორის მოსაზრებით, რომელსაც არ შეიძლება არ დავეთანხმოთ, მთავარი და არსებითი ნაკლი დღევანდელი კრიტიკისა ისაა, რომ „იგი მოკლებულია მეცნიერულ-თეორიულ საფუძვლებს, მას არ გააჩნია კვლევისა და ანალიზის სისტემური მეთოდი, შეფასების ობიექტური კრიტერიუმები... ცხადია, ინტუიცია, ალო. გემოვნება, გოხება-გამჭოიანობა, განსჯა და სხვა მრავალი უნარი კრიტიკოსს უნდა თან დაჰყვეს ზეგარდმო ძალით, მაგამ, თუ მას პროფესიული განათლება და ლიტერატურათმცოდნეობის კვლევის მეთოდების მყარი საფუძველი არ აქვს, მაშინ ყოველივე ეს ღვით მომადლებული ნიჭიერება წყალში ჩაყოლილი“ (გვ. 11).

როგორც ხედავთ, ჩვენ არ ვერიდებით ვრცელი ამონაწერების მოტანას სარეცენზიო წიგნიდან, რადგან აქ სათქმელი ისეთი კომპეტენტურობითა და შეუვალი ძალმოსილებითაა გაცხადებული, რომ თავის შეკავება მართლაც შეუძლებელია. მოდიოთ, მიყვებით ავტორის მსჯელობას. „ჩვენში ამ ბოლო ხანს კრიტიკის სფეროში მოღვაწეობენ პირები, რომელთაც დისციპლინის სათანადო ცოდნა არ გააჩნიათ. არც თუ იშვიათად კრიტიკულ წერილებს წერენ შემთხვევითი პიროვნებები, ან, უკეთეს შემთხვევაში, ხელმოცარული მწერლები“ (გვ. 12). უკეთესი მდგომარეობა, ავტორის თქმით, არც ლიტერატურათმცოდნეობის სარბიელზე გვაქვს. აქაც მომრავლდა შემთხვევითი პირები, „რომლებიც ფსევდო-მეცნიერულ ბუღს აყენებენ და, განსწავლულობის ნიღაბს ამოფარებულნი, ააფრისმთქმელი და უსაგნო მსჯელობით ანკვიტრებენ საზოგადოებას“ (გვ. 13). დასკვნა ასეთია: „თუ ჩვენ კრიტიკის განვითარების დღევანდელ ზოგად სურათს გავითვალისწინებთ, მაშინ სიმართლე მოითხოვს ვეღაროთ, რომ ქართულ კრიტიკულ აზროვნებას, საერთოდ, დაკარგვდა, ჩვენს კრიტიკოსებს (იშვიათი გამოწაკლისის გარდა) აკლია ის, რაც თავიდათავე და საფუძველია ყოველგვარი კემშარტი აზრისა: ეს არის პროფესიონალიზმი“ (იქვე). ამ შემთხვევაში უსიტყვოდ უნდა დავეთანხმოთ სარეცენზიო წიგნის ავტორს. ბატონი ელიზბარის თქმით, პრაფესიონალიზმა არის ის სიძირე-

ველი, რომელზედაც უნდა აშენდეს ყველა დანების და ბუნებრივია, კრიტიკის სწორი ლიტერატურათმცოდნეობის მტკიცე ფუძეა. იქ, სადაც ეს საფუძველი მორყეულია, ცხადია, ზედმეტია რაიმე სიმყარესა და ობიექტურ კემშარტებაზე საუბარი.

სარეცენზიო წიგნის ავტორი, როგორც იტყვიან, ცამდე მართალია, როცა პირდაპირ მითითებს ისეთ ფაქტებზე, რომლებიც ძალზე აფერხებენ ლიტერატურულ-კრიტიკული აზრის განვითარებას. ასე, მაგალითად: ჩვენი მწერლების უმეტესობა მეტად მტკივნეულად აღიქვამს მათი შემოქმედების სუსტი მხარეების მხილებასა და სააშკარაოზე გამოტანას, საშართლიან და ობიექტურ კრიტიკას პირად შეურაცხყოფად იღებენ. ამის გამო კრიტიკოსი ხელს იღებს პოლემიკური წერილების წარაზე, პრინციპულობაზე, „წამებლურ“ პოზიკიაზე გადადის და მშვიდ ხოცრებას ირჩევს. ჩვენს კრიტიკაში არის ერთი საშიში ტენდენცია — „მაქსიმალიზმი. ქართველი ან თავდავიწყებით შეიყვარებს ვინმეს, ან ასეთივე ძალით შეაძულებს“.

ასეთი „მაქსიმალიზმი“ ვერ გამოდგება ობიექტური კემშარტების დასადგენად. ამას თუ დაემატებოთ მრავალსახა დაჯგუფებასა და მწერლის თანამდებობრივ მდგომარეობას, როცა მისი მყუდროების დარღვევაზე ტაბუა დადებული, აშკარა გახდება, რომ „დღევანდელმა ლიტერატურულმა კრიტიკამ დათმო მართალი პოზიკიები. მეტიც შეიძლება ითქვას, მან უღალატა თავის ზნეობრივ პრინციპს, რაც უმთავრესად მიუღვამლობასა და მიუყრდობლობაში ჰპოვებს დასაბამს“ (გვ. 16).

თანამედროვე კრიტიკის პრობლემებზე ასეთ გულანდლი და პრინციპულ მსჯელობას მოსდევს ახალი რუბრიკა — „კინა ვართ და რანი ვართ“, რომელშიაც თვალშეუღამა ილიას ზნეობრივი იმპერატივები საოცარი ძალისხმევითა წარმოჩენილი. ავტორი იმომშებს ილიას ცნობილ სიტყვებს — „კარგია გავიძებული ადამიანი... მაგრამ უფრო უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილშიაც არ სძინავს, ქვეყნის უბედურებით გულატკინებულსა. ჩემო ლამაზო ქვეყნავ არიან ამისთანანი შენში? მე მოვინახე და, თუ ეიბოვე, ვეთაყვანები“ და შემდეგ კი ასკვნის: „ეს სიტყვები მწუხრის ზარივით რეკს დღესაც, და მისი ელერადობა ისეთი მძაფრია და საგანგაშო, როგორც არასდროს“ (გვ. 30). ეპოქალური მნიშვნელობის კითხვა, რომელიც ილიამ უღრესად კოზისულ ვითარებაში დასვა და რითაც ბევრწილად განაპირობა ჩვენი მერმისი, ქართველი კაცის ზნეობრივი კრედო დღესაც მთელი სიძლიერით ეღრეს, ყველა სფეროში მოღვაწე ადამიანის სულს ზარავს, გულის ძირში აღწევს, აფხიზლებს და სინდისის ქეჩნის ჯოჯოხეთურ ცეცხლს უნთებს.



რუბრიკის ბოლოს, სარეცენზიო წიგნის ავტორი წერს: „როცა ილია ქავკავაძე მიხვდა, რომ თავისი ცხოვრებით და სიტყვით ქართველ ხალხს ვეღარ აგვიწინებდა ზემოდასმული კითხვის უალრესად დიდ მნიშვნელობას, მაშინ იმ დაადგა მოწამებობრივ გზას. მან იცოდა, რომ სასიკვდილო განაჩენი გამოტანილი იყო, ჩახმახი — შემართული, მაგრამ ის არ შემცბარა. დიდი, გონიერი შუბლი, სამუდამო ნათელი რომ ადგა, არ დაუმალავს. ილიას ღრმად სწამდა, რომ ზოგჯერ შემზარავ სიკვდილს უფრო დიდი სიკეთე შეუძლია მოიტანოს, ვიდრე ცოცხლის სიტყვასა და მოღვაწეობას. დღეს ჩვენი მერმისი არ მოითხოვს, მსხვერპლად გავიღოთ ჩვენი თავი, მაგრამ საჭიროებს სულ მცირეს — საკუთარი სინდისის ზარის რეკვას მიუუგლოთ ყური“ (გვ. 38).

როგორც ვხედავთ, წიგნში სადღესო ამოცანების თვალსაწიერიდანაა მოხმობილი ყველა ფაქტი და მოვლენა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ლიტერატურული წერილების კრებულში ბატონ ელიზბარს დაუბეჭდავს ჩემთვის, როგორც ფოლკლორისტიკათვის, ძალზე საყურადღებო წერილი „ერთი ლექსის საიდუმლოება (გიორგი ლეონიძის „ყვიჩაღის პაემანის“ ანალიზი)“. აქ ავტორმა ორი მწვერვალი შეახვედრა ერთმანეთს: ერთი, გ. ლეონიძის — „ყვიჩაღის პაემანი“ და მეორე — ხალხური „შემომეყარა ყვიჩაღი“. გ. ლეონიძის კლასიკური კმნილების თითოეული სიტყვა, სინტაქსი, სტრიქონი თუ სტროფი არა მარტო ხალხურთან მიმართების თვალსაზრისითაა გაანალიზებული, არამედ თვით გ. ლეონიძის მთელ პოეზიასთან, შოთა რუსთაველის ცნობილ სტროფთან, ვეჯას „აღუღდა ქეთულაურთან“ თუ ისტორიულ ქრონიკებში დაცულ წყაროებთან მიმართებაშიც. საინალიზო ლექსის მხატვრულ-ესთეტიკური და პოეტიკური ანალიზი კომპლექსური მეცნიერული კვლევებიდან შესაშური დადასტურებაა. სარეცენზიო წიგნში გიორგი ლეონიძის აღნიშნული ლექსის იდეური ჩანაფიქრი ასეთი სახითაა კონდენსირებული: „ქართულ სულს ყოველთვის — წარსულში, დღესაც და მომავალშიც, ასაზრდოებდა და ასაზრდოებს სიყვარულის ამაღლებული გარბობა, რომელიც თავისი სიდიადით აშარცხებს სიძულვილსა და ბორბობებს... ეს არის ის იდეა, რომლითაც გამსჭვალულია მთელი ლექსი და რომლის გამოხატვასაც ემსახურება ლექსის ყველა დონე და მიკროსისტემა“ (გვ. 69-70). ამ ლექსის სულის მასაზრდოებელი ესთეტიკური ფენომენი ამაღლებულის კატეგორიაა, ამაღლებულზე მარადიულ სიდიადეზეა პროექტირებული პოეტის მთავარი სათქმელი. დაბეჭდვით შეიძლება ითქვას, რომ ერთი ლექსის ასეთი სიღრმისეული — სინქრონულ-დიპროქრონული ანალიზი, პირადად მე, სხვაგან არ შეგულება.

ამის შემდგომ სარეცენზიო წიგნში საყურადღებო ნ. დუმბაძის „თეთრ ბაირაღებზე“ (მოქვეყნებული პირში უძრახე), რომელიც ავტორის სიცოცხლეში (1973 წ.) დაიბეჭდა. ავტორი აქ ვრცლად მსჯელობს ცნობილ მწერალზე, რომლის რომანები ითარგმნა საბჭოთა კავშირისა და მრავალ უცხო ენაზე, თითქმის ყველა მისი ნაწარმოები სცენაზე დამკვიდრდა და მერე ეკრანიზებულ იქნა, რაც თავისთავად მეტყველებს მწერლის შემოქმედების ფართო პოპულარობაზე. სწორედ ამის გამო, ამბობს ბატონი ელიზბარი, „მას უფრო მეტი მოეთხოვება, ვიდრე ზოგიერთ რიგით, უნიჭო მწერალს“. ამის კვლობაზე განიხილავს სარეცენზიო წიგნის ავტორი ნ. დუმბაძის ძალზე საინტერესო რომანს „თეთრ ბაირაღებს“ და გამოთქვამს საყურადღებო შენიშვნებს. ავტორის მსჯელობა გულწრფელია, არ იგრძნობა მიკერძოება, ტენდენციურობა. მსჯელობს კომპეტენტურად, ღრმა გააზრებით და ა. შ. რატემა უნდა, ამა თუ იმ მწერლის რომელიმე ნაწარმოების მიკერძოებით განხილვა სამწუხარო მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ დაბეჭდვით შეიძლება ითქვას, რომ სარეცენზიო წიგნის ავტორი თავის შენიშვნებს აღნიშნულ რომანზე მწერლისადმი დიდი სიყვარულის დადასტურებით, ძალზე კომპენტენტურად და დამაჯერებლობით სთავაზობს მკითხველს. მისი აზრით, ნ. დუმბაძის რომანები „ყველა თანაბარი სიძლიერით არ არის დაწერილი“. ეს ფაქტი კი „დღემდე არ აღუნიშნავს ქართულ კრიტიკას“. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ბატონ ელიზბარს. ასეთი რამ მარტო ნ. დუმბაძის შემოქმედების მიმართ არ ითქმის.

მეორე წერილი ეძღვნება ნ. დუმბაძის მოთხრობების მიმოხილვას (მარადიული ფერები ქვეყანაში). არ შეიძლება არ დავეთანხმოთ სარეცენზიო წიგნის ავტორს იმაში, რომ „ხოდარ დუმბაძე მწერალთა იმ მცირე რიცხვს ეკუთვნის, ვინც თავისი შინაგანი ხმის კარნახით წერდა ისე, როგორც სწამდა და მოსწონდა... ამასთან ერთად, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნოდარ დუმბაძე ბუნებითა და მოწოდებით რეალისტი იყო, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით“ (გვ. 98). რომ „მისი შემოქმედების ესთეტიკური ძალა ერთნაირად მოქმედებს როგორც პროფესიონალ, ასევე მოყვარულ მკითხველზე“ (გვ. 99). მას სიამოვნებით კითხულობს საზოგადოების თითქმის ყველა ფენის, ნებისმიერი ასაკის ადამიანი. სწორედ ასეთი მაღალი თვალსაწიერიდანაა განხილული სარეცენზიო კრებულში ნოდარ დუმბაძის საუკეთესო მოთხრობები, ამჟამად საშუალება არა გვაქვს დაწვრილებით შეჩვირდეთ თითოეულ მათგანზე. დავიმოწმებთ მხოლოდ ბატონი ელიზბარის ამ საინტერესო ნარკვევის ბოლო სტრიქონებს: ნოდარ დუმბაძე, როგორც შემოქმედი „თავისი ხალხის და ქრის



სულითან იყო შედამზიარი. ეს სულიერი და მარადიული ერთად ყოფნა ნოდარ დუმბაძემ... თავისივე სიცოცხლეში მოიპოვა დიდი რწმენითა და ნიჭიერებით" (გვ. 127).

სარეცენზიო წიგნის ის განყოფილება, რომელშიაც განხილულია გურამ გეგეშიძის „ქაძი“, არჩილ სულაიაურის „თეთრი ცხენი“ და რეზო კერეშვილის „მეოთხე სიმფონია“ დასათაურებულია ქართული მწერლობის უპირველესი ზნეობრივი გმირის შუშანიკის ცნობილი სიტყვებით: „უკეთეს სულითა ცხოველ არს იგი“. (ე. ი. ვარსკენი იყო სულით არ დაცემულა, რწმენისთვის არ უღალატია, მაშინ ის ცოცხლად შეიძლება მივიჩნიოთ). ეს პარადიგმული ძალმოსილების პრობლემა ყოველთვის აწუხებდა ქართულ მწერლობას. მართალია, მტრების მოზღვავეები ფიზიკურად გეჰანაგებდა, მაგრამ, როგორც ბატონი ელიზბარის აღნიშნავს, უფრო საშიში ის იყო, რომ როცა ფიზიკურად გაგვიკირდებოდა ზნეობრივადაც ვიწყებდით გაბრუნებას. ეს კი ერის სრული გადაგვარების საშიშროებას ქმნიდა. ამას ძალზე კარგად გრძობდნენ ჩვენი წინაპრები, ამიტომაც მთელი ქართული მწერლობის („შუშანიკის წამებიდან“ მოყოლებული დღემდე) არსებით და ძირითად პრობლემად გვევლინებოდა „სულით სიცოცხლის“ პრობლემა, სწორედ ამ თვალსაწიერიდანაა განხილული დასახელებული მწერლების ძალზე საყურადღებო, შეიძლება ითქვას, საეტაპო მნიშვნელობის ნაწარმოებები.

შემდეგი წერილი, რომელიც ეძღვნება 1987 წლის უფრო „ციცქის“ მოთხოვნების მცირე მიმოხილვას, ასეა დასათაურებული: „ქართული მოთხოვნის ხვალისდელი დღე უფრო ნათელი იქნება“ აქ უკვე მინიშნებულია ბატონი ელიზბარის მთავარი მიზანდასახულობა — თავისი კომპეტენტური, მაღალი პროფესიული თვალსაწიერიდან ახალი თაობის პროზაიკოსებს გაუსიგოძგეანოს ყველა ის ნაკლი, რომლის დაძლევააც აუცილებელია სამომავლო გამარჯვებისათვის. ამ კუთხითაა განხილული რუმბერ ტყეარაძის, ქეთევან მელიქიძის, ალექო

გაბელიას, მანანა ამირეჯიბის, გივი ტყეარაძის მამუკა დოლიძის, მურად ქანტუიას, ქეთო ნიქარაძის, ზურაბ თორიას, მარინა არაყიშვილის, ნოდარ ხუნდაძის, ვახტანგ ასვლედიანის, შინო მოსულიშვილის, ირაკლი ლომოურისა და ჯანსულ ჯიქიძის მოთხოვნები. წერილის ბოლოს სარეცენზიო წიგნის ავტორი გვესაუბრება, როგორც თვითონ აღნიშნავს, „სახელმძღვანელო მწერლების“ რევაზ ინანიშვილის, რევაზ მიშველაძისა და გივი მალულარაძის მოთხოვნებზე, რომლებიც 1987 წლის „ციცქარში“ დაიბეჭდნენ.

ძალზე საყურადღებოდ უნდა მივიჩნიოთ ლიტერატურული წუნისადმი ბატონი ელიზბარის შეურიგებელი დამოკიდებულება, ჩვენდა სამწუხაროდ, გამომცემლობებში ზოგჯერ ამგვარ წუნს მწვანე შექს უნთებენ და შედეგად სახეზე გვაქვს. ძალზე პრინციპული მნიშვნელობისაა სარეცენზიო კრებულში წარმოდგენილი კრიტიკული წერილები — „მწერლური მოქალაქეობრივი ამოსუნთქვა“ და „არ გათვთორების“, აგრეთვე „დილექტანტიზმი და ფსევდო პროფესიონალიზმი“. პირველი ორი წერილის ადრესატი ერთი პიროვნებაა, მაგრამ იგი სხვა „მძლავრებსაც“ ეხებათ, რომლებიც მშვიდად, მყუდროდ განისვენებენ თავიანთ სავარძელში და ჰგონიან, რომ აქტუალურ თემებზე სწრაფი რეაგირებითა და გრაფომანობით სასარგებლო საქმეს აკეთებენ. ამ მხრივ ბატონი ელიზბარის აღნიშნული წერილები სანიმუშოდ უნდა იქნას მიჩნეული ქართულ კრიტიკაში.

საერთოდ, სარეცენზიო წიგნი დღევანდელი ცხოვრების გარდაქმნის პერსპექტივებითაა შთაგონებული. ავტორის ლიტერატურულ და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ჩვენი ქვეყნის დამანგრეველი რუტინის, შტამების, დიქტატისა და ტირანიის წინააღმდეგაა მიმართული. ელიზბარ ჯაველიძის ლიტერატურული წერილები დღევანდელი ქართული კრიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაპოვრად უნდა იქნას მიჩნეული.

აკოლონ ცანავა

საინტერესო ფიგნი XVIII საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე

XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის დამდეგს საქართველოში დატრიალებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა, რომელთა

მიხედვით საშსონაძე, საქართველოს გაერთიანების პრობლემა და საგარეო ორიენტაცია XVIII საუკუნეში, „საბჭოთა საქართველო“, 1988 წ.

წინამძღვრები საუკუნეთა მანძილზე იქმნებოდა, ერთობ ღრმა კვალი დატოვეს ქართველთა ცხოვრებაში. საფუძველი ძლიერი განცდისათვის, შეიძლება ითქვას. საკმარისზე მეტი იყო. ასე მოულოდნელად და ძალდატანებით დაასრულა თავისი არსებობა, ორას საუკუნოვანმა ქართულმა სახელმწიფომ.

ერთგულნი სახელმწიფოს დაკარგვით გამო-

წვეული პოლიტიკური და ზნეობრივი ზარალის ანაზღაურება უცხო ძალის მიერ მოტანილ ვერაფრითარ სიკეთეს ვერ შეეძლო. ამიტომ „ზედი ქართლისას“ პრობლემა არა მარტო ნიკოლოზ ბარათაშვილისა და მის თაობას აღელვებდა, არამედ შემდგომი თაობების განსჯისა და ცხოველი ინტერესის საგანიც გახდა.

საქართველოს ისტორიის XVIII საუკუნის პოლიტიკური მოვლენები რელიეფურად აისახა ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში, მხატვრულ და პუბლიცისტურ შემოქმედებაში; საქართველოს ისტორიის ეს მონაკვეთი, სავსებით ბუნებრივად კრეველუციამდელი და მისი შემდგომი ხანის, როგორც ქართული, ისე რუსული ისტორიოგრაფიის აქტუალური კვლევის საგანი გახდა, ორ საუკუნეზე მეტია, რაც დასავლეთის ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიაც ყურადღებას არ აკლებს ამ საკითხებს.

დაგროვდა საკმაოდ ვრცელი და შთამბეჭდავი ლიტერატურა, რაც აღნიშნულ საკითხთა განსაკუთრებულ მნიშვნელობასთან ერთად, იმის მაჩვენებელიცაა, რომ საქართველოს ისტორიის ეს პერიოდი, სხვა მონაკვეთებთან შედარებით, უკეთაა შესწავლილი. მიუხედავად ამისა, ინტერესი XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიის პრობლემებისადმი კვლავ დიდი. მეტადრე ახლა, გარდაქმნის დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრების ხანაში, როცა მეცნიერული აზრი კონინტეტურული მუხრუშებიდან თანდათან თავისუფლდება და საბჭოთა ისტორიული მეცნიერების წინაშე მთელი პრინციპულობით დგება ჩვენი ქვეყნის წარსულის ობიექტური, ჭანსალი გააზრების ამოცანა.

განსაკუთრებით საინტერესოა XVIII საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ისტორია, რომელიც თავიდანვე საერთაშორისო ყურადღების სფეროში მოექცა. ამიტომ, ამ თემაზე დაწერილი ყოველი ახალი ნაშრომი, ფართო საზოგადოების კანონზომიერ ინტერესს იწვევს.

მ. სამსონაძის მიერ დახატული XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიული სურათი, თუმცა კი, ძირითადად ემყარება კარგად ცნობილ წყაროთმცოდნეობით ბაზას, მაგრამ არსებული მასალის გულდასმითი ანალიზი და მოვლენათა ორიგინალური ხედვის უნარი საშუალებას აძლევს ავტორს დააზუსტოს და, ხშირ შემთხვევებში, ახლებურად შეაფასოს აღნიშნული ხანის საქართველოს საგარეო პოლიტიკის რაგი კარდინალური საკითხი.

მ. სამსონაძის ნაშრომის უცილობელ ღირსებას, ვფიქრობ, წარმოადგენს პრობლემების დაყენებისა და განხილვის არაორდინალური ხასიათი, რაც არა თუ საშუალებას აძლევს მკითხველს დაუფიქრდეს და კრიტიკულად გაიზაროს დასმული საკითხების ავტორის მიერ შემოთავაზებული გადაწყვეტა, არამედ პირდაპირ იწვევს მას საკამათოდ. ეს შეეხება რო-

გორც საშინაო ვითარების დასაგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობას, განსაკუთრებით იმ ნაწილში, სადაც მოკლემულია განმაზოგადებელი დასკვნები და შეფასებულება ისტორიული განვითარების შედეგები.

წიგნის სათაურიდან აშკარად ჩანს და ავტორიც განმარტავს, რომ ფეოდალურად დაქუცმაცებული საქართველოს გაერთიანების ამოცანა მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა ქვეყნის საგარეო ორიენტაციას, რომელიც განსახილველ ხანაში უპირატესად რუსეთთან ურთიერთობით განისაზღვრებოდა.

საკითხის ამგვარად დაყენება (მხედველობაში გვაქვს რუსეთთან ურთიერთობის პრობლემის ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების ამოცანასთან დაკავშირება), ვფიქრობ, სავსებით გამორიცხავს სამეცნიერო ლიტერატურასა და რამდენადმე საზოგადოებრივ ცნობიერებაში ფეხმოკიდებულ შეხედულებას, თითქოს, ქართული სამეფოების ურთიერთობა რუსეთთან გამოწვეული ყოფილიყოს ქართველი ხალხის ფიზიკური ანადგურების უცილობელი საშიშროებით.

ქართულ სამეფო-სამთავროების გაერთიანების ამოცანა რომ მხოლოდ თავდაცვის მოტივებით არ იყო განპირობებული და მას უფრო ღრმა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის მიზეზები ასაზრდოებდა, ეს საკმაოდ კარგად ჩანს სარუკენიო წიგნში წარმოდგენილი XVIII საუკუნის საქართველოს საშინაო ვითარების ანალიზიდანაც. მ. სამსონაძის მართებული დასკვნით, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათი და დონე, მის სხვადასხვა ნაწილს შორის ეკონომიკური კავშირის განმტკიცება, შრომის საზოგადოებრივი განაწილების გაღრმავება, ხოლო ამის საფუძველზე სხვადასხვა კუთხესა და რეგიონში სამეურნეო სპეციალიზაციის ჩამოყალიბება და ერთიანი ქართული ეროვნული ბაზრის ფორმირების პროცესი, რამდენადმე ერთეულად დაშლილი ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებას მოითხოვდა.

მ. სამსონაძის დაკვირვებით, საწარმოო ძალთა განვითარების შედეგად, ქვეყნის ცალკეულ მხარეებში, რომლებიც ხელსაყრელ გეოგრაფიულ პირობებსა და პოლიტიკურ მდგომარეობაში იყვნენ, ახალი ურთიერთობის ჩანასახები მაინც ახერხებდა გზის გაკაფვას. ეს სწრაფ ეკონომიკურ და კულტურულ აღმავლობას იწვევდა, რის საფუძველზეც ცალკეულ სამეფო-სამთავროთა ხელისუფალნი ფეოდალური პარტიკულარიზმის წინააღმდეგ მეტნაკლებად წარმატებული ბრძოლის გაშლას ახერხებდნენ (კახეთი XVI ს., ქართლი XVI-XVII სს.). ამგვარი ტენდენციები დამაბრკოლებელ გარემოებებთან ბრძოლაში, ნელა, მიიმედ, თანდათანობით, მაგრამ მაინც მეთოდურად იკაფავდა გზას. საგულსხმობა, რომ მსგავს ტენდენციებს



ავტორი უფრო ადრეულ ხანაშიც (XIV ს. შუა ხანებში) ამჩნევს, როცა „ფეოდალიზმის წილ-ში უკვე გაჩნდა ძალა, რომელიც ახალი იდე-ებით გამოდიოდა და ფეოდალურ ექსპლუატა-ციას უპირისპირდებოდა“ (გვ. 6).

როგორც ვხედავთ, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროგრესის აღნიშნული პრო-ცესი სერიოზულ და საკმაოდ ზანგძლივ ად-გლობრივ ტრადიციას ემყარებოდა, რომელ-საც შეედლო, ხელსაყრელი პირობების შექმნის შემთხვევაში, ქვეყანა ფეოდალიზმთან შედარე-ბით განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე აყვანა. ამდენად, ქვეყნის გაერთიანების ამო-ცანაც, ასევე ტრადიციული და მისი ბუნებრივი განვითარების ობიექტური აუცილებლობით იყო გამოწვეული. ამიტომ სწორ საგარეო ორიენტა-ციას შეედლო მხოლოდ არსებული ტენდენციის მხარდაჭერა, ხელის შეწყობა და არა განმსაზ-ღვრელი საფუძვლის შექმნა.

ქართველი ხალხის ფიზიკური განადგურების შესაძლებლობა ყიზილბაშურ ირანსა და ოსმა-ლეთის იმპერიას თავიანთი ძლიერების ხანაშიც კი არ გააჩნდა (ამის მეტყველი მოწმობაა მარ-ტყოფი, მარაბდა, ბანტრონი და სხვ). XVIII საუკუნეში კი, როცა ორივე ეს აგრესორი პო-ლიტიკურ კრიზისს განიცდიდა და სულ უფ-რო სუსტდებოდა, ქართველი ხალხის ფიზიკუ-რი გადაშენების საშიშროებაზე საკითხის დას-მაც კი უნადავოდ გამოიყურება. განა ნი-შანდობლივი არაა, რომ აღმოსავლეთის მრავალ-რიცხოვან დამპყრობთა პერმანენტულ შემოსე-ვათა და მათი პერიოდული გაბატონების მიუ-ხედავად, საქართველო XIX საუკუნემდე, ფაქ-ტობრივად, მთლიანად არც ყოფილა დაპყრო-ბილი. ყოველგვარ პირობებში არსებობას გა-ნაგრძობდა ქართული სახელმწიფოებრიობა ერთ- ვსულ საშეფო დინასტიით სათავეში და მთელს საქართველოში შეურყეველად ბატონობდა ქარ-თულსა სამაპულო სისტემა (ეროვნული სოცია-ლისტურ-ეკონომიკური სტრუქტურა) და იდეო-ლოგია (ქართული ქრისტიანობა). უფრო მეტიც, ერეკლე II გარედან დახმარების გარეშე და, შეიძლება ითქვას, დაჟინებული ხელის შეშლის პირობებშიც კი, 1790 წლისათვის, ბოლოს და ბოლოს, მართალია, კონფედერაციულ საფუძ-ველზე, მაგრამ მაინც შესძლო საქართველოს გაერთიანება.

ერთი სიტყვით, აშკარაა, რომ საქართველოს რუსეთთან ისტორიული ურთიერთობის მეცნი-ერული მოტივებიდან ურაცოფილი უნდა იქნას XVIII საუკუნეში ქართველი ხალხის ე. წ. „ფიზიკური გადაშენების საშიშროების“ არუ-მენტი. აქეთვე მივყავართ, ჩვენი აზრით, სა-არეცხიო წიგნში რუსეთთან ურთიერთობის პრობლემის განხილვის ხასიათსაც.


სარეცხიო წიგნის ავტორი მკითხველის ყურადღებას სრულიად მართებულად ამახვი-

ლებს ქართლ-კახეთის მეფეების მეფეების ელისაბედ დედოფლისათვის გაგზავნილი წე-რილის იმ ნაწილზე, სადაც ნათქვამია: „ხოლო ვინათგან აწ შეოფსა ამას ეამსა არღარა-ვინ არს უსჯულოთა მეფეთაგანი უფალი ჩვენ-ზედა... აწ არს ეამი გამოხსნისა ჩვენისა და დღე აღდგომისა ჩვენისა“. მართლაც, ამ დროისათ-ვის არათუ მთელს საქართველოზე ქართლ-კახეთის სამეფოს გავლენა, არამედ ამიერკავკა-სიაში პირველობაც ექვს არ იწვევდა, რის გა-მოც ირანის ტახტის პრეტენდენტი ახატ ხანი მას სერიოზულ ანგარიშს უწევდა. საერთოდ, შეინიშნება ერთობ საგულისხმო მოვლენა: 60-იანი წლების ელჩობაც რუსეთში ისეთ დროს გაიგზავნა, როცა ერეკლე II ფაქტობრივად მთელი აღმოსავლეთი ამიერკავკასია თავისი კონტროლის ქვეშ ჰქონდა მოქცეული. აღმოსა-ვლეთ საქართველოს პოლიტიკური მდგომარე-ობა გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმების ხანაშიც საკმაოდ მტიცივდ გამოიყურება. უფრო ადრე კი, ვახტანგ VI-სა და პეტრე I-ს შორის ისეთ დროს მყარდება სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, როცა ქართველი მეფის გავლენა არა თუ მთელ საქართველოზე, ქრისტიანულ ამიერ-კავკასიაზეც უდავო იყო.

ერთი სიტყვით, ვახტანგ VI-ცა და ერეკლე II-ც რუსეთთან ურთიერთობას, საკუთარი სა-მეფოს ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბი-ლურობის პერიოდებში ააქტიურებენ, რაც თა-ვისთავად ააშკარავებს მათი პოლიტიკური გე-გემების შორსგამიზნულ ხასიათსა და ფართო მასშტაბებს. ასეთი გეგმების განხორციელება, თუნდაც ძალზე დიდი და ძლიერი სახელმწიფოს დახმარებით, იმ შემთხვევაში შეიძლებოდა, თუ-კი პოლიტიკური ერთეული თვით წარმოადგენ-და ანგარიშგასაწევ ძალას. ფიზიკური განად-გურების პირას მდგომ დასუსტებულ ქვეყანას რაიმე მნიშვნელოვანი წარმატების იმედი არ შეიძლებოდა ჰქონოდა და არც მის მოკავში-რეობას ისურვებდა ვინმე.

ვფიქრობთ, ნათელი უნდა იყოს, რომ რუ-სეთთან ქართლ-კახეთის დაკავშირება არ წარ-მოადგენდა კონიუნქტურულ აქტს და იგი ღრმად და შორს გამოხსნული ღონისძიება იყო, რომელ-ლიც ითვალისწინებდა საიმედო პოლიტიკური მოკავშირის დახმარებით საკუთარი სახელმწი-ფოებრივი პრობლემების გადაჭრას.

სარეცხიო წიგნის ავტორის მართებელი განმარტებით, ქართველ მეფეთა უმთავრესი პოლიტიკური ამოცანის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი — „აღდგომა“ გულისხმობდა მთელი საქართველოს გაერთიანებას, რაც უნდა გამზ-დარიყო, როგორც დიდი სოციალურ-ეკონომი-კური ნახტომის, ისე ქვეყნის სრული დამოუ-კიდებლობის საფუძველი. მართალია, მ. სამ-სონაძის მეცნიერული ამოცანა XVIII საუკუ-ნეში საქართველოს გაერთიანების პრობლემის



განხილვა საგარეო ორიენტაციასთან კავშირში. მაგრამ ამ გაერთიანების მასშტაბები ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა სამოქმედო გეგმებში რომ არათუ ეთნიკურ საზღვრებს, არამედ ქრისტიანულ კავკასიასაც სცდებოდა, ამ რეალობის კონსტანტაცია, ვფიქრობთ, უფრო უკეთ გამოაჩენდა იმ სიმწელებებს, რომელთა წინაშეც აღმოჩნდნენ ქართველი მეფეები და კიდევ უფრო გასაგებს გახდიდა გარეშე ძალის მოხმობისათვის ქართველთა დაქინებულ მცდელობის მთელ შინაარსს.

საქართველოს „აღდგომაში“ რომ ამიერკავკასიაში ოდინდელი ჰეგემონობა იგულისხმებოდა კარგად შედგენილია, როგორც ვახტანგ VI-ის „ქრისტიანულ პოლიტიკაში“, ისე ერეკლე II-ის პრეტენზიებში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაზე. ამ პრეტენზიებში, უნდა ითქვას, სათანადო ასახვა ჰპოვა ტრაქტატის მუხლებშიც, რომელთა მიხედვით (მეორე არტიკულით) რუსეთის იმპერატორი კისრულობდა „...დაცუასა ზედა აწინდელისა სამფლობელოთა მისისა უგანათლებულესობისა მეფისა ირაკლისა“ (ამასთან დაკარგული ისტორიული ტერიტორიების დაბრუნებასაც). ტრაქტატში ქართველი მეფე იწოდებოდა, აგრეთვე, შაჰისა და შირვანის მთავარს და განჯისა და ერევნის მფლობელად და მზრძანებლად.

უდავოდ სწორია ნ. ბერძენიშვილის მტკიცება, რომ „აღდგომა“ თავისუფალი განვითარების გზით იმ მდგომარეობის მიღწევას გულისხმობდა, რომელიც ფეოდალური საზოგადოების წარმოდგენით, საქართველოს ერთ დროს ჰქონდა („ოქროს ხანა“). მისივე განმარტებით, ერეკლესეული ეს ფორმულა, ამავე დროს, იყო ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიული განვითარების კვალიფიკაცია: რომ საქართველო დასავლეთის („ევროპის“) ხალხთა კულტურული ოჯახის წევრია, აღმოსავლეთ დაბმყრობელთა მიერ მისგან ძალით მოწყვეტილი (ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 333). ამდენად, ნ. ბერძენიშვილის აზრით, „აღდგომაში“ იგულისხმებოდა როგორც „ოქროს ხანის“ საგარეო წარმატებები, ისე ქვეყნის შინაგანი „წყობა და გარეგება“.

ასეთი დამოკიდებულება საკუთარი ქვეყნის წარსულთან შემთხვევითი არ ყოფილა. ფეოდალური ხანის ქართველ მოღვაწეთა პოლიტიკურ რომანტიზმს რეალური საფუძვლები გააჩნდა. „ოქროს ხანის“ საქართველოს პროგრესული განვითარება უაღრესად უარყოფითი საგარეო ფაქტორის ზეგავლენით ისეთ დროს შეფერხდა, როცა ფეოდალურ ურთიერთობას ამ ქვეყანაში თავისი ზრდა ძირითადად უკვე დასრულებული ჰქონდა. უკვე იჩენდნენ თავს მოვლენები. რომლებიც აშკარად მოწმობდნენ, რომ მწიფდებოდა წინაპირობა საზოგადოებრივი განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე

ასვლისათვის (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, გვ. 160), მაგრამ გარემომცველი მსოფლიო, მათ შორის დასავლეთი ევროპაც, ჯერ კიდევ საკმაოდ შორს იყო ბურჟუაზიის გამარჯვებისაგან. XVIII საუკუნეში კი, პირიქით, „ქვეყნის ყველა კარებით ევროპის ბურჟუაზია მოხანდა თავისი წარმოების პროგრესული წესით“, საქართველო კი იმ ხანას ტერიტორიულად დამცირებული და ჩამორჩენილი მტრულ გარემოცვაში მოქცეული შეხვდა. ახალი საუკუნე საქართველოს შესვეურთა წინაშე მთელი პრინციპულობით აყენებდა ჩამორჩენილობის დაძლევისა და ქვეყნის „ევროპულად“ მოწყობის ამოცანას, რომლისკენაც ერთ დროს („ოქროს ხანა“) საკუთარი გზით უხდა მისულიყო. ამიტომ ბრძოლა საქართველოს ოდინდელ საზღვრებში გამოლიანებისა და ქვეყნის „ევროპულად“ მოწყობისათვის უშთავრეს პოლიტიკურ ამოცანად იქცა იგი გამოხატავდა ორგანულად მთლიან საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

ოდინდელი საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მისი დაშლის პირველი დღიდანვე დაიწყო და ის არც სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ შეწყვეტილა. გაერთიანების იდეა ცოცხლობდა ყოველთვის და ყოველგვარ პირობებში. ეროვნული შეგანების ასეთი დიდი სიციცხლისუნარიანობა, ეკვი არაა, უკვე მიღწეული (XII-XIII სს-ში) ეთნიკური და კულტურული კონსოლიდაციის უაღრესად მაღალი დონის შედეგი იყო, რის გამოც ეროვნული ერთიანობის იდეის ბოლომდე აღმოფხვრა ფაქტობრივად შეუძლებელი გახდა. „გამოხსნისა“ და „აღდგომის“ გარდა, სხვა პოლიტიკურ პროგრამა საქართველოს შესვეურებს არ შეეძლოთ მიეღოთ. ეს კი იმდენად ფართო და მრავალმხრივ გარდაქმნებს და ხანგრძლივ მშვიდობიან პერიოდს ითხოვდა, რომ, მიუხედავად კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ქრისტიანი მოსახლეობის მზურვალე მხარდაჭერისა, მისი (პროგრამის) განხორციელება, როგორც ამას სარეცენზიო წიგნის ავტორი აღნიშნავს, დიდ დამპყრობლებთან დაპირისპირებული პატარა ქვეყნის ეკონომიკურ და ფიზიკურ პროტენციალს მნიშვნელოვნად აღემატებოდა, საჭირო იყო გარეშე ძალის გამოხმობა. ამგვარ ძალად, რომელსაც შეეძლო დახმარება გაეწია და თვითონაც ამით დაინტერესებული იქნებოდა, მხოლოდ რუსეთი ჩანდა.

ამრიგად, არა ფიზიკური გადარჩენის ამოცანამ, არამედ ქვეყნის ბუნებრივი სოციალურ-ეკონომიკური, ეროვნულ-პოლიტიკური განვითარების მოთხოვნილებამ, განსაზღვრა არჩეული საგარეო ორიენტაცია XVIII საუკუნის საქართველოში. ასეთი დასკვნა სრულიად ლოგიკურად გამოიმდინარეობს ავტორის ნათელი და

დამაჯერებელი — მსჯელობიდან, რაც ნაშრომის ერთ-ერთ ღირსებად მიგვაჩნია.

წიგნში თანმიმდევრულად და დინამიკურადაა გადმოცემული ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა დაუღალავი ბრძოლა ქვეყნის გაერთიანებისათვის. ეს პოლიტიკური პროცესი თავის აპოგეას აღწევს 1783 წლის აქტში, რაც გარდა მტები მნიშვნელობისა აღმოჩნდა საქართველოს მომავლისათვის. მოვლენათა ავტორისეული გადმოცემისას ნათელი ფერებით იხატება XVIII საუკუნის საქართველოს მესვეურთა პორტრეტების დიდებული გაღვრვა (ვანტანგ VI, თამარი და თეიმურაზ II, ერეკლე II, სოლომონ I და მათი თანამებრძოლნი), სადაც ყველაზე შთამბეჭდავად გამოიყურება ერეკლე II-ის, დიდი მხედართმთავრისა და ბრძენი, შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსის, შესანიშნავი ფიგურა. ამ შთაბეჭდილებას ვერ ანელებს 1783 წლის შედეგად განპირობებული ქართული სახელმწიფოებრიობის მარცხიანი ფინალი. ერეკლე II-ის ყოველი გადაწყვეტილებისა და პოლიტიკური ნაბიჯის რეალურობა წიგნში დოკუმენტურადაა დასაბუთებული და ახსნილი. მაგალითად, სრულიად რეალური და საფუძვლიანი ჩანს 1752 და 1760 წლების ელჩობათა ცდები მიეღწიათ რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს ფაქტობრივი გაერთიანების ცნობას და ამ გზით მის საერთაშორისო აღიარებას. ეს უნდა ყოფილიყო პირველი ნაბიჯი საქართველოს გაერთიანების გზაზე, დამაჯერებლად გამოიყურება სარეცენზიო წიგნის ავტორის ვარაუდი იმის შესახებაც, რომ მიზნის მისაღწევად ქართველი მეფეები, კერძოდ თეიმურაზ II, არც რუსეთის იმპერიის გავლენიანი მოხელეების მოქრთამვას მორიდებანი. ახლო აღმოსავლეთში რუსეთის ინტერესების რეალიზაციის სხვადასხვა პროექტებს შორის უკვე პეტრე I-ის დროიდან იმპერიის საგარეო პოლიტიკის მესვეურთა ერთ ნაწილში საკმაო პოპულარობით სარგებლობდა ამიერკავკასიაში ძლიერი ქრისტიანული ბუფერული სახელმწიფოს შექმნის გეგმა, რომლის განხორციელება ამ რეგიონში მხოლოდ — ქართული სამეფოების ბაზაზე შეიძლებოდა. ასეთ ფონზე საკმაო დამაჯერებლობას იძენენ მ. სამსონაძის მიერ მოტანილი არაპირდაპირი ცნობებიც კი თეიმურაზ II-ის მიერ რუს ხელეთა შესაძლო მოქრთამვის შესახებ. აღმოსავლური დიპლომატიისათვის დამახასიათებელ ამგვარ ღონისძიებებს რუსეთში, ეტყობა, იძიტომაც მიმართავდნენ ქართველები, რომ, რაც დრო გადიოდა, მფარველისა და ხელდებულის კონკრეტული პოლიტიკური ინტერესები სულ უფრო ხშირად სცილდებოდა ერთმანეთს. ეს განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა რუსეთთურქეთის 1768-1774 წწ. ომის დროს. თუ ერეკლე II რუსთა სამხედრო ძალების დახმარებით, პირველ რიგში, ახალციხის შემოერთე-

ბას ვარაუდობდა, გენერალ ტოტლებენის ლეზობა, ქართულ ლაშქარზე დაყრდნობით, ვერსიების მოწყობა თურქების წინააღმდეგ, — თა აქ მტრის ძალები დაებანდებინა და ომის ძირითად ასპარეზზე მოქმედი შენაერთებისათვის მეტი თავისუფლება მიეცა. ამდენად, რუსეთის პოლიტიკური მიზნები კავკასიაში აჭერად გამორიცხავდნენ ერეკლე II-ის გეგმებისათვის ხელის შეწყობას. მაგრამ კავკასიაში გამოგზავნილმა საქსპედიციო კორპუსმა ტოტლებენის მეთაურობით იმპერიის იმედები ვერ გაამართლა, საქართველოში კი პოლიტიკური სიტუაცია დიდად გაართულა.

გენერლის არათანმიმდევრული, ულოგიკო, გაუგებარი საქციელი ჩვენს ისტორიოგრაფიაში ხშირად იხსენება მართო მისი ხასიათის თვისებებით, რაც სარეცენზიო წიგნის ავტორის სამართლიანი შენიშვნით, საქმის გამარტივებულ წარმოდგენას ნიშნავს. არსებული მასალის სკრუპულოზური ანალიზი მ. სამსონაძეს საშუალებას აძლევს აღადგინოს წყაროებში ბუნდოვნად ასახული საქართველოში ტოტლებენის საქმიანობის ნამდვილი სურათი:

1768-1774 წწ. ომი შავი ზღვის ხელში ჩაგდებას, ჯერ კიდევ პეტრე I-ის მიერ დასახული გეგმის განხორციელებასა და სანაპირო ზოლში რუსთა მფლობელობის გაფართოებას ისახავდა მიზნად, რის გამოც იმპერიის დიპლომატიას ძირითადი აქცენტი დასავლეთ საქართველოზე გადააქონდა. ტოტლებენმა კი ამის საწინააღმდეგოდ, ცენტრიდან მიითებული საომარი ოპერაციების გეგმიდან გადაუხვია, გაუპარხლებლად გამოდრუნდა იმერეთიდან და ერეკლესთან ერთად, ახალციხეზე სალაშქროდ სამზადისს შეუდგა. ტოტლებენმა ერეკლე II-ის გეგმებით დაინტერესება იმითაც გააშუქა, რომ აქტიურად ჩაება მოზღოკიდან დამატებითი ჯარის მიღების ღონისძიებაში და პირადად კი გაემგზავრა ხაზზე. რუსეთის სამსახურში მყოფი გერმანელი გენერლის ამ საქციელს ძნელია რაიმე ახსნა მრეჭებნოს მატერიალური დაინტერესების გარდა, რაც ტოტლებენისათვის, როგორც ცნობილია, უცხო არ იყო. ერთ საბუთში ამაზე პირდაპირი მითითებაც არსებობს. საქმეში მატერიალური დაინტერესების ჩართვის შესაძლებლობა, რა თქმა უნდა, ექვს არ იწვევს, მით უფრო, რომ ერეკლე II ტოტლებენის შემცველი გენერალი სუხოტინის დაინტერესებაც უცდია ფულით. ასეთი დაშვების შემდეგ, ვფიქრობ, გასაგები ხდება ტოტლებენის აჩქარება და ხშირი ყოყმანი კავკასიაში საომარი ოპერაციის წარმოების დროს, რაც გამოწვეული უნდა ყოფილიყო ანგარების გამუქდავების შიშით. წიგნის ავტორი კარგად გვიჩვენებს, რომ ტოტლებენის წინააღმდეგ ოფიცერთა შეთქმულების შეთხზვა და ერეკლე II-თან გენერლის დაპირისპირებაც იმპერიის

წინაშე მოხელის დანაშაულის დაფარვისა და თავდაცვის მიზნით გათამაშებული წარმოდგენა იყო.

ერეკლეს მხრიდან კი ეს ღონისძიება ზემოქმედების იძულებითი ფორმა იყო. ცხადა, ქართველი მეფე თავის მოქმედებაში ილუზიებით არ ხელმძღვანელობდა და კარგად ითვისებდა იმპერიის აგრესიულ ბუნებას, მაგრამ ისტორიული პერსპექტივა, ისევე როგორც მის წინაპრებს, დიდ ქრისტიანულ სამყაროში გადასაცემებლად ეწეოდა. ამიტომ, ვიდრე მოკავშირეთა ურთიერთდამოკიდებულება საბოლოოდ გამოიკვეთებოდა და დასრულებულ სახეს მიიღებდა, კონკრეტული ისტორიული შედეგებიდან მეტი სარგებლის მიღება იყო საჭირო. როგორც ჩანს, რუსეთის სამხედრო ძალების საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენების შესაძლებლობას არც ისეთ რთულ სიტუაციაში გამოირჩევადა, როცა მფარველისა და ხელმძღვანელის სამხედრო-პოლიტიკური გეგმები უკვე ერთმანეთს შორდებოდნენ. ასეთ დროს, საქმეში მატერიალური დაინტერესების ჩართვა, როცა ზემოქმედების სხვა საშუალებანი აღარ არსებობდა, შესაძლოა, გარკვეულწილად ეფექტურიც ყოფილიყო. რუს მოხელეებთან ქართველი მეფის ურთიერთობის ეს ეპიზოდები, ვფიქრობ, ერეკლე II-ის რეალისტური თვალთახედვის კიდევ ერთი დამატებითი მოწმობა უნდა იყოს.

სიახლით გამოირჩევა XVIII საუკუნის 90-იან წლებში იმერეთის დიდებულთა მიერ შემოთავაზებული აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანების პროექტის არსის ავტორისეული განხილვა და შეფასება. ერეკლე II-ის უარი ასეთ გაერთიანებაზე სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარადაა ახსნილი. მიღებული გადაწყვეტილების მიზეზად ზოგჯერ საგარეო ფაქტორით გამოწვეულ სიძნელეებს ასახელებენ (თითქოს ოსმალეთი ვერ მოითმენდა ამერ-იმერეთის გაერთიანებას), ზოგჯერ კი საქმის ჩაშლას ქართლ-კახეთის სამეფო კარზე გავლენიან ფეოდალთა რეაქციული ფრთის ზემოქმედებას მიაწერენ. ყველა ამათგან განსხვავებით, მ. სამსონაძე ერეკლე II-ის გადაწყვეტილებას მართებულად მიიჩნევს. ასეთი დასკვნის საფუძველს მკვლევარს აძლევს წინამორბედი პოლიტიკური მოვლენების დრმა ანალიზი, საიდანაც ირკვევა, რომ იმერეთის ფეოდალთა თხოვნა ამერ-იმერეთის გაერთიანების შესახებ, ქვეყნის ცენტრალიზაციის ინტერესებით კი არ იყო განპირობებული, არამედ მის საწინააღმდეგოდ. იმ დროს, როცა გართულებული საშინაო და საგარეო პირობების გამო ცენტრალიზებული ქართლ-კახეთის სამეფო საუფლისწულოებად დაწყოლების რეალური საფრთხის წინაშე იდგა (რაც 1794 წ. კიდევ გახზორციელდა) ერეკლე II იმერეთში ცენტრ-

ლისტურ პოლიტიკას ვერ გატარებდა. ამის დიდებულებმა მშვენივრად ჩაიტყვევეს. 1790 წელს ერეკლე II ის აღარ იყო, რაც 5 და მითუმეტეს 10 წლით ადრე. მოხუც მეფეს ქვეყნის მართვა სულ უფრო და უფრო უჭირდა. ამიტომ ერჩივნათ პარტიკულარისტულად განწყობილ ფეოდალებს მოხუცი და უკვე საკმაოდ დაღლილი ერეკლე II ახალგაზრდა, ენერგიულ და შემტევ დავით არჩილის ძეს (სოლომონ II-ს). სრულიად აშკარაა, განაგრძობს მკვლევარი, რომ მთელი ეს წამოწყება ერეკლეს შეიღობილი — დავით არჩილის ძის გამეფების წინააღმდეგ იყო მიმართული. ამდენად, სწორია ერეკლეს საბოლოო გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, რომ ამით მან, ფაქტობრივად, იმაზე თქვა უარი, რისთვისაც მთელი თავისი ხანგრძლივი მეფობის მანძილზე თავდაუზოგავად იბრძოდა. მოსალოდნელია, დასკვნის მკვლევარი, ქართლ-კახეთის მეფემ საქართველოს ერთ სამეფოდ გაერთიანების თავისი გეგმა, შექმნილი საგარეო და საშინაო ვითარების ზეგავლენით, ქართულ სამეფო-სამთავროთა კონფედერაციულ საფუძველზე შეკავშირების პროექტით შეცვალა. თუ ეს ასეა, მაშინ შეიძლება იმერეთის მიმართ მისი პოლიტიკის შეცვლა ამ ამბავს დაუკავშირდეს. როგორც ჩანს, სხვა გამოსავალი ერეკლე II-ს არ ჰქონდა და, ამდენად, მისი გადაწყვეტილებაც რეალისტური თვალთახედვით ნაკარნახევი ნაბიჯი იყო.

წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატის მომზადებისა და გაფორმების ისტორიას. დაზუსტებულია ამ მოვლენასთან დაკავშირებული მთელი რიგი ფაქტების ცალკეული დეტალები, რომელთაც საერთო შეფასებისათვის განსახლვრული აზრობრივი დატვირთვაც გააჩნიათ. ზეღმეკრულების მომზადებისა და გაფორმების პროცესზე ავტორის საინტერესო დაკვირვებები ნათლად წარმოგვიდგენენ ქვეყნის სუვერენიტეტისათვის მებრძოლი ერეკლე II-ის რეალისტი და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსის მებრძოლ სახეს. ეს უკანასკნელი ადარებს და აანალიზებს რა ქართლ-კახეთის სამეფოს მესვეურთა მიერ 1771-73 წელს შედგენილ რუსეთთან დაკავშირებით სათხოვარ პუნქტებს და 1782 წელს ე. წ. ახალ სათხოვარ პუნქტებს, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატის ერთ-ერთი საფუძველი გახდა. ავტორი მიიჩნევს, რომ ეს უკანასკნელი ჯანსაღი განსჯისა და დიპლომატიური სიბრძნის მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ, რომელიც სავსებით შეესაბამებოდა შეცვლილ ისტორიულ პირობებს. მ. სამსონაძის მართებული შენიშვნით, ერეკლე შესანიშნავად ხელავდა, რომ რუსეთი ამჯერად (ე. ი. 1782 წლისათვის) მეტად დაინტერესებული იყო საქართველოსთან კავშირით და შესაბამისი დოკუმენტის იურიდიულად გაფორმებას ჩქარობდა.

დაბლობათ მეფეს არ შეიძლებოდა ამგვარი ვითარების თავის სასარგებლოდ გამოყენება არ ეცადა. მისივე დაკვირვებით, ამჯერად ერეკლე რუსეთის ქვეშევრდომობას არ ითხოვდა, არამედ მფარველობას. ქართლ-კახეთის დამოკიდებულება რუსეთისადმი ვაშლისწინებულთა მხოლოდ საომარ პერიოდში, მშვიდობიანობის ვითარებაში იგი არსებითად ინარჩუნებს სუვერენიტეტს. 1782 წლის სათხოვარო პუნქტები ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, განაგობის სარეცენზიო წიგნის ავტორი, თითქოს ქართლ-კახეთის მეფე ამჯერად ფორმალურად აღიარებს რუსეთის იმპერატორის უზენაესობას ტრაქტატის უშუალო გაფორმების პერიოდშიც, სარეცენზიო წიგნის მიხედვით, ერეკლე II წარმოგვიდგება ფხიზელ პოლიტიკოსად, რომლის მხედველობას შეუნიშნავი არ რჩება ხელშეკრულების მუხლებში დაფიქსირებული მისი უფლებების შემზღვევად. იგი ერთი ფარული აზრი და ახალი მოთხოვნობების წაყენებით ცდილობს მათს განეიტრალებას. საიმპერატორო კარმა ქართლ-კახეთის მეფის ყველა მოთხოვნა უკლებლივ დააკმაყოფილა. ტრაქტატით ქართლ-კახეთი რუსეთის მფარველობაში გამოცხადდა, იმპერატორი კისრულობდა გარეშე მტრებისაგან საქართველოს დაცვას და მის ისტორიულ საზღვრებში აღდგენას, რუსეთი საქართველოს შინაურ საქმეებში არ ჩაეროდა, ხოლო ერეკლე საგარეო საქმეებს დამოუკიდებლად არ გადაწყვეტდა.

სარეცენზიო წიგნში აღნიშნული ისტორიული ფაქტი, ისევე როგორც ქართულ საისტორიო ლიტერატურაში, შეფასებულია როგორც პროგრესული მოვლენა. წიგნში ვკითხულობთ: ქართველობა საუკუნეების განმავლობაში იბრძოდა მამამდიანური აღმოსავლეთის გარემოცვიდან თავის დასაღწევად და ქრისტიანულ ევროპასთან დასაკავშირებლად. ახლა ეს გარემოცვა გარღვეული იყო. ქრისტიანული რუსეთის სახით საქართველო ევროპულ ცივილიზაციას უკავშირდებოდა.

წიგნში უტარდება გამახვილებულია, აგრეთვე, ტრაქტატის კონკრეტულ-ისტორიული შედეგების დადებით მნიშვნელობაზე. ავტორის აზრით, ქართლისა და კახეთის სამეფოების გაერთიანების იურიდიულად დაკანონებამ, რაც ამ დოკუმენტით განხორციელდა, არსებითად მოსპო თავადური პარტიკულარიზმის ძირითადი საფუძველი ვანტანგის სახლისშვილთა ქართლის ტახტზე ლეგიტიმისტურ უფლებებს რომ ემყარებოდა. ამან კი ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების მნიშვნელოვანი განმტკიცება განაპირობა.

სულ მალე, რაღაც 7-8 წელწადმდე, ქვეყნის სამეფოს ინკორპორაციის იდეაზე ფიქციად აქცია ისტორიული დოკუმენტი, რომელიც ორმხრივ ვალდებულებებს ემყარებოდა და სამარადისო მოქმედებისათვის იყო გათვალისწინებული. ავტორის განმარტებით, საქართველოს ისტორიული განვითარება ისე წარიმართა, რომ ის, რასაც ქართველი პროგრესული მოღვაწეები რუსეთის დახმარებით გეგმავდნენ, მხოლოდ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში განხორციელდა. რუსეთმა XIX საუკუნის განმავლობაში თავის შემადგენლობაში მყოფი საქართველო მის ისტორიულ საზღვრებში აღადგინა.

მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, საქირო იყო აღნიშნულიყო, რომ ამის შემდეგაც (ე. ი. აღმოსავლეთ საქართველოს ინკორპორაციის შემდეგ) ტრაქტატი, რამდენადაც ის საერთაშორისო სამართლის ნორმების საფუძველზე იყო გაფორმებული, როგორც იურიდიული დოკუმენტი, მაინც ინარჩუნებდა განსაზღვრულ მნიშვნელობას. ეს დოკუმენტი ოფიციალურად გაუქმებული არ ყოფილა. ამიტომ საქართველოს მესვეურებს შესაფერის ისტორიულ პირობებში ყოველთვის შეეძლოთ ტრაქტატის პირობების დაცვა მოეთხოვათ. ასეთი თვალსაზრისის მართებულობის მოწმობად, თუნდაც ის ფაქტი გამოდგებოდა, რომ ქართული სახელმწიფოს აღორძინება 1783 წლის რუსეთ-საქართველოს სამფარველო ტრაქტატის საფუძველზე XIX საუკუნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ქვეყნის იყო. ხოლო 1917 წლის თებერვალ-მარტში ამავე საფუძველზე უკვე გვეშაბელი აყენებს საქართველოს საკითხს საერთაშორისო კონგრესის წინაშე და შოთაშოვის მის გადაწყვეტას (იხ. მისი, Единство Грузии и русский протекторат, Москва, 1917). ეს ვასაგებია. ტრაქტატის არსებობა ერთნაირი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ქართველ პატრიოტებს უცილობელ მორალურ და საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, ერთგვარ, პოლიტიკურ უპირატესობასაც კი ანიჭებდა. ტრაქტატი მოწმობდა, რომ ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით საქართველო რუსეთის სისხლის ფასად არ ექონდა შექმნილი და ამ ქვეყნისთვის ის ფორმალურ-იურიდიულად მაინც ერთმორწმუნე მფარველ-მოკავშირედ რჩებოდა. ამდენად ქართველთა ბრძოლა თვითმმართველობის უფლებისათვის იმპერიისა და საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალში სამართლიანი იყო და გამართლებულიც.

ბურბა მანსურაძე.

● რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

● ტელეფონები: მთ. რედაქტორის — 92-55-11,
მთ. რედაქტორის მოადგილის 92-55-15, პ/მგ
ჭლივის — 92-55-13 და განყოფილებების —
92-55-15; 92-55-17; 92-55-20.

გადაეცა ასაწყობად 23.03.90 წ. ხელმოწერი-
ლია დასაბეჭდად 14.05.90 წ. ანაწყობის ზომა
7¹/₄X12, ქაღალდის ფორმატი 70X108, ფი-
ზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნა-
ბეჭდი ფურცელი 15,5, საადრ.-საგამომცემლო
თაბაში 16,58.

უე 07973. ტირაჟი 30.700. შეკვ. 709. საქარტი-
ველოს კბ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

ფასი 80 ლა.

6138 / 70



ქართული
ლიბრეოთეკა
0625360
76128

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ